

## როზა ბიძინაშვილი

სანელებელ - არომატული მცენარეების  
სამკურნალო მნიშვნელობა



თბილისი  
2013

## **კუძღვნი ჩემი შშობლების ნათელ ხსოვნას**

ცნობარი მოიცავს ზოგად ინფორმაციას ტროპიკული და ზომიერი სარტყლის სანებებელ-არმატულ მცენარეებზე, რომლებიც სამკურნალო თვისებებითაც გამოიწჩევა და ამ ნიშნით ძველი დროიდანვე ფართოდ გამოიყენება.

შესაბამისი ინფორმაცია მოიპოვა და დაამუშავა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კავკასიის იშვიათი და სამკურნალო მცენარეების განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **როზა ბიძინაშვილმა**.

### **რედაქტორი:**

**ნონა ანთაძე,** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

### **რეცენზენტები:**

**ლამარა ასიეშვილი,** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კავკასიის იშვიათი და სამკურნალო მცენარეების განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ილია ფალავანდიშვილი,** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების კონსულტანტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

© როზა ბიძინაშვილი

© Roza Bidzinashvili

**ISBN 978-9941-0-6046-5**

მის წეაროებს ჩამოჰქონდა მარგალიტი და ოქრო, მის ბორცვებზე გაშლილიყო ხეხილი და ვენახი, მის ნაკადებს მიაპოძინენ დატვირთული გემები, ქალაქები შენდებოდა მის დალოცვილ მიწაზე, ჩუქურთმებით შშვენდებოდა ტაძარი და სასახლე, და ქვეფანა ერთიანი ბაზი გეგონებიდათ...! ”

### ფრიდრიხ ბოდენშტედტი

## წინათქმა

ძვირფასო მკითხველო! ჩვენს მიზანს შეადგენდა თქვენთვის მოგვეწოდებინა კრებადი ინფორმაცია ბუნებრივად მოზარდ და კულტივირებულ სხვადასხვა ჯგუფის მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობასა და მათ გამოყენებაზე.

წინამდებარე ცნობარი ტრილოგიის მესამე მონაკვეთს წარმოადგენს. პირველ ორ კრებულში განხილულია საკვები, ხილ-კენკროვანი, ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების (417 სახეობა) სამკურნალო მნიშვნელობა და გამოყენება.

მესამე მონაკვეთი მოიცავს მონაცემებს სანელებელ-არომატულ, ამ მეტად საინტერესო ჯგუფის მცენარეების შესახებ, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და კერძოდ საქართველოს მოსახლეობის მიერ უქვეცელესი დროიდან დღემდე ფართო დანიშნულებით გამოიყენება - საკვებად და სანელებლის სახით კვებით მრეწველობასა და კულინარიაში, არომათერაპიაში, პარფიუმერიასა და კოსმეტიკოლოგიაში; ამავე დროს გამოირჩევა მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებებით, იხმარება ოფიცინალურ, ტრადიციულ, ხალხურ მედიცინაში და ბევრი მათგანი მსოფლიო ფარმაკოპეაშია შესული.

განხილულია სულ 203 სახეობის მცენარე. ყურადღება გამახვილებულია მათ მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე, ყვავილობისა და ნაყოფმსხმიარობის პერიოდებზე, ბუნებრივი გავრცელებისა და კულტივირების ადგილებზე, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე, მათ სასარგებლო მნიშვნელობაზე კვებით მრეწველობასა და კულინარიაში, სამკურნალო თვისებებზე, ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებაზე.

წიგნი გამიზნულია საზოგადოების ფართო წრისათვის.

**“დაე საკვები იყვეს თქვენი წამალი, ვიდრე წამალი გახდეს  
თქვენი საკვები.”  
პიპოკრატე**

## შესავალი

სანელებელ-არომატული მცენარეები ადამიანისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ პალეოლიტის ეპოქაში პირველყოფილი ადამიანები უმ ხორცს სხვადასხვა სანელებლით აზავებდნენ. კვლიავის, ანგელოზას, ძირთეთრას თესლები იქნა ნანახი ნეოლიტის ეპოქაში. შეიცნობდა რა სანელებელ-არომატული მცენარეების თვისებებს, ადამიანი თანდათანობით აფართოებდა მათი გამოყენების სფეროს: სანელებლებს საკვების გარდა, იყენებდა წამლის, დეზინფიკატორების, კონსერვანტების სახით, კოსმეტიკური საშუალებების არომატიზაციისათვის. პირველი ცივილიზაციები უკვე ფლობდნენ ამ ჯგუფის მცენარეების გამოზრდის კულტურას.

პაპირუსებზე ნაწერ რეცეპტებში, რომლებიც მიეკუთვნება ახალ ერამდე მეორე ათასწლეულის შუა პერიოდს, მიუთითებდნენ რიგი მცენარეების (ანისულის, მდოგვის, კვლიავის, ქინძის, პიტნის, აბზინდის, დარიჩინის, ზაფრანისა და სხვ.) სანელებლად გამოყენების შესაძლებლობებზე. ზოგიერთი სანელებლის თესლია ნაპოვნი ფარაონების აკლდამებში.

ასირიის მეფე მოროდან-ბალადანმა შთამომავლებს დაუტოვა სანელებელ-არომატული მცენარეების გამოზრდის პრაქტიკული რჩევების პირველი წიგნი, რომელშიც 60-მდე მცენარეა აღწერილი.



ძველი წელთაღრიცხვით 2700 წელს ჩინეთში აღწერილი იყო დარიჩინის სასარგებლო თვისებები. ისტორიული დოკუმენტების თანახმად, ამ დროისათვის, ჩინეთის იმპერატორი ხოვანგ-ტი სანელებლებს იყენებდა როგორც კულინარიაში, ასევე სამკურნალო მიზნით.

ძველი ბერძნები იცნობდნენ სანელებლების თანამედროვე ასორტიმენტის დიდ ნაწილს. ტროპიკულ სანელებელ-არომატულ მცენარეებთან ერთად მოჰყავდათ და იყენებდნენ ადგილობრივ მცენარეებს: ანისულს, კვლიავს, დიდ კამას, ქინძს, ოხრახუშს, თავშავას, დაფნას, ბეგერნდარას, ზაფრანას, ნიორს, ხახვს. ცნობები ადგილობრივ და ტროპიკულ სანელებლებზე მოცემულია ცნობილი ექიმის პიპოკრატესა და ფილოსოფოსის თეოფრასტეს თხზულებებში. ძველი რომის მაღალი კულინარული ხელოვნება მოიცავდა ამ მცენარეების მრავალწახნაგოვან გამოყენებას, რაც ბერძნებიდან იყო ნასესხები.



სხვადასხვა ქვეყნის მაცხოვრებლები საკუთარ კულინარიას აუმჯობესებდა სანელებლების მეშვეობით, მათი საუკეთესო მცოდნე საფრანგეთის მეუე კარლოს დიდი იყო. თავის ცოდნა მან გააერთიანა თავისებურ ინსტრუქციაში, რომელიც მოიცავდა 70-მდე ბალახს, რომლებიც მონარქის ბრძანებით მის ბაღში მოჰყავდათ. ეს სია შენარჩუნდა როგორც ნაწილი ზელნაწერისა “Capitulare de Villis”, სადაც სანელებლებიდან მოხსენიებულია ულუმბო, სალბი, კვლიავი, როზმარინი, ტარხუნა, ანისული, ოხრახუმი, ნიახური, ხახვი, ცისკარა, კამა, დიდი კამა, ბეგერნდარა, შავი მდოგვი და სხვ. არაბებში სანელებლების გამოყენების ხელოვნება ადამიანის კულტურის მაჩვენებლად ითვლებოდა. სუნელების ცოდნა უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე დაშნის ფლობა და ცხენით ჯირითი.



საქართველოში ასევე უძველესი დროიდან კულინარიაში და სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენებოდა უამრავი სანელებელ-არომატული მცენარე, კერძოდ: ხახვი, ნიორი, ღანძილი, ბეგენი, პიტა, ანისული, ურცი, კამა, ქინძი, ნიახური, კვლიავი, ომბალო, ქონდარი, ულუმბო, რეპანი, მჟაუნა, ღანდური, ტარხუნა, ღოლო, პირშუშხა, წიწვატი, ვარდგაჭაჭა, ჭყიმა-მხალი, ნიახური, წიწაკა, შავი პილპილი, დარიჩინი, მიხაკი, ბროწეული, ტყემალი, ნიგოზი და სხვა მრავალი. სანელებლების ოქროს საუკუნედ მიიჩნევენ აღორძინების ეპოქას. თუმცა, შემდგომშიც ინტერესი მათ მიმართ არ დამცხრალა, პირიქით, სანელებელ-არომატული მცენარეებით გატაცება და მეცნიერული შესწავლა უფრო და უფრო ფართოვდებოდა, წარმოიქმნებოდა მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები და ცნობარები, რაც დღემდე გრძელდება.

## მოკლე ისტორიული ექსკურსი

სანელებელ - არომატული მცენარეების სასარგებლო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. ათასეული წლების მანძილზე კაცობრიობა მათ თავის ცხოვრებაში იყენებდა.

არქეოლოგთა მონაცემებით ადამიანები სანელებელ-არომატული მცენარეების გამოზრდას ჯერ კიდევ ახ.წ.-აღ.- მდე 4400 წლის წინათ აწარმოებდნენ. შორეულ წარსულში ფლობდნენ ამ ჯგუფის მცენარეების გამოზრდის კულტურას, იცოდნენ მათი სასარგებლო თვისებებიც.



პირველი ცნობები კლასიკურ სანელებლებზე აღმოსავლეთის ძეველი ცივილიზაციების – ჩინეთის, ინდოეთის, ეგვიპტის წყაროებშია მოხსენიებული და დათარიღებულია ახალ ერამდე 3000 წლის წინანდელი ისტორიული პერიოდით. ეგვიპტური პაპირუსებიდან ვგებულობთ, რომ ძველ ეგვიპტეში იცნობდნენ და იყენებდნენ სანელებლად და სამკურნალოდ მთელ რიგ მცენარეებს: კოთხუჯს, ანისულს, კვლიავს, მდოგვს, პიტნას, ზაფრანას, რეპანს, ლავანდას, კოჭას, დარიჩინს, აბზინდას და სხვ.; ფლობდნენ კერძებში მათი გამოყენების ხერხებსაც. ეგვიპტის ფარაონების აკლდამებში ნანახია სხვადასხვა სანელებლის თესლები, კედლებზე კი გამოხატულია მათი გამოსახულებები.

ჩინეთში აღმოჩენილია ახალ ერამდე 2700 წლის დროინდელი ისტორიული დოკუმენტები დარიჩინის, მიხაკის, ბადიანის სასარგებლო თვისებების აღწერითა და მათი სანელებლად გამოყენების შესახებ.

სანელებლები ძველი ცივილიზაციებისათვის უმდიდრეს განძს და კეთილდღეობისა და სიძლიერის საზომს წარმოადგენდა. ახალი მიწების ძიებაში, სადაც ეს ეგზოტური მცენარეები იზრდებოდა, წარმოებდა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობები და დაპყრობითი ლაშქრობები, მოგვიანებით კი კოლონიური ომები.

ისტორიულად სანელებლები და სუნელები ევროპაში მოხვდნენ აღმოსავლეთიდან. უკანასკნელ დრომდე სანელებელი მცენარეების მსოფლიო საბითუმო ვაჭრობის 90% სწორედ აღმოსავლურ სანელებლებზე მოდიოდა. აღმოსავლეთი იყო და რჩება მათი მოშენების მთავარ ცენტრად. სწორედ აღმოსავლეთში ჩაეყარა საფუძველი სანელებლების სამრეწველო წარმოებასა და მსოფლიო ვაჭრობას. სანელებლების მიმწოდებლები იყვნენ ინდოეთი, ცეილონი, სამხრეთ აზია, მცირე აზია, შუა აღმოსავლეთი, აფრიკა და ხმელთაშუაზღვეთი, მათი ფასი კი მეტად მაღალი იყო.



ანტიკურ პერიოდში სანელებლების დამზადების საიდუმლოს ძველი ბერძნები და რომაელებიც ფლობდნენ და კერძების შესაკაზმავად იყენებდნენ მსოფლიოში სადღეისოდ წარმოებულ სანელებლების უმრავლესობას (ანისული, ქინბი, თავშავა, დარიჩინი, კვლიავი, დაფნის ფოთოლი, მაიორანი, ბეგერნდარა, აგრეთვე ყველა დროის ყველაზე გამორჩეული სანელებელი ზაფრანა, ბადიანი, პილპილი და სხვ.). პიპოკრატეს თავის თხზულებებში მოჰყავს სანელებლების მრავალი დასახელება და აღნიშნავს სამედიცინო თვალსაზრისით მათ მნიშვნელობას, ხოლო პლინიუს დიდი ჩიოდა, რომ ძველ რომში ყოველწლიურად ეგზოტურ არომატულ სანელებლებზე 50 მილიონი სესტერცი იხარჯებოდა.

აღმოსავლეთის სანელებლების პირველი მსხვილი ექსპორტიორი მსოფლიო ბაზარზე ფინიკია იყო. ქალაქი ტირი წარმოადგენდა სანელებლების საერთაშორისო ბირჟას.

ახ.წ.-აღ.-მდე 332 წ. ფინიკია დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა.

ამ დროიდან აღმოსავლეთის სანელებლების მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად ალექსანდრია იქცა. შემდგომში სანელებლებით, რომლებიც ოქროზე ძვირად ფასობდა, ფართოდ ვაჭრობდნენ ძველი რომაელები. მოგვიანებით ბაზრის მონოპოლიზება მოახდინეს თურქ-სელჯუკებმა, დაიბყრეს რა მცირე აზია.

კოლუმბის ცნობილმა მოგზაურობამ, გზა გაუხსნა ევროპაში კლასიკურ სანელებლებს (შავი პილპილი, დარიჩინი, კოჭა, კურკუმა, ვანილი, ჩილი, მიხაკი და სხვ.); ხოლო ვასკო დე გამას მიერ გაჭრილმა საზღვაო გზაშ ინდოეთიდან ევროპაში, არაბების მიერ ევროპაში სანელებლებით ვაჭრობის მონოპოლიას საფუძველი გამოაცალა.

ევროპაში, შუა საუკუნეებში, მოთხოვნილება სანელებელ-არომატული მცენარეებისა და სუნელების მიმართ მეტად მაღალი იყო. მათ უმატებდნენ იმ დროისათვის ცნობილ სასმელებს, ლვინოს, ლუდს, ბურახს, თაფლის სასმელს, კაზმავდნენ კერძებს. შუა საუკუნეებში სანელებლებით ვაჭრობდნენ ვენეციაში სპეციალიზირებულ მაღაზიაში, სადაც წარმოდგენილი იყო ამ საქონლის თითქმის მთელი თანამედროვე ასორტიმენტი.

საქართველოში და მის მიმდებარე რეგიონებში აღმოსავლეთის კლასიკური სანელებლები შედარებით მოგვიანებით ჩნდება; ხოლო აქ მოზარდი და დანერგილი სანელებელ – არომატული მცენარეები: პიტნა, დაფნის ფოთოლი, ნიორი, ხახვი, პრასა, ქინძი, პირშუშხა, დიყი, კვლიავი, ბეგერნდარა, კრახანა და ა.შ. უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. აღნიშნულ ქვეყნებში XVI-XVII საუკუნეებში ვაჭრების მეშვეობით ვრცელდება ცნობილი აღმოსავლური ტროპიკული და სუბტროპიკული სანელებლები: კარდამონი, კოჭა, შირბაზტი, შავი და არომატული პილპილი, მიხაკი, დარიჩინი, ზაფრანა, ბადიანი, კურკუმა და სხვ., რითიც საფუძველი ჩაეყარა მათ ფართოდ გამოყენებას.

ამჟამად, მსოფლიო ბაზარზე სანელებლების წარმოებით და ექსპორტით შეძლები ქვეყნები ლიდერობს:

ინდოეთი – მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორია. ყოველწლიურად აწარმოებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის 1000 ათას ტონას, საექსპორტოდ გააქვს 500 ათასი ტონა (მოგვანილია 2012 წლის მონაცემები).

წარმოების მოცულობით და ექსპორტით მეორე პოზიციაზეა ბანგლადეში, აწარმოებს 140 ათას ტონას, საექსპორტოდ გააქვთ - 50 000 ტონა. აღსანიშნავია, რომ ბანგლადეშის საქონელი გამოირჩევა მაღალი დონის ხარისხით და არ ჩამოუვარდება ინდოეთისას, მსოფლიო ბაზრის ბირჟაზე მაღალ კოტირებულია. მესამე ადგილზეა თურქეთი, აწარმოებს 80-90 000 ტონას.

შემდგომ ჩინეთია – 86 000 ტონას, ამასთან ფასთან და ხარისხთან შედარებით, ერთ-ერთი საუკეთესოა.

პაკისტანს მსოფლიო მწარმოებელთა სიაში მეხუთე ადგილი უკავია, აწარმოებს 45 000 ტონას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე კოლუმბია (19800 ტ.), ნეპალი (17400 ტ.), ირანი (13200 ტ.), ბურკინა-ფასო (6700 ტ.), ნიგერია (5100 ტ.) და ა.შ.

მსოფლიოში სანელებლების ყველაზე ფართო მომხმარებელია: აშშ, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი.

სანელებლების უმსხვილესი მსოფლიო ოპერატორია სინგაპური. აქ განლაგებულია ამ საქონლის მწარმოებელთა სიმძლავრით უდიდესი, ყველაზე მსხვილი კომპანიები. მცენარეული ნედლეულის დიდი რაოდენობა მათ მიეწოდება ტაილანდიდან, შრი-ლანკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებიდან; აქვე წარმოებს ნედლეულის გადამუშავება, დაფასოება და მზა სანელებლების მთელ მსოფლიოში გადანაწილება.

რაც შეეხება ბაზრის მოცულობას, გამოხატულს ფასებში, 2012 წელს მსოფლიოში - 670 მილიონი დოლარი შეადგინა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბაზრის ზრდის ტემპი შეაღეცნდა 4 - 6% წელიწადში, რაც 2006-2008 წლებთან შედარებით დაბალია, როდესაც ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად 10-15%-ით განისაზღვრებოდა.

იზრდება საქონლის საცალო ფასები, თუმცა უფრო მოკრძალებული ტემპით – 2-3% წელიწადში. საცალო ვაჭრობის სექტორში მკვეთრად აღინიშნება მომხმარებლთა ორიენტაციის შეცვლის დინამიკა უფრო ძვირფასი და ხარისხიანი საქონლის მიმართ.

მიაქციეს რა აღნიშნულ ტენდენციას ყურადღება მსხვილმა საერთაშორისო კორპორაციებმა, როგორიცაა Vegeta, Knorr,

უფრო მაღალხარისხიანი საქონლის გამოშვება დაიწყეს.

სანელებლების მსოფლიო ბაზარზე კიდევ ერთი ტენდენცია - საქონლის ასორტიმენტის ზრდა აღინიშნება. საქონლის ახალი სახეობები ჩნდება როგორც მსხვილ, ასევე საშუალო მწარმოებელთა ასორტიმენტში. ეს ტენდენცია გამოკვეთილად შეიძნევა როგორც მსოფლიო, ასევე სხვადასხვა ქვეყნის საცალო ბაზრებზე.

ამჟამად, ისევე როგორც სანელებლების მთელი ისტორიის მანძილზე, მსოფლიოში უმთავრესი სანელებელი პილპილია (პაპრიკა, ჩილი, კაიენის პილპილი, თეთრი პილპილი, სურნელოვანი პილპილი, შავი პილპილი). მის ფასს ბაზრის მოცულობა განსაზღვრავს, მაგ.: ერთი ტონა შავი პილპილის ფასი მერყეობს 1650 დოლარიდან 1900 დოლარამდე; სხვა კლასიკური სანელებლების ფასი ტონაზე 1000-დან 3000 დოლარს შეადგენს. კლასიკურ სანელებლებს შორის ყველაზე ძვირფასად მიიჩნევა ზაფრანა, კარდამონი და ნატურალური ვანილი. ხოლო ზოგიერთ ეგზოტურ სანელებელზე ფასმა მხოლოდ 100 გრამზე შეიძლება რამდენიმე ათას დოლარს გადაჭარბოს. აღსანიშნავია, რომ ამ ციფრმა რეკორდულ მაჩვენებელს 1979 წელს მიაღწია, როდესაც ჩინეთის მთიან რაიონში ველურად მოზარდი უენშენის ფესურის 100 გრამში იხდიდნენ 70000 დოლარს. მსოფლიო ბაზარზე ამ სანელებლის მიწოდება 4 კგ-ს არ აღემატება (<http://schkolazhizni.ru/archive/>; <http://lady.mail.ru/product/>; <http://ru.wikipedia.org/wiki>.

16 ნოემბერს ყოველწლიურად აღინიშნება სანელებლების საერთაშორისო დღე.

## სანელებელ-არომატული მცენარეები და მათი მნიშვნელობა

რაშია მიზეზი იმ დიდი ინტერესისა, რაც ამ მცენარეების მიმართაა განპირობებული?

ლათინური სიტყვა “specio” ნიშნავს - “რაღაცა, რომელიც იმსახურებს პატივისცემას”. მათი მნიშვნელობის შეფასება მეტად რთულია, უძველესი დროიდან წარმოადგენდა საკეტის შემადგენლენ ნაწილს, წამალს და თვით თაყვანისცემის საგანს, რის გამოც ოქროთი ფასობდა. სანელებლები ამრავალფეროვნებენ საკეტს, აძლევენ რა სხვადასხვა თანაფარდობით არომატულ და გემოვნებით ჰარმონიას.

სანელებლებს იმ მცენარეებს უწოდებენ, რომელთა ორგანოები (ფესურა, ფესვები, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფები) შეიცავს არომატულ ან მწვავე გემოვნების ნივთიერებებს.

მათი სასარგებლო თვისებები განისაზღვრება რთული ქიმიური შემადგენლობით. სანელებელ და არომატულ მცენარეებში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი რაოდენობის ვიტამინები, მინერალური მარილები, გუმები, ფისები, ორგანული მეტავები, ფიტონციდები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. მათში შემავალი ეთერზეთები, გლიკოზიდები, მატონიზირებელი და გემოვნებითი ნივთიერებები აუმჯობესებს პროდუქტების კულინარულ ხარისხს, ცვლის მათ კონსისტენციას, ხდის უფრო ნაზს, აღავზნებს ყნოსვის, გემოვნებისა და საკებბმომნელებელი ორგანოების მოქმედებას, იწვევს მაღას, აძლიერებს საკეტი ელემენტების შეთვისების უნარს, დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლილებებზე, ნერვულ და გულსისხლ-ძარღვთა სისტემის მოქმედებაზე და ა.შ.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ სანელებელ-არომატული მცენარეები ხასიათდება საკონსერვო, ანტისეპტიკური, ბაქტერიციდული და სამკურნალო მნიშვნელობით.

ძლიერი ბაქტერიციდული თვისებებიდან გამომდინარე სანელებლები – საუკეთესო კონსერვანტებია, მაგ.: ტეგანი ან კატაპიტა ანადგურებს 30-მდე სახეობის ობის სოკოს. ბადიანი არა მარტო აუმჯობესებს ალუბლის მურაბის გემოს, არამედ ხელს უშლის მის დაშაქვრას და ა.შ.

სანელებლები უძველესი დროიდან გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ბევრი მათგანი ჩართულია თანამედროვე ფარმაკოპეაში. ამ ჯგუფის მცენარეებიდან გამოყოფილია ციტრალი, ანეთოლი, მენთოლი, ლინალოლო და სხვა მრავალი ნივთიერებები, რომლებიც სხვადასხვა პრეპარატის შემადგენლობაში აღინიშნება. მაგ.: ციტრალიდან, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ქინბი და აბზინდა, ახდენენ A ვიტამინის სინთეზირებას, ვიტამინ C-ს სიჭარე ლიმონის ავშანში შეადგენს 410 მგ%, რაც 30-ჯერ აჭარბებს მის შემცველობას ნედლ ვაშლში.

მოთხოვნილება სანელებელ-არომატული მცენარეების მიმართ ძლიერდება. წარმოადგენს რა აუცილებელ და მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოების სხვადასხვა დარგში, უმთავრესად კი ავებით მრეწველობაში.

ამჟამად ცნობილია ფართოდ გამოყენებულ სანელებელ-არომატული მცენარეების 200-მდე სახეობა. მათ ყოფენ კლასიკურ სანელებლებად, რომლებსაც იყენებენ ყველა ქვეყნის ეროვნულ სამზარეულოში და ადგილობრივებად, ძირითადად იხმარება განსაზღვრულ რეგიონებში, ოლქებსა და ქვეყნებში.

## 1. კლასიკური ან ეგზოტური სანელებლები

ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების ის ნაწილებია, რომლებმაც გაიარეს ესა თუ ის გადამუშავება (ძრობა, ფერმენტაცია, წმენდა, დუღილი და ა.შ.), უძველესი დროიდანაა ცნობილი, ჰპოვა მსოფლიო გავრცელება და პრაქტიკულად იხმარება ყველა ეროვნულ სამზარეულოში.

მიეკუთვნება: საკპინაჭი (ან მყრალი ფერულა, მყრალი ფისი, ავი სული, ასმაგორკი, ხინგი, ილანი), ბალიანი (ან ვარსკვლავისებრი ანისული, ჩინური ანისული, ინდური ანისული, ციმბირული ანისული, კორაბელის ანისული), ვანილი, მიხაკი, კოჭა, კალგანი (ან გალგანი, ალპინია, კალგანის ფესვი, სააფთიაქო ფესვი), ნამდვილი კარდამონი, შავი კარდამონი, დარიზინი, კურკუმა ან ქურქუმა, ყვითელი კურკუმა, დაფნა, ჯაგზი, როზმარინი, ცედრა, ზაფრანა, ვასაბი, შირბახტი, **პილპილი:** ნამდვილი პილპილი - შავი პილპილი, თეთრი პილპილი, კუბება, გრძელი პილპილი, აფრიკული პილპილი, წითელი პილპილი ან წითელი წიწაკა

(კაპსიგუმი): ჭოტისებრი, იგივე წითელი, მწვავე, ცხარე, მექსიკური, ესპანური, თურქული, მაღდარის წიწაკა, პაპრიკა, ჩილი; კაიენის წიწაკა, იგივე ინდური, ბრაზილიური; ფრინველის წიწაკა; ხალაპენიო; ფსევდოპილპილი (ქსილოპია), იგივე ცრუ პილპილი; კუმბა ან მავრიტანული პილპილი; გვინეის პილპილი; სურნელოვანი პილპილი (ან იამაკის პილპილი ან მიხაკის, ინგლისური პილპილი, ინგლისური სანელებელი, პიმენტა); იაპონური პილპილი (ან სანტოქსილუმი); მალაგეტი ან სამოთხის მარცვალი.



## 2. ადგილობრივი სანელებლები

მათ ის სანელებლები მიეკუთვნება, რომელთა აქტიურ გამოყენებას ადგილი ჰქონდა ისტორიულად და გეოგრაფიულად განკერძოებულ ოლქებში.

ამჟამად განსხვავება ადგილობრივ და კლასიკურ სანელებლებს შორის რამდენადმე ნიველირებულია, ვინაიდან სრულყოფილია ტროპიკული სანელებლების დამუშავების ხერხები და ადგილზე მიტანა, რაც იძლევა მთელ მსოფლიოში მათი მასშტაბურად გამოყენების საშუალებას.



ადგილობრივი სანელებლები პირობითად ორ ჯვუფად იყოფა:

#### **ა. ბოსტნეული სანელებლები**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კერძებში გამოიყენება ამ მცენარეების როგორც ფესვები, ისე ფოთლები და ღეროები და

მათი რიცხვი არც თუ ისე დიდია. კერძოდ, ბოლქვოვნები და ფესურიანი მცენარეები: ხახვის სხვადასხვა სახეობები, პრასა, პრასანა, ნიორი, ღანგილი, მთის ღანგილი, ნივრის-დედა, სანელებელა. ძირხენები: ოხრახუში, ძირთეთრა, ნიახური, დიდი კამა, პირშუშხა.

### **ბ. სანელებელი ბალახები**

ბოსტნეულისაგან განსხვავებით, მეტად მრავალფეროვანი და ნაირგვარია. სანელებლად მცენარის მხოლოდ მიწისზედა ნაწილი – ბალახი გამოიყენება, ფესვები, როგორც წესი არ იხმარება. მიეკუთვნება: აუგონი, კოთხუჯი, ანისული, რეპანი, თეთრი მდოგვი, შავი მდოგვი, სარეპტის მდოგვი, ნიგვზისძირა, სამკურნალო ძიძო, თავშავა, ანგელოზა, ცისკარა, კვლიავი, უსეპი, კალუფერი, ჭყიმა-ბალახი, ნამდვილი ზირა, კოლურია, ქინძი, სალათა, წყლის წიწმატი, დედოფლის ყვავილი, ლავანდა, მაიორანი, ბარამბო, თურქული მიხაკი, ხავერდა, ღვია, ბაღის პიტნა, ტყის პიტნა, მთის პიტნა, ომბალო, ვაშლის პიტნა, აბზინდა, მამულა, ლიმონისებრი აბზინდა, საგველა აბზინდა, ტეგანი, ტარხუნა, ბეგერნდრა, კამა, ქონდარი, სოინჯი, კატაპიტნა, ურცი, უჯანგარი, ვარდყაჭაჭა, დანდური, კრაზანა, სალბი და სხვ.

სანელებელ-არომატულ მცენარეებს აჯგუფებენ გამოსაყენებელი ნაწილების მიხედვითაც. ნაყოფებიდან მიიღება შემდეგი სანელებლები: ვანილი, ანისული, ბადიანი, ქინძი, ნამდვილი კარდამონი, შავი კარდამონი, შავი და არომატული პილპილი, ბაჟარი, კერატი, მალაგეტი, პერუს პილპილი, ქუბაბა; ფოთლებიდან – როზმარინი, ლავანდი, სალბი, დაფნის ფოთოლი, კაფირ-ლამი, კიტრისუნა, ლიპია, პარაგვაული ჩაი, სალათა, ტარხუნა, წიწმატი; ყვავილებიდან – ასფურცელა, ზაფრანა (დინგი), კოკრებიდან - მიხაკი, კაპარი; ქერქიდან – დარიჩინი; ფესურებიდან – ალპინა, ვასაბი, კემპფერია, კოთხუჯი, კულმუხო, კურკუმა, შირბახტი, კალგანი, პირშუშხა; თესლებიდან – აუგონი, ანისული, მდოგვი, კამა, ბაღიანი, კვლიავი, ნამდვილი ზირა, ქინძი და სხვ.

სანელებლები იყოფა ბუნებრივ და ხელოვნურებად (ვანილინი, დარიჩინის სინთეტიკური ექსტრაქტი, დარიჩინის, ზაფრანას,

მიხაკის, ჯავზის შემცვლელი). ხელოვნური სანელებლები მზადება ფხვნილების, ემულსიების, ესენციების, ექსტრაქტების, კომპოზიციების, გრანულებისა და ა.შ. სახით.

**გამოყოფენ კომბინირებულ სანელებლებს** – ახალი არომატის მისაღებად ხშირად მიმართავენ სანელებლების კომბინაციას. ბუნებრივია, ტექნიკურად ყველა სანელებლის შერევა შესაძლებელია, მაგრამ ყველა ერთმანეთს არ მიესადაგება, არ ერწყმის, აქედან გამომდინარე სხვადასხვა ქვეფის მზარულება გამოიმუშავეს საკუთარი, განსაზღვრული კომბინაციები, რომლებიც ამა თუ იმ ისტორიული თუ გეოგრაფიული რეგიონისთვისაა დამახასიათებელი და გამოიყენება განსაზღვრულ კერძებში.

ყველაზე ცნობილი სუნელებიდან აღსანიშნავია:

- კარის ნარევი (7-12- დან 20-24 კომპონენტი).
- ინდური ნარევი (10 კომპონენტი).
- სიამის ნარევი (10 კომპონენტი)
- ჩინური ნარევი უციანმიანი (5 კომპონენტი)
- აჯიგა (5 კომპონენტი)
- უცხო სუნელი (6 კომპონენტი)
- ბოლონური ნარევი (9 კომპონენტი)
- ფრანკფურტის ნარევი (10 კომპონენტი)
- ჰამბურგული ნარევი - გარნის თაიგული (მშრალი და ნედლი სანელებლების სხვადასხვა ვარიანტები, 9 კომპონენტი).

**სანელებლების პოპულარულ ნაკრებებად მიჩნეულია:**

- რეპანის, კამის, დიდი კამის ფოთლები და ქინძის ნაყოფები.
- ტარხუნას ბალაზი, კამის ფოთლები და ნაყოფები, პიტნის ფოთლები.
- ცისკარას ფოთლები, დიდი კამას ფოთლები და ნაყოფები, ქინძის თესლები.
- პიტნის, ჭყიმა-ბალაზის, რეპანის, ტარხუნას ფოთლები.

- კამის, დიდი კამის, კარდამონის ნაყოფები და პიტნის ფოთლები.
- თავშავას ბალახი, პიტნისა და რეპანის ფოთლები.
- თავშავას ბალახი, ცისკარას ფოთლები, დიდი კამისა და კამის ნაყოფები.
- ძირთეთრას ნაყოფები, ხავერდასა და ცისკარას ფოთლები, ტარხუნას ბალახი, დიდი კამის ნაყოფები.
- ჰყიმა-ბალახისა და ცისკარას ფოთლები, ტარხუნას ბალახი, რეპანის ფოთლები, თავშავას ბალახი.
- თავშავას ბალახი, პიტნის ფოთლები, დიდი კამის და კამის ნაყოფები, ჯავზი.
- პიტნის ფოთლები, თავშავას ბალახი, სურნელოვანი პილპილი, შავი მწარე პილპილი.
- დიდი კამის, კამისა და ქინძის ნაყოფები, შავი მწარე და სურნელოვანი პილპილი.
- ბარამბოს ფოთლები, თავშავას ბალახი, პიტნის ფოთლები, ქინძისა და დიდი კამის ნაყოფები.
- მაიორანისა და თავშავას ბალახი, ანგელოზას ფესვები, პიტნის ფოთლები.
- ქონდარისა და თავშავას ბალახი, კვლიავისა და ქინძის ნაყოფები.
- ბეგქონდარისა და თავშავას ბალახი, პიტნის ფოთლები, კამის ნაყოფები.
- კამის, კვლიავისა და ქინძის ნაყოფები, დაფნის ფოთოლი.
- სოინჯისა და ქინძის ნაყოფები, ბარამბოს თესლები.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი სანელებლების ნაკრებები და კანონებული არ არის! ახდენენ პოპულარული სანელებლების ნაკრებების მოდელირებას საკუთარი გემოვნებით. სწორედ ამით განსხვავდებიან საუკეთესო დიასახლისები და შხარეულები, რომლებიც თვითონ ქმნიან პიკანტურ, სანელებელი ნაკრებების ორიგინალურ რეცეპტებს.

## **მიღებულია სანელებლების შემდეგ ჯგუფებად დაყოფა:**

- მწვავე – მწარე სანელებლები სუსტი არომატით (შავი პილპილი, მდოგვი, პირშუშა და სხვ.).
- მწვავე, მკვეთრი ძლიერი სურნელით (სურნელოვანი პილპილი, სვია, მიხაკი, კოჭა, ანგელოზა, უსუპი, კოთხუჯი, დაფნა და სხვ.).
- ძლიერი, მაგრამ არა მწვავე, მოტკბო არომატითა და სუსტი სურნელოვანი გემოთი (დარიჩინი, ჯავზი, ქინძი, მირთეთრა, ძიძო და სხვ.).
- სუსტი, ნაზი სურნელოვანი არომატით (ნამდვილი კარდამონი, შავი კარდამონი, კვლიავი, ბეგენინდარა, მაიორანი და სხვ.).
- მკვეთრი ინდივიდუალური თვისებების (პიტნა, ანისული, სალბი, დიდი კამა, კამა, ნიორი, ხახვი, ზამბაზი და სხვ.).
- სასმელების სანელებლები (მცენარეები, რომლებიც სხვადასხვა სახის სასმელების დასამზადებლად გამოიყენება: ბალის პიტნა, მაიორანი, როზმარინი, ბეგენინდარას სახეობები, კოთხუჯი, ოქროჩალა, რეპანი, ქინძი, კამა, დიდი კამა, ზამბაზი, აბზინდა, ფარსმანდუკი, კულმუხო, ანგელოზა, ლვია, ძირტკბილა, კოწახური და სხვა მრავალი).

კულინარიაში სანელებელი გამოკვეთილად ავლენს პროდუქტის საუკეთესო გემოვნებით თვისებებს, კერძს ხდის არომატულს და მადის მომცველს, აძლევს კოლორიტსა და პიკანტურობას. სანელებლები უმთავრესად გამოიყენება გემოვნებითი ელფერისა და არომატის შესაცვლელად:

- სანელებელი ცვლის კერძის საწყის გემოსა და სუნს.
- კერძს აძლევს ახალ არომატს.
- ცვლის კერძებისა და სასმელების ფერს.
- აძლიერებს პროდუქტის ბუნებრივ არომატს.
- ზრდის საჭმლის კარგ შეთვისების და კვებით ღირებულებას.
- ახდენს საკვების ვიტამინიზირებას, ვინაიდან შეიცავს ვიტამინებს და შეიძლება ითქვას კონცენტრირებული სახით.


- სანელებლით ახდენენ პროდუქტის ნეგატიური გემოვნებითი და არომატული თვისებების ნიველირებას.
- მათ იყენებენ პროდუქტის ვარგისიანობის ვალის გაზრდის მიზნით, ვინაიდან სანელებლები საუკეთესო კონსერვაციებია.
- საზოგადოებრივ კვებასა და შინაურ პირობებში სანელებლებს იყენებენ მარინადების, მწნილების, კომპოტების, ნაყენების, სიროფების, ბურახის დასამზადებლად; სხვადასხვა სახის კეტჩუპებში, ტუემლისა და პომიდორის საწებლებში, სოუსებში, ბოსტნეულ და ხორციან კონსერვებში, სალათებში, წვნიან კერძებში, გარნირებში, პაშტეტებში და ა.შ.
- უნდა ითქვას, რომ იმ კერძებს, რომელთა არომატი და გემო სუსტადა გამოსახული ან კორექტირებას საჭიროებს (ბოსტნეული, მარცვლოვნები, პარკოსნები და სხვ.), არომატისა და გემოვნების გასაუმჯობესებლად უბატებენ სანელებლებს.
- თანამედროვე კულინარიაში ღებულობები ერთი და იგივე კერძის ათეულ გემოვნებით ჰარმონიას, იმისდა მიხედვით თუ როგორი პროპორციითაა დამატებული სანელებლები.

### **სანელებლებთან მიმართებაში დასამახსოვრებელია შემდეგი:**

- სანელებელებს ინახავენ მჭიდროდ დახუფულ მხოლოდ მინის ჭურჭელში ბნელ, გრილ და მშრალ ადგილას.
- თვით ჰერმეტიულადაც დაცულ ჭურჭელშიც მათი შენახვის ვადა ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს, დაფქვილის - არა უმეტეს 9 თვისა; ყოველთვის უნდა შეიძინოთ იმდენი მშრალი ბალაზი და სანელებელი, რამდენსაც გამოიყენებთ 2-3 თვის მანძილზე. დროდადრო განთავისუფლდით სუნგამოცლილ და გაფუებული სანელებლისაგან.
- დაფქვილი სანელებელი სწრაფად კარგავს არომატს.

ჩვენს ცხოვრებაში სანელებლები არა მხოლოდ საკვების არომატიზაციისა და გემოვნებითი თვისებების

გასაუმჯობესებლად არსებობს. უძველესი დროიდანვეა ცნობილი მათი სამკურნალო მნიშვნელობაც.



“დაე საკები იყვეს თქენი წამალი, ვიღრე წამალი გახდეს თქვენი საკები” – ამბობდა პიპოკრატე. ეს იდეა გამოხატულია სხვა მრავალ უძველეს თხზულებებში - ჯანმრთელობაზე, განკურნებაზე და დღეგრძელობაზე. ერთ-ერთი მათვანია აიურვედა – ვედური მედიცინა, მეცნიერება 5 ათასზე მეტი წლის ისტორიით, რომელიც წარმატებით გამოიყენება დღესაც. აიურვედა მოიცავს აგრეთვე სწავლებას სანელებლების გამოყენებით საჭმლის დამზადების შესახებ. აიურვედას ყველაზე ცნობილი ტრაქტატების “ჩარაკა სამხიტა” და “სუშრუტა სამხიტას” დაწერის დრო უცნობია. მაგრამ ცნობილია, რომ ბოლო 1500 წლის მანძილზე უცვლელი სახით არსებობს. ამ წიგნებში მოცემულია უამრავი რეცეპტი სანელებლებით სხვადასხვა დაავადების განკურნებისა. რაც შეეხება სამკურნალო თვისებებს, სანელებლები აქაც

გამორჩეულია. მათ ერთი შესანიშნავი უნარი გააჩნია – იყვეს ხიდი ჯანმრთელობისკენ.

სანელებლების სამკურნალო გამოყენება თქვენი თეფშიდან იწყება და გრძელდება სპეციალური სამკურნალო პრეპარატების მომზადებით. ყველაზე მთავარია, რომ მათი გონივრული გამოყენება არა მხოლოდ უსაფრთხოა თქვენი ჯანმრთელობისთვის და სასარგებლოა სამედიცინო თვალსაზრისით, არამედ დიდად მოქმედებს თქვენს სულიერ მდგომარეობაზე; ფაქტურულად არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა მათ მიღებაზე.

სანელებლები ადამიანის ნერვულ სისტემაზე კეთილისმყოფელი მოქმედებიდან გამომდინარე ფართოდ გამოიყენება არომათერაპიაში.

სანელებელ-არომატულ მცენარეებს ასევე ფართოდ იყენებენ კოსმეტოლოგიასა და კოსმეტიკურ მრეწველობაში; უმატებენ კრემებს, გელს, მალამოებს, სუნამოებს, ლოსიონებს არა მხოლოდ არომატული სურნელებისათვის, არამედ ადამიანის ორგანიზმები მათი კომპონენტების სამკურნალო-პროფილაქტიკური მოქმედებიდან გამომდინარე.

კოსმეტოლოგები სანელებლების საფუძველზე ქმნიან კოსმეტიკური საშუალებების მთელ კომპლექსებს (<http://www.eda-server.ru/pryan/>; <http://travnic.ru/>; [http://medicines\\_plants.ru/catalog/](http://medicines_plants.ru/catalog/); <http://www.gippokrat.by/>; <http://knigazdorovya.com/>; <http://www.troya-aura.ru/stati/>).



## ზოგადი ინფორმაცია სანელებელ-არომატულ მცენარეებზე

ცნობარი მოიცავს ზოგად ინფორმაციას 203 სახეობის სანელებელ-არომატულ მცენარეზე, რომლებიც მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.

შეკრებილია მონაცემები ცალკეული სახეობის მორფოლოგიურ ნიშან-თვესებზე, ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდებზე, ბუნებრივი გავრცელებისა და კულტივირების ადგილებზე, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე, მათ სასარგებლო თვისებებსა და მოქმედებაზე, სამკურნალო მნიშვნელობაზე, ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებაზე.

**აბზინდა – *Artemisia absinthium* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანნი (ასტრასებრნი) - Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 1 მ-მდე სიმაღლის მცენარეა სქლად მონაცრისფრო ქეჩისებრ შებუსული. ქვედა და ვეგეტატიური ყლორტების ფოთლები გრძელყუნწიანია, მორიგეობით განლაგებული. ფოთლის ფირფიტა ორმაგ-სამაგ ფრთისებრ განკვეთილია ლანცეტა ფორმის ან მოგრძო, წაწვეტებულ ნაკვთულებად; ზედა ფოთლები შჯდომარეა. კალათები ნახევარსფერულია, წვრილი, 3-5 მმ სიგანის, წვრილ ყუნწებზეა მჭიდროდ განწყობილი გვერდით ტოტებზე, რომლებიც გრძელ საგველასებრ ყვავილებს ქმნის. კალათაში განაპირა ყვავილები მდედრობითა, გვირგვინი ძაფისებრ-მილისებრია: შუათანა ყვავილები ორსქესიანია, გვირგვინი მილისებრ-ზარისებრია, შიშველი; კალათაში ყველა ყვავილი სანაყოფეა, ყვითელი ფერის. ნაყოფი წვრილი თესლურაა. ყვ. VIII-X; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** წარმოშობის ქვეყნებად მიიჩნევენ ეკროპას, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიას. ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვის მხარეს, შუა აზიაში, ციმბირში, ჩრდ. აფრიკაში, თითქმის მთელ საქართველოში (აჭარა - გურიის გარდა), ნატურალიზებულია ჩრდილოეთ ამერიკაში.

იზრდება ზღვის სანაპირო ზოლიდან ალპურ სარტყელამდე მდელოებზე, როგორც სარეველა გზის პირებსა და საცხოვრებელი ადგილების მახლობლად.

ფართოდაა კულტივირებული სამხრეთ ევროპაში, რუსეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და აშშ-ში, სადაც წარმოებს აბზინდის ზეთის გამოხდა.

**მიშვნელობა და გამოყენება:** აბზინდის ექსტრაქტი იხმარება აბსენტის (აბზინდისა და სხვა ბალახების გამოხდილი სპირტის ნაყენი) დასამზადებლად. სწორედ ეს ინგრედიენტი ანიჭებს აბსენტს სპეციფიურ, განუმღერებელ გემოს. აბზინდა ვერმუტისა და ზოგიერთი სხვა სპირტიანი ნაყენების ძირითადი კომპონენტია. კულინარიაში ზოგჯერ გამოიყენება სურნელ-სანელებლის სახით. ბევრს მოსწონს მისი მწვავე სურნელი და გემოვნება, იყენებენ შემწვარი ხორციანი კერძების, განსაკუთრებით შემწვარი ბატის შესაკაზმავად.

მრავალი ქვეყნის მედიცინაში მცენარის ნაყენი, ნახარში, ექსტრაქტი გამოიყენება როგორც მაღის აღმგზნები და საკვების მონელების გამაუმჯობესებელი საშუალება.

სამკურნალო მიზნით იყენებენ აბზინდის ფოთლებს (Folium Absinthii), გროვდება ყვავილობამდე და ყვავილობის დასაწყისში და მოყვავილე შეფოთლილი ყლორტების წვეროებს (Herba Absinthii).

მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს სესკვიტერპენულ ლაქტონებს, მწარე გლიკოზიდებს (აბსინტინს, ანაბსინტინს, არტაბსინს და სხვებს), რომლებიც მცენარეს ანიჭებს თავისებურ მწარე გემოს, საპონინებს, ფლავონოიდებს, ფიტონციდებს, ასკორბინის მჟავას, ფისოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, კალიუმის მარილებს, არტემიზეტინს, ეთერზეთებს (0,2-0,5%), კაროტინს, ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ქარვის).

ეთერზეთების შემადგენლობაში შედის ტუიოლის სპირტი, ტუიონი, ჰინქი, კალინენი, ფელანდრენი, B-კარიოფილენი, Y-სელინენი, ბიზაბოლენი, კურკუმენი და ხამაზულენოგენი.


აბზინდის პრეპარატები იხმარება ლისპეფსიის, ჰიპოაციდური გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დაქვეითების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაგადებების, უძილობის, მაღარიის, გრიპის, ზედა სასუნთქი გზების კატარის სამკურნალოდ. მცენარის მიწისზედა ნაწილებიდან მიღებული პრეპარატი ხამაზულენი გამოიყენება ბრონქიალური ასთმის,

რევმატიზმის, ეგზემისა და რენტგენის სხივებით მიღებული დამწერობების დროს. აბზინდა შედის ნაღველმდენ, მადის გამაუმჯობესებელ, კუჭისა და მეტეორიზმის შემაცირებელი ნაკრებების შემადგენლობაში. აბზინდა შეტანილია 20-ზე მეტი ქვეყნის ფარმაკოპეაში.

გამოიყენება ჰომეოპათიაშიც. იხმარება ფართოდ და განსხვავებულად, როგორც მადის აღმგზნები, ჭიისმდენი, შემკვრელი, ამოსახველებული და ანტისპაზმური საშუალება; შინაგანად გამოიყენება გასტრიტის, კუჭის წყლულოვანი დაავადებების, დიზენტერიის, რევმატიზმის, ანემიის, სიყვითლის, სიმსუქნის, მეტეორიზმის, შაკიკის, ჰიპერტონიის, ფილტვების ტუბერკულოზის, შეშუპების, წყლულოვანი კოლიტის, ბუასილის, ჰირიდან ცუდი სუნის, ეპილეპსიის, ნევრასტენიის, ქოლერისა და ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ. გარეგანად – სისხლის დენის შემაჩერებელად, ანთების საწინააღმდეგოდ, ტკივილგამაყუჩებელ და ჭრილობების შემახორცებელ საშუალებად; საფენებისა და კომპრესის სახით იხმარება დაუეფილობის, ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, ალერგიის დროს.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ფეხმიმე ქალებისათვის; გადაჭარბებული გამოყენება იწვევს კრუნჩხევებს, კონვულსიებს, ჰალუცინაციებს.

**აჟგონი ან ინდური კვლიავი – *Carum ajowan Benth. et Hook.*  
 (=*Trachyspermum ammi* (L.) Sprague)  
 ოჯ. ქოლგოსანნი (ნიახურისებრნი) - Fam. Umbelliferae  
 (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; ფესვი მთავარღერძაა, თითისტარისებრი. ღერო სწორმდგომია, ცილინდრული, გლუვი, დატოტვილი, 40-80 სმ სიმაღლის. ფოთლები მორიგეობითა, სამშაგ-ფრთისებრ განკვეთილი წვრილ ხაზურ ნაკვთულებად. ყვავილები წვრილია, შეკრებილია რთულ ექს-რეგა სხივიან ქოლგებად, ვარიორებს თეთრიდან იისფრამდე. ნაყოფი – მოგრძო, წახნაგოვანი ორთესლურაა, არომატული სურნელით და მწვავე გემოთი. ყვ. VI-VII; ნაე. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად არ გვხვდება. სამშობლო სამხრეთ ინდოეთია (ცნობილია, რომ ინდოეთის მთიან რაიონებში არსებობს სხვა, მსგავსი სახეობები). კულტივირებულია ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთში, ავღანეთსა და ირანში. წამყვანი აღვილი ინდოეთს უკავია.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** აფრიკასა და ინდოეთში აჟგონის ნაყოფებსა და მწვანილს მწვავე გემოსა და სასიამოვნო არომატიდან გამომდინარე, კულინარიაში იყენებენ სურნელ-სანელებლად. უმატებენ თევზის, ხორცის, წვნიანების კერძებს, საღათებსა და ცივ საუზმეს, ასევე ძეხვეულსა და ცომეულს. თესლები შეიცავს 2-11% ეთერზეთებს, რომლის ძირითადი

კომპონენტია თიმოლი, მისი შემცველობა 30-40%-ს აღწევს; ეთერზეთების შემადგენლობა იმაზეა დამოკიდებული, თუ მცენარის სიმწიფის რომელ სტადიაშია მიღებული. ყვავილობის პერიოდში შეიცავს დიდი რაოდენობის n-ციმოლს, 7-ტერპინენსა და პარაფინს; მოუმწიფებელ ნაყოფებში აღინიშნება - თიმოლი, კარვაკროლი, n-ციმოლი, 7-ტერპინენი და დიპენტენი; მწიფე ნაყოფებიდან გამოყოფილი ზეთი არ შეიცავს პარაფინსა და ატერპინენს, თუმცა აღინიშნება დიდი რაოდენობის თიმოლი, n-ციმოლი, დიპენტენი, კარვაკროლი, a - ტერინენი, p-პინენი, p - ფელანდრენი და სხვ. ეთერზეთების გარდა აჟგონის ნაყოფები შეიცავს ცხიმოვან ზეთებს (20-30%), რომელშიც შედის პეტროზელინის მჟავა.

აჟგონი ხასიათდება მატონიზირებელი, ანტისეპტიკური, ანტისპაზმური, ანთებისა და სოკოების საწინააღმდეგო, ანალგეტიკური, ამოსახველებელი, ჭიისმდენი, შარლმდენი, გამაცხელებელი მოქმედებით.

ნაყოფები და ეთერზეთები იხმარება კოსმეტოლოგიაში კანის დაავადებების (გამონაყარი, ფერიმჭმელა, მუწუკი, ლეიკოდერმია, ვიტილიგო) სამკურნალოდ, სტომატოლოგიაში - პარადონტის დროს; გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სპაზმებისა და ნაწლავების სტიმულირებისათვის; დიარეიისა და მუცლის გაპერვისას ხელს უწყობს საკვების მონელებას; არის ჭიისმდენი, შარლმდენი, ანალგეტიკი - ასთმისა და ხველების დროს; აფროდიზიაკი - აუმჯობესებს პოტენციას სიმწიფის ასაკში; გამოიყენება ართრიტის, რადიკულიტის, რევმატიზმის, სახსრების ტკივილისას. პარფიუმერიაში იხმარება კბილის პასტებისა და ელექტირების დასამზადებლად, ხოლო თიმენს იყენებენ საპნის წარმოებაში. აჟგონის ნარჩენებიდან (თივა) გამოიმუშავებენ სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს.

შედის ბალზამ “სტრონგ ვედა ვედიკას” შემადგენლობაში.

**ალოიზია, ლიმონის ვერბენა, ლიპია – *Aloisia triphylla* (L.Her.)  
Britton (syn. *A. citriodora*, *Verbena triphylla*, *Lippia citriodora*,  
*L. triphylla*)**

**ოჯ. ცოცხანასებრნი - Fam. Verbenaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, 3-7 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ძლიერ არომატული ლანცეტისებრი ფოთლებით. ყვავილი წვრილია, თეთრი ან ისფერი შეფერილობის, გვირგვინი ზიგომორფულია, ხასიათდება მილით და ორტუჩა გადანალუნით. ნასკვი 4-ბუდიანია, ბუდეში თითო თესლკვირტით. ნაყოფი კურკიანაა. ყვ. VIII-IX; ნაყ. X.

თავშავას მონათესავე სახეობად ითვლება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში (არგენტინა, პარაგვაი, ბრაზილია, ურუგვაი, ჩილი და პერუ). ევროპაში ესპანელების მიერ XVII ს-ში იქნა ინტროდუცირებული.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კულინარიაში გამოიყენება ლიმონის სურნელის არომატული ფოთლები. ცნობილია “პუნშის მცენარის” სახელწოდებითაც, ვინაიდან ნორჩი ყლორტები იხმარება გამაცოცლებელი და გასახალისებელი სასმელების, ლიქიორისა და ტებილი კერძების (შერბეტი, ჯემი, ჟელე, პუდინგი, მუსი) არომატიზაციისათვის; ლიმონის არომატი წარმოაჩენს და გამოკვეთს სხვადასხვა ნაყოფის საკუთარ გემოსა და სურნელს. განსაკუთრებით კარგად შენარჩუნდება არომატი რძეში, რომლისგანაც გემრიელ ნაყქნს ამზადებენ; ნედლ, დაჭრილ ფოთლებსა და ყვავილებს სანელებლად იყენებენ

პიტნისა და ბარამბოს მსგავსად სხვადასხვა სახის კერძებში, უმატებენ ბოსტნეულ და ხილის სალათებს, თევზისა და ზღვის პროდუქტებს, ფრინველებისა და ხორციან კერძებს, მარინადებსა და სოუსებს. შშრალი ფოთლებისაგან ამზადებენ არომატულ ჩაის, ხასიათება გამაცოცხლებელი მოქმედებით და ხელს უწყობს ღვიძლის ფუნქციის აღდგენას სპირტიანი საშელების უზომო მიღების შემდგომ.

ალოიზის არომატი საკმაოდ გაჯერებული და სრულია, სწორედ ამის გამო მიენიჭა ბალაზოვანი ჩაის დედოფლის ტიტული.

მცენარე შეიცავს ეთერზეთებს, რომლის მთავარი კომპონენტებია - ციტრალი, ნეროლი და გერანიოლი. ეთერზეთები ქალის ეროტიკულ ზეთად მიიჩნევა, აცილებს ფრიგიდულობას, აახალგაზრდავებს და ასწორებს სახის კანს, აძლიერებს თავის ტკივილს, თავბრუსევევას, გულის რევას, ხელს უწყობს სწრაფ და ადგილ მშობიარობას.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება სპაზმის, ნერვული დაძაბულობის, სტრესით გამოწვეული დაავადებებისას. აწესრიგებს არტერიულ წნევას ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონიის დროს.

ავლენს აქტივობას პათოგენური სოკოების – (*Candida albicans*) მიმართ.

**უკუქმედება:** ციტრალის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე შესაძლებელია ალერგიული რეაქციები, ფიტოტოქსიკურობა.

**ალპინია, ნამდვილი გალანგა, კალგანი – *Alpinia galanga* (L.) Willd.**

**ოჯ. ჯანჯაფილისებრნი - Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 2 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, წარმოქმნის თირკმლისებრ, მოყვითალო-თეთრი შეფერილობის, ხორცოვან რიზომებს (ფესურებს). ფოთლები ხაზურ-ლანცეტურია, მრავალრიცხოვანი. ყვავილი თეთრია, წვერწითელა, შეკრებილია მკვრივ მტევნებად ღეროების წვერებზე, გამოირჩევა სასიამოვნო, რბილი, სურნელოვანი არომატით. ნაყოფი კოლოფია.

**ისტორია და ტულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდონეზიაში. კულტივირებულია ტაილანდში, ლაოსშა და მალაიზიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ინდურ და ინდონეზიის სამხარეულოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სასიამოვნო სანელებელია; ფესურა იხმარება ხორცის, თევზის, თბილი ბოსტნეულისა და ბრინჯის კერძებში; ჩინეთში – ცხელ წვინიანებსა და ლიქიორის წარმოებაში.

ფოთლები - კუჭის სამკურნალო ჩაის შემადგენლობის უმთავრესი კომპონენტია, საუკეთესო საშუალებაა კუჭის წვენის მოსამატებლად, მადის დაკარგვის, ნაწლავებში ფერმენტების უკმარისობისას და ნაღვლის წვენის გამოყოფის გამაძლიერებლად. თესლი იხმარება კუჭის აშლილობის, ძმარვის, კბილის ტკივილის, მალარიისა და ქოლერის დროს. ფესურა შეელის უმადობას, თავბრუსნევებას, იპოხონდრიას,

მენსტრუალური ციკლის დარღვევას, ზღვის ავადმყოფობას. ფხენილის სახით გამოიყენება კანწე ალერგიული გამონაერების სამკურნალოდ.

**ალუჩა — *Prunus cerasifera* Ehrh.  
ოჯ. ვარდისებრი - Fam. Rosaceae**



**მორფოლოგია:** ხე ან მსხვილი ბუჩქია 4-15 მ-მდე სიმაღლის, ორი ტიპის ყლორტებით: წაგრძელებული ვეგეტატიური და მოკლე გენერაციული. ფოთლები ოვალურია ან კვერცხისებრი, 3-10 სმ სიგრძისა და 2-4 სმ სიგანის, 0,5-2,5 სმ სიგრძის ყუნწებით. ყვავილი მარტოულია, თეთრი, გადაყვავილებისას მოვარდისფრო გვირგვინით, 2,5 სმ დიამეტრის, ბუტკო ერთია ზედა ნასკვით. ნაყოფი ხორციანი, წვნიანი - სფერული ან კვერცხისებრი კურკიანაა 1,5-3 სმ დიამეტრის, სხვადასხვა შეფერილობის: მწვანე, ვარდისფერი, წითელი, მუქი ალუბლისფერი; კურკა ელიფსურია, რბილობს არ სცილდება. ყვ. III-IV; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუჩქინივად არ გვხვდება. წარმოიშვა ველური სახეობიდან (*Prunus divaricata* Ledeb.), რომელიც გავრცელებულია კავკასიაში, მცირე და შუა აზიაში. კულტურის სამშობლო - სამხრეთ კავკასია და წინა აზიაა, მისი გაკულტურება მოხდა ახალ ერამდე დიდი წნით ადრე. მოგვიანებით მოშენდა წინაპრის ველურად მოზარდი სახეობის არეალიდან დაშორებით. დღეს მოჰყავთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე იტალიაში, საფრანგეთში, ბულგარეთში,

ალბანეთში, სერბეთში, სლოვაკიაში, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებში, ყირიმშა და მოლდოვაში. გამოყვანილია უამრავი ახალი ჯიში. ჰიბრიდულ ფორმებს შორის ფართოდ გავრცელდა ე.წ. “მირაბელი”, რომელსაც მორფოლოგიური ნიშნებით შუალედური მდგომარეობა უკავია ალუჩასა და ქლიავს შორის.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები საკვებად გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე გადამუშავებული სახით; მისგან ამზადებენ მურაბებს, ხილფაფებს, წვენებს, ღვინოს, გამაგრილებელ სასმელებს, კონსერვებს. კავკასიაში პოპულარულია საწებელი “ტყემალი” და ალუჩას ტყლაპი, რომელიც დიდხანს ინახება, გემრიელია და სასარგებლოა როგორც დიეტური პროდუქტი. მოუმწიფებელი ნაყოფები საყვარელი სანელებელია კავკასიელებისათვის, სადილებს სასიამოვნო სიმძავეს ანიჭებს. კურკის გული ცხიმზეთებითაა მდიდარი. მერქანი იხმარება სადურგლო და სახარატო საქმეში. მცენარე მეტად დეკორატიული და თაფლოვანია.

ნაყოფი შეიცავს 14 მგ%-მდე შაქრებს (ფრუქტოზას, გლუკოზას, საქაროზას), 4 მგ%-მდე მჟავებს (უმთავრესად ლიმონის, ვაშლის), 1 მგ% პექტინოვან, მთრიმლავ, აზოტოვან და მინერალურ ნივთიერებებს (კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, ფოსფორს, რკინას), ვიტამინებს A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub> და C - ს. საუკეთესო სამკურნალო - დიეტური პროდუქტია. ხასიათდება სისხლის გამწმენდი, შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო და მსუბუქი სასაქმებელი მოქმედებით. სასარგებლოა ჰიპოვიტონიზმის, გაციებისა და გრიპის, ყაბზობის, ქათმის სიბრძმავის დროს; C ვიტამინის მაღალი შემცველობის გამო იხმარება სურავანდის საწინააღმდეგოდ, ასევე ყელის ტეკილისა და ხველების დროს. რეკომენდებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს (განსაკუთრებით დაბალი მჟავიანობის გასტრიტის) და მაღის გასაუმჯობესებლად. ალუჩას წვენი კლავს წყურვილს, ეფექტურია როგორც გამაცოცხლებელი და მატონიზირებელი სასმელი. წყლით გაჯერებული წვენი, ქაფურის მცირე რაოდენობის დანამატით, მაღამოს სახით იხმარება ჭრილობების შემახორცებლად.

ფოთლებისა და ყვავილების ნაყენი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ქრონიკული კოლიტის სამკურნალოდ, ხოლო ქერქისა და ფევების ნახარში იხმარება გაციების დროს როგორც ოფლმდენი, სიცხის დამწევი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ხის დაზიანებული ქერქიდან გამოყოფილი გუმფისი ხველების საწინააღმდეგოდ იხმარება. სასარგებლოა ალუჩის კურკაც, მისგან მიიღება ნუშის ზეთის მსგავსი შემადგენლობის ეთერზეთები, შეიცავს გლიკოზიდ ამიგდალინს, რომელიც წყლისა და ფერმენტ ემულსინის მეშვეობით იშლება გლუკოზად, ბენზოინის ალლეტიდად და სენილურ მჟავად. ზეთი უმთავრესად გამოიყენება პარფიუმერიასა და საპნის წარმოებაში.

**უკუქმედება:** წყლულოვანი დაავადებები.

**ანგელოზა – *Archangelica officinalis* (Moench) Hoffm.**

(=*Angelica archangelica* L.)

**ოჯ. ქოლგოსანნი (ნიახურისებრნი) – Fam. Umbelliferae**

(*Apiaceae*)



**მორფოლოგია:** ორწლოვანი მცენარეა სასიამოვნო სურნელის.

განვითარების პირველ წელს უნიტარდება ფოთლისეული ფესვთანური როჩეტი, მეორე წელს კი წარმოიქმნება 120-250 სმ სიმაღლის, სქელი, შიშველი, ცილინდრული, შიგნიდან ღრუ ღერო, რომელიც ზედა ნაწილში დატოტვილია. ფოთლები მორიგეობითია, სამმაგფრთისებრ განკვეთილი დიდი ზომის კაერცხისებრ ორ ან სამნაკვთიან სეგმენტებად; ფესვთანური ფოთლები – დიდია, გრძელყუნწიანი, მოხაზულობით სამკუთხა; ღეროსეული – უფრო მცირეა, ღერომხვევი ვაგინით. ყვავილები – მსხვილი, თითქმის სფერული რთული ქოლგაა, 8-15 სმ დიამეტრის, 20-40 სხივით; საყვავილე ისრები ზედა ნაწილში უხვად შებუსულია. ყვავილები წვრილია, უსახური, მოყვითალო-მომწვანო შეფერილობის. ნაყოფი – ფართო ელიფსური, კაერცხისებრი ან მოგრძო-ოვალური, მომწვანო ან ჩალისფერ-ყვითელი ორთესლურა, იშლება ორნაყოფად. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილო, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, საქართველოში. სკანდინავიის ქვეყნებიდან XVI ს-ში შეტანილ იქნა ცენტრალურ ევროპაში, საიდანაც გავრცელდა სხვა რეგიონებში.

იზრდება ნოტიო ადგილებში, ტყიან ხეობებში, ბუჩქნარებში, ჭაობებში, დანესტიანებულ ნაძნარებში, ფიჭვნარ-არყნარებში, მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე. გვხვდება ტყისა და ტყე-სტეპის რაიონებში. უპირატესობას ანიჭებს ტენიან ადგილსამყოფლებს და ნაყოფიერ, სუსტმჟავე და ნეიტრალური რეაქციის ნიადაგებს. ზოგიერთ ადგილებში წარმოქმნის მნიშვნელოვან რაყებს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ანგელოზა სურნელოვანი მცენარეა, ხასიათდება მკვეთრი არომატული სურნელითა და მომწარო - მწვავე გემოთი. მცენარის ყველა ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანელებლად. მწვანე ყლორტები და ფოთლების ყუნწები იხმარება კულინარიაში და საკონდიტრო მრეწველობაში, ფესურა და ფესვები – როგორც სანელებელი ლიქიორების, სასმელების, ღვინისა და მეთამბაქოების მრეწველობაში არომატიზაციისათვის, მშრალი და დაფქვილი ფესვები ფხვნილი

სახით - კანფეტების არომატიზატორად, უმატებენ პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტორო ნაწარმს, აგრეთვე ხორციან სოუსებსა და შემწვარ ხორცს. თესლებით ახდენენ არყის, სხვადასხვა სახის სოუსების, თევზის კონსერვების არომატიზაციას. ნედლი ფესვებისა და ყლორტებისაგან ამზადებენ ცუკატებს, მურაბას, ჯემს, ხილის თათარას, ჩაის სუროგატს. პირველ წელს განვითარებულ ფოთლებს იყენებენ სასალაოედ და გარნირების სახით, აუმჯობესებს მათ გემოს და ამდიდრებს სასარგებლო ნივთიერებებით. მიწისზედა ნაწილი ფართოდ გამოიყენება მთელი რიგი ქვეყნების – ისლანდიის, ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთის, ინგლისის, საფრანგეთის, აშშ - ის კულინარიაში. მცხნარის კველა ნაწილს იყენებენ პიკანტური სოუსების დასამზადებლად.

ჩრდილოეთის ქვეყნებში საკვებად ხმარობენ ირმის რქეში მოხარშულ ყლორტებს.

გამოიყენება აგრეთვე როგორც კორიგენსი მედიცინაში (წამლების გემოს გასაუმჯობესებლად).

მნიშვნელოვანი სამკურნალო მცხნარეცაა, ფართოდ გამოიყენება მედიცინაში. ფესურები ხასიათდება შარდმდენი, ბაქტერიციდული და ამოსახველებელი მოქმედებით. ნახარშს ხმარობენ მეტეორიზმის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ჰიპოაციდური გასტრიტის, ნაღველმდენი გზების დისკინეზიის, გაციების, ბრონქიტის, ლარინგიტის, პნევმონიის დროს. ნაყენი იხმარება მადისა და კვების მოქმედების გამაუმჯობესებლად, ნაწლავების მოტორული და სეკრეტორული ფუნქციის გამაძლიერებლად. ექსტრაქტი გამოიყენება როგორც სპაზმოლიტური და სედატური საშუალება გლუვი მუსკულატურის ორგანოების სპაზმების დროს. ფესვები შედის აგრეთვე შარდმდენი და ოფლმდენი ნაკრებების შემადგენლობაში.

ანგელოზას გალენური პრეპარატები იწვევს მატონიზირებელ, ანთების საწინააღმდეგო, სპაზმოლიტურ, დიურეზულ, შარდმდენ და ოფლმდენ მოქმედებას. აუმჯობესებს გულის მოქმედებას, სხინის სპაზმებს, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

განსაკუთრებული აქტიური მოქმედებით გამოირჩევა ეთერზეთები, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისას იწვევს მსუბუქ გამაღიზიანებელ მოქმედებას, კუჭის წვენის სეკრეციის გაზრდას, სასუნთქ გზებზე ბაქტერიციდულ და სპაზმოლიტურ მოქმედებას.

ანგელოზას შემცველი ორგანული მუავები გამოირჩევა დიურეზული და შარდმდენი ეფექტით. ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ანგელოზას შემცველი ფუროკუმარინები ხასიათდება სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით.

ხალხურ მედიცინაში მცენარე შინაგანად გამოიყენებოდა როგორც შემკვრელი, მატონიზირებელი და დამამშვიდებელი, ნერვული დაუძლურების, ეპილეპსიის, ისტერიის, უძილობის, გასტრიტის, დისპეფსიის, მეტეორიზმის დროს, სასუნთქი გზების ანთებისას, აგრეთვე, როგორც ამოსახველებელი და ჭიისმდენი საშუალება; გარეგანად – ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, კბილისა და ყურის ტკივილის დროს; მოყვავილე ღეროებით მკურნალობდნენ მუცლის ტიფს, ქოლერას, ქუნთრუშასა და წითელას.

ითვლება, რომ არყისა და სპირტის ნაყენი ხსნის კუნთების ტკივილს, ეფექტურია რევმატიზმის დროსაც.

შუა საუკუნეებში იყენებდნენ გველის ნაკბენის დროს ადამიანის ორგანიზმიდან შხამის გამოსაღევნად.

**ანისულის ხე — Sassafras officinale Lees et Eberm.  
ოჯ. დაფნისებრნი - Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** ორსახლიანი ფოთოლმცვენი 15-35 მ სიმაღლის ხეა; კარჯის დიამეტრი 70-150 სმ-ია, დატოტგვილია სიმპოდიალურად; ახასიათებს სამი ფორმის ფოთლები: დაუნაკვთავი, ორმაგ და სამმაგნაკვთიანი. ყვავილი წვრილია, მოყვითალო-მწვანე, ხუთფოთოლაკიანი, უბისეულ ნახევარქოლგებად განლაგებული. ნაყოფები მოშავო-ლურჯი, 1 სმ-მდე სიგრძის კვერცხისებრი კურკაა, წარმოიქმნება ზაფხულის ბოლოს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია უმთავრესად ჩრდილო ამერიკის ატლანტისპირა შტატებში, ჩინეთის კონტინენტალურ რაიონებში და კუნძულ ტაივანზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ყველა ნაწილი ძლიერ არიმატულია. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მცენარის ქერქი და ფესვები გამოიყენება ჩაის დასამზადებლად, ხოლო ფოთლები სანელებლის სახით იხმარება სხვადასხვა კერძებში.

ანისულის ხის მთავარ კომპონენტს ეთერზეთები წარმოადგენს, რომელსაც ღებულობენ მერქნიდან, ქერქიდან და ნაყოფებიდან. ხანგრძლივი დროის მანძილზე მას იყენებდნენ საკვები პროდუქტების არომატიზაციისათვის, კოსმეტიკურ პარფიუმერიასა და საპინის წარმოებაში.

ფესვები გამოჰყოფს ტოქსიკურ ნივთიერებას - საფროლს, რომელიც მოქმედებს სხვა მცენარეებზე დამაკნინებლად. საფროლი არის სტიმულიატორი, პალუციგენი, ალმგზნები, დიდ დოზებში - აფროდიზიაკი, მცირე დოზით - ეიფორიანტი, ოფლმდენი.

ტრადიციულ მედიცინაში ამერიკელი მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა როგორც არომატული, გაციების საწინააღმდეგო და მადეზინფიცირებელი საშუალება. სადღეისოდ მისი ეთერზეთები შედის ზოგიერთი წამლის შემადგენლობაში, მაგ.: “სტროპანგინი” (ჰექსეტიდინი).

XX ს-ის ბოლოს, ეთერზეთებში უმთავრესი კომპონენტის – საფროლის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, ტოქსიკურად იქნა მიჩნეული (განიხილება როგორც პოტენციური კანცეროგენი და სუსტი ნარკოტიკი), მის გამოყენებაზე მკაცრი შეზღუდვა დაწესდა; აშშ-ში ანისულის ხის ეთერზეთების გაყიდვა კონტროლს ექვემდებარება, ვინაიდან არალეგალურ ლაბორატორიებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს MDMA – ს წარმოებისათვის.

მიუხედავად ტოქსიკურობისა და შეზღუდვისა მოთხოვნილება ანისულის ზეთისაღმი უწინდებურად მეტად მაღალია, ეთერზეთების მსოფლიო წარმოების მოცულობის მიხედვით შედის პირველ ათეულში.

**უკუჩვენება:** საფროლის პრეპარატები ტოქსიკურია დვიძლისთვის (განმეორებითი მიღება საფრთხილოა). გადაჭარბებული დოზები იწვევს პირდებინებას, შოკს, აფაზიას, სასუნთქი გზების დამბლას, რაც ლეტალურად მთავრდება.

**ანონა, არაფანის ვაშლი – *Annona muricata* L.**

**ოჯ. ანონასებრნი - Fam. Annonaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 7,5-9 მ სიმაღლის ხეა. ნორჩი ყლორტები შებუსულია. ფოთლები ფართოკვერცხისებრია, არომატული, გლუვი, პრიალა, ზედა მხარეს მუქი, ქვედაზე – ბაცი მწვანეა. ყვავილები მარტოულია, მოკლე საყვავილე ყუნწებით, იზრდება უშუალოდ ხის ტანზე ან ტოტებზე, კონუსური ფორმისაა, შედგება ორ წრედ განლაგებული მოყვითალო-კრემისფერი გვირგვინის ფურცლებისაგან. ნაყოფი წვნიანი მრავალფოთლურაა, სკიპიდარის სუნით. არაფანის ვაშლის ნაყოფები ყველაზე მსხვილია ანონასებრთა ოჯახში, თითოეული მათგანის წონა 4,5-7 კგ აღწევს, ზომით – 10-35 სმ სიგრძისა და 15 სმ სიგანისაა. მოუმწიფებელი ნაყოფის კანი მუქი მწვანეა, სიმწიფესთან ერთად ყვითლდება, დაფარულია სქელი ეკლებით; რბილობი კრემისფერ-თეთრია, მკვრივი, გარეგანად ბამბის მსგავსი. რბილობი შეიცავს შხამიან, შავი ფერის თესლებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ბერმუდისა და ბაჰამის კუნძულებზე, კარიბის აუზის ქვეექვებში, სამხრეთ მექსიკიდან პერუსა და არგენტინამდე, ზღვ. 1150 მ სიმაღლემდე. ფართოდაა კულტივირებული ამავე ქვეექვებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფის არომატული რბილობი ნედლი სახით იხმარება საკვებად, მისგან ამზადებენ

ჩაროზს, შაქრისა და ნაღების დამატებით. ნაყოფის ექსტრაქტი ფართოდ გამოიყენება ჩაის არომატიზაციისათვის. ტროპიკულ ქვეენებში გავრცელებულია ნაყოფების გამოწურვის გზით მიღებული გამაგრილებელი სასმელები, რომლებსაც შაქარსა და რძეს უმატებენ; ასევე ამზადებენ სუსტ ალკოჰოლურ სასმელებს, კოქტეილებს, ბრენდებს, ტყბილებულს. რბილობს იყენებენ ნაყინის, სიროფების, ტორტების, უელესა და მურაბების მოსამზადებლად.

მწიფე ნაყოფის წევნი ხასიათდება შარდდენი მოქმედებით, გამოიყენება თირკმელების დაავადებებისას. დაქუცმაცებული მოუმწიფებელი ნაყოფები დიზენტერიის სამკურნალოდ იხმარება. დაქუცმაცებულ ფოთლებს კანის დაავადებისას იყენებენ, ხოლო დანაყილი ოუსლების ნაყენი პირლებინების ძლიერი საშუალებაა. თესლის ზეთი მკბენარების საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

### არომატული პანდანუსი – *Pandanus odoratissimus* L. ოჯ. პანდანუსისებრნი - Fam. Pandanaceae



**მორფოლოგია:** დიდი ზომის უხვად დატოტვილი ტროპიკული მარადმწვანე ხეებია, საპაერო ფესვებით წარმოქმნის ხშირ, გაუგალ ჯუნგლებს. ფოთლები ლანცეტაა, კიდედაკბილული. ყვავილები ერთსქესიანია; მამრობითი ყვავილები 25-50 სმ სიგრძისაა, მოფენილია მრვალრიცხოვანი ეკლებით, მეტად სურნელოვანია; მდედრობითი ყვავილები მარტოულია, 5 სმ-მდე დიამეტრის. ნაყოფები ანანასის ნაყოფების მსგავსია, მისი შეფერილობა მოწიფების კვალდაკვალ იცვლება მწვანედან კაშკაშა ყვითელ, ნარინჯისფერსა და წითელ ფერამდე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აზიისა და ავსტრალიის ტროპიკულ რაიონებში. **მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ცალკეული ნაწილები გამოიყენება სანელებლად კულინარიაში, აგრეთვე სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნით. სანელებლისა და ეთერზეთების მიღების წყაროს არომატული მამრობითი ყვავილები წარმოადგენს. ხასიათდება მკვეთრი, მეტად სასიამოვნო, სუმბულის მსგავსი სურნელით, მაგრამ უფრო თაფლოვანი და მწვავეა. მისი დამათრობელი თაიგულის სრულად შეფასება შესაძლებელია მაღალი კონცენტრირებული სპირტის დამატებით. პანდანუსის ჰიდროლიტი გამოიყენება საკვების, სიროფების, ტაბილეულის და სასმელების არომატიზაციისათვის. ნაზი ფოთლები, რომლებიც გამოიჩინევა მწვავე და მწარე გემოთი, ნედლი ან მოხარშული სახით სანელებლებთან ერთად საკვებად იხმარება. ფილიპინებზე ფოთლებს ბრინჯათან ერთად ამზადებენ. ყვავილები ხასიათდება მწვავე და მწარე გემოთი, გამოიყენება როგორც აფროდიზიაკი, დამამშვიდებელი და გაღიზიანების შემამცირებელი საშუალება. ნაყოფის რბილობისაგან მიღებული წვენი რევმატიზმის სამკურნალოდ იხმარება. ფესვები ხასიათდება ანტისეპტიკური, შარდენი, ქარძენი, ოფლმდენი და შემკვრელი მოქმედებით; ფოთლებს ხმარობენ კეთრის, ათაშანგის, მუნის, შავი ყვავილის, გულისა და თავის ტვინის დაავადებებისას.

პანდანუსის ეთერზეთები გამოირჩევა ნერვების დასამშვიდებელი მოქმედებით; არის იმუნოსტიმულატორი, სისხლის მატონიზირებელი საშუალება. ხელს უწყობს წყენისა და მრისხანებისგან განთავისუფლებას, აძლიერებს საკუთარი ღირსების შეგრძნებას. მისგან ამზადებენ სუნამოებს, ლოსიონებს, დასაზელ ზეთებს. შინაგანად არ მიიღება.

**ასფურცელა – *Tanacetum vulgare* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანი (ასტრასებრნი) - Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 80-120 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძოკვერცხისებრი, ფრთისებრგან კვეთილი, დასრუსვისას ძლიერ სურნელოვანი. ყვავილი ყვითელია, წვრილი, მილისებრი, შეკრებილია კალათებად, რომლებიც ღეროს ზედა ნაწილში წარმოქმნის ხშირ ფარისებრ ყვავილებს. ნაყოფი წვრილი თესლურაა, ბაცი ჩალისფერი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის მთელ ტერიტორიაზე, თურქეთში, კავკასიაში (კერძოდ საქართველოშიც), ყაზახეთში, ყირგიზეთში, მონღოლეთში, ჩინეთ-იაპონიასა და კორეაში.

იზრდება მდინარეთა ნაპირებზე, მდელოებზე, სტეპებზე, გზის პირებზე, საცხოვრებლების მახლობლად.

კულტივირებულია როგორც ეთერზეთოვანი კულტურა საფრანგეთში, ინგლისში, უნგრეთში, აშშ-ში, ყაზახეთში და რუსეთის ზოგიერთ რაიონში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელს და სამკურნალო ნედლეულს ყვავილები – კალათები წარმოადგენს, გროვდება ყვავილობის დასაწყისში, ყვავილის ყუნწის გარეშე; გამშრალი ყვავილები დაფშვნისას ქაფურის სუნს გამოსცემს, გემო მწარეა, სურნელოვანი.

ამერიკელი მკვლევარების თანახმად ასფურცელა ფართოდ გამოიყენებოდა ჩრდილოეთ ამერიკის პირველი ბინადრების მიერ როგორც არომატული საკონსერვო და სამკურნალო მცენარე. ფოთლები დარიჩინისა და ჯავშის სურნელით გამოირჩევა და მათ შემცვლელად ფართოდ იხმარება აშშ-ში, ლიქიორების სურნელის არომატიზაციისა და ხორცის კონსერვირებისათვის. ფოთლებს აქვთ აგრეთვე კოჭას სასიამოვნო გემო და იყენებენ სალათების, პუდინგებისა და კექსების არომატიზაციისათვის. მცენარის მიწისზედა ნაწილს ნედლი სახით იყენებენ ვანილის შემცვლელად სხვადასხვა სახის პურ-ფუნთუშეულის წარმოებაში.

ასფურცელას საფუძველზე მიღებული პრეპარატები შესულია ბელგიის, ფინეთისა და პორტუგალიის ფარმაკოპეებში, როგორც ანტიპელმინტური საშუალება. მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება ყვავილები - კალათები Flores Tanaceti - მადის გამაძლიერებლად, საკვებმოწელებელი სისტემის გამაუმჯობესებლად, ღვიძლისა და ნაწლავების დაავადებების, ყაბზობის, ბრონქიალური ასთმის, რევმატიზმის დროს; ამაღლებს კუჭის წვენის მუავიანობას, ხასიათდება ჭიისმდენი მოქმედებით.

რუსეთისა და სხვა ქვეყნების ხალხურ მედიცინაში ფოთლებსა და ყვავილებს იყენებდნენ ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, ანგიოკოლიტის, ენტეროკოლიტის, ანაციდური გასტრიტის, ლამბლიოზის, კუჭის წყლულის, ღიხენტერის, შეტეორიზმის, შაკიკის, მენსტრუალური ციკლის რეგულირების, ეპილეპსიის, ისტერიის, მალარიის, სიყვითლის, კუჭის სპაზმის, პიელონეფრიტის, შარდკენჭოვანი დაავადებების, ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** მცენარის ტოქსიკურობიდან გამომდინარე, გამოიყენებისას სიფრთხილის დაცვა საჭირო.

**ბადიანი ან ვარსკვლავისებრი ანისი**  
***Illicium verum* Hook.**  
**ოჯ. ლიმონურასებრნი - Fam. Schisandraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე მცირე ზომის (6-10 მ-მდე სიმაღლის) ხეა; ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი, შიშველი, პრიალა, მოგრძო-ელიფსური, მახვილი წვერით, კიდემთლიანი, მოფენილია წერტილოვანი, ეთერზეთების შემცველი ჯირკვლებით. ყვავილები მარტოულია, მოყვითალო-თეთრი, თავისუფალი გვირგვინის ფურცლებით, განლაგებულია რამდენიმე რიგად. შშრალი ნაყოფი ვარსკვლავისებრი ფორმისაა, მუქი მურა, კრებადი, ჩვეულებრივ შედგება 8 ერთოესლიანი ფოთლურისაგან, განწყობილია მოკლე ღერძება რადიალურად; სიმწიფისას ფოთლურები იხსნება, რომლებშიც თითო პრიალა მურა-ყვითელი თესლი ზის. ხასიათდება ანისულის მსგავსი არომატითა და სასიამოგნო გემოთი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა; ბუნებრივგად იზრდება მხოლოდ ჩინეთსა და იაპონიაში. კულტივირებულია ვიეტნამში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, კაბინჯაში, ინდოეთში, სამხრეთ კორეაში, იამაიკასა და ფილიპინებზე. ევროპულ ქვეყნებში მის შესახებ შეიტყვეს XVI ს-ში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კლასიკური სურნელოვან-სანელებელი მცენარეა. სამკურნალო მიზნებისათვის გამოიყენება თესლები და ფესვები. აგროვებენ მოუმწიფებელ ნაყოფებს და აშრობენ მზეზე, რის შემდეგაც მოწითალო-ყავისფერ შეფერილობას იღებს. თესლები შეიცავს ეთერზეთებს,

ცხიმზეთებს, შაქარს, მთრიმლავ ნივთიერებებს, მინერალურ მარილებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ფისებს, გუმფისს, ტანინებს, ტერპენებს, ვაშლისა და სხვა ორგანულ მჟავებს.

ხასიათდება ანტისპაზმური მოქმედებით, აუმჯობესებს კუჭის მოქმედებას და ხელს უწყობს გაზების გამოყოფას.

უცხოურ ფარმაკოპეებში ბადიანის ანუ გარსკვლავისებრი ანისულის ზეთი მინიშნებულია ჩვეულებრივი ანისულის (*Anisum vulgare* Gaertn.) ზეთის თანაბრად. უფრო მეტად ნაკრებების შემაღენლობაში შედის. ხასიათდება ამოსაზველებელი და შარდმდენი მოქმედებით, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას.

ხალხურ მედიცინაში თესლების ნახარში (1:10 მოცულობით) მიიღება მუცლის ტკიფილების, ციების, კრუნჩხვების, ეპილეპსიის, შავი ჭირის, მალარიის საწინააღმდეგოდ და როგორც ჭიისმდენი საშუალება.

**ბაის ხე ან მიხაკის წიწაკა, მტევნისებრი პიმენტა, ამერიკული დაფნა**

**Pimenta racemosa (Mill.) I. W. Moore**

**ოფ. მირტისებრი - Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 11-12 მ სიმაღლის ხეა, წერილი ტანითა და მოთეთრო ქერქით. ფოთლები მოგრძო

კვერცხისებრია, ტყავისებრი, მუქი მწვანე. ყვავილობს პატარა თეთრი ყვავილებით (1 სმ-მდე); ნაყოფი შავია, ოვალური, 7-12 მმ ზომის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო კარიბის ზღვის კუნძულებია; იზრდება ცენტრალურ ამერიკაში, კამერუნზე, აღმოსავლეთ აფრიკაში, ოკეანეთში, ინდოეთსა და სხვა ტროპიკულ ქვეყნებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლებიდან და ნაყოფებიდან მიიღება ეთერზეთები, რომლებიც ხასიათდება მოტკბოსურნელოვანი, მიხაკის მსგავსი არომატით. იყენებენ სანელებლად ნაირგვარ კერძებში და ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების არომატიზატორად.

ფოთლებიდან მიღებული ეთერზეთები ფარმაცევტიაში ცნობილია Oleum Bay ან Oleum Myrciae სახელით. მის ძირითად კომპონენტს ევგენოლი წარმოადგენს. სურნელოვანი არომატისაა, მიხაკის სურნელის.


ხასიათდება გამაუმტკივნებელი, ანტიკონვულსიური, რევმატიზმის საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, შემკვრელი, არტერიული წნევის ამწევი, ამოსახველებელი და მასტიმულირებელი მოქმედებით.

ფართოდ გამოიყენება გადაღლილობისა და დეპრესიების დროს. სასიკეთოდ მოქმედებს თმებზე, აცილებს თმის ცვენას, გამელოტებას, ხელს უწყობს კანის რეგენერაციას, თმის ზრდის ზონის ქსოვილების მეტაბოლიზმს, აღადგენს თმის ფოლიკულს, ამაგრებს და ასქელებს თმას; ეფექტურია კანის ღრმა დაზიანებებისას, როგორიცაა სოკოვანი და ბაქტერიული; შეელის სასუნთქი ორგანოების ანთებას, რის გამოც გამოიყენება გაციებისა და გრიპის დროს, ართორიტებისა და რეემატიზმით დაავადებისას, იწვევს გამაუმტკივნებელ, სახსრების ქსოვილებზე ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. ეფექტურია პერპესისა და ანემის შემთხვევაში; ასტიმულირებს საკვების მონელების პროცესს, აცილებს მეტეორიზმს.

დასავლეთ ინდოეთში ნაყოფები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც სანელებელი, ხოლო ფოთლებისაგან ამზადებდნენ თმის ბალზამს.

**ბარამბო – *Melissa officinalis* L.**

**ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, ბალახოვანი 30-120 სმ სიმაღლის მცენარეა, მოკლე, გაფანტული, რბილი ბეწვით მოფენილი. ფოთლები მთლიანია, კვერცხისებრი, ყუნწიანი, გულისებრი ან მოკლე სოლისებრი ფუძით, კიდეზე მრგვალ-ხერხებილა, ჩვეულებრივ ზედა მხრიდან ან ორივე მხარეს ჯირკვლოვანი ბეწვით და წერტილოვანი ჯირკვლებით მოფენილი, ზოგჯერ თითქმის შიშველი. ყვავილები შეკრებილია ზედა ფოთლების იღლიებში 3-5 ყვავილიან ჩხროებად; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ბალახოვანი; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მოგარდისფრო, ჯამის ფოთოლაკებზე 1,5-2-ჯერ გრძელი. ნაყოფი ყვაისფერი, 1,5-2 მმ სიგრძის კაკლუჭაა. ყვ. VII-X; ნაყ. VIII-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ევროპაა. ბუნებრივად გავრცელებულია შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთში, მცირე აზიაში, ირანსა და საქართველოში. აზრდება ტყეებში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში, ბაღებსა და რუდერალურ ადგილებში, მთის ქვედა, იშვიათად შუა სარტყელში.

კულტივირებულია ჩრდილო ამერიკაში, უკრაინაში, აზიაში, კავკასიაში, როგორც სანელებელ-ბოსტნეული მცენარე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ და სამკურნალო ნედლეულს მცენარის მიწისზედა ნაწილი (ბალახი) წარმოადგენს. ხასიათდება მძაფრი, ლიმონის სურნელითა და არომატით.

სურნელოვანი სანელებლის სახით გამოიყენება ფოთლები და ბალაზი (შევროვილი ყვავილობამდე ან ყვავილობის დასაწყისში); ნედლი ან შპრალი სახით უმატებენ სალათებს, წვნიანებს, ყველა სახის ბოსტნეულის გარნირს, ფრინველისა და ოვკზეულის კერძებს. ბარამბოსგან ამზადებენ მატონიზირებულ და გამაგრილებულ სასმელებს პიტნასთან, რეკანდთან და სხვა კომპონენტებთან ერთად. მას უმატებენ ბოსტნეულის კონსერვებს; იყვნებენ ჩაისა და მმრის არომატიზაციისათვის.

ძირითადი მოქმედი ნივთიერებები – ეთერზეთებია (0,06-1%), მათ შორის ციტრალი (62%), გერანიოლი, ლინალოლო, ნერალი, კარიოფილენი – იწვევს მიკრობების, ვირუსებისა და ანთების საწინააღმდეგო აქტივობას. ბარამბოს აქტიური კომპონენტები აუჯვობესებს საკვების მონელების პროცესებს, იწვევს რბილ ნალველმდენ ეფექტს, ხელს უწყობს ნაწლავების საპროფიტული ფლორის აღდგენას და საკვებმომნელებელი ფერმენტების გამოყოფას. ნერვულ სისტემაზე ეთერზეთებთან ერთად კეთილმყოფელ მოქმედებას ახდენს ვიტამინები (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C) და მიკროელემენტების კომპლექსი, კალიუმის ჩათვლით. ეს უკანასკნელი გერანიოლთან, ფენოლკარბონულ მჟავებთან ერთად უზრუნველყოფს ქრონოტროპულ მოქმედებას, ხელს უწყობს გულის მოქმედებისა და სისხლძარღვების ტონუსის ნორმალიზებას. ბარამბოს პრეპარატები ამჟღავნებს გამოკვეთილ უკუპიპოქსიკურ ეფექტს, რაც თავის მხრივ საფუძველია კარდიო, ნეირო, ნეფრო და იმუნოპროტექტორული თვისებების. ახდენს დისმენორეის მსუბუქი ფორმების, ფეხბმბიმე ქალებში ტოქსიკოზის გამოვლენების, კლიმაქტურიული აშლილობის, მამაკაცებში სასქესო ჯირკვლების ფუნქციის ნორმალიზებას.

ხასიათდება სედატური, ანტიპიპერტენზიური, არითმიის, კრუნჩევის, გულისრევის საწინააღმდეგო, სპაზმოლიტური ეფექტით. ბარამბოს პრეპარატების სამედიცინო გამოყენების ძირითადი მაჩვენებლებია: ნევროზები, პიპერტენზიური ტიპის ნეიროცირკულატორული დისტრინა, არტერიული პიპერტენზიის მსუბუქი ფორმა, ტახიარითმია, მეტეორიზმი, კუჭ-ნაწლავის მწვავე და ქრონიკული დაავადებები, დისკინეზია, დისბაქტერიოზი, ფერმენტოპათია, მენსტრუალური ციკლის

დარღვევა, კლიმაქტურიული აშლილობა, ტოქსიკოზები ფეხმძიმობის პერიოდში, იმუნოდეფიციტური მდგომარეობა.

### ბატატი, ტებილი კარტოფილი — *Ipomoea batatas* (L.) Lam.

ოჯ. ხვართქლასებრნი — Fam. Convolvulaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ფესვთანური ტუბერებით. ღერო შოთავია 1-5 მ სიგრძის. ფოთლები მთლიანია ან დანაკვთული, ყუნწიანი. ფავაილები (1-4) ფოთლების იღლიერებული ვითარდება, გვირგვინი ძაბრისებრია, 3,5-4,5 სმ დამეტრის, მოვარდისფრო-იისფერი ან თეთრი. ნაყოფი სფერული მშრალი კოლოფია 1-4 თესლით. ერთი ფესტუბერის წონა მერყეობს 200-500 გ-დან 5-7 კგ-მდე. ვე. V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ცენტრალური ამერიკა. ველურად არ გვხვდება, ვარაუდობენ, რომ კულტურული ბატატი წარმოიქმნა ველური, საკვებად უვარგისი სახეობისგან - *Ipomoea trifida* (H.B.K.) G.Don. მექსიკისა და პერუს ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, მოპყავდათ 5000 წლით ადრე ახალ ერამდე. ევროპაში კარტოფილზე ადრე იქნა შეტანილი, რუსეთში XIX ს-ის ბოლოდანაა ცნობილი. სადღეისოდ ამრავლებენ მსოფლიოს 108 - უმთავრესად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. მხოლოდ ჩინეთში დათმობილი აქვს 12 მილიონი ჰა ფართობი. საცდელი ნათესები არსებობს სამხრეთ კავკასიაშიც.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ადამიანებისა და ცხოველების საკეები კულტურაა. მოხარშული და შემწვარი ტუბერი გემოვნებით და არომატით არ ჩამოუვარდება ხილს. მისგან აშშადებენ ხილფაფას, პიურეს, ფქვილს, სახამებელს, ლუდს, სპირტს.

ტუბერი შეიცავს 69,6 მგ% წყალს, 1,53 მგ% ცილებს, 0,17 მგ% ცხიმებს, 23,8 მგ% ნახშირწყლებს, 10-30 მგ% სახამებელს, 4,1 მგ% უჯრედისს, ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>4</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, C, E, K), 6 მგ% შაქრებს, მაკროელემნტებს (K, Ca, Mg, Na, P), მიკროელემნტებს (Fe, Mn, Cu, Ce, Zn).

ჩინეთში მას უწოდებენ ხანგრძლივი სიცოცხლის ნაყოფს და ოვლიან, რომ ხასიათდება კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებით, ამაღლებს სისხლძარღვების ელასტიურობას, ასტიმულირებს ღვიძლს და თირგელებს, სასარგებლოა გრიპის დროს და არის საერთო გამაჯანსაღებელი და ვიტამინიზირებული საშუალება.

მედიცინაში რეკომენდებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების და სიმსივნური დაავადებებისას; ბლოკავს სხვადასხვა სიმსივნის განვითარებას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს იმუნიტეტს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, ხელს უწყობს რკინის აღსორბციას, ორგანიზმიდან დევნის მძიმე მეტალებს, სასარგებლოა ქრონიკული დაღლილობის, გაციების, სტრესებისა და ნევროზების, უძილობის, თვალის დაავადებების, ასევე ქალებისათვის კლიმაქტიულ პერიოდში.

**სიფრთხილის ლონისძიებები:** უკუმაჩვენებელია კუჭის სპაზმური წყლულის, წყლულოვანი კოლიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას, ასევე ორსული და მეტური ქალებისათვის.

## ბალის პიტნა — *Mentha piperita* L.

ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiatae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი, პიბრიდული გზით (*Mentha aguatica* L. x *M. spicata* L.) მიღებული მცენარეა, რის დამამტკიცებელ ფაქტსაც წარმოადგენს თითქმის სტერილური ყვავილები, ხოლო თუ იძლევა თესლებს, ისიც ძლიერ მცირე რაოდენობით და მათგან მიღებული ინდივიდები მკვეთრად განსხვავდებიან მშობლიური ფორმებისაგან და ხარისხით უახლოვდებიან საწყის ფორმებს. ფესვთანური სისტემა შედგება მიწისქვეშა ფესურისაგან, რომლის კვანძებიდანაც წარმოიქმნება მრავალრიცხოვანი, წვრილი, 40 სმ-მდე სიგრძის ფესვები. მიწისქვედა ნაწილი შედგება ერთწლიანი, ოთხწახნაგოვანი, სწორმდგომი და ძლიერ დატოტკილი ღეროებისაგან, მათი სიმაღლე 0,6-1 მ-ს აღწევს, ვითარდება გაზაფხულსა და ზაფხულში, ხმება შემთხვეობით, მუქი მწვანეა, ხშირად ანთოციანური შეფერილობის, შიშველი ან წახნაგებზე ბუსუსებით მოფენილი. ფოთლები ჯვარედინმოპირისპირეა, მარტივი, უთანაფოთლო, მოგრძო გვერცხისებრი ფორმის, წაწვეტებული, კიდე-ხერხებილა, მუქი მწვანე შეფერილობის; ფოთლის ორივე მხარეს განლაგებულია ეთერზეთოვანი ჯირკვლები; ყვავილები წვრილია, ქმნის ცრუ რგოლებს, რომლებიც თავის მხრივ საგველასებრ რთულ ყვავილედებს წარმოქმნის; ყვავილების

ნაწილი მდედრობითია, მეორე ნაწილი კი ორსქესიანი, ჯამი ფოთლებშეზრდილია, მილისებრი, მოფენილია წვრილი ჯირკვლებით; გვირგვინი მკრთალი იისფერია, ხუთნაკვთანი, ორტუჩა, თითქმის სიმეტრიული. თესლი წვრილია, მოშავო შეფერილობის. ყვ. V—IX; ნაფ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ინგლისში პიტნა XVI ს-დანაა კულტივირებული. აქ იქნა გამოვევანილი მსოფლიოში ცნობილი კულტურული პიტნის ორი ფორმა: შავი და თეთრი. შავი პიტნა (*Mentha piperita*, f. *rubescens*), რომელსაც “ინგლისურსაც” ან “მიჩამის” პიტნას უწოდებენ, გავრცელებულია ინგლისში, ბულგარეთში, უნგრეთში, უკრაინასა და საქართველოში. ხასიათდება მუქი მწვანე ფოთლებითა და მოწითალო-იისფერი შეფერილობის ღეროებით.

თეთრი პიტნა (*Mentha piperita*, f. *palescens*) წარმოიშვა აგრეთვე მიჩამში, ფართოდაა გავრცელებული საფრანგეთში და მას “ფრანგულსაც” უწოდებენ; ფოთლები და ღეროები მოთეთრო მწვანეა, ანთოციანური შეფერილობის გარეშე.

სადღეისოდ ინგლისში პიტნის კულტურა ძლიერ შეზღუდულია; მიჩამის პიტნა 1895 წ. იქნა შეტანილი უკრაინაში, ხოლო 1938 წლიდან ფართო სამრეწველო მნიშვნელობით ხასიათდება; მიღებულია ეთერზეთებისა და მენთოლის მაღალი შემცველობის ჯიშები.

კულტივირებულია უმთავრესად ინგლისში, იაპონიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, სერბეთში, ხორვატიაში, უკრაინაში, რუსეთში. საქართველოში შემოტანილია რუსეთიდან XVIII ს-ის შუა პერიოდში. მიმდინარეობს მისი კულტივირება უფრო ჩრდილოეთ რაიონებში, ბელურუსისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სანელებელ-სურნელოვანი მცენარეა. კულინარიაში გამოიყენება ნედლი და შშრალი სახით. სასიამოებო სურნელოვანი არომატისა და სპეციფიური გემოდან გამომდინარე იყენებენ ხორცის, ფრინველის, თევზეულის, ბოსტნეული კერძების შესაკაზმად, სოუსების, მარინადების, სალათების, სასმელების დასამზადებლად; მისით შეზავებული კერძები


პიკანტური გემოთი გამოიჩინა. სულ რამდენიმე ფოთლის დამატება საოცარ არომატის ანიჭებს მცენარეულ ზეთსა და ქმარს, ხოლო პიტნის ჩაის გამორჩეული არომატი და სარგებელი ძველი ღროიდანაა ცნობილი. პიტნის შემცველი კერძები ამაღლებს საერთო განწყობას.

მცენარის მიწისზედა ორგანოები შეიცავს ეთერზეთებს – სასიამოვნო გემოთი და არომატით; მის მთავარ შემადგენელ ნაწილს მენთოლი (30-70 მგ%), მენთონი და მენთაფერინი წარმოადგენს; ასევე აღინიშნება: კაროტინი, ჰესპერიდინი, ფლავონოიდები, ბეტაინი, ტრიტერპენული შენაერთები: ურჩოლისა და ოლეინის მჟავები, რამნოზა, გლუკოზა. ეთერზეთები ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობაში. მოჰყავთ უმთავრესად ეთერზეთების მისაღებად, რომელიც ხასიათდება ადგილობრივი გამაყუჩებელი, სპაზმოლიტური და ანტისეპტიკური მოქმედებით; იწვევს კორონარული სისხლძარღვების რეფლექტორულ გაფართოებას. შინაგანად მიიღება სტენოკარდიის, სასუნთქი გზების ანთებისა და ბრონქიტის დროს; როგორც ანტისეპტიკური საშუალება კუჭნაწლავის აშლილობისას; გამოიყენება ნევრალგიური დაავადებების, კბილის ტკივილის დროს.

მენთოლის ხსნარი კატაბალაზთან ერთად, ვალერიან-მენთოლის ეთერი (ვალიდოლი) იხმარება გულის მწვავე ტკივილებისას; მენთოლი შედის “ზელენინას” წვეთებისა და ვალოკარდინის შემადგენლობაშიც. მენთოლი პარაფინთან ნაერთში ფანქრების სახით იხმარება შაკიკის დროს.

პიტნის ზეთი გამოიყენება სურდოს საწინააღმდეგოდ წვეთებისა და მალამოების სახით; პიტნის წყალი მიქსტურებში — გემოვნების გამაუმჯობესებლად, ასევე პირის ღრუს გამოსავლებად; ფოთლები ნაყენის სახით იხმარება მადის გამაძლიერებლად, საჭმლის მონელების გამაუმჯობესებლად, გულის რევის საწინააღმდეგოდ. პიტნის ეთრზეთებსა და ფოთლებს იყენებენ ლიქიორების წარმოებაში, აგრეთვე იყენებენ კბილის პასტების დასმზადებლად.

**ბაღის სატაცური — Asparagus officinalis L.**  
**ოჯ. სატაცურისებრნი — Fam. Asparagaceae -**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სქელი, მოკლე, ჰიპოდომტალური ფესურით, რომელიც ხშირი, თასმისებრი ფესვებითაა მოფენილი; ღერო 50-150 სმ სიმაღლისაა, გაფარჩხულ-დატოტვილი, მწვანე. ფოთლები რედუცირებულია ოდნავ შესამჩნევ ქერქლებად, რომელთა იღლიებში კონებად (3-6) სხედან ფოთლების მსგავსი მრავალრიცხოვანი წვრილი, ნემისისებრ-ძაფისებრი კლადოდიუმები — საზეცვლილი ყლორტები. ყვავილები მოყვითალო-მწვანეა, ერთსქესიანი და ორსახლიანი, ორ-ორი ან მეტი განლაგებულია მთავარ ღეროზე ან გვერდით ტოტებზე. ყვავილსაფარი 6-ფოთოლაკიანია, მოყვანილობით ზარისებრი ან ნახევრად სფერული, მამრობითი - 5 მმ სიგრძისაა, მდედრობითი — უფრო წვრილია, ძირში ყვავილსაფრის შეზრდილი ფოთოლაკებით; ნაყოფი მოწითალო-ნარინჯისფერი, სფერული კენკრაა, რამდენიმე თესლით. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბორეალური, დასავლეთ პალეარქტიკული სახეობაა. გავრცელებულია ევრაზიაში, სამხრეთ კავკასიასა და ციმბირში. იზრდება ველებსა და დატბორილ მდელოებზე, ქვიშიან ნიადაგებზე, ღორღიან ველებზე, მეჩხერ ბუჩქნარ რაყებში, მუხნარებში, ჭალის ტყეებსა და მისი დერივატების გავრცელების არეში, ზღვისპირა ზოლსა და მთისწინებზე.

სატაცური მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ბოსტნეული კულტურაა. კულტურაში შეტანილია ხმელთაშუაზღვითის ქვეყნებში დიდი წნით ადრე ჩვენს ერამდე. პირველად მისი კულტივირება ხდებოდა როგორც სამკურნალო მცენარის. ძველ საბერძნეთში ითვლებოდა სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტას ერთ-ერთ ატრიბუტად. სატაცურის ტოტებით ხდებოდა ახლადდაქორწინებულების დაგვირგვინება. ითვლება, რომ სატაცურის მოშენება ძველ რომში დაიწყო. მის აღწერილობას ვხვდებით ცნობილი რომაული მეცნიერების (პლინიუსი და სხვ.) შრომებში. ძველი რომაულებიც განსაკუთრებით გამოყოფდნენ სატაცურის გამამხნევებელ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმებს, მის ნერვულ სისტემაზე, სევდიანი, სასოწარკვეთილი ადამიანების მხიარულ და ხალისიანად გარდაქმნაში. სატაცურის სამკურნალო თვისებებზე იმ უძველეს პერიოდში მთელ ტრაქტატებს ადგენდნენ. რომაულები იმდენად აფასებდნენ ამ მცენარეს, რომ ამულეტების სახით კისერზე ჩამოკიდებულებს დაატარებდნენ. ბევრად ადრე, ძველ ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციებამდე, სატაცური ეგვიპტეში ყოფილა გავრცელებული, რასაც მოწმობს ეგვიპტელი ფარაონების სარკოფაგებზე მისი გამოსახულება. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია სწორედ იმ დროიდან მოდის გამოთქმა “მეფის ბოსტნეული” ან შესაძლებელია XV-XVIII საუკუნიდან, როდესაც დაიწყეს მისი მოშენება საფრანგეთსა და გერმანიაში. მაშინ სატაცურის ნედლეულის ყიდვა ყველას არ შეეძლო, სიძვირის კი არა, სპეციალური ბრძანებულების გამო, ვინაიდან მისი მოსავალი მხოლოდ მეფის სუფრისთვის იყო განკუთხილი. სადღეისოდ ფართოდაა კულტივირებული დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. ყლორტების მოსავლიანობა შეადგნენ 40-100 ც/ჰა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სატაცური არა მხოლოდ დელიკატური, მეტად მნიშვნელოვანი დიეტური და სამკურნალო ბოსტნეულია. ნორჩი ყლორტებისაგან მზადდება კულინარული შედევრის ნაირგვარი რაოდენობა, წვნიანების, გარნირების, დესერტების სახით; ხასიათდება სპეციფიური, პიკანტური გემოთი; ნამდვილი გურმანი სასიამოვნო გემოვნებიდან გამომდინარე მას ნედლი სახით იყენებს. არის ნაკლებ

კალორიული, მაგრამ მეტად ნოჟიერი, გამოირჩევა მაღალი პენებითი უნარით.

საძეურნალოდ გამოიყენება ფესურა ფესვებითურთ და ნორჩი მწვენე ყლორტები (კლადოდიუმები).

ფესურა შეიცავს ასპარაგინსა და არგინინს, ჰელიიდონის მჟავას, სტერიოლულ საპონინებს, კუმარინს, ნახშირწყლებს, ეთერზეთებს კვალის სახით, კაროტინს; ყლორტებში აღმოჩენილია ასპარაგინი და უმნიშვნელო რაოდენობით კაროტინი, ასკორბინის მჟავა, ვიტამინები (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C, PP). ო. კერელის (1966) მიერ ჩატარებული გამოკვლევებით გაზაფხულზე შეგროვილი სატაცურის ნედლი ფოთლები შეიცავს (მგ %) B<sub>1</sub> - 0,046, B<sub>2</sub> - 0,017, C - 45,9, კაროტინს - 4,3.

ჩინურ მედიცინაში სატაცურის ფესვების ნახარშს შინაგანად იყენებენ როგორც შარდმდენ, მატონიზირებელ და სიცხის დამწევ საშუალებას. ასევე სისხლის მიმოცულებისა და საჭმლის მოხელების გასაუმჯობესებლად, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, დიაბეტის, ფილტვების დაავადებების, ყივანახველის, იმპოტენციის დროს; გარეგანად - საფენების სახით - ეგზემის საწინააღმდეგოდ.

საფრანგეთში სატაცურის ფესურა და ნორჩი ყლორტები იხმარება როგორც კარგი შარდმდენი საშუალება, რომელიც ამავე დროს არ არის რეკომენდებული საშარდე არხის ანთებისას, ვინაიდან შეიძლება გამოიწვიოს ეპითელიარული ქსოვილის გაღიზიანება.

რუსულ ხალხურ მედიცინაში ფესურების ნახარში გამოიყენება წყალმანკის, შარდის ბუშტის ანთების, გამნელებული შარდვის, რევმატიზმისა და ეპილეფსიის სამკურნალოდ; გარეგანად - სხვადასხვა გამონაყრების საწინააღმდეგოდ; ნაყოფების ნაყენი მიიღება იმპოტენციის შემთხვევაში. ბალახის ნახარშს იყენებენ გულის ტკივილების, თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებებისას.


ბულგარულ მედიცინაში სატაცურის ფესვები აგრეთვე გამოიყენება თირკმელებისა და შარდის ბუშტში ქვების საწინააღმდეგოდ.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა როგორც შარდმდენი საშუალება თირკმელების დაავადებებისას.

სატაცურის პრეპარატების ძირითადი მოქმედება შარდმდენია. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ასპარაგინი და სატაცურის ექსტრაქტი ვენაში შევგანისას იწვევს არტერიული წნევის დაწევას, აძლიერებს გულის მოქმედებას და ამცირებს მის რიტმს, აფაროთოებს პერიფერიულ სისხლძარღვებს, ზრდის დიურეზს და აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციას. ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება ნევროზებისა და თირკმელების დაავადებებისას. ასევე იხმარება ნიკრისის ქარის, წყალმანკისა და დიაბეტის სამკურნალოდ.

სატაცურის წვენი ეფექტური შარდმდენი საშუალებაა, განსაკუთრებით სტაფილოს წვენთან ერთად, ვინაიდან ცალკე სმის შემთხვევაში, შეიძლება ძლიერი რეაქცია მოახდინოს თირკმელებზე. სასარგებლოა რევმატიზმით, ნევროზით, სისხლნაკლებობითა და დიაბეტით დაავადებულთათვის.

**ბალის ქონდარი — *Saturea hortensis* L.  
ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვით, სწორმდგომი, დატოტვილი 15-70 სმ სიმაღლის ღეროთ. ფოთლები მოპირისპირება, ხაზური ან ხაზურ-ლანცეტია, 1,5-2,5 სმ სიგრძის, მონაცრისფრო-მომწვანო. ყვავილები რგოლურად, 3-5 ცალად ზედა ფოთლების იღლიებშია განვითარებული, ქვედა ყვავილები ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე; გვირგვინის ფურცლები ისფერია, ვარდისფერი ან თეთრი, ხახაში მეწამული ლაქებით.

მტვრიანების სამტვრეები იისფერია. ნაყოფი მშრალია, მომწიფებისას იშლება 4 დღა, ყავისფერ, სამწახნაგოვან კაკლად. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ მიიჩნევენ ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთ ოლქებსა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებს. ცნობილი იყო ძერმნებისა და რომაელებისთვისაც. IX ს-ში ბერებმა ცენტრალურ ევროპაში შეიტანეს. ველურად მოზარდი რაყების გამოყენების პარალელურად შეუა საუკუნეებში დაიწყეს მისი ხელოვნური გამრავლება. ადვილად ველურდება და ამ სახით გვხვდება მისი ბუნებრივი არეალიდან საკმაო დაცილებით. ამჟამად გავრცელებულია შავიზღვისპირეთის ქვეყნებში, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ირანში, სერბეთში, ალბანეთში, ხორვატიაში, იტალიაში. ფართოდაა კულტივირებული ესპანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში. კავკასიაში მოცვავთ მაღალმთიანეთშიც, ზღ.დ. 1600 მ სიმაღლეზე; საქართველოში ამრავლებენ საკარმილამო ნაკვეთებსა და ბოსტნებში.

საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია გვარი ქონდარის სამი სახეობა: ბზიფის ქონდარი - *Saturea bzybica* Woronow, ონჭო - *S. spicigera* (C. Kich) Boiss., ტყის ქონდარი - *S. laxiflora* C. Koch. ეთერზეთოვანი და თაფლოვანი მცენარეებია, ეთერზეთები იხმარება ლიქიორებისა და კონიაკის წარმოებაში; გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ფოთლებს კი ადგილობრივი მოსახლეობა სანელებლად იყენებს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ცნობილი არომატული, სანელებელი მცენარეა; ნედლი ფოთლები გემოვნებით მწვავე წიწაკას მოგვაგონებს; მშრალ ფოთლებს იყენებენ სალათების, მარინადების, წვნიანების, მწნილების, სოკოს, ხორცის, თევზისა და ბოსტნეული კერძების შესანელებლად, სპირტიანი სამელების არომატიზაციისთვის. სანელებელი გარდა იმისა, რომ აღაგზნებს მაღას და აუმჯობესებს საკვებმონელებას, ახდენს საკვების დეზინფექციას.

მოქმედ ნივთიერებას ეთერზეთები წარმოადგენს, ფოთლებში მათი რაოდენობა 1-1,5 მგ% აღწევს, აღინიშნება ასკორბინის მჟავა,

მთრიმლავი და ლორწოვანი ნივთიერებები, ფისი, მინერალური მარილები.

უძველესი დროიდან ითვლება სამკურნალოდ. ამ მიზნით მთელი მცენარე გამოიყენება. მის ნაცენს 1:10 კონცენტრაციით ღებულობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე ანთების დროს, განსაკუთრებით – დისპეტშის, ფალარათის, ნაწლავების ჭვლების, კუჭის ტკივილებისას.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ქონდრის სპირტიანი ნაყენი მიიღება სქესობრივი უძლურების დროს, რევმატული ანთების საწინააღმდეგოდ, მუცლის ჭიების დასაყრელად, ნერვული სისტემის გასამაგრებლად, საჭმლის მომნელებელი სისტემის გამაუმჯობესებლად; ნახარშს იყენებდნენ მუცლის ტკივილებისას, ხოლო ბუსილის დროს ურჩევდნენ ქონდრის ნახარშით დაორთქლებას.

ხაიათდება ანტივირუსული, ბაქტერიოციდული, სპაზმოლიტური, მთრიმლავი, ჰიპოტენზიური, გამოკვეთილი ტკივილგამაყუჩებელი, პარაზიტებისა და სოკოების საწინააღმდეგო მოქმედებით. სამედიცინო პრაქტიკაში რეკომენდებულია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კუჭ-ნაწლავის, თირკმელების დაავადებებისას, აგრეთვე მეტეორიზმისა და ხველების დროს.

**ბაპარი, პიმენტო, სურნელოვანი ან იამაიკის პილპილი**  
**Pimenta dioica (L.) Merr. (= P. officinalis Lindl.)**  
**ოჯ. მირტისებრი – Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** 10 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა; ფოთლები მუქი მწვანეა, ტყავისებრი, სასიამოვნო არომატის. თეთრი ყვავილები ქოლგისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი. ნაყოფი მოლურჯო-მწვანე ფერის კენკრაა; მშრალი ნაყოფები სფერულია, მურა, ნაოჭა ზედაპირით, ორი მუქი ყავისფერი თესლით. ნაყოფის რბილობი შედგება მრავალრიცხოვანი მსხვილი, ეთერზეთების შემცველი სათავსებისაგან. გემოვნებით წიწაკის მსგავსია, მწვავე, არომატით კი მიხაკს მოგვაგონებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება დასავლეთი ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში. ფართოდაა კულტივირებული ცენტრალურ ამერიკაში, იამაიკაზე, კუბაში. მას პიმენტოსაც უწოდებენ, ხოლო ნაყოფებს ხშირად მოიხსენიებენ სურნელოვანი პილპილის სახელით. არსებობს კიდევ იამაიკის – ლიმონის სურნელოვანი პილპილი (*Pimenta racemosa*), რომლითაც ხდება ლიქიორების, ყინულკარამელების, პარფუმერიისა და კოსმეტიკური საშუალებების არომატიზაცია. იამაიკა დღესაც წარმოადგენს ამ სანელებლის მთავარ ექსპორტიორს. ბაპარს ეგროპულ ქვეყნებში ღებულობები ცენტრალური ამერიკის (მექსიკა, გონდურასი და სხვ.) ქვეყნებიდანაც, მაგრამ მისი ხარისხი უფრო დაბალია. იმპორტირებული ნაყოფები ევროპასა და ამერიკაში დისტილაციას განიცდის.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ბაკარი აღმოჩენილ იქნა კოლუმბის ექსპედიციის დროს და შეტანილ იქნა ევროპაში, სადაც პოპულარული სანელებელი გახდა. რა თქმა უნდა სურნელოვანი პილპილი – ხომ უნიკალურია საოცარი სურნელით და მწვავე გემოვნებით. მასში გაერთიანებულია დარიჩინის, მუსკატის, პილპილის, მიხაკის და ღვიას ნაყოფების სურნელიც კი, საკვებს არა მარტო არომატს აძლევს, ცვლის მის გემოვნებასაც, რის გამოც საუკეთესო სანელებელია თევზის, ღორის, ცხვრისა და ძროზის ხორცის კერძებში. აგრეთვე საუკეთესო კონსერვატია, შედის მრავალი მარინადის, კეტჩუპების, ზოგიერთი სამრეწველო ძეხვის, სკანდინავიის კონსერვირებული თევზის, კონსერვების, შპროტის ჰაშტეტის, მოხარშული თევზის, ტომატიანი სოუსების, სალაკასა და ბოსტნეულის მარინადების შემადგენლობაში. კარიბის კუნძულების სამზარეულოში შედის ხორცეულისა და თევზეულის ყველა სანელებლის კომბინაციაში. მას უმატებენ საკონდიტრო ნაწარმს, ჯემის ჩათვლით; ორც ხობილა ბაკარით მეტად სასიამოვნო არომატისაა. იხმარება ალკოჰოლურ მრეწველობაშიც. შედის მწარე ლიქიორების, ინდური “Pimento dram”-ის, ფრანგულის – “ბენედიქტინი”-სა და “შარტრეზის” შემადგენლობაში. იამაიკაზე ნაყოფებიდან და ფოთლებიდან, რომთან ნაზავში, ღებულობენ მეტად ცხარე და მაგარ სასმელს. ბაკარი მაიას ტომის ინდიელების მიერ გამოიყენებოდა რიტუალური სასმელის – შოკოლადის ბალზამირებისა და არომატიზაციისათვის.

სამკურნალო ნედლეულს ნაყოფები წარმოადგენს, რომლებსაც მოუმწიფებლებს აგროვებენ და ჩრდილში აშრობენ. შეიცავს 2-5% არომატულ ეთერზეთებს, რომლის ძირითადი კომპონენტი - ევგენოლი ნაყოფებში 60-80 % შეადგენს, ფოთლებში - 96%; აღინიშნება აგრეთვე ცინეოლი, ფელანდრენი, კარიოფილინი. ფოთლებიდან მიღებული ზეთი ნაყოფებისგან განსხვავებით უფრო იაფია, არ არის ისეთი არომატული, უფრო უხეშია და შეიცავს დიდი რაოდენობის ევგენოლს. ზეთის ხარისხი დამოკიდებულია ფოთლების ტიპზე, რომელსაც იყენებენ გამოსახდელად (მარობითი და მდედრობითი მცენარეები). მდედრობითი ინდივიდების ფოთლებში – 95 % ევგენოლია,

მამრობითში კი მხოლოდ 30-40 %.

ტრადიციულად ბაჳარი გამოიყენება სამკურნალო მიზნებისთვისაც, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში სადაც იზრდება, ასევე ინგლისში. ხასიათდება მასტიმულირებელი, მატონიზირებელი, ქარმდენი, ანტიოქსიდანტური, ანტისეპტიკური და ადგილობრივ გამაღიზიანებელი მოქმედებით. ნაყოფების ჩაი შველის კუჭის აშლილობას და მეტეორიზმს.

უფრო ხშირად იყენებენ პილპილის ზეთსა და წყალს.

**უკუქმედება:** მწვავე სანელებელია, გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

### ბერგამოტი – *Citrus bergamia* Riss. et Poit.

ოჯ. ტეგანისებრნი - Fam. Rutaceae



**მორფოლოგია:** მარადმწეანე, 2-დან 10 მ-მდე სიმაღლის ხეა. ინკითარებს გრძელ ტოტებს, რომლებიც 10 სმ სიგრძის წვეტიანი ეკლებითაა დაფარული. ფოთლები ტყავისებრია, ყუნწიანი, მორიგეობითი, ელიფსური ან მოგრძო-კვერცხისებრი ფორმის, წაწვეტებული და პრიალა; ფოთლის ზედა მხარე მწვანეა, ქვედა – ღია მწვანე. ყვავილი ორსქესიანია, მსხვილი, თეთრი ან მეწამული ფერის, სასიამოვნო სურნელოვანი არომატის, მარტოული ან შეკრებილია უბისეულ რამდენიმე ყვავილიან კონებად. ნაყოფი მსხლისებრი ან სფერული ფორმისაა, სქელი სამშრიანი გარსით, რბილობი იშლება რიგ სეგმენტებად, შეიცავს მცირე რაოდენობის

თესლს, აქვს მომუავო-მწარე გემო. კვ. III-IV; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ჩინეთში ხელოენური გზით მიღებული ჰიბრიდული სახეობაა. ევროპაში მოგზაური ვაჭრების მიერ იქნა შეტანილი. მცხარე ყველაზე უკეთ იტალიის კლიმატს მოერგო, სადაც გაშენდა მისი პირველი ნარგავები. ამჟამად, მრავალრიცხოვანი ხარისხობრივი შემადგენლობის პლანტაციებია გაშენებული იტალიის სამხრეთით. წარმატებით მოპყავთ ბრაზილიაში, აშშ-ში (ჯორჯიის შტატი), არგენტინაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი არომატული ციტრუსოვანი მცხარეა, ხასიათდება სასიამოვნო მომუავო გემოვნებით.

ეთერზეთები ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, არომათერაპიაში, პარფიუმერიასა და ნატურალური კოსმეტიკის წარმოებაში. იტალიაში ნაყოფებისაგან ამზადებენ კომერციულ მარმელადს, რომელშიც ხილს ძირითად კომპონენტად იყენებენ. საბერძნეთში პოპულარულია ნაყოფის ქერქის მურაბა. საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ევროპულ სამზარეულოში. ეთერზეთებს უმატებენ დესერტებს, თევზის, ხორცის, ბოსტნეულის კერძებს, ლიქიორებსა და სპირტიან ნაყენებს. ფართოდაა გავრცელებული ბერგამოტის ჩაი “ერლ გრეი”, რომლის დილით მიღება ხელს უწყობს ენერგიით დამუხტვას და მხერიბას მთელი დღის განმავლობაში.

მკვლეარები ამტკიცებენ, რომ ბერგამოტის სურნელი ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას.

ბერგამოტის ყვავილებიდან და ნაყოფებიდან მზადდება მოქმედებით მეტად მნიშვნელოვანი ეთერზეთები, რომლის შემადგენლობაშია L-ლინალილაცეტატი (50%), ნეროლი, L-ლინალოლი, ციტრალი, ტერპინეოლი, D-ლიმონი, კამფენი, ბერგაპტოლი, a-პინენი, კარიოლილენი, ბერგაპტენი, n-ციმოლი, a-ტერპინეოლი, სესკვიტეპნული სპირტები, გერანიოლი, მეთილანტრანილატი, ფუროკუმარინები და სხვ. (სულ 300-მდე ქიმიური კომპონენტი). ხასიათდება მაღალი ანტისეპტიკური თვისებებით, რაც იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნეს კანის ინფექციური დაზიანებებისას. იხმარება როგორც ანტისოკოვანი, ანტივირუსული,

ბაქტიერიციდული, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, ხასიათდება სედატური და ანტისპაზმური მოქმედებითაც. ზეთის არომატი ამაღლებს განწყობილებას, შემოქმედებით აქტივობას, აწესრიგებს ძილს, ხსნის სტრესის სიმპტომებს, ამაგრებს იმუნურ სისტემას ჰერპესის დროს; მიიღება ბრონქებისა და ფილტვების ანთებითი პროცესების და შარდსასქესო სისტემის დაავადებებისას; ბერგამოტის ზეთი აწესრიგებს არტერიულ წნევას და სისხლში ქოლესტერინის დონეს. მას წარმატებით იყენებენ თმის ბუდობრივი ცვენისა და ვიტილიგოს დროს.

**ბრონქეული - *Punica granatum L.***  
**ოჯ. ბრონქეულისებრნი - Fam. Punicaceae**



**მორფოლოგია:** ეკლიანი 1 - 4 მ სიმაღლის ბუჩქია, იშვიათად ხე, სპირალურად დახვეული ღეროთი და დახეთქილი ქერქით. ფოთლები მარტივია, მოგრძო, კიდეგთლიანი, დაგრძელებულ ტოტებზე მოპირისპირედ, ხოლო დამოკლებულზე - ჯვაფ-ჯგუფადაა განლაგებული. ყვავილები აქტინომორფულია, ორსქესიანი; ჯამი ზარისებრ-მილისებრია, ხორცოვანი სამკუთხა ნაკვთით, მეწამული; გვირგვინის ფურცლები კაშკაშა წითელია, უკუკვერცხისებრი. ნაყოფი მრავალბუდიანი, მსხვილი, სფერული კენკრაა; თესლი დაკუთხულია, თეთრიდან მუქ წითლამდე, წენიან საფარში ჩამჯდარი. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გელურად იზრდება ავღანეთში, ირანში, მცირე აზიაში, თურქენეთსა და სამხრეთ

კავკასიაში. შეტანილია კულტურაში არეალის დიდ ნაწილში; კულტურა ფართოდ გაერცელდა ახ.წ.-აღ.-მდე რამდენიმე საუკუნით ადრე. ძველ ბერძნულ აკლდამებზე გამოსახულია ბროწეულის ნაყოფები. კულტივირებულია ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყელის მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით ფართოდ ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, ირანსა და ავღანეთში, შუა აზიაში, ყირიმში, დაღესტანში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარეა. წვნიანი თესლები საკვებად ნედლი სახით გამოიყენება; იყენებენ სხვადასხვა კერძებში სანელებლად. ამზადებენ წვერებს (გრენადინი), ღვინოს, ღებულობენ ლიმონის მჟავას; სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთში ცნობილია პოულარული სოუსი ნარშარაბი. ნაყოფის ქერქი და შიდა ტიხზები შეიცავს 28 მგ% მთრიმლავ ნივთიერებებს, მათ იყენებენ საღებავად და ტყავის მოსათრიმელად.

ბროწეულის ნაყოფების წვენი შეიცავს ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, ურზოლის), ვიტამინ C-ს, მთრიმლავ ნივთიერებებს. ქერქში აღინიშნება ნახშირწყლები და სხვა მონათესავე შენაერთები: სახამებელი, მანიტი, სორბიტი, ტრიტერპენოიდები, ურზოლის, ბეტულინის მჟავები, სტეროიდები, ფენოლკარბონული მჟავები და მათი წარმოებულები, მთრიმლავი ნივთიერებები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარება ყელის ტკივილის, სისხლდენის შემაჩერებლად, მადის მომგრელად, კუჭის აშლილობისას, განხელებული მენსტრუაციის დროს და სხვ.

მედიცინაში სხვადასხვაგარად გამოიყენება: ნაყოფები ხასიათდება ორგანიზმის მასტიმულირებელი, ანთების საწინააღმდეგო, მთრიმლავი, გამამაგრებელი, ტკივილგამაყუჩებელი, სისხლის დენის შემაჩერებელი, ანტიკელმინტური, სიცხის დამწევი, ჭრილობების შემახორცებელი, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი მოქმედებით. გამოიყენება ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიის დროს, ასევე ინფექციური დაავადებების შემდგომ პერიოდში,

როგორც ორგანიზმის საერთო გამაჯანსაღებელი საშუალება. ნაყოფების წვენი იხმარება რესპირატორული დაავადებების, ყელისა და თავის ტკივილების, შაქრიანი დაბეტის, კუჭნაწლავის აშლილობის, შარდ-ძეავა დაიათეზის დროს; ყვავილების ნახარში - პირის ღრუს დაავადებების და კუჭის აშლილობისას; ტოტებისა და ვარჯის ქერქი - შესანიშნავი ჰითისმდენი საშუალებაა; ნაყოფების ქერქის ნახარში გამოიყენება დამწვრობის, ანთებითი პროცესების, სახსრების ტკივილის, კუჭის აშლილობის, ღრძილებიდან სისხლდენის, პარადონტოზის, სტომატიტის დროს.

**უკუქმედება:** მაღალი არტერიული წნევა, წყლულოვანი დაავადებები, კუჭის წვენის მომატებული სიმჟავით მიმდინარე გასტრიტები, ქრონიკული შეკრულობა, ბუასილი, ჰეპატიტი, მწვავე ნეფროტი. ფესვების ნახარში უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიით დაავადებულთათვის, გადაჭარბებული მიღება იწვევს თავბრუსხვევას, საერთო სისუსტეს, გულისრევას, კრუნჩხვებს.

### გველთავა — *Dracocephalum moldavica* L. ოჯ. ტუჩისანნი — Fam. Labiateae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 15-50 სმ სიმაღლის მცენარეა წვრილი, მთავარღერძა ფესვით. ღერო სწორმდგომია, ოთხწახნაგოვანი, მოკლედშებუსული, ძირიდან დატოტვილია,

გრძელი, ირიბად ზევით მიმართული ტოტებით. ფოთლები მოკლეყუნწიანია, მოპირისპირე, მოგრძო-კვერცხისებრი, კიდედაკბილული, მუქი მწვანე; წვეროსეული ფოთლები ლანცეტაა, თანაფოთლები მოგრძო-სოლისებრია. ყვავილები ღია - ისფერია, მოკლე საყვავილე ყუნწებით 6-ყვავილიან ცრუ რგოლებადაა შეგრებილი. ნაყოფი სამწახნაგოვანი, მოგრძო, მუქი მურა ფერის კაკალია. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, ჩინეთში, მონღოლეთში, პიმალაზე (სადაც ადის ზღ.ღ. 2700-3100 მ სიმაღლემდე), შუა აზიაში, უკრაინაში, ბელორუსში, რუსეთის ევროპულ ნაწილში, აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ყვავილები და ფოთლები ხასიათდება ლიმონის სასიამოვნო სურნელით. კულინარიაში სანელებლად გამოიყენება ნედლი და მშრალი სახით, სალათების, პურის ბურახის, ჩაისა და კომპოტების არომატიზაციისათვის; ხორცის, თევზეულის, ბოსტნეული კერძების შესაკაზმად, კიტრის, პომიდორის დამწილებისას. საკონსერვო მრეწველობაში გამოიყენება ბარამბოს მაგიერ, ხოლო სანელებელ ნაკრებებში შავი და სურნელოვანი პილპილის შემცვლელად.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს, რომელთა გამოსავალი შეადგენს 0,05-0,15%. მათი მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნება სრული ყვავილობის სტადიაში. ნედლი ბალახიდან მიღებული ეთერზეთები გამჭვირვალე ღია ყვითელი ფერის სითხეა ლიმონის სურნელით, რომელიც ციტრალის (25-70%) მიღების ერთ-ერთი წეაროა; გარდა ამისა შეიცავს გერანიოლს, თიმოლს, ნეროლს და სხვა შენაერთებს. თესლებში ცხმზეთების რაოდენობა 20-25% შეადგენს.

ეთერზეთები გამოიყენება უმთავრესად საკვები პროდუქტების არომატიზაციისათვის. სამკურნალო თვისებებით ბარამბოს იღენტურია. ხასიათდება დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, კრუნჩევების საწინააღმდეგო მოქმედებით; ხელს უწყობს მაღის აღმვრას, საკვებმომნელებელი ორგანოების მოქმედების გაძლიერებას.

**გვერდელა – *Pimpinenella saxifraga* L.**  
**ოჯ. ქოლგოსანი (ნიახურისებრნი) — Fam. Umbelliferae**  
**(Apiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ფესვთანური ფოთლების როზეტითა და 15-80 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, მომრგვალო, წვრილწახნაგოვანი, მკვრივი ღეროთი, რომელიც მხოლოდ ქვედა ნაწილშია შეფოთლილი, ხოლო ზედა ნაწილში თითქმის უფოთლოა, ფოთლებთან ერთად სუსტად შებუსული ან თითქმის შიშველი. ფოთლები ფრთისებრია, ქვედა – ყუნწიან ერთად 10-20 სმ სიგრძისაა, კვერცხისებრი ან მომრგვალო-კვერცხისებრი, ბლაგვი, მსხვილებილა, მოკლე ყუნწიანი ან მჯდომარე, 3-5 წყვილიანი ფოთოლაკებით. ყვავილები წვრილია, შეკრებილია ფარისებრ ყვავილედებად, რომლებიც შედგება 6-21 წვრილი, შიშველი სხივისაგან. გვირგვინის უურცლები თეთრია, იშვიათად ვარდისფერი, 1 მმ – მდე სიგრძის, წვერზე ამოკვეთილი. თესლი შიშველია, მოკლე კვერცხისებრი, 2-2,5 მმ სიგრძისა და 1-1,5 მმ სიგანის. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია მთელ ევროპაში, რესერვისა და აზიის ზომიერ კლიმატში.  
 იზრდება მდელოებზე, სტეპებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, გამეჩხერებულ ფოთლოვან და ფიჭვნარ ტყეებში, ღია ბალახოვან ფერდობებზე, მინდვრებსა და გზის პირებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ-არომატულ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. მიწისზედა ნაწილს, თესლებსა და ყვავილებს უმატებენ სასმელებს, რომელიც ღებულობს ოქროსფერსა და სასიამოვნო სურნელს. ნორჩი ფოთლებისა და ფესვებიდან ამზადებენ სალათებს, ხაბა-ხუბას, წვნიანებს, გამოიყენება სანელებლის სახით ძეხვის წარმოებაში. სალათაში გემოვნებით კიტრის მოგვაგონებს, პირველად სუსტი სურნელისაა, შემდგომ ვლინდება უფრო მკვეთრად. გეერდელა ითვლება ანისულისა და კვლიავის სრულფასოვნ შემცვლელად; მას ხმარობენ კვერცხისა და ყველის კერძებში, უმატებენ ფლავს, მოხარულ და შემწვარ თევზეულს, კარტოფილისა და ბოსტნეულის წვნიანებს, ტომატებსა და კოლრაბს. გეერდელას არომატი ძლიერდება და ხდება უფრო ნაზი, ლიმონის წვენის რამდნიმე წვეთის დამატების შემდეგ. მას იყენებენ აგრეთვე პიკანტური ძმრის დასამზადებლად.

თესლები უფრო ხშირად გამოიყენება საკონდიტრო და პურუნთუშეულის მრეწველობაში. ყვავილებს უმატებენ კიტრის, კაპარის, პომიდორის, პატისონის მწილს. ფოთლებს ხმარობენ ჩაის (ე.წ. ჩიგირის ჩაი) სუროგატად.

ფესვი შეიცავს ეთერზეთებს, კუმარინებს, პიმპინელინს, უმბელიოფერონს, ზობერგაპტენს, მთრიმდლავ ნივთიერებებს, ფისებს, შაქრებს, საპონინებს, პექტინებს, ფუროკუმარინებს, გუმფისს. ეთერზეთები ოქროსფერ-ყვითელი შეფერილობისაა, უსიამოვნო სუნის, მის შემადგენლობაში დადგენილია საქსაზულენი; ფესვებში ეთერზეთების შემცველობა შეადგენს 0,02-0,7%, ნაყოფებში - 1,6-3,0%; ფოთლებში ყვავილობის პერიოდში ალინიშნება კაროტინი და ასკორბინის მეჟავა (0,07%); მიწისზედა ნაწილი შეიცავს 11% ცილებს, 2,6% ცხიძებს, 32% უჯრედისს, 8,5% ნაცარს, კალიუმსა და კალციუმის მნიშვნელოვან რაოდენობას. მცენარე ხასიათდება სუსტი, არამკვეთრი სურნელით, მწელარტე და გამახალისებელი გემოთი. გვერდელა ნახსენებია XVI ს-ის ყველა სამკურნალო წიგნში, როგორც ჭირისა და ქოლერის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალება. ფესვების სამკურნალო მნიშვნელობა ასახულია ნორვეგიის, შვეიცარიის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების

ფარმაკოპეაში. მას იყენებენ ზემო სასუნთქი გზებისა და ნაწლავების კატარის, ბრონქიტის დროს, როგორც ამოსახველებელ, შემკვრელ, ოფლმდენ საშუალებას; ფესვები - ნაყენის ან ნახარშის სახით ხალხურ მედიცინაში იხმარება ნიკრისის ქარის, ბრონქიალური ასთმის, ყაბზობის (სპირტიანი ნაყენი), თირკმელექნჭოვანი დაავადებებისას; ნედლი ფესვის წვენის სველი საფენები კანის პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად გამოიყენება.

**გრძელი პილპილი (პიპალი) — *Piper longum L.***  
**ოჯ. პილპილისებრნი — Fam. Piperaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული მარადმწვანე ლიანაა. ფოთლები კეერცხისებრ-ლანცეტურა, მუქი მწვანე, ტყავისებრი, პრიალა. ყვავილები წვრილია, მოთეთრო - კრემისფერი, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფები არყის ხის გაშავებულ-მოყავისფრო კვირტებს მოგვაგონებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ მიიჩნევენ ინდოეთს, ნეპალსა და ინდონეზიას.

გრძელი პილპილი რომაელებსა და ძველი ბერძნებისათვის შავ პილპილზე ადრე იყო ცნობილი. მასთან შედარებით სამჯერ მეტად აფასებდნენ რომის იმპერიაში. ამჟამად, ევროპული სამშარულოსთვის იშვიათი კომპონენტი და ძნელად მისაწვდომია, მაგრამ ძველებურად ფართოდ გამოიყენება ინდოეთში, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების სანელებლების

ტრადიციულ ნაკრებებში, ინდონეზიისა და მალაიზიის  
სამხარეულოში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** გრძელი პილაილი იმ  
სანელებლების რიცხვს მიეკუთვნება, რომელებიც საოცარი  
გემოვნებით და სურნელოვანი არომატით გამოირჩევა. ნედლი  
ნაყოფი ტკბილია, შრობის პროცესში იძნეს მწვავე, არომატულ  
გემოვნებას. ინდოეთში უმთავრესად ხორცის მარინადებისათვის  
იყენებენ; მეტად პოპულარულია ჩრდილო აფრიკაში, სადაც  
არაბების მიერ იქნა შეტანილი. იქ მას უმატებენ მოშუშულ  
ხორციან კერძებს სხვა სანელებლებთან (კოჭა, ჯავზი, დარიჩინი,  
მიხაკი) ნაზავში. მისი მოტკბო-მწვავე გემო კარგად ესადაგება  
ყველსა და ღვინის სოუსებსაც.

გრძელ პილაილს ანუ პიპალს აწარმოებს ეთიოპია.

გამოირჩევა სამკურნალო მნიშვნელობითაც. თრგუნავს  
ნაწლავების ლპობის მიკროფლორას, არის საკვებმოწნელებელი  
ჯირკვლების სტიმულატორი, აცილებს მეტეორიზმს, ყაბზობას,  
ცუდ მაღას, იწვევს ორგანიზმიდან ლორწოს გამოღევნას,  
აწესრიგებს კუჭისა და ელენთის ფუნქციას. გარეგანად  
გამოიყენება კანის დაავადებებისას. შედის პრეპარატ  
“ტრიკატუს” შემადგენლობაში. პიპალი ასევე ცნობილია ტვინისა  
და სასქესო სისტემის ტონიკად. ნაყოფებში გამოვლენილია  
ბიოფლავონოიდები და მიკროელემენტები.

**გუავა – *Psidium guajava* L.**  
**ოჯ. მირტისებრნი - Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-15 მ-მდე სიმაღლის ხეა; ხის ქერქი 2-4 მმ სისქისაა, გლუვი, გარედან ბაცი-ვარდისფერი, დაღარული. ფოთლები მორიგეობითია, კიდემთლიანი, მოგრძო-კვერცხსებრი ფორმის, ქვედა მხრიდან - შებუსული, ზედა მხარეს - გლუვი, 10-15 სმ-მდე სიგრძის. წელიწადში ყვავილობს ერთ ან ორჯერ, იძლევა ერთ ძირითად (ერთი ხიდან მიიღება საშუალოდ 100 კგ-მდე) და 2-4 დამატებით, მნიშვნელოვნად ნაკლებ მოსავალს. ნაყოფი მწიფება 90-150 დღის შემდეგ. ნაყოფის ფორმა და ზომები მეტად განსხვავებულია, ხორკლიანი ვაშლის მსგავსი, მომრგვალო ან მსხლისებრი ფორმის, კაშკაშა-ყვითელი, მოწითალო ან მწვანე თხელი ქერქით; ხასიათდება სასიამოქნო და მეტად ძლიერი სურნელით. კულტურული ჯიშების ნაყოფების წონა 70-160 გ-ია, ნაყოფი 4-6,5 სმ სიგრძისა და 4,8-7,2 სმ დიამეტრისაა; მოუმწიფებელი ნაყოფები ძლიერ მჟავეა, რაც სიმწიფისას ქრება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** საშმობლო ამერიკაა, მექსიკის ტროპიკული რაიონებიდან დაწყებული სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილამდე.

კულტივირებულია აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანეთში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** გუავას მწიფე ნაყოფები გამოირჩევა მეტად სასიამოვნო და ძლიერი არომატით. მისგან ამზადებენ

საუკეთესო ხარისხის ხილფაფას, ჟელეს, ჯემს, წვენებს, სიროფებს, კომპოტს, პიურეს, პასტას, კეტჩუპს, ჩატნას, ალკოჰოლურ სასმელებსა და რძის კოქტეილებს. იყენებენ ტკბილეულში, ვაფლის, ნამცხვრების, პუდინგების შიგთავისათვის. მწვანე ნაყოფებს იყენებენ სასალათედ და შემწვარი ღორისა და ირმის ხორცის გარნირად. შშრალი ნაყოფები სანელებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის კერძებში.

ნაყოფი შეიცავს ვიტამინებს, განსაკუთრებით A და B-ს, ხოლო C - ვიტამინი 10-ჯერ მეტია ციტრუსოვნებთან შედარებით, რის გამოც რეგომქნდებულია მისი გამოყენება ლიმფური სისტემის გასაძლიერებლად და ორგანიზმის საერთო ტონუსის ასაძლებლად. ნაყოფები აგრეთვე მდიდარია უჯრედისით, ცილებით, ცხიმებით, კალციუმით, ფოსფორითა და რკინით. ევროპელი დიეტოლოგების აზრით წარმოადგენს ბრწყინვალე, მნიშვნელოვან და აბსოლუტურად შეუცვლელ ელემენტს, ბავშვთა კვებისა და დედების რაციონის ძვირფას პროდუქტს, აძლიერებს იმუნიტეტს და ხელს უწყობს ძალების აღდგენას.

გუავა ხასიათდება შემკვრელი, ბაქტერიციდული და სპაზმოლიტური მოქმედებით. ხელს უწყობს საკვების მონელებას, ასტრიმულირებს გულის მოქმედებას და აწესრიგებს წნევას.

ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე ნაყოფებს ხმარობენ ეპილეპსიური შეტევებისა და კრუნჩხვების დროს; ბრაზილიაში - დიარეის, ფილიპინებზე - გულის დავადებების, პანამაში - ბრონქიტისა და ასთმის, ყელისა და ფილტვების ანთებისას.

ფოთლების ჩაი სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის აშლილობის, დიზენტერიისა და თაებრუსხვევის დროს, არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს. დაქუცმაცებულ ფოთლებს იყენებენ ჩირქოვანი ჭრილობების მოსაშუშებლად; ფოთლების ნახარშს ხმარობენ ხველების, ყელის ტკივილების, პირის დრუსა და კანის დაავადებების სამკურნალოდ და სიცხის დამწევ საშუალებად.

**გულევითელა – *Calendula officinalis* L.**  
**ოჯ. რთულევავილოვანი (ასტრასებრი) — Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი 30-60 სმ სიმაღლის მცენარეა, მოკლე ბეწვით უხვად შებუსული. ღერო ოთხწახნაგოვანია, დატოტკილი, სწორმდგომი. ფოთლები სპირალურადაა განლაგებული, წაგრძელებულია, ქვედა - ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე. ყვავილები შეკრებილია მსხვილ კალათებად, ნარინჯისფერია ან მოწითალო-ნარინჯისფერი. ნაყოფები – სხვადასხვა ზომის თესლურაა. ყვ. VI-XI; ნაყ. VII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში. ფართოდაა კულტივირებული.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე ხასიათდება ძლიერი და სპეციფიური არომატით. როზეტულ მდგომარეობაში, ნედლი ნორჩი ფოთლები გამოიყენება საღათის ან სხვა სალათებში დანამატის სახით; მას სანელებლის სახით უმატებენ ხორცისა და თევზეულის კერძებს, წვნიანებსა და პაშტეტებს, მოშუშულ ბოსტნეულს უშუალოდ მოხმარების წინ. კულინარიაში ფართოდ იხმარება ნედლი და მშრალი ყვავილებიც. გულევითელას პიგმენტური საღებავი სასიამოვნო (მოყვითალო-ნარინჯისფერი) ფერს აძლევს ყველს, ცხიმებს, წვნიანებს, სოუსებს, ცომეულს. პიგმენტი ცხიმში იხსნება, რის გამოც

ყვავილებს ხარშავენ ცხიმში ან რძეში და ამ სითხეს უმატებენ კერძებს.

სამკურნალო ნედლეულია კალათები და ენისები, განაპირა ყვავილები. შეიცავს კაროტინოიდებს – კაროტინს, ლიკოპინს, ციტრაქსანტინს, ვიოლოქსანტინს, რუბინქსანტინს, ფლავოხრომს. აღნიშნულის გარდა ყვავილედებში აღინიშნება: ფისები, ლორწო, ვაშლის მჟავა, ალკალოიდები; ბალაზი შეიცავს მწარე ნივთიერება კალენდენს, ფესვები — ინულინს, თესლები — ცხიმზეთებს.

გულვევითელას სამკურნალო მნიშვნელობას XII საუკუნიდან იცნობდნენ. ხასიათდება ანტიმიკრობული, ნაღველმდებნი, შარდმდებნი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. მისი ნაყენით მკურნალობებს ჭრილობებს, დამწვრობებს, კოქრებს, მეჭეჭებს; ფართოდ გამოიყენება აგრეთვე პირის ღრუს გამოსავლებლად და ანგინისა და ანთებითი პროცესებისას. ასევე წარმატებით იხმარება გულის, კუჭ-ნაწლავის წყლულების, გასტრიტის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭის, ნაწლავების, ღვიძლის, კანის დაავადებებისა და რაქიტის სამკურნალოდ.

### დანდური - *Portulaca oleracea L.* ოჯ. დანდურისებრი - Fam. Portulacaceae



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა; ღერო ძირიდანვე დატოტვილია, ხორცოვანი, მიწაზე გართხმული, იშვიათად

წამოწეული. ფოთლები მჯდომარეა, მკრთალი მწვანე ან მოწითალო, მოგრძო, ძირში სოლივით შევიწროებული, თავში ბლაგვი, სქელი, ბრტყელი. ყვავილები ორსქესიანია, აქტინომორფული, თითო ან რამდენიმე ერთად ფოთლების იღლიებშია განლაგებული, გვირგვინი 4-6 ფურცლიანია, ყვითელი. ნაყოფი მომრგვალო ან კვერცხისებრი, თხელკედლიანი, მრავალთესლიანი კოლოფია, მომწიფებისას სამი საგდულით იხსნება. თესლი წვრილია, მოშავო შეფერილობის. ყვ. V-VII. ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გზადმოყოლილი სარეველაა, ფართო ევრაზიული არეალით. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

იზრდება ბოსტნებში, საცხოვრებელ სახლებთან, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ბოსტნეულია, ფოთლებისაგან ამზადებენ მხალს, უმატებენ ხორცისა და თევზეულის კერძებს, ხრაკავენ, თუშავენ, ამარილებენ და ამწილებენ. ნედლი ფოთლები და ნორჩი ყლორტები სასალათედ გამოიყენება; ღვინოში დამატებით კი მიიღება სასარგებლო, ვიტამინიზირებული სასმელი.

ფოთლები და ღეროები შეიცავს ალკალინდებს, ნახშირწყლებს, ცილებს, საპონინებს, ფენოლკარბოლმჟავებს, ორგანულ მჟავებს, ლორწოვან და ფისოვან ნივთიერებებს, კაროტინს, ვიტამინებს (C, E, PP, K); თესლებში ცხიმები აღინიშნება.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მოხარუშულსა და სათანადო შეზავებულს აძლევდნენ თავის ტკივილისა და სხვადასხვა ნერვული დაავადებების დროს, ნახარშს ასმევდნენ სიცხიან ავადმყოფებს, მიაჩნდათ, რომ გულს, ღვიძლსა და კუჭს, სამივეს არგებს და ავადმყოფს ძალას მისცემს.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, ნაღველმდენი, ანტიბაქტერიული, გულის რიტმის გამაძლიერებელი, არტერიული წნევის ამწევი, ჭრილობების შემახორცებელი, ანტიტოქსიკური, დამწვრობის საწინააღმდეგო მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება ათეროსკლეროზის, დაბალი წნევის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთებითი პროცესების,

ტრიქომონადული კოლპიტების, ბაქტერიული დიზენტერიის, მწერებისა და გველის ნაკბენის, სისხლში ქოლესტერინის მომატების დროს.

**დარიჩინის ხე ჩინური – *Cinnamomum cassia* Blume  
ოჯ. დაფნისებრნი – Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** 15 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა. ფოთლები ფართო ოვალურია, კიდემთლიანი, ტყავისებრი, ზედა მხრიდან პრიალა მწვანე, ქვედა – მოლურჯო-მწვანე, დაფარულია მოკლე რბილი ბეწვით. ქვედა ფოთლები მორიგეობითია, ზედა – მოპირისპირე, ჩაქინდრული, მოკლეყუნწიანი; ყვავილები წვრილია, მოყვითალო-მურა ფერის, მარტივი ყვავილსაფარი სამწევრიანია, ორ წრედ განლაგებული, საგველა ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი კენკრაა.

**ისტორია და გულტურის გავრცელებულია ჩინეთის სამხრეთით და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში.**

**მნიშვნელობა და გამოყენება:** დარიჩინის ხის ქერქის ფხვნილი ძვირფასი, კლასიკური სანელებელია; კულინარიაში გამოიყენება არომატული დანამატის სახით დესერტების, შოკოლადის, მწვავე ყინულკარამელებისა და ლიქიორების დასამზადებლად. ახლო აღმოსავლეთში ქათმისა და ცხვრის ხორცის მწვავე კერძებში იხმარება. ამერიკაში დარიჩინსა და შაქარს უმატებენ ფაფებსა და ხილფაფებს, განსაკუთრებით ვაშლისას. იყენებენ კონსერვებში, უმთავრესად მარინადებში.

დარიჩინის ეთერზეთები ხასიათდება ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული მოქმედებით, ეს თვისებები, რომელიც სხვა სანელებლებისთვისაცაა დამახასიათებელი, ხელს უწყობს შინაურ პირობებში პროდუქტების ხანგრძლივ შენახვას.

სამკურნალო ნედლეულს ქერქი წარმოადგენს, რომელიც 1-3 მმ სისქისაა, მუქი ყავისფერი, აღგილ-აღგილ დაფარულია საცობის ფენით, სუნი არომატულია, გემო მოტკბოა, სურნელოვანი და ოდნავ შემკვრელი. შეიცავს ეთერზეთებს, რომელიც უმთავრესად შედგება დარიჩინის მჟავის აღდევბიდებისაგან, მცირე რაოდენობის მთრიმლავი ნივთიერებებისაგან.

დარიჩინის ქერქის სპირტიანი ექსტრაქტი აქტიურია სხვადასხვა გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ. ჩინური წყაროების თანახმად ტუბერკულოზის ჩხირებისა და სხვადასხვა ვირუსებისადმი მომაკვდინებელი მოქმედებით ხასიათდება.

იხმარება საკვებმოწნეულებელი ორგანოების მოქმედების აღმგზნებ საშუალებად, წამლების სუნისა და გემოს გამაუმჯობესებლად და როგორც ანტისეპტიკი.

### **დარიჩინის ხე ცეილონის — *Cinnamomum zeylanicum* Nees. ოჯ. დაფნისებრნი — Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 15 მ-მდე სიმაღლის ხეა სქელი

ქერქით. ტოტები ცილინდრულია, წვეროსკენ სამწახნაგოვანი. ფოთლები მოპირისპირედაა განლაგებული, მოკლეყუნწიანია, ოვალური, გლუვი ან მოკლედ წაწევტებული, ტყავისებრი, 3-7 მთავარი ძარღვით. ყვავილები აქტინომორფულია, წვრილი, შეკრებილია ციმოზურ ყვავილედებად; ყვავილსაფრის ფოთლაგები თავისუფალია, ორწრიანი, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის. ნაყოფი კენკრაა, მოთეთრო-ცისფერი შეფერილობის. მთელი მცენარე ხასიათდება სასიამოვნო, ძლიერი არიმატით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ცეილონზე, შრი-ლანკასა და ინდოეთში. კულტივირებულია შრი-ლანკაზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ცეილონის დარიჩინის ხის ქერქის ფხენილი კლასიკურ სანელებელთა რიცხვს მიეკუთვნება. კულინარიაში გამოიყენება წინა სახეობის იდენტურად.

სამკურნალო ნედლეული ქერქია, ბაცი ყავისფერი შეფერილობის, ძალიან თხელი, ხშირად ქაღალდის ფურცლის სისქის (0,2-0,5 მმ). ქერქის შეგროვება წარმოებს შეჭრილი ბუჩქებიდან, ყლორტების 1-2 მ სიგრძის მიღწევისას. ქერქს სპილენძის დანებით ჭრიან, მას გარეთა ნაწილებს აცილებენ, შემდეგ ახვევენ ორმაგ ან სამმაგ მილებად და მზეზე აშრობენ. ქერქის გადანაჭრებისა და ნარჩენებისაგან აშადებენ ზეთებს. ეთერზეთები შედგება დარიჩინის მჟავის ალდეპილებისაგან. ქერქში აღინიშნება აგრეთვე მთრიმლავი ნივთიერებები, რის გამოც ქერქის შეგროვებისას ფოლადის დანების ხმარება დაუშვებელია.

ცეილონის დარიჩინის ქერქი ჩინურ დარიჩინთან შედარებით მაღალხარისხიანია და უფრო ძვირად ფასობს.

დარიჩინის ხის ქერქიდან მიღებული პრეპარატები ხასიათდება მატონიზირებული, მიკრობების საწინააღმდეგო, ანტიბიოტური, ანტისეპტიკური, კარდიოტონური, შემახორცევებელი, გამათბობელი, ხველების საწინააღმდეგო, მუკოლიტური, ბრონქოლიტური, იმუნომოდელირებული, ინსექტიციდური და სპაზმოლიტური თვისებებით. მოქმედებს პლაზმაზე, სისხლზე, კუნთებზე, ძვლის ტვინზე და ნერვულ ქსოვილებზე; ხელს უწყობს

კუჭის სეკრეციის სტიმულირებას და ნერწყვის გამოყოფას. შესაბამისად, დარიჩინი აუმჯობესებს საკვების მონელებას, ხელს უწყობს მეტეორიზმის დროს გაზების გამოყოფას და ამსუბუქებს ავადმყოფის მდგომარეობას ნაწლავებისა და კუჭის სპაზმებისას. გარდა ამისა, ასტიმულირებს სასუნთქი გზების, გულის სისტემისა და საშვილოსნოს მოქმედებას.

დარიჩინის ეთერზეთები შველის რევმატიზმს, ართრიოტს, სახსრების ტრავმებს, მიოზიტს, კუნთოვან სპაზმებს, კრუნჩევებს, ზედა სასუნთქი გზების დაავადებებს, გრიპს, ხელებას, ბრონქიტს, გაციებას; საკვების მონელების დარღვევებს (მუცლის გაბერვა, ბოყინი, გულისრევა), დისპეფსიას, გასტრიტს, საკვებით მოწამლვას, დიარეის, მეტეორიზმს, ათონიას, კოლიტს, კუჭის სიმძიმეს, კუჭის წვენის მაღალ მჟავიანობას, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულებს, დაღლილობას და მაღის დაკარგვას, ზედმეტ წონას, თავბრუსხევებსა და გულის წასვლას, ვეგეტოსისხლძარღვების დისტონიას, დერმატოქსიკოზს, კერატოზს, მუნს, პედიკულოზს, კოერებს. გარეგანი გამოყენებისას ამცირებს ნევრალგიას, სახსრების ტკივილებს (ართრიოტები), ტრავმის შემდგომ კუნთების კონტრაქტურას.

**დაფნა — *Laurus nobilis* L.**  
**ოჯ. დაფნისებნი — Fam. Lauraceae**



მორფოლოგია: მარადმწვანე, მაღალი ბუჩქია ან ხე,

ხშირტოტებიანი ვარჯით. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო ლანცეტა, ტყავისებრი, მუქი მწვანე, მქრქალი, სურნელოვანი, შეიცავს ეთერზეთოვან სათავსებს. მცენარე ორსახლიანია, ყვავილები ათხ-ექვს ყვავილიანი ქოლგაა, წვრილი, ფოთლების იღლიებში კონებად შეკრებილი. ყვავილი წვრილია, თეთრი, ერთსქესიანია, იშვიათად ორსქესიანი; ყვავილსაფარი ჯამისებრია, 4-ფოთოლაკანი; მამრობითი ყვავილები მსხვილი, ყვითელი მტვრიანებით (8-14) ხასიათდება, მდედრობითში 4 რუდიმენტალური მტვრიანაა. ნაყოფი ელიფსური, მოლურჯო - შავი ფერის ერთ თესლიანი კურკიანაა. ყვ. III; ნაყ. VI-VII.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ხმელთაშუაზღვეთის მთის ტყებში; კავკასიასა და ყირიმში ჯერ კიდევ ძველი ბერძნების მიერ იქნა შეტანილი, სადაც მკვიდრად მოიკიდა ფეხი. საქართველოში გვხვდება ქვედა სარტყლის ტყებში - აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში, სადაც აგრეთვე უძველესი დროიდანაა კულტურაში შეტანილი. ძველ საბერძნეთში დაფნის გვირგვინით ამკობლენ ოლიმპიურ ჩემპიონებს, გმირებს, გამორჩეულ პოტებს და ა.შ. (სიტყვა “ლაურეატი” წარმოსდგება მცენარის ლათინური სახელწოდებიდან – “Laurus”). ამჟამად კულტივირებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში. დაფნის ფოთლის მთავარი მწარმოებლებია: იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, სირია.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ტექნიკური და ტრადიციული სურნელოვან-სანელებელი მცენარეა.

ფოთოლი შეიცავს ცხიმოვან ზეთებს, ეთერზეთებს (შემაღენლობით ცინეოლი, ტერპინეოლი, ფელანდრენი, გერანიოლი, ლინალოლი, ევგენოლი, მეთილევგენოლი), მმრის, ვალერიანის, კაპრონის, ლაურინის, პალმიტინისა და ლინოლინის მჟავებს, სექვიტერპენულ ნაერთებს; ნაყოფში ალინიშნება ეთერზეთები, ცხიმოვანი ზეთები, უმაღლესი ცხიმოვანი მჟავები. ქართულ ხალხურ მედიცინაში დაფნის ნაყოფს იყენებდნენ სიმსივნის, ქავანას, გაძლიერებული მენსტრუაციის, რეგმატიული ანთების, გაძნელებული ხველებისა და დამბლის დროს.

ხასიათდება მაღისმომგვრელი, სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის მასტიმულირებელი, შარდმდენი,

სისხლდენის შემაჩერებელი, სისხლში შაქრისდამწევი, წნევისდამწევი, ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ფუნგიციდური და ბაქტერიციდული მოქმედებით.

სამედიცინო პრაქტიკაში დაფნის ნაყენი გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის, მწვავე რესპირატორული დაავადებების, სახის ნერვის დამბლის, ტუბერკულოზის, სახსრების ტკივილის, ართრიტის, ჰიპერტონიის, მალარიის, ნევრალგიის, ოსტეოხონდროზის, დერმატომიკოზების, თირკმელების უქმარისობის, ყურიდან გამონადენის, უხვი მენსტრუაციის, უნაყოფობის, საშვილისნოს ტკივილის დროს. დაფნის ზეთი ხასიათდება ანტისეპტიკური, მადეზინფიცირებელი და დამამშვიდებელი მოქმედებით; სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება კანის დაავადებების, ალერგიული გამონაყრების, დიათეზის, აქერცლილი კანის, ფურუნკულებისა და გამონაყრების სამკურნალოდ.

შედის ნერვების დამამშვიდებელი, რეგმატიზმისა და მუნის საწინააღმდეგო მალამოების შემადგენლობაში, ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში.

ყურადღებას იპყრობს დეკორატიული თვალსაზრისითაც, კარგად იტანს კრეჭას, წარმოქმნის მკვრივ ცოცხალ ღობეებს, ბორდიურებს, ფიგურულად გაფორმებულ ჯგუფებს.

**დედოფლის ყვავილი — *Tropaeolum majus L.***  
**ოჯ. დედოფლის ყვავილისებრნი — Fam. Tropaeolaceae**



მორფოლოგია: ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო

ხორცოვანია, ძლიერ დატოტვილი, მხოხავი ან წამოწეული, სუსტად ხვიარა, 2,5 მ სიმაღლის, გლუვი, წვნიანი. ფოთლები მორიგეობითია, გრძელებუნწიანი, მომრგვალო, 10 - ძარღვიანი, კიდემთლიანი ან მომრგვალო-უთანაბრო კიდეებით, კაშკაშა და მუქი მწვანე. ყვავილები ორსქესიანია, გრძელი საყვავილე ყუჩიებით, განლაგებულია ფოთლების იღლიებში, ხუთწევრიანია, მსხვილი, 2,5-4 სმ დიამეტრის; წინა 3 ფოთოლაკი ფუძესთან ფოჩისებრია, ნარინჯისფერი, ყვითელი ან წითელი, სისხლისებრ-წითელი ზოლებით. ნაყოფი – კოლოფია, იშლება სამ ნაკვთად; ნაყოფედი დასაწყისში ხორცოვანია, დანაოჭებული, შემდგომ მშრალი. თესლების მომწიფება თანდათანობით ხდება. ყვავილობს იგნისის შუა რიცხვებიდან გვიან შემოდგომამდე, პირველ ყინვებამდე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, პერუდან ახალ გრენადამდე. კულტივირებულია როგორც დეკორატიული მცენარე ცხელ და ზომიერ სარტყელში, ევროპაში, რუსეთის სამხრეთით, კავკასიაში, შუა აზიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კულინარიაში ძველი დროიდანაა ცნობილი. ნედლი ფოთლები, კოკრები, მოუმწიფებელი მწვანე ნაყოფები გამოირჩევა მწვავე გემოვნებით. გამოიყენება სანელებლად სალათებში, ხორციან, ბოსტნეულ და კვერცხის კერძებში. კვირტები და მწვანე ნაყოფები კაპარის შემცვლელად იხმარება, ამწილებენ კამასა და მმარში; გაშლილ ყვავილებს სმარობენ გარნირად. ახალ ზელანდიაში ნედლ ფოთლებს სასალათედ და ვიტამინიზირებული ექსტრაქტების მისაღებად იყენებენ.

სამკურნალო ნედლეულს ბალაზი (*Herba Tropaeoli*) და ნაყოფები (*Semen Tropaeoli*) წარმოადგენს. ნედლი ფოთლები და ღეროები შეიცავს 0,46 – 0,16 %-მდე ასკორბინის მჟავას, კაროტინს, ალკალიიდებს – 0,11 %, იზოკვერცხეტინს, კემპფეროლს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ლორწოს, კალიუმს, ტროპეოლინს; ფოთლები და ნაყოფები - ასკორბინის მჟავას, ანტისეპტიკურ ნივთიერებებს; ყვავილებში აღინიშნება კაროტინოიდები, ანთოციანური საღებავები (პელარგონიდინი); თესლებში – იზოთიოციანიტები (მდოგვის ზეთი). მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს: გლიკოზიდ გლიკოტროპეოლინს, რომელიც ფერმენტაციით იშლება ბენზილიზოთიოციანიტად, წარმოადგენს ეთერზეთების ძირითად შემადგენელ ნივთიერებას.

ტროპეოლინი იწვევს დადებით მოქმედებას ქრონიკული კორონარული უქმარისობისას. ფოთლები და კვირტები ხასიათდება ცინგის საწინააღმდეგო მოქმედებით. ნაყოფები იხმარება ყაბზობის დროს. მცენარე ხასიათდება ორგანიზმიდან ჭარბი ქოლესტერინის გამოდევნის უნარით. გამოიყენება როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება სკლეროზის საწინააღმდეგოდ. ბალაზის წყლიანი ნაყენი იხმარება ცინგის, ანემის, კანის გამონაყრების, შარდკენჭოვანი დაავადებების, სტომატიტის, თმის ცვენის სამკურნალოდ.

ამერიკის ხალხურ მედიცინაში ფოთლების წვენს იყენებდნენ გარეგანად ქავილისა და მუნის საწინააღმდეგოდ, თმის გასამაგრებლად; ყვავილების ნაყენს – გულისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ჰიპერტონიის შემთხვევაში. გერმანიის ხალხურ მედიცინაში მცენარის წვენი გამოიყენება ბრონქების ქრონიკული ანთების დროს.

### დიდი კამა — *Foeniculum vulgare L.*

ოჯ. ქოლგოსანნი (ნიაზურისებრნი)

Fam. Umbelliferae (Apiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი (კულტურაში ერთ ან ორწლოვანი) მცენარეა თითოსტარისებრი ხორცოვანი სქელი ფესვით და სწორმდგომი წვრილღარიანი 2 მ-მდე სიმაღლის

ღეროებით, ხშირად მოცისფრო ან ლეგა ნაფიქტით, უხვად დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, მოხაზულობით კვერცხისებრ-სამკუთხა, სამ-ოთხმაგფრთისებრ განკვეთილი ხაზურ ან ძაფისებრ სეგმენტებად, ქვედა - ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე. გარეგანად კამის მსგავსია (რის გამოც მას სააფთიაქო კამასაც უწოდებენ), მაგრამ სუნით და გემოვნებით ანისულს მოგვაგონებს. ყვავილი წვრილია, ყვითელი, შეკრებილია 20-25 სხივიან ქოლგებად, რომლებიც თავის მხრივ წარმოქმნის ყვავილედებს - 20 სმ დაიმეტრის როულ ქოლგებს, რომლებიც 10 მცირე ქოლგისაგან შედგება. ნაყოფი - მოგრძო-ცილინდრული, გერლებმიტყცილი, ლეგა ან მოწვანო მურა ორთესლურაა, 1,4 სმ სიგრძისა და 3-4 მმ სიგანის, ხუთ-წახნაგიანი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად გავრცელებულია ხმელთამუაზღვეთის ქვეშებში და დასავლეთ აზიის რიგ რეგიონებში - აზორის კუნძულებიდან ირანამდე. მისი კულტურა, როგორც სამკურნალო და სანელებელი მცენარისა, ცნობილია ეგვიპტელების, არაბების, ჩინელებისა და ინდოელების მიერ ძველი საუკუნეებიდან. სადღეისოდ ეს პოპულარული სამკურნალო მცენარე მოჰყავთ მრავალ ქვეყანაში, თუმცა მცირე ფართობებზე. დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით იტალიაში, ასევე აშშ-ში და კანადაში მიღებულია მრავალი ჯიში.

**ნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელი მცენარეა. ნაყოფებიდან მიღებული ეთერზეთები გამოიყენება ალკოჰოლური სასმელების, ჩაის, საკონდიტრო ნაწარმის, მარინადების, მწინილების წარმოებაში. ღიდი კამის ბოსტნეული ჯიშების ნედლ მიწისზედა ყლორტებს ხმარობენ სალათებისა და სხვა ორიგინალური საკების დასამზადებლად.

სასიამოვნო სუნს განსაზღვრავს ეთერზეთები, რომელიც ყველა ორგანოში აღინიშნება: ნაყოფებში - 7 მგ%-მდეა, ვეგეტატიურ ნაწილებში 2-3-ჯერ ნაკლები. სუფთა სახით ღიდი კამის ეთერზეთები მიღებულ იქნა XVIII ს-ში; მის შემადგენლობაშია ანეთოლი, ანისულის ალდეპიდი, ანისულის მჟავა და სხვა არომატული შენაერთები, აღინიშნება აგრეთვე ცხიმოვანი

ზეთები, ხოლო ფოთლებსა და ღეროებში - ასკორბინის მჟავა, კაროტინი, B, E, K ჯგუფების ვიტამინები.

ძველ მედიცინაში თესლები და მიწისზედა ნაწილი ფართოდ გამოიყენებოდა როგორც მადის აღმძვრელი, ამოსახველებელი, ქარძენი, შარდმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, ლაქტოგენური, ანთებისა და შხამსაწინააღმდეგო საშუალება.

წარსულში მიიჩნევდნენ, რომ თუ ადამიანი ყოველწლიურად ვერძის თანავარსკვლავედში მზის ამოსელისას მიიღებდა ერთ დირხებს (2,96 გ) წვრილად დაფქვილ თესლს ამავე რაოდენობის შაქრის ფხვნილთან ერთად, მაშინ მთელი წლის მანძილზე არაფრით დაავადდებოდა. ავიცენას აღწერით დიდი კამა ხსნის საცობებს სისხლძარღვებში, აუმჯობესებს მხედველობას, მემუქურ ქალებში აძლიერებს რძის გამოყოფას, აქუცმაცებს ქვებს, შეელის გულის რევასა და კუჭის ანთებას. თესლების ნახარში სასარგებლოა თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებების, გვერდების ტკივილისა და გულის რიტმის დარღვევებისას.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდი კამის (ცერეცო) ზეთი იხმარებოდა თავის ტკივილის დროს ყურში და ცხვირში წასასმელად, ყურის ტკივილის დროს - ყურში ჩასაწვეთებლად, თირკმელებში ქვიშის არსებობისას ზურგს ზეთით უზელდნენ, პირლებინებისას დიდი კამის მარილიან წყალს ხმარობლნენ.

მეცნიერულ მედიცინაში თესლები გამოიყენება. ე.წ. “კამის წყალს” იყენებენ ჩვილ ბავშვებში მუცლის გაბერვისა და კუჭნაწლავის მტკიფნეული საპატების დროს. ასევე შედის მრავალ სხვადასხვა დანიშნულების სამკურნალო ნაკრებების შემადგენლობაში: საფაღარაო, ნაღველმდენი, დამამშვიდებელი და ა.შ.

დიდი კამის ეთერზეთები პრეპარატ სოლუტანის ძირითადი კომპონენტია, რომელსაც უნიშნავენ ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის დროს. მცენარის ეთერზეთები ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმედებით, აქრობს შიშსა და ნეკროზს.

**დურიო – *Durio zibethinus* L.**  
**ოჯ. ბაობაბისებრნი - Fam. Bombacaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 40 მ-მდე სიმაღლის და 0,5 მ დიამეტრის ხეა, სწორმდგომი ვარჯითა და ნაირგვაროვანი ტოტებით, დაფარულია აქერცლილი ქერქით. ფოთლები მორიგეობითა, მოგრძო, ძირთან მომრგვალებული, მკვეთრად წაწვეტებული, ტყავისებრი, პრიალა, ზედა მხარეს - მუქი მწვანე, ქვედაზე - ვერცხლისფერი ან ბაცი ყვითელი. ყვავილობს მსხვილი (5-7,5 სმ სიგრძის) მოთეთრო ან ოქროსფერ-ყავისფერი შეფერილობის ყვავილებით, წარმოქმნის დაკიდულ, 30-მდე ყვავილისაგან შემდგარ მტევნებს, რომლებიც ვითარდება პირდაპირ ტოტებზე ან უშუალოდ ხის ტანზე. ყვავილები, დამახასიათებელი ძლიერი მძიმე სუნით, იშლება შუადღის შემდეგ, საღამოს 5 საათიდან დილის 6 საათამდე მას აქტიურად ამტვერიანებს დამურები; მთელი ღამის განმავლობაში ყვავილის ყველა ნაწილი ცვივა, დილის 7 საათისთვის წარმოებს აქტიური დამტვერვა, ხოლო 11 საათისათვის ყვავილიდან რჩება მხოლოდ ბუტკო. ნაყოფი მწვანე, ყვითელი და ყავისფერია, მომრგვალებული ან ოღნავ ოვალური ფორმის, შემოსილია წვეტიანი ეკლებით, 8 კგ-მდე წონისაა; სიმწიფისას ნაყოფის გარსი სკდება ხუთ ნაწილად, თითოეულ მათგანში ყავისფერი წაბლისებრი თესლია მოთავსებული სქელ, მკვრივ კრემისებრ რბილობში. თესლი მსხვილია, 4-7 სმ სიგრძისა და 2,5 სმ სიგანის, ერთი ნაყოფი საშუალოდ 13 თესლს შეიცავს, თუმცა გამოყვანილია უთესლო, უსუნო, სხვადასხვა შეფერილობის - ყვითელი, თეთრი, ვარდისფერი და ნარინჯისფერ ნაყოფებიანი ჯიშები.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ბორნეოსა და სუმატრას კუნძულებია. ველურად და ნახევრად გაკულტურებული სახით იზრდება აგრეთვე ბირმაში, მალაის ნახევარკუნძულზე, ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცეილონზე, ახალ გვინეაში, ფილიპინებზე, მინდანაოსა და სულუს პროვინციებში. მსოფლიო ბაზარზე დურიოს ძირითად მწარმოებლად ითვლება ტაილანდი, სამხრეთ ვიეტნამი და ბირმა. ტაილანდში გამოყვანილია 300-მდე ჯიში, კომერციულ მეხილეობაში მხოლოდ რამდენიმე მათგანი გამოიყენება.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** დურიოს ნაყოფი ტკბილი და ზეთოვანია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სურნელით. მას ადარებენ ყველის, ხახვის, სკიპიდარის, ნივრის, გუმფისის, ხახვის, სხვადასხვა სანელებლის, ბანანის გაერთიანებულ სურნელთან. ქერქიდან რბილობის ამოცლის შემდეგ ხდება სასწაული - აფერქვევს კრემის, ნუშის, ალუბლის, დვინის, ხახვიანი სოუსის, ყველის ნაზავის და საერთოდ შეუცნობელ, განსაკუთრებულ არომატულ სურნელს. სწორედ ამ საოცარი თვისებიდან გამომდინარე ხილის მეფედ ითვლება.

მიიჩნევენ, რომ დურიოს რბილობს გააჩნია სამმაგი თანმიმდევრული ეფექტი: დასაწყისში იგრძნობა ძლიერი და არომატული გემო, შემდგომ ნაზი და დელიკატურ-ტკბილი, რაც მთავრდება საოცარი ფისისებრ-ბალზამური დახვეწილი რომანტიული ელფერის გემოგნებით, რომელიც დიდხანს არ ქრება. ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, ამზადებენ ნაყენებს და რძის კოკტეილებს, ეგზოტურ სასხელებს სხვა მცენარეებთან ნარევში; მოუმწიფებელი ნაყოფები ბოსტნეულის მსგავსად იხმარება, წვავენ ან ამზადებენ ჩიასებს.

ძვირფასი კვებითი ღირებულების გარდა, დურიო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალოდ. მალაიზიაში ფოთლებისა და ფესვების ნახარში იხმარება სიცხის დამწევად, რბილობი - ჭიისმდენად; ფოთლების სამკურნალო აბაზანებს იყენებენ ნაღვლის მომატებისას, ფოთლებისა და ნაყოფების ნახარშს აფენებ კანის ანთებითი დაავადებებისას; დამწვარი ქერქის ნაცარი გამოიყენება მშობიარობის შემდეგ.

ფოთლები შეიცავს ჰიდროქსიტრიპტამინს და მდოგვის ზეთს; ნაყოფისათვის დამახასიათებელი უსიამოვნო სუნი კი გამოწვეულია

მასში ინდოლის (ქიმიური ნაერთი უსიამოვნო სუნის) არსებობით, თუმცა — მრავალჯერადი განზავებისას იძენს ნაზ, ჟასმინის სურნელს. ინდოლი ძლიერ ბაქტერიციდულია და მეტად სასარგებლო, რის გამოც დურიოს საკვებად გამოყენება ხელს უწყობს ავადმყოფ ადამიანებსა და ცხოველებს ჯანმრთელობის აღდგენაში.

XX ს-ის 20-იან წლებში აფთიაქებში გაჩნდა ფარმაკოლოგიური პრეპარატი ტაბლეტების სახით სახელწოდებით “Dur-India”, მისი მიღება იწვევდა ორგანიზმში კონცენტრირებული სასიცოცხლო ენერგიის მიწოდებას, რაც უზრუნველყოფდა სხეულისათვის ძალისა და დაუღლელობის, სულისათვის კი — ნათელი და სულიერი ახალგაზრდობის მოტანას. ითვლება ძლიერ აფროდიზიაკალ.

### **ევგენოლის რეპანი — *Ocimum gratissimum L.*** **ოჯ. ტუჩოსანი — Fam. Labiate (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქია 90-100 სმ-მდე სიმაღლისა და 100-110 სმ ღიამეტრის; ფესვი მთავარღერძაა, დატოტვილი. ცენტრალური ღერო სწორმდგომია, ოთხწახნაგოვანი, ძლიერდატოტვილი, მთავრდება თავთავისებრი ყვავილედით. კარგად განვითარებულ მცნარეს უნვითარდება 50-მდე გვერდითი ყლორტი, რომელთა პირველი რიგის ტოტები მოკლეა, ძლიერ შეფოთლილი, წევროსეული ყვავილედებით.

ფოთლები მსხვილია, ყუნწიანი, მუქი მწვანე, მოპირისპირედ განლაგებული, კვერცხისებრ-ლანცეტი, კიდედაკბილული, ქვედა მხრიდან შებუსული. ყვავილები წვრილია, მოთეთრონაცრისფერი. თესლი წვრილია, მრგვალი, გლუვი, მუქი ყავისფერი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ტროპიკული მცენარეა. სამშობლო კუნძული ზანზიბარი და მადაგასკარია. ბუებრივად იზრდება ირანში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, შრი-ლანკასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ფართოდაა კულტივირებული ამავე ქვეყნებში. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებიდან, პირველად გასული საუკუნის 30-იან წლებში ინტროდუცირებული იქნა უკრაინაში, ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში. შემდგომში მისი მოშენება, როგორც ერთწლოვანი ეთერზეთოვანი კულტურის, დაიწყო საქართველოში, სომხეთსა და ტაჯიკეთში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კულინარიაში გამოიყენება ფოთლები და წვეროსეული ნორჩი ყლორტები ნედლი და მშრალი სახით. გამოირჩევა ძლიერი სასიამოვნო არომატით. იყენებენ ბოსტნეული და ბაზჩეული კულტურების დასამწილებლად. მშრალი და დაფევილი ფოთლები შედის სხვადასხვა სახის არომატიზირებულ სანელებლებში. რეპანის ფხვნილი ქონდართან და როზმარინთან ნაზავში ცვლის წიწაკას. ევროპულ სამზარეულოში იხმარება სანელებლად სალათებში, წვინიანებში, ტომატებში, სოუსებში, ხორცის, თევზის, კვერცხისა და რძის კირძებში, ცხიმებში, ყველსა და მაკარონში. შშვენივრად ეხამება ფრინველისა და ზღვის პროდუქტებს. განუყოფელი სანელებელია იტალიურ, ურანგულ და ბერძნულ სამზარეულოში. იტალიური ცნობილი პიცა “შარგარიტას” ძირითადი კომპონენტია.

იხმარება კვებით მრეწველობაში, ძეხვეულის წარმოებაში; იყენებენ ჩაის ნაკრებების წარმოებაშიც. აღმოსავლეთის სამზარეულოში მის გარეშე წარმოუდგენელია სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნების კულინარია.

მცენარე შეიცავს ეთერზეთებს მიხაკის სურნელით, რომლის განმსაზღვრელია მისი ძირითადი კომპონენტი ევგენოლი. ეთერზეთები აღინიშნება ფოთლის ქვედა მხარეს განთავსებულ


ეთერზეთოვან ჯირკვლებში და ყვავილების ჯამში. ფოთლებში მისი შემცველობაა 0,25-0,30 მგ%, ყვავილედებში 0,17-0,20 მგ%, ღეროებში კვალის სახითაა. ეთერზეთების ძირითად კომპონენტს ევგენოლი (60-80 %), პინენი (1 %-მდე), ცის-ოციმენი (1-12 %), ლინალოლი (2-12 %), კადიმენი (15 %), კარიოფილენი (13 %-მდე), სანტალენი (7 %) წარმოადგენს.

ხასიათდება ანტისეპტიკური, შემკვრელი, ადგილობრივ-გამაღიზიანებელი, გამაუმტკივნებელი, მაანესტეზირებელი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

არომათერაპიაში გამოიყენება: გასტრიტის, კბილის ტკივილის, ხელების, ქრონიკული კოლიტის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთების დროს. ეთერზეთები სტომატოლოგიაში იხმარება როგორც გამაუმტკივნებელი და მაღეზინფიცირებელი საშუალება.

გამოყენების მეთოდებია: აპაზანები, ინჰალაცია, კომპრესები, პირის გამოვლება, შინაგანი მიღება.

### ეკალლიჭი — *Smilax excelsa* L. ოჯ. ეკალლიჭისებრნი — Fam. Smilacaceae



**მორფოლოგია:** ერთლებნიანი, მრავალწლოვანი მცოცავი ლიანაა, გრძელი, დაკლაკნილი, ოდნავ წახნაგოვანი და წახნაგებზე ეკლიანი ღეროებით, ულვაშების საშუალებით ეჭიდება ხეებს და აღწევს 30-40 მ სიმაღლეს. ფესურა მსხვილია, მოკლე, მრავალრიცხოვანი, თითქმის ცილინდრული, 2 მ-მდე სიგრძის, უმეტესად დაუტოტავი ფესვებით. ფოთლები წაწვეტებულია,

სამკუთხა-კვერცხისებრი ან მომრგვალო – კვერცხისებრი, გულისებრი ფუძითა და ოკალური დაძარღვით, დამახასიათებელი ორი ულვაშით. მცენარე ორსახლიანია; ყვავილი ერთსქესიანია, შეკრებილია უბისეულ, 4-6 ყვავილიან ქოლგებად; ყვავილსაფარი მომწვანო-მურა ფერისაა, შედგება 6 თავისუფალი ფოთოლაკისაგან. ნაყოფი 1-3 თესლიანი წითელი სფერული კენკრაა. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX..

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთურ – კავკასიურ – მცირე აზიური სახეობაა, მესამეული პერიოდის რელიქტი. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის მხარეს, მცირე აზიაში, ირანში, ყირიმში, კავკასიაში, საქართველოს ყველა რეგიონში.

იზრდება ზღვის სანაპიროზე, მთისწინებზე, ტყის სარტყელში ზ.დ. 600 მ სიმაღლეზე, სადაც ქმნის გაუვალ რაყებს, ტყის კლდე-ლორლიან, კირქვიან ეკოტოპებზე, ჭაობიან ტყეებში, კლდეებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ნორჩი ყლორტები წვნიანია, ხასიათდება მომჟავო-მომწარო გემოთი და სპეციფიური არომატით, სანელებლად გამოიყენება ნედლი სახით სხვადასხვა კერძებში. საქართველოში მოხარშული ყლორტებისაგან ამზადებენ საუკეთესო ფხალეულს; კავკასიაში დაკონსერვებულ ყლორტებს სანელებლად იყენებენ ხორციან კერძებში.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს. მოქმედი ნივთიერებებია: სტერიოდული საპონინები, გლიკოზიდები, სახამებელი, ფისები, მწარე ექსტრაქტული ნივთიერებები, სიტო-სტერინი, ორგანული მჟავები, სმილაცინი (ინდიფერენტული ნივთიერება), ნაპონია ეთერზეთები კვალის სახით.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ფესვებს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგ, ხოლო ფოთლებს, როგორც ჩირქის გამოსარწყავ საშუალებას, ფურუნგულებისა და კარბუნგულების სამკურნალოდ, შესიებული, გამაგრებული ადგილების მოსამწიფებლად.

ბოლო დროს მისი ფესვები შედის სისხლის გამწმენდ ჩაის შემადგენლობაში. ასევე ჩაის სახით რეკომენდებულია ფსორიაზის საწინააღმდეგოდ. ხელს უწყობს დეპრესიისა და

დაღლილობის გაქარწყლებას, მითითებულია ნერვული აშლილობისას, არეგულირებს სექსუალურ მოქმედებას, იწვევს სასქესო ორგანოების ფუნქციების აღდგენას, განსაკუთრებით მამაკაცის პოტენციის, აქვეითებს ქალებში მენსტრუაციის შემდგომ პრობლემებს, ხელს უწყობს ორგანიზმში პორმონალურ ბალანსს და ამაღლებს ნივთიერებათა ცვლის სიჩქარეს. პორმეოპათიაში გამოიყენება სხვადასხვა სახის გამონაყრების, ძლიერი ქავილის, ფსორიაზის, ეგზემის დროს. იყენებენ მეჭეჭებისა და ფურუნჯულების შემთხვევაშიც.

**ჟაჟუმედება:** დოზის გადაჭარბება იწვევს საკებმომნელებელი ლორწოვანი ორგანოების გაღიზიანებას.

**ელშოლცია, ელგოლცია – *Elsholtzia ciliata* (Thunb.) Hyl. (syn.: *E. cristata* Willd.)**  
**ოჯ. ტუქოსანნი – Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალაზოვანი 80 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ღერო სწორმდგომია, დატოტვილი, შებუსული. ფოთლები კვერცხისებრ-ელიფსურია, კიდედაკბილული, ძირთან გრძელწვრილ ყუნწად შეკიწროებული. ყვავილები შეკრებილია ხშირ, თავთავისებრ, ცილინდრულ, მეტნაკლებად ცალგვერდა ყვავილედებად, საყვავილე ღერძი შებუსულია; გვირგვინი

ლილისფერია, შიგნიდან მოკლედ შებუსული. ნაყოფი მუქი მურა  
პერცხისებრი კაკალია. ყვ. VII-VIII; ნაკ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივი არეალი  
მოიცავს ავღანეთს, ჩინეთს, მონღოლეთს, ინდოჩინეთს,  
მალაიზიას. რუსეთის ტერიტორიაზე იზრდება დასავლეთ  
ციმბირიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. ნატურალიზებულია და  
კულტივირებული ევროპაში, ჩრდილო ამერიკაში და აზიის დიდ  
ნაწილში.

იზრდება მდინარეების ნაპირებზე, ბალებსა და ბოსტნებში,  
ნათესებში სარეველას სახით.

ცნობილია ვიეტნამური ბალზამისა და სურნელოვანი პიტნის  
სახელითაც.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ელშოლცია ხასიათდება ლიმონის  
ნაზი, დახვეწილი არომატით, პილპილისა და ვაშლის ნოტით.  
კულინარიაში სანელებლის სახით გამოიყენება გამშრალი  
ყვავილები და კოკინები. ნედლ ნორჩ ფოთლებს ხმარობენ  
სალათებსა და ბოსტნეულ კერძებში; სანელებლით კაზმავენ  
ხორციან ფარშს, შინაურ ძეხვეულსა და პაშტეტებს, ყველს,  
შებოლლილ ხორცს. ბალაზი არომატიზაციისათვის იხმარება  
თევზეულის კერძებში, წვინიანებსა და სოუსებში, ხილისა და რძის  
დესერტებში, უალკოჰოლო სასმელებში. სანელებელი იმით  
გამოირჩევა, რომ ოერმული დამუშავებისას კერძს არ აძლევს  
სიმწარეს და შეიძლება მისი დიდი რაოდენობით გამოყენება.

მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს ვიტამინებს,  
მაკროელემენტებს, ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, რომლებიც  
გაჯერებულია კარბონული მჟავებით; ეთერზეთები ყვითელი  
გამჭვირვალე სითხეა, თავისებური სპეციფიური სუნით.

ხასიათდება ამოსახველებელი, შარდმდენი, ანტიბაქტერიული და  
დამამშვიდებელი მოქმედებით. სამედიცინო პრაქტიკაში ნაყენებსა  
და ნახარშებს იყენებენ ბრონქიტის, კუჭის აშლილობის, მუცლის  
ღრუში სპაზმების ღროს, შარდის ბუმტის ანთების სამკურნალოდ,  
აგრეთვე მაღის გამამლიერებლად. გარეგანად – პირის ღრუსა და  
ყელის გამოსავლებად, ჭრილობების შემახორცებლად.

**ვანილი — *Vanilla planifolia* Andr.**  
**ოჯ. ჯადვარისებრნი — Fam. Orchidaceae**



**მორფოლოგია:** ერთლებნიანი ლიანაა, ძლიერ გრძელი, ხეებზე მაღლა მცოცავი ბალახოვანი ღეროთი, რომელიც მრავალრიცხოვან საპაერო ფესვებს ინვითარებს. ფოთლები წვნიანია, მოგრძო-ელიფსური, რკალისებრი დაძარღვით. ყვავილები მტევნებადაა შეკრებილი, მოყვითალო-მწვანეა; ყვავილსაფარი შედგება ხუთი მოგრძო ფოთოლაკისაგან, ხოლო მექქსე - წარმოქმნის ტუჩს, რომელიც მიღადაა დახვეული; შეიცავს ერთ მტვრიანასა და ბუტკოს, რაც ართულებს დამტვრვას, რომელიც სამშობლოში განსაკუთრებული პეპლების საშუალებით წარმოებს, კულტურაში კი ხელოვნურ დამტვრვას მიმართავნ; ნასკვი ქვედაა, წარმოქმნის გრძელ, ვიწრო ნაყოფს. ნაყოფი წვნიანი კოლოფია; აგროვებს მოუმწიფარს, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ამწიფებენ, შემდეგ ხდება მათი ფერმენტაცია და ბოლოს გაშრობა. გასაყიდი საქონელი დანაოჭებული, მუქი მურა ფერის, გრძელი და ვიწრო კოლოფებია (აქედანაა სახელწილება “ვანილის ჯოხები”) ძლიერ სასიამოვნო არომატული სურნელებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ვანილი მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ტროპიკული ტყეების ლიანაა; კულტივირებულია მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში: მადაგასკარში, ზანზიბარში, იავაში, შრი-ლანკასა და მასკარენიის კუნძულებზე. აცტეკებმა ვანილის გემოვნებითი და სამკურნალო თვისებები

ახალი ქვეყნის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე გამოიყენეს. ქრისტეფორე კოლუმბი და მისი თანამებრძოლები პირველი ევროპელები იყვნენ, რომლებმაც დირსეულად შეაფასეს იგი; 1502 წ. თანამედროვე ნიკარაგუას ტერიტორიაზე აბორიგენებმა მათ მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად შოკოლადითა და ვანილით სავსე თასი მიართეს. ბუნებრივია, ამერიკაში ესპანელების პირველი მოგზაურობის შემდგომ ვანილი ჩამოიტანეს ჯერ ესპანეთში, მოგვიანებით გავრცელდა იტალიასა და ავსტრიაში. ევროპის დიდი ნაწილი ამ მცენარეს გაეცნო XIX ს-ის დასაწყისში. სადღეისოდ კულტივირებულია მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში, ხოლო ყველაზე მსხვილმწარმოებლად ითვლება მაღავასკარი, ინდონეზია, ჩინეთი, მექსიკა, აშშ (ფლორიდა), ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის რიგი სხვა ქვეყნები.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ვანილის ხარისხის კრიტერიუმებს შორის პირველი ადგილი უკავია ნაყოფების (ჭოტი) სიგრძეს, რაც უფრო გრძელია - მით უფრო ძვირფასია. საუკეთესოდ ითვლება მექსიკური ვანილი, მას მოჰყვება ბურბონისა და ცეილონის. ნაყოფებს აგროვებენ მოუმწიფებელს მხოლოდ ხელით; ახლად შეგროვილი ნაყოფი უსუნოა, სურნელი წარმოიქმნება სპეციფიკური დამუშავების შემდეგ. ახლად შეგროვილი ნაყოფი შეიცავს უსუნო გლიკოზიდს – გლუკოვანილინს, მხოლოდ ფერმენტაციისას იხლიჩება გლუკოზად და თავისუფალ ალდეჰიდ – ვანილინად, რომლისთვისაცაა დამახასიათებელი ძლიერი, სურნელოვანი არომატი. ვანილის ეთერზეთები შეიცავს ანისის სპირტსა და ალდეჰიდს, დარიჩინის ეთერებსა და სხვა სურნელოვან ნივთიერებებს, რომლებიც ვანილს მეტად სასიამოვნო სურნელით ამობს.

ყველა დროში ვანილი ითვლებოდა ყველაზე ძვირფას სანელებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს კვებით მრეწველობაში, სადაც მას წმირად ცვლიან უფრო იაფი, ნაკლებად სასიამოვნო სურნელის მქონე სინთეტიკური ვანილინით. მას უმატებენ შოკოლადებსა და სხვა კაკაოს შემცველ პროდუქტებს,

ბისკვიტებს, ნაყენებს, კრემებს, კანფეტებს, ალკოჰოლურ მრეწველობაში - ლიქიორებს.

ვანილი და მასში შემავალი ეთერზეთები ფართოდ გამოიყენება არომათერაპიაში და მასაჟისტთა სალონებში, სამკურნალო პრეპარატების წარმოებაში, წამლების არომატიზაციისათვის; შედის გალენური პრეპარატების შემაღენლობაში. ნატურალური ვანილი ძლიერი აფროდიზიაკია, მას იყენებენ პოტენციის ასამაღლებლად, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში. მარგებელია სტრესებისა და დეპრესიის შემთხვევაში, ამაღლებს შრომისუნარიანობას, აუმჯობესებს მაღას, აწესრიგებს საკვებმომნელებელი სისტემის მოქმედებას, ებმარება უძილობისას, ანეიტრალებს ალკოჰოლის მრავალ მავნე მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, ახდენს სისხლში შაქრის დონის სტაბილიზირებას, ხსნის წინამენტრუალური სინდრომის ტკიფილებს, ხელს უწყობს რელაქსაციას, ხსნის გაღიზიანებას და აუმჯობესებს გუნება-განწყობას.

ხალხურ მედიცინაში ვანილი და მისი ეთერზეთები გამოიყენება უძილობის, ნერვული სისტემის მოშლის, მეტეორიზმის, ანემიის, კოლიტის, შაქრიანი დიაბეტის, რევმატიზმის, კლიმაქტიურიული დარღვევების დროს; ხელს უწყობს საკვების მონელების ნორმალიზებას. გამოიყენება კოსმეტოლოგიაშიც, მასში შემავალი ეთერზეთები ამცირებს კანის გაღიზიანებასა და ანთებას, იწვევს მის დარბილებას და ელასტიურობას.

**ვარდკაჭაჭა — *Cichorium intybus* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანნი (ასტრასებრნი)**  
**Fam. Compositae (Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ორწლოვანი 100 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფოთლები მთლიანია ან ფრთისებრგანკვეთილი; ფესვთანური - მსხვილია, ღეროსეული - უფრო წვრილი. ზედა ფოთლების იღლიებში ვითარდება მოკლე გვერდითი ყლორტები, რომლებიც ბოლოვდება 3 - 4 სმ დიამეტრის 1-3 კალათით. საბურველი მწვანეა, ორმწკრივიანი, ყველა ყვავილი ენისებრია, ცისფერი, ორსქესიანი. ნაყოფი თესლურაა, უქოჩრო, წვრილი. ყვ. VI—IX; ნაყ. VIII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად გავრცელებულია მთელ ევროპაში, კავკასიაში, დასავლეთ ციმბირსა და შუა აზიაში. იზრდება მდელოებზე, გზის პირებზე, დასახლებულ ადგილებში, მიტოვებულ დაუმუშავებელ ნაკვეთებზე. კულტურაში შეტანილია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში; მოპყავდათ ჯერ კიდევ ძველ რომში. ამჟამად, განსაკუთრებით ფართოდაა კულტივირებული ბელგიაში, გერმანიაში, აშშ-ში, რუსეთში, ბელორუსში, უკრაინაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ტექნიკური და საკვები მცენარეა,

ხასიათდება თავისებური მომწარო-მწელარტე გემოთი. ნედლი ფოთლები სასალათედ გამოიყენება; სანელებლის სახით იყენებენ წვნიანებსა და სხვადასხვა კერძებში. XVI ს-ში დაიწყეს მისი უესების გამოყენება ყავის სუროგატად, რაც დღემდე გრძელდება, უმატებენ სხვადასხვა სახის სასმელებსაც. უესებისგან მიიღება სპირტი და შაქარი.

შეიცავს პოლისაქარიდ ინულინს, ფრუქტოზას, მწარე ნივთიერება ინტიბინს, ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, E), ქოლინს, ცილებს, ცხიმებს, პექტინოვნებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, მინერალურ მარილებსა და დიდი რაოდენობით მაკროელემენტებს.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ნათქვამია, რომ ვარდგაჭაჭას წვენი ფეტვის ფქვილში მოზელილი (“ტლე-მალამო”) იხმარებოდა ყოველგვარი სიმსივნის დასაცხრობად, ღვიძლის ტკივილისას გარედან შემოსადებად; აღნიშნულია, რომ “ვინც ეს მცენარე მარილთან ჭამოს, დორბლისა და წყლის დენას შველისო”. მოხსენიებულია როგორც შარლმდენი, მადის მოძგვრელი და საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი საშუალება.

ხასიათდება ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ნაღველმდენი, დამაშვიდებელი, შარდმდენი, შემომგარსავი, მადის აღმძვრელი, კარდიოტონური მოქმედებით.

მედიცინაში იხმარება დიაბეტის, გასტრიტის, ენტეროკოლიტის, ქოლეცისტიტის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთებითი პროცესებისა და შარდსალინარი გზების დაავადებების, ათეროსკლეროზის, მინერალური მარილების ცვლის დარღვევების, ნიკრისის ქარის, სახსრების ტკივილის, ნევროზების, ისტერიის, ასთენის, კანის გამონაყრების, ფურუნგულების, მუწუკებისა და ჩირქოვანი ჭრილობების დროს. ვარდგაჭაჭას ბალაზის წვენის მიღება ხელს უწყობს მხედველობის აღდგენას.

**ვასაბი ან იაპონური ევტრემა**  
**Eutrema japonicum (Miq.) Koidz. (syn.: Wasabia japonica**  
**(Miq.) Matsum.)**  
**ოჯ. ჯვაროსანი (კომბოსტოსებრნი) — Fam. Cruciferae**  
**(Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, მარტივი შეფოთლილი, მხოხავი ან ნახევრადწამოწეული ღეროთი, აღწევს 45 სმ სიმაღლეს. ფოთლები მომრგვალოა ან გულისებრი, გრძელი ყუნწითა და დაკბილული კიდეებით, ღეროს ქვედა ნაწილში უფრო დიდი ზომისაა; წვეროსეული ფოთლები ხშირად ნაკვთებადაა დაყოფილი. ყვავილი წვრილია, თანავევილებით, შეკრებილია წვეროსეულ მტევნებად; გვირგვინის ფურცლები თეთრია, წაგრძელებული ფრჩხილით. ნაყოფი ჭოტია რვა თესლით. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო იაპონიაა. ნამდვილი ვასაბი, როგორც მას უწოდებენ, იშვიათ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, იზრდება მხოლოდ იაპონიის გამდინარე წყლებში და  $10-17^{\circ}$  ტემპერატურაზე, რის გამოც მაღალლირებულია და ძვირად ფასობს.

მცენარე გარდა იაპონიისა, კულტივირებულია ტაივანში, ჩინეთში, კორეაში, ახალ ზელანდიასა და აშშ-ში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ვასაბის “იაპონურ პირშუშხასაც” უწოდებენ. ფესვებს სანელებლად გახეხილი სახით იყენებენ 1396 წლიდან იაპონიის სიდზუოკის რაიონში, საიდანაც გავრცელდა

სხვა რეგიონებშიც. მშრალი და დაქუცმაცებული ფესურა ხასიათდება ძლიერი მკეთრი სურნელით. მისი სიმწვავე უფრო მწვავე მდოგვის მსგავსია, ვიდრე მწვავე წიწაკის და ახდენს უფრო მეტად ცხვირის სადენების სტიმულირებას, ვიდრე ენის. მის დასამზადებლად გამოიყენება 3-4 წლიანი ფესვები. სანელებელ “ვასაბის” გარეშე ფაქტიურად იაპონიის სამზარეულოში არც ერთი კერძი არ მზადდება. განსაკუთრებით პოპულარულია სანელებელი ნედლ თევზთან ერთად, რაც აისხნება ვასაბის ძლიერი ანტიმიკრობული თვისებებით. უფრო ხშირად მას ურევენ სოიოს სოუსეს, ან ბრინჯის ნახარშს, წერილი ზოლის სახით რთავენ სალათებს, კერძებს. საზღვარგარეთის რესტორნებში მისი სიძვირიდან გამომდინარე იყენებენ ვასაბის იმიტაციას - პირშეშხას, სხვდასხვა სანელებლებისა და საკვები საღებავების დამატებით.

განსაკუთრებული ნივთიერებების – იზოთიოციანიტების წყალობით, ხელს უშლის კბილის ემალის რღვევას; გამოკვლევებით დადგენილია, რომ ეს ნივთიერება ამუხრუჭებს ბაქტერიის – *Streptococcus nutans* - ის ზრდას, რომელიც კარიეზის გამომწვევია. ამ ნივთიერებებიდან გამომდინარე დადებითად მიიჩნევენ მის გამოიყენებას კიბოს სიმსივნეების საწინააღმდეგოდ. ასევე ცნობილია ტრომბების წარმოქმნის დათრგუნვის მისი უნარი, ასრულებს ანტიასმატური კომპონენტის როლსაც.

ვაშლის ან ანისულის პიტნა – *Mentha rotundifolia* (L.) Huds.

ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiateae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი, ჰიბრიდული წარმოშობის მცენარეა, გვარი პიტნის (*Mentha*) ორ სახეობას (*Mentha longifolia* Huds. x *M. suaveolens* Ehrh.) შორის. ფოთლები ღიძი ზომისაა, მომრგვალო ფორმის, კიდეზაოჭა. ყვავილები ისფერი შეფერილობისაა, შეკრებილია გრძელ საგველასებრ ყვავილედებად.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** წარმოშობის ცენტრად ეგვიპტესა და მცირე აზიას მიიჩნევენ. გავრცელებულია სამხრეთ, შუა ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში. ცნობილია ეგვიპტური პიტნის, ოქროს პიტნის, ველური ბალზამის, საკონდიტრო პიტნის სახელითაც.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ხასიათდება ნაზი, დაზვეწილი, რბილი სურნელოვანი არომატით და გემოვნებით; გამოყენებისას, პიტნის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით საერთოდ არ იძლევა გაგრილების ეფექტს, თერმული დამუშავებისას კი სიმწარეს, რის გამოც იყენებენ ტებილი კერძების (კომპოტები, კისელი, მურაბები, უელე), სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმის, ტებილი დეკონსის შიგთავსის სანელებლად.

ვიეტნამური ქინდი – *Persicaria odorata* (Lour.) Sojak. (syn.:  
*Polygonum odoratum* Lour.)  
ოჯ. მატიტელასებრნი — Fam. Polygonaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი ფესურით. ფოთოლი ლანცეტაა ან მოგრძო ლანცეტა, ზედა ფოთლები მჯდომარეა, მუქი მწვანე, წაბლისფერი ლაქებით, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ბორდოსფერი. ყვავილები პატარა ზომისაა, ვარდისფერი, შეკრებილია მრავალყვავილიან სწორმდგომ, იშვიათად ოდნავ თავდახრილ მტევნებად. ნაყოფი ყავისფერია, სამწახნავოვანი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ვიეტნამია, იზრდება ტროპიკული და სუბტროპიკული ზონების თბილ და ტერიტორიაზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები გამოირჩევა მკვეთრი სურნელით, რომელიც მისი დასრულების შემდეგ დიდხანს რჩება ხელზე. ნაყოფების არომატი – თბილია, ძლიერი, ნიგზის მსგავსი სურნელის. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამზარეულოს ერთ-ერთი ძირითადი კომბონენტია, სადაც ჩვეულებრივ ნედლი სახით გამოიყენება სასალათედ, კარგად ეხამება თევზს, შემწვარ და ჩაშუშულ ხორცს (განსაკუთრებით ცხვრისას), ლობიოსა და სხვა პარკოსნებს, კომბოსტოს. მას უმატებენ დასამწნილებელ კომბოსტოს, პომიდორს, დამარილებულ და დამწნილებულ სოკოებს, შინაურ ძეხვეულს. თესლები შედის მწვავე სანელებელი

ნაკრებების შემადგენლობაში. მისგან ამზადებენ ჩაის, ბურახს, თაფლის სასმელს. ამ სანელებლის მარცვლები ფართოდ გამოიყენება ბოროდინოსა და სხვადასხვა ზარისხის პურის დასამზადებლად.

წარმოადგენს ეთერზეთების მიღების წყაროს. ამ მიმართულებით მიმდინარეობს კვლევები ავსტრალიაში. ვიეტნამში მიიჩნევენ სექსუალური მოთხოვნილების დამთრგუნველ საშუალებად, რის გამოც, ადგილობრივი ბერები რგავენ სამონასტრო ნაკვეთებზე საკვებად ფართოდ გამოყენების მიზნით.

**ზაფრანა — *Crocus sativus* L.  
ოჯ. ზამბაზისებრნი — Fam. Iridaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, კულტურული, 15-20 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, თითქმის სფერული, ძირში შებრტყელებული 2,5 სმ სიგანის, ბაცი-მურა, შშრალი ქერქლებით შემოვლებული ტუბერბოლქვით. ფოთლები ყვავილებთან ერთად ან მათი გადაყვავილების შემდეგ ვითარდება; ფოთოლი ვიწრო ხაზურია, მუქი მწვანე, პრიალა, ორი თეთრი ზოლითა და ბაცი შუა ნაკვთით, 15-20 სმ სიგრძისა და 0,2-0,3 სმ სიგანის, 6-9 ცალი. საყვავილე ისარი მარტოულია, იშვიათად ორი; ყვავილი 1-2, სურნელოვანი, ორსქესიანი; ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, იისფერი ან ლილისფერი, მუქი ძარღვებით, სწორი, ძაბრისებრი, ფურცლებშეზრდილი, 6 გადანაღუნითა და გრძელი ცილინდრული მიღით, რომელიც

ნიადაგში ნახევრადაა ჩაფლული; მტკრიანა - 3, მუქი ნარინჯისფერი. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, წვრილი, თითქმის სფერული თესლით. კვ. IX-X. იშვიათად თესლმსხმოიარობს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** მიეკუთვნება უძველეს მცენარეთა რიცხვს. სამშობლო აღმოსავლეთ-შელთაშუაზღვეთია. ველურად არ გვხვდება. წინაპარ ფორმებად ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთის ოლქებში მოზარდ სახეობებს *Crocus cartwrightianus* Herbert და *C. pallassi* Gold.- ს ბიიჩნევებ. კულტურაში ცნობილია ახ.წ.-აღ.-მდე 2000 წლით ადრე წინა აზიის (სირია, პალესტინა და სხვ.) ხალხებში, სადაც გამოიყენებოდა მედიცინაში, სანელებლებად, მიცვალებულების ბალზამირებისათვის. ჯვაროსნული ომების შემდგომ მისი კულტურა ვრცელდება სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში; განსაკუთრებით ფართოდ მოჰყავთ ინდიეთში, პაკისტანში, ჩინეთსა და სამხრეთ ევროპაში. ასევე უძველესი დროიდანაა კულტივირებული აზერბაიჯანში, აფშერონის ნახევარკუნძულზე, სადაც ირანიდან იქნა გადატანილი.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელი და სამკურნალო ნედლეულია დინგი (*Flores Croci, Stigmata Croci*), რომელსაც გაშლილი ყვავილებიდან დილის 10-11 საათზე აგროვებენ; აშრობენ სპეციალურ საშრობებში 45-50° ტემპერატურაზე. დამზადება შრომატევადია, 1 კგ ნედლეულის მისაღებად 200000 დინგია საჭირო. კაშკაშა ნარინჯისფერ-წითელი დინგი ხასიათდება ძლიერი სურნელით და სპეციფიური გემოვნებით. შეიცავს კროცინს - გლიკოზიდური ხასიათის ყვითელ საღებავ ნივთიერებას, რომელიც იხსნება წყალსა და სპირტში. იხმარება კვებით მრეწველობაში. მის სასარგებლო თვისებებს იცნობდნენ ჩვენს ერამდე დიდი წნით ადრე, აქვს რა მკვეთრად გამოხატული სურნელი და გემოვნება, ზაფრანა სხვა სანელებლებთან შეუთავსებელია. მას უმატებენ აღმოსავლეურ ბრინჯის ტკბილ ფლავს, სხვადასხვაგვარ ხორცეულ კერძებსა და დესერტებს, სამელებსა და მწნილებს. არის ბუნებრივი საღებავი, ამ მიმართულებით ფართოდ გამოიყენება კვებით მრეწველობაში. უძველესი დროიდანვე იყენებდნენ არა მხოლოდ კულინარიაში.

სამკურნალო ტექსტებში, რომლებიც დათარიღებულია ა.წ.წ.ად.-  
მდე 1500 წლით, არის ცნობები ამ მცენარის სამკურნალო  
მნიშვნელობაზე. ძველ დროში მას იყენებდნენ კატარაქტის  
სამკურნალოდ, შხამების საწინააღმდეგოდ, როგორც  
აფროდიზიაცსა და საერთოგამაჯანსაღებელ საშუალებას.  
გამოთვლილია, რომ შედის აღმოსავლური მედიცინის 300-ზე მეტ  
ნაკრებებსა და სამკურნალო მაღამოების შემადგენლობაში.  
სადღეისოდ რჩება აქტუალურად რიგი დაავადებების  
სამკურნალოდ - თვალის, გინეკოლოგიურის; ხოლო  
არომათერაპიაში ზაფრანის ეთერზეთები გამოიყენება სასუნთქი  
ორგანოების სამკურნალოდ, ძილის პრობლემების  
მოსავარებლად.

ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი, ოფლმდენი,  
კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ანტიკანცეროგენური და  
ანტიმუტაგენური მოქმედებით. აძლიერებს მაღას და ხელს  
უწყობს საკვებმომნელებელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას,  
ასეფთავებს თირკმელებსა და შარდის ბუშტს, ხსნის ნაბახუსევის  
სინდრომს. სასარგებლოა თირკმელების, გულ-სისხლძარღვთა,  
სასუნთქი და ნერვული სისტემის დაავადებების, ხველებისა და  
ყივანახველის დროს.

ზაფრანა კოსმეტოლოგიაშიც ფართოდ გამოიყენება როგორც  
კეთილსურნელოვანი და სამკურნალო საშუალება, შედის  
ყველაზე ეფექტურ კოსმეტიკურ ინგრედიენტებში (ლოსიონები,  
ნიღბები, კრემები, საფენები), რომელიც ხელს უწყობს კანის  
სიმკვრივის, ფერისა და მდგომარეობის გაუმჯობესას, ნაოჭების  
გასწორებას; ხსნის კანის გაღიზიანებას, ხდის მას უფრო  
რბილსა და ნაზს.

**ზეთისხილი, ზეთის ხე — *Olea europaea* L.  
ოჯ. ზეთისხილისებრნი — Fam. Oleaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 5-6 მ სიმაღლის ხეა ირიბი ტანით. ფოთლები მოპირისპირება, ვიწროლანცეტა, მახვილი ან ბლავი, კიდემთლიანი, 5-10 სმ სიგრძისა და 1-2 სმ სიგანის, ტყავისებრი, ქვედა მხრიდან - მონაცრისფრო ვერცხლისფერი. ყვავილები - მრავალყვავილიანი მტევნანი ან საგველაა, განწყობილია გასული წლის, იშვიათად მიმდინარე წლის ყლორტების იღლიებში; ყვავილები 3-5 მმ სიგრძისაა, ორსქესიანი ან ცალსქესიანები, სურნელოვანი. ჯამი აკისებრია, ზარისებრი, გვირგვინი მოთეთრო ან მომწვანოა, 4 გადალუნული ნაკვთით. ნაყოფი - შავი ან მუქი-ისფერი კურკაა, ხორცოვანი ნაყოფსაფრითა და სქელქერქიანი კურკით. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. კულტურაში შეტანილია შორეულ წარსულში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, საიდანაც გავრცელდა მთელ ხმელთაშუაზღვეთში; მოჰკავდათ ძეგლ ეგვიპტეშიც. ასევე დიდი ხნით ადრე ა.წ.წ.აღ.- მდე იქნა დანერგილი კავკასიასა და ყირიმში. სადღეისოდ ფართოდაა კულტივირებული ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია მისი მოშენება (სამხრეთ და ჩრდ. ამერიკა, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, აფრიკა, ინდოეთი, ავსტრალია, აზერბაიჯანი, საქართველო). საერთო ფართობი 7 მილიონ ჰა აღმატება, ხოლო ნაყოფის მოსავლიანობა 8,5 მილიონ ტონას შეადგენს. ზეთისხილისაგან მიღებული ძირითადი

პროდუქტი ზეთია, მსოფლიოს საერთო მოსავლის 90% მასზე მოდის. **მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ზეთოვანი და ხეხილოვანი კულტურაა. ნაყოფებს საკვებად იყენებენ დამარილებული და მწნილის სახით (წინასწარ სცილდება ოლეუროპეინი). სრულად მომწიფებული ნაყოფების სუსტი დაწნებვით მიიღება მსოფლიოში საუკეთესო მცენარეული ზეთი – პროვანსალი, რომელიც გამოიყენება სალათებში და მედიცინაში. უფრო ძლიერი დაწნებვით მიიღება ასევე საკვები ზეთისხილის ზეთი, რომელიც საკონსერვო წარმოებაში იხმარება, უხეში ცხელი დაწნებვით კი ღებულობენ შესანიშნავ ტექნიკურ “ხის” ზეთს. დაკონსერვებული ნაყოფები გამოიჩინა პიკანტური გემოთი, დელიკატურია, წარმოადგენს საუზმისა და საკვები პროდუქტების ასორტიმენტის დანამატს.

წენიანი ნაყოფსაფარი შეიცავს 75,3 მგ% წყალს, 1 მგ% ცილებს, 15,3 მგ% ცხიმებს, 0,8 მგ% ნახშირწყლებს, 3,3 მგ% უჯრედისს, ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, E, K, ქოლინი), მაკროელემენტებს (K, Ca, Mg, Na, P), მიკროელემენტებს (Fe, Cu, Se, Zn); თესლები - 12 მგ%-მდე ტექნიკურ ზეთებს. ნაყოფების რბილობში აღინიშნება მწარე გლიკოზიდი ოლეუროპეინი (2-10 მგ%). ზეთისხილის ზეთი გამოიყენება კვებით მრეწველობაში დელიკატური თევზეულის (შპროტი, სარდინები) კონსერვების წარმოებაში. ნაყოფები (მწვანე და შავი) ფართოდ გამოიყენება საკონსერვო მრეწველობაში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა ზეთისხილის ზეთი თირკმელებისა და თემოს ტკივილის დროს დასაზელად. ფოთლებს ხმარობდნენ აბაზანებისათვის, უმთავრესად სწორი ნაწლავის დაზიანების ან გამოვარდნის შემთხვევაში. მმარში მოხარშულ ფოთოლს სთავაზობდნენ პირში დასაგუბებლად ცუდი სუნის მოშორების მიზნით; ზეთი შედიოდა გარეგანად დასაზელი სხვადასხვა მალამოს შემაღებლობაშიც.

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენს იყენებენ ქოშინის, პიპერტონიისა და შარდმდენ საშუალებად.

ოფიცინალურ მედიცინაში ზეთი გამოიყენება სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად; უნიშნავენ

საკვებმომნელებელი სისტემის, ნაღველკენჭოვანი დაავადებების, მხედველობის დარღვევის, ართრიტის, ნიკრისის ქარის, ოსტეოზონდროზის, ქალის სასქესო ფუნქციების დარღვევების, ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობების დროს. მათში შემავალი ანტიოქსიდანტები, უჯერი ცხიძოვანი მჟავები ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის დონის ნორმაში შენარჩუნებას, ნაყოფის ჩასახვას; ხელს უშლის ათეროსკლეროზის, ინფარქტის, ინსულტის და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებების განვითარებას, აბრკოლებს ნაადრევ სიბერეს და წარმოადგენს საუკეთესო პროფილაქტიკურ საშუალებას ონკოლოგიური დაავადებებისას.

**უკუქმედება:** დიეტოლოგების მტკიცებით ზეთს საერთოდ არ გააჩნია უკუქმედებები; ამავდროულად მისი ნაღველმდენი მოქმედებიდან გამომდინარე, ხშირი მიღება უკუმაჩვენებელია ქოლეცისტიტის დროს.

### თავშავა – *Origanum vulgare L.* ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა, 20-50 სმ სიმაღლის სწორი, ხშირად ძირიდან დატოტვილი, შეფოთლილი

ღეროთი. ფოთლები მოკლეყუნწიანია, კვერცხისებრი ფორმის, კიდემთლიანი ან არათანაბრად მრგვალყბილა, ბლაგვწერიანი, 3(2-5) წყვილი, რკალისებრი, ქვედა მხარეს ნაკლებად გამოსახული ფრთისებრი დაძარღვით, ღეროს კენწეროსკენ განწყობილი ფოთლები შემცირებულია; თანაყვავილები მჯდომარეა, ხშირად მეტ-ნაკლებად მეწამული ფერის, იშვიათად მწვანე, მეტწილად შიშველი. ყვავილები ორსქესიანია და ბუტკოანი, განწყობილია სხვადასხვა მცენარეზე, მოკლე ყუნწიანია, 1-3 ყვავილიანი, მჯდომარე დიქოზიუმები შეკრებილია პატარა ზომის თავაკისებრ ყვავილედებად, რომლებიც თავის მხრივ შეკრებილია პირამიდულ ფარისებრ საგველად; გვირგვინის ფურცლები ღარ მოყავისფრო-წითელია ხორცისფერ წითლამდე, ზოგჯერ ჭუჭყისფერ-თეთრი, გვირგვინის მილი ზარისებრია, აღემატება ჯამს. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებრი კაკლუჭაა, გლუვი, მურა ფერის. ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბურებრივად გავრცელებულია დასავლეთ და შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთში, მცირე აზიაში, ირანში, ჰიმალაიზე, ტაივანსა და ჩინდილო ამერიკაში, საქართველოს ყველა რაიონში. იზრდება მთის წინებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში, ბურებრივადში, მდელოებზე, ტყისპირებზე, სტეპებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** თავშავას მშრალი ყვავილედები და ფოთლები ნაზი, გამაგრილებელი, მომწარო-ტკბილი არომატით ხასიათდება. ნედლი ფოთლები, რომელსაც იტალიაში სალათებსა და სოუსებს უმატებსნ, მეტი სიმწვავით და სუსტი სიმწარით გამოირჩევა. იტალიურ სამზარეულოში, უფრო ხშირად უმატებენ ბოსტნეულს, სოკოსა და ყველის კერძებს, კერძოდ პიცას. მისით ანელებენ პომიდვრის კერძებს, როგორც ნედლს, ასევე ჩათუთქულს (არომატი ნაზია და უკეთ ინახება). ის, რომ თავშავას ბალაზდამატებული პროდუქტები უკეთ ინახება, იცოდნენ არა მარტო იტალიაში, არამედ რუსეთსა და უკრაინაშიც; მოყვავილე ტოტებს უმატებდნენ კომბოსტოს, სოკოსა და კიტრის მწნილებს, მისგან ამზადებდნენ ბურახს, თაფლს, ლუდს. კავკასიასა და გერმანიაში თავშავის ბალაზით ანელებდნენ შემწვარ და მოხარშულ ხორცს, ძეხვეულს, უმატებდნენ ბულიონებს

მხოლოდ არომატისათვის – ხელს უწყობს მძიმე კერძის უკეთ ათვისებას. ფრანგულ სამზარეულოში იყენებენ სოუსების, პაშტეტებისა და ომლეტების შესაკაზმავად, უხდება თევზეულსაც, სასიამოვნო ნაზი არომატის მისაცემად უმატებენ მცენარეულ ზეთებს და ძმარს.

მისგან დამზადებული ჩაი კი გამოცდილი საშუალებაა გაციების საწინააღმდეგოდ.

ბალაზის შემადგენლობაში შედის დიდი რაოდენობით კარგაკროლი, რომელიც თავის მოქმედებით აჭარბებს არსებულ მრავალ ანტიბიოტიკებსა და ანტიჰისტამინურ პრეპარატებს.

ფართოდ გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში. ხასიათდება მაღალი ანტიბაქტერიული აქტივობით, ამჟღავნებს ანტისეპტიკურ და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, არის ტკივილგამაყუჩებელი, საერთოგამაძლიერებელი, მაღალ მედიცინური მედიცინული, ოფლმდენი, ამოსახველებელი, გულისრევის საწინააღმდეგო, ვიტამინიზირებული, დამაშვიდებელი, ჰემოსტატიკური, შარდმდნი, ქარმდენი და ჭიისმდენი მოქმედების.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ხველების, მაღალი ტემპერატურის (ციებ-ცხელება), შეშუპების, მუცლის ტკივილების (სპაზმები, ჭვლები) დროს. ნაყენით მკურნალობდნენ მენსტრუაციული ციკლის დარღვევებს და უნაყოფო ქალებს. მისი პრეპარატები გამოიყენება ნევროზების, ეპილეპსიის, დამბლის, ისტერიის, უძილობის, ათეროსკლეროზის, პიპერტონიული დაავადებების, კლიმაქტიურიულ პერიოდში ნევროზების, კუჭნაწლავის სპაზმის, ათონური ყაბზობის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ. თავშავა შედის გულმკერდის, ოფლმდენი და ქარმდენი ნაკრებების შემაღებლობაში, გამოიყენება რესპირატორული ინფექციების, მწვავე ბრონქიტის, ბრონქოექტატიკური და საკებებმომზელებელი ორგანოების დაავადებების, ფილტვების ტუბერკულოზის დროს.

**უკუქმედება:** თავშავის გამოყენებისას სიფრთხილე მართებთ უეხმიდის ქალებს, შესაძლებელია გამოიწვიოს საშვილოსნოდან სისხლდენა და ნაადრევი მმობიარობა.

**თამარინდი — *Tamarindus indica* L.**  
**ოჯ. პარკოსანი — Fam. Legumonosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მაღალი მარადმწვანე ხეა მორიგეობით განლაგებული ფრთისებრი ფოთლებით. ყვავილები მოყვითალო შეფერილობისაა, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფები მოყვითალო-მურა შეფერილობის მოხრილი, ბოლოში წარმოქმნილი პარკია, საკმაოდ მყიფე გარსით; პარკის შიგნით თეთრი რბილობია — პულპა, მრავალრიცხოვანი მკვრივი ყვავისფერი თესლით. მომწიფებასთან ერთად პულპა იძენს მოწითალო-ყავისფერ შეფერილობას.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** აღნიშნული სახეობა გვარი *Tamarindus* — ის ერთადერთი წარმომადგენელია, სამშობლო აღმოსავლეთ აზრიკაა (მაღაგასკარის მშრალი ფოთლოვანი ტყეები). სადღეისოდ ბუნებრივად იზრდება მხოლოდ სუდანში, მაგრამ ფართოდაა კულტივირებული ტროპიკული აზიის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე, სადაც ათასეული წლებია რაც მოჰყავთ.

მას ინდურ ფინიკსაც უწოდებენ.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფის პულპა საკვებად გამოიყენება და მეტად პოპულარულია. ორიგინალური ნაზი გემოდან გამომდინარე აზიურ და ლათინური ამერიკის სამხარეულოში იხმარება ეროვნული კერძების სანელებლად. ინგლისში მნიშვნელოვანი ინგრედიენტია ცნობილი ვუსტერისა და ხილის სოუსების; ინდოეთსა და ინდონეზიაში მას იყენებენ სხვადასხვა სანელებლის ნაკრებებში, სოუსებში, პასტებში;

უმატებენ ბრინჯს, ბოსტნეულის და ოსპის წვნიანებს, ცხვრის, ხბოს, ქათმის კერძებს.

უმწიფარი ნაყოფების პულპა ხასიათდება ძლიერი მჟავე გემოთი და მისგან ამზადებენ მხოლოდ მწვავე კერძებს, მომწიფებული ნაყოფები კი ბევრად ტებილია და კარგია დესერტების, კანფეტების, ნაყინისა და სასმელებისათვის. სანელებელი იყიდება მთელ მსოფლიოში აღმოსავლურ მაღაზიებში და მისი შეძენა შესაძლებელია შშრალი, დაშაქრული, დამარილებული, გაყინული, დაპრესილი სახით, იშვიათად თხევადი კონცენტრატების ფორმით.

თამარიდის პულპის ძირითად მასას შაქარი (70%) შეადგენს, აღინიშნება ამინომჟავები, ცილა (3%-მდე), უჯრედისი, ნაცარი, A ვიტამინი, ორგანული მჟავები: მჟაუნას, ლიმონის, ღვინის, რძისა და სხვ. თესლები მდიდარია არომატული ზეთებითა და ცილებით. ჩის ქერქის ჩაი და ნაყენი შველის ინფექციურ ციებ-ცხელებას, ბრონქიალურ ასთმას, იწვევს შემკვრელ მოქმედებას დიარეზის დროს, აუმჯობესებს მაღას. ყვავილების ნახარში ხელს უწყობს წნევის დაწევას ჰიპერტონიული დაავადებებისას, ხოლო რბილობი ხასიათდება მსუბუქი სასაქმებელი ეფექტით. მოხალული თესლები იხმარება სხვადასხვა სახის ჭიისა და დიზენტერიის საწინააღმდეგოდ. ფოთლებისაგან დამზადებული ჩაის ნაყენით იბანენ თვალებს ინფექციური (კონიუნქტივიტი) დაავადებისას, ივლებენ ყელში გრიპის დროს, მათი ანტისეპტიკური მოქმედებიდან გამომდინარე. აიურ-ვედას თანახმად მისი გამოყენება შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტისა და საკვების მონელების გამაუმჯობესებლად. სულ ახლახან მცენარეში აღმოჩენილი იქნა ნივთიერება, რომელიც აძლიერებს იმუნიტეტს. ქალებში ითვლება ძლიერ აფროდიზიაკად.

**უკუქმედება:** სანელებელი უკუქმენებელია ჰიპერაციდური გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს. ჭარბი გამოყენება კი იწვევს დიარეზს.

**თეთრი დიყი – *Heracleum mantegazzianum* Sommier et  
Levier. (syn.: *H. villosum* Fisch. ex Spreng.)  
ოჯ. ქოლგოსანნი (ნიახურისებრნი) — Fam. Umbelliferae  
(Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, მომრგვალო, დაღარული, 1,5 მ-მდე სიმაღლის. ფოთლები კუნწიანია, ელიფსური, შებუსული, ზედა მხრიდან მწვანე, ქვედაზე – მონაცრისფრო, 50-60 სმ სიგრძისა და 10 სმ სიგანის. ყვავილები ორსქესიანია, წვრილი, თეთრი, შეკრებილია 15-20 სმ დიამეტრის რთულ ქოლგებად. ნაყოფი – შიშველი, წახნაგიანი ორთქესლურაა, მოგრძო ფორმის, 10-16 მმ სიგრძის. მცენარე განვითარების პირველ წელს ინვითარებს ფოთლისეულ როზეტს, მეორე წელს - ღეროსა და თესლებს. ყვ. VI; ნაყ. VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ყირიმსა და კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე ხასიათდება მწვავე, ძლიერი არომატით და გემოთი. იხმარება მლაშე ყველის წარმოებაში. ეთერზეთები და მშრალი ბალახი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკონსერვო და კვებითი კონცენტრატების მრეწველობაში

დიყი ძველი დროიდან იხმარება სანელებლად წვნიან კერძებში (ბორში, მწვანე ბორში, ხორცის, მაკარონისა და კარტოფილის წვნიანები). ნორჩ ყლორტებს, ღეროებსა და ფოთლებს მცირე რაოდენობით უმატებენ სალათებს, მწნილებს, მარინადებს.

დიყის ფესურა შლის ნაღვლის ბუშტში ქვებს. ნაყოფები და თესლები შედის რთული სამკურნალო ნაკრებების შემადგენლობაში, რომლებსაც იყენებენ თირკმელების, ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს, აგრეთვე როგორც პემოსტატიკურ საშუალებას. ნაყოფებს ხმარობენ კუჭ-ნაწლავისა და გინეკოლოგიური დაავადებების, ლიმფადენიტების, ციმბირის წყლულის, ფურუნჯულების სამკურნალოდ.

**უკაქმედება:** მცენარე შხამიანია, ხმარებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

**თეთრი მდოგვი – *Sinapis alba L.***  
**ოჯ. ჯვაროსანნი (კომბოსტოსებრნი) — Fam. Cruciferae**  
**(Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 1 მ-მდე სიმაღლის სწორი, ზედა ნაწილში დატოტვილი, ხეშეშბეწვიანი დეროთი. ფოთლები ჩანგისებრ-ფრთისებრ განკვეთილია კვერცხისებრ მოგრძო ფორმის მახვილწვერიან ნაკვთებად და 2-3 წყვილ გვერდით სეგმენტებად. გვირგვინი ყვითელია, მისი გადანაღუნი უკუკვერცხისებრია, ყვავილის ყუნწები ნაყოფობისას

საყვავილე დერძიდან პორიზონტალურადაა გადახრილი, უფრო იშვიათად აღმავალია. ნაყოფი ორსაგდულიანი ჭოტია, სწორი ან მოხრილი, უხეში ხორკლებით, ხეშეში ბეწვით მოფენილი, 2-4 სმ სიგრძის. თესლი სფერულია, მოყვითალო-თეთრი, 2-2,5 მმ სიგრძის. ყვ. V-VI; ნაყ. V-VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** საშობლო ხელთაშუაზღვეთია, საიდანაც გავრცელდა თითქმის მთელ ევროპაში, ამერიკაში, მოხვდა ინდოეთსა და იაპონიაში. ამჟამად ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში (საბერინეთი, იტალია, სიცილიისა და სარდინიის ჩათვლით, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი), დასავლეთ აზიაში (კვიპროსი, ირანი, ერაყი, იზრაელი, იორდანია, ლიბანი, სირია, თურქეთი), პაკისტანის ჩრდილოეთში, ჩრდილო აფრიკაში (ალჟირი, ეგვიპტე, მაროკო, ტუნისი). საქართველოში ბუნებრივად წარმოდგენილია აფხაზეთში, აჭარასა და ქართლში. იზრდება ნათესებში, მდინარეებისა და გზის პირებზე, ყამირებზე. კულტივირებულია დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთში, რუსეთში, თესლებიდან ეთერზეთების მისაღებად.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ეთერზეთოვანი კულტურაა. ზეთი მეტად გამძლეა, დიდხანს ინახება და არ მძაღლება. გამოიყენება საკვებ, ტექნიკურ და ქიმიურ-ფარმაცევტულ დარგებში. ზეთი განსაკუთრებით ფასეულია პურის ცხობისას და საკონსერვო მრეწველობაში. გაუცხიმებელ ფხვნილს უმატებენ სადილის მდოგვს, სუნის ფიქსატორად. თესლების მნიშვნელოვანი რაოდენობა იხმარება კვების მრეწველობაში ბოსტნეულისა და სოკოების კონსერვირებისათვის, სხვადასხვა სახის ნაკრებების, სანელებლების საწარმოებლად.

თეთრი მდოგვის თესლები სარეპტისა და შავ მდოგვთან შედარებით, ხასიათდება უფრო ნაზი და პიკანტური გემოვნებით. მას მთლიანს ან დაფქვილი სახით იყენებენ ბოსტნეული, ხორციანი კერძების, ცივი და ცხელი საწებლების და ფარშის შესაკაზმავად. მდოგვი – კარგი ემულგატორია, ვინაიდან წარმოაღვენს დამცავ ფენას ხორცის, ფრინველის, თევზის სითბური დამუშავებისას, ამასთან ახდენს მათ არომატიზაციას. თეთრი მდოგვის თესლი ფაქტიურად უსურია, ხასიათდება

პიკანტური გემოთი, თუმცა მისგან დამზადებული სუფრის მდოგვი უფრო დაბალი ხარისხისაა შავ და სარეპტის მდოგვთან შედარებით და საჭიროებს დამატებით სანელებლებით შეზავებას. მდოგვის საკეებად გამოყენება ხელს უწყობს საკეებმომზელებელი სისტემის ნორმალიზებას. ჰიბოკრატესა და გალენის დროიდან მას აფასებდნენ როგორც კარგ ამოსახველებელ და ხველების საწინააღმდეგო საშუალებას, აგრეთვე როგორც მადის გამაუმჯობესებელ გემრიელ სანელებელს. სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იყენებდნენ კბილის ტკივილის, ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ, ანგონიის, გლანდების ანთების, ბრონქიტისა და ნეკრალგიის, იაპოქონდრის, სიყვითლის, ნაწლავების ათონიის, ყაბზობის, მეტეორიზმის, ქრონიკული რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, მხედველობისა და სმენის გამაუმჯობესებლად. თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება.

**თუთუბო – *Rhus coriaria* L.**  
**ოჯ. თუთუბოსებრნი – Anacardiaceae**



**მორფოლოგია:** პატარა ზომის მცირედ დატოტვილი 1-3 (5) მ-მდე სიმაღლის ხეა ან ბუჩქი, მორიგეობით განლაგებული კენტფრთართული, 9-17 ფოთოლაკიანი ფოთლებით; თითოეული მათგანი მოგრძო კვერცხისებრია ან ლანცეტა, უთანაბროდ

დაკბილული, ზემოდან - მწვანე და ოდნავ პრიალა, ქვემოდან - უფრო მკრთალი და ძარღვებშებუსული. ყვავილები პატარა ზომისაა, მომწვანო მკრთალი ყვითელი შეფერილობის, ერთ ან ორსქესიანი, შეკრებილია საგველასებრ, კუმს, მრავალყვავილიან ყვავილედებად. ნაყოფი წვრილი, ერთოესლიანი კურკიანაა, მშრალი ან ოდნავ ხორცოვანი, მობრტყო მომრგვალო-თირკმლისებრი, მუქი წითელი, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, საფრანგეთისა და უკრაინის ჩათვლით, ჩრდილოეთ აფრიკაში (ალჟირი, კანარის კუნძულები, მადეირა, ტენერიფე), დასავლეთ და შუა აზიაში (კოპეტდაგი და პამირ-ალაი), კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. კულტივირებულია, როგორც ტანინების შემცველი მცენარე.

იზრდება მშრალ ფერდობებსა და კლდეებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მწიფე, მშრალი, დაფქვილი ან დამწილებული მკახე ნაყოფები ან მათი ქერქი გამოიყენება როგორც მწვავე სანელებელი ხორცისა და თევზეულის კერძებში, განსაკუთრებით არომატულია მწვადებთან.

ფოთლებს ურევენ თამბაქოსთან სასიამოვნო სურნელის მისაცემად.

ფოთლები, ნორჩი ტოტები და ქერქი მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით (13-33%), ყველაზე მაღალი კონცენტრაციით კოკრიანობის პერიოდში. ნაყოფის მჟავე კანი შეიცავს დიდი რაოდენობით ვაშლისა და ღვინის მჟავებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ეთერზეთებს (0,01%). ფოთლებში ჭარბობს გალური მჟავები, მირიციტრინი და სხვა ფლავონოიდები, 15%-მდე ტანინები, ასკორბინის მჟავა.

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები (*Folium Rhus coriariae*), აგროვებენ მთელი ზაფხულის განმავლობაში, ხოლო ნაყოფების წარმოქმნამდე შეგროვილი ნორჩი ტოტები და ფოთლები მნიშვნელოვანი ნედლეულია მთრიმლავი ექსტრაქტების საწარმოებლად, ტექნიკური და სამედიცინო ტანინებისა და გალური მჟავის მისაღებად.

არსებობს მონაცემები, რომ თესლები შეიცავს ნივთიერებათა კომპლექსს, რომლებიც გეთილისმყოფლად მოქმედებს ორგანიზმი ნახშირწყლების ასიმილაციაზე. მათი თხევადი ექსტრაქტი და ნაყენი იხმარება დიაბეტის მსუბუქი ფორმის დროს.

ფოთლები ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მძიმე მეტალებითა და ალკალოიდებით მოწამლისას, როგორც ჭრილობების შემახორცებელი, შემკვრელი, დამწვრობისა და ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

**ინდაუ, რუკოლა, ან ერუკა – *Eruca sativa* Lam.  
ოჯ. ჯვაროსანნი (კომბოსტოსებრნი) — Fam. Cruciferae  
(Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 40 სმ-მდე სიმაღლის, დატოტვილი, სუსტად შებუსული ღეროთი. ყველა ფოთოლი რამდენადმე ხორცოვანია, გაფანტულ ბეწვიანი, დამახასიათებელი სუნით. ქვედა ფოთლები ჩანგისებრ-ფრთისებრ დაყოფილია ან განკვეთილია დაკბილულ ნაკვთულებად. ყვავილები - მეჩხერი გრძელი მტეებანია. ყვავილები ბაცი, იშვიათად კაშკაშა ყვითელია, იისფერი დაძარღვით; ჯამის ფოთოლაკები 9-12 მმ სიგრძისაა, გვირგვინის

ფურცლები – 15-22, უკუკვერცხისებრ-სოლისებრი, ზოგჯერ სუსტად ამოკვეთილი. ნაყოფი – ჭოტია, მოგრძო-ოვალური ან მოგრძო მახვილისებრი, ოდნავ შებრტყელებული, მოკლე გასქელებული ყუნწებით, გამოკვეთილი სიგრძივი ძარღვით. თესლი 1,5-3 მმ სიგრძისაა, ბაცი-მურა ან ბაცი-ყავისფერი, განწყობილია ორ რიგად, შებრტყელებული ოვალურ - მომრგვალოა. ყვ. V-VII; ნაყ. V-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდ. აფრიკაში, სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში, მცირე აზიაში, შუა აზიასა და ინდოეთში, კავკასიის მთისწინებზე. კულტივირებულია სხვადასხვა ადგილებში, მაგ.: ხმელთაშუაზღვეთის ტერიტორიაზე მოჰყავთ რომის იმპერიის დროიდან, სადაც ითვლებოდა აფროდიზიაკად, კულტივირებულია თვით მკაცრი კლიმატის ქეყნებშიც - ჩრდილო ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ბალაზი ხასიათდება არომატული, გაჯერებული, მწვავე, მდოგვისებრ-ნიგვზისებრი, მომწარო გემოთი და მოქმედებით. ამჟამად მისი სასარგებლო სანელებელი თვისებები ფართოდ გამოიყენება ხმელთაშუაზღვეთის ქეყნების სამზარეულოში. ასე მაგ.: იტალიაში ინდაუს ფოთლებს უმატებენ სალათებს, პიცას, რიზოტოს; რეპანის მაგიერ გამოიყენება იტალიურ სოუს პესტოში. აღნიშნავენ ასევე, რომ მეტად პოპულარულია ნისლიან ალბიონში; საფრანგეთში პროვანსის მაცხოვრებლები მას უმატებენ სასალათე ნაკრებ “შესკლენს”, ხოლო აპენინის ნახევარკუნძულის მოსახლეობას ვერ წარმოუდგენია ინდაუს გარეშე რაიმე კერძი, უმთავრესად იყენებენ სალათებში, აგრეთვე, ბოსტნეულ დანამატად ხორციან კერძებსა და პასტებში. სლოვენიაში მას უმატებენ ყველიან ჩებურეკებს. გამოიყენება ინგრედიენტის სახითაც, აზავებენ პასტებს რეპანთან ერთად, ან ანაცვლებენ მას. კავკასიაში საკვებად იყენებენ ნორჩ ყლორტებსა და ფოთლებს; ფოთლებს სანელებლის სახით ხმარობენ სალათებში, თესლისგან ამზადებენ მდოგვს.

თესლი შეიცავს ეთერზეთებს, რომელიც გამოიყოფა ფერმენტაციით. მისი მთავარი შემადგენელია მდოგვის ზეთი.

თესლი შეიცავს აგრეთვე 25-34% ცხიმზეთებს, რომელშიც ჭარბობს ერუკოლის მჟავა (20-44%), აღინიშნება აგრეთვე: ლინოლინის, ლინოლენის, ოლეინისა და სხვა მჟავები, სტეროიდები, თიოგლიკოზიდები; მცენარის მიწისზედა ნაწილში - ალკალოიდები, ფლავონოიდები (კემპფეროლის, კვერცეტინისა და იზორამნეტინის გლიკოზიდები).

მცენარის მიწისზედა ნაწილი ხასიათდება დიურეზული, ამოსახველებელი, ანტიბაქტერიული, ლაქტოგენური და კვების გამაუმჯობესებელი მოქმედებით; ინდურ მედიცინაში თესლებს იყენებენ როგორც გამაღიზიანებელს და კანის წყლულოვანი დაავადებებისას; ხალხურ მედიცინაში – კანის დაავადებების დროს, წვენს – წყლულების, ჭორფლის, გემატომის, კოჟრების, ცხვირის პოლიპების სამკურნალოდ. კავკასიაში სალათების სახით ხმარობენ სურავანდის საწინააღმდეგოდ.

ზოგიერთი მონაცემის თანახმად, საკვებად ინდაუს რეგულარული მიღება ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას, წყალმარილების ცვლას, სისხლში ჰემოგლობინის ამაღლებასა და შაქრის დონის დადაბლებას. მიჩნეულია, რომ მისი საკვებად გამოყენება სასარგებლოა ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისათვის. ხასიათდება აგრეთვე ძლიერი თერაპიული მოქმედებით კუჭის წყლულის საწინააღმდეგოდ. ამერიკელმა გასტროლოგებმა წარმოადგინეს ამ დაავადების სამკურნალოდ ალტერნატიული და უსაფრთხო ხერხი, კერძოდ კუჭის კედლების გამაგრებისა და დაცვის მიზნით საჭიროა ინდაუს საკვებად ხშირი გამოყენება. მას აფროდიზიაკადაც თვლიან, ხელს უწყობს ერექციის გაუმჯობესებას, ხოლო ეთერზეთები შესანიშნავად ამაგრებს თმის ძირებს. ზეთის გამოყენება რეკომენდებულია როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი დანიშნულებით.

**ინდური დილენია, სპილოს ვაშლი – *Dillenia indica* L.  
ოჯ. დილენიასებრი – Fam. Dilleniaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 30 მ-მდე სიმაღლის ხეა, გადაშლილი მომრგვალო ვარჯით, ნარინჯისფერ-ყავისფერი ან მოწითალო ხის ტანითა და დამახასიათებელი მუქი მწვანე ფოთლებით, რომლებიც მჭიდროდაა განლაგებული ტოტების ბოლოებზე. ყვავილი მარტოულია 15-20 სმ დიამეტრის, არომატული, გვირგვინის თეთრი ფურცლები გარშემორტყმულია მრავალრიცხოვანი (500-მდე) მტკრიანების ყვითელი ბურთით, რომელიც დაგვირგვინებულია 14-20 გრძელი, ბრტყელი, თეთრი, გვირგვინის ფურცლების მსგავსი ვარსკვლავისებრ გადაშლილი სვეტებით. ინდური დილენიის ყვავილები მცენარეულ სამეფოში ითვლება ველაზე ლამაზად და გამორჩეულად. მეტად თავისებურია ნაყოფის აგებულებაც, შედგება რამდენიმე ნაყოფის ფოთლისაგან, რომელიც გარშემოტყმულია გაფარჩეული ხორცოვანი ჯამის ფოთლაკებით, სფეროსებრი ფორმისაა, 8-10 სმ-მდე დიამეტრის, მოგვაგონებს მსხვილ ვაშლს. დილენის ნაყოფები კრცელდება წყლით (მცენარეები ჩეკულებრივ მდინარეთა ნაპირებზე და ტროპიკულ წყალვარდნილებთან იზრდება), მიწაზე მოხვედრის შემდეგ თესლი ღივდება ნაყოფის შიგნით, აღმონაცენი ხეთქავს ნაყოფის კედლებს და გარეთ გამოდის. ითვლება, რომ დილენიის ნაყოფებს სპილოები მიირთმევენ, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ მათ გავრცელებას, შესაძლებელია, ამიტომაც უწოდებენ მათ “სპილოს ვაშლს”.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ფართოდაა გავრცელებული აზიის ტროპიკულ რეგიონებში, აფრიკაში, მაღარაკარსა და ავსტრალიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მომწვანო-ყვითელი შეფერილობის სქელკანიანი, არომატული და სურნელოვანი ნაყოფები ადგილობრივი მოსახლეობის გამორჩეული და დელიკატური ხილია. შეიცავს მრავალ ვიტამინსა და მინერალურ მარილებს. მოუმწიფებელი ნაყოფებისაგან ამზადებენ მწინლა და ადგილობრივ კერძებს, ხოლო მწიუე, გემრიელი ნაყოფები გამოიყენება ხილის სახით; ამზადებენ გამაგრილებელ სასმელებს, ჯემს, უელს, დესერტებს.

**ინდური ლოტოსი — *Nelumbo nucifera* Gaertn.  
ოჯ. ლოტოსისებრნი — Fam. Nelumbonaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი წყლის მცენარეა დაკორისებული ფესურით. მიეკუთვნება ტროპიკულ რელიეტურ სახეობას. ფოთოლი ორგვარია: მცურავი, გრძელდეროიანი, ფარისებრი ფორმის, შუაში ჩახნექილი, სანთლისებრი ნაფითქით დაფარული; მეორე ტიპის ფოთლები წყალზე ამაღლებულია, სწორმდგომი ყუნწებით, ძაბრისებრი ფორმის, მცურავ ფოთლებზე დიდი, 60-70 სმ დიამეტრის. ყვავილები მსხვილია, 25-30 სმ დიამეტრის, წყლის ზემოთ აღმართული გრძელი ღეროებით, ყვავილობის დასაწყისში კაშკაშა გარდისფერია, დაყვავილებისას – თეთრი, ნაზი სასიამოვნო არომატის. ნაყოფი კოლოფია, თესლი ტყის თხილის ზომისაა, მაგარი, მომწიფებისას წყლის ფსკერზე ეშვება, გაღივების უნარს დიდხანს ინარჩუნებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია აზიის ტროპიკულ და ზომიერ რეგიონებში, მათ შორის ვიეტნამში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ირანში, კორეაში, მიანმეში, პაკუა-ახალ გეინეაში, ტაილანდში, ფილიპინებში, შრი-ლანკაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, რუსეთში - შორეულ აღმოსავლეთში, აზერბაიჯანში - კასპიის ზღვის სანაპიროზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე საკეთებად გამოიყენება. მისი ფესვი იაპონიის, ტაივანისა და ჩინური სამზარეულოს დელიკატესად ითვლება; ხმარობენ სალათებისა და სხვადასხვა კერძების დასამზადებლად, სანელებლად, შემწვარი და ჩაშვებული სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ლოტოსი იზრდება სილნარ, ჭუჭყანან წყალსატევებში, მას სისუფთავის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ამიტომ ითვლება, რომ მის ყველა ნაწილს ძალუქს ორგანიზმის გასუფთავება შესაძების, შდაკებისა და ცუდი დაავადებებისავაგან.

მედიცინაში გამოყენებულია თესლები და ფოთლები. მათში აღინიშნება შემდეგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, წყალი, ნაცარი, გაჯერებული მჟავები, ვიტამინები (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>), მაკროელემენტები (Ca, Mg, Na, K, P), მიკროელემენტები (Fe, Zn, Cu, Mn), ალკალინდები.

ჩინური ტრადიციული მედიცინის თანახმად ლოტოსის თესლი შემდეგი თვისებებით ხასიათდება: “ტებილი”, “შემკვრელი”, “ნეიტრალური”. მოქმედებს გულის მერიდიანებზე, თირკმელებსა და ელენთაზე; გულს ენერგიით კებავს, ამშვიდებს ნერვებს. ფოთლების თვისებები: “მწარე”, ოზავ “ტებილი”, “ნეიტრალური”, მოქმედებს თესლის მსგავსად იგივე მერიდიანებზე.

თესლების ნახარშს იყენებენ აჩქარებული გულისცემის, გაღიზიანებისა და უძილობის, თირკმელებისა და ელენთის დავადებების, დიარეის დროს.

ფოთლები გამოიყენება ციებ-ცხელების, გაღიზიანების, მაღალი ოფლიანობის, კუჭის აშლილობის, თავბრუსხევევის, პიპერტონიის სამკურნალოდ; აჩერებს შარდსაღინარებიდან, ცხვირიდან სისხლდენებს.

**უკუქმედება:** უაღრესად მნიშვნელოვანია პრეპარატის დოზების ზუსტი დაცვა. მცენარეში შემვალი ალკალინიდი – ნელუმბინი

იწვევს თავბრუსხვევას, პირდებინებას, გულისცემის აჩქარებას, გადაჭარბებული დოზა კი ლეტალურ აღსასრულს. გამორიცხულია თესლების მიღება ყაბზობისას.

### ისპანაზი — *Spinacia oleracea* L.

ოჯ. ნაცარქათამასებრნი — Fam. Chenopodiaceae



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი 30-50 სმ სიმაღლის მცენარეა, ფესვთანური ხილცოვანი ისრისებრი, კვერცხისებრი ან მომრგვალო, ხშირად გოფრირებული ფოთლებით. ღერო სუსტადაა დატოტვილი. მცენარე ორსახლიანია, ერთსქესიანი. მამრობითი ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედად, ღია მწვანეა, ოთხწევრიანი ყვავილსაფრით; მდედრობითი - რამდენიმე ცალად უბისეულ გორგლებადაა შეკრებილი, შიშველია, 2-4 კბილიანი საბურველით. ნაყოფები საბურვლის ფოთოლაკებითაა გარშემორტყმული. ყვ. V; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. სავარაუდოდ წარმოიქმნა ახლოს მდგომ ველურად მოზარდ სახეობიდან - ოთხმტვრიანიან ისპანაზისაგან (*Spinacia tetrandra* Stev.), რომელიც გავრცელებულია სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიაში. შეტანილია კულტურუაში ამავე რაიონებში, არაუგვიანეს II ს-ში ახალ ერამდე. დასავლეთ ევროპაში ჩნდება შუა საუკუნეებში, რუსეთში ისპანაზის გამოზრდა იწყება XVIII ს-დან,

საქართველოში უფრო მოგვიანებით. სადღეისოდ ფართოდაა კულტივირებული ევრ-აზიის მრავალ ქეყანაში. ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** პოლივიტამინებით მდიდარი ფოთლოვანი ბოსტნეული კულტურაა; საკვებად როზეტისეული ნორჩი ფოთლები იხმარება ფხალის, სალათების, სოუსის, წვინიანების, პიურეს, მოშუშული ბოსტნეულის დასამზადებლად. ფოთლები ჯანმრთელობის ნამდვილი საუნჯეა, განსაკუთრებით სასარგებლობა ბავშვთა კვებისათვის.

შეიცავს 2-4 მგ% ცილებს, 0,2-0,5 მგ% ცხიმებს, ვიტამინებს (C - 64 მგ%, B<sub>3</sub>, B<sub>6</sub>, P, K, E, H, PP, D,), ორგანულ მჟავებს (უმთავრესად მჟავნმჟავას), იოდის, რეინის, ფოსფორის, კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის მინერალურ მარილებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ნახშირწყლებს (საქართვა, გლუკოზა, ფრუქტოზა), საპონინებს, კაროტინსა და კაროტინოიდებს; ისპანაზის სასიამოვნო თავისებურებაა ის, რომ ხარშვისას არ იშლება მასში შემავალი A და C ვიტამინები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ისპანაზის მაღალიცხიან ავადმყოფებს აძლევდნენ; თესლს ხველების საწინააღმდეგოდ, ხოლო მმარში გახსნილ დანაყილ თესლს თავისა და წელის ტკივილის დროს წასასმელად იყენებდნენ.

ხასიათდება საჭმლის მონელების ფუნქციის გამაძლიერებელი მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება ჰიპოქრომული ანემის, ტუბერკულოზის, კუჭის წვენის დაბალი სიმჟავით მიმღინარე გასტრიტის, ენტეროკოლიტის, ენტერიტის, მეტეორიზმის, შაქრიანი დაბეტის, ჰიპერტონიის, გონებრივი გადაღლილობის, ნერვული სისტემისა და სისხლის ზოგიერთი დაავადების დროს. ისპანაზის წვენი ნაწლავების ტრაქტის გამასუფთავებელი და ფუნქციათა აღდგენის ჩინებული საშუალებაა; რამდენიმე დღეში შეელის ყაბზობის უმძიმეს ფორმებს; კურნავს ღრძილების დაავადებებს, ფურუნკულებს, ძირმაგარებს, შაკიკს, მხედველობის დაქვეითებას და სხვ.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ნეფრიტის, თირკმელ-კენჭოვანი, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ნიკრისის ქარებისა და წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევისას.

**კადილო – *Melittis melissophyllum* L.**  
**ოჯ. ტუჩნოსანნი — Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-80 სმ სიმაღლისაა, ოთხწახნაგოვანი, ბუსუსიან-ბეწვიანი, ფოთლები ყუნწიანია, 15 სმ სიგრძის, მომრგვალო-კვერცხისებრი, ხერხებილა კიდეებით. ყვავილები ორტუჩაა, შეკრებილია 2-6 ცალად ფოთლების იღლიებში. გვირგვინი საკმაოდ მსხვილია (ფურცლები 32-40 მმ სიგრძისაა), თეთრი, ლილისფერ-მუქი ლაქით ქვედა ტუჩის შუა ნაკვთხე. ნაყოფი კვერცხისებრი ფორმის კაკალია. ყვ. VI. ნაყ. VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** მისი არეალი მოიცავს შუა, სამხრეთ და ატლანტურ ევროპას. აღინიშნება აგრეთვე ბალტიისაბირეთში, უკრაინაში, მოლდოვასა და რუსეთის დასავლეთ ოლქებში. უმთავრესად იზრდება ფართოფოთლოვან და შერუელ ტყეებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სურნელოვანი, არომატული მცენარეა; ფოთლებისაგან აყენებენ სურნელოვან ჩაის, უმატებენ ბურახს, კომპოტებს, ქათმისა და თევზეულის სოუსებს, ცომეულსა და სპირტიან სასმელებს.

სამკურნალო მიზნით იყენებენ ბალახს (ღერო, ფოთოლი, ყვავილი), ამზადებენ ყვავილობის პერიოდში. შეიცავს კუმარინებს, ფლავონოიდებს, ეთერზეთებს, მნიშვნელოვანი რაოდენობით რკინას, მანგანუმს, სპილენძს, ბარიუმს, ვერცხლსა და ვანადიუმს.

ბალახი გამოიყენება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ღვიძლის, გულის, ქალური დაავადებების, კუჭნაწლავის სპაზმის დროს. იყენებენ აგრეთვე კუჭის აშლილობის, ანგინის, ბრონქიტის, ფილტეების ტუბერკულოზის, პირის ღრუსა და ყელში წყლულების სამკურნალოდ. ნედლი ფოთლებისაგან დამზადებული ცივი ჩაი მოქმედებს გამაცოცხლებლად, ხსნის ჭვლებს, კუჭნაწლავის გაზებს. ცხელი ჩაი გამოიყენება როგორც ოფლმდენი საშუალება. გარეგანად ამუშავებენ ჭრილობებსა და წყლულებს.

**კაკაოს ან შოკოლადის ხე — *Theobroma cacao L.***  
**ოჯ. სტერცულიასებრნი — Fam. Sterculiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-15 მ სიმაღლის ხეა, წარმოქმნის ქვეტყეს ტროპიკულ ტყეებში. ფოთოლი მსხვილია, კიდევმთლიანი. ყვავილები წვრილია, ვარდისფერი, ვითარდება კონებად ვარჯის ზედაპირზე, ხშირად თვით ფუძესა და ქვედა შსხვილ ტოტებზე. ეს მოვლენა დამახასიათებელია ტროპიკული ტყეების სხვა მცენარეებისთვისაც და წარმოადგენს ბიოლოგიურ შემგუებლობას პეპლების დამტვერვისათვის, ვინაიდან პეპლები დაბლა ფრენენ და არ შეუძლიათ ხის წვერამდე აღწევა, მაგრამ ყველა ყვავილის დამტვრიანება არ ხდება და ხეზე ვითარდება მხოლოდ 20-50-მდე ნაყოფი. მსხმოიარობს მე-3-4 წლიდან, თუმცა ყველაზე უხვ მოსავალს მე-8-10 წელს იძლევა. ნაყოფი მსხვილია, მოგრძო 15-25

სმ სიგრძის, წვნიანი, სქელი ქერქით, ყვითელი ან მოწითალო-  
ყვითელი შეფერილობის. ქერქების დარბილების მიზნით შეგროვილ  
ნაყოფებს აწყობენ ჯგუფებად, შემდეგ სსნიან და იღებენ თესლებს. 5  
ბუდეში 50-60 ოქსლია განვითარებული, შემოხვეულია ვარდისფერი  
მომჟავო-მოტკბო რბილობით, რომელიც ადგილობრივი  
მოსახლეობის მიერ საკედად გამოიყენება. ერთი ხე 1-4 კგ-მდე  
თესლს იძლევა. ჯგუფურად ბადეებში ინახავენ ვენტილაციისათვის,  
რის შემდეგაც თესლი ისფერ-ყავისფერ შეფერილობას ღებულობს,  
ხასიათდება ნაზი მოტკბო-ცხიმოვანი გემოთი და სასიამოვნო  
არომატით. ამის შემდეგ თესლებს სწრაფად აშრობენ; მშრალი და  
ახალი თესლები მოთეთრო შეფერილობისაა, მომწარო გემოთი და  
უსუნო. მათი ხარისხი დამტკიცებულია სწორ დამუშავებაზე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ესპანელებმა სამხრეთ და  
ცენტრალური ამერიკის დაპყრობისას აღმოაჩინეს, რომ ტროპიკული  
ტყეების აბორიგენები - ინდიელები ფართოდ იყენებდნენ უცხო  
მცენარის თესლებს, რომლებსაც “კაკაუტლს” უწოდებდნენ  
(აქედანაა სახელწოდება “კაკაო”). მოხალულ თესლებს  
ასუფთავებდნენ ქერქოვანი გარსისაგან, ხარშავდნენ წყალთან  
ერთად, სრესავდნენ, უმატებდნენ სიმინდის ფქვილს,  
არომატიზაციისათვის ვანილს და თქვეფავდნენ, გაციებულ მასას  
მიირთმევდნენ. ეს იყო დარიბი მოსახლეობის ყოველდღიური საკვები  
და მას უწოდებდნენ “ჩუკოლატლს” (სიტყვებიდან: ჩუკო-ქაფი, ატლ-  
წყალი). აქედანაა ევროპული სახელწოდება “შოკოლადი”.  
აღნიშნული პროდუქტი ძალიან მოეწონათ ევროპელებს და პირველ  
ხანებში ჩამოჰქმნდათ ინდიელების მიერ დამზადებული სახით.  
კაკაოსა და შოკოლადის პოპულარობა გამოხატულია კ. ლინეს მიერ  
მოცემულ ბოტანიკურ სახელწოდებაში “Theobroma”- რაც  
ბერძნულად ნიშნავს Theos -ღმერთი და bromo - საკები.

ვინაიდან მოთხოვნილება შოკოლადზე მეტისმეტად დიდი იყო,  
დაიწყეს მისი პლანტაციების გაშენება ჯერ სამხრეთ ამერიკაში,  
განსაკუთრებით ბრაზილიაში, ეკვადორში, კოლუმბიაში, შემდგომ  
ტროპიკულ დასავლეთ აფრიკაში, ნიგერიაში, ოქროს ნაპირებზე,  
გვინეის ყურის ირგვლივ მდებარე ოლქებში, კოტ-დიუარში,  
მალაიზიაში, კუნძულ შრი-ლანკასა და ინდონეზიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** თესლი შეიცავს 45-55% ცხიმოვან ზეთებს, ცილოვან ნივთიერებებს, 1-2% თეობრომინს. მათ სრუსენ მანქანებით და ახდენენ ცხელ დაწნებვას კაკაოს ცხიმის მისაღებად. ცხელ ზეთს ფილტრავენ და ასხამენ ფორმებში, სადაც ოთახის ტემპერატურაზე ხდება მათი შესქელება. დარჩენილ კოპტონს ფქვავენ და იყენებენ როგორც კაკაოს ფხვნილს. შოკოლადის დასამზადებლად კაკაოს ფხვნილს უმატებენ კაკაოს ცხიმს, შაქარს, ვანილს, ზოგჯერ რძესა და სხვა ინგრედიენტებს.

კაკაოს ცხიმი წარმოადგენს ბაცი ყვითელი შეფერილობის ნაჭრებს, სასიამოენო სურნელით. ლლვება  $30-34^{\circ}$  ზე, ანუ ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე უფრო დაბლა, რის გამოც გამოიყენება მედიცინაში 1710 წლიდან. შედის ყველა ფარმაკოპეაში. წვრილად დაჭრილი ცხიმი ირევა სამკურნალო საშუალებებთან და ადვილად ფორმირდება ბურთულაკებად, ჯოხებად, სუპპოზიტორებად და სხვ. პრეპარატი თეობრომინი იხმარება როგორც დიურეზული საშუალება.

ნაყოფები დიდი რაოდენობით შეიცავს ბუნებრივ ანტიოქსიდანტურ ნივთიერებას – პოლიფენოლებს, რომელიც ამუხრუჭებს დაბერებას, აუმჯობესებს კანის, თმების, ფრჩხილების მდგომარეობას, ამაღლებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს ინფექციური და ვირუსული დაავადებებისადმი. ნედლი ნაყოფები მდიდარია ბუნებრივი ანტიდეპრესანტებით – ტრიპტოფანით, ანანდამიდომით, ფენილეთილამინით, აგრეთვე მაგნიუმით, რომელიც ხელს უწყობს სისხლში სეროტონინის მაღალი დონის შენარჩუნებას. ამგვარად კაკაო მარგებელია ცუდი განწყობის, შეშფოთების, მოუსვენრობის, დაბალი აქტიურობისა და ჩქარი დაღლილობისას. განსაკუთრებით სჭირდებათ ცივ და ღარიბ რეგიონებში მცხოვრებლებს, ადამიანებს მძიმე დაავადებებით, ფეხმძიმე ქალებს და ბავშვებს.

**უგუქმედება:** შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები; უკუმაჩვენებელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

**ქამა — *Anethum graveolens* L.**  
**ოჯ. ქოლგოსანი (ნიახურისებრნი) Fam. Umbelliferae  
(Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა; ღერო სწორმდგომია, ცილინდრული, გლუვი, მუქი მწვანე, თეთრი ზოლებით, ზედა ნაწილში დატოტვილი, დაფარულია მოლურჯო ნაფიფქით. ფოთლები შედგება ორ ან რამდენჯერმე ფრთისებრ დაყოფილ მრავალრიცხოვანი ფოთლაკებისაგან, რომლებიც წვერზე წაწვეტებულია. ყვავილი ყვითელია, შეკრებილია დიდ ქოლგებად, 20-50 სმისით. ნაყოფი ბრტყელია, მრგვალი, სიგრძივი წახნაგებით. ყვ. VII-VIII. ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო - ირანის აღმოსავლეთი, ინდოეთი, შესაძლებელია ეგვიპტეც. სპონტანურად იზრდება კლდოვან ფერდობებზე შავი ზღვის სანაპიროზე, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ინდოეთში, ახლო და შუა აღმოსავლეთში. როგორც სანელებელი და სამკურნალო მცენარე უძველესი დროიდანვეა კულტივირებული ძეგლ ეგვიპტეში, ძეგლ საბერძნეთსა და რომში. კულტურაში გავრცელებულია ევროპაში, ამერიკასა და აზიაში. საქართველოს ყველა რაიონში მოჰყავთ. ადგილად ველურდება. **მნიშვნელობა და გამოყენება:** ძვირფასი სანელებელ-არომატული მცენარეა. დიდი გამოყენება აქვს როგორც სანელებელს კვების, საკონსერვო, არყისა და ლიქიორის წარმოებასა და პარფიუმერიაში. ოფიცინალურ მედიცინაში სამკურნალოდ ნაყოფები გამოიყენება,

შეიცავს: 5 %-მდე - ეთერზეთებს, 15-18 % - ცხიმოვან ზეთებს, 14-15 % - ცილებს. ფოთლებსა და ნორჩ ყლორტებებში ალინიშნება: 10-20% - მშრალი ნივთიერებები, მათ შორის 0,7% - შაქრები, 2,5-4 % - ნედლი ცილა, 3-13 მგ % - კაროტინი (პროვიტამინი A), 52-183 მგ % - ასკორბინის მჟავა, ვიტამინები (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, P, PP), ეთერზეთები, ცხიმები, პროტეინული ნივთიერებები, ფლავონოიდები (კვერცეტინი, კემპფეროლი და სხვ.), კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის, რინის მარილები, მიკროელემენტები. უძველეს მედიცინაში ცნობილია როგორც დამამშვიდებელი, შარდმდენი, ქარმდენი, ამოსახველებელი, ანთების საწინააღმდეგო, ლაქტომდენი საშუალება. ერთ-ერთ ეგვიპტურ პაპირუსებში რეკომენდებულია თავის ტკივილის დროს და სისხლძარღვების დასარბილებლად. დიოსკორიდი (I ს. ახ.წ.აღ.) მას თვალების ტკივილების სამკურნალო საშუალებად მიიჩნევდა. გალენი - რეკომენდაციას უწევდა მტკივნეული მოშარდვის დროს. არის მითითებები მისი გამოყენებისა მუცლის ჭვლების, ღვიძლისა და ელენთის სისუსტის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების, ზურგის, გულის, კუჭისა და თირკმელების ტკივილებისა და გულის რევის დროს. ძელ საქართველოში სამკურნალოდ ხმარობდნენ მცენარეს მთლიანად ან მის სხვადასხვა ნაწილს - ფოთოლს, თესლსა და ძირს. იყენებლნენ როგორც შარდმდენ და ქარმდენ საშუალებას, ასევე იხმარებოდა გაციების, თავისა და თვალის ტკივილების დროს.

დაღვენილია, რომ კამის თესლის ნაფენი სააზმოლიტური მოქმედებისაა, ამცირებს ნაწლავების პერისტალტიკას, აძლიერებს დიურებს, ამცირებს არტერიულ წნევას, აფართოებს სისხლძარღვებს, აღაგზნებს დაღლილი გულის მოქმედებას, იწვევს კუჭის მატონიზირებელ მოქმედებას, აძლიერებს სარძევე ჯირკვლების სეკრეციას, მაღას, ადიდებს ორგანიზმის თავდაცვის უნარს; ხასიათდება ანტიბაქტერიული, შარდმდენი, ნაღველმდენი, ლაქტაციის გამაძლიერებელი მოქმედებით. გამოიყენება ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის დროს, ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას. ნაყოფებიდან მიღებული პრეპარატი “ანეტინი” იხმარება ქრონიკული კორონარული

უკმარისობის და გულის სტენოკარდიული შეტევის პროფილაქტიკისათვის, აგრეთვე ოოგორც ამოსახველებელი საშუალება. კამის წყალი საბავშვო პრაქტიკაში გამოიყენება კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას, ასევე უძილობის დროს, ოოგორც დამამშვიდებელი საშუალება.

**კამელია – *Kamellia sinensis* (L.) Kuntze  
ოჯ. ჩაისებრნი — Fam. Theaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქია ან მცირე ზომის 8-10 მ-მდე სიმაღლის ხე. ფოთლები მოკლე ყუნწიანია, ოვალური ან ფართოელიფსური ფორმის, შიშველი, ტყავისებრი, კიდეხერხკბილა, მუქი მწვანე შეფერილობის. ყვავილები მსხვილია, მარტოული, განწყობილია ტოტების ბოლოებზე ან მის იღლიებში. ნაყოფი მომრგვალო ან ოვალური, მობრტყო ხსნადი კოლოფია. ყვავილობს ნოემბრიდან მაისამდე.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ინდოჩინეთი) ტროპიკული და სუბტროპიკული რაიონების მთიან ტყეებში. ამჟამად ფართოდაა კულტივირებული ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ინდონეზიაში, შრი-ლანკაში, აფრიკაში (კენია და ნატალი), სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ ინგლისში, პორტუგალიაში, სიცილიაში, დასავლეთ საფრანგეთში და დასავლეთ საქართველოში. **სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გამოირჩევა ღეკორატიული და საკვები მნიშვნელობით. ფოთლებიდან რთული დამუშავების

შედეგად მიიღება ცნობილი მშრალი ჩაის ფხვნილი, რომელისგანაც ჩაის სასმელს ამზადებენ. ჩაის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მთრიმლავი ნივთიერებები, კოფეინი და ეთერზეთები; მათზეა დამოკიდებული კამელიის ჩაის გემო, ფერი, არომატი და სამკურნალო თვისებები.

ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ნუკლეოპროტეინებს, რკინას და მანგანუმს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალოიდებს – 3% კოფეინს, თეოფილინს, თეობრომინს, ქსანტინს, ადენინს, ჰიპოქსანტინს, პარაქსანტინს, მეთიონესანტინს, იზატინს, ფლავონოიდებს – კემპფეროლს, კვერცეტინს, კვერცენტრინს, იზოკვერცეტრინს, რუტინს, კუმარინებს, ასკორბინის მჟავას, თიამინს, რიბოფლავინს, ეთერზეთებს. ღეროში, ფესვებსა და თესლებში აღინიშნება სტეროიდული საპონინები, თესლებში – ცხიმზეთები, სახამებელი, სტერინები, ცილები.

ჩაის დამამზადებელ ფაბრიკებში დამუშავებისას გამოყოფილი კამელიის ჩაის მტვერი, ფოთლებისა და ტოტების ნაწილი გამოიყენება ალკალოიდების – კოფეინისა და თეოფილინის მისადებად, რომლებიც მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებებია. კოფეინი იწვევს აღმგზნებ და მატონიზირებელ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აუმჯობესებს გონებრივ და ფიზიკურ მდგომარეობას, არის შარდმდენი, შაკიკის ტკივილების მომხსნელი საშუალება. თეოფილინი იხმარება კორონარული სისხლძარღვების გასაფართოებლად, სისხლის მიმოქცევის დაღვევებისას. ჩაის ალკალოიდები შედის პრეპარატ ეუფილინის, დიურეტინისა და სხვ. შემადგენლობაში.

თესლიდან ღებულობენ უმაღლესი ხარისხის ეთერზეთებს, გამოიყენება საპარფიუმერიო წარმოებაში.

ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში ფოთლები იხმარება ჭრილობების შემახორცებლად, გემატომების, კუჭის აშლილობის, დიზენტერიის, გადაღლილობის, მალარიის, ტოქსიკური ანემიის, სიმსივნეებისა და ეპილეპსიის დროს. ყვავილები ხასიათდება შემკვრელი, ანტიპერიაგული და მატონიზირებელი მოქმედებით. ნახარში მიიღება სისხლიანი ხველებისა და სხვა სისხლდენებისას. ფესვები საუკეთესო საშუალებაა სისხლიანი ფალარათის დროს.

**უკუქმედება:** მცენარე მცირედ ტოქსიკურია.

**კაპარი — *Capparis herbacea* Willd.**  
**ოჯ. კაპარისებრნი — Fam. Capparaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მცენარეა, ნახევრადბუჩქი, ნიადაგზე გართხმული 150 სმ-მდე სიგრძის ტოტებით; ფოთოლი მარტივია, ელიფსური ან უკუკვერცხისებრი ფორმის, წვერზე ეკლიოთ ბოლოვდება, თანაფოთლები ეკლებადაა გადაქცეული. ყვავილი მარტოულია, გრძელყუნწიანი, ფოთლის იღლიერში განლაგებული; გვირგვინის ფურცლები თეთრი ან ვარდისფერია, 30-45 მმ სიგრძის. ჯამის ფოთოლაკები და გვირგვინის ფურცლები ოთხწევრიანია, მტვრიანები მრავალრიცხოვანი; ნაყოფი მოგრძო ან უკუკვერცხისებრი ხორცოვანი კენკრასებრია, მრავალთესლიანი. ყვ. V-VII; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** აღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა; ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, ირანში, ყირიმში, შუა აზიასა და კავკასიაში; საქართველოს შემდეგ კუთხეებში აღინიშნება: ქართლი, გარე კახეთი, გარდაბანი, თრიალეთი, ქვემო ქართლი. ქსეროფილური, ლითოფილური მცენარეა; იზრდება დაბლობებზე, ნახევრადულაბნოებსა და შმრალ ფერდობებზე.

მისი გაკულტურება მოხდა რამდენიმე ათასი წლის წინათ — ძველ საბერძნეთსა და ანტიკურ რომში. ამჟამად კულტივირებულია: ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, კვიპროსზე, აშშ-ში, აღზირსა და ჩრდ. აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კულინარული მიზნებისათვის გამოიყენება ნორჩი ყლორტები, კოკრები, ნორჩი ნაყოფები. მათ იყენებენ წვნიანების, მარინადების მოსამზადებლად, სანელებლად ყველთან, ცივი საუზმის, აგრეთვე ხორცის, თევზეულის, ფრინველების, სალათების შესაკაზმავად. “კაპერსის” სახელით ცნობილია კოკრების მარინადი, რომელიც წარმოადგენს დახვეწილ სანელებელს მწვავე პიკანტური გემოვნებით და არომატით.

ფესვები შეიცავს გლიკოზიდ კაპორიდინს; ქერქი და ფოთლები - გლიკოზიდ სტახიდრინს; ნაყოფები - შაქრებს, ფერმენტებს, სტეროიდულ საპონინებს, ცხიმებს ( $0,5$  მგ%), წითელ პიგმენტს, იოდს, სახამებელს ( $5,4$  მგ%), უჯრედისს ( $1,4$  მგ%), ვიტამინებს ( $B_1, B_2, B_3, B_5, B_6, B_9, C, E, K$ ), ქოლინს; მაკროელემენტებს (Ka, Ca, Mg, Na, F); მიკროელემენტებს (Fe, Cu, Mn, Zn), ეთერზეთებს, პექტინებს; თესლები - ცილებს, ცხიმზეთებს.

უძველესი ღროიდან მცენარის ყველა ნაწილი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ფესვებს სამკურნალოდ იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველ არაბულ მედიცინაში ალერგიის, დამბლის, რევმატიზმის, იპონეონდრიის, სიყვითლის, პიპერტონიის, მუნის, ბრუცელოზის, ისტერიისა და სხვა ნეკროზების დროს.

ახლად მოგროვილი ტოტების ნახარში ფოთლებთან ერთად ხასიათდება ახტისეპტიკური, ნაღველმდეხი, შარდმდენი და ტკივილგამაფუქებელი მოქმედებით. საყვავილე კვირტები მიიღება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას; ყვავილების წვენი, ასევე მის ნახარში მითითებულია დიათეზისა და ჭრილობების შემახორცებლად; ნაყოფები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგვო მოქმედებით, იყენებენ ღრძილების, კბილების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისას.

**კატაბალახა – *Valeriana officinalis* L.**  
**ოჯ. კატაბალახასებრნი — Fam. Valerianaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2 მ-დე სიმაღლის სწორმდგომი, დაღარული, ცილინდრული, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მოპირისპირება, განსხვავებულია ფორმით და დაყოფის ხარისხით. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა – მჯდომარე. ყვავილები წვრილია, სურნელოვანი, თეთრიდან მუქ ვარდისფრამდე, შეკრებილია საგველა ყვავილედებად. ნაყოფი ბაცი მურა ან ყავისფერი, მოგრძო-კერცხისებრი ქოჩრიანი თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულა ევროპაში, აზიას ცენტრალურ ჩრდილოეთ ნაწილში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. იზრდება მთის ფერდობებზე, მდინარეთა ნაპირებზე, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, დაჭაობებულ ადგილებში. კულტივირებულია რიგ ქვეყნებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** აშშ-ში კატაბალახას იყენებენ ესენციების, ლიქიორების წარმოებაში, როგორც არომატიზატორს ხმარობენ ჰავანური სიგარებისა და თურქული თამბაქოს პრეპარატებში.

სანელებლის სახით იხმარება უმთავრესად ევროპულ ქვეყნებში. ინგლისში ნედლ ფოთლებს უმატებენ სალათებს. ზოგჯერ ამზადებენ სალათის გარნირს თევზეულის კერძებისათვის.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს. შეიცავს ეთერზეტებს, თავისუფალ იზოვალერიანის მჟავას, ალკალოიდებს (ვალერიანის, ხატუნინის), გლიკოზიდებს, შაქრებს და სხვა ნივთიერებებს.

კატაპალახას პრეპარატები ნაყენების, ნახარშების, ექსტრაქტებისა და ფხვნილების სახით გამოიყენება მრავალ ქვეყანაში როგორც სედატური საშუალება. იხმარება უძილობის, ნერვული აღგზნებადობის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნევროზის, ტახიკარდიის, აგრეთვე ეპილეპსიის, ასთმის, შაკიკის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სპაზმისა და ნეიროდერმიტების სამკურნალოდ. კატაპალახა შედის ზელენინას წვეთების, ვალოკორდინის, კარდიოვალენისა და სხვა კომპლექსური პრეპარატებისა და ნაკრებების შემადგენლობაში.

**კატაპიტნა – *Nepeta cataria L.***  
**ოჯ. ტუჩოსანი - Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 125 სმ-მდე სიმაღლის სწორი, დატოტვილი, ნაცრისფერი, მოკლე ბეწვით შებუსული დეროთი. ფოთლები სამკუთხა კვერცხისებრია, მსხვილი და საკმაოდ ღრმად მრგვალებილა-ხერხისებრი, მახვილწვერიანი, ყუნწიანი, ზედა მხარეზე მწვანე ფერის, მოკლე ბეწვით შებუსული, ქვედაზე - უფრო გრძელ ბეწვიანი და სქლად შებუსული, მონაცრისფრო; კენწრული ფოთლები მცირე ზომისაა.

ყვავილები მოკლეყუნწიანია, შექრებილია ფარჩხატ ჩხროებად და განწყობილია ღეროსული ფოთლების ილლიებში მრავალყვავილიან მოგრძო მტევნისებრ ყვავილედებად; გვირგვინი თეთრია, მოხრილი მილით, მისი ქვედა ტუჩი წითელი წინწკლებითაა მოფენილი. ნაყოფი ფართო ელიფსური, გლუვი კაკლუჭა. კვ. VI-VII; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ევროპულ-შუა აზიური სახეობაა, გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, წინა და შუა აზიაში, აღწევს პაკისტანის, ინდოეთისა და ნეპალის სუბტროპიკულ ოლქებს.

საქართველოს ბევრ რეგიონშია გავრცელებული (არ არის მითითებული მხოლოდ სამეცნიელო, გურია და ჯავახეთი). იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებზე მთის ქვედა სარტყელიდან სუბალპურ სარტყელამდე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის მიწისზედა ნაწილი – ბალახი გამოირჩევა მწვავე გემოთი, ლიმონის, გერანისა და პიტნის შეზავებული არომატით. ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოცდილია და დაშვებული სანელებლად თევზეულისა და ყველის წარმოებაში. ბალახი, ექსტრაქტები და ეთერზეთები გამოირჩევა რა სასიამოვნო მძაფრი სურნელით, იხმარება საკონდიტრო ნაწარმის, საპარფიუმერიო და საპნის მრეწველობაში. წარმოადგენს ინტერესს ტონური და ალკოჰოლური სასმელების არომატიზაციისათვის, ჩაის სურნელისათვის. იხმარება კულინარიაშიც, საზღვარგარეთ მას სოუსებისა და სალათების სანელებლად იყენებენ.

მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს (3%-მდე), რომლის ძირითადი კომპონენტია ნეპეტალაქტონი, ასკორბინის მჟავა, მთრიმლავი და მწარე ნივთიერებები, გლიკოზიდები, საპონინები. თესლებში აღმოჩენილია 27%-მდე ცხიმოვანი ზეთები.

ხალხურ მედიცინაში გამოცდილია ბრონქიტის, ანემიის, ისტერიის, მელანქოლიის, ქოლერის დროს; როგორც ჭიისმდენი, ხველების საწინააღმდეგო და მაღის გამაუმჯობესებელი საშუალება. გარეგანად – კანის დაავადებებისას.

ბალახის ნახარში ამაღლებს ორგანიზმის დამცველ ძალებს,

დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ და სასუნთქ სისტემაზე. იყენებენ ღვიძლის დაავადებების, სიყვითლის, ნაწლავების ათონის, გინეკოლოგიური დაავადებებისას. კატაპიტნას ხმარობენ ტყვიით მოწამვლის დროსაც.

ეთერზეთები განირჩევა მაღალი ანტიმიკრობული აქტივობით და ფუნგიციდური მოქმედებით ობის სოკოების (მუკორი, პენიცილიუმი, ასპერგილუსი) მიმართ.

ცნობილია კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლების სპეციფიური მაღალმგრძობელობა ამ მცენარის მიმართ. ამასთან რეაქცია დგება მცირე კონცენტრაციებითაც, ნარკოტიკული აღგზნება ცხოველებში 10 წუთს გრძელდება, რის შემდეგაც ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდებიან.

### **კაფირ-ლაიმი, კაფირი, ლიმა – *Citrus hystrix* L. ოჯ. ტეგანისებრნი — Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** საშუალო ზომის მარადმწვანე ციტრუსოვანი ხეა ეკლიანი ტოტებით. ფოთლები ტყავისებრია, პრიალა, მოგრძო - კერცხისებრი, კიდედაკბილული. ყვავილი თეთრია და არომატული. ნაყოფი პატარაა, მრგვალი, ხორკლიანი ზედაპირით, მცირეწვნიანი, საკვებად უვარგისია მაღალი სიმჟავიდან გამომდინარე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოეთია. XVIII ს-ში შეტანილ იქნა ინდოეთის ოკეანის კუნძულებზე,

სადაც დღემდე მათი სამხარეულოს განუყოფელი ნაწილია. ამჟამად, ბუნებრივად გავრცელებულია ტროპიკული აზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

კულტივირებულია ინდონეზიაში, ინდოჩინეთში, ფილიპინებზე, აფრიკასა და ცენტრალურ ამერიკაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კაფირ-ლაიმის მთავარი ფასეულობა მისი ფოთლებია. გამოირჩევა ციტრუსების ნედლი არომატით. კულინარიაში გამოიყენება ახალი, გაყინული ან მშრალი ფოთლები, რომლებიც არომატს რამდენიმე თვეს გამავლობაში ინარჩუნებს. მას იყენებენ დაფნის ფოთლების ანალოგიური მნიშვნელობით. უმატებენ წვნიანებს, ხორციან და თევზეულ კერძებს, სოუსებს, განსაკუთრებით კარის სოუსს. სანელებელი კერძს აძლევს ნედლ გაჯერებულ გემრიელ გემოვნებას. ნორჩ ნედლ ფოთლებს ხშირად უმატებენ სალათებს, ბრინჯეულს, ქათმის, ღორისა და ცხვრის ხორცის მარინადებს. ხმარობენ დესერტებშიც. კულინარიაში მის მჟავე ნაყოფებს იყენებენ მატონიზირებელ სასმელებში, ხოლო წვრილად გახეხილ ცედრას ან ნაყოფების სურნელოვან ქერქს სანელებლის სახით უმატებენ თევზეულისა და ქათმის კერძებს.

სხვა ციტრუსების მსგავსად ლაიმიც ვიტამინ C – ს წყაროა. ახდენს არტერიული წნევის ნორმალიზებას; წარმოადგენს სპაზმოლიტურ საშუალებას მსუბუქი ნალველმდებნი ეფექტით. ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, საერთოგამაძლიერებელი და ანტიოქსიდანტური მოქმედებით, ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების გამოყოფასა და გასუფთავებას, გაახალგაზრდავებას. სამშობლოში მცენარის ყველა ნაწილი გამოიყენება როგორც საუკეთესო საშუალება შიშის, უძილობისა და სტრესის შემთხვევაში.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ფეხმძიმობის პირველ მესამედში.

**კემპფერია – *Kaempferia galanga* L.**  
**ოჯ. ჯანჯაფილისებრნი - Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავაწლოვანი ტროპიკული ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა სურნელოვანი, მოთეთრო-იისფერი, ყვითელი და მომწვანო-ყვითელი ყვავილებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ლაოსია. გავრცელებულია ახალ გვინეაში, ინდოეთში, მალაიზიასა და მოლუქების კუნძულებზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. კულტივირებულია ამავე ქვეყნებში.

მეტად პოპულარულია მალაიზიაში, სინგაპურში, ინდონეზიაში (განსაკუთრებით იავასა და ბალის კუნძულებზე), ჩინეთში (უმთავრესად სიჩუანისა და გუანჩუოუს პროვინციებში), აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში (ახალი გვინეა).

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კემპფერის გემო მწკლარტეა, ქაფურისებრი, მწვავე, მწარე, მჟავე, კოჭასა და კურკუმას მსგავსი ნოტებით, მაგრამ მათთან შედარებით უფრო გამოკვეთილი არომატისაა.

მალაიზიის სამზარეულოში გამოიყენება მცენარის მწვანე ფოთლები, ინდონეზიაში – ნედლი ფესვები, ჩინურ სამზარეულოში მხოლოდ მშრალი ფესვები იხმარება. ამ ქვეყნებში ფესვებს სანელებლად იყენებენ ბრინჯის, ბოსტნეულისა და ხორცის წვნიანებში, ამზადებენ მწნილებს ხორცისა და ფრინველისათვის, აყენებენ ჩაის, ხმარობენ ნედლი სახითაც.

საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ზალხურ მედიცინაში. ფესვების

ნახარში იხმარება გაციების, საერთო ტკივილების, სისუსტის დროს. ფესვებისგან ამზადებენ გამაახალგაზრდავებელ სასმელებს. კემპფერის მცირე რაოდენობა იწვევს აფროდიზიაკურ და ეიფორიანტულ მოქმედებას, ადამიანებში ამაღლებს სასიცოცხლო ტონუსს. ამასთან, მცენარის აქტიური ნივთიერებების მძლავრი მოქმედებიდან გამომდინარე, ითვლება ფსიქოტროპად – დოზის გაზრდა იწვევს ჰალუცინაციური ტიპის ნარკოტიკულ თრობას.

### კერატი, კერობი – *Ceratonia siliqua L.*

ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae (Fabaceae)



**მორფოლოგია:** მარადმწეანე, 10 მ-მდე სიმაღლის ხეა ფართო ვარჯითა და მოგრეხილი ტოტებით. ყვავილები წვრილია, შეკრებილია მტევნებად; ნაყოფი პარკია, 10-25 სმ სიგრძის, 2-4 სმ სიგანისა და 0,5-1 სმ სისქის, პრიალა, მუქი ყავისფერი ჭოტი, ნაყოფის რბილობი წვნიანი და ტკბილია, გარეგანად პურის ნაჭერს მოგვაგონებს, რის გამოც ცნობილია “იოანეს პურის” სახელითაც. შეიცავს თესლებს, რომლებიც ერთი საოცარი თვისებით გამოირჩევა, თითოეული მათგანი 200 მგ წონისაა, მყარია, მოშავო-მოყავისფრო შეფერილობის. ყვავილობს თებერვლის ბოლოს, ნაყოფმსხმოიარობს მაისში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო პალესტინაა, გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის ქვეექვებში: ეგვიპტეში, ესპანეთში, იტალიაში, კვიპროსზე და სხვ. ძველ საბერძნეთში მას ეგვაპტურ ლეღვს უწოდებდნენ.

თესლებს ძველ დროში წონის ერთეულად იყენებდნენ იუველირები და აფთიაქარები, ცნობილი სახელით “კარატი”, რომელიც წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან keration – ასე უწოდებდნენ კერატის ხის თესლებს (როგორც ცნობილია ერთი კარატი 200 მგ-ის ტოლია). თვით ბიბლიაშიც მოიხსენიება კერატის ხე, თითქოსდა იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში ყოფნისას მისი ნაყოფებით იკვებებოდა. ძველი ეგვიპტულები შაქრის შემცვლელად იყენებდნენ; მუხამედის არმიაში კი მისი ნაყოფები გარკვეული დროის მანძილზე ძირითად საკვებს წარმოადგენდა.

მცენარეზე არ აღინიშნება მაგნებლები და დაავადებები, რის გამოც ბევრ ქვეყანაში ”საღვთო მცენარე“ მიიჩნევენ.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კერატის ნაყოფები მიეკუთვნება ნატურალურ და ჯანმრთელ პროდუქტებს. არის მწკლარტე გემოვნების, რის გამოც ახლად მოკრეფილი საკვებად გამოუსადევარია. აგროვებენ მოუმწიფებლებს და განალაგებენ მიწაზე, რის შემდეგაც მზის სხივების გავლენით მწიფდება და ხდება ძალიან ტკბილი და გემრიელი.

ნაყოფებისაგან ამზადებენ ყავას (კარობს), მურაბას, შოკოლადს, სასარგებლობ შაქარს, სიროფებსა და სპირტს. კვიპროსზე მისი რქისაგან დამზადებულ სიროფს უწოდებენ “კვიპროსის ვიაგრას”, ღებულობენ ჭამამდე 20 წუთით ადრე, ხასიათდება სასწაულმოქმედი ოვისებებით. იზრაელში — მოხალული ნაყოფიდან ამზადებენ ფხვნილს, რომელიც გემოვნებით კაკაოს მსგავსია, იყნებენ საკონდიტრო წარმოებაში, მის საფუძველზე კეთდება კანფეტები, ტკბილი ფილები და ბუტერბროდისათვის სპეციალური ტკბილი პასტები. კაკაოსი და შოკოლადის ნატურალური ანალოგია. კერობს სთავაზობენ დიაბეტით დაავადებულებსა და ჭარბწონიანებს.

ნაყოფები შეიცავს 80% ცილებს, შაქრებს, სასარგებლო ვიტამინებს (A, B, B<sub>1</sub>, B<sub>3</sub>, D), მინერალურ ნივთიერებებს - ფოსფორს, კალიუმს, მაგნიუმს, რკინას, სპილენძს, ნიკელს, ბარიუმს, ნახშირწყლებს.

**კვლიავი — *Carum carvi* L.**  
**ოჯ. ქოლგოსანი (ნიახურისებრი)**  
**Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორთოლობია:** ორწლოვანი მცენარეა, ზედა ნაწილში უხვად დატოტვილი ღეროთი. ფოთლები გლუვია, ორმაგ ან სამაგ ფრთისებრგან კვეთილი საზურ-ლანცეტა და ნემსისებრ მახვილ სეგმენტებად. ყვავილედი ქოლგაა, 8-16 სხივიანი, ძირითადად საბურველის გარეშე. გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი. ნაყოფი მოყრძო, ბრტყელი, 4 მმ სიგრძის თესლურაა. ყვ. VI; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და აზიაში. კულტურაში შეტანილია ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე მცირე აზიაში. ა.წ.აღ. -ით IX ს-ში დაიწყეს მისი მოშენება ევროპაში. სადღეისოდ მოჰყავთ ზომიერი კლიმატის ქვეყნებში, განსაკუთრებით ფართოდ ნიდერლანდებში, უნგრეთში, დანიაში, გერმანიაში, ინგლისში, რუსეთში, უკრაინასა და კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი მცენარეა; ეთერზეთებს შეიცავს მცენარის ყველა ნაწილი, ყველაზე დიდი რაოდენობა აღინიშნება თესლებში (3-5 მგ%);  
**ასევე განვითარება:** კუმარინები, სტეროიდები, ფენოლგარბოლმჟავები, ფლავონოიდები, ცხიმოვანი ზეთები (ლიმონის, ოლეინის და სხვ.), მთრიმლავი ნივთიერებები, ფისები, მინერალური მარილები.

ჩრდილოეთ ქვეყნების ერთ-ერთი უძველესი სანელებელია. მის თესლებს იყენებდნენ ჯერ კიდევ ვიყინგების ტომები, მას უმატებდნენ პურს, სასმელებს და სხვა კერძებს; ითვლებოდა, რომ ადამიანს იცავს ბოროტი სულისაგან. დღემდე რჩება ყველაზე გავრცელებულ სანელებლად – შვედეთში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, შოტლანდიასა და სხვ. ფართოდ იხმარებოდა ძველ რუსეთშიც, უმატებდნენ ჭვავის პურს, დასამწწილებელ ბოსტნეულს, კომბოსტოს, კიტრს, აუცილებლად შინაურ ძეწვეულს, ცხიმოვან პაშტეტს; მისგან ამზადებდნენ მწარე ნაყენს, რომელსაც ჭამის წინ მიირთმევდნენ. გერმანიასა და ლანიაში მას უმატებდნენ მოშუშულ და შემწვარ ხორცეულს, ბოსტნეულს, ჭვავის ნამცხვრებს, ყველს, ხაჭოს და ა.შ. არომატიზაციისათვის თესლებს ხარშვისას უმატებდნენ ლუდს, ბურახს, სხვადასხვა სახის სასმელებს. გამოიყენება კავკასიის ხალხთა სამზარეულოშიც, იგივე მნიშვნელობით.

ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება, კერძოდ: ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში კვლიავის ნახარშს ურჩევდნენ თირკმელების დაავადებებისას, გულის აჩქარებისა და თრთოლვის დროს, როგორც ქარმდენ საშუალებას; მის წყალს თვალში აწვეთებდნენ ჩაწითლებისა და ტკივილებისას, შედიოდა ჭიის საწინააღმდეგოდ ხმარებულ წამლების შემაღებენლობაში.

ხასიათდება ანტისეპტიკური, ადგილობრივად გამაუმტკივნებელი, ნაღველმდენი, დამამშვიდებელი, საკვების მომნელებელი, წვერებისა და ბრონქიალური ლორწოს სეკრეციის გამაძლიერებელი, ლაქტაციის, შინაგანი ორგანოების გლუკი კუნთების ტონუსის მომაღუნებელი მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება მეტეორიზმის, მუცლის არეში ტკივილების, ნაღვლის ბუშტის, მსხვილი და წვრილი ნაწლავების ანთების, მეტურე ქალებში ლაქტაციის დაქვეითების, ათონური შეკრულობის, მნელად ამოსაღები ნახველის, ბავშვებში დისპეფსის დროს.

კვლიავის ეთერზეთები ბუნებრივი ანტისეპტიკია, ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის აღდგენას. იყენებენ ნეკროზების, თვალის დაავადებების, კიბოს სიმსივნეების

სამკურნალოდ; არის კარგი პროფილაქტიკური საშუალება ტუბერკულოზის დროს.

კვლიავი ერთ-ერთი იმ მცირე სანელებელთაგანია, რომლის მიცემა ბავშვებისათვის შესაძლებელია.

**კივანო, აფრიკული კიტრი, რქიანი ნესვი – *Cucumis metuliferus* E.Mey ex Naudin  
ოჯ. გოგრისებრი – Fam. Cucurbitaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი ლიანაა, 3 მ-მდე სიგრძის წვრილი, მაგარი, ეკლებით დაფარული ყლორტებით. ნაყოფი პატარა ნესვის მსგავსია, ოვალურია, დაფარულია წაწვეტებული, კონუსური ფორმის რბილი ეკლებით; რბილობი ბაცი მწვანეა, შელესებრი ტექსტურით და დიდი რაოდენობის თეთრი თესლებით, რომლებიც საკვებად ვარგისია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო აფრიკაა. კულტივირებულია ტროპიკული კლიმატის სხვა ქვეყნებში, უმთავრესად სამხრეთ ამერიკაში და ანტალიის კუნძულებზე. მაღალი ნაყოფმსხმიარობიდან და ნაკლები მოვლიდან გამომდინარე დაიწყო მისი წარმატებული გამოზრდა იზრაელში, დიდ ბრიტანეთში, ახალ ზელანდიაში, იტალიაში, ბულგარეთსა და აშშ-ის ზოგიერთ შტატში. სელექციონერების მიერ სპეციალურად რუსეთის შუა სარტყლისა და სამხრეთი ნაწილისათვის გამოყვანილია ახალი ჯიში “მწვანე დრაკონი”, რომლის მოყანა უკვე დაწყებულია.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები არომატულია, მომჟავო-მოტკბო გემოთი გამოირჩევა, რაღაც საშუალოა ბანანსა და კიტრს შორის. მწიფე რბილობს საკვებად გამოყენების გარდა იყენებენ სანელებლად, უმატებენ სალათებს, დესერტებს, კრემებს, ტორტებს. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს – A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, C, მაკროელემენტებს – ნატრიუმს, კალციუმს, კალიუმს, ფოსფორსა და მაგნიუმს, აგრეთვე მიკროელემენტებს – რკინას, სპილენს, თუთასა და მანგანუმს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ნაცარს. წარმოადგენს დაბალ კალორიულ პროდუქტს, რის გამოც წშირად გამოიყენება დიეტურ კვებაში. სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტის დროს. წებოვან რბილობს გარეგანად ხმარობენ დაჭრილი ადგილებიდან სისხლის შესაჩერებლად და ჩირქოვანი მიკროორგანიზმების ჭრილობაში მოხვედრის ასაცილებლად.

**უკუქმედება:** ეგზოტური ზილის ინდივიდუალური შეუთავსებლობა, სიფრთხილე მართებთ ალერგიული დაავადებებისადმი განწყობილ პირებსაც.

### კივი — *Actinidia chinensis* Planch.

ოჯ. აქტინიდიასებრნი — Fam. Actinidiaceae



**მორფოლოგია:** მსხვილი მერქოვანი ლიანაა, ღეროები ზვიარაა, ქერცლიანი ქერქით, 10-12 მ-მდე სიგრძის. გვხვდება როგორც

ბუქჩისებრი, ასევე მიწაზე გართხმული ფორმებიც. ყლორტი მოწითალო-ყავისფერია, პრიალა და ხაიანი, დაფარულია მრავალრიცხოვანი მოგრძო და წერტილოვანი ჯირკვლებით. ფოთოლგანწყობა მორიგეობითია, ფოთლის ფირფიტა თხელია, მთლიანი, კვერცხისებრი ან წაწვეტებულ-კვერცხისებრი, ორმაგ ხერხებილა, ზედა შხარეს - მუქი მწვანე, ოდნავ პრიალა, ქვედაზე - ჭუჭყისებრ-მწვანე, მქრქალი; ზოგჯერ ფოთლების კიდეებსა და წვეროებზე აღინიშნება მეწამული წითელი შეფერილობა. ერთსქესიანი, ორსახლიანი მცენარეა. ყვავილები წვრილ საყვავილე ყუნწებზე სხედან, მოთეთრო-მოვარდისფრო შეფერილობისაა, ხუთწევრიანი, მრავალრიცხოვანი მტვრიანებით. ნაყოფი მოგრძო-ელიფსური, ბლაგვი, მომრგვალო, გლუვი, მწვანე, წვინიანი, მომჟავო-ტკბილი, არომატული და სასიამოვნო გემოს კენკრაა, მრავალრიცხოვანი (65-120-მდე) თესლით. ყვ. VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** უძველესი, მესამეული პერიოდის რელიეტია, რომელიც შემორჩენილია შორეული აღმოსავლეთის ტყეებში, უკავია რა არეალის უკიდურესი ჩრდილოეთის მდებარეობა. მიეკუთვნება სამხრეთ სუბტროპიკულ მცენარეთა რიცხვს; იზრდება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეწებში: იაპონიაში, ჩინეთში, კორეაში, ჰიმალაის, ტაილანდის აღმოსავლეთ ნაწილში, კამბოჯაში, ნეპალსა და ბირმაში, სუმატრასა და იავას კუნძულებზე, ტაივანში, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ტყეებში. კულტურაში ყველაზე მეტად ახალ ზელანდიაშია დანერგილი, სადაც პიველად XX ს-ის დასაწყისში ჩინეთიდან იქნა გადატანილი. 1970-იანი წლებიდან ფართო მასშტაბით მისი მოშენება დაიწყო სხვა ქვეწებშიც: აშშ-ში (კალიფორნია), იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ესპანეთში, სამხრეთ აფრიკაში, იაპონიაში. აღსანიშნავია, რომ 1990 წლისათვის მთელ მსოფლიოში კივის ნარგაობებს 59 ათასი ჰა ეკავა, მოსავლიანობა 710 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო XX ს-ის ბოლოს მათი ფართობი - 2,5 ჯერ, მოსავლიანობა კი 4-7-ჯერ გაიზარდა. დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად აჭარაში, კივის ნარგაობები ძირითადად კერძო მოყვარულებისა და მცირე მოცულობის საცდელ ფართობებზეა, იმ

დღოს, როდესაც მისი სამრეწველო პლანტაციების გაშენება, ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერების რეალურ წყაროს წარმოადგენს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კივის ნაყოფი გამოირჩევა ატმისმაგვარი სირბილით, სიტკბოთი და დამახასიათებელი სურნელით. მისგან ამზადებენ მრავალი სახის პროდუქციას, განსაკუთრებით ფართოდ იხმარება კულინარიასა და საკონდიტრო წარმოებაში სხვადასხვა სახის კერძების, სალათების, კექსების, ტორტების, კრემების, მურაბების, ჟელებისა და მარმელადის სახით; მისგან მზადდება მაღალხარისხოვანი ლიქიორი, ღვინო, ნაყენები, ჩირი და სხვ.

ნაყოფები ასკორბინის მჟავის შემცველობით - 0,53-1,43 მგ% უახლოვდება ასკილს და ბევრად აჭარბებს ლიმონს, ფორთოხალსა და შავ მოცხარს. აღინიშნება 10 მგ%-მდე შაქრები, 2,5 მგ% ორგანული მჟავები, პექტინოვანი, მთრიმლავი და სალებავი ნივთიერებები, სახამებელი, ცილები, უჯრედისი, პროვიტამინი A და ვიტამინი P.

კივის ნაყოფები, მათში ვიტამინ C-ს მაღალი შემცველობის გამო, ხასიათდება ძლიერი პროტისტოციდული აქტივობით და გამოიყენება ავიტამინოზის პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ, მნიშვნელოვანია ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებისას; შენიშნულია, რომ მისი ნაყენი აუმჯობესებს სტენოკარდიით დაავადებულთა მდგომარეობას. ძვირფასი დიეტური პროდუქტია.

**უკუქმედება:** უკუმაჩენებელია მაღალი მჟავიანობის, დიარეის, კუჭნაწლავის ტრაქტის აშლილობისა და ალერგიული რეაქციების დღოს.

**კიტრი — *Cucumis sativus* L.**  
**ოჯ. გოგრისებრნი — Fam. Cucurbitaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა 1,5 მ სიგრძის გართხმული დეროებით, მარტივი ულვაშებით, ხეშეში ბეწვით შებუსული. ფოთოლი ხუთნაკვთიანია, იშვიათად მთლიანი. ყვავილები უბისეულია, ერთსქესიანი, იშვიათად ორსქესიანი, მამრობითი - მარტოულია ან 3-5 ცალად ფარისებრ ყვავილედებად შეკრებილი, მდედრობითი - მარტოულია; გვირგვინი ყვითელია, ძაბრისებრი, განკვეთილია ნახევარზე მეტად, კბილები მახვილია. ნაყოფი სხვადასხვა ფორმის, შეფერილობის (სამწიფისას - თეთრიდან მუქ ყავისფერამდე) და ზომისაა (10-75 სმ-მდე სიგრძის). თესლი მრავალრიცხოვანია, თეთრი, 1 სმ სიგრძის. ყვ. V; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** უძველესი კულტურული მცენარეა, ბუნებრივად არსად გვხვდება. ითვლება, რომ ამ მცენარის ველური წინაპრები სახლობდნენ ინდოეთის ტროპიკებში, სადაც ამრავლებდნენ ახალ ერამდე რამდენიმე საუკუნით აღრე. იქიდან მოხვდა ჩინეთში და სხვა მეზობელ, უფრო მოგვიანებით კი შორეულ ქვეყნებში. ცნობილია, რომ კიტრის იცნობდნენ ძველი ეგვიპტელები და ბერძნები, რასაც ადასტურებს ტაძრებზე შემორჩენილი ფრესკები კიტრის გამოსახულებებით. ვარაუდობენ, რომ რუსეთში გავრცელდა აღმოსავლეთ აზიდან XVI ს-ში. სავარაუდოდ, საქართველოშიც ამ პერიოდში გრცელდება. ამჟამად კიტრის კულტურა მთელ

მსფლიოშია გავრცელებული, ამრავლებენ როგორც ლია გრუნტში, ასევე სათბურებში, გამოყვანილია მრავალრიცხოვანი ჯიშები.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ბოსტნეული კულტურაა, საკვებად გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე მარინადებისა და მწნილების სახით.

ნაყოფი შეიცავს: წყალს (97 მგ%), ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>, PP, C, კაროტინს), პანთოთენისა და ფოლიოს მჟავებს, პექტინოვან და აზოტოვან ნივთიერებებს, K, Na, Ca, Mg, Fe, P, S - ის მინერალურ მარილებს, იოდს, უჯრედისს, ფერმენტებს, გლიკოზიდ კუპურბიტაცინს, გლუკოზასა და საქართვას.

ძველ ეგვიპტეში ფართოდ გამოიყენებოდა. ჰიპოკრატე მას რეკომენდაციას უწევდა ბუასილის დროს სისხლდენისას; კიტრის დიეტური კვება მიზანმიმართული მაღალი რაოდენობის ჩართვით ნაჩვენებია მრავალი ქრონიკული პათოლოგიური მდგომარეობისას: კუჭ-ნაწლავის კოლიკის, ჰიპერაციიდური გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, შეკრულობის, ჰეპატიტის, გულ-სისხლძარღვითა დაავადებების, ათეროსკლეროზის, ფილტვების ტუბერკულოზის, წყალმანკის, ციებ-ცხელების, ანემიის დროს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში კიტრს “გამაგრილებელ” საკვებად თვლიდნენ, მას ხმარობდნენ სისხლდენების, ჩირქიანი მუწუკით გამოწვეული მაღალი სიცხის დროს; იხმარებოდა თესლის ნახარშიც. მშარში მოხარშული ფოთოლი გამოიყენებოდა კბილის ტკივილის დროს პირში დასაგუბებლად, ცხვირიდან სისხლდენის შესაჩერებლად კიტრის ნაფუქვენს შუბლზე აფეხდნენ.

ხასიათდება შარდმდენი, ამოსახველებელი, დამამშვიდებელი, მადის აღმძვრელი, საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციის მასტიმულრებელი, სისხლის წნევის მომაწესრიგებელი, გულის მოქმედების გამაუმჯობესებელი, ანტისკლეროტული მოქმედებით.

კიტრის წვენი საუკეთესო ბუნებრივი შარდმდენი საშუალებაა, ამავე დროს ხელს უწყობს თმის ზრდისა და ფრჩხილების დაგლეჯა-დანაფოტების გაუმჯობესებას; სტაფილოს წვენისათვის

კიტრის წვენის დამატება მეტად კეთილ გავლენას ახდენს რევმატიული დაავადებების მიმართ.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ორსულობის, კუჭ-ნაწლავის აშლილობის, კუჭის წყლულის, გასტრიტების, ენტერიტების, მწვავე და ქრონიკული ნეფრიტის, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობის, თირკმელების ფოვანი დაავადებებისას; კიტრის მწნილს სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ჰიპერტონიით, ღვიძლით, გულის მანკით, თირკმელებით დაავადებულები.

### კიტრისუნა – *Borago officinalis* L.

ოჯ. ლაშქარასებრნი — Fam. Boraginaceae



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი, ხეშეშბეწვიანი, 60-100 სმ სიმაღლის მცენარეა მთავარღერძა ფესვით. ღერო სწორმდგმია ან ნახევრად წამოწეული, სქელი, წახნაგებიანი, ღრუ, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ელიფსურია ან ოვალური, ბლაგვი წვერით, ძირში შევიწროებულია მოკლე ყუნწად; ღეროსეული ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, მჯდომარე, ღერომხვევი, ღეროების მსგავსად დაფარულია ხეშეში მოთეთრო ბეწვით. ყვავილები გრძელყუნწანია, შეკრებილია ხვეულებად; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთოლაკებზე გრძელია, მუქი ცისფერია, იშვიათად თეთრი, მოკლე მილით. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებრი, წვრილი კაკალია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ სირიას მიიჩნევენ. ბუნებრივად გავრცელებულია მცირე აზიაში, სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. იზრდება ბოსტნებში, დანაგვიანებულ ადგილებში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კულტივირებულია ბოსტნეული კულტურის სახით.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნორჩი ფოთლები ნედლი კიტრის სურნელის და გემოვნებისაა, გამახალსებელი, დაჰკრავს ხახვის არომატი. საკეთოა გამოიყენება ფოთლები და ყვავილები - ნედლი და დაშაქრული სახით.

წარმოადგენს კიტრის კარგ შემცვლელს; უმატებენ ხაბა-ხუბას, სალათებს, სოუსებს (პომიდორის, მდოგვის, არაჟანის), გარნირებს, ცივ ბოსტნეულ წვნიანებსა და მწვანე ბორშს.

შემოღვიმით შეგროვილი ფესვები გამოიყენება მწვანე ზეთის მისაღებად, რომელსაც უმატებენ ყველს, ხაჭოს, არაჟანს; ხმარობენ ნაყენების, ღვინის, მმრის, სიროფების, ლუდის, ესენციებისა და ცივი სასმელების გემოვნებისათვის. კიტრისუნა პიკანტურ გემოს აძლევს მცენარეულ ზეთზე შემწვარ დაკეპილ ხორცს, ფარშსა და თევზეულს.

ყვავილები ხედლი და მშრალი სახით გამოიყენება ლიქიორისა და საკონდიტრო მრეწველობაში.

ძელ რომსა და შუა საუკანეების ევროპაში, ბალახის ფოთლებსა და ყვავილებს უმატებდნენ ღვინოს, მეომრებისათვის ბრძოლის წინ სიმხევის მისაცემად, ნადიმზე კი ნაღვლისა და მელანქოლიის განსაქარვებლად ხმარობდნენ. XV ს-ში თვლიდნენ, რომ კიტრისუნას ყვავილები ხელს უწყობს სულისკვეთების ამაღლებას და ნაღვლის განდევნას. წარსულში მედიცინაში ფოთლებს ხედლი და მშრალი სახით იყენებდნენ სახსრების რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, ნიკორებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული კანის დაავადებისას.

ხასიათდება დამამშვიდებელი, რბილი სასაქმებელი, შარდმდენი, ოფლმდენი და შემომგარსავი მოქმედებით.

მცენარის ვიტამინიზირებული სალათა ხელს უშლის თირკმელებსა და ნაწლავებში ანთებითი პროცესების განვითარებას, ამცირებს ხერვულ გაღიზიანებას ადგილად

აღმგზნებ ადამიანებში, კეთილისმყოფლად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე, რის გამოც რეკომენდებულია დიეტურ კვებაში თირკმელების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს.

### კოთხუჯი – *Acorus calamus L.* ოჯ. ნიუკასებრნი - Fam. Araceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი ერთლებნიანი მცენარეა სქელი (3 სმ-მდე დიამეტრის), ჰორიზონტალური, დატოტვილი ფესურით და მრავალრიცხოვანი წვრილი ფესვებით. ფესურის დაბოლოებებშე კონებად ვითარდება ვიწროხაზური, კიდემთლიანი, პარალელურმარღვიანი, 60-120 სმ სიგრძის ფოთლები. სამწახნაგოვანი ღერო ბოლოვდება სქელი ხორცოვანი ყვავილებით – ტაროთი, რომლის ძირიდან ვითარდება ირიბად ზევით მიმართული, ღრმად დაღარული მწვანე მფარავი ფოთლი, რომელიც წარმოადგენს საყვავილე ღეროს თითქოსდა გაგრძელებას. ტარო ცილინდრულ-კონუსურია, შეგდება წვრილი, მომწვანო - ყვითელი ყვავილებისაგან. ყვავილსაფარი მარტივია, 6-ფოთოლაკიანი. ნაყოფი – ტყავისებრი, შშრალი, მოგრძო, მრავალთესლიანი, მწვანე ან მოწითალო ფერის კენკრაა. ყვ. V-VI. დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და საქართველოში თესლს არ იძლევა, ამრავლებენ მხოლოდ ვეგეტატიურად, ფესურების დაყოფით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სახეობის სამშობლოდ მიიჩნევენ ინდოეთსა და ჩინეთს; უკვე წარსულშივე, ადამიანის დახმარებით მცენარე გავრცელდა მთელ აზიაში. სახეობის დღევანდელი არქალი ოთხ ძირითად ზონად იყოფა: აზიური – ინდოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია; ციმბირული – უსურიის მხარე, ციმბირის სამხრეთი და შორეული აღმოსავლეთი; ევროპული – ევროპა და რუსეთის ევროპული ნაწილი; ამერიკული – ბრაზილია, კანადის სამხრეთი ნაწილი და აშშ.

კულტივირებულია დასავლეთ ევროპაში, ჩინეთში, ინდოეთში, მიანმეში, ინდონეზიასა და ბრაზილიაში. იზრდება წყალსატევების, მდინარეების, ტბების, არხების ნაპირებზე, მიტოვებულ მდინარისპირა, დაჭაობებულ მდელოებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** როგორც სანელებელი მცენარე ცნობილი იყო ძველი სპარსელებისა და ებრაელებისათვის; როგორც სამკურნალო - ძველ ბერძნებისა და ძველი რომაელი ექიმებისათვის.

მცენარის მშრალი, არომატული ფესურა გამოიყენება სანელებლად ჯავზის, დაფნის ფოთლის, კოჭასა და დარიჩინის ნაცვლად. მისგან ამზადებენ მალის აღმდვრელ ჩაის, რომელიც აუმჯობესებს ნაღვლის ბუშტის მოქმედებას და ამცირებს მმარვას; მცირე რაოდენობით გამოიყენება წვინიანების, ბულიონების, სოუსების, კომბოსტოს, შემწვარი ხორცისა და კარტოფილის, თევზის დაკონსერვებისას, უმატებენ ვაშლის, მსხლისა და რევანდის კომპოტებს. ზოგიერთი ამ მცენარეს იყენებს ტეპილი კერძების, ხილის წვინიანებისა და ხილის სალათებში, საკონდიტრო ნაწარმისა და პურის სურნელებისათვის. თურქეთში დაშაქრული ფესურა ძვირფასი ტკბილეულია; პოლონეთში – ფოთლებს უმატებენ ცომეულს არომატისათვის. ინდოეთში ფესურით კაზმავენ ხორცეულს, ფრინველსა და თევზეულს.

ფესურა შეიცავს 5%-მდე ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია: აზარონი, კალამენონი, კალამენდიოლი, იზოკალამენდიოლი, ბორნეოლი, ევგენოლი, მეთილევგენოლი, კარიოფილენი, ელემენი, კურკუმენი, პროაზულენი, აკორონი, იზოაკორონი, აკოლამონი, კალარენი, ნეოკარონი, ასკორბინისა

და პალმატინის, მმრისა და ვალერიანის მჟავები, ფიტონციდები, მთრიმლავი ნიკოსიერებები, ლორწო, ფისები, სახამებელი, ქოლინი, ვიტამინები, იოდი და სხვ.

კოთხუჯის ფესურა ოფიცინალური ნედლეულია, შეტანილია სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეაში. შედის პრეპარატების ვიკარიის, ვიკალინისა და ოლიმეტინის შემაღენლობაში. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, დამაშვიდებელი მოქმედებით.

მეცნიერულ მედიცინაში სპირტიანი ექსტრაქტები და ეთერზეთები გამოიყენება საკვებმომნელებელი სისტემის გამაუმჯობესებლად და მაღის აღმგზნებად, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ელენთისა და თირგმელების დაავადებებისას, როგორც ამოსახველებელი, მატონიზირებელი და ბაქტერიციდული საშუალება. იხმარება სიყვითლის, მაღარის დროს, პირის დრუე გამოსავლებად და კბილის ტკივილისას. გამოიყენება აგრეთვე ბავშვების აბაზანებში რაქიტით და დიათეზით დაავადებისას. გარეგანად ნაყენი და ნახარში იხმარება ჩირქოვანი ჭრილობებისა და ფურუნგულების მოსაბანად.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოიყენება. კორეულ მედიცინაში – როგორც მატონიზირებელი და კუჭის არომატული საშუალება, აგრეთვე – ღისტონის, მახსოვრობის დაკარგვის, ქრონიკული გასტრიტის, მუცლის ტკივილების, მაღის დაქვეითების, კარდიონევროზის, რევმატიზმი ართრიტის დროს.

ჩინურ მედიცინაში – სმენის გამაუმჯობესებლად, ეპილეპსიის, რევმატიზმის დროს, როგორც სიცხის დამწევი და ბაქტერიციდული საშუალება ქოლერით დაავადებისას.

ინდურ მედიცინაში – ბაქტერიციდული, სპობს ტუბერკულოზის ჩირებს.

ტიბეტურში – ეფექტური საშუალება ყელის წყლულისა და გასტრონეტერიტების დროს.

ბულგარულ ხალხურ მედიცინაში – სისხლნაკლებობისას, თირკმელების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ისტერიისა და კუჭის ჭვლების დროს.

ევროპულ მედიცინაში – სურავანდის, ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, წყალმანკის, სახსრების ტკივილის, გაციების, ქოლერისა და ტიფის ეპიდემიების შემთხვევაში, როგორც პროფილაქტიკური საშუალება; ნაყენებსა და ნახარშებს იყენებენ ართრიტების, ღვიძლის, თირკმელების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს, ტკივილების გასაყუჩებლად, ჭრილობების შესახორცებლად და სხვ.

**კოლურია – *Colluria geoides* (Pall.) Ledeb.**  
**ოჯ. ვარდისებრნი — Fam. Rosaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-35 სმ სიმაღლის, მხოხავი, დატოტვილი, გამერქნებული, გრძელი ფესურით. ფესვთანური ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, მოკლე ყუნწიანი; ღეროსეული—მორიგეობითია, მჯდომარე, განუვითარებელი. ყვავილები მარტოულია ან 2-4 ყვავილიან ყვავილედებადაა შეკრებილი; გვირგვინი ყვითელია, 5-7 ფურცლიანი, მომრგვალო. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებრი თესლურაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. იზრდება მთიან და მაღალმთიან სტეპებზე, ხშირად ქვიან და კლდოვან ფერდობებზე. სადღეისოდ მიმდინარეობს მცენარის კულტურაში შეტანის ცდები, ვინაიდან მნიშვნელოვანი ეთერზეთების შემცველია, რომელიც წარმოადგენს მიხაკის ხის შემცველელს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მიხაკის მსგავსი სურნელიდან გამომდინარე, მშრალ ფესვებს ზოგჯერ “შიხაკის ფესვს” უწოდებენ. იყენებენ კულინარიაში, საკონდიტრო და საკონსერვო მრეწველობაში.

ცომიულს, დარიჩინის მსგავსად ფხვნილის სახით უმატებენ, იყენებენ ჩაის დასამზადებლადაც.

**კომიფორა, მირა – *Commiphora myrrha* (Nees) Engl. (syn. *Balsamea myrrha*)  
ოჯ. ბურზერასებრნი – Fam. Burseraceae**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის ხეა, ტოტები, რომლებზეც ფოთლებია განვითარებული ეკლებითაა მოფენილი; ფოთლები სამნაკვთიანია, ზოგჯერ მხოლოდ შუა ფოთოლი ვითარდება. ყვავილი მოწითალო ვარდისფერია. ნაყოფი კურკაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, წითელი ზღვისა და ინდოეთის ოკეანიის ნაპირებზე, არაბეთსა და მოსაზღვრე კუნძულებზე (სოკატრა და სევ.)

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხის ქერქიდან გამოიყოფა არომატული ფისი, ცნობილია მირას სახელით, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნების მაცხოვრებლები ათასეული წლების მანძილზე ძვირფას განძუულს უთანაბრებდნენ, იყენებენ

რელიგიურ რიტუალებში, მიიჩნევენ ჯანმრთელობისა და მუდმივი ახალგაზრდობის სიმბოლოდ.

ფოთლებიდან და ქერქიდან მიიღება მაღალი ხარისხის სურნელოვანი ეთერზეთები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და პარფიუმერიაში. ნაყოფებისაგან ამზადებენ ღვინოს, მიიჩნევენ “ჯანმრთელობის ელექტროდ”.

არსებობს მონაცემები, რომ ძველ ჩინეთში რევმატიზმის, სახსრების ტკივილების, ჭრილობების შესახორცებლად, სისხლის მიმოქცევისა და მშობიარობის სტიმულირებისათვის გამოიყენებოდა.

ეთერზეთები ხასიათდება ანტისეპტიკური, ამოსახველებელი, შემკვრელი, ანტიგარალური, იმუნური სისტემის მასტიმულირებელი მოქმედებით. იხმარება შაქრიანი დაბეტის, თრომბოფლებიტის, ართროზის, კუჭის წყლულის, ბრონქიტის, გაციებების, ანგინის დროს. განსაკუთრებით კარგად ინკურნება ისეთი დაავადებები, როგორიცაა ალერგია, სისხლის დაავადებები, ჰამორიატი, ტუბერკულოზი.

ფოთლების ნახარშს ხმარობენ გაციების, ინფექციური მონონუკლეოზის, ციებ-ცეცლების საწინააღმდეგოდ.

**უკუქმედება:** ფეხმძიმობისას მისი მიღება სახიფათოა, ახდენს საშვილოსნოს სტიმულირებას.

### კოწახური — *Berberis vulgaris* L. ოჯ. კოწახურისებრი — Fam. Berberidaceae



**მორფოლოგია:** დაბალი 2,5 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, მთლიანი ფოთლებითა და ეკლებად გადაქცეული თანაფოთლებით;

პირველი წლის ტოტები მონაცრისფრო-მწვანე შეფერილობისაა, მეორე წელს ნაცრისფერი ხდება. ფოთოლი თხელია, შიშველი, მწვანე, ელიფსურიდან მოგრძო ლანცეტისებრი ფორმის, ბლაგვი, ფუძისკენ შევიწროებული და კიდეებზე ხერხებილა. ყვავილი ყვითელია, შეკრებილია ფოთლების იღლიებში მტევნისებრ ყვავილებად, გვირგვინის ფურცლები 6, კრამიტისებრად 2 წრედაა განლაგებული, გვირგვინის ფურცლების შიგნითა მსარეზე, ძირთან მოთავსებულია ერთი წვრილი ოვალური ჯირკვალი – სანექტრე; 6 მტევნიანა, ასევე ორ წრედაა განლაგებული. ნაყოფი თვითუხსნადი, ხორცოვანი, ელიფსური, წითელი, უფრო იშვიათად ყვითელი ან ვარდისფერი, 2-3 წიმწიანი კენკრაა. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბორეალური, დასავლეთევრაზიული სახეობაა, ტყის, ჰემიქსეროფილური; გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, სბელთაშუაზღვეთის მხარეს, ბალკანეთსა და კავკასიაში, საქართველოს ყველა რეგიონში.

იზრდება ტყის ქედა სარტყელიდან ზედამდე, ტყებში, ტყის პირებზე, ხეობებში, ბუჩქნარებს შორის, განათებულ ფერდობებზე, მდინარეთა ნაპირებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კვების მრეწველობაში სხვადასხვა სახით (წვენები, კარამელები და სხვ.) გამოიყენება. საკვებად იყენებენ ნორჩ ფოთლებს, მწვანე და მწიფე ნაყოფებს. ფოთლებისგან, რომელიც მდიდარია ორგანული მჟავებით და C ვიტამინით, ამზადებენ სალათებს, მჟაუნას ნაცვლად უმატებენ მწვანე ბორშს, მისით აზაეგებენ მწვანე აჯიკას და სოუსებს. მწვანე ნაყოფები ნედლი სახით არ იჭმევა, მას ამარილებენ კაპარისა და ზეთისხილის ნაყოფების მსვავსად, შემდევ იყენებენ შემწვარ ხორცთან. მწიფე ნაყოფებს აშრობენ, ფხვნიან და სანელებლად უმატებენ ძროხის ან ცხვრის ხორცის ბულიონებსა და წვნიანებს, კუპატებს, ლულა-ქაბაბს და სხვა ხორციან ნაწარმს. მშრალ მთლიან ნაყოფებს უმატებენ ფლავს, ქიშმითან და ჭერმის ჩირთან ერთად. ნედლი ნაყოფებიდან ამზადებენ მურაბებს, პასტილს, ჯემებს, წვენებს, ჟელეს, კომპოტებს.

სამკურნალო ნედლეულს ფოთლები, ფესვები, ნაყოფები

წარმოადგენს. ფესვი შეიცავს: ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ვიტამინებს (C, E, B, კაროტინს); ნაყოფები - ვიტამინ C - ს, კაროტინოიდებს, ორგანულ მჟავებს, პექტინებს; ნორჩი ფოთლები – C ვიტამინს, ვაშლის მჟავას, კაროტინს.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში კოწახურს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ; ნაყოფებისაგან ამზადებდნენ შარბათს, იხმარებოდა სურავანდის, გულის დაავადებების, პირდებინების, მაღალი სიცხის, წელის ტკივილის, სისხლდენისა და შეკრულობის ღროს; ფესვების ნახარშს – სიყვითლის, ცინგის, შეუკავებელი შარდვის, ღვიძლისა და ელენთის ტკივილების, თირკმლისა და შარლის ბუშტის კენჭოვნი დაავადებებისას.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, შარლმდენი, ნაღველმდენი, ანტიმიკრობული, მთრიმლავი, სისხლდენის შემაჩერებელი, ანტისეპტიკური, სიცხისდამწევი, მსუბუქი საფალარაოო, ჰიპოტონიური, სედატიური მოქმედებით.

მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება C ვიტამინისა და პრეპარატ ბერბერინის მისაღებად. იხმარება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადებების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ზემო სასუნთქი გზების ანთებითი პროცესების, საშეილოსნოდან სისხლდენის ღროს.

**უკუქმედება:** ნაყოფი უკუქმაჩვენებელია საერთო და კლიმატურიული სისხლდენებისას, ხოლო ქერქიდან და ფესვებიდან მიღებული პრეპარატები – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ტრომბოფლებიტის, თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმების ღროს.

**კრაზანა – *Hypericum perforatum* L.  
ოჯ. კრაზანისებრნი — Fam. Hypericaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-100 სმ სიმაღლის მცენარეა. წვრილი ფესურიდან ყოველწლიურად ვითარდება რამდენიმე გლუვი, დატოტვილი დერო. ფოთლები მჯდომარეა, მოპირისპირე, ელიფსური, კიდემთლიანი, უხვი, გამჭვირვალე ჯირკვლებით მოფენილი. ყვავილი წვრილია, ოქროსფერ-ყვითელი შეფერილობის, ხუთწევრიანი, შეკრებილია ფართო საგველა ან ფარისებრ ყვავილედებად. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ფართოდაა გავრცელებული ევრაზიაში – ატლანტური სანაპიროებიდან დაწყებული, მოხდოლეთსა და ჩინეთამდე დამთავრებული. აღინიშნება ჩრდილოეთ აფრიკაში, კანარისა და აზორის კუნძულებზე. ნატურალიზებულია ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, იაპონიაში, სამხრეთ და ჩრდილო ამერიკაში. იზრდება ტყის პირებსა და მდელოებზე, ბუჩქნარებსა და მშრალ ადგილებში, ზოგჯერ ნაჩხატებსა და ნათესებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** გაზაფხულის ნედლ ფოთლებს იყენებენ სალათების სახით, ხოლო ზაფხულის ზრდასრული ფოთლები კარგად ეხამება თევზეულ კერძებს. მისგან ამზადებენ ჩაის, არა იმდენად არომატისა და გემოვნებითი თვისებებიდან გამომდინარე, რამდენადაც ორგანიზმის გამაძლიერებლად და დაავადებების პროფილაქტიკისათვის.

ხალხური ანდაზის თანახმად, “როგორც ფქვილის გარეშე არ ცხვება პური, ასევე კრაზანის გარეშე ვერ განიკურნება დაავადებები”. მედიცინაში გამოიყენება ყვავილობის პერიოდში შეგროვილი ბალახი. შეიცავს მთრიმლავ და ფისოვან ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ჰიპერინს, ჰიპერიცინს, ვიტამინებს (C, B, კაროტინს, ჟოლინს), ნიკოტინის მჟავას, გლიკოზიდებსა და სხვა ნივთიერებებს.

ყველაზე ადრეული მონაცემები მცენარის სამკურნალო მნიშვნელობაზე აღინიშნება ძველი საუკუნეების მეცნიერთა – ჰიპოკრატეს, პლინიუსისა და დიოსკორიდის თხზულებებში.

ხასიათდება შემკვრელი, მიკრობების საწინააღმდეგო, სისხლდენის შემაჩერებელი, ნაღველმდენი და მასტიმულირებელი მოქმედებით. არსებობს აგრეთვე მონაცემები მისი მატონიზირებელი მოქმედებისა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება რევმატიზმის, იშიაზის, ნიკრისის ქარის, ფილტვების ტუბერკულოზის, სისხლდენების, ბუასილის, ღვიძლისა და გინეკოლოგიური დაავადებების, ნეკრასტენის, ანთებითი პროცესების, ფურუნკულებისა და სხვ. დროს.

მეცნიერულ მედიცინაში ბალახის ნაყენი და პრეპარატები ადგილობრივ იხმარება როგორც შემკვრელი, მადეზინფიცირებელი და ანთების საწინააღმდეგო გამოსავლები საშუალება ანგინის, ქრონიკული ტონზილიტის, ღრძილების ანთების, გინგივიტის, სტომატიტებისა და პირის ღრუს სხვა დაავადებებისას. შინაგანად გამოიყენება როგორც შემკვრელი და ანტისეპტიკური საშუალება კუჭ-ნაწლავის დაავადებების (მწვავე და ქრონიკული გასტრიტი, კუჭისა და თორმეტვოჯა ნაწლავის წყლული, ენტეროკოლიტი, ფალარათი, წყლულოვანი კოლიტი, ბუასილი), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის (ნაღვლის ბუშტის დისკინეზია, ქოლეცისტიტი, ნაღველკენჭოვანი დაავადებები, მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტი) სამკურნალოდ.

გამოიყენება ასთენიურ მდგომარეობაში, ნეკროზებისა და ნეკრასტენის, კრუნჩევების, თავის ტკივილების, უძილობის, მიოკარდიტისა და ენდოკარდიტის, გლომერუნეფრიტის,

პიელონეფრიტის, ცისტიტისა და წინამდებარე ჯირკვლის ანთების, ართიტის, რადიკულიტის დროს. მისით მკურნალობენ ქალურ მრავალ დაავადებას (დანამატების ანთება, ამენორეი, უხვი მენსტრუაცია, თეთრი შლა), აგრეთვე ბავშვებში ალერგიულ დიათეზს. დადებითად მოქმედებს ფილტვების ტუბერკულოზზე. კრაზანასაგან დამზადებული პრეპარატი “წოვოიმანინი” გარეგანად იხმარება აბსცესების, ფლეგმონის, ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** დიდი სიფრთხილეა საჭირო კრაზანის სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად გამოყენების თვალსაზრისით, პირველ რიგში იმუნოსუპრესანტებთან მიმართებაში. წარმოადგენს რა მძლავრ კატალიზატორს, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მედიკამენტების გამოდევნას, რითიც აქვეითებს თერაპიულ ეფექტს.

### გულმუხო – *Inula helenium L.*

ოჯ. რთულყვავილოვანნი (ასტრასებრნი) — Fam.Compositae  
(Asteraceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლვანი ბალახოვანი მცენარეა. ფესურა სქელია, მოკლე, ხორცოვანი, მრავალრიცხოვანი სქელი ფესვებით, გარედან - მურა შეფერილობისაა, შიგნიდან - მოყვითალო. ღერო 100-175 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დაღარული, სქლადაა შებუსული მოკლე თეთრი ბეწვით.

ფოთლები მორიგეობითია, დიდი ზომის, არათანაბრად დაკბილული, ქვედა მხრიდან ხავერდოვანი, მონაცრისფრო ქეჩისებრ შებუსული; ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, ელიფსური ან მოგრძო-კვერცხისებრი. ყვავილები 6-7 სმ დიამეტრის კალათაა, განწყობილია მარტოულად დეროების ან ტოტების ბოლოებზე, რომლებიც წარმოქმნის უსწორო ფარისებრ ან მტევნისებრ ყვავილებს. ყვავილი ყვითელია, განაპირა ყვავილები ბუტკოიანია, ენისებრი, ხაზური, შუა – ორსქესიანია, მიღლისებრი, ხუთკიდა. ნაყოფი მოგრძო, ოთხწანიაგოვანი მურა ან ყავისფერი, ქოჩრიანი თესლურაა, რომელიც ორჯერ აღემატება მის სიგრძეს. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბურებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, თურქეთში, მონღოლეთში, ჩინეთში, შუა აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. იზრდება ფოთლოვან და წიწვნარ ტყეებში და ბუჩქნარების რაყებში, ტყესტეპებსა და მთის ტყეებში (2000 მ სიმაღლემდე), მდინარეების, ტბებისა და მთის ნაკადულების ნაპირებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფესურა ფესვებითურთ ხასიათდება თავისებური არომატით, მწარე, მწვავე გემოვნებით. კვების მრეწველობაში გამოიყენება საკონდიტრო ნაწარმისა და სასმელების წარმოებაში. ლიქიორ-არყის მრეწველობაში ფესურას ხმარობენ არომატიზაციისათვის და ღვინის შესაღებად. ეთერზეთების, რომლებსაც ფესურა შეიცავს, გამოიყენება იგივე დანიშნულებით, თევზეულის, კულინარული ნაწარმისა და კვების კონცენტრანტების არომატიზაციისათვის.

კულმუხო უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, მას იყენებდნენ პიპოკრატეს, დიოსკორიდისა და პლინიუს დიდის ეპოქის უქმები. სამკურნალო მიზნით გამოიყენება ფესურა და ფესვები (*Rhizoma et radix Inulae*). ნედლეულს აგროვებენ მცენარის სიცოცხლის მეორე წელს, ნაყოფების მომწიფების შემდგომ აგვისტო-სექტემბერში ან ადრე გაზაფხულზე, პირველი ფოთლის წარმოქმნისას; ამოთხრილ ფესვებს აცილებენ მიწას, რეცხავენ გამდინარე წყალში, აჭრიან დეროებსა და მცირე ზომის ფესვებს, ჭრიან 10-15 სმ სიგრძისა და

1-2 სმ სისქის ნაჭრებად, 2-3 დღეს ტოვებენ ჰაერზე, შემდეგ აშრობენ ღუმელებში  $40^{\circ}\text{C}$ -ზე.

ფესურა შეიცავს ინულინს (44 %-მდე) და სხვა პოლისახარიდებს, მწარე ნივთიერებებს, ეთერზეთებს (4,5 %-მდე), საპონინებს, გუმფის, მცირე რადენობის ალკალოიდებს, ჰელენინს, ფისებს, ლორწოს, დიჰიდროალანოლაქტონს, ფრიდელინს, სტიგმასტერინს, ფიტომელანს, ჰექტინებს, ცვილს, ვიტამინ E; ბალახში აღინიშნება ეთერზეთები (3%), ასკორბინის მჟავა, E ვიტამინი. კულტურის ბიოლოგიურად აქტიურ ძირითად ნივთიერებად ითვლება ალანტოლაქტონი და მისი თანმხლები ტერპენოიდები.

კულმუხოს ფესურების პრეპარატები ხასიათდება ამოსახველებელი და ანთების საწინააღმდეგო, შარლმდენი, ჰირილობების შემახორცებელი მოქმედებით; აუმჯობესებს მაღას, ამცირებს ნაწლავების პერისტალტიკას, აქეეთოებს კუჭის წევნის სეკრეციას. სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში ფესურების ნაყენები და ექსტრაქტები შინაგანად გამოიყენება ტახიკარდიის, ეპილეპსიის, მალარიის, შეშუბების, კანისა და შარლკენჭოვანი დაავადებებისას; ნახარში - როგორც ამოსახველებელი საშუალება ყივანახველის, ბრონქიალური ასთმის დროს. თესლები ქალური დაავადებების სამკურნალოდ იხმარება. ნედლი ფესვების ღვინის ნაყენს იყენებდნენ ჰიპოციდური გასტრიტის სამკურნალოდ.

ფესურიდან მიღებულია პრეპარატი - ალანტონი, რომელიც კუჭისა და თორმეტგოვა ნაწლავის წყლულის საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

**კუმბა, სენეგალის ან მავრიტანული პილპილი, ქსილოპია**  
***Xylophia aethiopica* (Dunal) A.Rich.**  
**ოჯ. ანონასებრნი — Fam. Anonaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ტროპიკული არომატული ხეა, აღწევს 20 მ-მდე სიმაღლეს. ნაყოფი 2,5-5 სმ სიგრძისა და 4-6 მმ სისქის ჭოტია, თითოეულ მათგანში 5-8 მარცვალია განვითარებული. თესლი მრგვალია, პრიალა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ტროპიკული აფრიკის (ანგოლა, ბენინი, ბურკინა-ფასო, კამერუნი, კონგო, ეთიოპია, გაბონი, გამბია, განა, გვინეა, კოტ-დ'იუარი, კენია, ლიბერია, მოზამბიკა, ნიგერია, სენეგალი, სუდანი, ტანზანია, ტოგო, უგანდა, ზამბია) ქვედა სარტყელის ტენიან ტროპიკულ ტყეებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სასიამოვნო სურნელსა და სიმწვავეს ფლობს ნაყოფის გარსი და არა მარცვალი, გამოირჩევა ნაზი, პიკნტური, ოდნავ მომწარო არომატით, რომელიც ქუბებას პილპილისა და ჯავზის ნარევის მსგავსია. დასაცლეთ და ჩრდილო აფრიკაში, არაბულ ქვეყნებში, აგრეთვე ესპანეთში მას იყენებენ ხორცეულის, ბოსტნეულისა და ცომეული კერძების სანელებლად, ანიჭებს მათ მსუბუქ პიკანტურ და მწვავე არომატს, გემოვნებით რაღაც საერთოს ჯავზთან.

მცენარე გამოირჩევა სამკურნალო მნიშვნელობითაც. შეიცავს ეთერზეთებს, მონო და დიტერპენულ ნახშირწყლებს, მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს; ნედლი და შშრალი ნაყოფები, ფოთლები, ღეროები და ფესვი ხასიათდება სხვადასხვა ხარისხის

აქტივობით გრამდალებითი ბაქტერიების მიმართ. დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნების მცხოვრებნი ტრადიციულ მედიცინაში მის ყველა მორფოლოგიურ ნაწილს იყენებენ მთელი რიგი დაავადებების სამკურნალოდ, მათ შორის კანის ინფექციების, კანდიდოზის, დისპეფსიის, ხველებისა და ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ; ახალი გამოკვლეულების თანახმად, მცენარიდან მიღებული ეთერზეთები და გაუწმენდავი ექსტრაქტები (სპირტიანი და წყლის) გამოირჩევა ასევე ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული აქტივობით გრამდალებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიებისა და *Candida albicans*-ის მიმართ.

**კურკუმა, ქურქუმა – *Curcuma aromatic L.***  
**ოჯ. ჯანჯაფილისებრნი — Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ერთლებნიანი ბალახოვანი მცენარეა მორიგეობითი, მარტივი ოვალური ფოთლებით და ტუბეროვანი, მოყვითალო-მოყავისფრო ფესურით. წვეროსეული კვირტიდან ვითარდება მცენარის მიწისზედა ნაწილი, რომელიც შედგება რამდენიმე გრძელი ფოთლისაგან. საყვავილე ღეროს შუა ნაწილში წარმოქმნილი კაშკაშა წითელი ფერის მილისებრი ყვავილები სამნაკვთიანი გადანალუნით ხასიათდება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთია, სადაც დღემდე ბუნებრივადაა გავრცელებული. ამჟამად კულტივირებულია კამბოჯაში,

ინდონეზიაში, შრი-ლანკაში, ჩინეთში, იაპონიაში, კუნძულ გაიტსა და მადაგასკარზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** აღმოსავლეთ ქვეყნებში სანელებლებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია კურკუმა (ქურქუმა), რომელიც კლასიკურ სანელებლების რიცხვს მიეკუთვნება. სანელებლია მშრალი და დაქუცმაცებული ფესურა, რომლისგანაც მიიღება არომატული, მწვავე, კაშკაშა ყვითელი ფერის ფხვნილი. მცირე რაოდენობით იყენებენ სხვადასხვა კერძებში (წვნიანები და სალათები, ხორცისა და კვერცხის კერძები, გარნირები).

სასარგებლო და სამკურნალო თვისებები სანელებლის ქიმიური შემადგენლობითაა განპირობებული, მდიდარია ვიტამინებით (K, C, B, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>), მიკრო და მაკროელემენტებით, ეთერზეთებით, მის შემადგენლობაშია ტერპენები, ანტიოქსიდანტები, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის გაახალგაზრდავებას, ბლოკავს კიბოს სიმსივნეების განვითარებას; ამ მეტად გემრიელი და სასარგებლო სანელებლის შეფერილობას განსაზღვრავს მისი მთავარი კომპონენტი, საღებავი – კურკუმინი, რომლის მოლეკულები ახდენს ორგანიზმის უჯრედების მემბრანაში დანერგვას, იწვევს მათ გამაგრებს და ხდის ინფექციებისადმი მდგრადს. კურკუმინის მოქმედებიდან გამომდინარე ორგანიზმში იზრდება ლიკოპინტებისა და უჯრედების საერთო რაოდენობა, რომლებიც ანტისენტებებს წარმოქმნის.

აიურ-ვედას მოძღვრების თანახმად ქურქუმა წმენდს სხეულს ტოქსინებისაგან, ათბობს და ასუფთავებს სისხლს, ელასტიურს ხდის იოგებსა და სახსრებს.

ამჟამად წარმატებით გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის, თირკმელების, ლვიძლისა და ნალვლის ბუშტის დააგადებების, წყლულოვანი კოლიტის, ათეროსკლეროზის, შაკიკის, ვიტილიგოს, თვალების ანთების, ანემის, ასთმის, ჭინჭრის ციუბის, გაციების, ხველების, ყელის დაავადებების, ლრძილებიდან სისხლდენის სამკურნალოდ.

მეტად სასარგებლო კურკუმას ყოველდღიური გამოყენება გულის კუნთის გასამაგრებლად, რეგომქნდებულია მისი ჩართვა დასუსტებული, ოპერაცია გადატანილი ადამიანების კვებით

რაციონში, ვინაიდან ახდენს იმუნიტეტის გაძლიერებას, მადის გაუმჯობესებას, ამაღლებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს სხვადასხვა ინფექციებისადმი.

**კუტი ბალახი – *Teucrium polium L.***  
**ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; ღერო 30-40 სმ სიმაღლისაა, ცილინდრული, თეთრი, ქერისებრ შებუსული, აღმავალი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ვიწროხაზურია ან უკულანცეტა, ხუჭუჭი ბეწვით უხვად შებუსული. ყვავილები თეთრია ან კრემისფერი, შეკრებილია თავაკისებრ ყვავილედებში ცრუ რგოლებად. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, მცირე აზიასა და ირანში, ჩრდილეთ აფრიკაში, კავკასიასა და შუა აზიაში.

იზრდება მშრალ სტეპებსა და ქვიან ფერდობებზე, ნაშალებზე, ზოგჯერ ქმნის ცენოზებს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ-არომატულ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. ნედლეულს მცენარის მიწისზედა ნაწილი წარმოადგენს, აგროვებენ მასობრივი ყვავილობის პერიოდში. ნედლი მასალიდან ჰიდროდისტილაციის მეთოდით მიღება ეთერზეთები.

ხალხურ მედიცინაში ცნობილია როგორც დამამშვიდებელი

საშუალება ტკივილების დროს, აღაგზნებს საკვებმომნელებელი ორგანოების მოქმედებას; იყენებენ კუჭის დავადებებისა და მადის დაკარგვისას. ნახარშს ხმარობენ თვალის დავადებების სამკურნალოდ.

**ლავანდი – *Lavandula officinalis* L.  
ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**ძორფოლოგია:** წარმოადგენს ძლიერ პოლიმორფულ და პლასტიურ სახეობას, რომელიც იმყოფება გაძლიერებულ ფორმაწარმოქმნის პროცესში. მრავალწლოვანი, ფუძიდან ძლიერ დატოტვილი მცენარეა, ნახევრადბუჩქი, ნახევრადმწოლიარე ძველი ტოტებითა და სწორმდგომი, ახალგაზრდა ყლორტებით (განსაკუთრებით მოყვავილე). ფოთლები მჯდომარეა, მოგრძოლანცეტა, ლანცეტა ან ხაზური, კიდემთლიანი, ქვედა მხარეს ჩახეული კიდეებით; ნორჩი ფოთლები ნაცრისფერია, უფრო ხნიერი კი მომწვანო, ქვემოდან შებუსულია ჯირკვლოვანი ბეწვებით. ყვავილები შეკრებილია წვეროსეულ, არატიპურ თავთავისებრ ყვავილედებად. ჯამი მილისებრია, ხუთკბილიანი, არაერთგვაროვანი კბილებით, მუქი მოლურჯო იისფერი, წვრილი ბეწვებით უხვად შებუსული. გვირგვინი მოცისფრო-იისფერია, მილისებრი, ორტუჩა; ზედა ტუჩი უფრო მსხვილია და შედგება ორი, ხოლო ქვედა – სამი ბრტყელი ნაკვთისაგან. ნაყოფი კაკლუჭაა, 4 კაკლიანი. ყვ. VI-VII. ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ლავანდის სამშობლოს ხმელთაშუაზღვეთის ოლქის ევროპული ნაწილი და მიმდებარე რაიონები — უახლესი აღმოსავლეთი, წინა ინდოეთი, მცირე აზიასა და ჩრდ. აფრიკის ტერიტორია წარმოადგენს. არის ტიპური ხმელთაშუაზღვეთის მობინადრე მცენარე, რომლის არეალი ვიწრო ზოლად გადაჭიმულია კანარის კუნძულებიდან ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე და აღმოსავლეთით აღწევს წინა ინდოეთამდე. აქ შედის სამხრეთ საფრანგეთის, ჩრდ. იტალიის, სიცილიის, პორტუგალიის, პირენეის, დალმაციის, კორსიკის, სარდინიის, საბერძნეთის და ზოგიერთი სხვა რაიონის მთიანი და ამაღლებული ადგილები. განსაკუთრებით ფართოდ სამხრეთ საფრანგეთშია გავრცელებული, აქ აღპების სამხრეთ ფერდობებზეა განლაგებული მისი მთავარი მასივები, რომელიც ითვლის რამდენიმე ათას ჰექტარს და უძველესი დროიდანვეა ექსპლუატირებული. მისი კულტურის წარმოებაში დანერგვით დაინტერესდნენ დიდ ბრიტანეთში, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნებში, ასევე ამერიკასა და აზიაში.

რუსეთში ლავანდი როგორც სამრეწველო კულტურა მოჰყავთ 1929 წლიდან; მის კულტურაში შეტანას საფუძველი დაედო ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში და სოხუმის მემცნარეობის ინსტიტუტში. თუმცა ინტროდუქციის ადრეულ პერიოდად ითვლება XVII ს-ის დასაწყისი, როდესაც ცდილობდნენ გაევრცელებინათ ბაღებსა და ბოსტნებში. სადღეისოდ ლავანდის კულტურის ფართობითა და მისი ეთერზეთების წარმოებით ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან უპირველესი ადგილი უკავია მოლდოვას. გასული საუკუნის 80-იან წლებში ლავანდის ფართობი უდრიდა 1007 ჰა-ს, ხოლო ყვავილების საერთო მოსავლიანობა შეადგენდა 3113 ტონას.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ლავანდი, როგორც ძვირფასი არომატული მცენარე, ადამიანის მიერ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მედიცინასა და ყოფაცხოვრებაში სხვადასხვა დანიშნულებისამებრ.

კულინარიაში გამოიყენება გამშრალი ყვავილები. ამ დანიშნულებისათვის, აგროვებენ სრული ყვავილობის პერიოდში, როდესაც ეთერზეთების რაოდენობა მათში მაქსიმალურია, რის

გამოც სანელებლის სურნელი და ფერი საუკეთესოა. ფართოდ იყენებენ მსოფლიოს მრავალ სამხარეულოში ტკბილ კერძებში, მურაბებში, ჯემებში. ლავანდის ექსტრაქტით ახდენენ შაქრის არომატიზაციას, ასეთი შაქარი მეტად პოპულარულია ევროპაში. საფრანგეთში ადრიდანვე გამოიყენებოდა საკონდიტრო ნაწარმში, ყვავილებს აშაქრებდნენ და მისით კაზმავდნენ ტორტებს, ტკბილვეზელს, ნამცხვრებს. სანელებელს უმატებენ კანფეტებს, შაქარყინულს, აგრეთვე სალათებს, წენიანებს, ბოსტნეულს, თევზეულს. ნედლი ყვავილებიდან ამზადებენ მურაბებს, ჯებს, პასტებს, მუსის, პასტილას.

საკვებ მრეწველობაში იყენებენ სიროფების, ღვინოების (საფრანგეთი), ლიქიორების, ნაყენებისა და უალკოჰოლო სასმელების არომატიზაციისათვის და გემოვნების მისაცემად. სასარგებლო და არომატულია ლავანდის ჩაიც, რომელიც სპობს წყურვილს, ამაღლებს ტონუსს, კარგად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, აუმჯობესებს ნაწლავების სეპრეტორულ ფუნქციას.

ლავანდის ეთერზეთების შემადგენლობაში შედის ორგანული შენაერთების განსხვავებული ჯგუფები, მათ შორის მთავარია: ნახშირწყლები, სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, ეთერები, მჟავები, აზოტ-გოგიარდოვანი ნივთიერებები და სხვ. ნედლი ნედლეული შეიცავს 0,1-1% ეთერზეთებს, მშრალი – 1-3% ეთერზეთებსა და 12% ტანინოვან ნივთიერებებს.

ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ რომაელების მიერ იქნა მიღებული და გამოყენებული ლავანდის ზეთი, რომელიც არჩენს დამწერობას, ჩირქოვან ჭრილობებს, ვენერიულ, კუჭისა და სასუნთქი გზების დავადებებს, რევმატიზმსა და მრავალ სხვას. რაც უფრო მეტად ეცნობოდნენ ამ მცენარეს, მით უფრო ფართოვდებოდა მისი გამოყენების მასშტაბებიც. ლავანდის ზეთის გამოყენება დაიწყეს როგორც ანტიტოქსიკური საშუალების, შედის ყოველგვარი არომატული ნარევებისა და სასუნთქი ფხვნილების შემადგენლობაში. იხმარება ნერვული აშლილობის დასაწყისარებლად.

გამოიყენებოდა ე.წ. ინგლისური მარილის დასამზადებლად, რომელსაც ასუნთქებდნენ გულის წასვლის შემთხვევაში. მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებასთან ერთად

ლავანდი ახალ მნიშვნელობას იძენს. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ხდება ლავანდის ზეთის ფართო დანერგვა პარფიუმერულ მრეწველობაში, ოდეკოლონების, სუნამოების, სურნელოვანი წყლიანი ექსტრაქტების, მაღამოებისა და პასტების, საპნის წარმოებაში; იხმარება კერამიკულ მრეწველობაში ძვირფასი ლაქების მისაღებად, სხვადასხვა ფაიფურის დასამზადებლად, ლაქებისა და საღებავების გამხსნელად.

### **ლიმონი — *Citrus limon* (L.) Burm.**

**ოჯ. ტეგანისებრი — Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 5 მ-მდე სიმაღლის უმრავლეს შემთხვევაში ეკლიანი ხეა. ახალგაზრდა ყლორტები მოწითალო-ისფერი შეფერილობისაა. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია ან ლანცეტა, ლიმნის სპეციფიკური სურნელით. ყვავილი მარტოულია ან მცირე მტევნებად შეკრებილი, უბისეული. ფოთოლაკები შიგნიდან ოდნავ მეწამულია. ნაყოფი ელიფსურია, წვერზე საწოვრისებრი გამონაზარდით; ქერქი ყვითელია, რბილობს მნელად სცილდება, რომელიც მომწვანო-ყვითელია, მჟავე. თესლი ერთი ჩანასახით. ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** გელურად არ გახვდება. სავარაუდოდ კულტურაში შეტანილია სამხრეთ-აღმოსავლეთ ან სამხრეთ აზიაში. პირველად მოიხსენიება XII ს-ში, ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიაზე, საიდანაც არაბების მიერ ვრცელდება.

ჩრდილოეთ აფრიკაში, ესპანეთსა და იტალიაში. ამჟამად, კულტივირებულია უმთავრესად ევროპის სუბტროპიკულ ქვეყნებში, ჩრდილო ამერიკასა და აზიაში. ლიმონის კულტურა განსაკუთრებით ფართოდაა განვითარებული იტალიაში, აშშ-ში, ინდოეთში. კავკასიის შავზღვისპირეთში XVIII ს-დან მოჰყავთ არასამრეწველო მასშტაბებით. საქართველოში უმთავრესად წარმოდგენილია დასაცლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში (ძირითადად აჭარასა და აფხაზეთში).

**შნიშვნელობა და გამოყენება:** ლიმონის მეტად არომატული ნაყოფები საკეთად გამოიყენება ნედლი სახით, იყენებენ აგრეთვე საკონდიტრო და კვებით მრეწველობაში, ლიმიორ-არყის წარმოებაში, უალკოჰოლო გამახალისებელი სასმელების, წვენების, სიროფისა და ლიმონათის დასამზადებლად.

სანელებლად ხმარობენ ხილის სალათებში, ნამცხვრებში, სოუსებში, თევზის, ფრინხველის, ბრინჯისა და ტკბილ კერძებში. ლიმონის წვენი აუმჯობესებს კერძის გემოს, უმატებენ შემწვარ ხორცეულსა და თევზეულს, ცივ საუზმეს, სალათებს. ლიმონისგან ამზადებენ მურაბებს, კრემს, უელეს; გემრიელია ლიმონის ტორტები და ნამცხვრები; მისით რთავენ ნამცხვრებსა და სალათებს. ნაყოფები გამოიყენება ჩაისთან ერთად.

ნაყოფი შეიცავს 2,1-3,8 მგ% შაქრებს, 4,1-5,9 მგ% ორგანულ მჟავებს, 90 მგ % ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, A, D), ფიტონციდებს, კალიუმისა და სპილენძის მარილებს, ეთეროვან ზეთებს; ლიმონის წვენი შეიცავს ლიმონის მჟავას, შაქრებს, ვიტამინებს (C, A, B, D); რბილობი შეადგენს ნაყოფის წონის 60 %, მასში აღმოჩენილია პექტინოვანი ნივთიერებები, კალიუმის, სპილენძის მარილები და სხვა მიკროელემენტები; ნაყოფის ქრექში გახვდება: P ვიტამინი, ფლავონური გლიკოზიდები, კუმარინები და სიტოსტეროლი; ფოთლებში აღინიშნება: 55-88 მგ% ვიტამინი C. ქერქიდან, ყვავილებიდან, ფოთლებიდან და კლორტებიდან ღებულობენ ეთერზეთებს, რომელიც გამოიყენება საკვებ, პარფიუმერიულ და ფარმაცევტულ მრეწველობაში.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ავიტამინოზის, ანგინის, ნიკრისის ქარის, კანისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას.

ხასიათდება მასტიმულირებელი, ზოგადმატონიზირებელი, სიცხისძამწევი, პირდებინების საწინააღმდეგო ფარმაკოლოგიური მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება ცხელების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, დაბალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტის, ნიკრისის ქარის, შარდეკნჭოვანი დაავადებების, ანგინის, დიფტერიის, ფარინგიტის, ანემიის დროს.

ლიმონის წვენს იყენებენ მარილების დალექვის, მათ შორის შარდეკნჭოვანი მარილების (ნიკრისის ქარი), შეშუბების, წყალმანკის, ბუასილის, ტუბერკულოზის, რევმატიზმის, რადიკულიტის დროს. გარეგანად შეიძლება გამოიყენებულ იქნეს კანის სოკოვანი დაავადებების, ქავილის, ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად.

**უკუქმედება:** კუჭისა და ოორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ეროვნული და ჰიპერაციდური გასტრიტი, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობა, მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტი.

### ლიმონურა ჩინური – *Schisandra chinensis* (Turcz.) Baill.

ოჯ. ლიმონურასებრნი – Fam. Schisandraceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, მერქნოვანი ფოთოლმცვენი ლიანაა, ძლიერი მონოპოდიალურად დატოტვილი ღეროებით, რომლებიც 10-15 მ სიგრძისა და 1-2 სმ სიგანისაა. ღეროები უმრავლეს შემთხვევაში ვითარდება სიმპოდიალური კანაფისებრი

მუქი ყავისფერი ფესურიდან, რომლებიც რადიალურად ვრცელდება დედისეული ლიანის ფესვის ყელიდან 10-15 სმ სიღრმეზე. ფესურებს გააჩნია დამატებითი ფესვები, ქერქლისებრი ფოთლები და მრავალრიცხოვანი მეჭეჭები, აღწევს 10-20 მ სიგრძესა და 0,5-1 სმ დიამეტრს. ნორჩი ვეგეტატიური ყლორტები ზრდის პროცესში ასრულებენ მარცხნივ მიმართულ მოძრაობებს და ეხვევიან ხეებს ან ბუჩქების ღეროებს საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით და ერთ სავეგეტაციო პერიოდში აღწევს 1-1,5 მ სიმაღლეს. ნორჩი ყლორტების ქერქი პრიალა, მოწითალო-მოყავისფრო; ასაკოვანი ღეროების ქერქი მოწითალო-მოყავისფრო, ხეშეში. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, ოდნავ ხორცოვანი, ზედა ნაწილი მწვანეა, შიშველი, ქვემოდან – მონაცრისფრო, ძარღვებზე სუსტად შებუსული. მცენარე ერთსახლიანია, ყვავილები ერთსქესიანი. ყვავილები 1,5 სმ დიამეტრისაა, არომატული, თეთრი, ყვავილობის ბოლოს ვარდისფერდება, შეკრებილია 3-5 ცალად ერთწლოვან ყლორტებზე ფოთლების უბებში. გადაყვავილების შემდეგ წარმოიქმნება მრავალრიცხოვანი კენკრის მტევნისებრი ნაკრები, რომელიც წითელია, წვნიანი. თესლი მომრგვალო თირკმლისებრია, გლუვი, პრიალა, მოყვითალო-მურა ფერის. ყვ. V-VI; ნაყ. IX.

**ისტორია და კელტურის გავრცელება:** სამშობლო ჩინეთია. გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, ზღვისპირა და ხაბაროვსკის მხარეებში შერეულ წიწვოეან-ფართოფოთლოვან ტყებში.

**მიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი საკვებად გამოიყენება; ამზადებენ კისელს, ჯემს, გამაგრილებელ სასმელებს, საკონდიტრო წარმოებაში კანფეტების სატენს, ფოთლებისა და ქერქისგან - ჩაის, რომელიც ლიმონის სასიამოვნო არომატით გამოიჩინა და ცინგის საწინააღმდეგო მოქმედებით ხასიათდება.

ნაყოფის წვენი შეიცავს შაქრებს (1,5%-მდე), ორგანულ მჟავებს (8,5 -20%) – უმთავრესად ლიმონის (11%), ვაშლის (7-8%), ღვინის (0,8%); ვიტამინებს - ასკონბინის მჟავას, თიამინს, რიბოფლავინს. თესლებში აღინიშნება მატონიზირებული ნივთიერება სხიზანდრინი და სხიზანდროლი - 0,012%-მდე, ტიკოფეროლი (0,03) და ცხიმოვანი ზეთები (34 %-მდე). მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს, მათ შორის ყველაზე მეტია ქერქში (2,6-3,2%),

გამოირჩევა ლიმონის ნაზი, სასიამოვნო არომატით. ეთერზეთების შემადგენლობაში შედის სქესკვიტერპენული ნახშირწყლები (30%-მდე), ალდეტიდები და კეტონები (20%-მდე); ცხიმზეთების შემცველობაში აღინიშნება: a-ლინოლინის (20%-მდე), ლინოლენის (35%), ოლეინის (34%) და 4%-მდე სხვა მჟავები.

ლიმონურას მომქმედი ნივთიერებები წარმოადგენს დამაშვიდებელი პრეპარატების ფიზიოლოგიურ ანტაკონისტს, თრგუნავს ბარბიტურანტებს, ტრანკვილიზატორებს, ეპილეპსიის საწინააღმდეგო სედატიურ სამუალებებს, ნეიროლეპტიკებს; აძლიერებს ფსიქოსტიმულატორებისა და ანალეპტიკების (მათ შორის კოფეინის, ქაფურის, ფენამინის) მოქმედებას.

სამკურნალო ნედლეულს ნაყოფები (*Fructus Schisandrae*) და თესლები (*Semen Schisandrae*) წარმოადგენს, რომლებიც ხასიათდება ადაპტოგენური, საერთომატონიზირებელი და ფსიქომასტიმულირებელი მოქმედებით.

ლიმონურას პრეპარატები ნაჩვენებია ასთენიური სინდრომის, ჰიპოტონური ტიპის ვეგეტოსისხლძარღვების დისტონიის, სომატური და ინფექციური დაავადებების შემდგომ რეკონვალესცენციის პერიოდში; მას უნიშნავენ გადაღლილობის, შრომისუნარიანობის დაქვეითების და მაღალი ნერვულ-ფსიქიკური და ფიზიკური გადატვირთვებისას. შედის კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში ნევრასტენიის ფონზე სასქესო ფუნქციების დარღვევებისას.

**უკუქმედება:** გვერდითი მოვლენებიდან აღინიშნება ალერგიული რეაქციები, ტანიგარდია, ძილის დარღვევა, თავის ტკივილები, არტერიული წნევის ამაღლება. აქედან დაკავშირებით უკუქმაჩვენებელია გულის მოქმედების დარღვევების, ჰიპერტონიის, ეპილეპსიის, აღვზნების, ძილის დარღვევების, მწვავე ინფექციური და ღვიძლის ქრონიკული დაავადებების, პრეპარატების კომპონენტების მიმართ ჰიპერმეტაბოლიზმის დროს, უებმდიმობისა და ლაქტაციის პერიოდში, აგრეთვე 12 წლამდე ბავშვებისათვის.

**ლიმონის აბზინდა – *Artemisia balchanorum* Krasch  
ოჯ. რთულფვავილოვანნი (ასტრასებრნი) — Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ძლიერ დატოტვილი 50-60 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია. მრავალწლოვანი ყლორტები ძირში გამერქნებულია, ნაცრისფერი. ფოთლები ორმაგ-სამაგ ფრთისებრგანკვეთილია. ყვავილი ორსქესიანია, მილისებრი, ხუთწევრიანი, კალათა მოგრძო-ოვალურია, შეკრებილია მოგრძო საგველა ყვავილედებად. ნაყოფი წვრილი, ბაცი ნაცრისფერი თესლურაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია თურქმენეთში. სამრეწველო პლანტაციები შექმნილია ყირიმსა და მოლდოვაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ლიმონის აბზინდა ხასიათდება ძლიერი, მდგრადი, ციტრუსის მაგვარი არომატითა და გემოგნებით.

მცენარის მიწისზედა ნაწილი გამოიყენება სასმელების მრეწველობაში მაღალხარისხიანი ლიქიორების, ვერმუტების, ყურძნის ღვინოებისა და შინაური სასმელების, მათ შორის ჩაის არომატიზატორად. სანელებლად იყენებენ მდნარი ყველის, თევზისა და ბოსტნეული კონსერვების, საკონდიტრო ნაწარმის

წარმოებაში. არომატისა და სასიამოვნო გემოვნებისათვის მისაცემად უმატებენ ხილის სალათებს, წენიანებს, ხორცეულს, თევზეულს, ნანადირევს, მარინადებს, ქმარს, სოუსებს, ნაყენებს, მაიონეზს, ხაჭოს.

მცენარის მიწისზედა ნაწილები სურნელოვანი ეთერზეთების მიღების წყაროს წარმოადგენს, მისგან გამოყოფილი ნივთიერება ციტრალი აუცილებელია ფარმაცევტული მრეწველობისათვის A ვიტამინის სინთეზისათვის. განსაკუთრებით მდიდარია ვიტამინ C-თი, მისი შემცველობა 510 მგ % აღწევს.

ეთერზეთები ხასიათდება ანტიპარაზიტული, ანტივირუსული მოქმედებით. აცილებს კანისა და ფრჩხილების სოკოვან დაავადებებს, მეჭეჭებს; ეფექტურია კანის ანთების, ჩირქოვანი გამონაყრების დროს; გამოკვეთილი ანტიდეპრესანტია, ააქტიურებს მახსოვრობას, აშორებს მოთენილობას, არის ნატურალური დეზოდორანტი. გამოიყენება პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ მრეწველობაში.

### **ლიმონისებრი მირტი – *Backhousia citriodora* F. Muell. ოჯ. მირტისებრნი — Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 20 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები კაშკაშა მწვანეა, მობირისპირედ განლაგებული, ოვალური, 5-12 სმ სიგრძისა და 1,5-2,5 სმ სიგანის. ყვავილი მოთეთრო-

კრემისფერია, 5-7 მმ დიამეტრის, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად ტოტების ბოლოებზე. ყვ. VI-VIII. ნაყ. IX-X. ისტორია და კულტურის გავრცელება: სამშობლო აღმოსავლეთ ავსტრალიის ტროპიკული ტყეებია.

ავსტრალიისათვის სანელებლად გამოსაყენებელი ეთერზეთების მიღების თვალსაზრისით ერთ-ერთი პერსპექტიული მცენარეა.

მისი კომერციული გამოზრდა მიმდინარეობს ავსტრალიაში ახალი სამხრეთ უელსის ჩრდილო სანაპიროზე და ასტრონიულები.

**შიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები გემოვნებით და სურნელით ლიმონის მსგავსია, მაგრამ მასზე ბევრად მკეთრი და სურნელოვანია და არ შეიცავს მჟავებს. გურმანები მის გემოს მიიჩნევენ ლიმონზე უფრო მძლავრად, “შეტად ლიმონურს, ვიდრე ლიმონს”. ფოთლები ფართოდ გამოიყენება ავსტრალიის სამზარეულოში. მისი მოხმარება სულ უფრო ფართოვდება. იყენებენ თევზეულის გარნირებში, შემწვარი ფრინველის, მცენარეული ზეთებისა და ქმრის არომატიზაციისათვის, მცენარეულ ჩაიში. შშვენიერი შემცვლელია ლიმონის რძიან კერძებში, როგორიცაა ჩიზკეიკი, ლიმონის ნაყინი, სორბე. მრეწველობაში გამოიყენება ლიმონათისა და სხვა გამაგრილებელი სასმელების წარმოებაში.

აბორიგენები ლიმონისებრ მირტს ძველი დროიდან იყენებდნენ როგორც ანტიბიოტიკს. მცენარის ძირითად კომპონენტს ეთერზეთები წარმოადგენს, შეიცავს დიდი რაოდენობით ციტრალს, რომელიც ხასიათდება ანტიმიკრობული მოქმედებით, მაღალ კონცენტრატებში შხამიანია, თუმცა 1%-მდე განზავებისას შხამიანი ეფექტი ქრება და ზეთი სამკურნალო ლოსიონის სახით გამოიყენება კანის ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.

**ლურჯი ზამბაზი — Iris germanica L.**  
**ოჯ. ზამბაზისებრნი — Fam. Iridaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-100 სმ სიმაღლის, მარტოული, ზედა ნაწილში დატოტვილი დეროთი. ფესურა თეთრია, პორიზონტალური, დატოტვილი, დაკუთხული, 2,5-3,5 სმ-მდე დამატებულის, მრავალი წვრილი 25-30 სმ-მდე სიგრძის ფესვით. ფოთლები ფართო ხმლისებრია, მონაცრისფრო-მწვანე, დეროსეული — მოკლეა ფესვთანურზე, ყველა ორმწკრივადაა განლაგებული. ყვავილები მცირერიცხოვანი ჩვეულაა, საყვავილე დეროების ბოლოებზე განლაგებული, ფუძესთან ერთი სამფოთოლაკიანი საბურველით; ყვავილები მოკლე ყუნწიანია, დიდი ზომის, სასიამოვნო სურნელის, ჩვეულებრივ იისფერი, ყვავილსაფარი ფუძესთან ფოთლებშეზრდილა, ვიწრო მილით; გარეთა წრის გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია, ქვემოთ გადახრილი; შიგნითა — უფრო წვრილია და ბაცი, ზევით მიმართული, ძირთან ყველა დარისებრ ფრჩხილადაა შევიწროებული. ნაყოფი დიდი, სამწახნაგოვანი კოლოფია, თესლი ნარინჯისფერია ან მოწითალო-ყავისფერი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. სამშობლო ხმელთაშუაზღვეთია. საკმაოდ ფართოდაა დანერგილი საქართველოშიც, ზღვის სანაპირო ზოლიდან დაწყებული 1500 მ სიმაღლემდე. ზამბაზის 100-მდე სახეობიდან სამკურნალო მიზნებისათვის ოფიცინალურ მედიცინაში მხოლოდ სამი სახეობა გამოიყენება: Iris germanica L., I. pallida Lam., I. florentina L., რომლებიც მოჰყავთ “იის ფესვის” მისაღებად.



**Iris pallida**



**Iris florentina**

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კულინარიაში სანელებლად იხმარება ლურჯი ზამბახის გამშრალი, დანაყილი ფესურა, რომელიც ნაზი არომატისაა, წააგავს იის სუნს, რის გამოც “იის ფესვის” სახელითაა ცნობილი. ჯერ მოტკბო, შემდეგ მწვავე-მომწარო გემოვნებისაა. გამოიყენება არომატიზატორად საკონდიტორ ნაწარმში, ტებილ ნამცხვრებში, ლიქიორ-არყის მრეწველობაში. მცირე რაოდენობით შედის თევზეულის სანელებლების შემადგენლობაში. ყვავილის გვირგვინის ფურცლებისაგან ამზადებენ მურაბას. თესლებს ყავის სუროვატად იყენებენ.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს (Rhizoma Iridis).

ფესურებს აგროვებენ აგვისტო-სექტემბერში, დარგვიდან მეორე-მესამე წელს, აშრობენ მზეზე. ნედლი ფესურა უსიამოვნო სუნისაა, შრობის შემდეგ იძენს იის სურნელს. დამატებითი პროდუქციის სახით ზოგჯერ გამოიყენება ყვავილები, რომლებსაც მაის-ივნისში აგროვებენ.

ფესურა შეიცავს 0,1-0,2 % ეთერზეთებს, გლიკოზიდ ირიდინს, 7%-მდე შაქარს, 20-50% სახამებელს, 10%-მდე ცხიმზეთებს, ბენზოინის, უნდეცილინისა და სხვა მჟავებს, ლორწოს, ფისებს, ბენზოინის ალფეპიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ასკორბინის მჟავას.

ზამბაზის ფესურა რეკომენდებულია როგორც ამოსახველებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება კუჭ-ნაწლავის ჭვლების, ბრონქიტისა და ანგინის, მუცლის ტკივილების, ნაღველკენჭოვანი და კანის დაავადებების დროს, ინფექციური და ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისა და წყლულების დასამუშავებლად. ქერქისაგან გასუფთავებული და დაფქვილი ფესურა შედის კოსმეტიკური პუდრის შემადგენლობაში; გამოიყენება ფიქსატორად. მშრალი ფესურიდან ღებულობენ ეთერზეთებს ჰიდროდისტილაციის მეთოდით, შეიცავს მირისტინის და სხვა მჟავებს, გერანიოლს, ბენზალფეპიდს, ლინალოოლს, კეტონებს. ხასიათდება ღეტოქსიკაციური, დიურეზული და ამოსახველებელი მოქმედებით, ახდენს თავის ტვინის ფუნქციის ნორმალიზებას.

**ლურჯი ღიღილო – *Centaurea cyanus* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანნი (ასტრასებრნი) — Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 80 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი და კარგად განვითარებული მთავარღერძა ფესვით. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ფრთისებრ ან სამშაგგანკვეთილი, მალევე ხმება; შუა და ზედა – მჯდომარეა, ხაზური. ყვავილედი – მარტოული კალათებია, განწყობილია ღეროებისა და ტოტების ბოლოებზე; კალათების განაპირა ყვავილები ძაბრისებრია, ცისფერი, უნაყოფო; შუა – მილისებრია, ორსქესიანი. ნაყოფი – მოგრძო, 0,5 სმ სიგრძის თესლურაა, ნაცრისფერი, ჟღალი ქოჩრით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია რუსეთის ეკონომიკულ ნაწილში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ყვავილები და თესლები გამოირჩევა სპეციფიური სურნელით; ფოთლებს სანელებლის სახით უმატებენ სალათებს, ხორცსა და ბოსტნეულის წვნიანებს, სოუსებს, სხვადასხვა სანელებელს, საწებლებს. გამშრალი თესლებით (ფხვნილის სახით) კაზმავენ სალათებს, პირველ და მეორე სახის კერძებს, სოუსებს.

სამკურნალო ნედლეულს ენისებრი ყვავილები წარმოადგენს, აგროვებენ სრული ყვავილობის პერიოდში, ივნის-ივლისში.

შეიცავს მწარე გლიკოზიდებს, ფლავონოიდ აპიენს, ალკალოიდების კვალს, სალებავ ნივთიერებებს, კაროტინს, ასკორბინის მჟავას.

ლურჯი ღილილოს ნაყენს ან ჩაის ხმარობენ მსუბუქ სამკურნალო საშუალებად თირგმელებისა და შარდის ბუშტის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისას, აგრეთვე მადის აღმგზნებად და საკვებმომნელებელი სისტემის გამაუმჯობესებლად. მისი პრეპარატები შარდმდენი მოქმედების გარდა, ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო და ანტიბიკრობული მოქმედებით. ყვავილები შედის შარდმდენი და ნაღვლის ბუშტის ნაკრებების შემაღებელობაში.

ხალხურ მედიცინაში ნაყენს იყენებენ სიცხის დამწევად ციებ-ცხელების, მწვავე რესინატორული დაავადებების, თავის ტკივილის, გარეგანად (საფენების სახით) თვალის ზოგიერთი დაავადების დროს.

### **მაიორანი – *Origanum majorana L.***

**ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი არომატული მცენარეა ქეჩისებრ შებუსული, 30-50 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი უხვად შეფეთლილი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრია, კიდემთლიანი, მონაცრისფრო-ლეგა ბუსუსებით დაფარული. ყვავილი თეთრია ან მოწითალო ფერის, შეკრებილია ზედა ფოთლების იღლიებში, ღეროების ბოლოებზე მტევნისებრ

ყვავილედებად. ნაყოფი ოთხკაკლიანი კაკლუჭაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და ქულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ცენტრალურ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. კულტივირებულია უკრაინაში (ყირიმი), კაკვასიასა და სხვა რეგიონებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ვიღაცას მიაჩნია, რომ მისი სურნელი თავშავის მსგავსია, სხვას – ბეგენდარისა და კარდამონის ნაზავს მოაგონებს, ზოგიერთს – პიტნას. ძველ საბერძნეთში მას აფროდიტის მცენარედ მიიჩნევდნენ, რომელსაც შეეძლო სივეარულის გამოწვევა, ხოლო არაბულ ქვეყნებში უწოდებდნენ “შეუდარებელს”. ევროპაში აფასებდნენ დახვეწილი არომატის გამო, რომელსაც შეუძლია მსუბუქი და სასიამოვნო გახადოს თვით მძიმე საკვებიც კი. მას “სანელებლების მეფედაც” მიიჩნევენ. სად არ უმატებენ ამ ბალახს: ძეხვეულსა და სარდელებს, მოშუშულ კომბოსტოს, სპაგეტებს, შემწვარ ხორცს, სოუსებს, შებოლილ ბატს, კარტოფილსა და პარკოსებს. მაიორანისაგან აყენებენ არომატულ ჩაისაც. ძველ დროში მას უმატებდნენ ღვინოს, მისგან ამზადებდნენ განსაკუთრებულ სურნელოვან გამაგრილებელ სასმელს, ხარშავდნენ ღუდს.

მაიორანი სანელებლებიდან ყველაზე მეტად შეეხამება რომარინს, ბეგენდარას, თავშავას და რეჰანს.

მცენარის მიწისხედა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს. ნორჩი ყლორტები მდიდარია რუტინით, ასკორბინის მჟავით და კაროტინით, ალინიშნება მთრიმლავი და პექტინოვანი ნივთიერებები, ჰენტოზანები.

ეთერზეთები ხასიათდება კარდამონისა და ბეგენდარის სპეციფიური სურნელით, თუმცა უფრო ნაზა და ტკბილი, რაც დამახასიათებელია მთლიანად ამ მცენარისათვის.

ასევე ძველი დროიდან იპყრობდა მაიორანის ფოთლები და ნაყოფები მკურნალთა ყურადღებას. მას უმატებდნენ საკვებს, ან ღებულობდნენ ჩაის სახით საკვებმომნელებლი ტრაქტის გამაუმჯობესებლად, მეტეორიზმის საწინააღმდეგოდ, თირკმელების ფუნქციის დარღვევის დროს, “სულის გამწენდად და გონების გამხსნელად”. ფხვნილად დანაყილ გამშრალ

ფოთლებს ცხვირით ისუნთქავდნენ სურდოს შემთხვევაში; დაქუცმაცებული ნედლი ფოთლებისა და ნაყოფებიდან ამზადებდნენ მალამოებს ნაღრძობების, დაჭიმულობის, დაუკეთების, ართრიტების სამკურნალოდ. ნედლი ფოთლების წვენითა და მისი ფხვნილით მკურნალობდნენ განსაკუთრებით ღრმა და ანთებით ჭრილობებს.

მაიორანი იწვევს დამამშვიდებელ მოქმედებას ნერვულ სისტემაზე, ის ჩართულია ნევრასტენის, დამბლის, ბრონქიალური ასთმის ბალაზოვან ნაკრებებში. მეტად მნიშვნელოვანია საერთო ტონუსის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ქრონიკული დაღლილობისა და სტრესების დროს.

**უკუქმედება:** გასათვალისწინებელია, რომ მუდმივად (არა უმეტეს სამი კვირისა) და დიდი რაოდენობით მისი გამოყენება საკვებად თუ სამკურნალოდ იწვევს უპუავექტს. წარმოიქმნება გაღიზიანების, თავშეუკავლებობის, დათრგუნვის მდგომარეობის სინდრომი.

**როგორც ყოველთვის, ყველაფერი კარგია ზომიერად!**

**მალაგეტის პილპილი – *Aframomum melegueta* K. Schum.**

**ოჯ. ჯანჯაფილისებრნი – Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა, გვარების Elettaria-ს და Amomum-ის მსგავსი.

**ისტორია და ქულტურის გავრცელება:** სინონიმებია: მაღლაგვეტი, პილპილი - სამოთხის მარცვლები, მელეგეტა, მელეგეტის პილპილი, აფრიკული კარდამონი, აფრამომუმი, გვინეის პილპილი, ალიგატორის პილპილი.

ბუნებრივად გავრცელებულია აფრიკის ტროპიკულ და სავლეთ სანაპიროზე (ლიბერია, სპილოს ძვლის სანაპირო, განა, ტოგო, ბენინი, ნიგერია). ქულტივირებულია ინდოეთში, კარიბის კუნძულებზე, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ინტროდუცირებულია ცენტრალურ ამერიკაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მაღლაგეტის ნაყოფის გემო გაჯერებული, მოტკბო და ცხარეა, მოგვაგონებს თეთრ პილპილს ნაძვისა და ღვის არომატით, ხშირად ამსგავსებენ კარდამონს, თუმცა გემოვნებითი ხარისხით რამდენადმე სხვაგვარია. სხვა სანელებლების მსგავსად აძლიერებს საკვების ინგრედიენტების გემოვნების ხარისხს. მეცნიერული გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ამ მცნარის ძირითადი ელემენტი B-პარადოლი, ქიმიურად კაპსიცინის (ნამდვილი წიწაკის კომპონენტი) მსგავსია, თუმცა მნიშვნელოვნად სუსტი.

მაღლაგეტი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ახალ წ.აღ.-ძე; მოგვიანებით, აფრიკულმა სავაჭრო ქარავნებმა ეს სანელებელი ევროპაში შეიტანეს. მისმა გემოვნებითმა ხარისხმა იმდენად გააოგნა ევროპელები, რომ მცნარის ნაყოფებს “სამოთხის მარცვალი” უწოდეს, ხოლო სამშობლოს – აფრიკის და სავლეთ სანაპიროს - ”პილპილის სანაპირო” შეარქეს. სანელებელი დიდხანს რჩებოდა ევროპულ სამზარეულომი, ვიდრე მისი ადგილი არ დაიკავა სხვადასხვაგვარმა ინდურმა სანელებლებმა. ნაყოფები სუსტი მწველი, მსუსხავი და განსაკუთრებული არომატის გამო, კულინარიაში სალათებისა და სხვადასხვა კერძის შეკმაზვის გარდა, გამოიყენება საკონდიტრო ნაწარმის და სამზადებლადაც. სამ საუკუნეზე მეტია რაც მაღლაგეტი წარმოადგენს ტრადიციულ ინგრედიენტს ბელგიური თეთრი ღვინის სხვადასხვა ვარიაციებში და ფრანგული ანისულის ლიქორში.

უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა დიზენტერიის, ციებ-ცხელებისა და რევმატიზმის სამკურნალოდ, როგორც

გამაუმტკივნებელი საშუალება შაკიკის, კბილისა და თავის ტკივილების დროს. შენიშნულია, რომ მალაგეტის ნაყოფები ხასიათდება ვირუსებისა და სოკოების საწინააღმდეგო ეფექტითაც, რის გამოც ფართოდ გამოიყენება მრავალ სამედიცინო ფორმულაში. ახდენს რა ცენტრალური ნერვული სისტემის ბალანსირებას, წარმოადგენს აფროდიზიაკს, ამალლებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს უჯრედების რეგენერაციის სტიმულირებას. თესლების პასტა ანტიბიოტიკური მოქმედებისაა. ეთერზეთები ხასიათდება მაღალი აქტივობით გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, როგორიცაა მაგ.: *Candida albicans* -ი.

### მამულა – *Artemisia vulgaris* L.

ოჯ. რთულფვავილოვანნი (ასტრასებრი) – Fam. Compositae  
(Asteraceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალანოვანი 1-1,8 მ სიმაღლის მცენარეა. ღერო სწორმდგომია, ძირში მერქნოვანი, წიბოებიანი, ზედა ნაწილში ხაოიან-ბუსუსიანი, საგველასებრ დატოტვილი, მურა-იისფერი ელფურით. ფოთოლი რბილია, მორიგეობითი,

მჯდომარე, ორმაგ ან სამმაგფრთისებრგან კვეთილი ფართო ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა სეგმენტებად, 5-20 სმ სიგრძის, ზედა მხარეს – მუქი მწვანე, შიშველი ან სუსტად შებუსული, ქვედაზე – თეთრი ქეჩისებრი; ყვავილი წერილია, მრავალრიცხვოვანი, ყვითელი ან მოყავისფრო შეფერილობის, კალათები შეერებილია ფაშარ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი წვრილი თესლურაა. კვ. VI-IX; ნაყ. VII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია მთელ ევროპაში, წინა და ცენტრალურ აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. შეტანილია ჩრდ. ამერიკაში.

რუდერალური მცენარეა. იზრდება მიტოვებულ მინდვრებში, საძოვრებზე, უმენ ადგილებში, გზის პირებზე, ხეობებში, მდინარეებისა და წყალსაცავების ნაპირებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის მიწისზედა ნაწილი ძლიერი სასიამოვნო სურნელისაა, სანელებლად კერძებში გამოიყენება ხედლი და მშრალი ფხვნილის სახით, განსაკუთრებით უხდება ცხიმიან ხორცეულს (ღორის, ღორის საღას, იხვისა და ბატის). არომატისა და გემოვნებისათვის უმატებენ ძმარს, სოუსებს, მარინადებს, მწნილებს, უალკოჰოლო სასმელებს, ღვინოებს. მოხარშულ ფოთლებსა და ნორჩი ყლორტებს იყენებენ ნანადირევის კერძების შესაკაზიმავად.

ბალაზი შეიცავს კაროტინს, ასკორბინის მჟავას, საპონინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალიოდებს, ეთერზეთებს, კუმარინებს, ფლავონოიდებს, რუტინს, გლიკოზიდ- კვერცეტინს. მამულას პრეპარატები ხასიათდება სისხლდენის შემაჩერებელი, სიცხისძამწვევი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, გამაუმტკივნებელი, ჭიისმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, მატონიზირებელი, დამამშვიდებელი, ნალველმდენი, სუსტი სასაქმებელი და საერთო გამაჯანსაღებელი მოქმედებით.

შინაგანად გამოიყენება მოწამლვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის ანთების, თირკმელკენჭოვანი დაავადებების, ფილტვების ტუბერკულოზის, ღიზენტერიის შემდგომ, როგორც დამატებითი საშუალება კუჭის, სწორი ნაწლავისა და საშვილსნოს კიბოს დროს, ჭიისმდენი – ასკარიდებისა და

ლამბლიების გამოსადევნად. იხმარება აგრეთვე დაუძლურების, უძილობის, ნევროზების, გაციების, მაღარიის, გრიპის, ისტერიისა და ეპილეპსიის სამკურნალოდ. გარეგანად – წყლულების, დიდხანს შეუხორცებელი ჭრილობების, კანის ჩირქოვანი დაავადებებისას; სალბუნების სახით გამოიყენება სურდოსა და თავის ტკივილის დროს.

ითვლება ქალის მცენარედ, ვინაიდან ახდენს საშვილოსნოს სტიმულირებას, არეგულირებს მენსტრუაციის ციკლს, შველის სხვადასხვა სახის გინეკოლოგიურ დაავადებებს, საშვილოსნოს ყელის ეროზიას, მძიმე მშობიარობას, საშმობიარო ცხელებას, ამენორეისა და დისმენორეის, ბალახის აბაზანები გამოიყენება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებად.

ბეგქონდარას ბალახთან ნარევში იხმარება ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ.

მრავალი ქვეყნის ხალხურ მედიცინაში გამოიყენება, როგორც შემკვრელი საშუალება გასტრიტის, ბუასილის, შეშუპების, მეტეორიზმის, მენინგიტის, კეთრისა და პიპერტონიული დაავადებების საწინააღმდეგოდ.

მცენარისაგან მიღებული არომატული ზეთები იხმარება კოსმეტიკურ და პარფიუმერიულ ნაწარმში.

### მანგო – *Mangifera indica L.* ოჯ. თუთუბოსებრნი — Fam. Anacardiaceae



მორფოლოგია: ტროპიკული მარადმწვანე ხეა 10-25 მ-მდე

სიმაღლის, ვარჯის რადიუსი 10 მ-ს აღწევს. ახლად განვითარებული ფოთლები მოყვითალო-ვარდისფერია, მაგრამ მაღვევე იცვლის ფერს და მუქ მწვანე შეფერილობას დებულობს, მოყვანილობით ფართო ლანცეტა. ყვავილედებში 200-დან 4000-მდე მცირე ზომის ორსქესიანი და მამრობითი ყვავილებია შეკრებილი, თეთრიდან ვარდისფერამდე შეფერილობის, გაშლის შემდეგ ხასიათდება შროშანას მსგავსი არომატით. გამონასკვა მეტად დაბალია, ერთ ყვავილედში მწიფედება მხოლოდ 1-2 ნაყოფი, რომელიც მსხვილია, პერცხისებრი, მოგრძო-კვერცხისებრი ან სფერული; ნაყოფის მასის საშუალო წონაა 200-400 გ, მაქსიმალური 1-2 კგ. მისი ქერქი გლუვია, მკვრივი სხვადასხვა შეფერილობის: მომწვანო-ყვითელი, გარგარის ფერის, კაშკაშა წითელი, თითქმის შავი; რბილობი ყვითელია ან ნარინჯისფერი, წვინიანი, ტკბილი, სუსტი სიმჟავის, არომატული. მანგოს ნაყოფის სუნი მოგვაგონებს ხან გარგარის, ხან ვარდის, ნესკის, ლიმონთან გაერთიანებულ არომატს. თესლი მსხვილია, 5-6-დან 10 სმ-მდე სიგრძის, მასა 50 გ. გამოყვანილია მრავალი ჯიში, მხოლოდ ინდოეთში აღწერილია 1500-მდე, ინდონეზიაში 900. არჩევენ დესერტულ და ტექნიკურ ჯიშებს, რომლებსაც იყენებენ კონსერვების დასამზადებლად.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ინდოეთის უძველესი ტროპიკული ხეხილოვანი კულტურაა, სადაც 8000-ზე მეტი წელია რაც კულტივირებულია. თავდაპირველად მცენარე იზრდებოდა ინდოეთის შტატის ასამის საზღვრისპირა ტერიტორიაზე და მიანმას სახელმწიფოს ტენიან ტროპიკულ ტყეებში; სადღეისოდ ფართოდაა კულტივირებული დედამიწის ყველა ტროპიკულ სარტყელში: აშშ-ში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ჩინეთში, ეგვიპტეში, აფრიკის ტროპიკებში (მაგ.: კენია, კოტ-დიუარი, იემენი, ტანზანია, დომინიკის რესპუბლიკა, კონგო, მადაგასკარი), აზიურ ქვეყნებში (ტაილანდი, ფილიპინები, ვიეტნამი, ბანგლადეში, პაკისტანი), ავსტრალიაში, კანარიის კუნძულებზე, ევროპული ქვეყნებიდან უმთავრესად ესპანეთში; მაგრამ მოსავლის დიდი ნაწილი აზიურ ქვეყნებზე მოდის. მანგოს წარმოების წამყვანი ქვეყნებია: ინდოეთი, მექსიკა, ტაილანდი და სხვ. მხოლოდ ინდოეთში 9,5 მილიონი ტონა მანგოს ნაყოფები გროვდება.

**მიმდევობა და გამოყენება:** ინდოეთში მანგოს ნაყოფებს სიმწიფის

ყველა სტადიაში იყენებენ, ახლად გამონასკვულიდან დაწყებული. მოუმწიფებლი ნაყოფები სასალათედ იხმარება, უფრო მწიფებები ბოსტნეულის მსგავსად. მოუმწიფებელი ნაყოფებიდან ამზადებენ პიკულებს, ყველანაირ მარინადებს, სანელებლებს, საკმაზებს, სოუსებს ხორცთან ერთად (კარი, ჩატნი და ა.შ.); ნორჩი ფოთლებიდან შზადდება ინდური ნაციონალური კერძი “ლაბლაბა”. საკონსერვო წარმოებაში მომწიფებული ნაყოფებიდან გამოიმუშავებენ ჯემებს, კომპოტებს, მარმალადებს, წვენებს, რომლებსაც უმატებენ უალკოჰოლო და ალკოჰოლურ კოქტეილებს, ნაყინებს და ა.შ.

მანგოს ნაყოფები გამოირჩევა მეტ-ნაკლებად გამოხატული სკიპიდარის სუნით, თუმცა საუკეთესო კულტურულ ჯიშებში სუნი უმნიშვნელოა.

მწვანე მოუმწიფებელი ნაყოფები შეიცავს დიდი რაოდენობით სახამებელს, რომელიც სიმწიფესთან ერთად გადაიქცევა მარტივ ნახშირწყლებად (სახაროზა, გლუკოზა, მალტოზა, ქსილოზა); მნიშვნელოვანი წყაროა პექტინების, თუმცა კურკის წარმოქმნის შემდეგ მათი რაოდენობა მკვეთრად მცირდება. უმწიფარი ნაყოფი მეტად მჟავეა, ორგანული მჟავების (ლიმონის, მჟაუნას, ვაშლის, ქარვის) შემცველობიდან გამომდინარე; მწვანე მანგო მდიდარია ვიტამინებით (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, D, E, ნიაცინი). მწიფე ნაყოფები ტკბილია, დიდი რაოდენობით შეიცავს A ვიტამინს, კაროტინოდებს, ამინომჟავებს, ეს ის შენაერთებია, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს და მხოლოდ საკვებიდან მიიღება; აგრეთვე მინერალურ ნივთიერებებს (Ca, P, Fe). ქერქსა და ფოთლებში აღინიშნება ტანინები, ფოთლებში - მლიერი მცენარეული ტრანკვილიზატორები.

ტრადიციული ხალხური მედიცინით მდიდარ ინდოეთში მანგოს მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყენებენ. კერძოდ სხვადასხვა ორგანოს კიბოს ასაცილებლად, ძირითადად რეპროდუქტიული და შარდსასქესო სფეროს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, იცავს ჯამბროთელ უჯრედებს დაჟანგვისაგან, ვინაიდან წარმოადგენს ანტიოქსიდანტებს; თვლიან, რომ სწრაფად წსნის ნერვულ დამაბულობას და სტრესებს, ამაღლებს საერთო განწყობას, პარტნიორთა სექსუალურ შესაძლებლობებს.

აზიურ მედიცინაში მანგოს ნაყოფებს მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებად მიიჩნევენ. მისით მკურნალობენ თვით ქოლერასა და შავ ჭირს. მწიფე ნაყოფებს იყენებენ როგორც შარლმდენ და საფალარათო საშუალებას, აგრეთვე შინაგანი სისხლჩაქცევებისას. მანგოს წვენს უნიშნავენ მწვავე დერმატიტების დროს; თესლები ასთმის სამკურნალოდ გამოიყენება.

ევროპაში ოქეომენდებულია ორი კვირის მანგოს ნაჭრების ღეჭვა გულის კუნთის გასამაგრებლად. ფოთლების ნახარშს ღებულობენ დიაბეტის დროს მხედველობის გამაუმჯობესებლად და ამავდროულად დიაბეტის სამკურნალოდ. ნახარშს უნიშნავენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის გასამაგრებლად და კუჭქვემა ჯირკვლის სამკურნალოდაც.

**უკუქმედება:** უკუჩვენებები შეიძლება სამ ჯაუფად დაიყოს: ნაყოფის ქერქი ზოგიერთი ადამიანისათვის შეიძლება ალერგენად გადაიქცეს, ამიტომ მანგოს გასუფთავება ხელთათმანებით უნდა მოხდეს. უმწიფარი ნაყოფის გადაჭარბებულმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ჭვლები, კუჭისა და სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის გაღიზიანება. მწიფე ნაყოფის დიდი რაოდენობით მიღება იწვევს კუჭის გამაგრებას, ციებ-ცხელებას, ჭინჭრის ციებას.

**მექსიკური ტარხუნა – *Tagetes lucida* Cav.  
ოჯ. რთულყვავილოვანნი (ასტრასებრნი) – Fam. Compositae  
(Asteraceae)**



მორფოლოგია: მრავალწლოვანი კაშკაშა მწვანე, 50 მ-მდე

სიმაღლის ბუჩქია, ფოთოლი მარტივია, ლანცეტა, მახვილწვერიანი. კვავილი კაშკაშა ყვითელია. ნაყოფი წერილი თესლურაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო მექსიკის მთიანი მასივია – “სიერა მადრეა”. სადღეოსოდ კულტივირებულია აშშ-ის სამხრეთში, მექსიკაში, ტროპიკულ კლიმატში, სადაც ჩვეულებრივი ტარხუნა ცუდად ვითარდება, ეს მცენარე კი მისი ადექვატური შემცვლელია.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე გამოირჩევა ძლიერ მკვეთრი, ტარხუნისა და ანისულის მსგავსი სასიამოვნო სურნელით. გემოვნებით მისი ფოთლები ასევე ტარხუნას მოვაგონებს.

მექსიკურ ტარხუნას აცტეკები იყენებდნენ კულინარიაში, სამკურნალო და რიტუალური მიზნით. მას ღებულობდნენ მაგარი ჩაის სახით, რაც იწვევდა კუჭის დაწყნარებას, ნერვების მოდუნებას და ნაბაზუსევის სინდრომის მოხსნას.

მსხვერპლშეწირვის წინ, ტყვებს აძლევდნენ მშრალი ფოთლების ფხნილს უგრძნობელ მდგომარეობაში მოსაყვანად. ინდიელები დღესაც იყენებენ რელიგიურ წეს-ჩევულებებში. ბალახის არომატიდან გამომდინარე, მიიღება მეტად გემრიელი და სურნელოვანი ჩაი, რომელიც იწვევს ორგანიზმის მსუბუქ მოდუნებას, მაგრამ ამასთან ერთად ხელს უწობს საგანზე სრულ კონცენტრაციას, რაც განაპირობებს მის გამოყენებას მედიტაციის პრაქტიკაში.

კულინარიაში იყენებენ ნედლი სახით, ზეთისა და მმრის არომატიზაციისათვის, ამხადებენ გარნირებს. გემოვნებით მექსიკური წიწაკის ფოთლების მსგავსია და წარმოადგენს მის შემცვლელს ეროვნული “მოლე ვერდესა” და სხვა პასტების დამზადებისას.

მცენარის მიწისზედა ნაწილები ხასიათდება ანესტეზიური, შარდმდები, სიცხისდამწევი, ჰალუცინოგენური, ნარკოტიკული (დამამშვიდებელ), სედატიური და საკვების მონელების გასაუმჯობესებელი მოქმედებით. ახდენს ნერვული სისტემის დამშვიდებას და ამავდროულად ანესტეზიური და სუსტი ჰალუცინოგენური თვისებების გამოვლენას. გამოიყენება

დიარეის, გულისრევის, ჭვლების, სლოკინის, მალარიისა და ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ. გარეგანად იხმარება მორიელების ნაკბენის სამკურნალოდ და ტკიპების მოსაშორებლად.

**მექსიკური ჩაი – *Chenopodium ambrosioides L.***  
**ოჯ. ნაცარქათამასებრნი — Fam. Chenopodiaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა გრძელი მთავარდერმა ფესვით. ღერო სწორმდგომია, დატოტვილი, 150 სმ-მდე სიმაღლის. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, წაწვეტებული, ძირში შევიწროებული. ყვავილი ორსქესიანია, წვრილი, შეკრებილა გორგლებად, რომელიც წარმოქმნის საგველა ყვავილებს. ნაყოფი მომრგვალოა, ერთოესლიანი, მომწიფებისას ადვილად ცვიგა. თესლი 0,5 მმ დიამეტრისაა, გლუვი, პრიალა, მოყავისფრო-შავი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთში, აფრიკასა და ავსტრალიაში. ერთწლოვანი სარეველას სახით აღინიშნება ევროპის სამხრეთ ნაწილში და კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის მიწისზედა ნაწილი და მისგან მიღებული ეთერზეთები ხასიათდება სასიამოვნო თავისებური სურნელით. მას სანელებლის სახით იყენებენ

კულინარიაში, საკვებ მრეწველობაში, აგრეთვე პარფუმერიასა  
და კოსმეტოლოგიაში.

**მზესუმზირა – *Helianthus annuus* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანნი (ასტრასებრნი) – Fam.**  
**Compositae (Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი 60-200 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, უხეში, დაფარულია ხეშეში ბეწვით, უმთავრესად დაუტოტავია. ფოთოლი გრძელყუნწიანია, მსხვილი, ოვალურ-კვერცხისებრი, შებუსული, ხერხებილა კიდეებით. კალათა 6-40 სმ დიამეტრისაა. განაპირა ყვავილები ენისებრია, ნარინჯისფერ-ყვითელი, ჩვეულებრივ უნაყოფო, შუა ყვავილები მრავალრიცხოვანია (500-2000), ორსქესიანი. თესლურა 8-25 მმ დიამეტრისაა, ტყავისებრი ნაყოფსაფრით, თეთრი, მურა, შავი, ისფერი ან ზოლისებრი. ყვ. VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. კულტურა წარმოიქმნა ცენტრალურ ამერიკში, სადაც გავრცელებულია მზესუმზირის ველურად მოზარდი რამდენიმე ათეული სახეობა, თუმცა არც ერთი მათგანი არ სახელდება უშუალოდ კულტურული მზესუმზირის წინაპრად. ნიუ-მექსიკისა და არიზონის შტატების ტერიტორიაზე, დაახლოებით 3000 წლით ადრე ახალ ერამდე მოჰყავდათ კულტურული მზესუმზირა, ამჟამად მთელ მსოფლიოშია კულტივირებული. ძელ კონტინენტზე პირველად იქნა გამრავლებული მადრიდის ბოტანიკურ ბაღში, 1510 წელს ამერიკიდან ჩამოტანილი თესლიდან; შემდეგ

გავრცელდა ევროპაში, უმთავრესად დეკორატიული თვალსაზრისით. რუსეთში XVII საუკუნიდანაა ცნობილი; დიდხანს რჩებოდა დეკორატიულ და “საქართული” ბოსტნეულ მცენარედ. 1779 წელს რუსეთის “აკადემიურ გამოცემაში” დაიბეჭდა შეტყობინება შექსუმშირას თესლებიდან ზეთის გამოხდის შესაძლებლობაზე. მისი, როგორც ზეთოვანი კულტურის მოშენება დაკავშირებულია რუსეთის მოქალაქესთან ვორონეჟის გუბერნიიდან, რომელმაც 1829 წელს ხელის ზეთის სადღვებლიდან მიიღო შექსუმშირის ზეთი. ბალიან მალე შექსუმშირის ნათესები ფართოდ გავრცელდა, დაიწყო სელექცია ზეთოვანი ჯიშების მისაღებად. რუსეთიდან მისი კულტურა საქართველოშიც ინაცვლებს, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ამჟამად, ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სამრეწველო კულტურას წარმოადგენს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** თესლები გამოიყენება საკვებად ნედლი და მოხალული სახით, წარმოადგენს შექსუმშირის ხალვის ძირითად კომპონენტს; თესლების დაწნეხვის გზით მიიღება შექსუმშირის ზეთი, რომელიც ფართოდ გამოიყენება კეებით მრეწველობაში, საკონსერვო წარმოებაში და კულინარიაში; მისგან აშშადებენ მარგარინს, კულინარულ ცხიმებს და ა.შ.

შექსუმშირა ჯვარედინდამამტვერიანებელი მცენარეა, ყვავილები გამოყოფენ ბევრ ნექტარს, რის გამოც ფუტკრების საყვარელ საკვებს წარმოადგენს. მისი თაფლი გამჭვირვალეა, სასიამოგნო ფერის, ჩინებული გემოვნებისა და არომატის, რომელსაც ხშირად სამკურნალო დანიშნულებით იყენებენ. დადგენილია, რომ შექსუმშირის კულტურა ხასიათდება მანქანების გამონაბოლქვის შთანთქმის უნარით.

თესლურა შეიცავს 29-59 მგ% ზეთებს, ცხიმოვან მჟავებს, დიდი რაოდენობის ვიტამინებს (E, PP), ფოსფოლიპიდებს, ლეციტინს, მცენარეულ ცვილებს.

ფოთლებში აღინიშნება კაროტინი, კაუტუკი, ფისოვანი ნივთიერებები, ფლავონოიდები. ყვავილები შეიცავს ფლავონურ გლიკოზიდებს, ანთოციანებს, ქოლინს, ბეტაინს, მწარე ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს და სხვ.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება შექსუმშირის ზეთი, კალათის განაპირა ენისებრი ყვავილები და ნორჩი ფოთლები.

შზესუმზირის პრეპარატები იწვევს შინაგანი ორგანოების გლუკი მუსკულატურის დასუსტებას, სხეულის ტემპერატურის დაწევას, მადის გაძლიერებას. ზეთი გამოიყენება ოოგორც ნაღველმდენი საშუალება ნაწლავების ანთებითი პროცესებისა და ნაღველკენჭოვანი დაავადებებისას, აგრეთვე ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის. იმარება ცხვირ-ხახის დაავადებებისას საინგალაციოდ; შედის სხვადასხვა პლასტირების შემადგენლობაში. კოსმეტოლოგიაში ზეთით მკურნალობენ სახის, ხელების, ყელის კანის სიმშრალეს.

**უკუქმედება:** განსაკუთრებული უკუჩვენებები არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით, რომ ზეთის ხშირმა გამოყენებამ შეიძლება წარმოქმნას ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებები.

### მთის პიტნა – *Calamintha grandiflora* (L.) Moench.

ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiateae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლედ შებუსული ხაოიანი, 20-50 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფესურა მხოხავია, ღეროები წვრილია, სწორმდგომი ან ნახევრად წამოწეული, დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, ზედა - ლანცეტაა, დანარჩენები კვერცხისებრი, 5-7,5 სმ სიგრძისა და 2,5-4 სმ სიგანის, წაწვეტებული. ყვავილები 3-7 ცალად

შეკრებილია ფოთლის იღლიებში რგოლებად; გვირგვინი ვარდისფერი ან მეწამულია, 25-30 მმ სიგრძის, ჯამზე 3-ჯერ გრძელი. ნაყოფი კაყალია, 1,25 მმ სიგრძისა და 1 მმ სიგანის, მომრგვალო-ოვალური, მუქი მურა ან შავი, გლუვი. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** საშობლო ხმელთაშუაზღვეთია, გავრცელებულია ყირიმსა და კავკასიაში. იზრდება მთის ზედა სარტყლის ჩრდილოვან ტყეებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** არომატული მცენარეა. კავკასიის მთიანეთში ფოთლები სანელებლად სხვადასხვა კერძის შესაკაზმავად გამოიყენება. ადრე ჩაის სუროგატად ხმარობდნენ. სამკურნალო მიზნით ბალახი (ფოთლები, ღერო, ყვავილი) გამოიყენება. შეიცავს ეთერზეთებს, კუმარინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს. მთის პიტნის ეთერზეთები ბარაშბოს E ეთერზეთების იდენტურია და მის მსგავსად გამოიყენება. ბალახის ნახარში იხმარება ბრონქიალური ასომის, ბრონქიტის, შაკიკის, ფალარათის დროს, აგრეთვე როგორც ანთების საწინააღმდეგო და სპაზმოლიტური საშუალება.

### მთის დანძილი – *Allium victorialis L.* ოჯ. ხახვისებრნი – Fam. Alliaceae



მორფოლოგია:

მრავალწლოვანი

ბოლქვიან-ფესურიანი

ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგრომი დაკუთხული ღეროთი. ფოთოლი 2-3, ლანცეტა ან ელიფსური ფორმისაა, სიმეტრიულად დაძარღვული, წაწვეტილი, კაშკაშა მწვანე. ყვავილსაფრის ფოთოლაკები მოგრძოა, ბლაგვი, თეთრი ან მოყვითალო-მომწვანო, ვარსკვლავისებრ გადაშლილი. ყვავილები ხშირ, სფერულ ქლებებადაა შეკრებილი. ნაყოფი სფეროსებრ-სამწანაგოვანი კოლოფია, მრგვალი თესლებით. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** პოლარქტიკული სახეობაა, თითქმის ევრაზიული არეალით. გავრცელებულია: შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის მხარეს, მც. აზიაში, ჩრდილო ამერიკასა და კავკასიაში (ჩრ. კავკასია; სამხრეთ კავკასია: აზერბაიჯანი); საქართველოში იზრდება იმერეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ჯავახეთში (ჭობარეთი). სახეობა შეზღუდული გავრცელებით ხასიათდება; იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში, მდელოებსა და ნაკადულების გასწვრივ. სინათლის მოყვარული, მეზოფილური მცენარეა, უპირატესობას ანიჭებს ჰუმუსიან, ტენიან ნიადაგებს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ-არომატული მცენარეა. საკვებად გამოიყენება ყვავილობამდე შეგროვილი მცენარის მიწისზედა ნაწილები, ნედლი, მარინადებისა და მწნილის სახით. მათში აღინიშნება ეთერზეთები, რომლის შემადგენლობაშია ღივინილსულფიდი, პინეკოლინის მჟავა, ალინი; შეიცავს ანტიბიოტიკ – ლიზოციმს, ვიტამინ C-ს (ფოთლებში – 0,73 მგ%, ბოლქვებში – 50-100 მგ%), მდიდარია მაკროელემენტებით (მგ%): K-37,0, Ca-15,8, Mg-3,3, Fe-0,03; მიკროელემენტებით (მგ%): Mn-0,17, Cu-0,78, Zn-0,44, Co-0,03, Mo-0,25, Cr-0,05, Al-0,16, Ba-0,02, Se-13,3, Ni-0,16, Sr-0,65, Pb-0,07, B-31,2, კაროტინითა და ფიტონციდებით; ბოლქვებში აღინიშნება: ცილები, ნახშირწყლები, ორგანული მჟავები, კაროტინი, BB ჯგუფის ვიტამინები, უჯრედისი.

ხასიათდება მატონიზირებლი, მაღის მომგვრელი, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ჯირკვლების სეკრეციის და ნაწლავების მოტორული ფუნქციის გამაძლიერებელი, ბაქტერიციდული, ბაქტერიოსტატიკური, შარდმდენი, ფუნგიციდური, ანთების

საწინააღმდეგო, ჭირისმდენი, ტკივილგამომწვევი მიკრობების საწინააღმდეგო მოქმედებით. მედიცინაში ნედლი წვენი, ნაყენი და ნახარშები გამოიყენება ათეროსკლეროზის, სურავანდის, ტრიქომონადული კოლპიტების, ნაწოლების, დიზენტერიის, ჩირქოვანი ჭრილობების, ტროფიკული წყლულების, ნიკრისის ქარისა და რევმატიზმის, საშვილოსნის ყელის ეროზის დროს, როგორც ჭრილობების შემახორცებელი საშუალება. ექსპერიმენტებით დამტკიცებულია, რომ მთის დანძილის პრეპარატების ვენაში შეევნა იწვევს სისხლის წნევის დაქვეითებას. ავიტამინოზის დროს რეკომენდებულია დღეში 5-10 გ ფოთლის მიღება. მიღებულია პრეპარატი ”ურსალი.“

**მირტი – *Myrtus communis L.***  
**ოჯ. მირტისებრნი – Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** სურნელოვანი მარადმწვანე ბუჩქი ან ხეა. ფოთლები წვრილია, კვერცხისებრი, ტყავისებრი, მუქი მწვანე, პრიალა. ყვავილები თეთრია ან ვარდისფერი, არომატული, მრავალრიცხოვან ყვავილედებად შეკრებილი, ნაყოფი მუქი ლურჯი, სფერული კენკრაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამხრეთის მცენარეა; იზრდება სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის ქვეენებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე საოცარი არომატით გამოირჩევა. ფოთლებისაგან ამზადებენ პროფილაქტიკურ ფიტოჩაის,

ახალგაზრდობის შესანარჩუნებელ სამკურნალო დვინოს. კორსიკასა და სარდინიაში მაღალ შეფასებას იმსახურებს ნაყოფებიდან დამზადებული ალკოჰოლური სასმელები. იყენებენ სანელებლადაც. ფრიად დეკორატიულია. სამკურნალო მიწნებისათვის ფოთლები გამოიყენება. მასში შემავალი ქიმიური ნივთიერებებიდან, უმთავრესია ევკალიპტოლი და მირტენოლი. მირტის პრეპარატების მოქმედების სპექტრი ფართოა. ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებადობას, ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, გამოიყენება გრიპის, როგორც მისი პროფილაქტიკის, ასევე შემდგომი გართულებების სამკურნალოდ; მირტის ნაყენით მკურნალობენ ბრონქიტს, ასთმას, ტუბერკულოზს, დიფტერიას, ჰაიმორიტს, გულის, სისხლის, ყელის, ძვლის, ტვინის დაავადებებს, მათ შორის ეპილეპსიას; წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავისა და მუცელის ღრუს ორგანოების, თვალის დაავადებებისას, ამასთან დადგებითი შედეგები სწრაფად მიიღება. რეგომენდებულია სხვადასხვა წარმოშობის ალერგიული დაავადებების სამკურნალოდ.

მირტი ბიოლოგიურად აქტიური მცენარეა; შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც მრავალჯერადი განზავების შემდეგაც მომაკვდინებლად მოქმედებს ტკივილგამოწვევი მიკრობების, ბაქტერიების, ჩითირების მიმართ; ამასთან ბევრად ეფექტურად ვიღრე სტრეპტომიცინი, აერომიცინი და სხვა მრავალი ანტიბიოტიკი. სადღეისოდ წარმოიქმნა ტუბერკულოზის ნაირსახება, რომელიც არ ინკურნება ანტიბიოტიკებით, მირტს კი შესწევს იმის უნარი, რომ თვით მცირე დოზითაც კი დაამარცხოს ტუბერკულოზის გამოწვევი ჩითირები.

ძველი წყაროების თანახმად ცნობილია, რომ მირტი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც თრგუნავს სიმსივნის განვითარებას; დადგებითად მოქმედებს თირკმელებზე, გულზე, ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე როგორც სიმსივნისა და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ადსანიშნავია, რომ კარგად გადაიტანება იმ ავადმყოფების მიერ, რომლებიც ვერ იტანენ მცენარეული წარმოშობის ვერცერთ პრეპარატს. იხმარება სუნამოების კომპონენტად.

**უკუქმედება:** მიუხედავად იმისა, რომ მირტის გამოყენებისას აშკარა უკუმაჩვენებლები არ არის გამოვლენილი, არ არის რეკომენდებული ფეხმძიმე ქალებისა და ასაკოვანი ადამიანებისათვის.

**მიხაკის ხე – *Syzygium aromaticum* (L.)  
Mercii et Perry  
(=*Caryophyllus aromaticus* L.)  
ოჯ. მირტისებრნი – Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული მარადმწვანე 10 მ-დე სიმაღლის ხეა, ლამაზი პირამიდული ვარჯით. ფოთლები მოპირისპირეა, ფართო ლანცეტურა, კიდემთლიანი, მუქი მწვანე, ტყავისებრი და პრიალა, რომლებზეც მიმოფანტულია ნათელი ეთერზეთოვანი წერტილები. ყვავილედი წვეროსეულია, შეკრებილია რთულ ნახევარქოლგებად. ყვავილი არომატულია, შეღგება კაშკაშა წითელი ცილინდრული ყვავილსაჯდომისაგან (პიპანტია), 4 წერილი წითელი ფერის ჯამის ფოთოლაკისა და ოთხფურცლიანი ბაცი ვარდისფერი გვირგვინისაგან, მტვრიანა მრავალია. ნაყოფი ცრუ კენკრაა, მუქი მურა ფერის, ოვალური ფორმის, სასიამოვნო არომატისა და გემოვნების, შეიცავს ერთ თესლს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო მოლუქისა და ფილიპინების კუნძულებია. კულტივირებულია მალაიზიაში, აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროებზე, ინდოეთში, ჩინეთში, ინდონეზიაში, იამაიკაზე, ბრაზილიაში. მსოფლიო ბაზარზე კი ნეედლეულის 90% ზანზიბარიდან მიიღება.

როგორც სანელებელი და სამკურნალო საშუალება მიხაკის ზე უძველესი დროიდანაა ცნობილი და ფართოდ იხმარებოდა ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთში, ეგვიპტესა და ჩინეთში, შექვენდათ ძველ რომშიც. ჩინეთში ეტიკეტის თანახმად იმპერატორთან სიტყვის თქმა შეიძლებოდა წინასწარ მიხაკის დაღეჭვის შემდეგ. პირველად შექნარე დაწვრილებით აღწერა მაგელანის თანამგზავრმა იტალიელმა რიგაფეტმა 1521 წ., დედამიწის ირგვლივ მოგზაურობისას. შემდგომ პერიოდში, პორტუგალიელებმა დაიყრეს რა მოლუქის კუნძულები, მცენარეზე მონოპოლიის მიზნით, გამრავლების ნებას მხოლოდ თავის კუნძულებზე რთავდნენ, სხვაგან კი ბარბაროსულად აჩანაგებდნენ. პორტუგალიელი კოლონიზატორები პოლადიელებმა შეცვალეს, ისინიც იგივე პოლიტიკას ატარებდნენ; მხოლოდ XVIII ს-ში მოახერხეს ფრანგებმა ერთი გემით მიხაკის ხის ნერგების გატანა, რომლის კულტივირებაც დაიწყეს აფრიკის სხვადასხვა ქვეყანაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ყველასთვის ნაცნობი სანელებელია, რომელიც მყარად დაძყვიდრდა ჩვენს სამხარეულოში. სანელებელს წარმოადგენს მიხაკის ხის გაუშლელი ყვავილები – კოკრები, რომლებსაც თავისებური პატარა ლურსმნის ფორმა აქვს, სხვადასხვა ეკროპული ენებიდან ითარგმნება როგორც “გვიზდიკა” - “ლურსმანი”. აგროვებენ ყვავილის გაშლამდე 2-3 დღით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში სურნელების ხარისხი მკვეთრად კლებულობს. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს სურნელოვან ეთერზეთებს, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ნატურალურ გამაუმტკივნებელ, ანტისეპტიკურ, ანტიბიაქტერიულ, ანტივირუსულ, ანტიბიოტიკურ და სპაზმოლიტურ საშუალებას.

არომათერაპიაში მიხაკის ეთერზეთები ადამიანის ორგანიზმე სამი მიმართულებით მოქმედებს: ემოციურ, მენტალურ და ფიზიკურ დონეზე. ხელს უწყობს ძალების აღდგენას მძიმე გონებრივი და ფიზიკური შრომის შემდეგ, არის მატონიზირებელი, აძლიერებს ტვინის მოქმედებას და ამასთან ერთად აძლიერებს ნერვულ სისტემას.

ხალხური მკურნალების რეკომენდაციით იხმარება ბრონქიტის

დროს სუნთქვის გამაუმჯობესებლად, ხელს უწყობს სისხლისმიმღევებს, ამაგრებს ღვიძლს, აუმჯობესებს კუჭის მოქმედებას, შველის კბილის ტკივილს, დაღლილ თვალებს. კოსმეტოლოგიაში მიხაკის ზეთი გამოიყენება ნიღბების, მაღამოების დასამზადებლად, აბაზანებისათვის და სხვ.

**მჟაუნა – *Rumex acetosa L.***  
**ოჯ. მატიტელასებრნი – Fam. Polygonaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა 30-70 სმ სიმაღლის. ფოთლები შუბისებრი ან ისრისებრია, ფესვთანური — გრძელყუნწიანია, ზედა — მჯდომარე. ორსახლიანი მცენარეა. ყვავილები მოწითალო ან მწვანეა, წვეროსეულ საგველა ყვავილედებად შეკრებილი. თესლი მუქი მურაა, სამწახნაგოვანი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და აზიაში, კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიც.

იზრდება თითქმის სუბალპურ სარტყლამდე ნატყევარ მდელოებზე, ტყის პირებზე, მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, კლდე-ნაშალებზე.

კულტურაში სხვადასხვა დროს მრავალ ქვეყანაშია შეტანილი, უმთავრესად დასავლეთ ევროპაში, ხშირად სამრეწველო მასშტაბებით.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები მჟავე გემოთი გამოირჩევა. წედლი ფოთლებიდან ამზადებენ მწვანე მჟავე წვნიანებს, კისელს, უმატებენ სალათებსა და სხვ. ამრავლებენ როგორც ფოთლოვან ბოსტნეულს.

შეიცავს 0,4 მგ% მჟაუნას მჟავას და 1,2 მგ% მინერალურ მარილებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, 81 მგ % ვიტამინ C-ს და 8 მგ% კაროტინს, ფენოლგარბოლმჟავებს, ფლავონოიდებს, ანტრაქინონებს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ფოთოლს იყენებდნენ მუწუკების, ჩირქეროვების, ჭრილობებისა და დამწვრობის მოსაშუშებლად. მიაჩნდათ, რომ წედლი ფოთლის ღეჭვა წსნიდა გულისა და ღვიძლის ტკივილებს; ხმარობდნენ ასევე მაღის მომგვრელად, შემკვრელად და სისხლდენის შემაჩერებლად.

ხასიათდება ანტიცინგური, სისხლდენის შემაჩერებელი, ანტიპეპტიკური, ჭრილობების შემახორცვებელი, ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, შარლმდენი, ნაღველმდენი, მატონიზირებელი, სიმსივნის საწინააღმდეგო, შხამსაწინააღმდეგო, ფიტონციდური მოქმედებით.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება საჭმლის მონელების გამაუმჯობესებლად, ალერგიული დაავადებების, ანგინის, დიზენტერიის, ფილტვებიდან, საშვილოსნოდან და ჰემოროიდალური კვანძებიდან სისხლდენის, სისხლნაკლებობის, ცინგის, ღრძილების ანთების, ავთვისებიანი სიმსივნეების დროს. გარეგანად ფოთლების წვენის საფენები იხმარება ქრონიკული, როტულად შეხორცებადი ჭრილობებისა და ტროფიკული წყლულის სამკურნალოდ. მჟაუნას წვენი ხელს უწყობს მოდუნებული ნაწლავების აღდგენას.

**მონარდა — *Monarda didyma* L.**  
**ოჯ. ტუჩოსანი — Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მონფოლოგია:** მრავალწლოვანი 0,7-1,5 მ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, გრძელი პორიზონტალური ფესურით. ღეროები შეფოთლილია, სწორმდგომი, ოთხწახნაგიანი, წვრილი ბეწვით შებუსული. ფოთლები ღია მწვანეა, მოწითალო დაძარღვით, მოპირისპირედ განლაგებული, 6-15 სმ სიგრძისა და 3-8 სმ სიგანის, ოვალური, მსხვილ-კილა, მახვილწერიანი, ქვედა მხრიდან შებუსული, ზედა მხარეს – შიშველი. ყვავილი 3-4 სმ სიგრძისაა, ლილისფერი ან იისფერი შეფერილობის, შეკრებილია დაახლოებით 30-მდე, ხშირ წვეროსეულ თავაკისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მშრალია, მომწიფებისას იყოფა 4 კაკლად. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სახეობის წარმოქმნის ცენტრია ტეხასი და ჩრდილოეთ მექსიკა. ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში. ნატურალიზებულია აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთში, აგრეთვე ევროპისა და აზიის ზოგიერთ ნაწილში.

ფართოდაა კულტივირებული დეკორატიული და ეთერზეთების მიღების მიზნით არეალის ფარგლებში და მის გარეთ.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** არომატული მცენარეა. ბალახი (მცენარის მიწისზედა ნაწილი) ხასიათდება პიტნისა და ლიმონის შეზავებული სურნელით, ამსგავსებენ ნამდვილ ბერგამოტსაც. ფოთლებსა და ყვავილებს აგროვებენ ყვავილობის პერიოდში, გამრობისას არ კარგავს სურნელს, მაგრამ სასურველია მათი

მთლიანი სახით შენახვა. გამოიყენება ჩაის სუროგატად. მაგ.: ცნობილი ჩაი “ელ გრეი” არომატიზირებულია მონარდას ეთერზეთებით. განსაკუთრებულ არომატს ანიჭებს ვაშლისა და მსხლის მურაბას, კისელს, უელქს, ხილის მარინადებსა და კომპოტებს. დიდ კამასთან, ტარხუნასა და პიტნასთან ერთად იყენებენ სანელებლად ოეზზეულისა და ხორცეულის კერძებში; ბოსტნეულს, მონარდასთან ერთად უმატებენ თავშავას, დაფნის ფოთოლსა და რეჟანს.

განსაკუთრებით პოპულარულია აშშ-ში და ინგლისში.

ინდიელი ტომების მიერ მონარდას ფოთლები სამკურნალოდ გამოიყენებოდა როგორც ანტისეპტიკი ჭრილობების შესახორცებლად და კანის ინფექციების დროს; ნაყენს იყენებდნენ ყელისა და პირის ღრუს გამოსავლებად, ღრძილებისა და კბილების გაჯანმრთელების მიზნით, თავის ტკივილებისა და ციიებ-ცხელების, საერთო გამაძლიერებელ, მასტიმულირებელ და ქარმდენ საშუალებად. მოგვიანებით დადასტურდა ინდიელების დაკვირვებები, მცენარე შეიცავს ნატურალურ ანტისეპტიკს თიმოლს (thimol). მონარდას ზეთები აქტიურად გამოიყენება არომათერაპიაში.

### მხოხავი ბეგექონდრა – *Thymus serpyllum L.*

ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქია 15 სმ-მდე სიმაღლის, მთავრდება გართხმული ყლორტით; საყვავილე

ღეროები სწორმდგომია ან ნახევრადგართხმული. ფოთლები ელიფსურია ან მოგრძო-ელიფსური, 5-10 მმ სიგრძისა და 1,5-3,5 მმ სიგანის, მოკლეუნწიანი, ეთერზეთების შემცველი ჯირკვლებით მოფენილი. ყვავილედი თავაკისებრია, კომპაქტური. ჯაში ვიწროზარისებრია; გვირგვინი ვარდისფერ-ლილისფერია, კაშკაშა, 6-8 მმ სიგრძის. ნაყოფი წვრილი, ელიფსური კაკალია. ყვ. V-VIII. ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევრაზიის ზომიერი კლიმატის ქვეწებში, სკანდინავიიდან ხმელთაშუაზღვეთამდე და ბრიტანული კუნძულებიდან აღმოსავლეთი ციმბირამდე.

ჩვეულებრივი იზრდება ღია ქვიშნარებზე, სტეპებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ხასიათდება სასიამოვნო ძლიერი არომატით და მწვავე, ძლიერი, მწარე, მკეთრად გამოკვეთილი გემოვნებით. წარმოადგენს პოპულარულ სანელებელს, უმატებენ შებოლილი ხორცის პროდუქტებს, ღორისა და ცხვრის ხორცს, პაშტეტებს, სოკოს, ხაჭოს, ყველს, ნანადირევს. შემწვარი თევზეულის, ღვიძლის, ხბოს შიგნეულის შესაკაზმავად იყენებენ მცირე რაოდენობის სანელებელს.

მცენარის მიწისხედა ნაწილი ნაყოფმსხმოიარობამდე გამოიყენება სასმელების წარმოებაში. ფოთლები და ნორჩი ყლორტები იხმარება სალათებში, კიტრის დასამწნილებლად. იყენებენ ძეხვეულის, ძმრის, კოქტეილების, ჩაის არომატიზაციისათვის.

მცენარის მიწისხედა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, ტრიტერპენულ, თიმუნის, ურზოლის, ოლეინის, ყავის, ქლოროგენის, ქინაქინის მჟავებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, საპონინებს.

ბეგქონდარა ხასიათდება ბაქტერიციდული, ლამაშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობების შემახორცებელი, ანტიპელმინტური და კრუნჩებების საწინააღმდეგო მოქმედებით.

მეცნიერულ მედიცინაში შეფოთლილი ყლორტები ნაყენის, ნახარშისა და ექსტრაქტის სახით გამოიყენება სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული დაავადებების, ბრონქიალური ასთმისა და ტუბერკულოზის სამკურნალოდ. ფოთლების თხევადი ექსტრაქტი შედის პრეპარატ „პეტრუსინის“ შემადგენლობაში, რომელსაც

იყენებენ ბრონქიტისა და ყივანახველის დროს. მიწისზედა ნაწილი შედის ამოსახველებელი, შემკვრელი და ნაღველმდენი ნაკრებებისა და სახსრების ანთების აბაზანების შემადგენლობაში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნევრალგიის, ნევროზების დონეზე, როგორც ოფლმდენი, შარდმდენი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, დამაშვიდებელი და პიპერტონიის საწინააღმდეგო საშუალება. გარეგანად – აბაზანების, საფენებისა და კომპრესების სახით სახსრებისა და კუნთების ტკიფილებისას, ჭრილობების შემახორცებლად და კანის დაავადებებისას.

### ნამდვილი ზირა – *Cuminum cuminum L.*

ოჯ. ქოლგოსანნი (ნიახურისებრნი) – Fam. Umbelliferae  
(Apiaceae)



**მორფოლოგია:** ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. გარეგანი იერსახით მოგაგონებს კალიავს, რის გამოც მათ ერთმანეთში ხშირად ურევენ. ფოთლები მორიგეობითია, ქვედა – ორმაგ-სამმაგ განკვეთილი წვრილ ხაზურ სეგმენტებად. ყვავილი თეთრი ან წითელია, ორმაგი ქოლგებით, საერთო საბურველითა და საბურველაკით. ნაყოფი – მოგრძო ტყუპი თესლურაა, რომელიც მომწიფებისას თითო თესლურად იშლება, მეტ-ნაკლებად შესამჩნევი 5 წიბოთი და მათ შუა ღარებით. კვლიავის თესლურაზე უფრო მსხვილია, უფრო მეტად ძლიერი და მწვავე არომატით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო შუა აზიაა. მცენარე კულტივირებულია ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ირანში, ავღანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში. ევროპაში ნაკლებადაა გავრცელებული, გამონაკლისია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნები.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელს თესლები წარმოადგენს, ხასიათდება ძლიერი, მომწარო, ნიგვზისმაგარი სუსტი სურნელით, რომელიც ძლიერდება დანაცვის ან მოხალვის შემდეგ. ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში. მთლიანი თესლები წარმოადგენს აღმოსავლეთის ბრინჯის ფლავის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, ხოლო დაფქვილ სანელებელს უმატებენ ცნობილ სოუს “ჩილის”. ყირგიზეთში მისით ანელებენ შემწვარ ხორცს ბოსტნეულთან ერთად, უმატებენ სხვადასხვა კერძს არომატისათვის. ტაჯიკეთსა და უზბეკეთში — კაზმავენ წვინანებს, ფლავს, ცხელ კერძებს, ცივ გარნირებს, ფქვილიან ნაწარმს. ინდოეთში უმატებენ ბოსტნეულ კერძებს. შედის სანელებელი ნაკრებების “კარისა” და “გარამ-მასალას” შემადგენლობაში. ფართოდ გამოიყენება მექსიკურ სამზარეულოშიც.

ნაყოფები შეიცავს 2,4-4,0% ეთერზეთებს და 16% გუმფისს. დაღადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას და იცავს მთელ ორგანიზმს ინფარქტისაგან. სანელებლის გამოყენება აუმჯობესებს ტვინის მოქმედებას და მხედველობას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და მადის გაუმჯობესებას. ამაგრებს კუჭსა და ნაწლავებს, შეუცვლელია კუჭის სპაზმების, ჩხვლეტების, დისპეფსიისა და მეტეორონიზმის დროს. საბერძნეთში გამოიყენება ბავშვებისათვის სამკურნალო ჩაის დასამზადებლად. შველის ნერვულ აშლილობასა და შაკიკს. გუმფისის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, დაფქვილი თესლების საფეხნები ეფექტური ანტისეპტიკური და შემახორცებელი საშუალებაა, ხოლო ზეითუნის ზეთთან ნარევში მაღამოების სახით რეკომენდებულია სიმსივნეების სამკურნალოდ.

**ნამდვილი კარდამონი — *Elettaria cardamomum* White et Maton  
ოჯ. ჯანჯაფილისებრნი — Fam. Zingiberaceae**



**მორთოლოგია:** მრავალწლოვანი 3-4 მ სიმაღლის ტროპიკული ბალახოვანი მცენარეა მხოხავი ფესვებითა და მსხვილი ფესურით; ინგითარებს 2 ღეროს, ერთი ვეგეტატიურია, ფოთლისეული, მეორე - მხოხავი, გენერაციული. ფოთლები ფართო ლანცეტაა, გრძელი (60 სმ). ყვავილი მარტივ ყვავილსაფრიანია, შებისებრი, ბაცი მწვანე ფოთოლაკებით, შეკრებილია მცირე ზომის მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი კოლოფებია, დაფარულია ტყავისებრი მწვანე ფერის ქერქით, მათი გასკდომის თავიდან ასაცილებლად აგროვებენ მოუმწიფარ კოლოფებს; მშრალი კოლოფები ჩალისფერ-ყვითელი შეფერილობისაა, 1-2 სმ სიგრძის, ერთბუდიანი, მტვრევადი, უგემო და უსუნო, შეიცავს მრავალრიცხოვან თესლებს; თესლი 5 მმ სიგრძისა და 3 მმ სიგანისაა, კუთხოვანი, დანაოჭებული, მურა, არომატული, სასიამოვნო მწვავე გემოთი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ შრი-ლანკასა და სამხრეთ ინდოეთის მარადმწვანე მთიანი ტყეები ითვლება. დღემდე ეს ტერიტორიებია კულტურის წარმოების ძირითადი ცენტრები. ასე მაგ.: მხოლოდ ინდოეთი აწარმოებს ამ სანელებლის ექსპორტს შსოფლიოს 60 ქვეყანაში. ინდოეთის გარდა კულტივირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლაოსში, ახალ გვინეაში, გვატემალაში, კამბოჯაში, ტანზანიაში, ცენტრალურ ამერიკაში, სალვადორშა და ვიუტნაში.

მისი მომხმარებელი უმთავრესად არაბული ქვეყნებია, იქ ყავას კარდამონს უმატებენ. ზოგჯერ მას აქუცმაცებენ, უმატებენ შაქარს და ხარშავენ, როგორც ამბობენ უგემრიელესი სასმელია.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ტრადიციული, ერთ-ერთი უძვირფასესი და ფართოდ გავრცელებული ინდური კლასიკური სანელებელია. მისი მარცვლები ხასიათდება რბილი მწვავე გემოვნებითა და არომატით.

ჩრდილოეთ განედის ქვეყნებში (პოლანდია, გერმანია, რუსეთი) კარდამონით ტრადიციულად კაზმავენ სააღდგომო კულიტებს, კექსებს, პრიანიკებს, ძეხვეულსა და პაშტეტებს.

ჩინეთსა და ჩრდილო ინდოეთში მის მარცვლებს უმატებენ ჩაის. ველურ კულინარიაში მწვანე მარცვლებს დუღილის პროცესში აუცილებლად უმატებენ რძეს, რომელიც პირველ რიგში აუმჯობესებს რძის გემოვნებას და მეორე “ანეიტრალებს ლორწოს”, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელს უწყობს რთულად შესათვისებელი ცილების შეთვისებას. ამავე მიზნით, მწვანე მარცვალს ხმარობენ რძის პროდუქტების (ყველი, იორგურტ, ხაჭო და სხვ.) შესაკაზმავად.

შუა აღმოავლეთისა და აზიის ქვეყნებში კარდამონს უმატებენ თითქმის ყველა კერძს – შემწვარი ხორციდან დაწყებული და ბრინჯით, ტკბილეულითა და სასმელებით დამთავრებული. კარდამონი შედის “კარის” მრავალი ნაირსახეობისა და სხვა სანელებელი ნაკრებების შემადგენლობაში, რომლის შედგენა შინაურ პირობებშიც შესაძლებელია.

კარდამონის სამკურნალოდ გამოყენება ახალ ერამდე მეხუთე საუკუნიდან იწყება. სამკურნალო ნედლეულს თესლები წარმოადგენს. შეიცავს 4-8% ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია ლიმონენი, ტერპინეოლი, ბორნეოლი, მათი რთული ეთერები და ცინეოლი, აღინიშნება K, Fe, Ca, Na, P, Mg, სახამებელი, ნიაცინი, ვიტამინები A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>. ნაყოფებს ინახავენ ხელშეუხებლად (თესლებს არ აცილებენ კოლოფებს).

ძელ დროში მას პანაცეად მიიჩნევდნენ ყველა ავადმყოფობისაგან. ტრადიციულ ინდურ მედიცინაში იყენებდნენ სიმსუქნისა და კანის დაავადებების საწინააღმდეგოდ. ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში მიიჩნევენ პირველხარისხოვან

საშუალებად ნაწლავური დაავადებებისას, მხედველობის გამაუმჯობესებლად, იმუნიტეტისა და ნერვული სისტემის გამაძლიერებლად.

გამოიყენება რევმატიზმის, ეპილეპსიის, დამბლის, გულის დაავადებების სამკურნალოდ და როგორც ქარმდენი, მადის აღმგზნები და შარდმდენი საშუალება; იხმარება აგრეთვე, წამლების გემოვნებისა და სურნელის გამაუმჯობესებლად.

ჩვენ დროში მსოფლიო მედიცინის მესკეურთა მიერ კარდამონი რეკომენდებულია მაღალი ტემპერატურის (როგორც ანტისეპტიკი), ლარინგიტის, ბრონქიტისა და პნევმონიის სამკურნალოდ. ამავდროულად მისი საშუალებით შესაძლებელია ბრონქებისა და ფილტვების ეფექტური გაწმენდა, რისთვისაც კარდამონი უნდა დაემატოს შემწვარ ხილს. არტერიული წნევის რეგულირებისა და გულის კუნთის გამაგრებისათვის იყენებენ კარდამონის ექსტრაქტს. ასევე ითვლება, რომ ნატურალური წარმოშობის ეფექტური აფროდიზიაკია, რომლის წყალობითაც მამაკაცებში არსებითად უმჯობესდება პოტენცია. მარგებელია ნერვოზებისა და სტრესების დროს. როგორც უძველესი სამედიცინო ძეგლი ჯანმრთელობის შესახებ “აიურ-ვედა” ამტკიცებს, კარდამონის მიღებით ოქვენ მოიპოვებთ სიმშვიდეს, სიმსუბუქეს, ბედნიირებას, აქტიურობას და ტვინის სისხარტეს. ამჟამად არომათერაპიაში მეტად პოპულარულია კარდამონის ზეთი. იყენებენ კუჭის სპაზმოლიტურ, გამამხნევებელ და გასათბობ საშუალებად. აუმჯობესებს პერიოდულ სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას (ცივი კიდურები). წველების დროს ურჩევენ ინჰალაციების სახით გამოყენებას.

**ნამდვილი რევანდი – *Rheum palmatum* L.  
ოჯ. წიწიბურასებრნი — Fam. Polygonaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სწორმდგომი, სუსტად დატოტებილი 1-3 მ-მდე სიმაღლის ლია, მოწითალო ლაქებითა და ზოლებით დაფარული დეროთი. ფესურა მოკლეა, სქელი, მრავალთავიანი, რამდენიმე მსხვილი ხორცოვანი გვერდითი ფესვით. ფესვთანური ფოთლები მსხვილია, 1 მ-მდე სიგრძის, ხუთ და შვიდნაკვთიანი, გრძელყუნწიანი; ფოთლის ყუნწები ნახევრადცილინდრულია, მოწითალო, 30 სმ-მდე სიგრძის; ფოთლის ფირფატა ფართო კვერცხისებრია, ზემოდან - შებუსულია იშვიათი მოკლე ბეწვით, ქვედა მხრიდან - დაფარულია უფრო ხშირი და გრძელი ბეწვებით. ღეროსეული ფოთლები წვრილია, ყუნწიანი, კერცლისებრი, ძირში ყავისფერი მშრალი ქერცლებით. ყვავილედი – მრავალყვავილიანი, ხშირი საგველაა, 50 სმ-მდე სიგრძის, ვერტიკალურად ამომავალი გვერდითი განშტოებებით. ყვავილი ორსქესიანია, წვრილი, მარტივი გვირგვინისებრი, მოთეთრო-კრემისფერი, ვარდისფერი ან წითელი შეფერილობის ყვავილსაფრით. ნაყოფი მოწითალო-მურა სამწახნაგოვანი კაკალია, 7-10 სმ სიგრძის. ყვ. VI; ნაყ. VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ცენტრალური ჩინეთის მთიანი ტყეებია. ბუნებრივ პირობებში გვხვდება ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციებში. წარმატებითაა კულტივირებული ეგრაზიის ქვეყნებში, რუსეთში, დასავლეთ ციმბირში, უკრაინასა და ბელორუსში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნორჩი ფოთლები და ყუნწები გამოიყენება საკებად. ფოთლებისგან ამზადებენ ვიტამინითირებულ სალათებს. ყუნწებსაც ვიტამინის შემცველ ადრეულ ბოსტნეულად იყენებენ, რომლისგანაც ამზადებენ სალათებს, ორცხობილების შიგთავსს, მურაბებს, კისელს, კომპოტებს, უმატებენ წვნიან კერძებს. რევანდის ფოთლები დადებითად იქნა შეფასებული სანელებლად თევზეულის მრეწველობაში გამოსაყენებლად.

სამკურნალო ნედლეულს ფესვურა ფესვებითურთ წარმოადგენს. შეიცავს ორი ჯაუფის გლიკოზიდებს: ტანინოგლიკოზიდებსა და ანტრაგლიკოზიდებს, ფისებს, პექტინოვან ნივთიერებებს, სახამებელს. ფოთლები — ასკორბინის მჟავას, ერგოსტერინს, რკინის მარილებს, მჟაუნისა და ვაშლის მჟავებს, ვიტამინ P-ს.

რევანდის სამკურნალო მნიშვნელობა ჩინეთში ა.წ.წ.-ძღე 2700 წლით ადრე იყო ცნობილი. მოგვიანებით ვრცელდება ძველ საბერძნეთში, შემდგომ — სპარსეთში. შუა საუკუნეებში არაბი ექიმების მეშვეობით შედწეულ იქნა ევროპაშიც. პირველი ევროპელი, რომელმაც ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში აღწერა რევანდის შეგროვება, იყო ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (XIII ს.).

**სალხურ** მედიცინაში გამოიყენება როგორც საერთოგამაძლიერებელი საშუალება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დარღვევების, ნაღვლის ბუშტისა და ნაღველმდენი გზების დაავადებების, სისხლნაკლებობისა და ტუბერკულოზის დროს.

ტიბეტურ მედიცინაში იხმარებოდა მოწამლვისა და ანთებითი დაავადებების (ართრიტები, რევმატიზმი, პნევმონია, ბრონქიტი, ფურუნგულოზი, ფსორიაზი, ქოლეცისტიტი) სამკურნალოდ.

მცირე ღოზებში ( $0,06-0,2\text{გ}$ ) რევანდს უნიშნავენ როგორც შემკვრელ საშუალებას ნაწლავების პერისტალტიკის შესამცირებლად, მაღის გამაუმჯობესებლად, კუჭის მოქმედების რეგულირებისათვის, კუჭისა და ნაწლავების კატარის, დისპეფსიის დროს. ღიდ ღოზებში ( $0,5-2,0\text{გ}$ ) ნაწლავების პერისტალტიკის გამაძლიერებლად, ყაბზობის, ათონიის, სწორი


ნაწლავის ნახეთქების სამკურნალოდ. ფესვებიდან მიღებულია ფსორიაზის სამკურნალო პრეპარატი ხრიზარობინი.

**უგუქმედება:** დიდ დოზებში რევანდის პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიოს პირლებინება, ფალარათი, მუცლის ტკივილები, ტენეზმი, რის გამოც დოზის შერჩევა ინდივიდუალურია.

### ნიახური – *Apium graveolens* L.

ოჯ. ქოლგოსანი (ნიახურისებრნი)

Fam. Umbelliferae (Apiaceae)



**მორფოლოგია:** ორწლოვანი მცენარეა, უსწორო თითისტარისებრი ფესვით. სიცოცხლის პირველ წელს წარმოქმნის ფოთლისეულ როზეტს, მეორე წელს – 100 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომ, ძლიერდატოტვილ ღეროებს. ფოთლები პრიალაა, მუქი მწვანე, ფრთისებრგან გვეთილი. ყვავილები შეკრებილია მრავალრიცხოვან წვრილ 6-12 სხივიან ქოლგაკებად; ყვავილი მცირე ზომისაა, მომწვანო-მოყვითალო. ნაყოფი მომრგვალოა, წვრილი (1,5-2 მმ დიამეტრიც), ლეგა ან მურა-ყავისფერი. ყვ. VII-VIII; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო – ხმელთაშუაზღვეთის ქვეენები. ველურად გვხვდება ხმელთაშუაზღვის სანაპიროსა და მდლაშობ ნიადაგებზე. ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენებოდა, მისი ფოთლებით ამკობდნენ

ტრიუმფატორებს. კულტივირებული იყო ახ.წ.-აღ.-მდე III-II საუკუნეებში. XVI ს-ში ჯერ იტალიაში, შემდგომ საფრანგეთსა და ინგლისში მოპყავდათ ოოგორც საკვები არომატული მცენარე. ამჟამად, კულტურაში გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, საქართველოში, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, ჩრდილო აფრიკაში, ინდოეთში, იაპონიასა და ჩინეთში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ცნობილი შესაკაზმავი საშუალებაა, არომატული სანელებელი; საკვებად ფესვი და ფოთლები გამოიყენება ნედლი და მოხარუშული სახით; იყენებენ წვნიანი კერძების, სალათების, გარნირების, ფხალეულის შესანელებლად, საკონსერვო წარმოებაში არომატიზაციისათვის, ბოსტნეულის დამწინლებისას; ფოთლებისაგამ შზადდება წვნიანი შეჭამანდი; მცენარის დამახასიათებელი სუნი და სასიამოვნო გემოვნება ეთერზეთების შემცველობითა გამოწვეული.

ძირზენა შეიცავს 10-20 %-მდე მშრალ ნივთიერებებს, მათ შორის 2-4 % შაქრებს, 1-2,5 % ნედლ ცილებს, ქარვის, ვაშლის, ლიმონის, ღვინის, მჟაუნას ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს. ფოთლები მდიდარია ვიტამინებით (C-110 მგ%, კაროტინი (პროვიტამინი A), B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP), კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის მინერალური მარილებით; ალინიშნება – ეთერზეთები, ორგანული მჟავები, ფურანოკუმარინები, ფლავონოიდები.

ნიახური უძველესი დროიდანაა ცნობილი ეგვიპტელების, ბერძნებისა და რომაელებისათვის. იმ შორეულ წარსულში უკვე კულტივირებული იყო, როგორც დეკორატიული, სამკურნალო და საკულტო მცენარე. საბერძნეთში ნიახურის გვირგვინით ამკობდნენ სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულებს, ფოთლებით სადღესასწაულო დღეებში – საცხოვრებლებსა და ტაძრებს. ინდოეთის, ტიბეტისა და ჩინეთის უძველეს მედიცინაში რეკომენდებული იყო კიბოთი დაავადებულთათვის. ნიახურის წვენი წყალში ან მმარში გახსნილი გულის რევის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა. ავიცენა თვლიდა რომ კარგად მოქმედებს კუჭზე; კარგია მსხვილი ნაწლავის, შარდის ბუშტისა და თირკმელებისათვის, მუცლის გაბერილობისას.

სამკურნალოდ გამოიყენება მთელი მცენარე ფესვებთან ერთად,

ნედლი და მშრალი სახით. ხასიათდება დიურეზული, ნაღველმდენი, ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმოლიტური, ცინგის და ალერგიის საწინააღმდეგო, მადის გამაძლიერებელი მოქმედებით. იხმარება თირკმელების და რესპირატორული დაავადებების, ბრონქიალური ასთმის, შარდის ბუმტისა და საშარდე გზების ანთების, ქრონიკული კოლიტის, გასტრიტის, შარდეკენჭოვანი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, ნეფრიტის, ასთენიური მდგომარეობის, ნიკრისის ქარის, მეტეორიზმის, ჭინჭრის ციების, ჰეპატიტის, დერმატიტების, უმაღლებისა და ცუდი საკვებმონელების, ძილის დარღვევისა და ნეკროზების დროს. ნაყოფები ხასიათდება დეპრესიული მოქმედებით.

მიღებულია პრეპარატი “სუკაპიგრაველი” – დიურეზული მოქმედების სტაბილიზირებული წვერი.

### **ნიგზისძირა – *Geum urbanum* L.**

**ოჯ. ვარდისებრნი – Fam. Rosaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-60 სმ სიმაღლის მცენრეა სქელი, ირიბი, უმთავრესად დაუტოტავი ფესურით, რომლისგანაც ვითარდება ფესვთანური ფოთლისეული როზეტი. ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, რბილი შებუსვით, სუსტად დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, წყვეტილკენტფრთართული, შედგება 3-9 მომრგვალო

კვერცხისებრი, უთანაბროდდაკბილული ფოთოლაკებისაგან. ღეროსეული ფოთლები მოკლეყუნწიანია, სამმაგი, ზედა სამნაკვთიანი; ფოთლის ფირფიტა ორივე მხრიდან დაფარულია მცირერიცხოვანი ბეწვითა და ყუნწებზე ჯირკვლებით. ყვავილი 1-1,5 სმ დამატებრისაა, ფართოდ გადაშლილი, მარტოული, განწყობილია ღეროებისა და გეერდითი ტოტების ბოლოებზე. გვირგვინის ფურცლები ყვითელია, ძირში სოლისებრი. ნაყოფი მრავალი კაკალია; ნაყოფები გრძელი, ბოლოში მოკაუჭებული ცხვირითაა, მჯდომარეა, ბუსუსიანი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის მთელ ტერიტორიაზე, აფრიკის ჩრდილოეთი (ალჟირი, მაროკო, ტუნისი), მცირე და შუა აზიაში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. თითქმის ყველგანაა ნატურალიზებული. იზრდება თხილნარებში, ნაძვნარებში, ტყისა და გზის პირებზე, ბალ-პარკებში, უდაბნოებსა და სხვა დასარევლიანებულ ადგილებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნორჩი ნედლი ფოთლები გამოსაღებია ვიტამინის შემცველი სალათების დასამზადებლად. ფესურა და ფესვები ხასიათდება სასიამოვნო არომატული სურნელითა და მომწარო, მწკლარტე გემოვნებით. იხმარება ბოსტნეულ კერძებში სანელებლის სახით; იყენებენ აგრეთვე საკონდიტრო, საკონსერვო და ლიქიორ-არყის მრეწველობაში ძვირფასი სანელებელ-არომატული მცენარების (დარიჩინი, მიხაკი) შემცვლელად. შევდეთში ნიგვზისძირას უმატებენ ლუდს, უანგვითი რეაქციისაგან დაცვის მიზნითა და სასიამოვნო გემოვნებისა და სურნელის მისაცემად. შშრალი ფესურის ნაყენი ფორთოხლის კანთან ერთად თეთრ ღვინოს ვერმუტის გემოვნებას ანიჭებს.

სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა და ბალახი; ფესურა გროვდება შემოღვომით ან გაზაფხულზე ყვავილობამდე, ბალახი – გაზაფხულზე ყვავილობის დასაწყისში.

ფესურა და ფესვები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს (40%), ეთერზეთებს, ევგენოლს დადი შემცველობით, გლიკოზიდ გეინს, სახამებელს, ფისებს, მწარე ნივთიერებებს. შშრალი ფესურიდან მიიღება მურა-მოწითალო შეფერილობის, მიხაკის სურნელის

ეთერზეთები, რის გამოც ამ მცენარეს “შიხაკის ფესვსაც” უწოდებენ. ნორჩი ფოთლები შეიცავს 0,1%-ზე მეტ ასკორბინის მჟავასა და 0,05 % კაროტინს, 4%-მდე მთრიმლავ ნივთიერებებს, თესლები – 20%-მდე ცხიმოვან ზეთებს.

სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენება. მას იხსენიებს პიპოკრატე თავის თხზულებებში. უახლოეს წარსულამდე მცენარეს ფართოდ იყენებდნენ მედიცინაში და ამ მიზნით ამრავლებდნენ კიდეც. ფესვი და ფესურა “შიხაკის ფესვის” სახელით გამოიყენებოდა შემკვრელ საშუალებად კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას.

ხალხურ მედიცინაში შინაგანად უმთავრესად ფესვი გამოიყენებოდა, იშვიათად მთელი მოყვავილე მცენარე როგორც შემკვრელი, ტკივილგამაყუჩებელი, მეტეორიზმის, მალარიის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და თირკმელების ტკივილების დროს; იხმარებოდა ხველების საწინააღმდეგოდ, ბრონქიტის, უხვი ნახველის, ტუბერკულოზისა და ფილტვების ანთების, ბრონქიალური ასთმისა და სურავანდის სამკურნალოდ. გარეგანად – დერმატიტების, პირის ღრუსა და ყელის გამოსავლებად, ბავშვებში ალერგიისა და რაქიტის, ღრძილებიდან სისხლდენის, სახსრებისა და კუნთების რევმატიზმის დროს.

**ნივრის-დედა – Alliaria petiolata (Bieb.) Cavara et Grande  
(syn. A. officinalis Andrz.)  
ოჯ. ჯვაროსანი – Fam. Cruciferae (Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** ორწლოვანი ბალახოვანი 10 სმ-დან 1 მ-მდე სიმაღლის მცენარეა. ღერო ცილინდრულია, ქვედა ნაწილში მსუბუქი ბუსუსით დაფარული. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, თირკმლისებრი, კიდედაღარული, შუა - გულისებრ-ოვალური, კიდედაგბილული. ყვავილი თეთრია, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი შიშველი ოთხწახნაგოვანი ჭოტია, მიმართულია ირიბად ზეგით, 2-8 სმ-მდე სიგრძისა და 2 მმ-მდე სიგანისა; თესლები ერთ რიგადაა განწყობილი, მოგრძო-ხაზური. ყვ. IV-IX; ნაყ. V-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, აზიაში (შუა და დასავლეთ აზია), ჩინეთში, ინდოეთში, ნეპალში, პაკისტანში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, კავკასიაში. განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი მთავარი კავკასიონის ტყის სარტყელში, საღაც ზოგიერთ ადგილებში სიზუზიებს ჰქმნის.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის მიწისზედა ნაწილი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ნივრის სუნით. კავკასიის, შუა აზიის სამხარეულოში სანელებლის სახით ნივრის შემცვლელად გამოიყენება, ნორჩი ფოთლებისაგან ამზადებენ სალათებს.

ფოთლები შეიცავს ეთერზეთებს, მკვეთრი ნივრის სურნელით; თესლები — 30%-მდე ცხიმოვან ზეთებს.

ხალხურ მედიცინაში ყლორტები გამოიყენება სურავანდის, ასომისა და მუცლის ჭიების საწინააღმდეგო საშუალებად. წარსულში, დანაყილ თესლებს იყენებდნენ მდოგვის საფენების მსგავსად.

**ნიორი – Allium sativum L.**  
**ჯ. ხახვისებრნი – Fam. Alliaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი (კულტურაში ერთწლოვანი) მცენარეა, რთული ბოლქვით, დაფარულია მძრალი, თეთრი ან იისფერი აპკით; შედგება წვრილი ბოლქვაკებისაგან — ეწ. “კბილები”, რომლებიც ასევე მძრალი აპკითაა შემოხვეული. ფოთოლი ბრტყელია, ხაზური, საქმარებელი უხეში, მუქი მწვანე, ლეგა ელფერით, 1 მ-მდე სიგრძის. საყვავილე ისარი 1,5 მ სიმაღლისაა, მთავრდება წვეროსეული მცირე ყვავილიანი ყვავილედით — ქოლგით, გარშემორტყმულია ერთფოთოლაკიანი შალითით, რომელიც გაშლისას ცვივა; ყვავილი ჭუჭყისებრ-თეთრია, იშვიათად წარმოიქმნება მცირე რაოდენობით. ხშირად ყვავილედში ყვავილების ნაცვლად ვითარდება წვრილი “საპაერო” 1,5-3 მმ ზომის ბოლქვაკები, რომლებიც გამრავლებისთვისაა გამოსაღები. მცენარე ხასიათდება მკვეთრი, სპეციფიური ნივრის სუნით. ყვ. IV – V; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება;

ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა, რამდენიმე ათასწლეულია, რაც კულტურაშია ცნობილი. კულტივირებულია საღდაც შუა ან სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. უკვე უძველეს დროში მოჰყავდათ ეგვიპტეში, საბერძნეთში, ძველ რომში, უფრო მოგვიანებით – ჩინეთში. ძველი ბერძნები, რომაელები და ფინი კიელები თანაბრად აფასებდნენ სანელებელი და სამკურნალო მნიშვნელობის გამო. სადღეისოდ ნიორი მოშენებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, არსებობს ათასობით ნაირგვაროვანი ჯაშები, რომლებიც მრავალი პარამეტრით განირჩევა.

ასევე უძველესი დროიდანაა ცნობილი საქართველოშიც, რაზეც მრავალი ისტორიული წყარო მიუთითებს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი სანელებელი მცენარეა. ნივრის ბოლქვები სხვა კულტურებისაგან განირჩევა მშრალი ნივთიერებების ყველაზე მაღალი – 40 მგ% -მდე შემცველობით, შეიცავს 20-27 მგ% ნახშირწყლებს, 8 მგ%-მდე ცილებს, 35 მგ% ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C), ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>), ნიკოტინის მჟავას, ფიტოსტერინებს, კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის, რკინის, გოგირდის, მაგნიუმის, იოდის, სპილენბის მარილებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ნივრის სპეციფიური სუნი და მწვავე გემო გამოწვეულია მათში არსებული ეთერზეთებისა (30 მგ %) და გლიკოზიდ ალინის შემცველობით

ნიორი აღაგზნებს მადას, აძლიერებს საკვებმომნელებელ ორგანოებში ფერმენტების გამოყოფას, ხელს უწყობს საკვების უკეთ მონელებასა და შეთვისებას.

ერთ-ერთი იმ პირველთაგანია, რომელიც სამკურნალო მნიშვნელობის გამო იქნა კულტივირებული. პირველი წიგნიერი “ნიორმცოდნები” იყვნენ ძველი შუმერები. მეფე ნიმუროდის დროს ნივრის ნაცენები და ნახარშები გამოიყენებოდა როგორც ეფექტური სიცხისძამწევი, სასაქმებელი, მატონიზირებელი, მაღეზინფირებელი საშუალება.

მარჯვედ იყენებდნენ მის სამკურნალო თვისებებს ძველი ეგვიპტელებიც. ძველი საბერძნეთის ისტორიკოსი პეროდოტეს

ცნობით: “ერთ-ერთ – ხეობის პირამიდის თლიილ ქვებზე წარწერუები გვამცნობს, თუ რამდენ ბოლოკს, ნიორსა და ხახვს იყენებდნენ საკვებად მისი შშენებლები...ქველ ეგვიპტეში ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ამ ბოსტნეულებზე დახარჯული იყო 1600 ვერცხლის ტალანტი”, რაც დღეეანდელი გადაანგარიშებით 30 მილიონი დოლარის ტოლფასია.

ნიორსა და ხახვს ძველ რომსა და ეგვიპტეში იყენებდნენ მუმიფიკაციისათვისაც. გვიატურ პაპირუსებში “ებერის კოდექსში”, რომელიც ახ.წ.-აღ-მდე 1550 წელსაა შექმნილი და მედიცინას ეძღვნება, 800 რეცეპტია განხილული, აღინიშნება ნიორიც, როგორც ეფექტური საშუალება გულის დაავადებების, თავის ტკივილის, ნაკენების, ჭიის დაავადებებისა და სიმსივნის სამკურნალოდ.

ძველი რომაელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ნიორი ამძლავრებს ძალებს, აძლიერებს სულს, კურნავს ყველანაირ დაავადებას. შედიოდა ლეგიონერების რაციონში; გლადიატორების სკოლების აღსაზრდელებს აიძულებდნენ დღეში რამდენჯერმე ეჭამათ ნიორი, თვლიდნენ, რომ ის აძლიერებდა გამბედაობას და სიკვდილისადმი სიძულვილს თესავდა.

ძველჩინური მედიცინა ნიორს იყენებდა როგორც ანტიტოქსიკურ, ამოსახველებელ, შარდმდენ და ჭიისმდენ საშუალებად; აკუთვნებდნენ ყველაზე სასარგებლო სამკურნალო საშუალებათა რიცხვს, აწერდნენ მატონიზირებელ მოქმედებას სასუნთქი თრგანოების დაავადებებისას და უწოდებდნენ “გარდამქმნელს”.

ინდოეთის მკურნალები რეკომენდაციას უწევდნენ ნივრის კბილებს მუდმივად გამოსაყენებლად ყბაყურის, პარტახტიანი და მუცლის ტიფის, ციიბ-ცხელების დროს. იგივეს სთავაზობს დღეს ფიტოთერაპევტი კლიმატტერიული ხევროზებით გამოწვეული უძილობისა და თავის ტკივილებისას.

“ყოველგვარი დაავადების საწინააღმდეგო” – ასე მოკლედ განსაზღვრა მისი თვისებები ავიცენამ. რეკომენდაციას უწევდა ნედლი ნივრის წვენს ან მოხარშულს სედატური ნერვის ანთებისას, ტკივილგამაყუჩებელს – კბილის, ქრონიკული ბრონქიტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას, ასევე

როგორც შარდმდენსა და ჭიისმდენ საშუალებას.

ჯერ კიდევ ვირგილიუსის მიერ ხოტბაშესხმული საშუალება დაღლილობის საწინააღმდეგოდ – ეს არის კარგად დანაყილი ნიორი, მარილი, მაგარი ყველი, ტეგანისა და ქინძის ფოთლები.

ასევე, ბევრ ქეევანაში, შორეულ წარსულში, ამ მცენარეს მიიჩნევდნენ სასწაულმომედად, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანს მატებდა ჯანმრთელობას, მეომრებს – ძალასა და სიმამაცეს. მასთან დაკავშირებული იყო რიგი რიტუალებისა – ძაფზე აცმული ნივრის ყელზე ტარება სხვადასხვა დაავადებებისაგან თავდაცვის მიზნით.

შუა საუკუნეებში და უფრო მოგვიანებითაც გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში, ასევე რუსეთსა და კავკასიაში ნიორი ითვლებოდა მაღალეფექტურ საშუალებად შავი ჭირის, ქილერის, მუცლის ტიფის ეპიფემიების დროს. ევროპულ ქვეყნებში მისით მკურნალობდნენ ნაწლავებისა და ფილტვების ტუბერკულიოზს, დიზენტერიას, ტიფს, ყბაყურას. რუსეთში ნივრის არყის ნაენი იხმარებოდა თირკმელებსა და შარდის ბუშტში ქვების სამკურნალოდ. ნივრის ეთერზეთებს ევროპასა და კუბაში სიყვითლის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. ტრადიციულია იაპონელებისათვის როგორც ოფლმდენი საშუალება – ნივრის ფაფა ორთქლზე მოხარშულ ვერმიშელთან ერთად.

მიუხედავად მედიცინის მეცნიერების ძლიერი პროგრესისა, ნივრისადმი ნდობა, როგორც პანაცეასადმი, სხვადასხვა ზალხში შენარჩუნებულია ათასწლეულების მანძილზე. კერძოდ: “ნიორი იგივეა, როგორც ათი დედა” (ინდური); “ნიორი შვიდ სატკივარს სპობს” (რუსული); რუსეთში დიდი მარხვის დროს ამბობდნენ: “ნიორი და ბოლოკი – მუცლია მაგარი”. ხოლო დამამშვიდებელი საშუალება, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ შრი-ლანკას მოძღვრები ხალხურ მკურნალობაში – ნიორის ნახარშია.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში მოხსენიებულია ნიორი, ნივრის ქერქი, თესლი, ყვავილი, წყალი. ქართველი ხალხი მას იყენებდა როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას ამა თუ იმ გადამდები სენისაგან დასაცავად და ცოფიანი ძალების ნაკბენის

დღოს; იხმარებოდა თავის ტკივილის, საერთო სისუსტის, სიმსივნის, კბილის ტკივილის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ბუასილის, თავზე მდიერის გაჩენისას და სხვა შემთხვევაში. ხშირადაა მოხსენიებული ჩვენს კარაბადინებში, ოგორც სისხლის მიმოქცევის მომწერიგებელი, ცხვირის დაავადებათა და სიმსივნეთა საწინააღმდეგო საშუალება. საქართველს სხვადასხვა კუთხეში ნიორს იყენებდნენ ჭიების გამოსადევნად, ძაღლის ნაკბენის, ნაღრძობის სამკურნალოდ, სირსველიან კანზე საფეხბისათვის; ხმარობლენ პანარიცის, ბნედის, ფალარათის, ძლიერი ნერწყვის დენის, თმის გაცვენის დროს.

ნივრის არყის ნაყენი ხელს უწყობს ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, თირკმელებსა და შარდის ბუშტში ქვებისაგან განკურნებას. ასუფთავებს ორგანიზმს ცხიმოვანი და კირქვიანი დანალექებისაგან, მკვეთრად აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ორგანიზმში ყველა ძარღვი, განსაკუთრებით – სისხლძარღვები ხდება ელასტიური; თავიდან აცილებს ჰიპერტონიას, მიოკარდიუმის ინფარქტს, სტენოკარდიას, სკლეროზს, სხვადასხვა სიმსივნის წარმოქმნას; ხსნის თავის ტკივილებს, ყურებში ხმაურს, აღადგენს მხედველობას. მწვავე სურდოს პროფილაქტიკისათვის სასარგებლოა ახლად დანაყილი ნივრის შესუნთქვა.

უსიამოვნო სუნის მიუხედავად, ნივრის წვენი ძალზე სასარგებლოა ორგანიზმის სწრაფი გაწმენდისათვის. ასუფთავებს ფილტვებსა და ბრონქებს დაგროვილი ლორწოსაგან, ხელს უწყობს ორგანიზმიდან შხამების გამოდევნას; ეფექტურია ასევე ნაწლავების პარაზიტების წინააღმდეგ, დიზენტერიის დროს.

ფარმაცევტიული მრეწველობის მიერ გამოიცემა ალოხოლის აბები, რომელიც შეიცავს ნივრის მშრალ ექსტრაქტს და გამოიყენება ოგორც ნაღველმდენი საშუალება ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლანგიტისა და ქოლეცისტიტის დროს; იხმარება ასევე ყაბხობისას, ოგორც სასაქმებელი საშუალება.

**ომბალო – *Mentha pulegium L.***  
**ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; ყლორტები სუსტადაა შებუსული ან თითქმის შიშველია, ხასიათდება ძლიერი არომატული სუნით; ღერო წამოწეულია, იშვიათად სწორი, შუა ნაწილიდან დატოტვილი 30-50 სმ სიმაღლის. ფოთლები მოკლეა, 3-4 სმ სიგრძის ფუნწებით, კვერცხისებრი ან ელიფსური ფორმის, ძირში მომრგვალო, სუსტად გამოსახული რკალისებრ-ფრთისებრი დაძარღვით. ყვავილები 5-15 ცალად, შეკრებილია სფეროსებრ, საკმაოდ ფარჩხატ, ყოველთვის იღლიურ ჩხროებად; ჯამი მილისებრია, ზედა ტუჩი სამკბილიანია, ქვედა ტუჩი სწორია, 2-ად განკვეთილი სადგისისებრი კბილებით; გვირგვინი იისფერია, ვარდისფერი, ზოგჯერ თეთრი, 2-ჯერ გრძელია ჯამზე. ნაყოფი კვერცხისებრი კაკლუჭაა, წვრილდარებიანი, პრიალა, ყავისფერი. ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბორეალური, სამხრეთ-დასავლეთ აზიური სახეობაა; ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთში, შუა ევროპაში, მცირე აზიაში, ირანსა და კაკასიაში; საქართველოში გვხვდება: აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარასა და კახეთში.

იზრდება ტენიან ადგილებზე, მდინარეების, ტბებისა და ჭაობების სანაპიროებზე.

კულტივირებულია აშშ-ში, ესპანეთში, მაროკოში, ტუნისში, პორტუგალიაში, იტალიაში, ალბანეთში, მაკედონიაში, ხორვატიაში, თურქეთსა და საქართველოში. ზეთს აწარმოებს აშშ, უნგრეთი, ესპანეთი, რუსეთი, ჩინეთი.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელი მცენარეა, საქართველოში ფოთლები და მოყვავილე წვეროსეული ყლორტები ტყემლის შესაკაზმავად გამოიყენება.

ბალახი შეიცავს ეთერზეთებს, ოომლის შემადგენლობაშია 95 მგ% პულეგონი, მენთონი, იზომენთონი, ოქტანოლი, ლიმონენი და სხვ.

უძველესი დროიდანვეა ცნობილი მისი სამკურნალო ძალა; ძველი ბერძნების მიერ გამოიყენებოდა ორგანიზმის აღმდგენ საშუალებად და აბაზანების არომატიზაციისათვის. ითვლებოდა, რომ შესწევს სისხლის გაწმენდის უნარი და შეუძლია თავის გამწმენდი მოქმედება გადასცეს წყალს, ოომელიც თავის მხრივ გამოიყენებოდა სპაზმებისა და ნერვული დაავადებების სამკურნალოდ.

ხასიათდება გამწმენდი, ანტისეპტიკური, ანტისპაზმური, ქარდმდენი, ამოსახველებელი, მასტიმულირებელი თვისებებით; აწესრიგებს კუჭის მოქმედებას, აფრთხობს მწერებს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა როგორც ჭრილობების შემახორცებელი, ანტისეპტიკური და აბორტის საშუალება.

წყლის ნაყენი შველის სლოკინს, ჭვლებს, გულისრეგას, მეტეორიზმს, ამსუბუქებს თავის ტკივილს, გამოიყენება კანის დაავადებებისას.

მოყვავილე მცენარეებიდან (ნედლი ან ნახევრადმშრალი) დისტილაციის მეთოდით მიიღება არომატული ზეთები, რომელსაც იყენებენ პარფუმერიაში, საკონსერვო და საკონდიტრო წარმოებაში, სასმელების, ჩაის, ქმრის არომატიზაციისათვის.

**ორფერა – *Pulmonaria officinalis* L.**  
**ოჯ. ლაშქარასებრნი – Fam. Boraginaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 30 სმ-მდე სიმაღლის ფესურიანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, ფოთლების მსგავსად რბილი თეთრი ბეწვით შემოსილი. ფოთლები 15 სმ-მდე სიგრძისაა, ფართო ლანცეტა ან ფართო კვერცხისებრ-ლანცეტა, მახვილი წვერით, მოფენილია ღია ფერის ლაქებით. ყვავილები ორმაგი ყვავილსაფრითაა. გვირგვინი აქტინომორფულია, ხუთნაკვთიანი, ყვავილობის დასაწყისში – მოვარდისფრო-წითელი, თანდათანობით იძენს ლურჯ შეფერილობას. ნაყოფი კაკლუჭაა, იშლება ოთხ, კვერცხისებრ, გლუვივ და პრიალა კაკლად.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ინგლისში ორფერას სპეციალურად ამრავლებენ სასალათედ. ფოთლებს სანელებლის სახით უმატებენ სალათებსა და წვინანებს, კერძს აძლევს ვერმუტის გემონაკრავს. აღნიშნული სახეობა უველესი დროიდან გამოიყენებოდა ფილტვებით დაავადებულთა სამკურნალოდ, რაც დაკავშირებული იყო ე.წ. სიგნატურის დოქტრინასთან (ინგლ. *Doctrine of signatures*), რომელიც დიდხანს გამოიყენებოდა ფიტოთერაპიაში (ამ დოქტრინის თანახმად მცენარის გარეგნული იერსახე

განსაზღვრავს მის სასარგებლო თვისებებს; ვინაიდან ორფერას

ფოთლები დაფარულია და შეფერილობის ლაქებით, რომლებიც რამდენადმე ადამიანის ფილტვებს მოგვაღონებს, სწორედ ამის გამო მას იყენებდნენ ფილტვებით დაავადებულთათვის) და რეალური სამედიცინო თვისებებიდან გამომდინარე (შეიცავს საპონინებსა და ტანინებს), გამოიყენებოდა როგორც ამოსახველებელი და დამარბილებელი საშუალება ლორწოვანი გარსის ინფექციების დროს. ამჟამად ფიტოთერაპიაში არ გამოიყენება, ვინაიდან გამოვლენილი იქნა ანალოგიური მოქმედების უფრო ეფექტური მცენარეები.

### ორყურა – *Zygophyllum fabago* L.

ოჯ. ორყურასებრნი – Fam. Zygophyllaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-60 (80) სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მეტ-ნაკლებად სქელი ფესვით. ღერო დატოტვილია, შიშველი და ხშირად პრიალა, ნორჩობისას ვარსკვლავა ბეწვით მოფენილი. ფოთლები ორი სქელი ფოთოლაკისგანაა შემდგარი, თითოეული მათგანი მოგრძო-უკუკვერცხისებრია, ძირში ასიმეტრიული, ვიწროფრთებიან ყუნწე გრძელი. ყვავილები ხშირად წყვილ-წყვილადაა ფოთლების იღლიებში განლაგებული, გვირგვინის ფურცლები თავთეთრია, ხოლო ქვემოთ მტვრიანების მსგავსად მოწითალო-

ნარინჯისფერი. ნაყოფი მოგრძო, ოთხ-ხუთწახნაგოვანი,

მრავალთესლიანი, თავდაკიდებული კოლოფია. თესლი ოვალურია, გვერცხისებრი ან მოგრძო, ზოგჯერ დაკუთხული, ზემოდან ქერქლოვანი, მღვრიე ნაცრისფერი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII.

**ისტორია და ქულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია რუმინეთში, ბალყარეთში, კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, დასავლეთ და შუა აზიაში, რუსეთის ევროპულ ნაწილში.

იზრდება უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოებში, ქვიშნარებზე, თიხნარებსა და ზღვის პირებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება მწარე გემოთი, იხმარება სანელებლად. ყვავილის კვირტებს ამწნილებენ და ხმარობენ ხორციან კერძებში კაპარის მსგავსად.

ფეხვები შეიცავს ნახშირწყლებს, ტრიტერპენულ საპონინებს, ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს; ბალახში აღმოჩენილია საპონინები, ტრიტერპენოიდები, ალკალოიდები, კატეხინები, ფლავონოიდები. ფოთლებში ნაპოვნია ნახშირწყლები, სახამებელი, გუმფისი, ეთერზეთები, საპონინები, ალკალოიდები, ფენოლებონული მჟავები, კუმარინები, ფლავონოიდები, ცხიმზეთები, ვიტამინები C, K. ფოთლებსა და ნაყოფებში – გლუკოზა.

მცენარე ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ჭიისძენი, ჭრილობებისშემახორცებელი, სასაქმებელი, დეტოქსიკაციური და სისხლძარვების გამაფართოებელი მოქმედებით. დასრულებით ნედლ ფოთლებს იყენებენ გარეგანად – ფურუნგულების მოსამწიფებლად და ჭრილობების შემახორცებლად. ბალახის ექსტრაქტი ხასიათდება ბაქტერიციდული მოქმედებით.

**უკუქმედება:** ორყურას შინაგანი მიღება სიფრთხილესა და ექიმის კონტროლს საჭიროებს.

**ოქროჩალა – *Hierochloe odorata* (L.) P. Beauv.  
ოჯ. მარცვლოვანნი – Fam. Gramineae (Poaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი მხოხავი ფესურით. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, გლუვი. ფოთლები 3-6 (8) მმ სიგანისაა, ბრტყელი, ფესვთანური მოგრძო-წაწვეტებული, ღეროსეული – მოკლე ხაზური; ენაკი 2-4 მმ სიგრძისაა. ფოთლის განინა შიშველია, გლუვი ან ხაოიანი, ზოგჯერ ფოთლისეული ფირფატის ძირში წვრილებულიანი რგოლით. ყვავილები საგველაა, 5-10 სმ სიგრძისა და 3-7 სმ სიგანის, პირიზონტალურად განწყობილი ტოტებით; თავთავი აკერცხისებრია, მოყვითალო-მურა შეფერილობის; თავთავის გარე ქერცლები შიდაზე უფრო გრძელია; თავთავის შიდა ქერცლები კადეწამწიანია. ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** პოლარქტიკული სახეობაა. გავრცელებულია უკრაინაში, ბელორუსში, რუსეთის ევროპულ ნაწილში, დასავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიასა და კავკასიაში.

იზრდება მდელოებზე, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გამეჩრებულ წიწვნარ ტყეებში, ტყის პირებზე, ჭაობებში, მდინარისპირა ქვიშნარებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე შეიცავს ოქსიდარიჩინის მჟავის ანჰიდრიდს გლიკოზიდის სახით, რომელიც მას

არომატულ სუნს ანიჭებს. ფესვებსა და ღეროებში აღმოჩენილია ალკალოიდ დინაქსინის დიდი რაოდებობა, კუმარინები. მცენარე ძლიერი კუმარინის სუნისაა, ოდნავ მწყლარტე გემოთი.

მიწისზედა ნაწილი გამოიყენება ლიქიორ-არყის წარმოებაში არომატული ნაყენის “ზუბროვკას” (მცენარის რუსული სახელწოდებიდან გამომდინარე) დასაშუალებლად და საკონდიტრო მრეწველობაში საკვები ესენციების მისაღებად. გამოცდილია და დანერგილი სანელებლად თევზის დასამუშავებელ მრეწველობაში. ოქროჩალა შედის რუსეთის სამამულო სანელებლების რეცეპტურის შემაღენლობაში არომატიზატორის სახით, რომელიც აძლიერებს სანელებლების კომპოზიციის საერთო თაიგულს. გამოიყენება განსაზღვრული რაოდებობით, მკეთრ ინდივიდუალურ აღქმასთან დაკავშირებით. ხალხურ მედიცინაში იყენებენ მაღისა და საკვებმომწელებელი ტრაქტის მოქმედების გამაუმჯობესებლად.

### ოხრახუში – *Petroselinum crispum* (Mill.) Nym.

ოჯ. ქოლგოსანი (ნიახურისებრნი)

Fam. Umbelliferae (Apiaceae)



**მორფოლოგია:** ორწლოვანი მცენარეა, ხორცოვანი, თეთრი, თითქმის თითისტარისებრი ფესვით. ღერო სწორმდგომია, წვრილი, დატოტვილი, დაღარული, შიშველი, 60-100 სმ სიმაღლის. ფოთლები ბაცი-მწვანეა, პრიალა, გრძელყუნწიანი,

ორმაგ ან სამმაგფრთისებრ განკვეთილი, ნაკვთულები დაკბილულია. ყვავილები რთულ ქოლგებადაა შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-მომწვანო ან მოთეთრო შეფერილობისაა. მცენარის ყველა ნაწილისათვის სპეციფიური სურნელია დამახასიათებელი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ ხელთაშუაზღვეთის ქვეყნები ითვლება, საიდანაც გავრცელდა ევროპაში, ნორვეგიაში, ისლანდიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ვესტინდოეთში, სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთში, იაპონიაში, ჩინეთსა და აესტრალიაში. სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში უხსოვარი დროიდანაა კულტივირებული, გახვდება ყველა რაიონში, ზოგჯერ გავრცელებული სახით.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ბოსტნეული და სანელებელი მცენარეა. ამაღლებს საკვების გემოვნურ თვისებებს, იხმარება საქართველოში წარმოებაში.

ძირხვენები და ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს (70-400 მგ%), ეთერზეთებს, ლორწოს; ფოთლები მდიდარია კაროტინით (პროვიტამინი A), აგრეთვე ფოლიოს მჟავით, ფლავონოიდებით, ტოკოფეროლით; ნაყოფები შეიცავს 6 მგ%-მდე ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, კუმარინებს, გლიკოზიდ აპიინს.

ჰიპოკრატე და დიოსკორიდე თავიანთ თხზულებებში ხშირად იხსენიებენ მას. ფართო სამკურნალო გამოყენება პპოვა ა. წ. აღ.-დან. XV ს-ში მიღებულ იქნა ოხრახუშის ზეთი სუფთა სახით. ქართულ ხალხურ მედიცინაში მის ნახარშს იყენებენ პირის ღრუს სიშრალისა და პირის წვის ღროს, აგრეთვე შარლმდენ საშუალებადაც.

ხასიათდება შარლმდენი, ნაღველმდენი, სპაზმოლიტური, დეზინტენსივაციური და ანტისეპტიკური მოქმედებით. ხალხურ მედიცინასა და პომეოპათიაში ნაყოფები, ფესვი და ფოთლები გამოიყენება როგორც ეფექტური დიურეზული და სპაზმოლიტური საშუალება; აღაგზნებს კუჭის ჯირკვლების სეკრეციას, ამაღლებს მაღას და აუმჯობესებს საკვების მოხელებას. იხმარება გულის, თირკმელებისა და შარლკენჭოვანი დაავადებების, შარდის ბუშტის ანთების, ჰიპოკრიტიული გასტრიტის ღროს.

ოხრახუშის წვენი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერმომქმედი მცენარეული წვენია, არ უნდა იქნეს ერთჯერად 30-50 გრამზე მეტი მიღებული. ხასიათდება ჟანგბადის ცვლის, თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლების ფუნქციების შენარჩუნების უნარით, ხელს უწყობს სისხლძარღვებისა და არტერიების კედლების გამაგრებას, კარგი საშუალებაა თირკმელებსა და საშარდე ბუმტში ქვების გაჩენის, ნეფრიტის დროს. წარმატებით გამოიყენება წყალმანკის სამკურნალოდაც.

**პარაგვაული ჩაი, მატე – *Ilex paraquariensis* A. S t. Hil.  
ოჯ. ბაძგისებრნი — Fam. Aquifoliaceae**



**მორფოლოგია:** 15 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა მორიგეობით განწყობილი მუქი მწვანე, ტყავისებრი, უკუკერცხისებრი ან მოკრძო კვერცხისებრი ფორმის ფოთლებით, რომლებიც კიდეებზე ხერხებილაა, საშუალოდ 7-11 სმ სიგრძისა და 3-5,5 სმ სიგანის. ყვავილები წვრილია, მომწვანო-თეთრი, ოთხი გვირგვინის ფურცლით. ნაყოფი წითელი, წვრილი, წვნიანი, სფერული კურკიანაა, კონებადაა განლაგებული ფოთლების უბებში.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ბრაზილიის, პარაგვაის, არგენტინის, ურუგვაის ტყეებში. არსებობს ფართო პლანტაციები ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლებისაგან მზადდება არომატული,

ე.წ. “პარაგვაის ჩაი” ან “მატე-ჩაი” (Mate - მცენარის ინგლისური სახელწოდება), რომელიც სამხრეთ ამერიკის მოსახლეობაში ცვლის ჩინურ ჩაის.

თანამედროვე ბრაზილიისა და პარაგვაის ტერიტორიებზე მცხოვრები გუარანის ტომის ინდიელები მატეს ჩაის იყენებდნენ დამწურობებისა და სხვა დაავადებებისას.

მატე რეკომენდებულია როგორც საშუალება, რომელიც ამცირებს ნეკროზებისა და დეპრესიის დამანგრეველ მოქმედებას, გავლენას აზღვის საერთო ფისკოემოციურ მდგომარეობაზე - აუმჯობესებს განწყობას, ამაღლებს აქტიურობას, ამავდროულად მოქმედებს რბილად, ხსნის ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა უძილობა, შფოთი, ემიციური გაუწონასწორობა და ნერვოზები. მისი მიღებისას ორგანიზმი ღრმა ძილში ეფლობა, რაც ხელს უწყობს დაძაბულობისა და დაღლილობის სიმპტომის მოხსნას.

მატე შედის გახდომის ენერგეტიკული სასმელის “სოლსტიკ სლიმის” შემადგენლობაში, არ იწვევს რა სასმელისადმი დამოკიდებულებას, არის იდეალური შემცვლელი ყავისა და ჩაის.

მატეს მაგარ ჩაის აქვს მომწარო, მსუბუქი მოტკბო გემო, შეიცავს ალკალინიდებს ქსანტინების ჯგუფიდან (ამ ჯგუფში შედის თეობრომინი და თეოფილინი), A ვიტამინს, B ჯგუფის ყველა ვიტამინს, ჭარბობს B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C, E, P, მიკროელემნტებს, მათ შორის S, Mg, K, Mn, Na, Fe, Cu, Cl. იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას, აუმჯობესებს საკვების მონელებასა და ღვიძლის მუშაობას, ზოგიერთი ძალევარი აღნიშნავს სასმელის იმუნომასტიმულირებელ მოქმედებას.

**უგუქმედება:** მატეს ჩაის მიღება არ შეიძლება თეოფილინისა და თეობრომინის მიმართ ალერგიულად განწყობილ პირთათვის, მაღალი მეტანინობისა და თირკმელების დაავადებებისას, ბავშვების, ორსული და მეძუძური ქალებისათვის.

**პეკანი – *Carya pecan Engl. et Graebn.***  
**ოჯ. კაკლისებრნი – Fam. Juglandaceae**



**მორფოლოგია:** ტანადი ზეა 30-60 მ სიმაღლის, 2,5 მ დიამეტრის ტანითა და ძლიერი ვარჯით. ფოთლები 50 სმ სიგრძისაა, 9-17 მოგრძო-ლანცეტა დაკბილული ფოთოლაკით. მამრობითი მჭადა ყვავილები 15 სმ-მდე სიგრძისაა, სამ-სამ ცალად ვითარდება ფოთლების იღლიებში. მამრობით ყვავილებში 4-6 მტვრიანაა. მდედრობითი ყვავილები შეკრებილია კონებად, 3-4 ცალად ყლორტების ბოლოებში. ნაყოფი შმრალი კურკაა კვერცხისებრი ან მოგრძო ფორმის, მუქი ყავისფერი გარეთა ნაწილით, რომელიც მომწიფებისას სკლება და ჩნდება მოგრძო ფორმის მერქნისებრი კურკა, რომელშიც თესლია მოთავსებული.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა, სადაც წარმოქმნის ფართო ტყეებს, განსაკუთრებით აშშ – ში (ტეხასი, ლუიზიანა, მისისიპი). ინდიელები უძველესი დროიდან იყენებდნენ ველურად მოზარდი პეკანის ნაყოფებს.

XVIII ს-ში დაიწყეს მისი მოშენება ამერიკაში, XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში – ევროპაში, მათ შორის რუსეთშიც. საქართველოში მისი მოშენება მცირე ფართობებზე XX ს-ის ბოლოს აღინიშნება, უმთავრესად აჭარაში.


განსაკუთრებით ფართოდ ჩრდილო ამერიკასა და ავსტრალიაშია გავრცელებული, სადაც მრავალი ჯიშია გამოყენილი.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** აშენებენ საკეებად გამოსაღევი თესლების, მყარი მერქანისა და დეკორატიული მიზნებისათვის. თესლები ნედლი და შმრალი სახით გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში და სხვადასხვა სახის კერძების შესანელებლად.

თესლები შეიცავს 71 მგ% - მდე ცხიმებს, 19 მგ% ცილებს, 14 მგ% ნახშირწყლებს, პროტეინებს, ფოლიოს მჟავას, ვიტამინებს (A, E, B), მინერალურ მარილებს (Ca, Mg, Zn, P, K). თესლებიდან მიღებული ზეთი მსგავსია ზეთისხილის ზეთის და ანალოგიურად იხმარება, კერძოდ: ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის დონის დაქვეითებას, აფერხებს ათეროსკლეროზისა და ვარიკოზის განვითარებას, სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა და იშემიური დაავადებების, თავის ტკივილების დროს; აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს, იცავს უჯრედებს, აღადგენს მალებს; შეუცვლელია ასაკოვანი და დაავადებული ადამიანებისათვის

**უკუქმედება:** ფაქტიურად არ გააჩნია.

**პერილა, იაპონური სურნელოვანი ბალახი  
Perila frutescens (L.) Britt.  
ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, აღწევს 40-60 სმ სიმაღლეს, ღერო სწორმდგომია, ოთხწახნაგოვანი. ფოთლები მოპირისპირება, ქვედა – მსხვილია, გრძელყუნწიანი, კერცხისებრი, ზედა – მოგრძო-კვერცხისებრია, მჯდომარე ან მოკლეყუნწიანი. არსებობს ნაირსახეობები მწვანე, წითელი და ჭრელი ფოთლებით. ყვავილები უბისეულია, შეკრებილია მტევნებად ან საგველა ყვავილედებად; გვირგვინი ზარისებრია, თეთრი, შიგნიდან შებუსული. ნაყოფი მშრალი კაკლუჭაა, იშლება ოთხ კაკლად. თესლი მომრგვალოა, შიშველი, ბადისებრი ზედაპირით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო იაპონიაა. იაპონიის შემდეგ მისი მოშენება ჩინეთში დაიწყეს, შემდგომ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, მოგვიანებით რუსეთის ევროპულ ნაწილში, უკრაინაში, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში. XIX ს-ის ბოლოს აზიელი ემიგრანტების მიერ შეტანილ იქნა აშშ-ში და კანადაში, სადაც სწრაფად მოხდა მისი ნატურალიზება, სადღეისოდ ზოგიერთ რაიონში სარეველას წარმოადგენს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** პერიოდას ბალაზი ხასიათდება ლიმონისა და ანისულის რბილი არომატით, ნაზია და წვნიანი, წიწაკის მსუბუქი გემოვნებით. გამოსაყენებლად რეკომენდებულია მწვანე ნორჩი ფოთლები ნედლი სახით. ფოთლებს ამწნილებენ, ამზადებენ მარინადებს, იყენებენ სოუსებისა და სასმელების არომატიზაციისათვის. მწვანე ფოთლიანი ჯიშების მშრალი ფოთლების ფხვნილს, როგორც არომატულ სანელებელს, გემოვნებისა და სურნელების გასაუმჯობესებლად უმატებენ ხორცისა და ბოსტნეულის კერძებს.

ხოლო წითელფოთლიან ჯიშებს იაპონიაში უმთავრესად მწნილების დასამზადებლად იყენებენ, რომელიც დებულობს მოწითალო-ვარდისფერ შეფერილობას და იძნს ნაზ სპეციფიურ არომატს.

ბალაზი და თესლები შეიცავს ცხიმოვან და ეთერზეთებს, დიდი რაოდენობით პროვიტამინ A-ს; მათი ნაყენები და ნახარშები ხასიათდება ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი მოქმედებით (გაციების, ბრონქიიტის, ხველების დროს). მიიღება როგორც შარლმდენი და ოფლმდენი საშუალება. პერიოდას საფუძველზე ამზადებენ სახის კრემებსა და ნიღბებს, სკრაბებს, შამპუნებს, ტანისა და თმის კონდიციონერებს. თესლი იხმარება ბავშვთა კოსმეტიკაში.

**პეუმუსი ან ბოლდო – *Peumus boldus* Molina (syn. *Boldea boldus* (Molina) Looser)  
ოჯ. მონიმიასებრი – Fam Monimiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 7 მ-მდე სიმაღლის ხეა. კულტურაში ხშირად ბუჩქის სახით იზრდება. ფოთლები მოპირისპირეა, მოკლე ყუნწიანი, ელიფსური, ბოლოებში მომრგვალებული, სოლისებრი ძირით; ფოთლის ზედაპირი ხორკლიანია, ორივე მხრიდან დაფარულია ბუშტისებრი ხორკლებით (პაპულები), რომლებიც წვრილი ბეწვების კონებითაა შემოსილი. ყვავილები ერთსქესიანია, შეკრებილია წვეროსეულ და უბისეულ მოკლე საგველასებრ ყვავილედებად. მტვრიანიანი ყვავილები შედგება ყვავილსაფრის 10-12 ფოთოლაკისაგან, რომლებიც 2-3 რიგადაა განწყობილი; ბუტკოიანი ყვავილები უფრო წვრილია, მცირერიცხოვანი პატარა სტამინოდიუმებით და მრავალრიცხოვანი თავისუფალი ბუტკოებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებაში სახეობის არეალი მოიცავს ჩილისა და არგენტინის ცენტრალურ რაიონებს სამხრეთი განედის  $33^{\circ}$  და  $40^{\circ}$  შორის.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე გამოირჩევა მკვეთრი (ხის ძლიერი და ქაფურის სუსტი) არომატული სურნელით. სამხრეთ ამერიკაში ფოთლები კულინარიაში გამოიყენება სანელებლად და ბალახოვანი ჩაის დასამზადებლად. მცენარე შეიცავს იზოქოლინური ჯვუფის ალკალოიდ ბოლდინს, რომელიც ხასიათდება ხველების საწინააღმდეგო აქტივობით.

**პირშუშხა — *Armoracia rusticana* Gaertn., Mey. et Scherb.**  
**ოჯ. ჯვაროსანნი (კომბოსტოსებრნი) — Fam. Cruciferae  
(Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარღერძი, სქელი, გრძელი, ხორცოვანი ფესვით. ღერო ერთი ან რამდენიმეა, სწორმდგომი, ღარიანი, გლუვი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, მსხვილია, გრძელყუნწიანი, ფართო ლანცეტა, შიშველი, ტალღისებრი კიდეებით, მრგვალგბილა; ღეროსეული - მოგრძო ან მოგრძო-ლანცეტა, ფრთისებრგან კვეთილი, ქვედა - ყუნწიანი, ზედა - მჯდომარე, შემცირებული ზომის, კიდედაკბილული ან მთლიანი. ყვავილები წვრილია, თეთრი, ჯვაროსნებისათვის დამახასიათებელი ტიპური აგებულებით, შეკრებილია რთულ მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მომრგვალო ჭოტაკია, ბადისებრ დაძარღვული, 6 მმ-მდე სიგრძის. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად და გაველურებული სახით გვხვდება ევროპაში, კავკასიასა და ციმბირში. უძველესი დროიდანაა კულტივირებული როგორც ფესვისეული სანელებელი. კულტურის პირველადი კერა უცნობია, მაგრამ ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში ამრავლებდნენ ახ.წ.აღ.-ის პირველი საუკუნეებიდან. დასავლეთ ევროპაში მოპყავთ XVI ს-დან; საღვევისოდ ფართოდაა კულტივირებული ევრაზიაში, ამერიკასა და კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ცნობილი მწვავე სანელებელია. საკუებად ფესვები გამოიყენება, იყენებენ ხორცის, თევზეულისა და ბოსტნეულის კერძებთან ერთად.

შეიცავს 30-33 მგ% მშრალ ნივთიერებებს, მათ შორის 3,6-4,5 მგ% ნედლ ცილებს, ნახშირწყლებს: გლიკოზიდ სირინგინს, რომლის შემადგენლობაში შედის მდოგვის ზეთი, გალაქტოზას, არაბინზას, ქსილოზას, სახარზასა და პენტოზას, ასევე პოლისახარიდებს, გალაქტერონის მჟავას, საპონინებს, ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>6</sub>, P), კაროტინს, ფლავონოიდებს, კალციუმის, ფოსფორის, მაგნიუმისა და სპილენდის მინერალურ მარილებს. პირშუშას მწვავე გემო გამოწვეულია მდოგვის გლიკოზიდ სინიგრინით, რომელიც გახლვებისას გამოჰყოფს ალილურ ეთერზეთებს, განსაზღვრავს მის დამახასიათებელ გემოს.

პირშუშას ფოთლები, რომლებიც დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს შეიცავს, ფართოდ გამოიყენება ცინგის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე რადიკულიტის დროს ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად; იყენებენ ნატკენებზე პლასტირის სახით. ექსერიმენტულად დამტკიცებულია მისი ბაქტერიციდული მოქმედება.

ფესვის წვენი, როგორც სამკურნალო საშუალება მხოლოდ ხალხურ მედიცინაში იხმარება, კერძოდ: ცინგის, რევმატიზმის, სასუნთქი გზების კატარალური ანთების დროს, შარდის ბუშტში ქვების საწინააღმდეგოდ, როგორც შარდმდენი და ამოსახველებელი საშუალება; ეთერზეთები და მაღალი კონცენტრაციის ექსტრაქტები ავიწროებენ სისხლძარღვებს, ხოლო დაბალი კონცენტრაციის - აფართოებს ნაწლავების პერისტალტიკას. წყლის ექსტრაქტები და ცილები აღაგზნებს კუჭის სეკრეციას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიაგნოსტიკური და სამკურნალო მიზნით ანაციდური გასტრიტის მკურნალობისას; ნაყენი - ბოტკინის დაავადებების ქრონიკული ფორმების სამკურნალოდ გამოიყენება, იწვევს აგრეთვე დადებით სამკურნალო ეფექტს მწვავე ჰეპატიტის დროს.

დადგენილია პირშუშას ფესვების ანტიბაქტერიული, პროტისტოციდული, მიკოსტატიკური, მიკოლიტური, მიკოციტური და ფიტონციდური თვისებები. გამოვლენილია

ნახარშისა და ნაყენის სამკურნალო ეფექტი ქრონიკული კოლიტის, ქოლეცისტიტის, ანგიოქოლიტის დროს. გამოიყენება კოსმეტიკური მიზნებისთვისაც - ჭორფლისა და სახის ლაქიანობის მოსაცილებლად. თესლები კიბოს საწინააღმდეგოდ იხმარება.

ფესვებისა და ფოთლების კომპლექსური პრეპარატები ნაკლებ ტოქსიკურია და იწვევს ფართო ანტიბაქტერიულ აქტივობას. საფრანგეთში, შევიცარიაში, ბრაზილიაში, ვენესუელასა და პარაგვაში პირშეშხას ფესვები ოფიცინალურ სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს.

**პიტნისფოთოლა რეპანი – *Ocimum menthaefolium* Hochst.  
ex Benth.**  
**ოჯ. ტუჩოსანი — Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი 45-80 სმ სიმაღლის მცენარეა. ფოთლები, ღერო და ჯამის ფოთოლაკები დაფარულია მრავალუჯრედიანი ბეწვებით, რომელთა შორის ეთერზეთების შემცველი ჯირკვლებიც აღინიშნება. ფესვი მთავარდერძაა, დატოტვილი. ღერო სწორმდგომია, ოთხწახნაგოვანი, დატოტვილი, მოპირისპირედ განლაგებული, კარგად განვითარებული პირველი, მეორე, მესამე რიგის ტოტებით.

ფოთლები მოპირისპირეა, მოკლეყუნწიანი, ელიფსური ან პერცხისებრი, კიდემთლიანი ან სუსტად დაკბილული, თეთრი შებუსვით. ყვავილები თეთრი ან ვარდისფერია, ზიგომორფული, მილისებრი, შეკრებილია 6-10 ცალად ცრუ რგოლებად, რომლებიც ღეროების ბოლოებზე წარმოქმნის 10-35 სმ სიგრძის მტევნისებრ ყვავილედებს. ნაყოფი კაკალია, შავი, გლუვი, უკუკვერცხისებრი. ყვ. VII-IX; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილო აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კავკასიის ხალხთა სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული სანელებელია. გამოირჩევა სპეციფიური გემოვნებით და არომატული სურნელით. მშვენივრად ეხამება პომიდორსა და მისგან დამზადებულ კერძებს. უმატებენ წვნიანებს, ხორცეულის კერძებს (უმთავრესად ცხვრის ხორცს, რომელიც თავისებურ არომატს ღებულობს და ადამიანი კარგად ითვისებს). იხმარება აგრეთვე პომიდვრის, კიტრის, ყაბაყის, ბალრიჯნის მარინადებსა და მწილებში. მშრალი ფოთლების ფხვნილს წიწაკის შემცვლელადაც იყენებენ. ფოთლების ნაყენი სასიამოვნო არომატიდან გამომდინარე ჩაის მაგიერია.

სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი. ეთერზეთების მისაღებად მოსავლის აღება წარმოებს კოკრიანობის ფაზაში, როდესაც მათი მაქსიმალური შემცველობა აღინიშნება. ეთერზეთების ძირითადი კომპონენტებია ქაფური, დიპენტინი, ტერპინოლემი, კრიმენი, ლიმონენი, საბინენი, კამფენი, ევენგროლი, ბიზაბოლენი, ბენზოინის ალდეჰიდი და სესკვიტერპენული სპირტები. ფოთლები წარმოადგენს რუტინისა და კაროტინის მიღების მნიშვნელოვან წყაროს.

ნედლი ფოთლები ხასიათდება მატონიზირებული, შემკვრელი, სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული, ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით. შინაგანად გამოიყენება საკვებმომნელებელი ორგანოების მუშაობის გამაუმჯობესებლად; რეკომენდებულია ეპილეპსიის, კრუნჩვების, შაკიკის, ქრონიკული გასტრიტის,

კოლიტის, ცისტიტის, პიელიტის, ალგოდისმენორეის, ჰიპოგალაქტიის დროს. ხსნის ნაწლავების დაბერვას, აძლიერებს სისხლის მოძრაობას, ადუნებს საშვილოსნოს გლუვ მუსკულატურას, აყუჩებს კბილის ტკივილს. იხმარება აგრეთვე ცენტრალური ნერული სისტემის დათრგუნვის, სისხლის მოძრაობის დარღვევების, ასთენის, თირმელების დაავადებებისა და ანთებითი პროცესების სამკურნალოდ. სასარგებლოა მისი გამოყენება გრიპის ეპიდემიის შემთხვევაშიც.

ბალაზი შველის სურდოს, ანგინას, ციებ-ცხელებას, ხველებას, ბრონქიალურ ასთმას, შარდსადინარი გზების ანთებას. ნედლი ფოთლების წვენი იხმარება შუა ყურის ჩირქოვანი ანთებისა და ძნელად შესახორციელელი ჭრილობების სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** დიდი დოზები იწვევს კლინიკური ხასიათის კრუნჩხევებს.

### პომელო — *Citrus maxima* Merr. ოჯ. ტეგანისებრნი — Fam. Rutaceae



**მორფოლოგია:** ტროპიკული მარადმწვანე 15 მ-მდე სიმაღლის ხეა სფერული ვარჯით. ფოთლები პრიალაა, მუქი მწვანე; ყვავილები თეთრია, 3-7 სმ დიამეტრის, მარტოული ან 2-10 ცალი წვეროსეულ ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი მომრგვალოა, სქელი კანით, დაყოფილია მსხვილ ნაკვთულებად, გადატიხრულია გასქელებული, ხეშეში ტიხრით, თითოეულ მათგანში ერთი თესლია. მწიფე ნაყოფი მოყვითალო - მომწვანო შეფერილობისაა, გრეიფრუტზე უფრო დიდი

ზომის, მისგან განირჩევა მსხვილი ბოჭკოთი და ტკბილი გემოთი. პომელო ციტრუსოვან ხებილოვან კულტურებს შორის ყველაზე მსხვილნაყოფიანია (30 სმ-მდე დიამეტრისა და 10 კგ-მდე წონის). ნაყოფის რბილობი სხვა ციტრუსოვნებთან შედარებით უფრო მშრალია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონები, მალაიზია, ტონგასა და ფიჯის კუნძულებია. ჩინეთში ცნობილი იყო ახალ ერამდე ბევრად აღრე. ევროპაში შეტანილ იქნა ზღვაოსნების მიერ.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** პომელოს ნაყოფი გრეიიფრუტის მსგავსია, მაგრამ მისგან განსხვავებით გამოირჩევა ძლიერი და სასაძმოვნო არომატით, ტკბილი და გემრიელი, გაჯერებული გემოვნებით. იყენებენ როგორც ხილის, ასევე სანელებლის სახით; უმატებენ სხვადასხვაგვარ სალათებს, განსაკუთრებით თევზეულსა და ზღვის პროდუქტებს. კულინარიაში რბილობის გარდა ქერქიც (ცედრა) გამოიყენება, მისგან ამზადებენ მურაბასა და ცუკატებს, უმატებენ შემწვარ ხორცეულს, თევზეულს, ბოსტნეულ სალათებსა და დესერტებს.

ნაყოფი შეიცავს: მშრალ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ცილებს, ცხიმებს, უჯრედისს, ნაცარს, მინერალურ მარილებს, კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას, ნატრიუმს, ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>5</sub>, ბეტა-კაროტინს). 100 გ რბილობის კალორიულობა 25-39 კალორიის შეადგენს.

კალიუმი აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, კალციუმი – ამაგრებს ორგანიზმის ძვლოვან სისტემას, ფოსფორი – სასარგებლოა ტვინის მოქმედებისთვის, ვიტამინები ხელს უწყობს ორგანიზმის ვირუსების წინააღმდეგ ბრძოლაში; პომელო გამოიმუშავებს ფერმენტებს, რომლებიც იწვევს ორგანიზმში შაქრის შთანთქმას, ცხიმების გახლეჩას, რეგულარული გამოყენების შემთხვევაში - გახდომას.

დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ნაყოფში არსებული ლიმონოიდები აჩერებს კიბოს უჯრედების დაყოფას, ხელს უწყობს სისხლძარღვების ელასტიურობას. როგორც დიეტური პროდუქტი გამოიყენება დიაბეტისა და ნაწლავების დაავალებებისას; არის ანტიდეპრესანტი. ნაყოფის ქერქის შემცველი ბიოფლავონოიდები

სასარგებლოა ფეხმინე ქალებისთვის, კუჭქვეშა და სარძევე ჯირკვლების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ფოთლებით მკურნალობენ წყლულებსა და შეშუპებებს.

**უპაქტედება:** ნაყოფის რეგულარულად გამოყენებისა და მკურნალობის შემთხვევაში სასურველია ექიმის კონსულტაცია.

### პომიდორი — *Lycopersicum esculentum* Mill.

ოჯ. ძაღლფურძენასებრნი — Fam. Solanaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი (კულტურაში ერთწლოვანი) მცენარეა, სწორმდგომი ან გართხმული 3 მ-მდე სიგრძის ხეშეშბეწვიანი ღეროებით, მკვეთრი სპეციფიური სუნით. ფოთლები მორიგეობითია, წყვეტილ ფრთისებრებანკვეთილი, 10-35 სმ სიგრძისა და 8-28 სმ სიგანის, სეგმენტები მთლიანია ან ფრთისებრდაყოფილი, სხვადასხვა მოხაზულობისა და ზომების. ყვავილები ორსქესიანია, 2 სმ-მდე სიგანის, გვირგვინი ხუთფურცლიანია, მომწვანო-ყვითელი, 5-9 კბილიანი, ჯამის ტოლი, შეკრებილია უბისეულ ყვავილედებად ნაყოფი - კენკრაა, სხვადასხვა ფორმის (სფერული, ქლიავისებრი ან ოდნავ შებრტყელებული), შეფერილობისა (წითელი, ყვითელი ან თითქმის თეთრი) და დიამეტრის (10 სმ-მდე). თესლი მოთეთრო-ყვითელია, 1,5-2 მმ სიგრძის, აღმოცენების უნარს 8 წლამდე ინარჩუნებს. ყვ. IV-V; ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ რაიონებში. XVI ს-ის დასაწყისში, ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, შეტანილ იქნა ევროპაში, სადაც პირველად მოჰყავდათ დეკორატიული, შემდგომ კი - სამკურნალო თვალსაზრისით. პირველად, როგორც საკვები მცენარე მოიხსენიება იტალიაში XVI ს-ის შუა პერიოდიდან. ევროპის სხვა ქვეყნებში პომიდვრის საკვებად გამოყენება ნელ-ნელა მკვიდრდებოდა, თანდათანობით ხდება ბოსტნეული კულტურის სახით გამრავლება. XVIII ს-ის ბოლოდან მოიხსენიება საქართველოში, ყირიმში, რუსეთის სამხრეთ რაიონებში, ხოლო XIX ს-დან ფართოდ ვრცელდება და სადღეისოდ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ბოსტნეული მცენარეა. გამოყენილია 700-ზე მეტი ჯიში, რომლებიც განსხვავდებიან მთელი რიგი მორფოლოგიური ნიშან-თვისებებითა და ქიმიური შემადგენლობით.

**ნეიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი გამორჩეული ბოსტნეული და სანელებელი მცენარეა. იხმარება ნედლი და გადამუშავებული სახით (მოხარშული, ჩაშუშული, ფარშირებული, მწნილების, მარინადების, საწებელას სახით და ა.შ.).

ნედლი ნაყოფი შეიცავს 93,6 მგ% წყალს, 4,5-6 მგ% მშრალ ნივთიერებებს, მათ შორის 1,5-7 მგ% შაქრებს, რომლებიც უმთავრესად მონოსაქარიდებითაა წარმოდგენილი (გლუკოზა და ფრუქტოზა), 1,6 მგ% ნედლ ცილებს, 0,35 მგ% სახამებელს, 0,98 მგ% უჯრედის, 0,35 მგ% ცხიმებს, 4,32 მგ% ნახშირს, პექტინებს, 0,45 მგ% ორგანულ მჟავებს (პანთოენის, ნიკოტინის, ფოლიოს, ლიმონის, ვაშლის, ღვინის), მაკროელემენტებს (Ca, mg, Na, K, P, Cl, S), ვიტამინებს (55 მგ% ასკორბინის მჟავას, 0,8-1,2 მგ% კაროტინს, 0,3-1,6 მგ% B<sub>1</sub>, 1,5-6 მგ% B<sub>2</sub>, B<sub>1</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, E, K, PP, ქოლინს), მიკროელემენტებს (Fe, Zn, I, Cu, Mg, Se, Cr, Ft, Mo, Co, Ni, Ru), ანტიოქსიდანტებს (ლიკოპინი), ფიტონციდებს.

პომიდვრის რიგი სამკურნალო თვისებები გამოვლინდა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. მაგ.: დაჭვლეტილი ნაყოფის ფაფა,

რომელიც ხელს უწყობს ჩირქოვანი ჭრილობების შეხორცებას, დღესაც წარმატებით გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ხასიათდება მადისმომგვრელი, საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი, პათოგენური მიკროფლორის დამთრგუნველი, არტერიული წნევის დამწევი მოქმედებით. გამოიყენება ავიტამინოზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევების, კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის, სისხლნაკლებობის, ღვიძლის (ჰეპატიტის) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ათეროსკლეროზისა და უმაღობის დროს. აჩერებს ადამიანისათვის მავნებელი პათოგენური მიკროსკოპული სოკოების განვითარებას. ითვლება კარგ დეპრესანტად, აუმჯობესებს გუნებაგანწყობას, ებრძვის ბაქტერიულ და ანთებით პროცესებს; მასში შემავალი ანტიოქსიდანტები კი ბუნებრივი წამალია მრავალი დაავადების მიმართ, უპირველესად კი კიბოს უჯრედების საწინააღმდეგოდ.

**უკუქმედება:** ორგანიზმის ალერგიულობა, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებები, ნიერისის ქარი. კონსერვირებული, დამარილებული და დამწნილებული პომიდორი არ არის რეკომენდებული თირკმელებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მათ შორის ჰიპერტონიის დროს.

**პრასა – Allium porrum L.**  
**ოჯ. ხახვისებრნი — Fam. Alliaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა; განსხვავებით ხახვისაგან მისი ბოლქვი ამობურცულია, 2-7 სმ დიამეტრის, წვეროსკენ თანდათანობით გადადის ღია მწვანე, 10-80 სმ სიგრძისა და 2-5 სმ დიამეტრის ცრუ ღეროში, რომელიც წარმოქმნის გრძელ ვაგინას. ცალკეულ მცენარეზე ვითარდება 40-60 სმ სიგრძის, 6-15-მდე ფოთოლი; ფოთლისეული ფირფიტები ვითარდება ცრუ ღეროდან მარაოსებრად, წარმოიქმნება შთაბეჭდილება მოპირისპირე ფოთოლგანწყობისა. ფოთლისეული ფირფიტები ბრტყელია, ცენტრალურ ძარღვზე ნახევრად ჩაღრმავებული, ცვილისებრი ნაფიფქით. საყვავილე ისარი ვითარდება სიცოცხლის მეორე წელს, სწორმდგმია, 120 სმ-მდე სიმაღლის, სფერული ყვავილედით – ქოლგით. კარგად განვითარებულ ინდივიდებში ქოლგა მსხვილია, 20 სმ-მდე სიგრძისაა და ითვლის 1000-მდე ყვავილს, რომლებიც წვრილია, იასამნისფერიდან თეთრამდე შეფერილობის. ყვავილედში ხშირად წარმოიქმნება საპაურო ბოლქვაკები, რომლებიც გამოსადევია პრასის გასამრავლებლად. ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა, რომელსაც დაკარგული აქვს კავშირი წინაპრებთან. ხმელთაშუაზღვეთური

წარმოშობისაა; პოპულარული იყო ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში.

ერთ-ერთი ძირითადი ბოსტნეული კულტურაა დასავლეთ ევროპაში; განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოქავთ ბელგიაში, საფრანგეთსა და პოლანდიაში, ასევე საქართველოში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** დაბალკალორიული მცენარეა, მაგრამ მშვენივრად აცხრობს შიმშილს, რის გამოც შეა საუკუნეების ევროპაში ღარიბების საყვარელ კერძს წარმოადგენდა. ამჟამად, უპირატესობას ისინი ანიჭებენ, ვინც საკუთარ ტანადობას თვალყურს აღექნებს.

საკვებად გამოიყენება ღეროები და ნორჩი ფოთლები, ნედლი, მოშუშული, მოხრაკული, მოხარშული, მარინადების, მწნილებისა და დაკონსევებულის სახით. მისი გამოყენებით მიიღება გემრიელი წვნიანები, ბულიონები; თუშავენ სოკოსა და ბოსტნეულთან, ამზადებენ ფარშირებულ კერძებს, სალათებს.

პრასის ცრუ ღეროები და ნორჩი ფოთლები ფასდება როგორც დიეტური საკვები კალიუმის მარილების მაღალი შემცველობის (250-მდე მგ%) გამო, შეიცავს აგრეთვე 9-25 მგ% მშრალ ნივთიერებებს, მათ რიცხვში 12 მგ% შაქარს, 2 მგ%-მდე ნედლ ცილებს, ვიტამინებს: 80 მგ% ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C), 5 მგ% კაროტინს (პროვიტამინ A), აგრეთვე B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP - ჯგუფის ვიტამინებს, მიკრო და მაკრო ელემენტებს: E, K, Ca, P, Fe-ის მარილების სახით, ნახშირწყლებს, უჯრედისს, ეთერზეთებს გოგირდის ნაერთის შემადგენლობით.

ქართულ ტრადიციულ მედიცინაში ხმარობდნენ ჭიების დასაცრელად, სისხლიანი განავლისა და სოკოს (ბუასილის) დროს, კბილებიდან სისხლდენის, ღრძილების დაავადების სამკურნალოდ. შემჩეულია აგრეთვე, რომ ამშვიდებს ნერგულ სისტემას და აუმჯობესებს მეხსიერებას.

ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის აქტივიზაციას, რის გამოც სასარგებლო იმ პირთა მიმართ, ვისაც ჭარბი წონა აწუხებთ. აძლიერებს მაღალა, აუმჯობესებს ღვიძლის მოქმედებას, აწესრიგებს კვების მონელებას. ხასიათდება კარგად გამოხატული შარდმდენი მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება თირკმელ-კენჭოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარის, ცინგის, რევმატიზმის, სკლეროზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევების, სიმსუქნის საწინააღმდეგოდ.

**ჟენშენი – *Panax ginseng C.A.Mey***  
**ოჯ. არალიასებრნი – Fam. Araliaceae**



**მოფოლოგია:** მრავალწლოვანი 30-70 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა; ფესვი მთავარღერძაა, წვნიანი, 2-6 ნაწილად დატოტვილი, 20-25 სმ სიგრძის და 2-2,5 სმ სიგანის, მოგრძო-ცილინდრული ფორმის, ყვითელი ან მოთეთრო შეფერილობის; ფესვის ზედა ნაწილში ჩანს ”ყელი”, პატარა სიგრძივი ნაოჭიანი ფესურით და 2-3 მოზამთრე კვირტით; ინვითარებს ერთ მიწისზედა, სწორ, წვრილ ღეროს, რომლის ფუძესთან რამდენიმე ფოთლისეული ქერქლია, 2-5 ფოთლისგან შემდგარი წვეროსეული როზეტით; ფოთლები თათისებროვართულია, გრძელყუნწიანი, ღეროს წვერზე რგოლებად შეკრებილი. ღერო და ფოთლები იისფერ-მოწითალო ელფერისაა; ფოთლების რგოლების ცენტრიდან ვითარდება საყვავილე ისარი, რომელიც ინვითარებს მარტივ ქოლგებად შეკრებილ მომწვანო-მოთეთრო შეფერილობის ყვავილებს. ნაყოფი კაშკაშა წითელი, ოდნავ თირკმლისებრი, ხორცოვანი კენკრაა (2-3 კურკით). ყვ. VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** უენშენი რელიქტური მცენარეა, უძეველესი გეოლოგიური ეპოქის მცენარეული საფარის გადარჩენილი წარმომადგენელი. გვაოცებს თავის სიცოცხლის ხანგრძლივობით, რაც უჩვეულოა ბალაზოვანი მცენარეებისათვის. 1905 წელს მანჯურიაში რკინიგზის მშენებლობისას ნაპოვნი იქნა უენშენის უნიკალური ძირი, რომელიც 200 წლის იყო, ხოლო მისი ფესვი 600 გრამს იწონიდა, მაშინ როდესაც 100-200 გრამიანი ფესვები იშვიათობას წარმოადგენს. ფესვი გაყიდული იქნა შანხაიში 5000 დოლარად, რაც სპეციალისტების აზრით მისი საფასურის ნახევარ ფასს შეადგენდა.

უენშენი ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, კორეასა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, უსურიის ტაიგაში. იზრდება ხელშეუხებელ ფართოფოთლოვან - წიწვოვან ტყეებში კედართან ერთად ერთეულ ეგზემპლარებად ან ოჯახებად (100 მცენარე და უფრო მეტიც).

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კორეასა და ჩინეთში უენშენის ფესვი საკვებად და სანელებლად გამოიყენება, იმ დროს როდესაც სხვა ქვეყნებში მხოლოდ სამკურნალო მნიშვნელობით განიხილება. განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს მისი გასაოცარი, არომატული ჩაი, რომელიც გამოირჩევა თავის უნიკალური გემოვნებით; საკმარისია მისი ერთხელ მიღებაც, რომ ადამიანს არ დაავიწყდება ეს სასწაულმოქმედი სასმელი, რის გამოც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აღმოსავლეთში.

ძველი ტრადიციებიდან გამომდინარე, ჩინეთში ახლად დაბადებულ ბავშვების (განსაკუთრებით ბიჭებს) აცრების მაგიერ ასმევენ უენშენის ნაევნს სხვადასხვა სახის ინფექციების პროფილაქტიკის მიზნით.

ბიოტექნილოგიური კორპორაციის Unhwa -ს სპეციალისტებმა შესძლეს გელურად მოზარდი უენშენის ღეროსეული უჯრედის მიღება, რაც საწინდარია სამრეწველო დანიშნულებისათვის უჯრედული მასის დიდი რაოდენობით წარმოებისა, რომელიც შეესაბამება ბუნებრივი უენშენის ბიოლოგიურ თავისებურებებს.

ამავე კომპანიამ უენშენის ველური ფესვის ყველა სასარგებლო ნივთიერებების კონცენტრატების გამოყენების გზით შეიმუშავა ჯანმრთელი კვების რიგი პროდუქტებისა და კოსმეტიკური საშუალებების მიღების გზები.

სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს. შეიცავს: პანაქეს-საპონინს, ეთერზეთებს - პანაცენს, მის შემადგენლობაშია - სესკვიტერპენები, პანაქესინის მჟავა, რომელიც შედგება ცხიმოვანი ზეთების ნარევებისაგან: პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლინის, გინზენინის, ფიტოსტერინის, ლორწოს, ფისების, ფერმენტების, ვიტამინების (B<sub>1</sub>,B<sub>2</sub>,B<sub>12</sub>), ლერწმის შაქრის, მცირე რაოდენობით დაუდგენელი ალკალინიდების, ფოსფორის, გროვირდისა და მიკროელემენტებისაგან: P,K,Ca,Mg,Na,Fe,Al,Si,Sr,Mn,Ti.

1596 წელს გამოცემულ ჩინურ ფარმაკოპეაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მცენარეს, რომელიც ორი იეროგლიფით აღინიშნება “შე” – ადამიანი და “შენ” – ფესვი. მცენარის ფესვი მართლაც ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს. ჩინეთში სამკურნალო მიზნით 3000 წლის წინათ გამოიყენებოდა. მის სამკურანალო თვისებებზე უამრავი ლეგენდა არსებობს. მას მიაწერდნენ არა მარტო ყველა დაავადების განკურნების თვისებას, არამედ მომაკვდავ ადამიანში თვით სიცოცხლის ჩასახვის უნარსაც კი. ხალხში მას უწოდებენ “სიცოცხლის ფესვს”, „მსოფლიოს საოცრებას“. ევროპაში მისი სასიცოცხლო თვისებები პირველად XVII ს-ში გახდა ცნობილი. შენშენის სამშობლოში მოგზაურ პირებს ევროპაში ჩამოჰქონდათ ცნობები ამ საოცარი მცენარის შესახებ, რომელიც ყველა დაავადებას კურნავდა. აქედან გამომდინარე ცნობილმა შვედმა ბოტანიკოსმა კარლ ლინემ 1753 წელს ლათინურად უწოდა “Panax”, რაც “ყოვლის მკურნალს” ნიშნავს.

სადღეისოდ ოფიცინალურ მედიცინაში უნიკალური პრეპარატები გამოიყენება ფიზიკური და გონებრივი გადალლილობის, დაკვეთებული შრომისუნარიანობის, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფოვნიბის შემდეგ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალური დარღვევების, სასქესო ორგანოების პიპოფუნქციის და ფუნქციონალური, ნერვული და ფსიქიური დაავადებების (ნევროზები, ნევრასტენია, ფსიქოსტენია და სხვ.), ქრონიკული და ანაციდური გასტრიტების დროს; ხელს უწყობს ტკივილების გაქრობას, მაღალი გაძლიერებას, ახდენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციისა და არტერიული წნევის რეგულირებას.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია პიპერტონიის, მწვავე ინფექციური დაავადებების, ბავშვებისა და ფეხბმიერ ქალებისათვის. ხანგრძლივი გამოყენება იწვევს გულის ტკივილებსა და თავბრუსხვევას.

## რბილი შინუსი, პერუს პილპილი – *Schinus molle* L.

ოჯ. თუთუბისებრი – Fam. Anacardiaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე სწრაფმოზარდი ორსახლიანი, 15 მ-მდე სიმაღლის ხეა, ჩამოშეებული ზედა ტოტებით და უხეში მონაცრის სფრო ქერქით. ფოთლები ფრთისებრუგანკვეთილია, 8-25 სმ-მდე სიგრძის, შედგება 20-დან 40-მდე სხვადასხვა ზომის ფოთოლაკებისაგან. ყვავილები პატარებია, თეთრი, შეკრებილია ტოტების ბოლოებზე საგველა ყვავილედებად. ნაყოფი მრგვალია, 5-7 მმ დიამეტრის, ერთი მაგარი თესლით, დასაწყისში მწვანეა, შემდგომ წითლდება, ხეებზე მკვრივ მტევნებადაა შეკრებილი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო მექსიკა და სამხრეთ ამერიკის მშრალი რაიონებია. თანდათანობით გავრცელდა და მოხდა მისი ნატურალიზება თბილი კლიმატის ქვეყნებში, სადაც მას ამრავლებენ სანელებლის წარმოებისა და დეკორატიული მიზნით. ზოგიერთ ქვეყანაში აგრესიულ სარეველას წარმოადგენს, მაგ.: სამხრეთ აფრიკაში იჭრება სავანებსა და მინდვრებში, იზრდება დრენაჟის ხაზების გასწვრივ და ქალაქის გარეუბნებში. ავსტრალიაში აღინიშნება ტყის პირებზე, ზღვის სანაპიროებსა და სამარაგო რკინიგზების გასწვრივ, მიტოვებულ ფერმებში და ა.შ. აშშ-ში. ფართოდ გავრცელდა ფლორიდაში, სამხრეთ კალიფორნიაში, ტეხასში, ლუიზიანასა და პუერტო-რიკაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე – ქერქი, ფოთლები და ნაყოფები დასრუსისას გამოჰყოფს დამახასიათებელ არომატს. შინუსის მშრალი ნაყოფები სანელებლად გამოიყენება, ხოლო

ნაყენს ხმარობენ სასმელებისა და სიროფების  
არომატიზაციისათვის.

ინკები მომწიფებული ნაყოფების გარეგან ნაწილს იყენებდნენ სასმელების დასაშადებლად. ამასთან მას საგულდაგულოდ ასუფთავებდნენ მწარე შიგთავსისაგან. ამ გზით მიღებულ ნაწილებს წნევის ქვეშ რამდენიმე დღეს ტოვებდნენ სრულ გამოწურვამდე. მიღებული სასმელი ან მაშინვე გამოიყენებოდა, ან ხარშავდნენ სიროფის მისაღებად, რომელსაც უმატებდნენ სიმინდის ფაფას, ან მიპყავდათ აღუღდებამდე ალკოჰოლური სასმელის მისაღებად.

მცენარის სხვადასხვა ნაწილი ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება კბილის ტკივილის, რევმატიზმის, მენსტრუალური დარღვევების დროს, აგრეთვე როგორც შარდმდენი საშუალება და ანტიდეპრესანტი. მცენარე ხასიათდება ინსექტიციდური მოქმედებით და განიხილება მავნებლებთან ბრძოლის სინთეტიკური საშუალებების ალტერნატივად.

**რეპანი, შაშკვლამი – *Ocimum basilicum* L.  
ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა (კულტურაში როგორც ერთწლოვანი მოპყავთ) სწორმდგომი,

დატოტეილი, 50-60 სმ-მდე სიმაღლის დეროთი. ფოთლები მოპირისპირება, მოგრძოკვერცხისებრი, მოკლეყუნწანი, ფოთლის ფირფიტა კიდემთლიანია, ან ვიწროზერკბილა. დერო, ფოთლები და ჯამი დაფარულია მრავალუჯრედიანი ბეწვებით, მათ შორისაა ჯირკვლოვანი ბეწვებიც, საიდანაც მიიღება ეთერზეთები. ყვავილი ზიგომორფულია, შეკრებილია 6-10 ყვავილიან ჯგუფებად, ღეროების ტოტებზე წარმოქმნიან გრძელ ყვავილებებს. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მკრთალი ვარდისფერი, იშვიათად იასფერი. ნაყოფი შედგება 4 კაკლისაგან, რომლებიც მომწიფებისას ერთმანეთს სცილდება. ყვ. VIII-X; ნაყ. IX-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ აზიაა, სადაც ველურად იზრდება. კულტივირებულია თბილ ქვეყნებში, მათ შორის სამხრეთ საფრანგეთში, ესპანეთში, ბულგარეთში, უკრაინასა და საქართველოში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი, არომატული, სურნელოვანი მცენარეა; სანელებელად გამოიყენება სხვადასხვა სახის კერძების (წვნიანები, ფხალეული) შესაკაზმავად.

სამკურნალო ნედლეული ბალაზია (მცენარის მიწისზედა ნაწილები); შეიცავს ეთერზეთებს, გლიკოზიდებს, საპონინებს, ტანინებს, მინერალურ ნივთიერებებს, კარიტინს, რუტინს, ვიტამინ C-ს.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ ბალაზთან ერთად თესლიც იყო გამოყენებული თვალის სწერულების სამკურნალოდ. ფიქრობდნენ, რომ ბალაზის წასმა თავზე ზელს უწყობდა თმის ზრდას. თესლი შედიოდა კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალო წამლების შემაღენლობაშიც, იხმარებოდა კბილებისა და ღრძილების გამოსაწმენდად.

ხასიათდება მატონიზირებელი, მაღისმომგვრელი, ანთების საწინააღმდეგო, სპაზმოლიტური და ანტიმიკრობული მოქმედებით. ამჟამად გამოიყენება შარდ-სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესების, ხველების, ძნელადშეხორცებადი ჭრილობების, ეგზემის, მეტეორიზმის, კოლიტის, ნალვლის ბუშტის დისკინეზის, სტომატიტების, პირის ღრუს ანთებითი პროცესების დროს.

**როზმარინი – Rosmarinus officinalis L.  
ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 0,5-2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი. ფოთლები მოგრძო ხაზურია, ბლაგვი, თითქმის მჯდომარე, მოპირისპირე, ტყავისებრი, კიდემთლიანი, ზედა მხრიდან პრიალა, მწვანე შეფერილობის, ქვედა მხარეს - ქეჩისებრი, მონაცრისფრო-თეთრი, მკვეთრად გამოსახული შუა ძარღვით, 1,5-3,5 სმ სიგრძისა და 1,5-3 მმ სიგანის; უბეჭდში უვითარდება 4-6 ფოთლიანი მოკლე ყლორტები. ყვავილები შეკრებილია მოკლე უბისეული ყლორტების ბოლოებზე, 5-10 ცრუ მტევნად; ჯამი ორტუჩაა, სამკბილა, გვირგვინი მოლურჯო-იისფერია, ზედა ტუჩი ორადაა გაყოფილი, ქვედა – უფრო გრძელია, სამადგაყოფილი, მსხვილი შუა ნაკთით. მტერიანა ორია, გვირგვინიდან გამოყოფილი. ნაყოფი შშრალია, იშლება 4 ერთოესლიან, მურა ფერის კაკლუჭად; თესლი უენდოსპერმოა. ყვ. II-V; ნაყ. VI-VII. შემოღომით აღინიშნება მეორადი ყვავილობა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივი გავრცელების ოლქია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნები, სადაც ამავლროულად უძველესი დროიდანაა კულტივირებული, ზოგჯერ ველურდება და აკლიმატიზირდება. ალპების ჩრდილოეთით უმთავრესად საბალო, ხოლო ინგლისში მინდვრის კულტურაა მიღებული. საქმაოდ ვარიაბილური სახეობაა, არსებობს რამდენიმე ქვესახეობა, ალუირში გავრცელებულ ზოგიერთ მათგანს, მიუთითებენ როგორც სახეობას.

ამჟამად, სამრეწველო ნარგაობები არსებობს ესპანეთში, საფრანგეთში, ალჟირში, ტუნისში, ინდოეთში, ალბანეთში, სლოვაკიასა და თურქეთში. 1816 წელს შეტანილ იქნა ყირიმში და ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში, შემდგომ გავრცელდა საქართველოშიც, სადაც მირითადად დეკორატიულ მებაღეობაში გამოიყენება.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ეთერზეთოვანი მცენარეა. ხასიათდება სასიამოვნო, მკვეთრი არომატით; ეთერზეთები აღინიშნება ფოთლებში, მოკლე უბისეულ ყლორტებში და ყვავილებში (1-2 მგ%-მდე), რომლის შემადგენლობაშია პინენი, კამპფენი, პინეოლი, ბორნეოლი, ბორნილაცეტატი, ფელანდრენი, მირცენი და სხვ., აღინიშნება მთრიმლავი ნივთიერებებიც.

ფოთლები ხასიათდება სუნელ-სანელებლის გემოთი, გამოიყენება ხორცისა და თეეზეული კერძების საკაზმად, საკონდიტრო და ლიქიორის ნაწარმის გემოვნების მისაცემად; უმატებენ სალათებს, კონსერვებს, ბოსტნეულ წვინანებს, მარინადებს და სხვ. კერძებში მისი გამოყენება ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საკვების მონელების პროცესებს, ამაღლებს იმუნიტეტს, სასარგებლოა ფიზიკური უძლურების, პიპოტონიის, მეტეორიზმის, სტრესებისა და ნერვული აშლილობისას.

სამკურნალო მიზნებისათვის იხმარება ნორჩი, ერთწლოვანი ყლორტები და ფოთლები. ხასიათდება ნაღველმდენი, შარლმდნი, მაღალზინფიცირებელი, ანთების საწინააღმდეგო, მატონიზირებელი, ჭრილობების შემახორცებელი, ანტიდეპრესიული, ანტიოქსიდანტური მოქმედებით. მას იყენებენ კლიმაქსის, სქესობრივი სისუსტის, თეთრი შლის, გაციების (ხველების საწინააღმდეგოდ და დამარბილებელი), გულის მრავალი დაავადების, განსაკუთრებით პერიკარდიტის დროს.

ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში როგორც ძლიერმოქმედი საშუალება ცელულიტისა და სიმსუქნის საწინააღმდეგოდ; დადგებითად მოქმედებს კანზე, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას და ხელს უწყობს ორგანიზმის გაახალგაზრდავებას. მისგან ამზადებენ ლოსიონებს. მეტად ღირებულია როზმარინის ეთერზეთები, რომელიც ანტისეპტიკური მოქმედებით გამოირჩევა

და გამოიყენება ფერიმჭამელების, ფურუნგულების, გამონაყრების, ეგზემის, ინფიცირებული ჭრილობების, აბსცესების დროს; ეთერზეთები განსაკუთრებით ეფექტურია თავის კანზე შესაზელად, ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის პროცესებს, იწვევს მატონიზირებელ და მაღეზინფიცირებულ მოქმედებას, სპობს ქერტლს.

ხალხურ მედიცინაში მისი პრეპარატები იხმარება როგორც მატონიზირებული საშუალება ნევროზების, იმპოტენციის, გაციების, რეგმატიზმის, ბრონქიალური ასთმის, სისხლნაკლებობის, გინგივიტის, სტომატიტის, ფარინგიტის, ძნელად შესახორცებელი წყლულების დროს. სამკურნალოდ იყენებენ ნახარშებს, ნაყენებს, ეთერზეთებს, ხოლო რევმატიზმისა და რადიკულიტის დროს როზმარინის ფოთლების აბაზანებს. ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ ხალხური მედიცინა გვთავაზობს მშრალი, დაქუცმაცებული ფოთლების მოწევას.

**საგველა აბზინდა – *Artemisia scoparia* W.K.  
ოჯ. რთულფვავილოვანნი (ასტრასებრნი) — Fam.  
Compositae (Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია, იშვიათად ორი ან სამი, სწორმდგომი, 30-70 სმ სიმაღლის, დასაწყისში შებუსული, მოგვიანებით შიშველი, მოწითალო-ისფერი ან მურა, ძლიერ დატოტვილი. ფოთლები ორმაგ ან სამაგფრთისებრ განკვეთილია ხაზურ-ლანცეტა

სეგმენტებად; ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ყვავილობისას ცვივა, ზედა – მჯდომარე. ყვავილები მილისებრია, კალათა წვრილია, 1,5-2 მმ დიამეტრის, ფართო კვერცხისებრი, შეკრებილია ცალგვერდა მტევნებად, რომლებიც პირამიდალურ საგველა ყევილედს წარმოქმნის. ნაყოფი წვრილი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ცენტრალურ და აღმ. ევროპაში, ეგვიპტეში, აზიის ზომიერ სარტყელში, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც.

იზრდება მლაშობ მდელოებზე, ნასვენ მიწებზე, უდაბნოებში, ხეობებში, ღორისიან ფერდობებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე გამოირჩევა ჯავშისა და მიხაკის თავისებური არომატული სურნელის ნაზაკით. ხმარობენ ხორცის ფარშის შესანელებლად; მას უმატებენ კარტოფილისა და ხახვის, კომბოსტოს წვნიანებს, ისპანახს. ევროპული ქვეყნები კულინარიაში ამ სახეობას მშრალი სახით იყენებენ; მომზადებამდე 1-2 წუთით ადრე მცირე რაოდენობით (დანის წვერზე) უმატებენ ხორცის წვნიანებს; ბალახი გამოიყენება მარინადების სურნელებისთვისაც, რომელშიც ათავსებენ თევზეულს, ხორცს. ფხვნილი არომატიზაციისათვის იხმარება მეღვინეობასა და ლიქიორ-არყის წარმოებაში.

მიწისზედა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს, ალკალოიდების კვალს, მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს, ფისებს, ორგანულ მჟავებს, ლაქტონ-სკოპარინს; თესლებში აღინიშნება 4,4%-მდე ცხიმოვანი ზეთები. ეთერზეთების შემადგენლობაში შედის პინქი, მირიცენი, ალდეჰიდები, კეტონები, ფენოლები, აპიოლი.

XX ს-ის შუა პერიოდში საგველა აბზინდის ეთერზეთებიდან აწარმოებდნენ პრეპარატ “არტემიზოლს”, რომელიც სპაზმოლიტური მოქმედებით ხასიათდებოდა, ხელს უწყობდა შარლში მარილების დაშლას და ქვებისა და ქვიშის გამოღევნას. გამოიყენებოდა თირკმელებენჭოვანი დაავადებებისას.

ხალხურ მედიცინაში ბალახის ნაყენს იყენებენ ამენორეის, ეპილეპსიის, მენსტრუალური ციკლის დარღვევების, დაუეუილობის სამკურნალოდ და ჭიისმდენ საშუალებად. ბალახის სპირტიანი ნაყენი რაღიკულიტის დროს დასაზელად იხმარებოდა.

**საკინაჭი (ასაფეტიდა) – *Ferula assa-foetida* L.  
ოჯ. ქოლგოსანი – Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა. სიცოცხლის პირველ წლებში ინკითარებს ფოთლისეულ როზეტს, ხოლო მეზუთე წელს წარმოქმნის საყვავილე ღეროს, რომელიც საკმაოდ მძლავრია, სწორმდგომი, ყვავილობის პერიოდში 3 მ-მდე სიმაღლეს აღწევს. ფოთლები დიდი ზომისაა, ყუნწიანი. ყვავილები ყვითელია, შეკრებილია რთულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მომწიფებისას იშლება ორ ერთთესლიან პერიკარპიუმად, ფართო გეერდითი წახნაგებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ირანი (ჰერათი, ხორასანი), ავღანეთი და ტაჯიკეთია. იზრდება ირანისა და ერაყის ქურთების ტერიტორიაზე, აგრეთვე ირანისა და ავღანეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე. VI ს-ში შეტანილ იქნა ჩრდილო აფრიკის (კირენაიკა) ტერიტორიაზე, სადაც პირველ ზანებში იქნა გამრავლებული, მაგრამ შემდგომ პერიოდებში, მასზე მეტად დიდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ბარბაროსულად განადგურდა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** აზიური ქვეყნების ერთ-ერთი უძველესი, გამორჩეული, არომატული და საყვარელი სანელებელია, ცნობილია ხინგის, ასმაგორგისა და ილანის სახელით. განსაკუთრებით დამახასიათებელია ირანის, ავღანეთისა და ინდური სამშარეულოსათვის. სანელებელს წარმოადგენს მცენარის ფესურის

დაზიანებისას გამოყოფილი გუმფისი (ლატექსი), რომელიც მაშინვე შრება, დანაყვისას მიიღება მოყვითალო-მოყავისფრო ფხვნილი; ხასიათდება ნივრის, ნაწილობრივ ხახვისა და უსიამოვნო ნოტის ნარევის მძაფრი და მძიმე სურნელითა და ხახვის მსგავსი მკვეთრი გემოვნებით. არომატიც და გემოც ძლიერ მდგრადია. კერძი მიკროსკოპულ დოზებში დამატებული, იმდენად აძლიერებს საკვების არომატს, რომ შესწევს უნარი თვით უვარგისი კერძიც კი საკვებად ვარგისი და სასიამოვნო გახადოს. ამასთან ზომიერად დამატებული და აუცილებლად ცხიმში მოხრაკული, კარგავს უსიამოვნო სუნს, თუმცა ინარჩუნებს სურნელს. ცუდად ეხამება ნიორსა და ხახვს; იყენებენ რთულ კერძებში (ხორცის, უმთავრესად ცხვრის, ბრინჯისა და პარკოსნების) ისეთ სანელებლებთან ერთად, როგორიცაა კურკუმა, ჯავჭი, მდოგვი და კოჭა.

ფარმაკოლოგიაში გამოიყენება ფესურას გუმფისი (მშრალი რძის წვენი), რომელიც ცნობილია Asa foetida-ს სახელით. ფესურა შეიცავს დიდი რაოდენობით ფისებს, რომლის შემაღებლობაშია ვანილინი, კუმარინები, ეთერზეთები.

გუმფისი ხასიათდება ამოსახველებელი, სასაქმებელი, სპაზმოლიტური, დამამშვიდებელი მოქმედებით. მისი პრეპარატები ეფექტურია ისტერიისა და მაღალი აღვზნებადობის დროს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გალენური პრეპარატების სახით ისეთი სიმპტომების დროს როგორიცაა შეტეორიზმი, ნაწლავების მოდუნება; როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება იხმარება ართორიტისა და სახსრების ტკივილებისას. ადგილობრივი მოსახლეობა საკვებს უმატებს მადის გასაძლიერებლად.

ჩინურ მედიცინაში იყენებენ საერთო გამაჯანსაღებელ და მატონიზირებელ საშუალებად ისტერიის, ნევრასტენიის, ვეგეტატიური ნევროზის, გაციების, აგრეთვე კანის ზოგიერთ დაავადების დროს. სხვა მცენარეებთან ნაკრებში იხმარება კრუნჩხვების, დიათეზის, ფილტვების ტუბერკულოზის, ლიმფადენიტების საწინააღმდეგოდ.

შუა აზიის ხალხი გუმფის ჭიისმდენად იყენებს. ზოგიერთ წყაროში მითითებულია მცენარის ეფექტური მოქმედება ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ვენერიული დაავადებების – ათაშანგის

საძურნალოდ, რისთვისაც ფოთლებს ურევენ რძეში და ისე ღებულობენ.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული ფეხმიმე ქალებისა და მაღალი მგრძნობელობის ადამიანებისათვის. წეგატიურად მოქმედებს ნაღვლის ბუშტზე.

**სალათა – *Lactuca sativa L.***  
**ოჯ. ჯვაროსანი (კომბოსტოსებრნი)**  
**Fam. Cruciferae (Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი როზეტული მცენარეა. ღერო შეფოთლილია, ზედა ნაწილში დატოტვილი, 1,5 მ სიმაღლის. როზეტისეული ფოთლები მოყვითალო-მწვანეა, იშვიათად წითელი, მთლიანი, მჯდომარე, მსხვილი, სხვადასხვა ფორმის, გლუვი, ნაოჭიანი, გოფრირებული ან ხუჭუჭა. ღეროსეული ფოთლები განსხვავებულია როზეტისეულისაგან. კალათა 16-24 ყვავილიანია, წვრილი, შეკრებილია წვეროსეულ საგველა ყვავილედებად. ყვავილები ენისებრია, ორსქესიანი, 10-15 მმ სიგრძის, ყვითელი. თესლურა შავი, თეთრი ან ყავისფერია, ქოჩრიანი. ყვ. V; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება; სავარაუდოდ წარმოიქმნა ველური სახეობისგან (*Lactuca seriola* Torner), რომელიც ევრ-აზიაშია გავრცელებული. კულტურაში

შეტანილია ხმელთაშუაზღვეთში, მოპყავდათ ბველი ცივილიზაციის ქეეფნებში: ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში. ჩდილოეთ ევროპაში კულტურაში ვრცელდება XVI ს-ის შუა პერიოდიდან. აშშ-ში ამრავლებენ როგორც სამრეწველო მინდვრის კულტურას. კულტივირებულია სამხრეთ კავკასიაშიც. **მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ძირითადი პოპულარული სასალათე მცენარეა; საკვებად გამოიყენება როზეტისეული ფოთლები ნედლი სახით, იშვიათად მოხარშული.


ფოთლები შეიცავს 0,1-4 მგ% შაქრებს, 0,6-2,9 მგ% ცილებს, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C, E, PP, K, კაროტინს), მინერალურ ნივთიერებებს (K, Ca, Mg, Fe, P, I), ნახშირწყლებს, უჯრედისს, გლიკოზიდ – ლაქტუცინს, მიკროელემენტებს (Fe, Mn, Cu, Se, Zn).

ხასიათდება საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი, შეკრულობის საწინააღმდეგო, შარდის გამოყოფის გამაძლიერებელი, დამაშვიდებელი, მატონიზირებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ნივთიერებათა ცვლის მომაწესრიგებელი, ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოყოფის მასტიმულირებელი მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება ათეროსკლეროზის, შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტონიული დაავადებების, უძილობის, ქრონიკული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისა და ავიტამინოზის დროს.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია მწვავე და ქრონიკული გასტრიტის, ენტეროკოლიტის, ნიკრისის ქარის, შარდკენჭოვანი დაავადებების დროს.

**სამკურნალო აბზინდა – *Artemisia abrotanum* L.  
ოჯ. რთულყვავილოვანი — Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მცენარეა, ნახევრადბუჩქი. ფოთლები მონაცრისფროა, დასაწყისში შებუსული, შემდგომ თანდათანობით შიშვლდება. ფოთლის ფირფიტები ორმაგ ან სამშაგფრთისებრ განკვეთილია ვიწრო, თითქმის ძაფისებრ ნაკეთულებად (რის გამოც აუგურული შეხედულებისაა). ქვედა და შუა ღრეოსეული ფოთლები ყუნწიანია. ყვავილები შეკრებილია სფერულ წვრილ (2-3 მმ სიგანის) კალათებად, რომლებიც წარმოქმნის ფაშარ საგველა ჩამოკიდებულ ყვავილედებს; განაპირა ენისებრი ყვავილები მდედრობითია, ვიწრომილისებრი, შუათანა - ორსქესიანია, მილისებრი, ყვითელი შეფერილობის. ნაყოფი წვრილი თესლურაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო მცირე აზია და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთია. გავრცელებულია რუსეთის ევროპულ ნაწილში, ჩრდილო კავკასიაში. იზრდება დაჭაობებულ მდელოებზე, არყნარების ტყის პირებზე, მდინარეების, არხების ნაპირებზე, გზის პირებზე, საცხოვრებელ სახლებთან.

**ტრივიალური სახელებია:** “აბზინდა - ღვთის ხე”, ან “ღვთის ხე”.  
**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე ზასიათდება სასიამოვნო, თავისებური არომატული სურნელითა და მწარე გემოთი. გამრობის შემდეგ ფოთოლი კარგავს სიმწარეს და ღებულობს

სანელებლისათვის დამახასიათებელ მწვავე, სასიამოვნო გემოვნებას. ნორჩი ყლორტები იხმარება კულინარიაში უძნიშვნელო რაოდენობით. დაფქვილი მშრალი ბალაზით კაზმავენ შემწვარ ხორცს; უმატებენ პურის ცომეულსაც სპეციფიური არომატის მისაღებად; იყენებენ მმრის არომატიზაციისათვის, სოუსების შესაკაზმავად და ნახადირევის შესანელებლად. უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ჰაერის გამწერდ საშუალებად.

### **სამკურნალო ბაბუაწვერა — *Taraxacum officinale* L.**

**ოჯ. რთულყვავილოვანი (ასტრასებრნი)**

**Fam. Compositae (Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა 30 სმ-მდე სიმაღლის, სუსტად დატოტვილი მთავარღერძა ფესვით, რომელიც ზედა ნაწილში გადადის მოკლე მრავალთავიან ფესურაში. ფოთლები შიშელია, ფრთისებრგან კვთილი ან მთლიანი, ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტა, დაკბილული, 10-25 სმ სიგრძისა და 1,5-5 სმ სიგანის, შეკრებილია ფესვთანურ რიზეტებად. საყვავილე ისარი წვნიანია, ცილინდრული, ღრუ, ბოლოვდება მარტოული ყვავილედით - კალათით, რომელიც შედგება ორსქესიანი ენისებრი, კაშკაშა ყვითელი ყვავილებისაგან. ნაყოფი მონაცრისფრო-მურა თითისტარისებრი

ქოჩრიანი (თეთრ ბეწვებიანი) თესლურაა. ყვ. III-VI; ზოგჯერ აღინიშნება მეორადი კუავილობა შემოღვომით. ნაყ. V-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** კოსმოპოლიტური, ყველაზე ფართოდ გავრცელებული მცენარეა, განსაკუთრებით ტყესტების ზონაში.

იზრდება მდელოებზე, გზის პირებზე, საცხოვრებელ სახლებთან, მიტოვებულ ნაკვეთებზე, ხშირად, როგორც სარეველა, მინდვრებში, ბაღებში, ბოსტნებში, პარკებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საკვებად და სანელებლად სხვადასხვა ხალხის მიერ. მას იყენებდნენ როგორც ძველი ჩინელები, ასევე პირველი მოსახლეები ამერიკის კონტინენტზე. ნორჩი ფოთლები მოკლებულია სიმწარეს და იხმარება სალათებისა და წვნიანების მოსამზადებლად; კუავილებისგან ხარშავენ მურაბებს, ამზადებენ ლვინოს, კოკრებისგან - “ბაბუაწვერას თაფლს”, ხოლო მოხალული ფესვებისგან - ყავის სუროვატს.

მცენარის რძის წვენი შეიცავს ტრიტერპენულ შენაერთებს: ტარაქსაცინსა და ტარაქსაცერინს, 2-3 მგ% კაუჩუკოვან ნივთიერებას, კუავილედი და ფოთლები - ტარაქსანტინს, ფლავოსაქტინს, ვიტამინებს (A, C, B<sub>2</sub>, E, PP), ქოლინს, საპონინებს, ფისებს, რკინას, კალციუმს, ფოსფორს, 5 მგ%-მდე ცილებს; ფესვები - ტარაქსასტეროლს, ტარაქსეროლს, ფსევდო ტარაქსასტეროლს, სტერინებს: სიტოსტერინს, სტიგმასტერინს, ტარაქსოლს; ნახშირწყლებს - 40 მგ%-მდე ინულინს; ცხიმოვან ზეთებს (რომლის შემაღებულობაშია: პალმიტინის, მელისას, ლინოლინის, ოლეინის გლიცერიდები), კაუჩუკს, ცილებს, ლორწოსა და სხვ. კალათებსა და ფოთლებში აღმოჩნდება ტარაქსანტინი, ფლავოქსანტინი, ლუთეინი, ტრიტერპენული სპირტები, არნიდიოლი, ფარადიოლი.

სამკურნალო მიზნებისათვის გამოიყენება ფესვები, ფოთლები, ბაღაზი, წვენი. მცენარე ხასიათდება ნაღველმდენი, სიცხისდამწევი, საფალარათო, ამოსახველებელი, დამამშვიდებელი, სპაზმოლიტური და მსუბუქი დამაძინებელი მოქმედებით. ფესვებისა და ფოთლების წყლიანი ნაყენი აუმჯობესებს მაღას, საკვების მონელებას და ნივთიერებათა

ცვლას, აძლიერებს მემუძურ ქალებში რაის გამოყოფას, ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს. ქიმიურ-ფარმაკოლოგიური შესწავლისას, ექსპერიმენტულად დამტკიცებულია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო, ანტივირუსული, ფუნგიციდური, ანტიპელმინტური, ანტიკანცეროგენული და ანტიდიაბეტური მოქმედება. რეკომენდებულია დიაბეტის, მატონიზირებელი საერთო სისუსტის, ანემის სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადების, სიყვითლის, გასტრიტის, კოლიტის, ცისტიტის, მაღის გამაუმჯობესებლად, ყაბზობის, მეტეორიზმის, აგრეთვე მუცლის ჭიების საწინააღმდეგოდ. ბალაზის ნაყენს ფესვებთან ერთად ხმარობენ ღვიძლისა და ნაღვლის ბუმტის, შარდგენჭოვანი დაავადებების, სიმსივნის, წყალმანვას, ბუასილის დროს. ბალაზის ნაყენი გამოიყენება ავიტამინზის, კანის სხვადასხვა დაავადებების (გამონაყრები, ფერისმჭელები, ფურუნკულები) სამკურნალოდ.

ხალხურ კოსმეტიკაში პოპულარობით სარგებლობს; ნედლი ფოთლების ნიღაბი კვებავს, ატენიანებს და აახალგაზრდავებს სახის კანს, ხოლო ყვავილების ნაყენი აფერმკრთალებს ჭორფლს და პიგმენტურ ლაქებს.

ბაბუაწვერას წვენი ასტიმულირებს ნაღვლის სეკრეციას, სასარგებლოა როგორც ღვიძლის, ასევე ნაღვლის ბუმტის დისფუნქციის შემთხვევაში.

**სიფრთხილის ღონისძიებები:** ფალარათიანობისაკენ მიღრეკილება.

**სამკურნალო გვირილა – *Matricaria chamomilla* L.  
 (syn.: *Chamomilla chamomilla* (L.) Rydb., *Chamomilla  
 recutita* (L.) Rauchert, *Matricaria recutita* L.)  
 ოჯ. რთულფვავილოვანნი (ასტრასებრნი) – Fam.  
 Compositae (Asteraceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი, 60 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფესვი მთავარდერძაა, წვრილი, სუსტად დატოტვილი, ბაცი მურა. ღეროები დაღარულია, უხვადშეფოთლილი, დატოტვილი, ღრუ. ფოთლები მორიგეობითია, მჯდომარე, ორმაგფრთისებრ განკვეთილი ვიწროხაზურ, მახვილწვეტიან ნაკვთულებად. მთავარი ღერო და გვერდითი ყლორტები ბოლოვდება მარტოული პატარა ზომის საყვავილე კალათებით, შედგება 12-18 თეთრი, განაპირა ენისებრი ყვავილებისა და შუა მრავალრიცხოვანი ყვითელი მილისებრი ყვავილებისაგან. გასაშლელი კალათების ყვავილსაჯდომი ნახევრადსფერულია, ყვავილობის ბოლოს გრძელდება და ვიწროკონუსურ ფორმას იძენს. ნაყოფი - მოგრძო თესლურაა, წვერთან ოდნავ მოღუნული. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და ქულტურის გავრცელება:** ფართოდაა გავრცელებული ევრ-აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. როგორც სარეველა აღინიშნება ორივე ნახევარსფეროს არატროპიკულ რეგიონებში. კულტივირებულია დიდ მასშტაბებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** გვირილას ეთერზეთები გამოიყენება კვებით მრეწველობაში ლიქიორების, ვერმუტის, ღვინის (მაგ.: ხერესის) და მწარე ნაყენების არომატიზაციისათვის. კულინარიაში სანელებლად ფოთლებს ხმარობენ, ბალახს - ჩაის შემცვლელად.

ანტიკური პერიოდიდან ცნობილია მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში, დღემდე რჩება ყველაზე მოთხოვნად სამკურნალო მცენარედ. ბალაზიდან მიიღება ეთერზეთები (ე.წ. გვირილის ზეთი), რომელიც მრავალმხრივი დანიშნულებით გამოიყენება. მის შემადგენლობაში მთავარ ნივთიერებას ხამაზულენი წარმოადგენს, რომელიც ზეთს ლურჯ შეფერილობას აძლევს. მის გარდა აღინიშნება გლიკოზიდება, ფლავონომიდება, კუმარინები, ლორწო, მწარე ნივთიერებები, ვიტამინები, ორგანული მჟავები. მედიცინაში გამოიყენება ყვავილები (კალათა), რეკომენდებულია ახლად გაშლილი ყვავილების შეგროვება ენისებრი ყვავილების პორიზონტურ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში.

გვირილას პრეპარატები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, სედატური, შემკვრელი, ქარმდენი, ოფლმდენი და ადგილობრივ მაანესტეზირებელი მოქმედებით. გვირილაში შემავალი ნივთიერება აზულენი იწვევს ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედებას და აჩქარებს ქსოვილების შეხორცების პროცესს, ხოლო ფლავონომიდები ხსნის შინაგანი ორგანოების გლუკი მუსკულატურის სპაზმებს. ექსპერიმენტებით დამტკიცებულია ყვავილედების ნახარშის ნაღველმდეგნი მოქმედებაც.

ხალხურ მედიცინაში ყვავილების ნაყენს ძველი დროიდან იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი (გასტრიტი, კოლიტი, ენტეროკოლიტი) დაავადებებისას, კუჭის სპაზმის, მეტეორიზმის, მენსტრუაციის შეკავების, გაციებისა და ნევროზების დროს; აბაზანების სახით - რევმატიზმის, სახსრების ნიკრისისეული მოვლენებისას; გამოსავლებად – ღრძილების, პირის ლრუს ლორწოვანი გარსის ანთებისა და ანგინის დროს, აგრეთვე ჩირქოვანი ჭრილობების მოსაბანად.

მეცნიერულ მედიცინაში ყვავილების ნაყენი ან ჩაი გამოიყენება შინაგანად ან ოყნის სახით ნაწლავების სპაზმების, მეტეორიზმისა და ფალარათის სამკურნალოდ; გარეგანად – როგორც შემკვრელი

და მადეზინფიცირებული საშუალება პირის ღრუს გამოსავლებად, შესასხურებლად, საფენებისა და აბაზანების სახით.  
გვირილა გამოიყენება პარფუმერიასა და კოსმეტიკულოგიაში.

**სამეურნალო სალბი – *Salvia officinalis L.***  
**ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მცენარეა – ნახევრადბუჩქი, 50 სმ-მდე სიმაღლის. ღერო დატოტვილია, ოთხწახნაგოვანი, უხვად შეფოთლილი, ფესვებთან გამერქნებული. ფოთლები მოპირისპირეა, ყუნწიანი, წაგრძელებული, მოგრძო ან ფართო-ლანცეტა, ბლაგვი წევრით; ზედა ფოთლები მჯდომარეა, ქვედა მხრიდან მონაცრისფრო-მწვანე, შებუსული, მკეთრად გამოხატული ძარღვებით, ახალგაზრდა – მოთეთრო ქეჩისებრი, კიდეხერხებილა. ყვავილები არომატულია, მსხვილი, მოლურჯოისფერი, ვარდისფერი ან თეთრი, ორუჟუხა, შეკრებილია მეჩხერ წვეროსეულ თავთავისებრ ყვავილედებად. ნაყოფი დანაწევრებულია, შედგება ოთხი, მუქი-მურა ან მოშავო ფერის, 2-3 მმ დიამეტრის კაკლისაგან, რომლებიც ჯამის ფოთოლაკებშია მოთავსებული. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ხმელთაშუაზღვეთში, ბალყარეთში, მცირე აზიასა და სირიაში. კულტივირებულია ევროპაში, აშშ-ში, კანადაში, ინდოეთში,

უკრაინაში, მოლდოვაში, რუსეთში (კრასნოდარის მხარე), ჩრდილოეთ კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სალბის ნედლი და მშრალი ფოთლები კერძს ამდიდრებს ხილის არომატით და ოდნავი სიმწარით. მაგრამ გასათვალიწინებელია, რომ ძლიერი სანელებელია, რის გამოც გამოიყენება მეტად მცირე რაოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში პიკანტური არომატის ნაცვლად მიიღება მძალე სუნი და უსიამოვნო სიმწარე. ყველაზე უკეთ სალბი ესამება ცხიმიან და მკვრივ ხორცს, ვინაიდან, გარდა არომატისა, ხორცს ხდის უფრო რბილს და აუმჯობესებს მის ხარშვას. გემრიელია სალბი შინაურ ძეხვეულში, შემწვარ ბატოან და დამარილებულ ქაშაყთან. სალბის უმატებენ ყველის ზოგიერთ სახეობას პიკანტური გემოს მისაცემად; იყენებენ ბულიონების, ომლეტების, თევზეულისა და ხორცეული კერძების შესაკაზმავად. სამხრეთ ამერიკაში მისგან ამზადებენ გამაგრილებელ სასმელებს, ჩინეთში აყენებენ - ჩაის, რუსეთში ადრე უმატებდნენ ლუდს, პირშუშხას თაფლსა და სხვადასხვა სახის ლიქიორებსა და ნაყენებს. სადღეისოდ სამრეწველო მასშტაბით მისი ფოთლებით წარმოებს ლიქიორ-არყის ნაწარმის არომატიზაცია.

სამკურნალო ნედლეულს მშრალი ფოთლები წარმოადგენს. უძველესი დროიდანაა ცნობილი და აღწერილი მრავალი ქვეყნის მედიკოსებისა და ხალხის მიერ. ჯერ კიდევ პიპოკრატე აღნიშნავდა მის მრავალრიცხოვან სასარგებლო თვისებებს და მას “წმინდა ბალახს” უწოდებდა. თვით ლათინური სახელწოდება “salvia”, ნიშნავს “იყავი ჯანმრთელი”.

ფოთლები შეიცავს ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ფლავონოიდებს, ალკალოიდებს, ორგანულ მჟავებს (ურზოლის, ოლეინის, ქლოროგენის), ვიტამინ P-ს, ნიკოტინის მჟავას, მწარე ნივთიერებებს, პარადიფენოლს, გუმფისს, სახამებელს, ცილოვან ნივთიერებებს, ფიტონციდებს, რომლებიც ძლიერი ბაქტერიციდული თვისებებით გამოირჩევა.

მცენარე ხასიათდება დამამშვიდებელი, მადეზინფიცირებელი, ამოსახველებელი, შემკვრელი, სისხლდნისშემაჩერებელი,

ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ანტისოკოვანი, ნალველმდენი, შარღმდენი მოქმედებით.

გამოიყენება ნახარშების, ნაყენების, ზეთის სახით შინაგანი ორგანოების ანთებითი პროცესებისა და მრავალრიცხოვანი დაავადებებისას, აგრეთვე კოსმეტოლოგიაში. ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია ჩაის სახით მიღება, რაც უნდა კონტროლდებოდეს, ვინაიდან მაღალმა დოზებმა შეიძლება მოწამლვა გამოიწვიოს.

ჯერ კიდევ ტევლ ეგვიპტეში ქურუქები ქალებს ურიგებდნენ სალბს, რათა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაფეხმდიმებულიყვნენ და ამით გაეუმჯობესებინათ დემოგრაფიული მდგომარეობა ქვეყნაში, რომელიც მუდმივი ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ითვლება, რომ ახდენს სასქესო ჯირკვლების მოქმედების ნორმალიზებას, რის გამოც მას უნიშნავენ უშვილობისას, დადგენილია რომ სალბი შეიცავს ჰორმონ ესტროგენს (მის ნაკლებობას მრავალი ქალი განიცდის), რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს კვერცხუჯრედის მომწიფებას და აუცილებელია ქალის ორგანიზმისათვის, განსაკუთრებით მენსტრუალური ციკლის პირველ ფაზაში, რა თქმა უნდა მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია ჰორმონების შემცველობაზე ანალიზების ჩატარება. სალბი იწვევს ლაქტაციის სწრაფ შეწყვეტას, ხელს უწყობს კლიმაქტერიულ პერიოდში თანმდევი უსიამოვნო პროცესების (გაფანტული ყურადღება, გაღიზიანება, სწრაფი გადაღლა, ლიბიდოს დაქვეითება, თავის ტკივილი, თავში სისხლის ავარიანა) სიმპტომების შერბილებას; თმებს უბრუნებს ჯანმრთელობას, სილამაზეს, ბრწყინვალებას, ამუხრუჭებს ჭაღარისა და ქერტლის წარმოქმნას.

ტრადიციულია ფოთლების ნაყენის გამოყენება მწვავე ანგინისა და ქრონიკული ტონზილიტის, სტომატიტის, გინგივიტის, მწვავე რესპირატორული დაავადებების, ხახის აფტოზური დარღვევების, პულპიტების მკურნალობისას, აგრეთვე ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, დამწვრობების ჩამოსაბანად.

სალბს იყენებენ დიაბეტის საწინააღმდეგოდაც სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ნაკრებში. კომპლექსურად გამოიყენება

სახსრების რევმატიზმის, სახსრების ქრონიკული ანთებისა და დისტროფიული დაავადებების, დეფორმირებული ოსტეოართროზის, რადიკულიზმის, ხერხემლის ოსტეოქონდროზის დროს, საერთო და ადგილობრივი აპაზანების გამოყენებით, აპლიკაციებისათვის. ნახარშს იყენებენ ფსორიაზის სამკურნალოდ, შედის კუჭისა და გულ-მერლის დამარბილებელი ნაკრებების შემადგენლობაში. ბულგარელი შეცნიერები მიიჩნევენ, რომ სალბი აქვეითებს საოფლე ჯირკვლების სეკრეციას, გამოიყენება ტუბერგულოზით დაავადებულთათვის ღამის ოფლიანობის, კუჭ-ნაწლავის ანთების, კუჭის წყლულის, მეტეორიზმის, ფალარათის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და თირკმელების დაავადებების დროს.

**სამკურნალო ძიძო — *Melilotus officinalis* (L.) Desr.**  
**ოჯ. პარკოსანნი — Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 2 მ-მდე სიმაღლის სწორმდგომი დატოტვილი დეროთი. ფოთლები მორიგეობითა, გრძელფუნჩიანი, სადგისისებრი კიდემთლიანი

თანაფოთლებით. ფოთოლაკები ხერხისებრ დაკბილულია, შიშველი; ქვედა ფოთლების ფოთოლაკები უპუკვერცხისებრია, ზედასი - ლანცეტასებრი. ყვავილი წვრილია, ყვითელი, შეკრებილია მრავალფავილიან, 15 სმ-მდე სიგრძის მტევნებად. ნაყოფი ერთ-ორთესლიანი პარკია, უკუკვერცხისებრი ფორმის, შიშველი ან წვრილხორცულიანი, მურა-ყვითელი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, მცირე და ცენტრალურ აზიაში, რუსეთის ევროპულ ნაწილში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. იზრდება მდელოებზე, მინდვრებში, გზისა და ტყის პირებზე, ბუნებრებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** გამშრალი მცენარის მიწისზედა ნაწილი არომატულია, ხასიათდება მომლაშო-მომწარო, ოდნავ მწვავე გემოვნებით. აღნიშნული თავისებურება გამოიყენება იმ ქვეებში, სადაც ძიძო მწვანე ყველის მთავარი კომპონენტია. უმატებენ ალკოჰოლურ სასმელებსაც. სანელებელი სასიამოვნო სურნელს და გემოვნებას აძლევს თევზეულს.

ცენტრალური ევროპის ქეცხნებში ბალაზის სანელებლით კაზმავენ წვნიანებს, ბურაზის შეჭამნდს, კომბიტებს, სალათებს, სოუსებს. ნედლი მცენარის ნახარშს უმატებენ კიტრისა და პომიდვრის მწნილს. ფოთლებით და ყვავილებით ახდენენ ლუდის და სხდასხვაგვარი ნაყენების არომატიზაციას. კავკასიაში ფესვებს იყენებენ საკვებად.


სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს კრისტალურ ნივთიერება კუმარინს (ფოთლებში მათი შემცველობა ყვავილობის პერიოდში 0,1% შეადგენს, ღეროებში - 0,4%, ყვავილებში - 0,9%), კუმარინის მჟავას, მელილოტინს, მელილოტის მჟავას, გლიკოზიდებს, მელტრილოტოზიდს, 17,6 % - ცილებს და 4,3 % - ცხიმისმაგვარ ნივთიერებებს.

ძიძოსგან ამხადებენ ნაყენებსა და ნახარშებს. ბულგარულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ბრონქების ქრონიკული კატარის,

თირკმელებისა და შარდის ბუშტის ტკივილების, შაკიკის, მაღალი არტერიული წნევის, კლიმაქისის დროს. კომპრესებსა და პლასტირებს გარეგანად. ფურუნკულების, კარბუნკულების, ჩირქიანი ჭრილობების, შუა ყურის ანთებითი პროცესების სამკურნალოდ; საფრანგეთში იხმარება ანტისპაზმურ და შემკვრელ საშუალებად, ინდოეთში - როგორც დამარბილებელი, ქარმდენი და სისხლდენის შემაჩერებელი, ავსტრიაში - კუჭის დაავადებების, ბრონქიტის, პოლონეთში - გულის ტკივილების, უძილობის, ნევრასტენის, ბუსილის საწინააღმდეგოდ.

ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში გამოიყენება სასუნთქი ორგანოების დაავადებების, უძილობისა და მეტეორიზმის დროს. გარეგანად - აბაზანებისა და კომპრესების სახით წყლულების, ჩირქებროვების, ფურუნკულების, სარძევე ჯირკვლების ანთებისა და სახსრების რევმატიზმის სამკურნალოდ. დაქუცმაცებული ფოთლები ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

**სარეპტის მდოგვი – *Brassica juncea* (L.) Czern.**  
**ოჯ. ჯვაროსანნი (კომბოსტოსებრნი) — Fam. Cruciferae  
 (Brassicaceae)**



მორფოლოგია: ერთწლოვანი, 50-150 სმ სიმაღლის, ძირიდან

დატოტვილი მცენარეა; ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, მსხვილი, ღეროსეული ქედა - მოკლეყუნწიანია, ჩანგისებრი, ზედა - მჯდომარე, მთლიანი, ბაცი მწვანე. ყვავილები წვრილია, ყვითელი; ნაყოფი - ცილინდრული ჭოტია, სადგისისებრი ცხვირით, ხსნადი. თესლი წვრილია, სფერული, 1 მმ დიამეტრის, მოშავო-ლეგა. ყვ. IV-V; ნაყ. VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ აზის ქეყნებს მიიჩნევენ. ბუნებრივად გავრცელებულია რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთ რაიონებში, საქართველოში აფხაზეთსა და აჭარაში აღინიშნება.

ზეთის მიღების მიზნით ოდითგანვეა კულტივირებული: ინდოეთში, ჩინეთში, ინდოჩინეთში, მცირე აზიაში, ჩრდილო აფრიკაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, უკრაინაში, ბელორუსსა და კავკასიაში. არჩევენ ზეთოვან და ფოთლისეულ ჯაშებს, ძირითადი ფართობი ზეთოვან ჯაშებს უკავა. თესლების მოსავლიანობა შეადგენს 12-15 ც/ჰა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზეთოვანი კულტურაა, იშვიათად ამრავლებენ ბოსტნეულის სახით. თესლი შეიცავს 24-47 მგ% ცხიმოვან ზეთებს, ცილებს, ლორწოს, აგრეთვე გლიკოზიდ სინიგრინსა და ფერმენტ მიროზინს; ფოთლები - 6-9 მგ% შრალ ნივთიერებებს, მათ შორის 2,4 მგ% ნედლ ცილებს, 80 მგ% ასკორბინის მჟავას, 4,6 მგ%-მდე კაროტინს, 20 მგ% P და B ჯგუფის ვიტამინებს, კალციუმისა და რეკინის მინერალურ მარილებს.

ზეთი გამოიყენება კვებით მრეწველობაში, საკონსერვო და პურფუნთუშეულის წარმოებასა და ტექნოლოგიაში. ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი კოპტონი შეიცავს 12 მგ% ცხიმებსა და 36 მგ% აზოტოვან ნივთიერებებს, რომელსაც დანამატის სახით, მცირე რაოდენობით იყენებენ ცხოველების საკვებად. დაფქვილი კოპტონი იხმარება აგრეთვე სუფრის მდოგვისა და მდოგვის საფენების დასამზადებლად, რომელიც ანტისეპტიკური მოქმედებისაა.

ადამიანებისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი, რაზეც მეტყველებს ბიბლიაში მოხსენიებული მდოგვის მარცვლები. ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში მდოგვი უფრო ხშირად

იხმარებოდა გარეგანი ტლეების შემადგენლობაში, მტკივნეული ადგილების გასახურებლად, სიმსივნეების დასაცხრობად, ტკივილების დასაყუჩებლად.

ხასიათდება კანის რეცეპტორების ძლიერი გამაღიზიანებელი, მაღისალმძვრელი, კუჭის წვენის სეკრეციის გამაძლიერებელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური თვისებებით.

მედიცინაში გამოიყენება რევმატიზმის, იმიაზის, ლუმპაგოს, გაციების, ფილტვებისა და ზემო სასუნთქი გზების ანთებითი პროცესების, შაკიის, ნეკრალგიის, ძვლის ტუბერკულოზის, კანის ქრონიკული დაავადებების, თმის ცვენის დროს. მდოგვის ფოთლების წვენი სტაფილოს, ისპანაზისა და თალგამის წვენებთან შერეული საიკეთოა ბუასილის სამკურნალოდ.

### სვია — *Humulus lupulus L.*

ოჯ. კანაფისებრი — Fam. Cannabaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ხვიარა ლიანა, 6-7 მ სიგრძის ექსტრახნაგოვანი, მოკლე ეკლებით დაფარული ღეროთი; ფოთლები მოპირისპირეა, გულისებრი, მთლიანი ან სამხუთნაკვთიანი, კიდეებზე ხერხებილა, ყუნწიანი და თანაფოთლებიანი. მცენარე ორსახლიანია; ყვავილები წვრილია, ერთსქესიანი, შეკრებილია ხშირ ყვავილედებად; მამრობითი ყვავილები საგველა ყვავილედს ქმნის, მდედრობითი (40-60 გვავილი) - გირჩისებრ თავთავებადაა შეკრებილი, ნაყოფობისას

ფრთისებრ გამობერილი ყვავილსაფრით; ნაყოფი კაკალია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბორეალური, ევრაზიული, რელიქტური სახეობაა. საქართველოს ყველა რაიონშია გავრცელებული.

იზრდება ტენიან ადგილებზე, დაჩრდილულ ტყეებში და მდინარისპირა ტერასებზე მთის შუა სარტყლამდე. მოჰყავთ ბაღებსა და ბოსტნებში.

კულტივირებულია მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ფართოდ აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში; აგრეთვე უკრაინაში, ალტაში, ვოლგისპირეთსა და რუსეთის ცენტრალურ ოლქებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სიმწიფისას შეგროვილი ნაყოფედი ე.წ. “გირჩები” ძველი დროიდანვე გამოიყენება პურუნთუშეულისა და ლუდის წარმოებაში თხევადი საფუარის დასამზადებლად. სკიის მთრიმლავი ნივთიერებები არეგულირებს დუღილის პროცესს და აცილებს ლუდის ამჟავებას, ხოლო მასში შემავალი ფისები და ეთერზეთები პროდუქტს ანიჭებს მომწარო გემონებას და სპეციფიურ არომატს. გაზაფხულზე შეგროვილი სკიის ნორჩი ფოთლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სატაცურისა და ყვავილოვანი კომბოსტოს ანალოგიურად.

სამკურნალო ნედლეულია “გირჩები” (მდედრობითი ნაყოფედი), აგროვებენ სიმწიფის დროს. შეიცავს აზოტოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, უჯრედისს, ფლავონოიდებს, ალკალიოდებს, პოლიფენოლურ ნაეროებს, ფისებს, ბოჭკოს.

ხასიათდება დამაშვიდებელი, საბილე, ტკივილგამაყუჩებელი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ნაღველმდები, მადისმომგვრელი მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება ნეკროზების, უძილობის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლეულის, გასტრიტის, შეშუპების, თრომბოფლებიტის, კანისა და ფილტვის ტუბერკულოზის, თირკმელებისა და საშარდე გზების ანთებითი პროცესების, თმის ცეცხის, კლიმაქსის დროს.

**უკუქმედება:** შხამიანია, დიდი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამლვა.

**სოინჯი – *Nigella sativa* L.**  
**ოჯ. ხარისხირასებრნი – Fam. *Helleboraceae***



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ლეგა-მომწვანო, მარტივი ან დატოტვილ ღეროიანი 20-30 სმ სიმაღლის მცენარეა. ფოთლები ხაზურ-ლანცეტულა, დამოკლებული, გაფარჩეული ნაკვებით. ყვავილები გრძელფუნწიანია, ცისფერი, დიდი ზომის, ყვავილსაფრის ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძო, მობლაგვო, საკმაოდ გრძელი ფრჩხილით; მტერიანა მრავალია, თავისუფალი. ნაყოფი მრავალთესლიანი, ჯირკვლოვან-მეჭეჭიანი ფოთლურაა. თესლი მოგრძოა, სამწახნაგოვანია, დანაოჭებულ-ხორკლიანი, მუქი შავი, ხახვის თესლების მსგავსი, მაგრამ გემოვნებით მასთან არაფერი აქვს საერთო. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-დასავლეთ აზია და ხმელთაშუაზღვეთია. ამჟამად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, ბალყარეთის ნახევარკუნძულზე, ირანში, შუა აზიაში, მცირე აზიასა და კავკასიაში. საქართველოში მითითებულია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმსა (ლაილა) და მესხეთში (აწყური).

იზრდება ნათესებში, მშრალ გორაკებზე. მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე სოინჯის თესლები ძველი დროიდანვე ცნობილი. მას უწოდებენ რომაულ ქინძს, კალინჯის, შავ კუნუტს, შავ კვლიავს, ხახვის თესლს; უმეტესად მცენარე მოიხსენიება “შავი თესლის” სახელით, რაც ზუსტად მიესადავება მის გარეგან იერსახეს. ყველაზე ადრეული ჩანაწერები მცენარის მოყვანისა და გამოყენების შესახებ ნაპოვნია

ქველ ეგვიპტეში. სოინჯის ზეთის დაახლოებითი ასაკი, რომელიც ნანახი იქნა ეგვიპტის ფარაონის ტუტანჰამონის აკლდამაში 3300 წელს მოიცავს. არაბულ კულტურაში ფართოდა ცნობილი როგორც “habbatul barakah”, რაც ნიშნავს “დალოცვილ თესლს”. მუსულმანების წმინდა წიგნების თანახმად, წინასწარმეტყველმა მუხამედმა მას უწოდა ”სიკვდილის გარდა, ყველა დაავადების წამალი”. დღესაც მუსულმანები მას მაღალ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც ”წინასწარმეტყველის წამალს”, რომელიც უნივერსალურია თავის გამოყენებაში.

ამჟამად კულტივირებულია ევროპაში, ჩრდილო აფრიკაში, ყოფილ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქვეყნებში, ინდოეთში, აზიაში, აშშ-ში. დიდი პლანტაციები აქვთ დათმობილი პოლანდიასა და გერმანიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** თესლები შეიცავს ნახევრადმშრალ ცხიმზეთებს (44%), გლიკოზიდ მელანთინს, ეთერზეთებს (0,8-1,5%). ფოთლებში აღინიშნება 0,43% ასკორბინის მჟავა. ეთერზეთები წარმოადგენს ყვითელი შეფერილობის სითხეს, უოლოს სასიამოვნო, მწვავე სურნელით. ფართოდ გამოიყენება კვებით მრეწველობაში, პარფუმერიასა და საპნის წარმოებაში.

სოინჯის თესლების სანელებელი და სამკურნალო თვისებები უძველეს პერიოდებს მოიცავს. მისი თესლები აღმოჩენილ იქნა ქვის ხანის ნაგებობებში; მას უკვე იყენებდნენ ძვ.წ.აღ.-ის III ათასწლეულში – ბრინჯაოს საუკუნის ეპოქაში. ძელი ბერძნები და რომაელები ხმარობდნენ მომქმედ საშუალებად ლობიოსა და ბარდას კერძების ადვილად მოსანელებლად. კარლოს დიდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნულ მცენარეს და სავალდებულო წესით აიძულებდა მოსახლეობას მის გამოზრდას ფრანგების იმპერიის მინდვრებში. ინგლისში შემორჩენილია XIII ს-ით დათარიღებული ინგლისური კულინარიის წიგნები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ნისლიანი ალბიონის მოსახლეობა მისით კაზმავდნენ შემწვარ ქათამს, მას ახვევდნენ ღორის შაშხში და წვავდნენ ცეცხლზე.

თესლები გამოირჩევა მკვეთრი მწვავე სურნელით და გემოვნებით, უმთავრესად გამოიყენება საკონდიტრო და სასმელების წარმოებაში. მას ხშირად იყენებენ შავი პილპილის ნაცვლად, მაგრამ მისგან განსხვავებით არ აღიზიანებს კუჭის გარსს. თესლებს სანელებლად

ხმარობენ კულინარიაში, კიტრის, საზამთროს, კომბოსტოს და მწნილებისას. ტრადიციულად გამოიყენება ეგვიპტის, არაბული ქვეყნებისა და ინდოეთის სამზარეულოში.

უძველესი დროიდანვეა ცნობილი თესლისა და ზეთის სამკურნალო მნიშვნელობაც. იხმარებოდა კუჭ-ნაწლავისა და საკვებმომნელებელი ტრაქტის დაავადებებისას. ძველი ეგვიპტელები სოინჯის ზეთს ჭამის შემდეგ ღებულობდნენ, რითიც იუმჯობესებდნენ საკვების მონელების პროცესს (განსაკუთრებით მწვავე და ცხიმიანი კერძების მიღების შემდეგ).

აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენებოდა სხვადასხვა პროცედურების დროს, რაც დაკავშირებული იყო სასუნთქი სისტემის, კუჭის, ნაწლავების, თირკმელების, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა პრობლემების, იმუნიტეტის ამაღლებასა და ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ხალხურ მედიცინაში თესლებს ჩაის სახით იყენებდნენ, როგორც შარდმდენ, ქარმდენ, ნაღველმდენ, სასაქმებელ, ლაქტოგენურ და მუცლის ჭიების საწინააღმდეგო საშუალებას.

ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სოინჯის მრავალმხრივი თვისებები იქნა გამოკვლეული და დამტკიცებული თანამედროვეები ბიომედიცინის მიერ. დაღვენილია მისი შემდეგი ფარმაკოლოგიური მოქმედებები: ტკივილგამაყუჩებელი, ანტიბაქტერიული, ანთებისა და წყლულოვანი დაავადებების საწინააღმდეგო, ანტიქოლინერგიული, სოკოების საწინააღმდეგო, ჰიპოტონიური, ანტიოქსიდანტური.

**სტაფილო — *Daucus sativus* (Hoffm.) Roehl.**  
**ოჯ. ქოლგოსანნი (ნიაზურისებრნი) — Fam. Umbelliferae  
 (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ორწლოვანი მცენარეა ხორცოვანი საკებძი ფესვით, რომელიც ჯიშთან დაკავშირებით სხვადასხვა ფორმისაა: ჩეეულებრივ წაგრძელებულ-კონუსური, მოწითალონარინჯისფერი, ყვითელი ან თეთრი. სიცოცხლის პირველ წელს წარმოიქმნება ფოთლისეული როზეტი; ფოთოლი ორმაგ ან ოთხმაგ ფრთისებრგან კვეთილია, სამკუთხა ფორმის, გრძელყუნწიანი. გენერაციული ყლორტი სიცოცხლის მეორე წელს ვითარდება; ღერო სწორმდგომია, დატოტვილი, შებუსული. ყვავილედი რთული ქოლგაა, 50-მდე სხივით, ყვავილობისას ერთადაა შეკრული; საერთო საბურველის ფოთოლაკები ფრთისებრია, კერძო საბურველის ფოთოლაკები მრავალრიცხოვანია, მთლიანი ან სამად დაყოფილი. ყვავილები ორსქესიანია, ხუთწევრიანი, ჯამის მნელად შესამჩნევი კბილებითა და თეთრი გვირგვინის ფურცლებით. ნაყოფი - ოვალურია, წიბოიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** კულტურულ სტაფილოს (*Daucus sativus*) თვლიან ჰიბრიდად ხმელთაშუაზღვეთის სახეობას *Daucus maximus*-სა *Desf.* და უფრო ფართოდ გავრცელებულ *D. carota*-ს *L.* შორის. ერთ-ერთი იმ რამდენიმეთაგანია კულტურულ მცენარეთა შორის, რომელთა ველური წინაპრები არა მარტო შენარჩუნებულია დღემდე, არამედ

იშვიათობასაც არ წარმოადგენენ და ფართოდ არიან გავრცელებული. ძირხენების სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე მთელ დედამიწაზე მრავალი ჯიშია გამოყვანილი, თეთრი და ყვითელი ჯიშების სამშობლოდ – ავღანეთი ითვლება, ნარინჯისფერის - ხმელთაშუაზღვეთი.

უძელესი კულტურაა, მისი მოშენება 4000 წლის წინათ იწყება ჯერ სამურნალო, შემდგომ - საკვები მნიშვნელობის გამო. სადღეისოდ ყველა კონტინენტზე მოჰყავთ, მიწათმოქმედების ჩრდილოეთ საზღვრიდან დაწყებული უკიდურეს სამხრეთამდე. მოსავლიანობა შეადგენს 300-500 ც/ჰა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ძირითადი ბოსტნეული და სანელებელი კულტურა; გამოიყენება სხვადასხვა კერძის დასამზადებლად: წვნიანების, სალათების, ხაბა-ხუბას (ვინეგრეტი), ფაფის, წვენების, ღვეზელების, მწნილებისა და მარინადების. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა კვების რაციონსა და სამურნალო მენიუში. სწავლულმა-დიეტოლოგებმა განსაზღვრეს, რომ თითოეული ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელია წელიწადში მიიღოს არანაკლებ 8,4 კგ სტაფილო. ძირხენა შეიცავს 4,5-7,3 მგ% შაქრებს, პროვიტამინ A (კაროტინს), ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>, C, E, K, P, PP), ორგანულ მჟავებს, უჯრედისს, ანთოციანებს, ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს, კუმარინებს, სახამებელს, პექტინოვან ნივთიერებებს, Ca, K, Mg, Co, Cu - ის მინერალურ მარილებს, ამინომჟავებს: ლიზინი, ტრეონინი, მეთიონინი, ლიცინი, რომლებიც არ სინთეზირდება ორგანიზმში და აუცილებლად უნდა მოხვდეს საკვებთან ერთად.. მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საღებავი ნივთიერების კაროტინის (37 მგ%) მაღალი კონცენტრაცია ფესვებში, რომელიც ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმში გარდაიქმნება A ვიტამინად. ამდენად სტაფილოს გამოყენება სასარგებლოა არა მხოლოდ მასაზრდებელი თვისებების, არამედ იმის გამოც, რომ ადამიანს აწვდის თითქმის ყველა აუცილებელ ვიტამინს; განსაკუთრებით სასარგებლოა სტაფილოს წვენი, რომელშიც შენარჩუნებულია ძირხენაში არსებული ყველა კომპონენტი.

ძველ მედიცინაში სტაფილო ითვლებოდა პოპულარულ დიეტურ და სამკურნალო საშუალებად. მის სამკურნალო თვისებებზე მიუთითებდა დიოსკორიდი. ავიცენას მიხედვით, ველური სტაფილოს ფესვები ხელს უწყობს კუჭის გამაგრებას, ქრონიკული ხველებისა და წყალმანკის განკურნებას; გარეგანად, დანაყილი სახით - განგრენული ჭრილობების შეხორცებას.

ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი, ანთების საწინააღმდეგო, ჭიისმდენი, შარდმდენი, ნივთიერებათა ცვლის მომაწესრიგებელი, ანტისეპტიკური და გამაუმტკიფნებელი მოქმედებით.

ფესვები საუცხოო დიეტური პროდუქტია, განსაკუთრებით რეკომენდებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლისა და თირკმელებით დაავადებულთათვის. ორგორც სამკურნალო საშუალებას უნიშნავენ ჰიპო და ავიტამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, სისხლნაკლებობის, შარდის ბუჭტისა და თირკმელკნჭოვანი დაავადებების, ქრონიკული ხველების, დიათეზის, ბავშვთა ეგზემის, შეკრულობის დროს, კანის წყლულების, ჭრილობების, დამწვრობის მოსაშუშებლად. ნედლი სტაფილო განსაკუთრებით სასარგებლოა მხედველობის დაქვეითებისას, რაც ორგანიზმში A ვიტამინის ნაკლებობითაა გამოწვეული.

სტაფილოსგან მიღებულია პრეპარატები “დაუკარინი” და “უროლესანი”, რომელთა შემადგენლობაში შედის სტაფილოს ნაყოფების ექსტრაქტი.

სტაფილოს წვერი აუმჯობესებს მაღას, საჭმლის მონელებას და კბილების სტრუქტურას; ამაღლებს ინფექციების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ძალზე ეფექტურად მოქმედებს ენდოკრინული, განსაკუთრებით თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებებისას. საუკეთესო საშუალებაა წყლულებისა და ავთვისებიან დაავადებათა წინააღმდეგ, ზოგჯერ ამ წვენით არჩენენ უშვილობას, კანის გამოშრობას, თვალის დაავადებებს (კონიუნქტივიტის მწვავე და ქრონიკული ანთება).

**უკუქმედება:** წყლულოვანი დაავადებები, ენტერიტები, პიელონეფრიტი, შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმები, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება; ჭარბი რაოდენობით მიღებამ

ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს ტემპერატურის აწევა, ოფლიანობა, გულისრევა, კანზე გამონაყრები და კაროტინული სიყვითლე.

**სტევია, თაფლოვანი ბალახი – *Stevia rebaudiana Bertoni*  
ოჯ. რთულყვავილოვანნი (ასტრასებრნი) – Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, ფოთოლმცვენი, უხვფოთლიანი ნახევრადუჩქა. ფოთლები ელიფსურ-ლანცეტური, ბაცი მწვანე. ყვავილი ხუთწევრიანია, გვირგვინის თეთრი ფურცლებით. ნაყოფი წვრილი კოლოფია მრავალრიცხოვანი წვრილი თესლით. ზოგიერთ ქვეყანაში ერთწლოვანი კულტურის სახით მოჰყავთ.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ (პარაგვაი, ბრაზილია) და ცენტრალური ამერიკის სუბტროპიკულ რაიონებში, იზრდება ნახევრადმშრალ ტერიტორიებზე დაბლობიდან მთან რაიონებამდე. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში: აშშ-ში, კანადაში, სამხრეთ ამერიკაში, რუსეთში, ჩინეთ-იაპონიაში, ტაივანზე, ტაილანდში, მალაიზიაში, და ნევისში, შედის საკვები პროდუქტების შემადგენლობაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** აღნიშნულ სახეობას, ისევე როგორც გვარი სტევიას სხვა წარმომადგენლებს, თანამედროვე ბრაზილიისა

და პარაგვაის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი ინდიელი ტომის – გუარანის მკვიდრნი იყენებდნენ მატესა (პარაგვაული ჩაი) და სხვა სამკურნალო ჩაის შემადგენლობაში, დამწერობისა და მთელი რიგი დაავადებების სამკურნალოდ. მიიჩნევდნენ, რომ მას შესწევს უნარი ადამიანის ორგანიზმი დარღვეულ ნივთიერებათა ცვლის პროცესების აღდგენის, ენერგეტიკული დონის ამაღლების, სიბერის პროცესების დამუხრუჭების, გარემოს უარყოფითი გავლენისაგან დაცვის, ორგანიზმის მთელი სისტემის ჰარმონიზაციის; ამასთან ერთად გააჩნია ტკბილი გემო, რომელიც ახლოა შაქართან. ბოლო პერიოდში გახდომის დიეტისადმი გაზრდილი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, როგორც ნახშირწყლებისა და შაქრების ბუნებრივ წყაროს კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა. შაქრის შემცვლელად და საკედის დანამატად იყენებენ იაპონიაში, აშშ-ში, კანადაში. სამედიცინო კვლევებმაც აჩვენა დადებითი შედეგები სიმსუქნისა და პიპერტონიის სამკურნალოდ.

განსაკუთრებული ყურადღება მცენარეს XX ს-ის 30-იანი წლებიდან მიეკცა, როდესაც შესწავლილ იქნა მისი ქიმიური შემადგენლობა.

მთავარი ნივთიერებები, რომელმაც ეს სახეობა ცნობილი გახდა, მასში არსებული სტევიოზიდი და რებაუდიოზიდებია, ესენია დიტერპენოიდული გლიკოზიდები, მათი სიტკბო 200-400-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე სახაროზის, და რაც მთავარია მათი უპირატესობაა კალორიების მინიმალური შემცვლობა; მდიდარია სხვა სასარგებლო ნივთიერებებით - ვიტამინებით (A,B, C, P - ჯგუფის), ამინომჟავებით (ალინიშნება 17 სახის), მიკროელემენტებით, ბეტა-კაროტინით, ეთერზეთებითა და პექტინებით.

დადგენილია, რომ ბუნებრივი სიტკბოს გარდა, ბალახი ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, ამცირებს სისხლში შაქრის შემადგენლობას, აქვეითებს ქოლესტერინს, ამაღლებს ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებს იმუნიტეტს, ანელებს სიბერის პროცესებს. თაფლოვანი ბალახი ხასიათდება ანტიმიკრობული მოქმედებითაც; რეკომენდებულია მისი ჩაის მიღება გაციებისა და გრიპის პროფილაქტიკისათვის.

ბიოლოგიურად მოქმედი ნივთიერება სტევიოზიდი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის წყლულის დროს, ხელს უწყობს სისხლში შაქრის შემცირებას,

ამაგრებს სისხლ-ძარღვების კედლებს, მოქმედებს კბილის ემალზე, ეწინააღმდეგება პირის ღრუში ბაქტერიების გამრავლებას (აქედან გამომდინარე მრავალი კბილის პასტა, პირის ღრუს ჰიგიენის პროცესები სტევიოზიდს შეიცავს).

ამგვარად, მსოფლიოს წამყვანი დიეტოლოგები ამ მცენარეს თვლიან თანამედროვეობის კერძაზე სასარგებლო, ჰერსპექტიულ დამატებითებელ საშუალებად, მას აქვს სიტკბოს მაღალი კოეფიციენტი, დაბალი ენერგეტიკა, მდგრადია გაცხელებისას, ადვილად იხსნება, დოზირებულია, არ იწვევს ორგანიზმშე მავნე მოქმედებას; სტევიოზიდის საფუძველზე დაშადებული ტკბილეული რეკომენდებულია ყველა ასაკის ადამიანისათვის.

სტევიოზიდის საფუძველზე მიღებული ნატურალური შაქრის შემცველი ტაბლეტები წარმოდგენილია სავაჭრო მარკეტ “სლადის ელიტ”-ით.

**უკუქმედება:** ვინაიდან უკუჩვენებები არ აღინიშნება, შესულია მცირეწლოვანი ბავშვების რაციონში.

**სურნელოვანი გერანი, სურნელოვანი პელარგონიუმი  
Pelargonium graveolens Alt.  
ოჯ. გერანიასებრი – Fam. Geraniaceae**



**მორფოლოგია:** ბუჩქ-ბალახოვანი 0,5-1,5 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, ძლიერ დატოტვილი დეროებით. ფოთოლი 5-7 ნაწილადაა თათისებრ დაყოფილი, გრძელი შებუსული ყუნწებით, მოყვითალო-

მომწვანო ფერისაა, ჯირკვლოვანი ბუსუსით მოფენილი. ყვავილი მრავალრიცხოვანია, შეკრებილია ფოთლისეულ უბეებში ქოლგისებრ ყვავილედებად, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, წითელი შტრიხებით. ნაყოფი ზუთბუდიანი კოლოფია, თითოეულ ბუდეში ერთი თესლით, მთავრდება წაგრძელებული ნისკარტით, რომელიც ყარყატის ნისკარტს მოგვაგონებს. მთელი შცენარე ძლიერი სურნელით გამოირჩევა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ აფრიკაა. კულტივირებულია ეგვიპტეში, კონგოში, ჩინეთ-იაპონიაში, ცენტრალურ ამერიკაში, ევროპაში (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი), რუსეთში. გერანის ეთერზეთებს აწარმოებენ საფრანგეთში, ეგვიპტეში, ჩინეთსა და რუსეთში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები გამოირჩევა ლიმონისებრი მკვეთრი სურნელით და სასიამონო სპეციფიური გემოვნებით. გამოიყენება სასმელების არომატიზაციისათვის.

შცენარე ეთერზეთების მიღების წარმოადგენს, ამ მიზნით გამოიყენება მიწისზედა ორგანოები (ფოთლები, ღერო, ყვავილები). გამოხდილი ზეთის შეფერილობა მომწვანო-მოყვითალოა, თბილი, ზეთოვანი, ნედლი, ყვავილოვანი, ფისის, ლიმონისა და ვარდის ნარევი სურნელის არომატით. შეიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: ციტრონელოლი, გერანიოლი, ფენოლი, ეთილის ალკოჰოლი.

გამოირჩევა ფსიქო-ემოციური მოქმედებით, ამაღლებს გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას, აღადგენს ფსიქო-ემოციურ ჰარმონიას გადალილობისა და ნერვული გამოფიტვის დროს, აცილებს შიშის შეგრძნებას, არის საუკეთესო ანტიდეპრესანტი, აუმჯობესებს განწყობილებას, ხსნის არასრულფასოვნების კომპლექსს და ხსვაზე დამოკიდებულებას, ჰაერს ბრწყინვალე არომატით ავსებს, ადამიანებს ანიჭებს სიმხნევეს და აძლიერებს ფიზიკურ ძალებს.

**არომათერაპია:** სახლის პირობებში გამოიყენება როგორც ეფექტური საშუალება ჭრილობების, დამწერობის, წყლულების შესახორცებლად. შველის კანის ნეიროენდოკრინული ხასიათის პრობლემებს, ღერმატიტს, პედიკულოზს. აუმჯობესებს კანის საერთო მდგომარეობას, ხელს უწყობს მისი ქსოვილების აღდგენით

პროცესებს, ათეთრებს, არბილებს და აახალგაზრდავებს მშრალ კანს, სპობს ქერტლს.

როგორც სამკურნალო საშუალება ანტიკური დროიდანაა ცნობილი, შველის დიზენტერიას, ბუასილს, ანთებით პროცესებს, მენორეგიას. ხასიათდება ანტიკანცეროგენული, ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, ანტივირუსული, გამაუმტკივნებელი მოქმედებით; ხსნის შუა ყურისა და ცხვირ-ხახის ანთებას, აუმჯობესებს გულის კუნთის გამტარუნარიანობას, მიკროცირკულაციას, აქვეთებს არტერიულ წნევას, ასტიმულირებს სისხლისა და ლიმფურ მოძრაობას, ამცირებს სისხლში შაქრის ღონეს; ხასიათდება მატონიზირებელი, შარდმდენი, შემკვრელი და ჭიისმდენი ეფექტით, აჩერებს სისხლდენას, აწესრიგებს მენსტრუალურ ცაკლს, ამსუბუქებს ორგანიზმის მდგომარეობას კლიმაქსის პერიოდში.

ძველ დროში ითვლებოდა საუკეთესო სამკურნალო საშუალებად, რომელსაც შეეძლო მოტეხილობებისა და კიბოს განკურნება. ძველი დროიდანვე უწილებდნენ “უელ-ურ-ცხირის ექიმს”, ვინაიდან ხსნის ტკივილებსა და ანთებით პროცესებს ამ ორგანოებში; ხელს უწყობს გულის კუნთის მიკროცირკულაციას, აცილებს იშემიას, ტახიკარდიას, სინუსურ არითმიას, არის მძლავრი გამაუმტკივნებელი და შეშუპების საწინააღმდეგო საშუალება, აცილებს ნევრიტებს, ნევრალგიას, ხსნის ტკივილებს ართრიტის, შაკიკის, რეემატიზმისა და ნევრალგიის დროს, ასტიმულირებს ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციებს, ხასიათდება სოკოების საწინააღმდეგო და ანტიპარაზიტული მოქმედებით.

გერანის ზეთი, რომელიც სურნელებით ვარდის ზეთს წააგავს, იხმარება ჰარფიუმერიაში მთელი რიგი პროდუქტების დასამზადებლად (სუნამო, ოდეკოლონი, ტუალეტის წყალი, საპონი, პუდრი და სხვა კოსეტიკური საშუალებები). გამოიყენება ლიქიორებისა და არყის წარმოებაში, საკონდიტრო საქმეში ხილეულის ესენციების დასამზადებლად.

**უკუქმედება:** არ არის ტოქსიკური, არ იწვევს გაღიზიანებას, მაგრამ ზოგიერთ ადამიანში შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს. მისი გამოყენება ხანგრძლივი დროის მანძილზე არასასურველია (არაუმეტეს 3 კვირისა). არასოდეს არ უნდა მიიღოთ ზეთი უზმოზე!

**სურნელოვანი ზეთის ხე, ოსმანთუსი – *Osmanthus fragrans*  
Lour.**

**ოჯ. ზეთისხილისებრნი – Fam. Oleaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10 მ-მდე სიმაღლის ხეა ან ბუჩქი. ფოთლები ტყავისებრია, ელიფსური, მახვილი წვერით, კიდეებზე წვრილი კბილებით ან კიდემთლიანი, 10 სმ-მდე სიგრძის. ყვავილები სურნელოვანია, თეთრი, შეკრებილია ფარისებრ უბისეულ ყვავილედებად, ყვავილის სიგრძე 1,5-2 სმ-ია. ნაყოფი ერთთესლიანი კურკაა, 1,5 სმ სიგრძის, კვერცხისებრი. ყვ. VI-VIII; ნაყ. X-XI


**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო პიმალაი, ჩინეთი და იაპონია; იზრდება მთებში ზღ.დ. 3700 მ-მდე. ფართოდაა კულტივირებული.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ოსმანთუსს – “ყვავილოვანი ჩაის” სახელით უძველესი დროიდან იყენებდნენ. ხასიათდება მკვეთრი, სასიამოენო არომატით, გამოირჩევა გემოვნებით, სიძლიერით, სიმწნევითა და სიმკვრივით.

ჩინელები ამ მცენარეს მთელ რიგ სამკურნალო თვისებებს აწერენ; ითვლება, რომ წმინდავს ორგანიზმს, ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას, წარმოადგენს გაახალგაზრდავების საშუალებას, ასტიმულირებს სისხლის მოძრაობას, ნივთიერებათა ცვლას და უჯრედების მეტაბოლიზმს, რაც შესაბამისად ხელს უწყობს გახდომას და ზეღმეტი კილოგრამების დაწვას, არის მსუბუქი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის. შველის გაციებას,

ყვავილის ზეთი არბილებს ხველებას. მიიჩნევენ, რომ მთელი წლის განმავლობაში ნაყენის მიღება ადამიანს 5 წლით აახალგაზრდავებს, ხოლო 2 წლის მანძილზე – 10 წლით.

**სურნელოვანი ნარი – *Eryngium foetidum* L.**  
**ოჯ. ქოლგოსანი – Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი არომატული მცენარეა. ღერო სქელია და მოკლე. ფოთლები გრძელია, 30 სმ-მდე სიგრძის, ლანცეტული სებრი, კიდედაკბილული, განლაგებულია ღეროს ირგვლივ მკვრივ როზეტებად. ყვავილები მცირე ზომისაა, კრემისფერ-თეთრი, განწყობილია სწორმდგომ საყვავილე ისრებზე და შეკრებილია მცირე ზომის, მკვრივ სფერულ ყვავილედებად. ნაყოფი წერილი თესლურაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ცენტრალური ამერიკა და კარიბის კუნძულებია. ფართოდაა კულტივირებული მთელ მსოფლიოში.

ცნობილია კულანტროს, გრძელი ქინძისა და მექსიკური ქინძის სახელითაც. წარმოადგენს მრავალ აზიურ ქვეფანაში სხვადასხვა სახის სანელებლის მნიშვნელოვან შემაღენელ კომპონენტს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებლად გამოზრდის შემთხვევაში, საყვავილე ისრის წარმოქმნისთანავე აცილებენ მას. გამოსაყენებლად ფოთლებს ფაქიზად ჭრიან. შეიცავს დიდი რადგენობით რკინას, კაროტინს, რიბოფლავინსა და კალციუმს.


სურნელით რამდენადმე ქინძის მსგავსია, მაგრამ მისი არომატი უფრო ძლიერი და გაჯერებულია. ფოთლებს სანელებლად იყენებენ საღათებში, სოუსებში, წვნიან კერძებში.

სამკურნალო მიზნით ფოთლებისა და ფესვების ნახარში გამოიყენება მადის სტიმულირებისათვის, საკვებმომნელებელი სისტემის გამაუმჯობესებლად, მუცლის ტკივილების დამაწყისარებლად.

### **სუსამბარი — *Tanacetum balsamita* L. (=*Pyrethrum balsamita***

**(L.) Willd.)**

**ოჯ. რთულფეხვილოვანნი (ასტრასებრნი) — Fam. Compositae  
(Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა, მეტ-ნაკლებად დატოტვილი, მხოხავი მერქნოვანი ფესურით. ღერო სწორმდგომია, 30-120 სმ სიმაღლის, ქვედა ნაწილში ძლიერ შეფოთლილი (ფესვთანური ფოთლების მრავალრიცხოვანი როჩეტით), ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთოლი მთლიანია, ოვალური ან ელიფსური, წვრილად დაკბილული, მონაცრისფრო-მწვწნე ან მკრთალი მწვწნე, სუსტად შებუსული და ოდნავ ხავერდისებრი. ველურად მოზარდი მცენარეების ფოთლები უფრო არომატულია, ვიდრე ბაღური ფორმების. ყვავილები - კალათაა, წვრილი, 10 მმ დიამეტრის, შედარებით მოკლე ყუნწებით, შეკრებილია ღეროების ბოლოებზე საკმაოდ მკვრივ

ფარისებრ ყვავილედებად. კალათაში ყველა ყვავილი მიღისებრია, ყვითელი ან ბაცი ყვითელი ფერის. ნაყოფი 2,5 მმ სიგრძის თესლურაა, 5-8 სიგრძივი წახნაგითა და გვირგვინით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება კავკასიისა და მცირე აზიის სუბალპურ მდელოებზე, ხმელთაშუაზღვეთში. ასეული და ათასეული წლებია რაც მოწყვავთ ბაღებსა და ბოსტნებში. ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში ხშირად ველურდება.

როგორც ბაღის კულტურას მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რაც ფაქტიურად რამდენიმე ათასეულ წელს ითვლის. მოწყვავდათ ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში. თანამდებობით ხმელთაშუაზღვეთიდან ვრცელდება ბრიტანულ კუნძულებამდე, რის შემდეგაც ახალმოსახლეებთან ერთად მოხვდა ჩრდილო ამერიკაში, სწორედ აქ უწოდეს მას “ბიბლიური მცენარე” – იქიდან გამომდინარე, რომ არომატული გრძელებუნწიანი ფოთლები გამოიყენებოდა ეკლესიებში ბიბლიის წიგნის სანიშნედ, წლების მანძილზე კი წიგნი მთლიანად იუდინთებოდა ბალზამისებრი არომატით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მას უწოდებენ “მარიამ ღვთიშობლის ბალახს.”

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ევროპის მთელ ტერიტორიაზე ორი ათასი წლის განმავლობაში ითვლებოდა მეტად პოპულარულ სანელებლად. მთელი მცენარე ხასიათდება ძლიერი და მწკლარტე სუნით, ფოთლების დაზიანებისას არომატი მრავალგზის ძლიერდება. ლიტვასა და ლატვიაში შედის ყველისა და ხაჭოს ნაწარმის რეცეპტებში. ფოთლები სანელებლად გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე გამშრალი სახით სხვადასხვა სახის კერძებსა და სასმელებში არომატიზაციისათვის; უმატებენ სალათებში, ქინძისა და ძირთეთრას მსგავსად, კიტრის, ვაშლისა და სოკოს მწნილს. სანელებლის სახით რეკომენდებულია აგრეთვე თევზის პროდუქტებთან. გერმანიაში უძველესი დროიდან და დღემდე უმატებენ ლუდის ტრადიციულ სახეობებს, განსაკუთრებული სასიამოვნო გემოვნებისა და არომატის მისანიჭებლად. ყვავილები შედის არომატული ჩაის შემადგენლობაში თავშავა, პიტჩასა და ბეგქონდართან ერთად.

უძველესი დროიდან გამოიყენება სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში მცენარის მიწისზედა ნაწილი რეკომენდებულია მცირე დოზებში კუჭისა და ტკივილგამაფუჩებელ საშუალებად სპაზმების დროს. ყვავილების ფხვნილი გამოიყენება ჭიისმდენად. კავკასიაში ნედლ ფოთლებს ან მის ფხვნილს ხმარობენ ჭრილობების შემახორცებლად. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება სუსამბარის ბალზამის ზეთი, რომელიც ხასიათდება ანტისეპტიკური მოქმედებით. წასასმელად იყენებენ ჭრილობების, ნატკენების, სხვადასხვა სახის გემატომების დროს, რაზედაც განსაკუთრებული ეფექტური მოქმედებით გამოიიჩევა.

### **ტარო, კოლოკაზია – *Colocasia esculenta* (L.) Schott.**

**ოჯ. ნიუკასებრნი — Fam. Araceae**



**მორფოლოგია:** პოპულარული ტროპიკული მრავალწლოვანი, 80-120 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს მსხვილ ტუბერს, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებენ. ფოთლები ფესვთანურია, მსხვილი, ტყავისებრი, მკვრივი, ფართოკვერცხისებრი, 30-50 სმ სიგრძის. ყვავილედი - ტაროა. ნაყოფი მრავალთესლიანი კენკრაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ტროპიკულ რეგიონებში: ინდოეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ბირმაში, მალაიზიის ნახევარკუნძულზე, ფილიპინების კუნძულებზე, ჩინეთის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ტრადიციული ადგილსამყოფლების გარდა ფართოდაა კულტივირებული ოკეანეთის კუნძულებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტაროს უძველესი დროიდან სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებდნენ. ცნობილი იყო, რომ ტუბერის საკვებად გამოყენება ხსნის ტემპერატურას, ააქტიურებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამშვიდებს ანთებით პროცესებს და ამსუბუქებს ტკივილებს. საკვებად ტუბერთან ერთად გამოიყენება ღერო და ფოთლები მრავალი სახის ეროვნული კერძის დასაშადებლად.

ტუბერები უმთავრესად ნახშირწყლებს შეიცავს, მათგან დიდი რაოდნობით სახამებელს, აგრეთვე დექსტრინსა და შაქრებს, რომლებიც მას ანიჭებს სპეციფიურ მოტკბო გემოს, აღინიშნება ცილები, ცხიმები, უჯრედისი, გლუკოზა, სხვადასხვა არაორგანული შენაერთები, მინერალური მარილები, ვიტამინები ( $C$ ,  $B_1$ ,  $B_2$ ) და სხვ. ლორწოვანი ნივთიერება მუცინი, რომელსაც ტუბერი შეიცავს გლიკოპროტეიდია, ანუ შაქრებისა და ცილების წარმოებულები, რომელიც ხელს უწყობს ღვიძლისა და თირკმელების გაჯანსაღებას, ასტიმულირებს ცილების გახლეჩვას, აჩქარებს უჯრედების ზრდას; სიბერის პროფილაქტიკური საშუალებაა. გარდა ამისა, მუცინი ანელებს ნახშირწყლების გადამუშავებას და შეწოვას, ამით აბრკოლებს ზედმეტი წონის დაგროვებას. აღნიშნული ნივთიერება მეტად ეფექტურია დისბაქტერიოზისა და დიარეის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, რაც გამოწვეულია ალკოჰოლის გადაჭარბებული მიღებით.

**ტარხუნა – *Artemisia dracunculus* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანი (ასტრასებრნი)**  
**Fam. Compositae (Asteraceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა 1,5 მ-მდე სიმაღლის, სქელი მერქნოვანი ფესურითა და მრავალრიცხოვანი (2-8) ღეროებით, იშვიათად მარტოული, დატოტვილი. ფოთლები ღეროსეულია, ხაზურ-ლანცეტურა ან ხაზური, მჯდომარე, 2-10 სმ სიგრძისა და 0,2-1 სმ სიგანის, კიდემთლიანი, ქვედა - ზოგჯერ სამნაკვთიანია. კალათა სფერულია, დიდი რაოდენობითაა შეკრებილი ღეროსა და ტოტების ბოლოებზე საგველა ყვავილედებად. კალათაში განაპირა ყვავილები მდედრობითია, ნაყოფიანი, ძაფისებრ-მილისებრი, თავში ორად დაგბილული თეთრი გვირგვინით; შუა – უნაყოფოა, ორსქესიანი, მიღლისებრი, ხუთყბილა ნაყოფი. წვრილი, ბრტყელი, კვერცხისებრი, მურა თესლურა. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად გავრცელებულია აღმოსავლეთ და შუა აზიაში, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილო ამერიკასა და კავკასიაში. იზრდება ფიჭვნარი ტყის პირებზე, მთის ფერდობებზე.  
კულტივირებულია შუა საუკუნეებიდან დასავლეთ ევროპაში; ამრავლებენ ბალებში, ბოსტნებში, ზოგჯერ ველურდება. საქართველოს სამხრეთ რეგიონებშია ფართოდ გავრცელებული.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნედლი ფოთლები სასალათედ და სანელებლად გამოიყენება სხვადასხვა კერძებში, კიტრისა და პომიდვრის დამწნილებისას.

შეიცავს 0,25-0,8 მგ% ეთერზეთებს, დამახასიათებელი სასიამოვნო სურნელით, 190 მგ% C-ვიტამინს, 15,0 მგ% კაროტინს (პროვიტამინ A), რუტინს, მინერალურ მარილებს, ფლავონოიდებს, ალკალიოიდებს, კუმარინებს.

ხასიათდება მაღისმომგვრელი, საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი, დამამშვიდებელი, მატონიზირებელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი, კუჭის წევნის სიმჟავის მანორმალიზირებელი, აგრეთვე სუსტი შარლმდები და ჭიისმდევნი მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ოდითგანვე იხმარება წყალმანკისა და ცინგის საწინააღმდეგოდ.

საღვეისოდ მას არ დაუკარგავს სამკურნალო მნიშვნელობა, როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას ავიტამინოზის, ჰიპო და ანაციდური გასტრიტის, გინგივიტების, ეპილეფსიის დროს; ბალაზის ნაყენი გამოიყენება გადაღლილობის, კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და რევმატიზმის სამკურნალოდ; ხელს უწყობს მენსტრუალური ციკლის ნორმალიზებასა და კუჭის მოქმედებას. გარეგანად იხმარება მუნის, ეგზემის, დამწვრობების წინააღმდეგ. **უკუქმედება:** არასასურველია მისი ჭარბი მიღება. უკუქმაჩვენებელია ფეხბებიმე ქალებისათვის, შესაძლებლია გამოიწვიოს ნაყოფის მოშლა.

**ტეგანი – *Ruta graveolens* L.**  
**ოჯ. ტეგანისებრნი – Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** ნახევრად ბუჩქია, 50-100 სმ-მდე სიმაღლის. ღერო სწორმდგომია, დატოტეკილი, ძირში გამერქნებული. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-კვერცხისებრი, ორმაგ ან სამმაგფრთისებრგან კვეთილი, მოკლეეუნწიანი (ზედა მჯდომარე), ხორცოვანი, მოცისფრო-მწვანე. ყვავილი წვრილია, მომწვანო-ყვითელი, ხუთფურცლიანი, შეკრებილია ფარისებრ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი სფერული, ოთხბუდიანი კოლოფია. თესლი მურაა, წვრილი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში და ყირიმში. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში.

იზრდება მშრალ, კლდოვან, მზით განათებულ ადგილებში.

**მნიშვნელობა და გამოვენება:** ხასიათდება ძლიერი, მწვავე არომატითა და ხახვისა და ნივრისებრი მომწარო გემოვნებით. ნორჩი ფოთლები სანელებლად გამოიყენება სხვადასხა სახის კერძებში; გემოვნებისათვის უმატებენ მმარს, ფხვნილს - ბუტერბროდებს.

ბალახი შეიცავს ეთერზეთებს (0,25-1,2%), C-ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფურაოჯუმარინებს, ალკალოიდებსა და ფლავონოიდურ გლიკოზიდ - რუტინს. ფესვებში აღინიშნება კუმარინები, ფუროკუმარინები, ალკალოიდები, ეთერზეთები. არომათერაპიაში ტეგანის ეთერზეთები გამოიყენება თავისა და

ეურის ტკივილების, რევმატიზმისა და ნაღრძობების  
საწინააღმდეგოდ.

ხალხურ მედიცინაში ყვავილობამდე შეგროვილი ფოთლები  
ხასიათდება საერთო გამაჯანსაღებელი, ანტისეპტიკური და  
კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით.

ინდურ ტრადიციულ მედიცინაში იყენებენ სტიმულატორად,  
ანტისეპტიკურ და აბორტულ საშუალებად.

ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება უძილობის, ნევროზებისა  
და თავის ტკივილების საწინააღმდეგოდ.

**ტენცო, წყლის პიტნა — *Mentha aquatica* L.  
ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა;  
ინვითარებს მიწისქეშა და წყლის, აგრეთვე მიწის ზედა  
შეფოთლილ ყლორტებს, აქა-იქაა შებუსული რბილი, მარტივი  
ბეწვით ან თითქმის შიშველია, კაშკაშა ან მკრთალი ფერის,  
ხასიათდება ძლიერი არომატული სურნელით. ღერო მეტწილად  
წამოწეულია, ძირიდან სწორი, მარტივი, უფრო ხშირად  
დატოტვილი. ღეროსეული ფოთლები მოკლეყუნწიანია,

კვერცხისებრიდან ელიფსურამდე ფორმის, მომრგვალო გულისებრი, ზოგჯერ სოლისებრი ძირით, ხშირად რამდენადმე უხეშია, ოდნავ პრიალა, რკალისებრ-ფრთისებრ დაძარღვული, კიდეებზე ბრტყელი, ხერხისებრი ან მრგვალკბილებიანი. ყვავილები შეკრებილია თითქმის სფერულ, თავაკისებრ ყვავილედებად, ქედა მათგანი - ფოთლების იღლიებში ვითარდება, ზედა - შეკრებილია კენწრულ კვერცხისებრ ან სფერულ თავაკებად: გვირგვინი კაშკაშა იისფერია ან ლილისფერი, ხორცისებრ წითელი ან თეთრი, აღემატება ჯამს. ნაყოფი კვერცხისებრი, წვრილმქეჭიანი, ღია ყავისფერი კაკლუჭაა. ყვ. VI-X. ნაყ. VII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთში, კავკასიაში, საქართველოს უმეტეს რეგიონებში (მესხეთ-ჯავახეთის გარდა).

იზრდება მდინარეების, წყალსატევებისა და არხების ნაპირებზე, ნარწყავ მდელოებზე, რუდერალურ აღგილებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ-არომატული მცენარეა, ბაღის პიტის არომატისა და გემოვნების მსგავსი. სანელებლის სახით უმატებენ კერძებს, სალათებსა და გამაგრილებელ სასმელებს.

ბალახი შეიცავს ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, C, K ვიტამინებს. ხასიათდება კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ქარმდენი, ტკივილგამაყუჩებელი და შარდმდნი მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ხაწლავის აშლილობის, კუჭისა და ნაწლავების სპაზმისა და ტკივილების, მეტეორიზმის, გულის ფრიალის დროს, პირიდან ცუდი სუნის მოსაშორებლად.

## ტყემალი – *Prunus divaricata* Ledeb.

ოჯ. ვარდისებრნი — Fam. Rosaceae



**მორფოლოგია:** ხეა ან ბუჩქი, 2-10 მ-მდე სიმაღლის, დატოტვილი და ცოტად თუ ბევრად ეკლიანი; ფოთლები ოვალურიდან-ოვალურ-ლანცეტურამდე, ძირისკენ სოლივით შეეიწროებულია, კიდეხერხკბილა, ქვემოდან ძარღვების გაყოლებაზე ბეწვით მოფენილი; ყვავილი თეთრია, თითო-თითოდ განლაგებული 1-2 სმ სიგრძის ყუნწებზე, მეტწილად ფოთლებზე ადრე იშლება; ჯამი ხუთ ფოთოლაკიანია, დაყვავილების შემდეგ ცვივა, გვირგვინი ხუთფურცლიანია. ნაყოფი ხორცოვანი, წვნიანი კურკიანაა, თავდაკიდებული, სფერული ან ოვალური, შიშველი, დარჩავლებული, მკრთალი მწვანე, ყვითელი ან წითელი, მომწიფებისას არ იხსნება. ნაყოფის რბილობი მოტკბო-მომჟავოა. კურკა მაგარნაჭუჭიანია, მეტწილად ერთთესლიანი, გლუვი, მოთეთრო შეფერილობის. ყვ. III; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, ევროპულ-კავკასიურ-შუა აზიური სახეობაა.

იზრდება მთის შუა სარტყელამდე ტყეებში, ტყის პირებზე, ტყის ნაკაფებში, ღია ფერდობებზე და კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი საკვებად ვარგისია. გამოიყენება სანელებლად სხვადასხვა სახის კერძებში. მისგან ამზადებენ ქართულ კულინარიაში გამორჩეულ სანელებელს - ტყემალს. შეიცავს: 10 მგ%-მდე ნახშირწყლებს (ფრუქტოზა,

გლუკოზა, საქაროზა), ვიტამინებს (A, C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>), პექტინებს, ორგანულ მჟავებს, ფლავონოიდებს, პოლიფენოლებს. ფოთოლში არის შაქრები, პექტინები, ორგანული მჟავები, ვიტამინები და სხვ.

ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მაღის მომგვრელად, სისხლნაკლებობის დროს რეინის შემცვლელად; ტყემლის ტყლაპს ელენთის დაავადებისას გარედან შემოადებდნენ.

ხასიათდება მატონიზირებელი, საფალარათო, ანთების საწინააღმდეგო და ნივთიერებათა ცვლის მომაწესრიგებელი ფარმაკოლოგიური მოქმედებით. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება გულისმიერი შემუპების, დვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების, ავიტამინოზების, შეკრულობის დროს.

**უკუმედება:** კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, გასტრიტი.

### ტყის ანგელოზა – *Angelica sylvestris* L.

ოჯ. ქოლგოსანი (ნიახურისებრნი) – Fam. Umbelliferae  
(Apiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ან ორწლოვანი ბალახოვანი 50-250 სმ სიმაღლის მცენარეა, კონუსური სქელი ფესვით. ღერო ღრუა, 2,5 სმ სისქის, ლეგა ნაფიფქით, ზედა ნაწილში დატოტვილი და რამდენადმე წახნაგოვანი, ყვავილედის ქვეშ მოკლედ შებუსული. ფოთლები ორმაგ-სამმაგფრთისებრ განკვეთილია მოგრძო კვერცხისებრ ან ლანცეტა მახვილკბილა

**სეგმენტებად:** ქვედა ფოთლები - გრძელფუნწიანია, ზედა - მჯდომარე, ძლიერ დაბუშტული ვაგინით. ყვავილი თეთრია, შეკრებილია დიდ ქოლგებად მრავალრიცხოვანი სხივებით, სხივები და საყვავილე ყუნწები შებუსულია. ნაყოფი ოვალური ან ელიფსურია, ძირში ღრმად გულისებრი არშით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის მთელ ტერიტორიაზე, რესერვი, თურქეთში. იზრდება ნოტიო მდელოებზე, ბუჩქნარებში, ტყეებში, მდინარეებისა და ტბორების ნაპირებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე შეიცავს კალციუმის მარილებს (1,6%), ფოსფორს (0,35 %), ცილებს (12 %-მდე), უჯრედის (20%). ფოთლებში აღინიშნება 0,9% -ზე მეტი ასკორბინის მჟავა.

სურნელოვანი ბალახი სანელებლად გამოიყენება წვნიანებში, სალათებში, მარინადებსა და მწინლებში. ნორჩ ყლორტებს იყენებენ საკვებად, მას ხარშავენ შაქართან ერთად ან ნედლი სახით ხმარობენ. ნორჩ ყლორტებსა და ფოთლების ყუნწებს ანთავისუფლებენ ქერქისგან და აშაქრებენ; აშადებენ გემრიელ არომატულ ცუკატებს ტორტებისა და ღვეზელების მოსართავად. ფესვებს იყენებენ სასმელების არომატიზაციისათვის.

ხალხურ მედიცინაში ფესვებსა და თესლებს შინაგანად იყენებენ ციინგის, შაკიკის, უძილობის, კუჭის აშლილობისა და ყაბზობის დროს; აგრეთვე როგორც ამოსახველებელ, დამაშვიდებელ და შარდმდენ საშუალებას. გარეგანად - დასაზელად და არომატული აბაზანების სახით გამოიყენება ნიკრისის ქარისა და რევმატიზმის სამკურნალოდ.

**ტყის მწარე წიწმატი – Cardamine amara L.  
ოკ. ჯვაროსანი (კომბოსტოსებრი) – Fam. Cruciferae  
(Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მხოხავი ფესურით. ღერო სწორმდგომია, 20-40 სმ სიმაღლის. ფოთლები ფრთისებრ დანაკვთულია. ყვავილი თეთრია, შეკრებილია მეჩხერ ფარისებრ მტევნებად. ნაყოფი - ხაზური, ბრტყელი ჭოტია. თესლი მრავალია, წვრილი, მუქი მურა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში. რუსეთის ევროპულ ნაწილში, დასავლეთ ციმბირში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის მიწისზედა ნაწილს (ნაყოფმსხმოიარობამდე) და მოუმწიფებელ თესლებს იყენებენ როგორც სანელებელს. ფოთლები პირშუშხას მსგავსად ხასიათდება მწვავე, ცხარე, მწარე გემოვნებით. ხმარობენ სალათებში, ბუტერბოლების დასამზადებლად, ცივ ხორციან კერძებში და ა.შ. ფესვები, ფოთლები და ღერო შეიცავს ეთერზეთებს; ფოთლებში აღინიშნება ვიტამინებიც. სლოვაკიაში ფოთლებს შაქრის დიაბეტის დროს იყენებენ.

ტყის პიტნა, გრძელფოთოლა პიტნა

*Mentha longifolia L.*

ოჯ. ტუჩოსანნი - Fam. Labiateae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; ფესურა გრძელია, გახევებული, ინვითარებს მიწისქეშა ამონაყარს. ყლორტები ცოტად თუ ბერად ქეჩისებრ შებუსვილია ერთ ან მრავალუჯრედიანი მარტივი ბეწვებითა და ჯირკვლებით. ღერო სწორია, მარტივი ან დატოტვილი, 30-150 სმ სიმაღლის. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო-კვერცხისებრიდან ლანცეტამდე, 5-10 სმ სიგრძის, 1,5-3 სმ სიგანის, წაწვეტებული, კიდეებზე ხერხებილა, იშვიათად მრგვალკბილიანი, ზედა მხარეს თითქმის შიშველი, ქვედაზე - ნაცრისფერი ან თეთრი ქეჩისებრი. ყვავილები შეკრებილია გრძელ, მჭიდრო, ხშირ, ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე წყვეტილ, ცილინდრული ფორმის თავთავისებრ ყვავილედებად. თანაყვავილები ხაზურია, ბანჯგვლიანი, ჯამი ზარისებრი 2 მმ-მდე სიგრძის, სქლადაა მატყლისებრი ბეწვით მოფენილი. გვირგვინი 4-5 მმ სიგრძისაა, ჯამს ორჯერ აღემატება, ლილისფერია, ხორცისფერ წითლამდე შეფერილობის. გვირგვინის ზედა ნაკვთი მოგრძო კვერცხისებრია. ნაყოფი კვერცხისებრი ბეწვიანი კაკლუჭაა. ყვ. V- IX; ნაყ. VII-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბორეალური, ევრაზიული სახეობაა, ჭაობის მცნარე; გავრცელებულია ზომიერი კლიმატური პავის მქონე ქვეყნებში. საქართველოში თითქმის ყველგან აღინიშნება.

იზრდება ტყის პირებზე, ფერდობებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა და არხების ნაპირებზე, ნესტიან და დაჭაობებულ აღგილებში, ტბებთან, წყალსაცავებთან, კირქვიანებზე, ზღ.დ. 2500 მ სიმაღლემდე. გვხვდება მცირე ან ფართო ჯგუფების სახით.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** უძველეს სანელებელ მცნარეთა რიცხვს მიეკუთვნება. კულინარიაში გამოიყენება სხვადასხვა სახით.

მოძქმედ ნივთიერებას ეთერზეთები წარმოადგენს. მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული არ არის, ვინაიდან მცირე რაოდენობით შეიცავს მენთოლს. მიწისზედა ნაწილი (ბალახი) ოფიცინალურია მხოლოდ აშშ-ში და ვენესუელაში.

ძველ მედიცინაში სამკურნალო მიზნით პიტნის ველურად მოზარდი სხვადასხვა სახეობა გამოიყენებოდა. ძველ რომში პიტნის არომატი კეთილ ნიშნად ითვლებოდა, მიაჩნდათ, რომ ამაღლებს განწყობილებას და ხელს უწყობს სუფრაზე სასიამოებო საუბარს. პიტნა, ცრურწენის მიხედვით დევნის ავსულებს, ხოლო სამკურნალო თვისებებით მრავალწახნაგოვანია და პრაქტიკულად შეიძლება დამატებული იქნეს ყველა ბალახეულ ნაკრებში. ავიცენა თვლიდა, რომ პიტნა სასარგებლოა უმაღლისა და კუჭის სისუსტის, სლოკინის დროს. ნახარში სასარგებლოა სიყვითლის, გულის ამოვარდნებისას.

დიოსკორიდი და შემდგომი დროის ექიმები პიტნის სახეობებს საკვირველ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ, რომლებიც ერთმანეთთან სრულიად შეუსაბამო იყო. ხმარობდნენ კუჭნაწლავის სისუსტის, სპაზმების, პირდებინების, ისტერიული გულყრების, სისხლიანი ფაღარათისა და ტიფის, დაჟეჟილობის, შეშუპების, კრუნჩხევების, ტკივილების, ზოგიერთი სიმსივნისა და სარძევე ჯირკვლების ანთების დროს, აგრეთვე როგორც დამამშვიდებელ საშუალებას.

შუა საუკუნეების სომხეთში ხალხურ მედიცინაში გამოყენებული იყო პიპერტონიული და ხერვულ-ფიქიური დაავადებებისას.

დიდი მოთხოვნილებით ხასიათდება ტყის პიტნა რუსულ ხალხურ მედიცინაში როგორც დამაწყნარებელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, ოფლმდენი და საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი. ხმარობენ ყელის ტკივილის, გაციების, წნევის, სტენოკარდიის, ათეროსკლეროზის, ნევროზის, უძილობის, ენტეროკოლიტის, მასტიტის, რევმატიზმის, კბილის და ყურის ტკივილების დროს; რაქიტიანი ბავშვებისათვის იყენებდნენ პიტნის აბაზანებს.

ქართულ ხალურ მედიცინაში ითვლებოდა, რომ ხელს უწყობს საჭმლის სწრაფად მონელებას, ძმარში მოდულებული კურნავს პირის დაავადებებს, კლავს ჭიებს და ხელს უწყობს კარგ ძილს. პიტნის ბროწეულის წვენში ნაღული არჩენს მუნს და იწვევს რძის მომატებას. გამოიყენებოდა წნევის დასაწევად, ოფლის მომგვრელად და მუცლის ტკივილების დროს.

წვენი გამოიყენება ამოსახველებლად, კუჭის ტკივილის, ჰეპატიტისა და ასციტის დროს; გარეგანად - მასტიტისა და მღიერის შემთხვევაში; ნაყენი - ეპილეფსიის, კუჭის შეკრულობის, კბილის ტკივილის, მეტეორიზმის დროს; ნახარში ხასიათდება დიურეზული, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური მოქმედებით; იხმარება ტუბერკულოზის, გასტრიტის, დერმატიტის და ციმბირის წყლულის სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** ხელს უწყობს უნაყოფობას.

**ტყის ჩიტისთვალა – *Galium odoratum* (L.) Scop.  
(syn. *Asperula odorata* L.)  
ოჯ. ენდროსებრნი — Fam. Rubiaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წამოწეული ოთხწახნაგოვანი ღეროებითა და მხოხავი ფესურით. ფოთლები ლანცეტაა, მჯდომარე, 6-8 ცალი განლაგებულია რგოლებად. ყვავილი წვრილია, თეთრი, შეკრებილია ნახევარქოლგებად, გვირგვინის ნაკეთები ბლაგვია, შუა ნაწილამდე შეზრდილი, ლანცეტისებრი. ნაყოფი მშრალია, იშლება 2 კაკლად. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპისა და აზის ზომიერ სარტყელში. იზრდება წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, განსაკუთრებით ფართოფოთლოვნებში, ჩრდილში. სამრეწველო მიზნით კულტივირებულია ინგლისში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში. **მნიშვნელობა და გამოყენება:** ნედლი ფოთოლი თითქმის უსუნოა, მაგრამ გაშრობის შემდეგ რამდენადმე მუქდება და იძენს სპეციფიურ არომატულ სურნელს, რის გამოც ფართოდ გამოიყენება სასმელების წარმოებაში. სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი; შეიცავს

გლიკოზიდ კუმარინს, ეთერზეთებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს.

ხალხურ მედიცინაში მისი ნაყენით მკურნალობენ სხვადასხვაგვარ წყალმანქს; გამოირჩევა სედატური მოქმედებითაც, წყვეტს ისტერიულ გულყრებს, ამცირებს სხვადასხევა ხასიათის ნერვულ ტკივილებს, შველის უძილობას. შარდსაღინარი სისტემის დაავადებებისას ამცირებს ქვების წარმოქმნას და მოქმედებს, როგორც შარდმდენი საშუალება. გარეგანად ცხელი საფენების სახით იყენებენ ფურუნგულების, კანის გამონაყრების, ჭრილობებიდან სისხლდენის, კანქვეშა სისხლჩაქცევების და სისხლის ცუდი შედედებისას.

**უკუქმედება:** შხამიანი მცენარეა, გამოყენებისას დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, დოზის გადაჭარბება იწვევს პირლებინებას, თავის ტკივილებს, თავბრუსხევევას, ლეტალურ აღსასრულს.

**ტყიურა – *Laser trilobum* (L.) Borkh.  
ოჯ. ქოლგოსანნი — Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, პოლიკარპული 50-150 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ეერტიკალური ფესვით. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, სწორმდგომი, მკვრივი, მომრგვალო, წახნაგოვანი, დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელებუნწიანია, ფოთლის ფირფიტა 10 - 50 სმ სიგრძისა და 10-25 სმ სიგანისაა, სამნაკვთიანი, ფრთისებრ ან ორმაგ-სამმაგ

დანაკვთული. ზედა ფოთლები მჯდომარეა, ნაკლებად რთული, ფართო ვაგინით. ყვავილი თეთრია, გრძელი საყვავილე ყუწებით, შეკრებილია ქოლგებად, 15-20 შიშველი, ხვადასხვა სიგრძის სხივით. წაყოფი მოგრძო (7-8 მმ სიგრძისა და 3-4 მმ სიგანის), ორად გაყოფილი თესლურაა, სიგრძივი წახნაგებით. ყვ. V-VI; ნაყ. VII.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, მცირე აზიაში, ირანში, თურქეთსა და კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც.

იზრდება დაჩრდილულ ტყეებსა და ბუჩქნარებში, უმთავრესად კირქვიან ფერდობებზე, ფლატებზე.

**ნიმუშნელობა და გამოყენება:** სანელებლად შშრალი ნაყოფები გამოიყენება, წვნიანებისა და სალათების შესაკაზმავად. ნაყოფების ეთერზეთებს კვებით მრეწველობაში იყენებენ ხილის ექსციების არომატიზაციისათვის, ასევე - პარფიუმერიაში.

სამურნალდ გამოიყენება ბალახი, ნაყოფები და ფესვები. ფესვები შეიცავს სესკვიტერპენულ ლაქტონებს, ლაზეროლიდს, იზოლაზეროლიდს, ლაზოლიდს, ლაზორინს, ტრილოპოლიდს, იზოტრილოპოლიდს, კუმარინებს. ბალახში აღმოჩენილია 0,02-0,03 % ეთერზეთები; ფოთლებში - C ვიტამინი, ფლავონოიდები, გლიკოზიდი - ლუთეოლინი; ყვავილედებში - 0,7-0,9% ეთერზეთები; ნაყოფებში - 0,49-0,5% ეთერზეთები, რომლის შემადგენლობაშია (%-ში): 2-26 ალფა-პინენი, 36-60 ლიმონენი, პერილის სპირტი, 35-45 პერილის ალფაჰიდი, პერილის მჟავა, ალფა ფელანდრინი, კუმარინი - სილერინი.

ფესვებისა და ბალახის ნახარში ხასიათდება პიპოტენზიური მოქმედებით; მას აქტიურად იყენებენ ანგინისა და დიარეზის დროს. ფესვებში შემავალი ლაქტონები გამოირჩევა ანტიბაქტერიული აქტივობით.

ნაყოფების ნახარშს ხმარობენ ხველების, რესპირატორული ინფექციების, ნაწლავების დაავადებების, ცენტრალური ხერვული სისტემის სტიმულირებისათვის. ექსპერიმენტში დადგენილია მისი პიპოტენზიური მოქმედება.

## უსუბი — *Hyssopus officinalis* L.

ოჯ. ტუჩზანნი — Fam. Labiatae (Lamiaceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი დატოტვილი 50 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მოპირისპირებული, ხაზურ-ლანცეტა, ხეშეში, კიდემთლიანი. ყვავილი ლურჯია, ვარდისფერი ან თეთრი, განლაგებულია ზედა ფოთლების იღლიებში, შეკრებილია ცალმხრივ მტევნებად. ნაყოფი მოშავო - მურა ფერის კაკალია. ყვ. VIII-IX; ნაყ. IX-X.


**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ევროპაა. ბუნებრივად გავრცლებულია აგრეთვე ყირიში, ყაზახეთში, კავკასიაში. მოჰყავთ როგორც სამკურნალო, დეკორატიული და სანელებელი მცენარე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ბალახი ხასიათდება მწკლარტე სასიამოვნო-მომწარო გემოვნებით და ქაფურის სურნელით. სანელებლად და სამკურნალოდ გამოიყენება ნედლი და მშრალი ფოთლები. შეიცავს: 0,5-1,15% ეთერზეთებს (შედგება პინოკამფინის, პინენის, სესკვიტერპენისა და სხვა შენაერთებისაგან), მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, გლიკოზიდებს, პიზოპინს, ფლავონოიდ დიოსმინს, ფისებს, გუმფეისს.

კულინარიაში იყენებენ როგორც კარგ სანელებელს სალათების, სოუსების, წვნიანების, ხორციანი და ბოსტნეული კერძების შესაკაზმავად. უსუბის ეთერზეთები იხმარება ლიქიორ-არყის წარმოებასა და პარფიუმერულ მრეწველობაში.

ხასიათდება ოფლმდენი, ანთების საწინააღმდეგო და ამოსახველებელი მოქმედებით. სამკურნალოდ ნაყენები და ნახარშები გამოიყენება ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმის, ქრონიკული კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას; გარეგანად - პირის ღრუს, ხახის, ხმის ჩახლების დროს გამოსავლებად, ჭრილობების, წყლულების, ანთებითი პროცესებისას - საფენებისა და მალამოების სახით. ფარმაციაში ნედლეულიდან ამზადებენ გალენურ (ნახარში, ექსტრაქტი, ჩაი) პრეპარატებს და ღებულობენ ეთერზეთებს.

**ულუმბო, უცხო სუნელ — *Trigonella caerulea* (Dsr.) Ser.  
ოჯ. პარკოსანნი — Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლიანი 30-60 სმ სიმაღლის მცენარეა; ღერო სწორმდგომია, მარტივი ან დატოტებილი, გაბნეულბეწვიანი ან შიშველი, ღრუ; თანაფოთლები სამკუთხა-ლანცეტაა, ძირში მეტნაკლებად გაფართოებული და დაკბილული; ფოთოლაკები კვერცხისებრია ან ელიფსური, კიდეზე ბასრებილა, ორივე მხარეზე შიშველი, 15-40 მმ სიგრძისა და 10-20 მმ სიგანის. ყვავილედი თავაკისებრია, მრავალყვავილიანი, კუმსი, ყვავილობისას სფერული, დაყვავილების შემდეგ ზოგჯერ ოდნავ წაგრძელებული, თითქმის კვერცხისებრი, 15-20 მმ სიგრძის; ყვავილის კუნწები მცირე ზომისაა, 1 მმ-მდე სიგრძის,

მოკლებეწვიანი; გვირგვინი ცისფერია, 6 მმ-მდე სიგრძის. ნაყოფი პარკია, რომბულ-უკუკვერცხისებრი, გაბერილი, განეულებეწვიანი ან თითქმის შიშველი, სიგრძივი წვრილი ძარღვებით, უცბადაა შევიწროებული 3 მმ-მდე სიგრძის, თითქმის სწორ, ნემსისებრ ნისკარტში, 2-3 თესლიანი; თესლები სფერულია, წვრილხორკლიანი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** აწერილია საფრანგეთიდან კულტურული ეგზემპლარების მიხედვით. კულტურაში ძირითადად ცნობილია, როგორც ბოსტნეული სურნელოვანი მცენარე. გვხვდება გაველურებულიც რუდერალურ ადგილებსა და ბუჩქნარებში, საქართველოში შემორჩენილია ზოგიერთ რაიონში და ცნობილია “ულუმბოს” ან “უცხო სუნელის” სახელით.

სამშობლო ხმელთაშუაზღვეთია, ნატურალიზებულია პრაქტიკულად ევროპის მთელ ტერიტორიაზე, რუსეთის ევროპული ნაწილის ჩათვლით.

ძალიან ახლოს დგას ულუმბოს ერთ-ერთ სახეობასთან. *Trigonella procumbens* (Bess.) Reichenb. - თან, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის მიერ მის წინაპრადაა მიჩნეული.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე ხასიათდება ძლიერი არომატული სურნელით. მშრალი და დაფქვილი ფოთლები გამოიყენება არომატისა და შეფერილობისათვის მწვანე ყველისა და პურის წარმოებაში. ნაყოფები და ყვავილები - მშრალი და დაფქვილი სახით სანელებლად იხმარება.

ნაყოფები შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, ნახშირწყლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, სახამებელს. დადგითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმე, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

**ურაშა – *Poterium sanguisorba* L.**  
**ოჯ. ვარდისებრნი – Fam. Rosaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-60 სმ სიმაღლის მცენარეა, ცილინდრული, ზედა ნაწილში დატოტვილი დეროთი და მძლავრი გამერქნებული ფესურით. ფოთლები ფრთისებრია, მოკლეფუნწიანი. ყვავილი მუქი მეწამულია, წვრილი, შეკრებილია თავაკისებრ მკვრივ ყვავილედებად. ნაყოფი ოთხწახნაგოვანია, მოყვითალო-ლეგა, ბადისებრი ან გლუვი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრიგად გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში, კერძოდ კავკასიასა და საქართველოშიც. იზრდება ლია შშრალ ადგილებში, მდელოებზე, გზის პირებზე, ნათესებში სარეველას სახით.

კულტივირებულია ინგლისში, საფრანგეთში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, რუსეთში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** არომატული მცენარეა. ნორჩი ფოთლები გამოიყენება საკონსერვო და საკვებკონცენტრანტების მრეწველობაში. კულინარიაში ფოთლებს იყენებენ სალათების, წენიანების, პომიდორის, კვერცხისა და თევზეულის კერძებში, სასმელებსა და კოქტეილებში. მოხარშულ ფესურებს ხორცეულის გარნირად იყენებენ. მონდოლეთში ფესვებისა და ფოთლების ნახარშს ჩაის სახით ხმარობენ.

მიწისზედა ნაწილი შეიცავს (%-ში): 12-მდე პროცენტი, 24 - უკრედისს, 48 - უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებებს; ფოთლებში აღინიშნება 261 მგ % C ვიტამინი.

ფესურა ფესვებითურთ ხასიათდება შემკვრელი, სისხლდენის შემაჩერებელი, ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიციდული თვისებებით. დადგენილია ანტისეპტიკური მოქმედება ნაწლავების ჩხირების მიმართ. ნახარში ან თხევადი ექსტრაქტი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას, ნაწლავებიდან, საშვილოსნოდან, თირკმელებიდან სისხლდენების, სტომატიტისა და გინგივიტის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში ნახარში იხმარება თავის ტკივილის, ანგინის, ფილტვების ტუბერკულოზის, კუჭის აშლილობისას; როგორც გარეგანი საშუალება – ჭრილობების შემახორცებლად.

### **ურცი – *Ziziphora serpyllaceae* Bieb.**

**ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ნახევრადბუჩქია 10-30 სმ სიმაღლის; ღეროები მრავალრიცხოვანია, დატოტვილი, გართხმული, წამოწეული ან თითქმის სწორმდგომი, მწვანე ან ოდნავ მეწამული ფერის, დაფარულია მოკლე ბეწვით. ღეროსეული ფოთლები ვიწრო ლანცეტა ფორმისაა ან თითქმის ხაზური, წამახვილებული, კიდემთლიანი, ჩვეულებრივ ორივე მხრიდან შიშველი ან ზოგჯერ

შებუსული. მრავალრიცხოვანი ყვავილები მოკლე ან შედარებით გრძელ საყვავილე ყუნწებზე თავმოყრილია ღეროს ზედა ნაწილში და გვერდითი ტოტების ბოლოებში თავაკისებრ ყვავილედებად, გვირგვინი მოცისფრო-იისფერია. ნაყოფი ცილინდრული ფორმის კაკლუჭა; თესლი მუქი ყვავისფერია, სამწახაგოვანი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად საქართველოს შემდეგ რაიონებშია გავრცელებული: ქართლი, თრიალეთი, ქვემო ქართლი, მესხეთი. აღინიშნება მცირე აზიაში (აღმ. ანატოლია). იზრდება მშრალ, ქვიან, იშვიათად კირქვიან ადგილებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** როგორც სანელებელი, პოპულარულია მაღალმთიანეთში. ბალახი ხასიათდება ფისისებრ-პიტნისებრი სურნელის სასიამოვნო არომატით. მცენარის ნახარში თევზეულს ანიჭებს პიტნისებრ არომატსა და სურნელს; კარგად ესადაგება შემწვარ ცხვრის ხორცსა და ბულიონებს, უმატებენ ხორცის ფარშს. ურცის ბალახი ეთერზეთების მაღალი შემცველობით ხასიათდება, მეტ რაოდენობას შეიცავს ყვავილედები, რამდენადმე ნაკლებს ფოთლები და ძალიან მცირე რაოდენობას – ღეროები. ხალხურ მედიცინაში მცენარე გამოიყენება კუჭის დაავადებებისას და როგორც ამოსახველებელი საშუალება ბრონქიტის დროს.

**უჯანგარი – *Artemisia annua* L.**  
**ოჯ. რთულყვავილოვანი – Fam. Compositeae (Astraceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი 30-100 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა, მწვანე, შიშველი ან გაფანტულად წერილი ბეწვებით შემოსილი. ფოთლები მორიგეობითია, ქვედა - კუნწიანი, ზედა - მჯდომარე, ფოთლის ფირფიტა ორმაგ ფრთისებრაა განკვეთილი, სეგმენტები წაგრძელებულია, ღრმად ფრთისებრ დაყოფილი პატარა ზომის, ლანცეტა ფორმის ნაკვთულებად. კალათები პატარა ზომისაა, 2-3 მმ დოიამეტრის, სფერული, მოკლე წვრილყუნწიანი, მჭიდროდაა განწყობილი გვერდით ტოტებზე და ქმნის გაფარჩეულ-საგველასებრ ყვავილედს; კალათის განაპირა ყვავილები მდედრობითია, ძაფისებრ-მილისებრი, შუათანა ყვავილები მილისებრ-ზარისებრია, ორსქესიანი, კელა ყვავილი სანაყოფეა, ყვითელი ფერის. ნაყოფი წვრილი თესლურაა. ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთში, მცირე აზიაში, აღმოსავლეთ აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ჩრდილო ამერიკაში, კავკასიაში, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, აჭარა, კახეთი, ქართლი).

იზრდება ზღვისპირეთის ზოლში, მდინარეთა ნაპირებზე, მთის შუა

სარტყელში, როგორც სარეველა გზისპირებზე, საცხოვრებელ  
სახლებთან, ბაღ-ბოსტნებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის მიწისზედა ნაწილი  
გამოიყენება არომატული სანელებლის სახით კულინარიულ  
ნაწარმში.


ბალახი შეიცავს სასიამოვნო სურნელის ეთერზეთებს (რომლის  
შემადგენლობაშია - ცინეოლი, პინენი, ბორნეოლი, კამფენი,  
კადინენი, კარიოფილენი, ქაფური, სპირტები, მმრისა და  
ზეთოვანი მჟავები), მთრიმლავ ნივთიერებებს, ასკორბინის  
მჟავას, ალკალოიდებს კვალის სახით.

ეთერზეთებს იყენებენ პარფუმერიასა და საპნის წარმოებაში.  
ექსპერიმენტებით დამტკიცებულია მცენარის ფიტონციდების  
დამთრგუნველი მოქმედება ციმბირის წყლულის განვითარებაზე.

ხალხურ მედიცინაში ბალახი გამოიყენება მალარიის,  
დიზენტერიის საწინააღმდეგოდ და ჭრილობების  
შემახორცებლად.

### ფარსმანდუკი – *Achillea millefolium* L.

ოჯ. რთულფვავილოვანი (ასტრასებრნი) — Fam. Compositae  
(Asteraceae)



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 80 სმ-მდე  
სიმაღლის, მკვეთრი არომატის მცენარეა. ფესურა სქელია,  
მხოხავი, მრავალრიცხოვანი წვრილი ფესვებითა და მიწისქვეშა

ყლორტებით. დერო სწორმდგომია, დაღარული, ბუსუსებით შემოსილი, მარტივი ან ზედა ნაწილში სუსტად დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, ორმაგ ან სამმაგფრთისებრ განკვეთილი, ლეგა-მწვანე, ქვედა მხარეზე - მრავალრიცხოვანი ეთრზეთოვანი ჯირკვლებით; ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ლეროსეული - მჯდომარე. წვრილი, მრავალრიცხოვანი კალათები მოგრძო-კვერცხისებრი ფორმისაა, შეკრებილია მრავალყვავილიან ფარისებრ ყვავილებებად, ლეროების ბოლოებზე ან მის განშტოებებზე; კალათებში განაპირა ყვავილები ენისებრია, ერთ რიგად განწყობილი, მდედრობითი; შუა - მილისებრია, ორსქესიანი; გვირგვინი თეთრია, ვარდისფერი ან ისებრ-ვარდისფერი. ნაყოფი ბრტყელი, მოგრძო ან უკუკვერცხისებრი, უქოჩრო თესლურაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და აზიაში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც. შეტანილია სხვა კონტინენტებზეც. იზრდება ტყის, ტყესტეპისა და სტეპის ზონებში, ტყის მშრალ მდელოებზე, ხეობებში, გზების გასწრივ, უშენ ადგილებში და სხვ.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე ხასიათდება სუსტი არომატით, სასიამოვნო და მწკლარტე გემოვნებით. სანელებლად გამოიყენება ფოთლები და ყვავილები, ლეროების გარეშე. ნედლი სახით იხმარება სალათებში, ხაბა-ხუბასა და გარნირების დასაშადებლად. მშრალ ფხვნილს და ეთერზეთებს იყენებენ ლიქიორ-არყისა და კულინარული ნაწარმის წარმოებაში, ბურახის, მუსის, კომპოტების, კისელის, პურ-ფუნთუშეულის არომატიზაციისათვის. კულინარიაში სანელებლის სახით იხმარება ბოსტნეულ და კარტოფილის წვნიანებში, ხორციან და ბოსტნეულ კერძებში, სოუსების, გარნირებისა და მწარე ნაყენების დასაშადებლად. ხახვთან ერთად ფარსმანდუბს იყენებენ კრემისებრ ყველთან ნაზავში.

მცენარის მიწისხედა ნაწილი ყვავილობის პერიოდში შეიცავს ფლავონოიდებს, ალკალინ ახილეინს, კუმარინებს, აკონიტის მჟავას, მწარე და მთრიმლავ ნიგთიერებებს, ფისებს, ორგანულ

მუკავებს, ინულინს, ასპარაგინს, მინერალურ მარილებს, ასკორბინის მუკავას, ფილოქინონს, კაროტინს, ქოლინს. თესლებში აღინიშნება 21 %-მდე ცხიმზეთბი.

ფოთლები და ყვავილები შეიცავს მოყვითალო-მწვანე ან ლურჯი შეფერილობის ეთრზეთებს (0,85%), რომლის შემადგენლობაშია მონოტერპენოიდები (ცინეოლი, ქაფური, ტუიოლი), სესკვიტერპენოიდები - ახილინი, აცეტილბალზინოლიდი, კარიოფილენი, აზულენი, როული ეთერები, ბორნეოლი, პინენი, ლიმონენი, ტუიონი, ბორნილაცეტატი. ეთერზეთების გარდა შეიცავს სალიცინის, ჭიანჭველას, მძრისა და იზოვალერიანის მუკავებს, K ვიტამინს.

მცენარე ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, ანტიალერგიული და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის მედიცინაში როგორც სისხლდენის შემაჩერებელი და დამამშვიდებელი საშუალება შინაგანი და გარეგანი სისხლდენებისას (ცხვირიდან, საშვილოსნოდან, ფილტვებიდან, კუჭ-ნაწლავიდან, ჰემოროიდალური და სხვა), კოლიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი და სხვადასხვა სახის დაავადებებისას, შარლსადინარი გზების ანთებითი პროცესების დროს; არის შემკვრელი საშუალება კუჭის აშლილობისას. იხმარება ნაყენების, ნახარშებისა და ექსტრაქტების სახით. შედის მაღის გამაუმჯობესებელ, კუჭისა და სასაქმებელ ნაკრებებში.

ხალხურ მედიცინაში ფარსმანნლუქს იყენებენ თეთრი შლის, უძილობის, ათეროსკლეროზის, მალარიის, შარლკენჭოვანი და ღვიძლის ზოგიერთი დაავადების, შარლის შეუკავებლობის, დაათეზის, ნეკრასტენის, ისტერიის, გასტრიტის, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს; ჭრილობების შემახორცებლად და სისხლდენის შემაჩერებლად უხვი მენსტრუაციის შემთხვევაში.

ნედლი წვენი (შინაგანად) ლაქტოგენური საშუალებაა, აფერხებს თირკმელებში და ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნას; გამოიყენება ანემიის დროს, სისხლდენის შემაჩერებლად სხვადასხვა სახის სისხლდენებისას, აწესრიგებს მენსტრუაციას და ხსნის ტკივილებს, შველის გულის ფრიალს, სისხლის

მოზღვავებას და თავბრუსხვევას კლიმაქსის პერიოდში. გარეგანად იხმარება ძნელად შესახორცებელი ჭრილობების, ფურუნკულების, გამონაყრების სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული ტრომბის წარმოქმნისადმი მიღრეკილი ადამიანებისათვის. ხანგრძლივი გამოყენება ან დოზის გადაჭარბება იწვევს თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, კანზე გამონაყარს. მცენარის ნედლი წვენი უკუმაჩვენებელია ფეხმიმე ქალებისათვის.

**ფაჩული – *Pogostemon cablin* (Blanco) Benth.**  
**ოჯ. ტუჩოსანნი – Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ბალაზოვანი, 70-100 სმ სიმაღლისა და დიამეტრის ნახევრადბუჩქია. ღერო ხეშეშია, ბეწვიანი. ფოთლები მოპირისპირეა, ფართო კვერცხისებრი, ძლიერ დაკბილული, ფრთისებრი. ყვავილი თეთრია ან მოთეთრო-იასამნისფერი, მეწამული ლაქებით, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად, რგოლებში თავმოყრილია 10-15 ცალად. ნაყოფი კაკალია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ფილიპინების კუნძულებია. კულტურაში მოჰყავთ ტროპიკულ სარტყელში – იავაზე, სუმატრაზე, რეუნიონის, სეიშელისა და ფილიპინების კუნძულებზე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები ხასიათდება ძლიერი

არომატული სურნელით. გამოიყენება სხვადასხვა სახის პროდუქტების, შენობებისა და ქსოვილების არომატიზაციისათვის; არომატული დანართის სახით - სანთლის ცვილში, მოსაწევ ნაკრებებში, მოსაწევ ჩხირებში; წარმოადგენს ეთერზეთების მიღების წყაროს.

ფაჩულის ეთერზეთების ძირითადი კომპონენტია სესკვიტერპენები. ხასიათდება ბაქტერიციდული თვისებებით და ფართოდ გამოიყენება პარფუმერიასა და არომათერაპიაში (როგორც დამაშვიდებელი და ანტიპელმინტური საშუალება).

**ფორთოხალი — *Citrus sinensis* (L.) Osb.  
ოჯ. ტეგანისებრნი — Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 7-12 მ სიმაღლის ხეა, ეკლიანი ყლორტებით. ფოთლები მარტივია, ვიწროფერთანი ყუნწით, ოვალური, იშვიათად მოგრძო, მახვილი, მუქი მწვანე. ყვავილები მარტოულია ან მცირერიცხოვან მტევნებად ან ფარისებრ ყვავილედებად შექრებილი. ჯამი 0,5 სმ დიამეტრისაა. გვირგვინის ფურცლები თეთრია, 20-25 მტვრიანით. ნაყოფი ნარინჯისფერია, გლუვი ან ხორკლიანი ქერქით, 10 სმ-მდე დიამეტრის. რბილობი მომჟავო-მოტკბოა, ნარინჯისფერი, თესლიანი ან უთესლო. თესლი ხშირად მრავალჩანასახოვანია. ყვ. IV-V; ნაყ. X-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. კულტურაში შეტანილია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალ ერამდე დიდი ხნით ადრე როგორც სამკურნალო მცენარე.

ჩინეთში მოშენებული იყო ახ.წ.-და 2200 წლის წინ. ევროპაში პორტუგალიელების მიერ XV ს-ში ვრცელდება. XVIII ს-დან თანდათანობით იაყრობს მთელ სამხრეთ ევროპას. ამერიკაში, კუნძულ ჰაიტზე მოხვდა 1493 წ. ამერიკაში კოლუმბის მეორე მოგზაურობისას. კულტივირებულია სუბტროპიკული კლიმატის ყველა ქეყანაში. მსოფლიოში ნარგავების საერთო ფართობი 0,5 მილიონ ჰა შეადგინს, მათ შორის პირველი ადგილი უკავია აშშ-ს, მეორე – ბრაზილიას, შემდეგ – ესპანეთს, იტალიასა და იაპონიას. საქართველოში ფორთოხლის მოშენება დიდი ხნის წინათ დაიწყო. თუმცა მისი კულტურა მრავალჯერ წყდებოდა, პერიოდული მკაცრი ზამთრებისა და უამრავი დამპყრობლების თავდასხმების შედეგად. XIX ს-ის 40-იანი წლებიდან კვლავ აღორძინდა ფორთოხლის კულტურა შავი ზღვის სანაპიროზე გაგრილან ბათუმამდე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, არომატული და პოპულარული პროდუქტია მსოფლიოში. ნაყოფებს იყენებენ ნედლი და გადამუშავებული – წვენების, კომპოტებისა და მურაბების სახით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფორთოხლის წვენი, რომელიც რბილობის მსგავს ნივთიერებებს შეიცავს და მშვენივრად შენარჩუნდება. ნაყოფების კანი (ცედრა) გამოიყენება სანელებლად, ცუკატების, უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად, ეთერზეთებისა და მჟავების მისაღებად.

ყვავილებისა და ფოთლებისაგან მიიღება ეთერზეთები, რომლებსაც პარფიუმერიულ წარმოებაში იყენებენ.

რბილობი შეადგინს ნაყოფის წონის 70 %, შეიცავს 6-8 მგ% შაქრებს, 1-2 მგ% ლიმონის მჟავას, ვიტამინებს (C - 65 მგ%, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP, კაროტინის), პიგმენტებს, პექტინოვან ნივთიერებებს, კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის მინერალურ მარილებს. ნაყოფის ქრემი აღინიშნება შაქრები, მცირეოდენი მჟავები, პექტინოვანი ნივთიერებები, ეთერზეთები, P ვიტამინი, ფიტონციდები.

ხასიათდება მაღის აღმძერელი, საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი, მსუბუქი მატონიზირებელი, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი ფარმაკოლოგიური მოქმედებით. აუმჯობესებს საჭმლის მონელებასა და ნაწლავების მოქმედებას, ხელს უწყობს მავნე ნივთიერებების გამოყოფას, ლპობის

პროცესების შემცირებას. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება პიპო და ავიტამინოზების, დაბალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტის, ნიკრისის ქარის, ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, ჰიპერტონიის, ყაბზობის, შარდექნჭოვანი დიათეზის, დიაბეტის დროს, ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკისათვის.

**უკუქმედება:** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, მაღალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტი.

### ფსტა – *Pistacia vera L.* ოჯ. თუთუბოსებრნი – Fam. Anacardiaceae



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 7 მ-მდე სიმაღლის ხეა ან ბუჩქი, მორიგეობითი, კენტფრთართული ტყავისებრი ფოთლებით, რომლებიც შედგება 3-5 ელიფსური ფოთოლაკისაგან. მცენარე ორსახლიანია; ყვავილედი - საგველაა; ყვავილები წვრილია, ერთსქესიანი, მარტივი ერთ - ხუთწევრიანი (9-მდე) ყვავილსაფრით; მამრობითი ყვავილები 5-6 მტვრიანიანია, მდედრობითი - ზედა ნასკიანი ბუტკოთი და სამაღაფოფილი სვეტით ხასიათდება. ნაყოფი - კვერცხისებრი კურკა 2 სმ-მდე სიგრძისა და 1 სმ სიგანის, საკმაოდ თხელი მოწითალო ნაყოფსაფრით (რომელიც ადვილად სცილდება მწიფე ნაყოფებს) და მაგარი შიდა ნაყოფით (კურკა), რომელიც კულტურულ მცენარეებში მომწიფებისას ხშირად სკდება და ჩნდება მასში მოთავსებული მომწვანი თესლი. კაკლის წონა 5,5-15,5 გ, თესლს კაკლის წონის 32-55 % უკავია. ყვ. IV-V; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება შუა აზიაში, ირანსა და ავღანეთში. კულტივირებულია ბუნებრივი არეალის ფარგლებში დაახლოებით 2000 წლის წინათ. ახალი ერის I ს-ში ვრცელდება ეკროპაში, ჯერ იტალიასა და საბერძნეთში, შემდეგ ხმელთაშუაზღვეთის სხვა ქვეყნებში. XIX ს-ში შეტანილ იქნა აშშ-ში, კულტურისათვის განსაკუთრებით შესაფერისი კალიფორნიის კლიმატური პირობები აღმოჩნდა. სადღესოდ შედარებით დიდი ფართობები უკავია იტალიაში, ირანში, ჩრდილო ინდოეთში, თურქეთსა და ერაყში. XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში ვრცელდება სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში. ბუნებრივი არეალის ფარგლებში (შუა აზია) მან ჯერ ვერ ჰქოვა განვითარება, ბოლო ჰქონილში ტაჯიკეთში მიმდინარეობს სამუშაოები ამ მიმართულებით. ნაყოფების ყოველწლიური მსოფლიო მოსავლიანობა შეადგენს 25 ათასამდე ტონას.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი კაკლოვანი კულტურაა. თესლები საკებად გამოიყენება ნედლი, მოხალული და დამარილებული სახით, ტორტების, ნამცხვრების, შოკოლადისა და სხვა საკონდიტრო ნაწარმის წარმოებაში, უმატებენ ყველსა და ძებკვეულს. თესლებიდან მიღებული ზეთი არ ჩამოუვარდება ზეთისხილის ზეთს, გამოიყენება სასურსათო და სამრეწველო წარმოებაში ძვირფასი ლაქის მისაღებად. კოპტონი შინაური ცხოველების საკებად იხმარება. გადამწვარ ნაყოფებს ყავის სუროვატად იყენებენ.

თესლები შეიცავს 68 მგ% ცხიძებს, 17 მგ% ცილებს, B ჯგუფისა და E ვიტამინებს, მიკროელემენტებს (Ca, K, Mn, Cu, Se, Zn), ბიოტინს, ნიაცინს, ტანინებს, ფიტოსტერონებს.

ძველი ქართული წყაროების თანახმად სამკურნალო მიზნებისათვის უმთავრესად იყენებდნენ თესლს, ზეთსა და ქერქს. შარდის შეუკავებლობისას უკეთებდნენ ზეთიან ოყნას; მას ხმარობდნენ გულმკერდის, თირკმელებისა და ხველებით გამოწვეული ტკივილების დროს მტკიცნეული ადგილების დასაზელად; თესლს მიიჩნევდნენ ჭიის საწინააღმდეგო საშუალებადაც.

სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემებისა და შაქრიანი დიაბეტის დროს; სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის დონის დასაწევი ოპტიმალური ნორმაა 15-20 ნაყოფი დღეში. შველის

სასუნთქი სისტემის დაავადებებს, ტუბერკულოზს, პირის ღრუს სხვადასხვა ინფექციებს; ხელს უწყობს ტვინის უჯრედების გააქტიურებას, მხედველობის შენარჩუნებას, ხსნის მუდმივი ფიზიკური დაღლილობის სინდრომებს, ამსუბუქებს ღვიძლს; დადგენილია, რომ 30 გ-მდე მისი მიღება ადამიანს ააცლენს იმპოტენციას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, სიმსუქნეს.

ფოთლები შეიცავს 10 მგ%-მდე მთრიმლავ ნივთიერებებს, რის გამოც გამოიყენება მთრიმლავი ექსტრაქტების (რომელსაც ტყავის წარმოებაში იყენებენ) და სამედიცინო ტანინების მისაღებად. სამედიცინო პრაქტიკაში მას იყენებენ დამწვრობის, წყლულების, ნაწილების, პირის ღრუს ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** დადგენილია, რომ თესლში შემავალი ცილები წარმოადგენს რა მძლავრ ალერგენს, იწვევს კანზე გამონაყრებს, ხველას, საკვებმომნელებელი სისტემის პრობლემებს, რის გამოც დაუშვებელია საკვებად 30 გ-ზე მეტის გამოყენება.

### ქაფურა – *Filipendula ulmaria* (L.) Maxim. ოჯ. გარდისებრნი — Fam. Rosaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 1-2 მ-მდე სიმაღლის, მარტივი ან დატოტვილი ღეროთი. ფოთლები წყვეტილფრთისებრია, ზედა მხარეზე შიშველი, მუქი მწვანე,

ქვემოდან თხლად ქეჩისებრ შებუსული; გვერდითი ფოთოლაკები მცირებიცხოვანია (4-8), დიდი ზომის, კვერცხისებრ მოგრძო, მახვილწვერიანი, მთლიანი ან ოდნავ დანაკვთული; კენტრული ფოთოლაკი გვერდითებზე უფრო დიდი ზომისაა, 3-5 ნაკვთიანი. ყვავილები ხშირია, საგველასებრი, ქეჩისებრ შებუსული ტოტებით; ყვავილები წვრილია, 5-8 მმ სიგრძის, მრავალრიცხოვანი, სურნელოვანი; გვირვინის ფურცლები მოყვითალო-თეთრი ფერისაა. ნაყოფი მრავალი, ერთთესლიანი ფოთლურაა, პატარა ზომის, სპირალურად დახვეული. ყვ. VI-VIII; ნაყ.VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, მცირე აზიაში, მონღოლეთში, შუა აზიაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, კავკასიაში, კერძოდ საქართველოშიც.

იზრდება ჭაობებსა და დაჭაობებულ მდელოებზე, ტენიან ადგილებში, მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე, ქვედა სარტყლიდან მთის ზედა სარტყლამდე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ყვავილების არომატიდან გამომდინარე ჩაის საუკეთესო ნედლეულია. ნორჩ ფოთლებსა და კოკრებს სასალათედ იყენებენ.

სამკურნალო მიზნით ფოთლები და ყვავილები გამოიყენება, ზოგჯერ ფესვებიც. მიწისზედა ნაწილში აღმოჩენილია ასკორბინის მჟავა, ფენოლური ნაერთები, ფენოლგლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ქალკონები, ფენოლკარბონული მჟავები (ყავისა და ელაგენის), კატეხინები, ფლავონოიდები (ჰიპეროზიდი და ავიკულარინი), ეთერზეთები, არომატული შენაერთები (ვანილინი, მეთილსალიცილატი და სალიცინის ალფა-პინი), სტერიოიდები და უმაღლესი ხარისხის მჟავები (სტერინის, ლინოლინისა და სხვ.). ფესვები შეიცავს ასკორბინის მჟავას, კუმარინებს კვალის სახით, ფენოლურ ნაერთებს, ფენოლგლიკოზიდებს (სპირენი, მონოტროპიტინი), მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებსა და ქალკონებს.

მცენარე ხასიათდება საერთოგამაჯანსაღებელი, დამამშვიდებელი, ბაქტერიციდული, სისხლდენის შემაჩერებელი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელი, ნაღველმდენი,

შემქვრელი, შარდმდენი, ოფლმდენი და ანტიპელმინტური მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ფესვების ნახარში გამოიყენება როგორც სედატური, წყლულების საწინააღმდეგო, შემქვრელი, ჭრილობების შემახორცებელი და სისხლდენის შემაჩერებელი საშუალება, დიზენტერიის, ეპილეპსიის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, თირკმელებისა და შარდსადინარი გზების ანთებითი პროცესების დროს.

მიწისზედა ნაწილების ნახარშს იყენებენ ფალარათის შემთხვევაში. ყვავილედების ფხვნილს - ჭრილობებზე, დამწრობებზე მოსაფრქვევად. ყვავილების ჩაი, როგორც შარდმდენი - ნეფრიტის, შარდის ბუშტის დავადებების, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის და კუჭის ტკივილების დროს.

**ქინძი — *Coriandrum sativum L.***  
**ოჯ. ქოლგოსანნი (ნახურისებრნი)**  
**Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა, 40-70 სმ სიმაღლის შიშველი, ზედა ნაწილში დატოტვილი წვრილი ღეროებით; ფესვთანური ფოთლები ამოკვეთილ-დაკბილულია, გრძელყუნწიანი, ზედა – ფრთისებრ განკვეთილი ვიწრო მსხვილ ნაკვთულებად. მცენარე პოლიგამურია, ყვავილები თეთრი ან ვარდისფერია, განლაგებულია რთულ (4-6 სხივიან) ქოლგებად გრძელ საყვავილე ყუნწებზე; ნაყოფი სფეროსებრია, 2-5 მმ

სიგანის, მოყვითალო-მურა, მკვეთრად გამოხატული ძარღვებით.  
ევ. VI-VII; ნაე. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო უცნობია. გაველურებული სახით გვხვდება ეკროპაში, ირანში, კავკასიასა და შუა აზიაში. კულტურაში ხმელთაშუაზღვეთშია შეტანილი, კულტივირებული იყო ძეელ ეგვიპტესა და ძეელ საბერძნეთში 1000 წლით ადრე ა.წ. აღ.-მდე, რაც მტკიცდება ეგვიპტურ აკლდამებში ნანახი ქინძის თესლებით. ასევე უძველესი დროიდანაა კულტივირებული სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში. სადღეისოდ მრავალ ქვეყანაში ამრავლებენ სხეადასხვა მასშტაბით.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ძირითადი ეთერზეთოვანი, ტექნიკური, სანელებელი და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება მწვავე გემოთი, სასიამოვნო, დასამახსოვრებელი არომატითა და მკვეთრი სურნელით. სანელებლად გამოიყენება ფოთლები და ნაყოფები. ნაყოფები შეიცავს 0,2-1,4 მგ% ეთერზეთებსა და 28 მგ% ცხიმოვან ზეთებს. ფოთლებში ეთერზეთების გარდა აღინიშნება ვიტამინები (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, P, კაროტინი), ფლავონოიდები, სტეროიდები, ტრიტერპენოიდები, კუმარინები, ცილები.

ძველ მედიცინაში (ინდოეთი, რომი, საბერძნეთი, შუა აზია) ფართოდ გამოიყენებოდა მწვანილისა და წამლის სახით. ავიცენას თანახმად მისი წევნი აწენარებს ძლიერ პულსაციას, თვალების ძარღვების ფეთქვას, გულის ცემას; უხდება ცხვირიდან სისხლდენას, თავბრუსხევეებსა და გულყრებს; მოხალული თესლი აბრკოლებს გულისრევას და ამშვიდებს მჟავე გულზიდვას.

ინდურ მედიცინაში ქინძის ნაყოფები გამოიყენება როგორც გამაუმტკავენებული, შარდმდენი, კუჭის ჭელების საწინააღმდეგო საშუალება.

ტიბეტურ მედიცინაში - სიცხის დამწევად და წყურვილის მოსაკლავად.

ძველ ქართულ მედიცინაში ქინძის წყალი იხმარებოდა წამლების დასამზადებლად თვალის ტკივილისა და წითელი ქარის სამკურნალოდ; ცხვირიდან სისხლდენისას მოხარშულ ქინძს შუბლზე ადებდნენ, ხოლო ღვინოსა და თაფლში მოხარშულს

ვინც მიიღებდა ყოველგვარი ჭირისაგან განთავისუფლდებოდა. სხვადასხვა დააგადებებისას ურჩევდნენ ქინძით შეზავებული საჭმლის ან შაქრით აზელილი ქინძის ჭამას ან ცივ წყალში გახსნილი ქინძის სმას.

არის საჭმლის მონელების მასტიმულირებელი, სპაზმოლიტური, მეტეორიზმის სამკურნალო საშუალება. ხასიათდება ანტიბაქტერიული, დამამშვიდებელი, ნაღველმდეგი, კრუნჩხევის საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, ამოსახველებელი, შარდმდენი და ფუნგიციდური მოქმედებით.

გამოიყენება ნევრასტენიის, ფალარათის, შარდის ბუშტის სისუსტის, ბუასილის, წყლულოვანი სტომატიტის, ჭრილობებისა და დამწერობების შემახორცებლად, ასევე კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს. ბალაზი იძლევა ჰიპოტენზიურ ეფექტს.

ეთერზეთები, რომლებიც ნაყოფებიდან მიიღება, იხმარება უშუალოდ საპარფუმერიო მრეწველობაში და სხვა არომატული ნივთიერებების სინთეზისათვის.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული ჰირთათვის, ვისაც გადატანილი აქვთ მიოკარდიული ინფარქტი და ტრომბოფლებიტი; ასევე დაუშვებელია ფეხშიმე ქალებისათვის.

### ქოქოსის, კოკოსის პალმა – *Cocos nucifera L.* ოჯ. პალმასებრნი – Fam. Palmae



მორფოლოგია: 15-30 მ-მდე სიმაღლის მცენარეა სწორმდგომი

დეროთი, დაფარულია რგოლური ნაჭდევებით, რაც გამოწვეულია ჩამოცენილი ფოთლების ვაგინის ნარჩენებით. ღეროს ზედა ნაწილში განვითარებული ფოთლები 4-6 მ სიგრძისაა, ფრთისებრ განკვეთილი; ვეგეტაციის მე 5-7 წელს მათ უბეებში ვითარდება რამდენიმე ყვავილედი – რთული საგველა, 1-2 მ სიგრძის. თითოეული ყვავილედი შემოხევეულია ქერქოვანი ვაგინით, რომელიც ყვავილობისას იშლება; ყვავილი ყვითელია, განსხვავებულ სქესიანი; მდედრობითი ყვავილები ყვავილედის ქვედა ნაწილში სხედან, უფრო წვრილი მამრობითი ყვავილები კი ყვავილედის ზედა ნაწილშია თავმოყრილი. ქოქოსის კაკალი კურკაა, 15-30 სმ სოგრძის, მომრგვალო, 1,5-2,5 კგ წონის; ნაყოფის გარეთა გარსი უჯრედისასგან შედგება, რბილია; შიგნითა ნაჭუჭი მაგარია, სამი თესლევირტით, მხოლოდ ერთისგან ვითარდება თესლი, შედგება თეთრი ფერის ხორცოვანი 12 მმ სისქის (რბილობი ან კოპრა) ფენისა და ენდოსპერმისგან, რომელიც დასაწყისში თხევადი და გამჭვირვალეა (კოკოსის წყალი), რბილობიდან გამოყოფილი ზეთის წვეთების წარმოქმნისას, თანდათანობით გადაიქცევა რძისებრ ემულსიად (კოკოსის რქე), რომელიც შემდგომ სქელდება და მყარდება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ქოქოსის პალმის ისტორიული სამშობლო უცნობია; ერთ-ერთი ვერსიით ესაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, მეორეთი – ამერიკის ტროპიკები. სადღეისოდ გავრცელებულია წყნარი ოკეანის ეკვატორიული და ტროპიკული ოლქების სანაპიროებსა და კუნძულებზე. მის ფართო გავრცელებას ხელს უწყობს ნაყოფების აგებულება, რომლებსაც სიმსუბუქისა და წყალშეუღწევადობის გამო შეუძლიათ ხანგრძლივი ღროის მანძილზე ტალღებზე ცურვა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ქოქოსის კაკალს დანის საშუალებით ყოფენ შუაზე და იღებენ ენდოსპერმს, რომელსაც აშრობენ ცხელწყლიან მილებზე. ენდოსპერმის ეს ნახევრები რძისფერია, ჯამისებრი ფორმის, უწოდებენ კოპრას.

გამოიყენება საკვებად ნედლი ან შშრალი სახით, რომელსაც უმატებენ საკონდიტრო ნაწარმსა და ეროვნულ სამელს - კარის. რბილობი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნედლეულს ქოქოსის

ცხიმოვანი ზეთების მისაღებად, იყენებენ საკვებად და მარგარინის დასაშუალებლად. ნორჩი ყვავილების დასერვით ღებულობენ ტკბილ სითხეს, რომელიც 15%-მდე შაქარს შეიცავს, წვენს ან აორთქლებენ და იღებენ კრისტალურ ყავისფერი შეფერილობის პალმის შაქარს, ან დუღილის პროცესის შემდეგ ღებულობენ ღვინოს, მისგან კი ხდიან არაქს. ერთი ხე წელიწადში იძლევა 40-70 ლ პალმის არაქს. კოკოსის კაკლის რბილობი ანუ კოპრა შეიცავს ცხიმებს, ვიტამინებს B, C, მინერალურ მარილებს, ნატრიუმს, კალციუმს, რეინას, კალიუმს, აგრეთვე 5% გლუკოზას, ფრუქტოზას და სახაროზას, ცხიმოვან მჟავებს – ლაურინის, მირისტინის, პალმიტინის, კაპრონის, კაპრინოლის, ოლეინის, ლინოლინისა და სხვ. კოკოსის ზეთი წარმოაღევნს ანთებისა და მიკრობების საწინააღმდეგო მაღალეფექტურ საშუალებას; ხასიათდება კანისა და თმის მკვებავი, დამატენიანებელი და დამარბილებელი მოქმედებით; ანტიოქსიდანტური მოქმედებიდან გამომდინარე, კანს იცავს დაბერებისა და ჭინობისაგან, მზისა და ქარის მოქმედებისაგან – დამწვრობის, კანის სიმშრალის, აქერცვლის, გაუხეშებისას და ა.შ. ხელს უწყობს თმის ზრდას, აძლევს მას ბუნებრივ ბზვინვარებას. გამოიყენება კანის სხვადასხვა დაავადების (ფსორიაზი, ეგზემა და სხვ.) სამკურნალოდ; ხელს უწყობს ორგანიზმიდან მავნე ქოლესტერინის გამოდევნას, არეგულირებს არტერიულ წნევას, აძლიერებს მეტაბოლიზმს; ანტიმიკრობული თვისებებიდან გამომდინარე ახდენს საკვებმომნელებელი ტრაქტის მუშაობის რეგულირებას, ახშობს პათოგენური ბაქტერიებისა და სოკოების განვითარებას; აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ მინერალური ნივთიერებების შეთვისებას, მათ შორის მაგნიუმისა და კალციუმის, ამაგრებს ძვლოვან სისტემას, აძლიერებს იმუნიტეტს, აჩქარებს ჭრილობების შეხორცების პროცესს, თავიდან არიდებს შაქრიანი დიაბეტის წარმოქმნას, აწესრიგებს კუჭქვეშა ჯირკვლის მოქმედებას და ინსულინის სეკრეციას. კარგი საშუალებაა დიარეის სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**ქუბაბა, ქუბაბას პილპილი — *Piper cubeba* L.  
ოჯ. პილპილისებრნი — Fam. Piperaceae**



**მორფოლოგია:** ორსახლიანი ხისმაგვარი ლიანაა გლუვი ცილინდრული ტოტებით; ფოთლები მორიგეობითია, მოკრძო ელიფსური, მიწში გულისებრი და მახვილწვერიანი, დაფარულია გამჭვირვალე ჯირკვლებით. ყვავილები ერთსქესიანია; მამრობითი ყვავილები შეკრებილია ვიწრო ცილინდრულ თავთავებად, შედგება 2-3 მტვრიანისაგან; მდედრობითი — უფრო გრძელ ჩაქინდრულ თავთავისებრ ყვავილებებს წარმოქმნის; ყვავილი შედგება ბუტკოსაგან, სფერული ერთბუღიანი ნასკვისა და მჯდომარე დინგისაგან. ნაყოფი სფერული კენკრაა, მურა ნაცრისფერი, დანაოჭებული ზედაპირით, 3,5-5 მმ დიამეტრის; თესლი განუვითარებელია, არომატული.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო უპირველესად კუნძული იავა, ინდონეზია, ბორნეო და სუმატრაა. კულტივირებულია არეალის ფარგლებში და ანტალიის კუნძულებზე. ევროპელები ქუბებას ვენეციელი ვაჭრების საშუალებით გაეცნენ XIII ს-ში, შემდეგ ასეული წლების მანძილზე გასავლიან საქონლად ითვლებოდა. XIX ს-ში იავაზე მცხოვრებმა ინგლისელმა ოფიცრებმა გაარკვიეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მას სამკურნალოდაც იყენებდა შარდსადინარი

გზების სხვადასხვა ანთებითი დაავადებებისას. მალე დაიწყეს მისი გამოყენება ეკროპულ ფარმაცევტიაშიც.

**სამეცნიერო მნიშვნელობა და გამოყენება:** ცნობილი კლასიკური სანელებელია; წიწაკის სახეობებიდან ყველაზე არომატულია, გამოირჩევა სიმწვავითაც, მას შავ პილბილთან ერთად იყენებენ სხვადასხვაგვარი კერძების შესაკაზმავად.

ხასიათდება ანტისეპტიკური, ანტისპაზმური, ანტივირუსული, ბაქტერიციდული, შარდმდენი, ამოსახველებელი და მასტიმულირებელი მოქმედებით ადამიანის ორგანიზმზე.

ქუბაბასა და მისი ზეთის სამკურნალო თვისებები განპირობებულია მასში არსებული კარიოფილენის, კადინენის, კაბინენის, მწარე ნივთიერებების, ფისების, კუბებინის, პიპერინისა და რიგი სხვა ნივთიერებების არსებობით. ზეთი არატოქსიკურია, არ აღიზიანებს კანსა და ლორწოვან გარსს. წარმოადგენს ზოგიერთი სამკურნალო საშუალების კომპონენტს, იხმარება საპნის, დეზოდორონტებისა და ტუალეტის წყლის წარმოებაში.

ჯერ კიდევ ახალ ერამდე ინდიელები იყენებდნენ შარდსადინარი გზების დაავადებებისას.

სადღეისოდ რეკომენდებულია: მეტეორიზმის, ფიზიკური და ფსიქიური გადაღლილობის, თავის ტკივილების, ნერვული აშლილობის, მაღის დაქვეითების, დეპრესიის, ბრონქიალური ასთმის, ბრონქების ქრონიკული ანთების, ბრონქიტის, ხველების, ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, ყელის ინფექციების, კატარისა და სინუსიტის, შარდსასქესო ინფექციების, ცისტიტის, ურეტრიოტის, პროსტატიტის, გონორეის, დიზენტერიის, გულისრევის, D ვიტამინის ნაკლებობის, ნაბაზუსევის სინდრომის, დაღლილობის, ჰეპატობილიარული სისტემის დარღვევების სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** არატოქსიკურობიდან გამომდინარე, უკუჩვენებები პრაქტიკულად გამორიცხულია.

**ღანძილი — *Allium ursinum* L.**  
**ოჯ. ხახვისებრნი — Fam. Alliaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა, 15-50 სმ სიმაღლის სამწახნაგოვანი უფოთლო ღეროთი, ძირში სიფრიფანა ვაგინით შემოხვეული. ფოთოლი ორია, მოგრძო ან ლანცეტა მოყვანილობის, ნივრის დამახასიათებელი არომატით. ყვავილები ორსქესიანია, შეკრებილია წვეროსეულ, მცირე ყვავილიან ნახევრადსფერულ ქოლგა ყვავილედებად, რომლებიც ყვავილობამდე სიფრიფანა საბურველშია გახვეული. ყვავილსაფრის ფოთლები თეთრია, თავისუფალი ან ძირში შეხორცებული, დაყვავილების შემდეგ ზედევ შერჩენილი. ნაყოფი სფერული, სამწახნაგოვანი კოლოფია, მრგვალბუდიანი, ხშირად თითო თესლით. დაყვავილების შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილი ხმება. ყვ. V-VI; ნაყ. VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბორეალური, დასავლეთ-ევრაზიული სახეობაა. აწერილია კუნძულ გოტლანდიიდან. გავრცელებულია ცენტრალურ ევროპაში (ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, სლოვაკია, გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი, შვეიცარია), ჩრდ. ევროპაში (დანია, ფინეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი), სამხრეთ ევროპაში (რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი), დას. ხმელთაშუაზღვეთში, ბალყარეთში, უკრაინაში, მცირე აზიასა და კავკასიაში

(ჩრდილოეთ კავკასია; სამხრეთ კავკასია: სომხეთი, აზერბაიჯანი).

საქართველოში გვხვდება აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში, მთიულეთში. იზრდება წიფლნარებსა და რცხილნარებში, შედის ტყის ცენოზების შემადგენლობაში გაზაფხულის (IV-V) სინუზიების სახით. იზრდება დიფუზურად ჯგუფებად და მცირე ლაქებად. ეტანება შედარებით ღრმა და ტენიან, ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებს, ირჩევს ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებს.

იშვიათად კულტივირებულია როგორც საბალო მცენარე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ-არომატული მცენარეა, სპეციფიური სუნით და გემოთი. საკვებად გამოიყენება ღერო, ფოთლები, ბოლქვები. ძვირფასი კვებითი ღირებულების გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი ყვავილობამდე, აპრილ-მაისში, მასიურად აგროვებს მცენარის მიწისზედა ნაწილებს, იყენებენ ნედლი სახით სალათებში, წვნიანებში სხვა ბოსტნეულთან ერთად, ამარილებენ, ამწილებენ; მისი გაშრობა არ არის რეკომენდებული, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში სასარგებლო თვისებებს კარგავს.

შეიცავს გლიკოზიდ ალიინსა და ეთერზეთებს, დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას (ფოთლებში - 0,73 მგ%, ბოლქვებში - 0,10 მგ%); რაც უფრო მაღალ მთებში იზრდება, მით უფრო მეტია მათში C ვიტამინის შემცველობა. ეთერზეთების შემადგენლობაში (რომელიც ნივრის ეთერზეთების იდენტურია), შედის ალილსულფიდები და ალილპოლისულფიდები, ვინისულფიდი, მერკაპტანი და დაუდგენელი აგებულების ალდეპიდი; აღნიშნება ცილები, ნახშირწყლები (ფრუქტოზა), მინერალური მარილები, ფიტონციდები, ლიზოციმი, კაროტინი.

უძველესი სამკურნალო და საკვები მცენარეა; არქეოლოგიური გამეცვლევებით, ნეოლითის ეპოქის დასახლებებში ალპების წინამთანეთში ხშირად ნახულობენ დანძილის კვალს, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მას 5000 წლის წინათ იყენებდნენ. ხასიათდება ბაქტერიციდული, ფუნგიციდური, ანტიმიკრობული, პროტისტოციდული, ბაქტერიოსტატიკური და ძლიერი

ანტიბიოტიკური, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი, ჭიისმდენი მოქმედებით.

ძველ სამედიცინო ტრაქტატებში ნახსენებია როგორც კარგი დამცავი საშუალება შავი ჭირის, ქოლერისა და სხეა გადამდები ინფექციური დაავადებებისას. ძველ რომში და შუა საუკუნეებში მიიჩნევდნენ სისხლის გამწმენდად, ასევე ძველი დროიდანვე ცნობილი იყო ანტისკლეროზული მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ათასეული წლების მანძილზე გამოიყენება ნივრის მსგავსად. ღანძიოლის მწვანე მასა გაზაფხულზე წარმოადგენს ასკორბინის მჟავის ბუნებრივ წყაროს; რეკომენდებულია სურავანდის, ავიტამინოზის, კოლიტის, კვების მონელების დარღვევის, უმაღლებისა და კუჭის აშლილობის, კუჭნაწლავის კატარის, განსაკუთრებით ინფექციური ბუნების, ფილტვის ტუბერკულოზის, ათეროსკლეროზის, მაღალი არტერიული წნევისა და მასთან დაკავშირებული წუხილის დროს - თავბრუსხვევა, უძილობა. კარგად მოქმედებს გაციების, ხველების, ბრონქიტის დროს, ხასიათდება ჭიისმდენი მოქმედებითაც.

მზადდება პრეპარატი ”ურზალი“ და მაღამო ”ურზალინი“, რომლებიც გამოიყენება ტრიქომონადული კოლპიტების, ნაწოლების, ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების დროს.

**უკაქტედება:** დიდი რაოდენობით მიღება (15-20 ფოთოლი) იწვევს თავის ტკივილს, უძილობას, კუჭის აშლილობას, წყლულის გამწვავებას.

**ყავის ხე — Coffea arabica L.**  
**ოჯ. ენდროსებრნი — Fam. Rubiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქია ან მცირე ზომის 4-5 მ-მდე სიმაღლის ხე. ქერქი თხელია, მონაცრისფრო-ყავისფერი შეფერილობის. ფოთლები მოკლე ყუნწიანია, მოპირისპირედ გახლაგებული, მსხვილი, პრიალა, ტყავისებრი, მუქი მწვანე, სუსტი ტალღისებრი კიდეებით. ყვავილი მცირე ზომისაა, უბისეული, მოთეთრო-კრემისფერი, სასიამოვნო სურნელის, ჩვეულებრივ ყვავილედებად შეკრებილი. მწიფე ნაყოფი წითელი შეფერილობისაა, ალუბლისმაგვარი ფორმის და სიდიდის, თითოეულ კოლოფში მოთავსებულია ერთმანეთთან ბრტყელი მხრიდან მიკრული ყავის 2 მარცვალი. ერთი ხიდან ყოველწლიურად მიიღება 3 კგ-მდე მარცვლეული.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ ეთიოპიას მიიჩნევენ. მცენარის არაბული სახელი “კახვა” ნიშნავს “ღვინოს”. ლეგენდის თანახმად, მწყემსმა ყურადღება მიაქცია თხებს, რომლებიც სიამოვნებით მიირთმევდნენ ყავის ბუჩქის ნაყოფებსა და ფოთლებს, ამასთან ცხოველები უფრო მოძრავი და აქტიურები ხდებოდნენ. ყავის ხის ამ საოცარი ოვისებით დაინტერესდნენ ბერებიც, რომლებმაც დაიწყეს ფოთლების ნახარშის გამოყენება, რათა მხნედ ყოფილიყვნენ დამის ლოცვების დროს.

ეთიოპიადან მცენარე მოხვდა არაბეთში, სადაც მეტად პოპულარული გახდა. 1604 წელს ყავის მარცვლები ვენეციელმა ვაჭრებმა ევროპაში შეიტანეს. ამჟამად კულტივირებულია მრავალ სუბტროპიკულ და ტროპიკულ ქვეყანაში. ყავის მსხვილ

მწარმოებლად ითვლება ინდონეზია, ბრაზილია, ეთიოპია, კოლუმბია, მექსიკა, ინდოეთი და გვატემალა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ყავის ახლად შეგროვილი მარცვლები უსუნო და უფეროა. მხოლოდ მოხალვის შემდეგ იძენს სასიამოვნო არომატს, გემოსა და ყავისფერ შეფერილობას. ამ პროცესის შედეგად ხდება მარცვლებში შემავალი შაქრის კარამელად გარდაქმნა და ფერის შეცვლა. სამრეწველო მასშტაბში ყავის მოხალვა მიმდინარეობს  $200^{\circ}$  C-ის ტემპერატურაზე სულ რამდნიმე წუთით, რის შემდეგაც ხდება სწრაფი გაციება, რათა არ მოხდეს არომატული ნივთიერებების აქროლება. სითბური დამუშავების შემდეგ არომატიც და გემო შენარჩუნდება ერთ თვემდე, ხოლო დაფქვილი ყავა თავის თვისებებს კარგავს 10 დღეში.

ყავისგან შეადგება პოპულარული მატონიზირებელი სასმელი; დილით მისი მიღება ახალისებს, ამხნევებს ადამიანს, ამაღლებს შრომისუნარიანობას და ააქტიურებს გონებრივ მოქმედებას. გამოიყენება ჰიპოტონიის დროს.

მარცვლებს სანელებლის სახით იყენებენ კრემებში, ნამცხვრებში, ნაყინში.

ყავის მარცვალი შეიცავს ცხიმებს (12%), შაქარს (8%), ცილებს (13%), კოფეინს ( $0,65\text{--}2,75\%$ ), ტრიგონელინს, მინერალურ მარილებს; მოხალულ თესლებში დამატებით აღინიშნება ფენოლური ნაერთები, ვიტამინები PP და ჰირიდინი, მმრის მჟავა.

ნედლი ფოთლების ნაყენს ხმარობენ თავის ტკივილის, ციებ-ცელების, ართრიტების, ნიკრისის ქარის და ყივანახველის დროს.

**უკუქმედება:** ყავის მარცვლების ნახარში არ შეიძლება მიღებულ იქნეს ჰიპერტონიული, ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას. მასში შემავალი კოფეინი ალკალოიდია, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ორმაგ მოქმედებას ახდენს; ერთის მხრივ მცირე დოზებში იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას, დიდ დოზებში კი ძალ-ღონის დაჭვებითებას, ადამიანი ხდება გულფიცხი, ნერვიული. ყავის შემცველი ორგანული მჟავები აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას, ზრდის მჟავიანობას. ამიტომ სიფრთხილე მართებთ კუჭის წყლულისა და გასტრიტით დაავადებულებს.

**ევანჩალა – *Stachys sylvatica* L.  
ოჯ. ტუჩოსანი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 35-120 სმ-მდე სიმაღლის აღმავალი, ზედა ნაწილში დატოტვილი დეროებით. ღეროსეული ქვედა ფოთლები ყუნწიანია, კაერცხისებრ-გულისებრი, წაწვეტებული, დაღარულ-დაკბილული, 10-12 სმ სიგრძისა და 6,5-7,5 სმ სიგანის; წვეროსეული ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო კაერცხისებრიდან მოგრძო ლანცეტტამდე, კიდემთლიანი, ზედა მხრიდან - ბაცი მწვანე, ქვედა მხარეს - ლეგა-მწვანე. ყვავილები 2-მრავალყვავილიან რგოლებადაა განლაგებული და მოგრძო ყვავილედებად შეკრებილი; გვირგვინის ფურცლები მუქი წითელია, შუა ნაკვთზე მუქი მეწამული ლაქებით. ნაყოფი მუქი-მურა, გლუვი, ფართო კაერცხისებრი კაკალია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთის მხარეს, ჩრდილო ანატოლიაში, ჩრდილო ირანში, ცენტრალურ აზიაში (ჰიმალაის დასაწყისი), აღმ. აზიის ჩრდ.-დას. ნაწილში, კავკასიაში, კონკრეტულად საქართველოს ყველა რაიონში.

იზრდება ტყეებში, ტყის პირებზე, მდელოებსა და ხეობებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ყვავილედი და ფოთლები გამოცდილია და დაშვებული სანელებლად თევზეულის წარმოებაში.

მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს ბეტაინის შენაერთებს – სტახიდრინს, ბეტონიცინს, ტურიცინს, ტრიგონელინს, აგრეთვე ქოლინს, ალენტოინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ეთერზეთებს, ასკორბინის მჟავასა და ორგანულ მჟავებს.

წარსულში იყენებდნენ ნიკრისის ქარის, კუჭისა და ღვიძლის დაავადებების დროს. კლინიკური გამოკვლეუებით დადგენილია, მისი დადებითი მოქმედება საშვილოსნოდან სისხლდენისას; მცენარის მიწისზედა ნაწილი, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში, ხასიათდება პემოსტატიკური მოქმედებით. ყვანჩალას პრეპარატები იწვევს სედატურ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აქვეითებს არტერიულ წნევას, ამაღლებს ტონუსს და აძლიერებს საშვილოსნოს შევიწროებას. იყენებდნენ სამეანეო-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში მშობიარობის შემდეგლროინდელ პერიოდში (სისხლდენებისა და საშვილოსნოს ათონიის), აგრეთვე სხვა წარმოშობის სისხლდენებისას.

ხალხურ მედიცინაში მცენარის მიწისზედა ნაწილი გამოიყენებოდა ისტერიის, ეპილეპსიის, ანთების საწინააღმდეგოდ და სისხლდენის შემაჩერებლად.

### ყვითელი კოჭა – *Curcuma longa L.* ოჯ. ჯანჯაფილისებრნი — Fam. Zingiberaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 90 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, მორიგეობით განლაგებული მარტივი, მომრგვალო ფოთლებით; ტუბეროვანი ფესურა 4 სმ-მდე

დიამეტრისაა, ინვითარებს მრავალრიცხოვან, ყვითელი შეფერილობის გვერდით ყლორტებს — ძირითად სამკურნალო ნედლეულს. ფესვთანური ფოთლები გრძელია, მახვილი წვერით. საყვავილე ღეროს შუა ნაწილში ვითარდება ყვითელი ფერის ყვავილები. ნაყოფი კოლოფია რამდენიმე თესლით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოჩინეთია. კულტივირებულია ინდოეთში, კამბოჯაში, ცეილონზე, ინდონეზიაში (იავა), სამხრეთ ჩინეთში, ფილიპინებზე, მადაგასკრისა და კუნძულ რეიუნიონზე, კარიბის აუზის ქვეყნებში (გამ्तი), სამხრეთ კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ინდოეთში როგორც სანელებელი 2500 წელზე მეტია რაც ცნობილია და დღესაც სანელებლებს შორის პირველი აღგილი უკავია. ა.წ.აღ-ის I საუკუნის ბოლოს ძელ საბერძნეთში იქნა შეტანილი, ბევრად მოგვიანებით კი ევროპაში. სანელებლად გამოიყენება გვერდითი გრძელი ფესვები, ხასიათდება სუსტი მწვავე, ოდნავ მომწარო გემოთი, თავისებური, სასიამოვნო, ნაზი სურნელით.

შეიცავს ვიტამინებს (C, K, B, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>), მინერალურ მარილებს, ანტიოქსიდანტებს, ეთერზეთებს, კურკუმინს და სხვ. ფართოდ გამოიყენება კულინარიაში.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, შინაგანი სისხლდენების, თირკმელებისა და კუჭის დაავადებების სამკურნალოდ, მადის აღმმრელ და საკვების მონელების გამაუმჯობესებელ საშუალებად.

ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, დეტოქსიფაციური, ანტისეპტიკური, ნაღველმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, ანალგეტიკური მოქმედებით. ბრწყინვალე ბუნებრივი ანტიბიოტიკია. მისი გამოყენებისას იზრდება ნაწლავების ფლორის აქტიურობა და უმჯობესდება საკვების მონელება. საჭმელში დამატებული ყვითელი კოჭას სანელებელი ხელს უწყობს ნაღვლისა და კუჭის წევნის გამოყოფას, მადის აღმრას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, სისხლში ქოლესტერინის დონეს.

სასარგებლოა მისი გამოყენება შემდეგი დაავადებებისას: შაკიკი, წყლულოვანი კოლიტი, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებები,

ართოიტი, შაქრიანი დიაბეტი, გაციება, გრიპი, ხველება, ფარინგიტი, ათეროსკლეროზი, ქრონიკული ფალარათი, მეტეორიზმი, ღრძილებიდან სისხლდენა.

ნედლი ფესვების წვენს იყენებენ სისხლდენის შემაჩერებლად, ჭრილობების შემახორცებლად, დაჟეილობის, წურბელების, მორიელის, გველის ნაკერნების, გამონაყრების შემთხვევაში. ყვითელი კოჭას პასტა იხმარება ყვავილისა და ჩუტყვავილას ავადმყოფობის დროს, რათა დააჩქაროს კანის გამოშრობისა და ქერქის წარმოქმნის პროცესი, აგრეთვე ეგზემის, სირსველის, ლიქენის, წყლულების, პარაზიტებით გამოწვეული კანის სხვა დაავადებებისას. თანახმად ძველი ინდური ხელნაწერებისა, ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად 40 გ ფხვნილის შარდთან ნაზავში მიღება შველის კეთრსაც. ხელს უწყობს თმის ძირების გამაგრებას, თმას უბრუნებს ბრწყინვალებას.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული 2 წლამდე ბავშვებისათვის.

### შავი კარდამონი – *Amomum subulatum* Boxb. ოჯ. ჯანჯაფილისებრნი – Fam. Zingiberaceae



**მორფოლოგია:** ნამდვილი კარდამონის მონათესავე მცირე ზომის ხეა. ფოთოლები ფართო ლანცეტაა, გრძელი (50-60 სმ). ყვავილი მარტივ ყვავილსაფრიანია, შუბისებრი, გვირგვინის თეთრი ფურცლებით, შეკრებილია მცირე ზომის მტევნისებრ ყვავილედებად. მწიფე ნაყოფი ყავისფერი, მსხვილი კოლოფია

შავი თესლებით; მათი გასკდომის თავიდან ასაცილებლად აგროვებენ მოუმწიფარ ნაყოფებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია მთიან რეგიონებში ცენტრალური აფრიკიდან ვიეტნამდე, აგრეთვე პიმალაიდან სამხრეთ ჩინეთამდე.

ძელი შემატიანების თანახმად შავი კარდამონი, ეს “უნაზესი” სანელებელი ბაბილონის დედოფლის სემირამიდას სავარელი სანელებელი იყო და მოჰყავდათ მის ცნობილ დაკიდებულ ბაღებში.

შუა საუკუნის მეაფთიაქები მყიდველებს არწმუნებდნენ, რომ არ არსებობს დაავადება, რომელსაც კარდამონი არ კურნავს და საიდუმლოდ ინახავდნენ მის საფუძველზე დამზადებულ რეცეპტებს, ხოლო ჩინელები დღესაც იმ სანელებლად მიიჩნევენ, რომელსაც სიბრძნე მოაქვს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი უძველესი სანელებელია. ნაყოფები ხასიათდება საკმაოდ სასიამოვნო არომატით (ბოლისა და ქაფურის მსუბუქი ელევრით) და რთული გემოვნებით. კულინარიაში მისი გამოყენების სფერო მეტად ნაირგვარია. სანელებლის არომატის სრული გახსნისათვის აუცილებელია ხანგრძლივი თერმული დამუშავება. განსაკუთრებით პოპულარულია ჩრდილოეთ ინდოეთის სამხარეულოში, იქ მას უმატებენ პრაქტიკულად ყველა ტრადიციულ სანელებელს, სადღესასწაულო ბრინჯის კერძებს. ხშირად ხმარობენ ძეხვეულის არომატიზაციისათვის. მისით კაზმავენ ნაირგვარ სასმელებსაც, მაგ.: საფრანგეთში უმატებენ - ლიქიორებს, ინდოეთში - გამაგრილებელ მჟავე რძის სასმელებს, ჩინეთში - ჩაის. ძალიან ხშირად აზავებენ დესერტებსა და ნამცხვრებს. არც ერთი აღმოსავლური ტყბილეული არ მზადდება შავი კარდამონის გარეშე. დარიჩინთან და ანისულთან ერთად სასიამოვნო არომატს ანიჭებს მწვანე კაკლის, მსხლის, კომშისა და ქლიავის მურაბებს. უხდება ხორციან კერძებსაც, რომელშიც მისი თბილი ბოლისებრი არომატი კი არ დომინირებს, არამედ სხნის და აძლიერებს სხვა პროდუქტების გემოვნებას.

კარდამონი აძლიერებს მაღას, რეკომენდებულია ასთმისა და შაკიკის დროს. ხასიათდება სიცხის დამწევი, ანთების

საწინააღმდეგო, ჭიისმდენი, მატონიზირებელი, გამაგრილებელი და გამათბობელი, შემკვრელი, შხამებისა და ტოქსინების გამაუვნებელი მოქმედებით.

გამოიყენება კუჭის აშლილობის, საკვების მონელების დარღვევების, ჭვლების, მუცლის გაბერვის, ვირუსული, ინფექციური დაავადებების, მაღალი სიცხის, ციებ-ცხელების, მაღარიის, ხველების, გულის რევისა და პირდებინების, ელენთის გადიდების, მსხვილი ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ. იყენებენ კოსმეტოლოგიაშიც.

**ჟაჟექმედება:** შავი კარდამონი უკუმაჩვენებელია წყლულოვანი დაავადებების დროს. დიდი რაოდენობით მიღება არ არის რეკომენდებული ფეხმიმე ქალებისათვის.

**შავი მდოგვი – *Sinapis nigra* (L.) W.D.J.Koch  
ოჯ. ჯვაროსანნი – Fam. Cruciferae (Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 30-100 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, დატოტვილი, შიშველი, ქვედა ნაწილში ფოთლებთან ერთად გაფანტული ბეწვით დაფარული დეროთი. ტოტები წვრილია, მათ უბეებში ანთოციანური ლაქები

აღინიშნება. ფოთლები ყუნწიანია, მწვანე; ქვედა - ჩანგისებრია, წერზე ღრმად ამოკვეთილ-დაკბილული ნაკვთებით; ზედა - ლანცეტაა, კიდემთლიანი. ყვავილი წვრილია, შეკრებილია მეჩხერ მტევნისებრ ყვავილედებად; გვირგვინის ფურცლები ბაცი-ყვითელი ან კაშკაშა ყვითელია. ნაყოფი ოთხწახნაგიანი, სწორმდგომი, ღეროსთან მიკრული, ხაოიანი ჭოტია, 1-2,5 სმ სიგრძის. სარეპტის მდოგვისაგან განირჩევა მიტყუპებული ჭოტებითა და მუქი-წითელი-მურა ფერის სფერული თესლით, რომელიც 1,0-1,6 მმ დიამეტრისაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სახეობა აწერილია ევროპაში. სამშობლოდ ითვლება ხმელთაშუაზღვეთი. ველურად გავრცელებულია ევროპისა და აზის მთელ ტერიტორიაზე, აფრიკის ჩრდილოეთით.

იზრდება მდინარეების ნაპირებზე, დანაგვიანებულ ადგილებში. კულტივირებულია ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, რუმინეთში, თურქეთში, ინდოეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ნორჩი ფოთლები გამოიყენება სანელებლად სხვადასხვა კერძებში. მწვანე ფოთლები, ღერო, ყვავილები და თესლების ფხვნილი კავკასიაში ყველის შესაკაზმავად იხმარება.

თესლიდან მიიღება ეთერზეთები, რომლის შემადგენლობაშია ალილმდოგვის ზეთი, ალილციანიდი და გოგირდნაზშირბადი. შეიცავს აგრეთვე ცხიმოვან ზეთებს.

ცხიმოვანი ზეთები გამოიყენება საკვები და ტექნიკური მიზნებისათვეს, ცხიმგაცლილები კი იხმარება საუკეთესო ხარისხის სუფრის მდოგვის მისაღებად და მედიცინაში მდოგვის საფენების დასამზადებლად. საფრანგეთში შავი მდოგვისაგან შზადღება მთელ მსოფლიოში ცნობილი დიჟონის მდოგვი.

მდოგვის ზეთი და მდოგვის საფენები გამოიყენება როგორც ადგილობრივ-გამაღიზანებელი საშუალება ფილტვების ანთების, ბრონქიტის, ნეკრალგიებისა და რევმატიზმის დროს.

**შავი პილპილი – *Piper nigrum* L.  
ოჯ. პილპილისებრნი – Fam. Piperaceae**



**მორთოლოგია:** ტროპიკული მერქნოვანი ლიანაა, რომელიც საჰაერო ფესვებით ემაგრება საყრდენს. ფოთლები გულისებრია ან კვერცხისებრი, მახვილი წვერით. ყვავილები მოთეთრო-მომწვანო ფერისაა, უსახური, წვრილი, შეკრებილია ფაშარ მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი წვნიანი სფერული კურკაა, პირველად მწვანე, მომწიფებისას ჯერ წითლდება, ბოლოს ყვითლდება. აგროვებენ მოუმწიფებლებს, აშრობენ შზეზე, სადაც ხდება მათი გაშავება და რბილობის დანაოჭება, სურნელოვანი სუნისაა და ძლიერ მწვავე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროა – მაღლაბარის ოლქი (ამჟამად კერალა), რის გამოც ზოგჯერ „მაღლაბარის კენკრას“ უწოდებენ. ინდოეთში უძველესი დროიდანაა კულტივირებული. ძველ დროშივე კარგად იცნობდნენ ჩინეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში. შუა საუკუნეებში ევროპის კულინარიაში, მიუხედავად მაღალი საფასურისა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სანელებელს წარმოადგენდა. იმ დროისათვის ევროპაში პილპილის შემოტანის მონიპოლია გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს ეკავათ. ამჟამად უმსხვილესი მწარმოებლებია ინდოეთი, ინდონეზია და ბრაზილია (რომლებიც წელიწადში 40 ათას ტონას აწარმოებენ), კულტივირებულია აგრეთვე იავაზე, შრი-ლანკაზე, კალიმანტანში, სუმატრასა და სხვა მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი მწვანე მარცვალია, შავ ფერს ღებულობს დამუშავების პროცესის შემდეგ. გადამუშავების ხერხებიდან გამომდინარე მიიღება თეთრი, მწვანე და წითელი ფერის მარცვლები.

სანელებლებს შორის შავი პილპილი მსოფლიოში ყველაზე ფართოდა გავრცელებული. კლასიური სანელებლების რიცხვს მიეკუთვნება. მას “სანელებლის მეფესაც” უწოდებენ. კულინარიაში გამოიყენება როგორც მთლიანი, ასევე დაფქვილი სახით.

USDA Nutrient Database – ის მონაცემებით 100 გ შავი პილპილი შეიცავს: წყალს-12,5 გ, ცილები-10,4 გ, ცხიმები-3,3 გ, ნახშირწყლები-38,6 გ, უჯრელისს-25,3 გ, ნაცარს-4,5 გ, ვიტამინებს: A-310 მგ, B<sub>1</sub>-0,11 მგ, B<sub>2</sub>- 0,18 მგ, B<sub>3</sub>- 1,143 მგ, B<sub>5</sub>- 1,4 მგ, B<sub>6</sub>- 0,291 მგ, B<sub>9</sub>.17 მგ, C -21 მგ, E -1,04 მგ, K - 163,7 მგ, ქოლინი - 11,3 მგ. მაკროელემენტებს: K- 1329 მგ, Ca-443 მგ, Mg -171 მგ, Na-20 მგ, P -158 მგ; მიკროელემენტები: Fe-9,71 მგ, Mg - 12,75 მგ, Cu -1,33 მგ, Se - 4,9 მგ, Zn - 1,19 მგ, F-34,2 მგ.

შავი პილპილი უძველესი დროიდან გამოიყენება სამედიცინო მიზნებისთვისაც. ძველი ონდოეთის ექიმები მას ხმარობდნენ ხველების, გრიპის, ანგინის, ასთმის დროს და როგორც ტკივილგამაფუჩქებელ საშუალებას. ხოლო ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის მოღვაწეებს - დემოკრიტეს, პიპოკრატესა და პლინიუს უფროსს საკუთარ შრომებში აღწერილი აქვთ მისი სამკურნალო თვისებები.

შავი პილპილი ხასიათდება საერთო გამაჯანსაღებელი, ტკივილგამაფუჩქებელი, ბაქტერიციდული, ანთების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი, ჭიისმდები და შარლმდენი მოქმედებით, აძლიერებს სტრესებისადმი მდგრადობას და აწესრიგებს საკვების მონელებას, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და ენდოკრინული სისტემების მოქმედებას. მის შემდგენლობაშია ალკალიიდი კაპსიცინი, რომელიც გამოირჩევა დამახასიათებელი მწვავე გემოთი, იწვევს მაღის აღძვრას, ასტიმულირებს მეტაბოლიზმს, აწესრიგებს კუჭისა და კუჭჭეშა ჯირკვლის მოქმედებას, ამცირებს არტერიულ წნევას, ათხელებს სისხლს, აფერხებს ტრომბის წარმოქმნას.

**რეკომენდებულია:** დაღლილობის, დეპრესიების, სტრესის, უძაღლობის, ქრონიკული კუჭის მოუნელებლობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, სიმსუქნის, ვიტილიგოს, მაღალი ტემპერატურის, ციებ-ცხელებისა და გაციების დროს.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ანემის, შარდის ბუმტისა და თირკმელების მწვავე ანთების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ოპერაციების შემდგომ პერიოდებში, ასევე ინდივიდუალური შეუთავსებლობის დროს.

### **შამბალილა, ულბო – *Trigonella foenum- graecum L.*** **ოჯ. პარკოსანნი — Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მომრგვალოა, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, მახვილწვერიანი, სამნაკვთიანი. ნაყოფი – 10 სმ სიგრძის ხმლისებრი პარკია, 5-20-მდე, წვრილი, ბრტყელი, მოყავისფრო თესლით. ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, თურქეთში, ერაკში, ირანში, შუა აზიაში, ეგვიპტესა და ეთიოპაში. ფართოდაა კულტივირებული თითქმის ყველა ქვეყანაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე ხასიათდება ინტენსიური სასიამოვნო სურნელით. მისი თესლები შეუცვლელია ინდურ, ისევე როგორც აზისა და კავკასიის ხალხთა სამხარეულოში, მრავალი კერძის მოსამზადებლად. ნორჩი ყლორტები სანელებლად გამოიყენება ხორციან კერძებში და ყველის წარმოებაში; შედის აგრეთვე ნაკრების “ზმელი სუნელის” შემადგენლობაში.

ეგვიპტეში დიდი პოპულარობით სარგებლობს თესლებიდან დამზადებული ე.წ. ყვითელი ჩაი – “ზელბა”. ეს არომატული, სასარგებლო და გემრიელი სასმელი ამავდროულად ხასიათდება გამათბობელი, ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით; ყვითელ ჩაის გემოვნების მიხედვით უმატებენ რძეს, ლიმონს, ჯავჭს, ნატურალურ თაფლს და სხვ.

სამკურნალო ნედლეულს ბალაზი და თესლები წარმოადგენს. შეიცავს ნიკოტინის მჟავას, რუტინს, სტეროიდულ საპონინებს, ფიტოსტეროლებსა და ფიტოსტერინებს, ფიტოექსტროგენებს, ფლავონოიდებს, ლორწოს, მწარე ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, ცილებს, ტანინებს, ვიტამინებსა (A, C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>9</sub>) და ენზიმებს, ალკალიოდ ტრიგონელინს, ქოლინს, ლეციტინს, გალაქტომანინს, სტეროიდებს – დიოსეგნინს, გიტოგენინს, ტიგოგენინს, გლიკოზიდებს – დიოსცინსა და იამოსცინს; აგრეთვე სახამებელს, ნახშირწყლებს, შაქრებს, ანტიოქსიდანტებს და ანთების საწინააღმდეგო შენაერთებს, როგორიცაა - აპიგენინი, გენისტეინი, კემპფეროლი, კვერცეტინი, რუტინი, სელენი და სუპეროქსიდისმუტაზა.

ხასიათდება ამოსახველებელი, ლორწოს დამშლელი, შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორციებელი, დამაშშიდებლი, შემომგარსავი, ლაქტოგენური, სპაზმოლიტური, მატონიზირებელი, საერთოგამაჯანსაღებელი, აღმდგენი მოქმედებით; არის აფროდიზიაკი, სიცხის დამწევი; ლიმფური სისტემის საშუალებით ორგანიზმიდან დევნის ტოქსინებსა და ალერგიებს; ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, ამაღლებს ჰემოგლობინის დონეს, აქვეითებს სისხლის წნევას.

უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება; ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ სიცხის დამწევ და მატონიზირებელ საშუალებად, მშობიარობის შემამსუმბუქებლად და ლაქტაციის

გამაძლიერებლად; ინდოეთში — წყლულოვანი დაავადებებისა და ქალის ორგანიზმის გამაძლიერებლად; ჩინელი ექიმები ხმარობდნენ თიაქარის, ციებ-ცხელების, შარდის ბუშტის, ნაწლავებისა და ფილტვების დაავადებების, კუნთებისა და მუცლის ტკივილებისა და იმპოტენციის დროს; შამბალილას სამკურნალო თვისებებს მაღალ შეფასებას აძლევდა ჰიპორატუ; ევროპაში, IX ს-დან დაწყებული, ფართოდ გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში ჭრილობების, რესპირატორული და კუჭის დაავადებების, ციებ-ცხელების, მტკივნეული მენსტრუაციის დროს; ჩრდილოეთ ამერიკაში კოლონისტები იყენებდნენ ქალის დაავადებების სამკურნალოდ და ა.შ. ამჟამად სამედიცინო პრაქტიკაში თესლების ნახარში რეკომენდებულია: დიზენტერიის, კუჭის მოუნელებლობის, ქრონიკული ხველების, ალერგიული დაავადებების, ბრონქიტის, გრიპის, წყალმანკის, კბილის ტკივილების, ნევრასტენიის, ართრიტების, ხერხემლის რადიკულიტის სამკურნალოდ. მას უნიშნავენ წონის დაკარგვის, მძიმე ოპერაციების შემდგომ, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ტუბერკულოზის, ფილტვებისა და ელენთის დაავადებების, გაციების, ხველების დროს; იყენებდნენ მადის გამაძლიერებლად, ვიტამინ PP-ს ნაკლებობისას.

დაქუცმაცებული თესლები გარეგანად მალამოებისა და საფენების სახით გამოიყენება კანის დაავადებების (ეგზემა, წყლულოვანი ჭრილობები, ფურუნკულები, ჩირქეროვები, მუწუკები) სამკურნალოდ.

სადღეისოდ სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება შამბალილას აღმონაცენი, ხასიათდება მიზანმიმართული გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური მოქმედებით. შეუცვლელია ანემიის, ორგანიზმის გამოფიტვის, ნევრასტენიის დროს; აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, იცავს გულს დაავადებებისაგან, ეფექტურია ლამბლიოზთან საბრძოლველად, ხელს უწყობს ნაწლავების მიკროფლორის გაჯანსაღებას, თრგუნავს პათოგენურ მიკროორგანიზმებს. მხნეობის ნამდვილი წყაროა.

**უკუქმედება:** უკუმაჩევნებელია ფეხმძიმე და მემუძური ქალებისათვის.

## შირბახტი, ქუნჯუტი — *Sesamum indicum* L.

ოჯ. შირბახტისებრნი — Fam. Pedaliaceae



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მორიგეობითია, მოპირისპირედ განლაგებული, მთლიანი. ყვავილები დიდი ზომისაა, უბისეული, 1-3 დიქოზიუმებად შეკრებილი, საყვავილე ყუნწები მოკლეა, ძირთან ორი თანაყვავილის ფოთოლაკით და მომრგვალო ჯირკვლებით. გვირგვინი ზარისებრია, ან ძაბრისებრ-მილისებრი, თითქმის ორტუჩა, 3 (იშვიათად 5) ქვედა ნაკვთიანი და მოკლე ორნაკვთიანი ზედა ტუჩით. ნაყოფები მცირე ზომის მოგრძო, ძირამდე სწავლი, ოთხწახნაგოვანი, ღეროსთან მიტკეცილი კოლოფებია, სხვადასხვა (მუქი შავიდან – თეთრამდე) შეფერილობის თესლებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. ფართოდაა კულტივირებული ყველა ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში, სადაც ზოგჯერ ველურდება.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ზეთოვანი კულტურაა. ძირითად ნედლეულს თესლები წარმოადგენს; გამოიყენება კულინარიაში, მედიცინაში და კოსმეტოლოგიური მიზნებისათვის.

შირბახტის თესლები არომატულია, ნიგვზისებრი მოტკბო გემოთი. კულინარიაში თესლებით კაზმავენ პურ-ფუნთუშეულს, ნამცვრებსა და სხვა ცომეულ ნაწარმს. იაპონურ სამზარეულოში

მოხალულ თესლებს უმატებენ ფრინველისა და ძროხის ხორცის კერძებს; მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ცნობილი ბერძნული კერძის - humus bi tahina - შირბახტის თესლების პიურე თურქულ მუხუდოსთან. ფართოდ იხმარება კორეულ და ჩინურ სამზარეულოში; აღმოსავლეთის კულინარიაში პოპულარულია დახაყილი თესლების პასტა - ტახინა, სასიამოვნო სუნითა და ნიგვზის მოტკბო გემოვნებით. მშრალი სანელებელი, დამზადებული დაფხვნილი თესლებიდან და მარილიდან, ცნობილია გომასიოს სახელით, მას ბრინჯის კერძებში იყენებენ.

თესლი შეიცავს დიდი რაოდენობის ეთერზეთებს, რომლებიც შედგება ორგანული მჟავებისაგან, გაჯერებული და ნახევრადგაჯერებული ცხიმოვანი მჟავებისაგან, ტრიგლიცერიდებისა და გლიცერინის ეთერებისაგან; შეიცავს აგრეთვე მძლავრ ანტიოქსიდანტს სენამინს, რომელიც სასარგებლოა მრავალი დაავადების, მათ რიცხვში კიბოს პროფილაქტიკისათვის; აღინიშნება აგრეთვე ნახშირწყლები, ამინომჟავები, ცილები, ვიტამინები (A, B, C, E), მინერალური მარილების შენაერთები (Ca, P, Fe, K, Mg- ის), უჯრედისი, ლეციტინი და ნივთიერება ფიტინი.

ოფიცინალური მედიცინა თესლებიდან მიღებულ ზეთს საფუძვლად იყენებს ცხიმში ხსნადი პრეპარატების დასამზადებლად, რომლებიც ინექციის სახით გამოიყენება. ზეთისგან ამზადებენ ემულსიებს, მალამოებს, პლასტირებს. მედიცინაში შინაგანად იყენებენ თრომბების, თრომბოფლებიტისა და ჰემორაგიული დიათეზის დროს. ამაღლებს თრომბოციტების რიცხვს და აჩქარებს სისხლის შედედებას. ზეთის მიღება ამსუბუქებს სუნთქვას ბრონქიალური ასთმის, ქოშინისა და მშრალი ხველებისას. ანეიტრალებს სისხლის მჟავიანობას და კუჭის წვენის მაღალ სიმჟავეს; ხელს უწყობს წონის მომატებას, სხეულის გაკაუებას. იყენებენ გაციების, კუჭის აშლილობის, გასტრიტისა და წყლულოვანი კოლიტის, კბილებისა და ღრძილების გასამაგრებლად, კანის სხვადასხვა დაავადებებისა და ჭიისმდებნ საშუალებად.

შირბახტის სასარგებლო თვისებებიდან ერთი მეტად

მნიშვნელოვანია - წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმში კირის მიღების ძირითად წყაროს. ითვლება, რომ ყოველდღიურად თესლის მიღება იწვევს ორგანიზმში კირის უქმარისობის შექსებას, რომელიც საერთოდ უმნიშვნელოა ბოსტნეულსა და ხილში.

**უკეშედება:** ვინაიდან შირბახტი აუმჯობესებს სისხლის შედედებას, თრომბოზებით დაავადებულთათვის არ არის რეკომენდებული. უკუმაჩვენებელია შარლკენჭოვანი დაავადებების დროსაც.

### ჩვეულებრივი ანისული — *Anisum vulgare* Gaertn.

(*Pimpinella anisum* L.)

ოჯ. ქოლგოსანი (ნიახურისებრი) — Fam. Umbelliferae  
(Apiaceae)



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა ფუძიდან ძლიერ დატოტვილი ღეროთი; ქვედა ფოთლები მომრგვალო-თირკმლისებრია, სამმაგფრთისებრანკვეთილი მომრგავალო ფოთოლაგებად: ზედა - ორმაგ ან სამმაგ ფრთისებრდანაკვთულია, ხაზურ-ლანცეტა სეგმენტებად. ყვავილედი 7-15 სმივანი ქოლგაა, საბურველის გარეშე. გვირგვინის ფურცლები თეთრია, კიდეწამწამიანი. ნაყოფი მოგრძო, სუსტად გამოხატული

წახნაგებიანი თესლურაა, 3-5 მმ სიგრძის, მომწვანო-  
ნაცრისფერი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება,  
იზრდება მხოლოდ კულტურაში ან გაველურებული სახით.  
სამშობლოდ ხმელთაშუაზღვეთისა და ახლო აღმოსავლეთის  
რეგიონები. ითვლება. კულტურაში შეტანილია ახალ ერამდე  
დიდი ხნით ადრე ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, ინდოეთსა და  
ძველ რომში. შუა საუკუნეებში ვრცელდება მთელ ევროპაში,  
რესეთში - XIX ს-ის დასაწყისში. სადღეისოდ როგორც  
სანელებელი მთელ მსოფლიოში მოჰყავთ, განსაკუთრებით  
პორულარულია სამხრეთ ევროპაში, ეგვიპტეში, ახლო  
აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ნაყოფების  
მოსავლიანობა შეადგენს 10 ც/კა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფებს იყენებენ სანელებლად  
კულინარიაში, პურიფუნტუმებულის, საკონდიტრო, საკონსერვო,  
პარფიუმერიულ მრეწველობაში. იხმარება აგრეთვე იმპორტული  
კაკაოს ზეთის სანაცვლოდ.

მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი კულტურაა, ძირითადად  
ამრავლებენ ნაყოფების გამო, შეიცავს ეთერზეთებს 6 მგ%-მდე,  
რომლის ძირითადი შემაღენებლი ნაწილია - ანეთოლი (80-90 %),  
ანისულის ალღეპიდი, კეტონი და ანისულის მჟავა; ასევე  
აღინიშნება 15,9 მგ% ცხიმოვანი ზეთები, 17,6 მგ% ცილები, 35,4  
მგ% ნახშირწყლები, 14,6 მგ% უჯრედისი, ვიტამინები (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>,  
B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, C), მაკროელემენტებისა (K, Ca, Mg, Na, P) და  
მიკროელემენტების (Fe, Mn, Cu, Se, Zn) მარილები,  
ცვილისებრი ნივთიერებები, ანისულის სპირტი. ანისულის  
ნაყოფებიდან ეთერზეთების გარდა გამოყოფენ ცხიმზეთებსაც,  
რომელთა რაოდენობა წმირად 28 მგ% აღწევს.

სამკურნალო მიზნებისათვის ანისულის ნაყოფებს უძველესი  
ღროიდან იყენებდნენ. თავიანთ თხზულებებში მას მოიხსენიებენ  
თეოფრასტე, დიოსკორიდი, კოლუმელა, პლინიუსი.  
დიოსკორიდის მიხედვით - ამცირებს მუცლის ტკივილებს, არის  
აღმგზნები, შარდმდენი და ლაქტაციის გამაძლიერებელი  
საშუალება; პლინიუსი მიიჩნევდა მორიელის ნაკბენისაგან  
დამცავად; არაბები წყურვილის მოსაკლავად და ქოშინის

შესამცირებლად ხმარობდნენ. ძველ სომხეთში ანისული პეტრიაშვილის ცილასთან ერთად ითვლებოდა დამწვრობის, ფალარათისა და ნაწლავებიდან სისხლდენის შემაჩერებელ უებარ საშუალებად. კავკასიაში იყენებდნენ მალარიის საწინააღმდეგოდ. უძველესი დროისა და შუა საუკუნეების ექიმების ემპირიული დაკვირვებები, მოგვიანებით დადასტურდა მეცნიერული გამოკვლევებით და ჩვენს დროშიც მრავალმხრივი მნიშვნელობით გამოირჩევა. ხასიათდება სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი, ქარძლენი, ოფლმდენი, შარძლმდენი, მაღეზინფიცირებელი, სეკრეტოლიტური, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება: სასუნთქი გზების კატარის, ხველების, ხმის დაკარგვის, ბრონქიტისა და ასთმის, თირკმელების, შარდის ბუმტისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებისას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას; ეთერზეთები ხასიათდება რა ანტიბაქტერიული მოქმედებით, ხელს უმლის ჩირქწარმომქმნელი ბაქტერიების გამრავლებას, განსაკუთრებით შედეგიანია ყივანახველის დროს.

შედის სასაქმებელი, კუჭისა და შარძლმდენი ნაკრებების შემადგენლობაში.

**უკუქმედება:** კუჭის წევნის მაღალი მჟავიანობა, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, კოლიტი, ფეხმძიმობა.

**ჩვეულებრივი ბეგქონდარა — Thymus vulgaris L.  
ოჯ. ტუჩოსანი — Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქია, კარგად განვითარებული მთავარღერძია ფესვით. ღერო გამერქნებულია, ოთხწახნაგოვანი, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი, 50 სმ-მდე სიმაღლის; ფოთლები მოპირისპირეა, წვრილი, მოგრძო-უპაკერცხისებრი, მოკლეყუნწიანი, ორივე მხრიდან დაფარულია წერტილოვანი ჯირკვლებით. ყვავილები განლაგებულია ზედა ფოთლების იღლიებში, თანავაკილები წვრილია, ლანცეტია ფორმის. გვირგვინი ორტუჩაა, ბაცი ისფერი, ვარდისფერი ან თეთრი. მტვრიანა 4. ნაყოფი შედგება ოთხი კაკლუჭისაგან, მომრგვალია, მურა-ყავისფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ხელთაშუაზღვეთური მცენარეა. საქართველოში ბუნებრივად იზრდება ამ გვარის სხვა სახეობები, რომლებიც ქართულ ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება.

ჩვეულებრივი ბეგქონდარა კულტივირებულია საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, სამხრ. საფრანგეთში, გერმანიაში, აშშ-ში, რუსეთში, უკრაინაში, უნგრეთსა და სხვ.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ-არომატული მცენარეა, გამოირჩევა სასიამოვნო სუნით და სპეციფიური გემოთი.

სანელებლად უმატებენ სალათებს, ხორციან კერძებს, წვნიანებს, მარინადებს, მწნილებს, სოუსებს.

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები; შეიცავს ეთერზეთებს 0,8-1,2 მგ% - მდე. მისი ხარისხი განისაზღვრება თიმოლით, რომლის შემცველობაა 42 მგ%-ია, სხვა შემადგენელი ნაწილებია: კარგაკროლი, ტერპინელოლი, ბორნეოლი, კარიოფილენი, ლინალოლი და სხვ. ეთერზეთების გარდა შეიცავს - თიმონის ტრიტერპენულ მჟავებს, თიმუს-საპონინს, ურზოლისა და მჟაუნმჟავებს, უმნიშვნელო რაოდენობითაა ფლავონოიდები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ იხმარებოდა ფოთლოლი, თესლი, წყალი, ზეთი. ბეგქონდარას წყალს ტკივილის გამაფუზებელ თვისებას მიაწერდნენ და მას მტკივნეულ ადგილზე ისმევდნენ; უნიშნავდნენ როგორც ამოსახველებელ წამალს; შედიოდა თაფლით შეზელილი წამლის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა როგორც შინაგანი საშუალება გულის დაავადებებისას, აძლევდნენ სისხლიანი ფალარათის დროს; შედიოდა თირკმელების ტკივილის დროს გარედან დასაფენი მალამოს შემადგენლობაში. თიაქარის შემთხვევაში მის ნახარშს ცხელი საფენების სახით ადებდნენ, თავის ტკივილისას კი მისით - თავს იბანდნენ.

ხასიათდება ამოსახველებელი მოქმედებით, გამოიყენება ბრონქიტისა და ყივანახველის დროს.

სამედიცინი პრაქტიკაში იხმარება თიმოლი, გამოირჩევა მაღალი ბაქტერიოციდული აქტივობით პათოგენური კოკებისა და სოკოების მიმართ, რის გამოც ფართოდ გამოიყენება ეპიდერმოფიტებისა (კანის სოკოგანი დაავადებები) და აქტიონმიკოზის სამკურნალოდ. აგრეთვე - როგორც ანტისეპტიკური, მაღეზინფიცირებელი, ტკივილგამაფუზებელი საშუალება.

**უკუქმედება:** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ორსულობა.

**ჩვეულებრივი კაკლის ხე — *Juglans regia L.***  
**ოჯ. კაკლისებრნი — Fam. Juglandaceae**



**მორფოლოგია:** 30 მ-მდე სიმაღლის ხეა გაშლილი ვარჯით, დაფარულია სქელი მუქი ნაცრისფერი დახეთქილი ქერქით. ფოთლები კენტფოთისებრია, შედგება 5-11 კვერცხისებრ წაგრძელებული, სუსტად დაკბილული ფოთოლაკებისაგან. ყვავილები ერთსქესიანია, ერთსახლიანი. მდედრობითი ყვავილი 1-4 ცალამდე მიმდინარე წლის ტოტების ბოლოებზე განვითარებული, ყვავილსაფარი მარტივია, ოთხნაკვთიანი, პატარა ზომის; მფარავი ქერქლი, თანაყვავილები და ყვავილსაფარი შეიზრდება ხოლმე და ნასკვის ირგვლივ წარმოქმნის ბუდეს, რომელიც შემდეგ ნაყოფზე რჩება მწვანე ხორცოვანი წენგოს სახით; ნასკვი ერთბუდიანია, შემდეგ იყოფა 2-4 ბუდედ; მამრობითი ყვავილები მოგრძო თავდაკიდებულ, მრავალყვავილიან მჭადებადაა შეკრებილი და გასული წლის ტოტების ბოლოებზეა დაკიდებული, ყვავილსაფარი მარტივია, უფერული, 5-6 ნაკვთიანი. ნაყოფი ერთოესლიანი, მომრგვალო ან ფართო-კვერცხისებრი ცრუ კურკიანაა. თესლი ორ მსხვილ, ღრმად დანაოჭებულ და ორნაკვთიან ლებნისგანაა შემდგარი,

რომელთა შორის თხელი ძირამოკვეთილი ტიხარი (უდელი) მდებარეობს. ყვ. IV; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად გავრცელებულია მცირე აზის მთებში, შუა აზიაში, ირანში, ავღანეთსა და კავკასიაში. საქართველოში გაველურებულია, იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ტყეებში, მდინარეთა სანაპიროებზე.

ახალ ერამდე დიდი ხნით ადრე მოხდა მისი გაკულტურება და მნიშვნელოვანი სამურნეო ფორმების შეწევა, რომლებიც გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, მსხვილი ნაყოფებით, თხელი ნაჟუჭით, ცილებისა და ცხიმების მაღალი შემცველობით. კულტივირებულია თბილი და ზომიერი კლიმატის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული კულტურა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მოჰყავთ ნაყოფებისა და მერქნის გამო, საყურადღებოა დეკორატიული მნიშვნელობითაც.

კაკლის ნაყოფები გამოირჩევა საუცხოო გემოვნებით და მაღალი კვებითი უნარით. საკვებად გამოიყენება ნედლი და მშრალი სახით, სანელებლად იხმარება ქართული ტრადიციული კერძების (საცივი, ფხალეული) შესაკაზმავად, ჰალვის, სხვადასხვა ტკბილეულის (მურაბები, ტორტები, ნამცხვრები, შოკოლადები) დასაშადებლად. თესლებისაგან მიიღება ზეთი, რომელიც გამოირჩევა საკვები და ტექნიკური დანიშნულებითაც (ამზადებენ ლაქებსა და საპონს), უწიფიარი ნაყოფის გარსისა და ფოთლებისაგან კი ღებულობენ ვიტამინების კონცენტრატებს. მწიფე კაკალი (თესლი) შეიცავს 77 მგ%-მდე ცხიმოვან ზეთებს (შედგება გლიცერინებისაგან, ლიმონის, ლინოლენის, სტეარინის, ჰალმიტინის მჟავებისაგან), 21 მგ%-მდე ცილებს, 7 მგ%-მდე ნახშირწყლებს, ვიტამინებს (A, B, P, E, C, K), რკინის, კობალტის მინერალურ მარილებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ქინონებს, უჯრედისს. მწვანე უწიფიარი კაკალი – ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP, კაროტინს), მთრიმლავ ნივთიერებებს, იუვლონს, ქინონებს; ფოთლებში აღინიშნება: ჰიდროიუგლონი, ფლავონონიდები, ალკალოიდები, ალდეჰიდები, ანთოციანები, მთრიმლავი

ნივთიერებები, კუმარინები, ვიტამინები - C, PP, კაროტინი, ეთერზეთები, უმაღლესი არომატული ნახშირწყლები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში კაკლის წენგოს იყენებდნენ მალარიის საწინააღმდეგოდ, მძალე ნაყოფისაგან ამზადებდნენ ნაყენს, რომელსაც კუჭის წყლულის დროს ასმევდნენ. ზეთს უნიშნავდნენ გულის ტკივილის დროს, ხოლო კაკლის ღეროს შიგნითა ლორწოვანი ნაწილით მკურნალობდნენ ელენთაშესიებულ ავაღმყოფს, კაკლის ლებნებს შორის მოთავსებული ტიხრის (უღელი) ნახარშით – წყალმანკს.

ხასიათდება ბაქტერიიციდული, მატონიზირებელი, ანტისელეროზული, მთრიმლავი, ანტისაფაღარათო, სისხლდენის შემაჩერებელი, ანთებისა და მუცელის ჭიების საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი და გაითელის აღმდგენი მოქმედებით. დიაბეტითა და ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის ოსლები დიაბეტური პროდუქტია, ამცირებს სისხლის პლაზმაში ქოლესტერინის რაოდენობას, სასარგებლოა კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის (დღეში 25-100 გ), ასევე ვერცხლისწყლით ქრონიკული მოწამვლის დროს. რეკომენდებულია მძიმე დაავადებების შემდგომ პერიოდში, ხელს უწყობს შრომისუნარიანობის ამაღლებას, აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს. კაკლის ზეთი, რომელიც ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით ხასიათდება, იხმარება კონიუნქტივიტისა და შუა ყურის ანთების დროს. ფოთლები, რომელიც ბაქტერიოციდული თვისებისაა, გამოირჩევა თერაპიული ეფექტით კანისა და საყლაპავი მილის ტუბერკულოზის, ქეცის, ეგზემის, ალერგიის, კანის სტრეპტოკოკული და სტაფილოკოკური დაავადებების მიმართ.

**უკუმედება:** ნიგვზის ჭარბი მიღება იწვევს თავის ტკივილს, რაც გამოწვეულია თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმებით. უკუმაჩვენებელია ქრონიკული გასტრიტისა და კოლიტის დროს.

**ჩვეულებრივი ნუში — *Amygdalus communis* L.**  
**ოჯ. ვარდისქებრნი — Fam. Rosaceae**



**მორფოლოგია:** პატარა 4-6 მ სიმაღლის, ძლიერ დატოტებილი ხეა. ყლორტები თრი ტიპისაა: წაგრძელებული ვეგეტატიური და დამოკლებული გენერაციული. ფოთოლი ლანცეტა; ყვავილი მარტოულია, თეთრი ან ბაცი-ვარდისფერი გვირგვინის ფურცლებით, მრავალრიცხოვანი მტვრიანებით და ერთი ბუტკოთი. ნაყოფი - მშრალი ხავერდოვნად შებუსული ოვალური ერთი კურკაა, მშრალი ნაყოფები მომწიფებისას ადგილად სცილდება კურკას. კურკა ისეთივე ფორმისაა, როგორც ნაყოფები, დაფარულია წვრილი ორმოებით, ზოგჯერ დარებით, 2,5-3,5 სმ სიგრძის, წინით 1-5 გ. გემოვნებით არჩევენ ნუშის ორ ფორმას: ტკბილი და მწარე, თუმცა მორფოლოგიურად ეს ფორმები ერთგვაროვანია. ყვ. III-IV; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება შუა აზიაში, ავღანეთში, ირანში, სამხრეთ კავკასიაში, მცირე აზიაში. კულტურაში შეტანილია ბუნებრივი არეალის საზღვრებში ახალ ერამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე. 4-3 ათასი წლის წინათ მისი მოყვანა დაიწყო ძველ საბერძნეთში, საიდანაც შეტანილ იქნა რომის იმპერიაში, ჩრდილო აფრიკასა და პირენეის ნახევარკუნძულზე. დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში მისი კულტივირება იწყება საფრანგეთში. XIX ს-ის შუა პერიოდში ნუშის კულტურა ვრცელდება ამერიკაში, უმთავრესად აშშ-ში. სადღეისოდ მოჰყავთ

თბილი კლიმატის მთელ რიგ ქვეყნებში, საერთო ფართობი 0,5 მილიონ ჰა შეადგენს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კაკლოვანი კულტურულ ნარგაობებში ჭარბობს ნუშის ტკბილი ფორმები. მისი გული მნიშვნელოვანი საკეები პროდუქტია, გამოიყენება ნედლი, მოხალული, დამარილებული სახით. იხმარება ტორტების, ნაცვერების, შოკოლადის და სხვა მრავალი საკონდიტო ნაწარმის დასამზადებლად, ფხალეულის შესაქმაზავად.

კურკის გული (თექსლები) შეიცავს 40-60 მგ% ცხიმოვან ზეთებს, 20-30 მგ% ცილებს, ნახშირწყლებს (გლუკოზა, გალაქტოზა, მალტოზა და საქაროზა), ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>), ლორწოს, გლიკოზიდ ამიგდალინს; ფოთლებში აღინიშნება ციანოგენური შენაერთები (ამიგდალინი), ფენოლგარბოლმჟავები, ფლავონოიდები. ნუშის ზეთი იხმარება საკეებ, სამედიცინო, პარფიუმერიულ წარმოებაში; გამოიყენება სამკურნალო და კოსმეტიკური მალამოების ფუძედ, შინაგანად - როგორც სასაქმებელი და შემომგარსავი საშუალება.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ნახსენებია მწარე და ტკბილი ნუში. კერძოდ აღნიშნულია, რომ კანგაცლილი ტკბილი ნუში თაფლთან ერთად იწვევს ფილტვის, ლვიძლის, თირკმელებისა და ტყირბის გაწმენდას; დანაყილი ნუში თოხლო კვერცხთან ერთად ხველების საწინააღმდეგოდ იხმარებოდა; ნუშის ზეთს მტკიცებული და გასიებული ადგილის შესაზღლად იყენებდნენ, ურჩევდნენ თავის ტკივილის დროსაც; ტყინის ზოგიერთი დაავადებისას მწარე და ტკბილი ნუშის ზეთოვან წამალს ხანგრძლივად უწვეთებდნენ ცხვირში; ენის დასიების დროს ენას ზეთით უზელდნენ, ტკბილი ნუშის ზეთს ხმარობდნენ ხველების, შარდის ბუშტის წყლულისა და ტკივილების სამკურნალოდ, აგრეთვე კუჭის შეკრულობის დროს. ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, დამაშვიდებელი, საფაღარათო, ანტიეპილეფსიური, ანტიირაფიციული მოქმედებით.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება კუჭის არეში ტკივილების, დიაბეტის, სისხლიანი ხველის, თირკმლის ჭველების, შარდის გამოყოფის გაძნელების, კებრუნჩხვების, გულის დაავადებების, ნერვული სისტემის მოშლილობის, სტომატიტების დროს.

**უკუქმედება:** არ შეიძლება უმწიფარი ნუშის ჭამა, მათში შემავალი ციანიდების გამო, რომელიც იწვევს მოწამვლას; ასევე მიუღებელია მწარე ნუშის საკვებად გამოყენება მასში არსებული გლიკოზიდ ამიგდალინის შემცველობის გამო, რომელიც იხლიჩება გლუკოზად და ძლიერ შხამიან ნივთიერებად - სენილურ მჟავად.

**ჩვეულებრივი უცვეთელა – *Philadelphus coronarius* L.  
ოჯ. ფხიჯასებრნი – Fam. Saxifragaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მერქნოვანი 1-3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ჩვეულებრივ ფესვის ყელიდან ვითარდება რამდენიმე კარგად განვითარებული სწორმდგომი ან გადაშლილი ყლორტები. ფოთლები კიდემთლიანია, მახვილწერიანი, კერცხისებრი ფორმის, ფოთოლგანწყობა მოპირისპირეა. ყვავილი მარტივია ან ბუთხუბა, თეთრი, კრემისფერი, იშვიათად ბაცი ყვითელი, 2-6 სმ დიამეტრის, წარმოიქმნება გასული წლის ტოტების წვეროსეულ ნაზარდებზე, შეკრებილია მარტოულად ან 5-9 ცალად მტევნისებრ ყვავილედებში. თესლი წვრილია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივ პირობებში უცვეთელას სახეობები გავრცელებულია ევროპის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში, ჩრდილოეთ ამერიკაში, კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** პერსპექტიულ სანელებელ-არომატულ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. ყვავილებიდან გამოყოფილი ექსტრაქტი თოვლისებრ თეთრია, მსხვილყვავილა

ესამინის მსგავსი გაჯერებული, ჰაეროვანი არომატით, ხოლო მწვანე ყლორტები ფოთლებითურთ ხასიათდება მწვანე კიტრის სურნელით. ექსტრაქტები გამოიყენება კვებით და პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ მრეწველობაში. მშრალი ყვავილები მშვენიერ არომატს ანიჭებს ჩაის; მისით ახდენენ ხილის სალათების, წვინიანების, საკონდიტრო ნაწარმის არომატიზაციას.

### **წვეულებრივი ღვია – *Juniperus communis L.*** **ოჯ. კვიპაროზისებრნი – Fam. Cupressaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 1-3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, იშვიათად 8-12 მ სიმაღლის ხე. ვარჯი კონუსურია, ან თითქმის კვერცხისებრი, მუქი ნაცრისფერი ან მონაცრისფრო-მურა ქერქით, სიგრძივ აქერცლილი. ფოთლები 1-1,5 სმ სიგრძისა და 0,7-7,5 მმ სიგანისაა, მჯდომარე, ხეშეში, ხაზურ-სადგისისებრი ან სადგისისებრწაწვეტებული, მჩხვლეტავი, თითქმის სამწახნაგოვანი, მკვრივი, ზედა მხარეს სუსტდარიანი, ქვედაზე - პრიალა მწვანე ბლაგვი კილით. ერთ ან ორსახლიანი მცენარეებია. მამრობითი გირჩები (მიკროსტრობილები) მჯდომარეა, მოყვითალო; მდედრობითი გირჩები - მრავალრიცხოვანი გირჩენენაა, 5-9 მმ დიამეტრის, მოგრძო კვერცხისებრი ან სფერული, ბაცი მწვანე, მომწიფებული - მოშავო-ლურჯია, ცისფერი ნაფიფქით; მწიფდება მეორე ან მესამე წელს, შედგება 3 ან 6 ქერქლისაგან, სხედან მოკლე ყუნწებზე. გირჩში 3 (ზოგჯერ 1-2) თესლია, მოგრძო

კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-კონუსური ფორმისაა, მოყვითალო-მურაფერის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ჩრდილო ნახევარსფეროს ზომიერ კლიმატში (ეკროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა), ჩრდ. აფრიკაში და აზიის ტროპიკულ რაიონებში (ნეპალი, ჰაკისტანი).

იზრდება კირქვიანებზე, მშრალ ბორცვებიან ადგილებსა და მთის ფერდობებზე, მდინარეების ნაპირებზე, ფოთლოვან და შერეულ ტყეებში, ნატყევარებზე ხშირად წარმოქმნის რაფებს.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ღვიის ნაყოფი-გირჩები კულინარიაში გამოიყენება სკანდინავიის ქვეწინებში, საფრანგეთსა და გერმანიაში. აქ მისგან ამზადებენ ჯტმს, ტკბილ ნაყენებს; უმატებენ კომბოსტოს მწილს, შებოლილ ძეხვეულს, თევზეულს; განსაკუთრებული პოპულარობა ღვიამ მოიპოვა ჯინის (ჭვავის სპირტი+ღვიის ნაყოფები) და ნანადირევის გამოყენებისას (არბილებს მის გემოს). თანამედროვე კულინარიაში მშრალ დაქუცმაცებულ ნაყოფებს უმატებენ სოუსებს, შინაური ცხოველებისა და ფრინველების ხორცს, განსაკუთრებით შებრაწვისას, კერძი ღებულობს მსუბუქ წიწვოვან ნოტებს და სიმწკლარტეს, ნანადირევის მსგავსს. ტბისა და მდინარის თევზი პიკანტურ გემოვნებას იძენს, თუ მოხარშვისას ერთ ცალ გირჩს ღაუმატებთ. მომწიფებული, მშრალი ნაყოფებისაგან ამზადებენ ყავას, რომელიც საუკეთესო მატონიზირებელი საშუალებაა, ნამდვილი ყავისაგან განსხვავებით არ იწვევს ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემის აღვანებას. არის მონაცემები, რომ ღვიის ყავა ამაღლებს მამაკაცის პოტენციას.

გირჩკენკრა შეიცავს შაქარს (40%-მდე), საღებავ ნივთიერებებს, ორგანულ მუვავებს (ჭიანჭველას, მძრის, ვაშლის), ფისებს (9,5%), ეთერზეთებს (2%-მდე), რომლის შემადგენლობაშია - ტერპენები, კამფენი, კადინენი, ტერპინეოლი, პინენი, ბორნეოლი, აგრეთვე მიკროელემნტები (მანგანუმი, რკინა, სპილენძი, ალუმინი). წიწვები შეიცავს 0,27% ასკორბინის მეტავას. ფესვებში ნაპოვნია: ეთერზეთები, ფისები, საპონინები, მთრიმლავი დ საღებავი ნივთიერებები.

მცენარე ხასიათდება ძლიერი ფიტონცილური მოქმედებით. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები კანის, ძვლებისა და სახსრების ტუბერკულოზით დაავადებულებს ათავსებდნენ ღვიის რაყებში, სადაც ჰაერი გაჯერებულია მფრინავი გამონაყოფით.


ხალხურ მედიცინაში პოპულარულია ღვიის ტოტების გამოყენება, რომელიც მაღეზინფიცირებელი მოქმედებისაა; იყენებენ პროლექტების შესანახად, აფენენ იატაკზე გრიპის ეპიდემიის დროს, ტუბერკულოზით დაავადებისას. დანაყილი ნედლი ნაყოფებით მეურნალობდნენ რევმატიზმს, ბრონქიტს, სახსრების ანთებას. ამზადებდნენ წამალს გეელის ნაკბენის საწინააღმდეგოდ. პრობლემური კანის შემთხვევაში, განსაკუთრებით ფერიმჭამელების დროს, ურჩევდნენ ღვიის ტოტების ნახარშით პირის დაბანვას, ნედლი გირჩებიდან კი ნიღბების გაკეთებას. ნაყენებს იყენებდნენ თირკმელების დაავადებების, საკვებისადმი ალერგიის, მაღალი წნევის დროს და სისხლის გამწენდად.

მეცნიერულ მედიცინაში გირჩენენ კროგორც შარდმდენ, ნაღველმდენ, შარდსაღინარი გზების გამწენდ და საკვებმონელების გამაუმჯობესებელ საშუალებას, კუჭის აშლილობისას და მეტეორიზმის დროს. ნაყოფები შედის შარდმდენი ნაკრებების შემადგენლობაში.

წიწვებისაგან მიღებული ეთერზეთები ხასიათდება ძლიერი მაღეზინფიცირებელი თვისებებით, მკურნალობენ ტრიქომონადურ კოლპიტს.

**უკუქმედება:** საკვებში ღვიის ნაყოფების გამოყენება უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალებისთვის.

**ჩვეულებრივი ღოლო — *Rumex crispus* L.  
ოჯ. მატიტელასებრი — Fam. Polygonaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; ღერო 50-150 სმ სიმაღლისაა, მსხვილი, სწორმდგომი და დაღარული. ფოთლები ლანცეტური ან მოგრძო ლანცეტური, ძირში სოლისებრშევიწროებული, ტალღისებრი ხუჭუჭა კიდეებით, ყუნწიანი. ყვავილები ერთ ან ორსქესიანია, ჯგუფ-ჯგუფად ხშირ და დაახლოებულ რგოლებად განლაგებული, შეკრებილია დიდი ზომის საგველა ყვავილებებად; ყვავილსაფარი მარტივია 3-6 წევრიანი. ნაყოფი სამწახნაგოვანი, მსხვილწიბოიანი კაკალია, უფრო ხშირად ყეველსაფარში ჩამაღლული. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბორეალური, ევრაზიული სახეობაა, მდელო-ჭაობის, ფართო ეკოლოგიის. იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, თხრილების, ღობეების, გზების გასწვრივ, ხშირად ფართო ფრაგმენტების სახით. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები საკეპად ვარგისია. აქვს სპეციფიური მჟავე გემო, რაც გამოწვეულია მათში ორგანული მჟავების არსებობით. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს (ასკორბინის მჟავას, კაროტინს, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP), მიკრო და მაკროელემენტებს და სხვა ნივთირებებს. ფოთლებს აგროვებენ გაზაფხულზე, მათ შესწევს უნარი აანაზღაუროს ზამთრის შემდეგ ადამიანის ორგანიზმში წარმოქმნილი ვიტამინების დეფიციტი.

განსაკუთრებით პოპულარულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ხმარობენ ნედლი და შრალი სახით. შრობის დროს, ფერმენტაციის შედეგად, მათვის დამახასიათებელი სიმწარე ქრება და იძნს სასიამოვნო გემოვნებას და სურნელს. იყენებენ ყველანაირ ბოსტნეულ და ხორციან სალათებში, ამზადებენ მწვანე წენიანებს, ურევენ ცოშეულში და სხვ. მსგავსად სხვა მწვანილებისა სასარგებლო და დაბალკალორიული პროდუქტია. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა ფესვებითურთ, ნაყოფი. ფესურა შეიცავს: ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს, საპონინებს, ალკალინებს, ფენოლებს, კატექინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს; ნაყოფი - ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს, ვიტამინებს (C,K,A), ანტრაცენებს, კატექინებს, ფლავონოიდებს, ანტრაქინონებს, არომატულ ნაერთებს.

ძველ ქართულ მედიცინაში იხმარებოდა საკვებად და სამკურნალოდ; ნახარში - სისხლიანი შარდენის დროს, მისი შარბათი, როგორც მჟავე სასმელი, დიდი სიცხის, თავისა და ზურგის ტკივილებისას, აგრეთვე პირში გამოსავლებლად; ხმარობდნენ სიყვითლის სამკურნალოდაც.

ხასიათდება შემომგარსავი, საფაღარათო, ნაღველმდენი, ქავილისა და მუცლის ჭიების საწინააღმდეგო, წნევის დამწევი, სედატური, ანტიბაქტერიული, სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებით. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ფაღარათის (მცირე დოზებით გამოყენებისას), შეკრულობის (დიდი დოზებით გამოყენებისას), პირის ღრუს ანთებითი პროცესების, ფურუნკულების, წყლულების, ჩირქოვანი ჭრილობების, სოკოვანი დაავადებების, სიმსივნეების, პემოროიდალური სისხლდენების, ფილტვის ტუბერკულოზის, დიზნტერიის, ეგზემის დროს.

**სიფრთხილის ღონისძიებები:** ორსულობა, თირკმელების დაავადებები.

**ჩვეულებრივი წიწაკა – *Capsicum annuum* L.  
ოჯ. ძაღლყურძენასებრნი — Fam. Solanaceae**



**მორფოლოგია:** კულტურაში ერთწლოვანი მცენარეა (სამშობლოში – მექსიკასა და გვატემალაში მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქი) 1 მ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, გადაშლილი ან გართხმული, მომრგვალო ან ხუთწახნაგოვანი დეროთი. ფოთოლი ყუჩწიანია, კვერცხისებრი ან ლანცეტა, მსგავსად ღეროებისა მწვანედან - მუქ ისფერამდე, შიშველი ან შებუსული. ყვავილები მარტოულია ან მოკლე ყვავილედად შეკრებილი, თეთრი, ყვითელი ან ისფერი, ორმაგი ხუთწევრიანი ყვავილსაფრით; ნაყოფები ჩაქინდრულია ან აშვერილი, ხორცოვანი, განსხვავებულია ფორმით (ჭარბობს კონუსური და მოგრძო-კონუსური ფორმები), სიდიდით (1-20 სმ-მდე სიგრძის, რბილობის სისქე 0,1 -5-8 მმ-მდე), შეფერილობით (ბაცი მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, კრემისფერი, მოყვითალო-ყავისფერი, მოშავო-ისფერი, წითელი და ა.შ.) და გემოვნებით. თესლი მრავალრიცხოვანია, ბრტყელი, ბაცი ყვითელი. ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სადღეისოდ ველურად არ გვხვდება. კულტურაში შეტანილ იქნა ცენტრალურ ამერიკაში ახ.წ.აღ.- მდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე. XV ს-ის ბოლოს

ქრისტეფორ კოლუმბის ექსპედიციების დროს სხვა მცენარეებთან ერთად ძველ სამყაროში წიწაკაც იქნა ჩამოტანილი. ევროპაში პირველად მას ეგზოტიკის მოყვარულები ამრავლებდნენ, შემდგომ საოცრად სწრაფად გავრცელდა მთელ რიგ ქვექნებში. უკვე XVI ს-ში მათი გამოზრდა წარმოებდა თანამედროვე გერმანიის, ბელგიის, ინგლისის, უნგრეთის, ბულგარეთის ტერიტორიებსა და ბალყარეთის ნახევარკუნძულზე. რუსეთში მოჰყავთ XVII ს-დან, უმთავრესად სამხრეთ რაიონებში, ვინაიდან წიწაკა სითბოს მოყვარული მცენარეა ვეგეტაციის სანგრძლივი პერიოდით. ამავე პერიოდში ვრცელდება მისი კულტურა საქართველოშიც.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** წიწაკის მრავალრიცხოვანი ჯიშები ორ ჯგუფად იყოფა; ბოსტნეული და სანელებლიანი; ბოსტნეული ჯგუფის ნაყოფები, რომლებსაც ტკბილ წიწაკას უწოდებენ - პოპულარული საკვები პროდუქტია (ცნობილია ასევე ბულგარული წიწაკის სახელწოდებით). სხვა ფორმა - მწვავე, ან ჭოტოსანი წიწაკა მოჰყავთ როგორც სანელებელი მცენარე.

ბოსტნეული ჯიშების რბილობი შეიცავს 8-დან 20 მგ%-მდე მშრალ ნივთიერებებს, მათ რიცხვში 7,4 მგ% შაქარსა და 2,6 მგ% ნედლ ცილებს. მასში ბევრია ვიტამინები, განსაკუთრებით კაროტინი (პროვიტამინი A) და ასკორბინის მჟავა, მისი შემცველობით ზოგიერთი ჯიშის ნაყოფი აჭარბებს ყველა ბოსტნეულსა და ხილსაც - ნაყოფის რბილობის 100 გ ნედლ ნივთიერებაში შეიძლება დაგროვდეს 480 მგ ასკორბინის მჟავა. მნიშვნელოვანი რაოდენობით აღირიცხება B ჯგუფის ვიტამინებიც (თიამინი, რიბოფლავინი, ფოლიოს მჟავა), აგრეთვე P - ის აქტიური ნივთიერებები, ნახშირწყლები, სახამებელი, ცხიმები, უჯრედისი, ალკალოიდი კაპსიცინი, ფიტონციდები, საპონინები.

ხასიათდება გამაუმტკივნებელი, მაღისაღმძვრელი, ნერვული დაბოლოებების გამაღიზიანებელი, საჭმლის მომნელებელი ფერმენტების სინთეზის გამაძლიერებელი და ანტივირუსული მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება ნევრალგიის, რადიკულიტის, მიოზიტის, საჭმლის მომნელებელი ფერმენტების აქტივობის დაქვეითების შემთხვევაში.

ფარმაცევტული წარმოება უშვებს წიწაკის შემდეგ პრეპარატებს: წიწაკის სპირტიანი ნაყენი, მალამო მოყინვის საწინააღმდეგოდ, წიწაკის საფენი, “კაპსინი”, “კაპსიტრინი”, წიწაკა - ნიშალურის ლინიმენტი, წიწაკა - ქაფურის ლინიმენტი. აღნიშნული პრეპარატები ძირითადად გამოიყენება დასახელად ნევრალგიის, მიოზიტების, რადიკულიტის დროს.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, გასტრიტის დროს; დიდ დოზებში მიღება ოწვევს კუჭ-ნაწლავის მწვავე მოშლას.

**ჩინური ჩაის ბუჩქი – *Thea sinensis* L.  
ოჯ. ჩაისებრნი — Fam. Theaceae**



**მორფოლოგია:** ხე ან მსხვილი ბუჩქია, კულტურაში 1,5 მ სიმაღლის. ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი, ოვალური, მახვილი, მუქი მწვანე, პრიალა, 6-30 სმ სიგრძის, ნორჩი ფოთლები შებუსულია. ყვავილები (1-5 ცალად შეკრებილი) განლაგებულია ფოთლების იღლიებში, 2-5 სმ დიამეტრისაა, არომატული, ორმაგი ყვავილსაფრით; გვირგვინი 5-9 თეთრი ან ვარდისფერი ფურცლისაგან შედგება, მტვრიანა მრავალია, სამტვრეები

კვითელია. ნაყოფი 3-4 ბუდიანი კოლოფია, ბუდეში თითო ან რამდენიმე თესლით. კკ. V; ნაკ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად ჩაის ბუჩქი იზრდება ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთებში (ასამი) და ინდოჩინეთის მოსაზღვრე რაიონებში. უკვე 2500 წლით ადრე ახალ ერამდე, როგორც სამკურნალო მცხნარე კულტივირებული იყო ჩინეთში. ევროპაში პორტუგალიელების მიერ იქნა შეტანილი XV - XVII სს-ში აღმოსავლეთ აზიიდან. პირველად მას სამკურნალო დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, მხოლოდ XVIII ს-დან დაიწყო სასმელად, ჩაის სახით გამოყენება. რუსეთში პირველად ჩინეთიდან იქნა შეტანილი 1638 წელს ნედლეულის სახით; 1814 წელს დაირგა ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში, ხოლო 1846 წელს - საქართველოში, სადაც კლიმატური პირობები კულტურისათვის სასარგებლო აღმოჩნდა; XIX ს-ის 60-იან წლებში ოზურგეთის რაიონში შეიქმნა პირველი პლანტაცია. 1912 წლიდან ჩაის ამრავლებენ აზერბაიჯანში. უკვე 1917 წ. კავკასიის შავიზღვისპირეთში ჩაის პლანტაციებს 1000 ჰა პქონდა დათმობილი. ამჟამად მსოფლიოში ჩაის ბუჩქებს 1,5 მილიონი ჰა უკავა, ხოლო მშრალი ჩაის მსოფლიო წარმოება წელიწადში 1,5 მილიონ ტონას შეადგენს. ყველაზე დიდი რაოდენობის ჩაის აწარმოებს ინდოეთი, შრი-ლანკა, ჩინეთი, იაპონია. საქართველოში ჩაის კულტურას გასული საუკუნის (XX ს.) 80-იან წლებში 75 ათასი ჰა ეკავა, ბოლო პერიოდში სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით მნიშვნელოვნადაა განადგურებული ჩაის პლანტაციები.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** განსაკუთრებული წესით დამუშავებული მშრალი ჩაის ფოთლები იძლევა ყველასთვის ცნობილ „ჩაის“ პროდუქტს, რომელსაც იყენებენ ყოველდღიური ცხელი მატონიზირებელი სასმელის მისაღებად. მშრალი ჩაი შეიცავს 12 მგ% ტანინებს, 16 მგ% ცილებს, 1,5 მგ% შაქრებს, ალკალოიდებს (4 მგ% კოფეინი, თეოფილინი, თეობრამინი), ეთერზეთებს კვალის სახით, ვიტამინებს (C -250 მგ%, P, PP), მიკროელემნტებს (Fe, Mg, K, Mn, I, Cu, Au, P) და სხვ. ჩაის დაყენებისას ნაყენში აღინიშნება დიდი რაოდენობის ხსნადი ნივთიერებები, მათ შორის მთრიმლავი ნივთიერებები, რომელიც

ჩაის აძლევს მწყლარტე გემოსა და ყავისფერ შეფერილობას, ხოლო

არომატს განსაზღვრავს ეთერზეთები; რაც შეეხება ვიტამინებსა და ალკალინიდებს ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩაის ანიჭებს მატონიზირებელ და სამკურნალო თვისებებს.

ხასიათდება მასტიმულირებელი, ბაქტერიციდული, ფალარათის საწინააღმდეგო, სისხლძარღვთა გამაფართოებელი, (განსაკუთრებით გულის), შარლმდენი, გლუვი კუნთების ანტისპაზმური, კაპილარების კედლების გამამაგრებელი მოქმედებით.

ჩაიში შემავალი თეოფილინი აუმჯობესებს გულის მუშაობას, ახდენს ნაღვლის ბუშტის მტკივნეული სპაზმის მოხსნას, სპასტიკური ბრონქიტისას აადვილებს სუნთქვას. ტანინები ზელს უწყობს C ვიტამინის დაგროვებას, ზელს უშლის ცინგის განვითარებას. P ვიტამინი თრგუნავს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას მისი ჰიპერფუნქციის დროს. კოფეინი იწვევს დათრგუნული ნერვული სისტემის, სუნთქვის, გულის მუშაობის გააქტიურებას. ტანინები P ვიტამინთან კომბინაციაში ახდენს კარგად გამოხატულ ანტისაფაღაღარათო (შემკვრელ) მოქმედებას. ჩაი აქვეითებს მიოკარდიის ინფარქტის განვითარების რისკს.

**უკუქმედება:** გადაჭარბებული გამოყენება იწვევს მაღალ აღგზნებაღობას; მაგარი ჩაი უკუმაჩქენებელია გულის დაავადებების, ნეკროზისა და წყლულოვანი დაავადებებისას.

**ჩინური ჰიბისკუსი, ჩინური ვარდი – *Hibiscus rosa-sinensis* L.  
ოჯ. ბალბისებრი – Fam. Malvaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე საკმაოდ მსხვილი, 3 მ-დე სიმაღლის ბუჩქია. ღეროები სწორმდგომია, გადაშლილი ვარჯით, უხვად შეფილილი. ფოთლები პრიალაა, გლუვი, მუქი მწვანე ფერის, მეტად დეკორატიული, მის მწვანე ფონზე გამოირჩევა თეთრი, კრემისფერი ან წითელი ლაქები და შტრიჩები. ყვავილობს მსხვილი ვარდისფერი ყვავილებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ჩინეთსა და ჩრდილო ინდოჩინეთში. წარმარტებითაა კულტივირებული ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის სხვა ქვეყნებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფართოდ გავრცელებული არომატული მცენარეა. გამოყვანილია უამრავი ჯიში, რომლებიც განირჩევა ზომებით, ყვავილების შეფერილობით (თეთრი, ვარდისფერი, ლილისფერი, მეწამული, კაშკაშა წითელი და ა. შ.), მარტივი და ბუთხუშა ფორმებით.

შედის არომატული ჩაის “კარგადეს”, “როზალის”, “სუდანის ჩაის” შემაღებნლობაში.

შეიცავს მთელ რიგ აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც კეთილისმყოფლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. კერძოდ, ანთოციანები ხელს უწყობს არტერიული წნევის რეგულირებას (ყვავილების ჯამის ფოთოლაკების ცხელი ნაყენი ამაღლებს წნევას,

ცივი – აქვეითებს, მოხარშვის შემდეგ დარჩენილი ჯამის ფოთოლაკები ასევე სასარგებლოა, შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავებსა და პექტინებს), სისხლძარღვების კედლების გამაგრებას. ფლავონოიდები აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, აზდენს ნაღვლის გამოყოფის სტიმულირებას.

ჰიბისკუსის ჩაი, რომელიც უფრო ცნობილია “კარკადეს” სახელით, ხასიათდება შარდმდენი, სპაზმოლტიური, ანტიბაქტერიული მოქმედებით. იყენებენ სიცხის დამწევად და საერთოგამაძლიერებელ საშუალებად, შველის ორგანიზმიდან მძიმე მეტალების გამოდევნას. ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში მისი ფოთლებით მკურნალობენ ქრონიკულ ნეფრიტს. გარეგანად გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნის, ავთვისებიანი წყლულების, კარბუნკულების სამკურნალოდ.

### ჩუფა ან მიწის ნუში – *Cyperus esculentus L.* ოჯ. ისლისებრნი – Fam. Cyperaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 30-100 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი ბუჩქია, მრავალიცხოვანი ყლორტებითა და კონებით; ფეხვი მძლავრია, გვერდითი წვრილი ფესურებით, რომლებიც ბოლოვდება გასქელებული, მოგრძო ოვალური, ტყის თხილის სიდიდის გორგლებით. მცენარე ნაყოფმსხმიარობს სიცოცხლის მეორე წელს.

**ისტორია და გულტურის გავრცელება:** სამშობლო ხმელთაშუაზღვეთი და ჩრდილო აფრიკა. ერთ-ერთი უძველესი

კულტივირებული მცენარეა, რომელსაც ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ამრავლებდნენ. ამჟამად კულტივირებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერიდან სუბტროპიკული კლიმატის ოლქებში, უმთავრესად ესპანეთში, ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაში, აზიაში, აშშ-ის სამხრეთ ნაწილში.

სახელწოდება “ჩუფა” წარმოსდგება სუდანის პროვინცია ჩუფიდან (Chuf), საიდანაც 4000 წლის წინათ მოხვდა ესპანეთში, კერძოდ ვალენსიაში, საღაც ფართო გავრცელება პოვა.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ასეული წლების განმავლობაში ადამიანები ჩუფას გორგლებსა და ცხიმებს იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით: კულინარიაში, მედიცინაში, კოსმეტოლოგიაში, პარფიუმერიასა და ყოფაცხოვრებაში.

გორგლები საკვებად გამოიყენება ნედლი, მოხარშული, შემწვარი სახით. გაღახალული გორგლები ყავის სუროგატია. გემოვნებით ჩვეულებრივი ნუშის, არაქისისა და სოიოს მსგავსია, ფართოდ იხმარება საკონდიტრო ნედლეულში ნამცხვრების, ტორტების, კანფეტების, პალვის დასმზადებლად. ხოლო ახლო აღმოსავლეთსა და ესპანეთში მისგან ამზადებენ გამაგრილებელ ტკბილ სასმელს, რომელიც ცნობილი იყო ძველი ეგვიპტულებისთვისაც. ვალენსიაში ყოველწლიურად აწყობენ ამ სასმელისადმი (რომელიც რძის შემცვლელიცაა), სახელწოდებით “ჰორშატა დე ჩუფა” (horchata dechufa) მიძღვნილ დღესასწაულს.

გორგლები შეიცავს ცნიოვან ზეთებს (26-36%), სახამებელს, გლუკოზას, ცილებს, გაჯერებულ და ნახევრად გაჯერებულ მჟავებს, დიდი რაოდენობის მინერალებს, ფოსფორს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ვიტამინებს, განსაკუთრებით C და E - ს.

გორგლებიდან მიიღება სასიამოვნო გემოსი და სუნის ჩუფას ზეთი. ფარმაკოლოგიაში ზეთი ცნობილია სახელით “bulbuli thrasi”, მისი წარმოება XVIII ს-დან იწყება. ქიმიური შემადგენლობით ახლოა ზეთისხილის ზეთან, დაბალი მჟავიანობისაა, არ შრება, დაუანგვისას სქელდება. შეიცავს ლინოლინისა და ლინოლენის მჟავებს, დიდი რაოდენობით ოლეინის მჟავას, ვიტამინ E-s (ალფა და გამა ტოკოფეროლი – ბუნებრივი ანტიოქსიდანტი, არ სინთეზირდება სამრეწველო გზით). გემოვნებით არ ჩამოუვარდება ზეთისხილის ზეთს და სუფრის ზეთის ანალოგიურად იხმარება.

ჩუფას გორგალი ხასიათდება ანტიოქსიდანტური, ანტისეპტიკური, იმუნომოდელირების, მკვებავი და დამატენიანებელი მოქმედებით. სამკურნალოდ გამოიყენება: გულის პათოლოგიების, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ნივთიერებათა ცვლისა და საკვებმომნელებელი სისტემის გასაუმჯობესებლად, სისხლში ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების ღონის დასაქვეითებლად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისათვის, აფართოებს სისხლძარღვებს, ამცირებს სისხლის ბალთების წარმოქმნის რისკს, არიდებს ათეროსკლეროზს, ამაგრებს ძვლოვან ქსოვილებს; ანტიოქსიდანტის – ტოკოფეროლის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე ხელს უშლის ორგანიზმის, კერძოდ ქსოვილების დაბერებას.

ჩუფას ზეთი სილამაზის ინდუსტრიაშიც იხმარება; შედის სხვადასხვა კრემების, ნიღბების, ფრჩხილებისა და თმის ძირების გამამაგრებელ საშუალებებში. ძლიერი ანტისეპტიკური საშუალებაა, კურნავს ეგზემას და კანის სხვა დაავადებებს, ხასიათდება მკვებავი და დამარბილებელი მოქმედებით, უბრუნებს კანს ელასტიურობას, ასწორებს ნაოჭებს, არბილებს კანის გაუხეშებულ მონაკვეთებს, კურნავს ნახეთქებს.

### ცვილიანა – *Myrica gale L.* ოჯ. ცვილიანასებრნი — Fam. Myricaceae



**მორფოლოგია:** ბუჩქია 1-1,5 მ სიმაღლის, დატოტვილი, სფერული ფორმის. ტოტები მუქი მურაა, უხვად შეფოთლილი. ფოთლები

მოგრძო-კვერცხისებრია, 2-6 სმ სიგრძისა და 0,8-1,5 სმ სიგანის, სოლისებრი ძირით, მახვილი ან მომრგვალო წვერით, მოკლეყუნწიანი, ზედა მხრიდან მუქი მწვანეა, მქრქალი, ქვედა მხარეს - ბაცი. მცენარე ორსახლიანია. ყვავილი წვრილია, ერთსქესიანი, შეკრებილია მამრობით თავთავისებრ და მდედრობით მჭადა ყვავილედებად. ნაყოფი კრებადი კურკაა, ოვალურ-კვერცხისებრი, მომწვანო. ყვავილობს გაზაფხულზე, ფოთლების წარმოქმნამდე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ეეროპაში, ჩრდილო ამერიკაში. იზრდება ჭაობებში, დაჭაობებულ მდელოებსა და დაჭაობებულ ტყეებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** დანიაში, განსაკუთრებით იუტლანდიაში, საღაც საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, ყლორტები და ფოთლები წარმოადგენს ძირითად კომპონენტს (ცვილიანას შაპსის წარმოებაში (Porsestaps), გამოირჩევა რბილი გემოვნებითაც.

სამკურნალო ნედლეული ფოთლებია, გროვდება ივნის-აგვისტოში. ცხობილია, რომ შეიცავს ფისებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ფიტონციდებს. ხასიათდება შარლმდენი, სისხლდენის შემაჩერებელი, შემკვრელი, ანტისეპტიკური, დამამშვიდებელი, დამაძინებელი და ანტიპელმინტური მოქმედებით.

**ცილინდრული ლუფა – *Luffa cylindrica* (L.) Roem.  
ოჯ. გოგრისებრნი — Fam. Cucurbitaceae**



**მორფოლოგია:** 5 მ-მდე სიგრძის ლიანაა. ღერო წვრილია 1,5 სმ სისქის. ფოთლები მომრგვალოა, 5-9 ნაკვთიანი, 15-25 სმ სიგანის. ყვავილები ერთსქესიანია, მდედრობითი — მარტოულია, მამრობითი — მოკლე მტევნებადაა შეკრებილი, გვირგვინი მილისებრ-ბორბლისებრია, ბრტყელი გადანაღუნით, ნარინჯისფერი, 5 სმ-მდე დიამეტრის. ნაყოფი ფორმით კიტრს მოგვაგონებს, 50-100 სმ-მდე სიგრძისაა, გლუვი ან მცირედ წახნაგოვანი, ყვითელი ან მურა. ნაყოფის ჭურჭლოვანი კონები წარმოქმნის ბოჭკოვან ჩონჩხს, რბილობი სიმწიფისას ლორწოვანი ხდება; ნეჭას შემდეგნაირად ღებულობენ: ნაყოფს მომწიფების შემდეგ აცილებენ ქერქს, ბოჭკოს ჩონჩხს რეცხავენ, ასუფთავებენ ლორწოსა და თესლებისაგან, ბოჭკოს ხარშავენ, ღებავენ და აშრობება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ინდოეთის, აფრიკის ამერიკის ტროპიკებში. კომერციული მიზნით ამრავლებენ ჩინეთში, იაპონიაში, ინდონეზიაში, ფილიპინებშე, ჰონკონგში, ბრაზილიასა და კარიბის რეგიონში, ამასთან ითვლება, რომ საუკეთესო ნეჭა იაპონიაში მიიღება.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ტექნიკური და ბოსტნეული კულტურაა. ნორჩი ნაყოფები გამოირჩევა არომატით და ორიგინალური გემოვნებით, პგავს ყაბაფს, მაგრამ სპეციფიური და

განუმეორებელია. საკვებად გამოიყენება შემწვარი, დაკონსერვებული, მოთუშული, მოხარშული სახით. შეიცავს ვიტამინებს, კალიუმისა და ფოსფორის მინერალურ მარილებს, ტრიტერპენოიდებს – კუკურბიტაცინს, ოლეინის მჟავას; თესლები - ცხიმოვან ზეთებს. ნაყოფების ნახარში კოლუმბიის ხალხურ მედიცინაში იხმარება ცხვირის ქრონიკული დაავადებებისას. შესულია ჰომეოპატიურ მედიცინაში იგივე მაჩვენებლებით, მათ შორის აღვრგიული ხასიათის.

### **ციმბოპოგონი, ლიმონის ბალახი – *Cymbopogon citratus* (DC.) Stapf.**

**ოჯ. მარცვლოვანნი — Fam. Gramineae (Poaceae)**



**მორფოლოგია:** სწრაფმოზარდი მრავალწლოვანი ბალახია. ტროპიკულ კლიმატში აღწევს 180 სმ სიმაღლეს, უფრო ცივ რეგიონებში - 1 მ. ინვითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას. ფოთლები ბაცი მწვანეა, გრძელი, ვიწრო ლანცეტა, მახვილი წვერით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ მაღაიზიას მიიჩნევენ; ბუნებრივად გავრცელებულია შრი-ლანკაში, ტაილანდში, ბირმაში, კამბოჯაში.

კულტივირებულია ინდოეთში, ჩინეთში, აფრიკაში, აზიის ტროპიკულ რაიონებში, ამერიკაში და სამხრეთ ევროპაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** აზიისა და კარიბის კულინარიაში მეტად პოპულარულ გამორჩეულ სანელებელს წარმოადგენს. ხასიათდება მსუბუქი ლიმონის არომატით და ციტრუსის გემოთი. იყენებენ მშრალ, დაფქვილს და ნედლი სახით წენიანებში, ზღვის პროდუქტების, თევზეულის, ფრინველის, ღორისა და ძროხის ხორცის შესაკმაზად. კულინარიაში გამოსაყენებლად ფოთლებს აცლიან, რჩება ღერის ქვედა ნაწილი, რომელიც საკვებად გამოსაყენებლად ხეშეშია, თუმცა მას თხლად ჭრიან და უმატებენ კერძებს; მთლიანსაც სრესავენ, ამ შემთხვევაში წვენთან ერთად ღეროდან არომატული ზეთიც წარმოიქმნება. ლიმონის ბალახისგან გამაგრილებელ ჩაისაც ამზადებენ, რომელიც გამოირჩევა ლიმონის მსუბუქი ნოტებით. კერალში პოპულარულია ბალახის ჩაი, სახელწოდებით “chukka kaapi”, რაც ნიშნავს “მშრალი კოჭას ყავას”.

მცენარის ძირითადი კომპონენტი ციტრალია, რომელიც მთლიანი მოცულობის 70-85% შეადგენს, აღინიშნება გერანიოლი, მიკრინი, დიანენი, მეთილგეპტენონი, ლინალოლი, ნეროლი, ფარნეზონი, ციტრონელოლი; დიდი რაოდენობით შეიცავს A და C ვიტამინებს, კალციუმს, ფოსფორსა და რკინას.

მშრალი ბალახიდან ღებულობებს ქარვის შეფერილობის ეთერზეთებს, მკვეთრი, გრილი, მატონიზირებელი არომატით. მას იყენებენ პესტიციილების სახით მწერების საწინააღმდეგოდ; გამოიყენება მრავალი ქვეწის მსოფლიო არქივებში უძველესი პალმის ფოთლებზე დაწერილი მანუსკრიპტების დასაცავად, ვინაიდან ზეთი მწერების გარდა ძველ ხელნაწერებს დაშლისგანაც იცავს. ეთერზეთები ფართოდ იხმარება არომათერაპიაში, გამოირჩევა ფსიქო-ემოციური მოქმედებით: არის მატონიზირებელი, გამაგრილებელი, სსნის დაღლილობას, ამაღლებს სასიცოცხლო აქტივობას, შრომისუნარიანობას, ახდენს ყურადღების კონცენტრაციას, აუმჯობესებს მახსოვრობას, იწვევს ძალისა და ენერგიის მოზღვავებას. სამკურნალო - ახდენს პოტენციის სტიმულირებას, აცილებს

თავის ტკივილებს, შველის სურდოს; შენობებში ახდენს პაერის დეზინფიცირებას, წმინდაგს აურას.

გამოიყენება კოსმეტიკასა და პარფიუმერიაში.

მცენარე ხასიათდება მატონიზირებელი, ანთებისა და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო, შემომგარსავი, დამამშვიდებელი, შემკვრელი, ჭრილობების შემახორცებელი, ანტიოქსიდანტური, ანტისეპტიკური, ქარმდენი, მაღეზინფიცირებელი მოქმედებით.

ფართოდ გამოიყენება აიურვედასა და მრავალი ქეყნის ხალხურ მედიცინაში, შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: სასუნთქი გზების დაავადებების, სურდოს, სინუსიტის, ჰაიმორიტის, ორგანიზმიდან ტოქსინების გამოსადევნად, ლვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის, თირქმელებისა და ნაწლავების გასაწმენდად, სისუსტისა და თავბრუსხვევის, ჰიპოტონიის, ვენების ვარიკოზული გაფართოების პროფილაქტიკის, სისხლის მოძრაობისა და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების გამაუმჯობესებლად, ლიმფოდრენაჟის, ინფექციური დაავადებებისა და ციებ-ცხელების, ტემპერატურის დასაწევად, როგორც ანტიდეპრესანტი, სტრესებისა და უძილობის, სახსრების ტკივილების, კოლიტისა და გასტროენტერიტის, ჭარბი ოფლდენის, ლაქტაციის ასამაღლებლად.

**ცისკარა – *Levisticum officinale* L.**  
**ოჯ. ქოლგოსახნი (ნიაზურისებრნი) — Fam. Umbelliferae**  
**(Apiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 2 მ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფოთლები პრიალაა, ფრთისებრგან კვეთილი, ხასათდება სპეციფიური მწვავე ნიაზურის მსვავსი სურნელით. ყვავილი მოყვითალო-მწვანეა, შეკრებილია რთულ ქოლგებად. გვირგვინის ფურცლები ბაცი-ყვითელია, მომრგვალო, მოხრილი წვერით. ნაყოფი - ორთესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია და კულტივირებული უკრაინისა და რუსეთის რეგიონებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი პოპულარული მცენარეა ხალხურ მედიცინასა და კულინარიაში. ადრე გაზაფხულზე მწვანე ბალახს ნიაზურის მაგიერ იყენებენ წვნიანებში, მოთუშული ხორცისა და რაგუს შესაკმაზავად. ნედლი ღეროები, ფოთლები, ფესვები და ყუნწები იხმარება კულინარიაში საღათების არომატიზაციისა და ბოსტნეულის დამწილებისას. ფესვებიდან ხარშავენ მურაბას, აშადებენ ცუკატებს, ღებულობენ ეთერზეთებს, რომელიც განაპირობებს სასიამოვნო არომატსა და გემოს. მცენარის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილები წარმოადგენს ნედლეულს, რომელსაც იყენებენ

საკონდიტრო ნაწარმის, მარინადების, სასმელებისა და სხვ. არომატიზაციისათვის.

ფოთლებში აღინიშნება: ეთერზეთები, მჟაუნმჟავა, პურინები, მინერალური ნივთიერებები (კალიუმისა და ნატრიუმის მარილები), ვიტამინები: ასკორბინის მჟავა, თიმინი, კაროტინი, ეთრზეთები; ფესვებში-ცინეოლი, კარვაკროლი, სესკვიტერპენები, პუმოზური ნივთიერებები, ლაქტონები, ორგანული მჟავები (ვაშლის, ანგელიკის, ძმრის, იზოვალერიანის), ფუროკუმარინები-ფსორალენი და ბერგაპტენი, დიდი რაოდენობის მთრიმლავი ნივთიერებები, ლეციტინი, ფიტონციდები, მინერალური ნივთიერებები, შაქარი, სახამებელი, გუმფისი, ფისები და ვიტამინები (კაროტინი, ასკორბინის მჟავა, რუტინი, ფოლიოს მჟავა). ოქსლებში აღინიშნება ეთერზეთები.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია მწვავე ნეფრიტისა და ფეხმძიმობისას.

**ციტრონი, “ბუდას ხელი” – *Citrus medica L. var. sarcodactylis*  
Swingle  
ოჯ. ტეგანისებრნი – Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბუჩქოვანი მცენარეა ეკლიანი ტოტებით. ფოთლები მსხვილია, ხეშეში. ფორმით და ფერით არ

განირჩევა ლიმონისაგან, თუმცა არსებობს ნაირსეხეობა ე.წ. “ბუდას თითები”, რომელიც მოჰყავთ იაპონიასა და ჩინეთში და ნამდვილად თითებს მოგვაგონებს; ნაყოფის ქვედა ნაწილი იყოფა რამდენიმე სიგრძივ ნაკვთულებად, 30 სმ-მდე დიამეტრისა და 40 სმ-მდე სიგრძისაა, უთესლო. უმთავრესად მოყვითალო-ლიმონისფერია, არსებობს მოყვითალო-მწვანე და ნარინჯისფერი ჯიშებიც; ქერქი მკვრივია, სქელი, რბილობს არ სცილდება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** უძველესი ციტრუსოვანი კულტურაა. სამშობლო ზელოთაშუაზღვეთის ქვეყნებია. ამრავლებდნენ ჯერ კიდევ ძველ ინდოეთსა და დასავლეთ აზიაში. კულტივირებულია აზიის ზოგიერთ ქვეყანაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ციტრონის ნაყოფები მომჟავო-ტკბილია თავისებური სიმწარით. იშვიათად იხმარება ნედლი სახით, უმთავრესად გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში. ქერქი შეიცავს ეთერზეთებს, რომელიც მკვეთრი არომატით გამოირჩევა, რის გამოც მას სანელებლად უმატებენ საკონდიტრო ნაწარმს, სასმელებს, ამზადებენ ცუკატს. ციტრონის ეთერზეთები შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, განსაკუთრებით A, C, B – ჯგუფისას, უჯრედისას, მინერალურ მარილებს, მიკროელემენტებს. ნაყოფი ხასიათდება ანტისეპტიკური და ვირუსების საწინააღმდეგო მოქმედებით.

გამოიყენება ლარინგიტის, ბრონქიიტის სამკურნალოდ; ამზადებენ ანგინისა და ბრონქიალური ასთმის სამკურნალო საშუალებებს. ნაყოფის წვენი რეკომენდებულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და მადის გამაუმჯობესებლად ქათმის ბულიონში დამატებული სახით. არის აგრეთვე მატონიზირებელი მოქმედების, ფიქრობენ, რომ კურნავს ალკოჰოლიზმს.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია წყლულოვანი დაავადებების, გასტრიტის, პანკრეატიტისა და ვირუსული პეპატიტის დროს.

**ძირთეთრა — *Pastinaca sativa* L.**  
**ოჯ. ქოლგოსანნი (ნიახურისებრნი)**  
**Fam.Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთი ან ორწლოვანი 30-100 სმ სიმაღლის მცენარეა, თითისტარისებრი, ხორცოვანი მოყვითალო-ყავისფერი ფესვით. ღერო სწორმდგომია, შიშველი, წახნაგოვან-დაღარული, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ფრთისებრია, ზედა მხრიდან პრიალა, ქვედაზე - უფრო ნათელი და რბილი ბეწვით მოფენილი. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, გრძელი, მოხრილი ვაგინით; ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, მოგრძო-კვერცხისებრი, წევროსეული - სამნაკვთიანი, კიდეებზე მსხვილკბილა. ყვავილები შეკრებილია როტულ ქოლგად 8-12 მთავარი სხივით; ჯამის ნაცვლად განვითარებული აქვს 5 უმნიშვნელო კბილი, გვირგვინი - 5, მოყვითალო-ოქროსფერი, შეზრდილფურცლიანია. ნაყოფი იყოფა 2 შებრტყელებულ ნაწილად. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ფართოდ გავრცელებული სახეობაა, იზრდება მინდვრებში და ბალახოვან ადგილებში, ბუჩქნარებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კულტურული ჯიშები მოპყავთ ბოსტნებში სქელი ხორცოვანი, თითისტარისებრი ფესვის გამო, რომელსაც სანელებლად იყენებენ.

სამკურნალო ნედლეულს ფესვები და ნაყოფები წარმოადგენს. წვენი შეიცავს წყალს 79,5 მგ%, ცილებს 1,2 მგ%, ცხიმებს 0,3

მგ%, ნახშირწყლებს 13,1 მგ% (მათ რიცხვში მონო და დისახარიდბს - 5 მგ%), უჯრედისს 4,9 მგ%, ნაცარს 1 მგ%, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, C, E, K), მაკროელემენტებს (K, Ca, Mg, Na, F), მიკროელემენტებს (Fe, Mn, Cu, Se, Zn), ეთერზეთებსა და გლიცერიდებს, ზეთის, პეპტილურ და კაპრონის მჟავებს.

ძველ საბერძნეთში ექიმმა დიოსკორიდმა პირველმა გამოიყენა ძირთეთრა როგორც შარდმდენი საშუალება სამკურნალო მიზნებისათვის. შუა საუკუნეებში ამ მცენარის გამოყენების დიაპაზონი არსებითად გაფართოვდა. მას იყენებდნენ როგორც აფროდიზაკს, მადის გამაძლიერებლად, აგრეთვე ხელების საწინააღმდეგოდ და ტკივილგამაყუჩებლად. ხალხურ მედიცინაში ფესვების ნაყენსა და ნახარშს ღებულობენ ხელების შესარბილებლად, აგრეთვე როგორც მატონიზირებელს მძიმე დაავადებების შემდგომ პერიოდებში.

ფართო გამოყენება ჰპოვა ოფიცინალურ მედიცინაშიც. ხასიათდება მატონიზირებელი, შარდმდენი, ბაქტერიციდული, ტკივილგამაყუჩებელი და ამოსახველებელი მოქმედებით. აძლიერებს მაღას, ასტიმულირებს შიდა სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებას, აუმჯობესებს საკვებმოწმელებელი სისტემის მუშაობას, ნივთიერებათა ცვლას, ამაგრებს კაპილარული სისხლძარღვების კედლებს; გამოიყენება ღიეტურ საკვებად ნაღველკენჭოვანი და თირკმელკენჭოვანი, ნიკრისის ქარების, ნერვული სისტემის დარღვევების, ტუბერკულოზის, პნევმონიის, ბრონქიტის და ემფიზემით დაავადებულთათვის. წარმატებით გამოიყენება მრავალგვარი გონებრივი მოშლილობის დროს. რეკომენდებულია როგორც მადის გამაძლიერებელი და სპაზმილიტური საშუალება საკვების მომნელებელი ორგანოების დარღვევებისას, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ. ფარმაცევტულ მრწველობაში თესლებისაგან მზადდება კანის დაავადებების (მათ შორის ვიტილიგოს) სამკურნალო პრეპარატები.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული მისი საკვებად გამოყენება ბავშვებისა და ხანდაზმულების, ისევე როგორც ფოტოდერმატიზმით დაავადებულთათვის.

**ბირტყბილა – *Glycyrriza glabra* L.**  
**ოჯ. პარკოსანნი — Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორთოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი ფესურითა და სწორმდგომი 1,5 მ-მდე სიმაღლის ღეროთ; ფოთლები 3-9 წყვილი ფოთოლაკისგანაა შემდგარი, რომლებიც ელიფსურ-ლანცეტაა, შიშველი, ქვემოდან მცირეოდენ წებოვანი; თანაფოთლები ვიწროა, სადგისისებრი, ადრევე ცვივა. ყვავილები იასამნისფერია, შეკრებილია მოგრძო მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი 2,5 სმ სიგრძის, შიშველი, ტყავისებრი, მურა შეფერილობის, 3-6 თესლიანი, სწორი ან ოდნავ მოხრილი პარება. თესლი თირკმლისებრია, ყავისფერი. ყვ. VI-VII. ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა კონტინენტზე: ევროპის ტერიტორიაზე, შუა აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიასა და ამერიკაში. მისით მკურნალობდნენ ძველი ეგვიპტის, ტიბეტის, საბერძნეთისა და ინდოეთის ცნობილი მედიკოსები, შესაბამისად მცენარე ამ მიწებზე იზრდებოდა რამდენიმე ათასი წლის წინათ.

**მნიშვნელობა და გამოვენება:** ფესვები უსუნოა, ხოლო გემო მეტისმეტად ტკბილია, რაც გამოწვეულია მასში არსებული გლიკოალკალიიდ გლიცირიზინის 4-6%-მდე შემცველობით — ნივთიერება, რომელიც 150-ჯერ ტკბილია შაქარზე.

გამოიყენება კვებით მრეწველობაში — ექსტრაქტებში, სიროფებში, შაქრის სუროგატის სახით, შედის მატონიზირებელი

და ქაფწარმომქმნელი უალკოპოლო სასმელების (ძირტკბილას ექსტრაქტი – ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კოკა-კოლასა და პეპსი-კოლაში), ლუდის, ბურახის შემადგენლობაში; ვარგისია ყავის, კაკაოს, მარინადების, კომპოტების, კისელების, ცომეულის, კანფეტების, ხალვის ნაწარმში. იყენებენ გემოვნების გამაუმჯობესებლად თევზეულის დამუშავებისას, უმატებენ შავ და მწვანე ჩაის. ყირგიზეთში ჩაის სუროგატია; იაპონიაში გამოიყენება საკვების ანტიოქსიდანტური დანამატის სახით. ბაქტერიციდული და ფუნგიციდური თვისებებიდან გამომდინარე ეგვიპტესა და იაპონიაში უმატებენ საკვებ პროდუქტებსა და სასმელებს. ფოთლები ჩაის სუროგატია. თესლები შედის სუროგატული ყავის შემადგენლობაში.

სამკურნალო ნედლეული ფესვებია, შედგება მთავარი ფესვის (ზოგჯერ რამდენიმე მ სიგრძისა) და მისგან ჰორიზონტალურად განვითარებული ფესურებისაგან. ხასიათდება მკვეთრად გამოხატული სამკურნალო თვისებებით.

ციმბირელი მეცნიერები სწავლობდნენ რა ტიბეტურ მედიცინას, მოახდინეს რამდენიმე ათასი რეცეპტის გაანალიზება. გამოირკვა, რომ ძირტკბილას სამკურნალო თვისებებით გამორჩეულ სხვა მრავალ მცენარეებს შორის, სამკურნალო ხარისხით ჰირველი ადგილი უკავია და ბევრად უსწრებს სხვებს. საინტერესოა, რომ ამ სიაში, ცნობილ უენშენს მხოლოდ მე - 15 ადგილი ერგო. ტიბეტურ მედიცინაში ძირტკბილა შედიოდა ყველა სამკურნალო ნაკრებების (98%-ის) შემადგენლობაში.

მიეკუთვნება რა უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს, ჩინეთში წარსულშიც და ეხლაც განსაკუთრებით დაფასებულია. მსოფლიოში ჰირველი ადამიანი, რომელმაც შეაგროვა და გამოაქვენა ცნობები ძირტკბილაზე იყო ლეგენდარული ჩინელი თავაღი შენ-ნუნი (3 ათასი წლის წინათ ა.წ.-აღ.-მდე, “წიგნი ბალახებზე”). ლეგენდის თანახმად, ის სწავლობდა და ცდიდა სხვადასხვა მცენარის მოქმედებას ადამიანზე. ჩინელი ექიმების თანახმად ძირტკბილას ფესვი აძლიერებს და აახალგაზრდავებს ორგანიზმს; დღესაც ჩინურ ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება როგორც ამოსახველებელი, შემომგარსავი და სუსტი საფაღარათო, მშრალი ბრონქიტისა და

ფილტვების ტუბერკულოზის, კუჭისა და თორმეტგოჯანაწლავის წყლულის სამკურნალოდ, შხამსაწინააღმდეგოდ ხორცითა და თევზით მოწამდვისას. მას თითქმის ყველა წამალს უმატებენ. ოგორც ჩინური, ასევე ტიბეტური მედიცინა აღნიშნავს ძირტკბილას პრეპარატების მძლავრ გამაძლიერებელ ეფექტს, განსაკუთრებით ბავშვობისა და ხნიერ ასაკში. ტიბეტური მედიცინის უმთავრეს სახელმძღვანელოში (“უფ-ში”) მითითებულია, ოომ მისი პრეპარატები ორგანიზმს ანიჭებს ახალგაზრდულ იქრს, ხელს უწყობს დიდი ხნით სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მის მიმართ გულგრილები არ იყვნენ ინდოეთში, საბერძნეთსა და ოომში. შუა საუკუნეებში ძირტკბილას სამკურნალო სიკეთებს აღწერდა ავიცენა, გამსაკუთრებით გამოჰყოფდა ფესვების წვენს და მიაჩნდა, ოომ ის ამაღლებს მამაკაცების პოტენციას.

ფესვები შეიცავს გლიცირიზინის მჟავას და კალიუმისა და კალციუმის მარილებს, 27 სახის ფლავონოიდებს, 20%-მდე შაქრებს (გლუკოზა, სახაროზა), 3% მწარე ნივთიერებებს, 4% ფისებს, 20% სახამებელს, ეთერზეთებს, საღებავ ნივთიერებებს, ვიტამინებს – 30 მგ% ასკორბინის მჟავას, კაროტინს, მთრიმლავ და ლორწოვან ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (ძირითადად ვაშლის), ცილებს, ასპარაგინსა და სხვა შენაერთებს.

ფესვი მცირედ ტოქსიკურია, ეფექტური საშუალებაა მრავალი დაავადების მკურნალობისას: რევმატიზმის, ბრონქიალური ასთმის, კანისა და თვალის დაავადებების, კუჭისა და თორმეტგოჯანაწლავის წყლულის, კუჭისაწლავის ტრაქტის ქრონიკული ანთებითი მდგომარეობის (განსაკუთრებით კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის) დროს.


ძირტკბილას პრეპარატებს ოფიცინალური და ხალხური მედიცინის მკურნალები (ნახარშების, ნაყენების, ექსტრაქტების სახით) იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადებებისას, ოგორც ამოსახველებელ, დამარბილებელ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებას ბრონქიტისა და ფილტვების დაავადებებისას. შველის შარდის ბუშტში კენჭებს და აღისონის დაავადებას, ხსნის ქრონიკულ დაღლილობას, აღადგენს ნერვული სისტემის მოქმედებას; გამოიყენება აგრეთვე მჭამელას, ეგზემის,

რევმატიული ართოიტის, ჭინჭრის ციების, ღვიძლის დაავადებებისა და დაბალი წნევის დროს.

სასარგებლობა შაქრიანი დიაბეტის დროსაც. ამჟამად, არსებობს ცნობები ძირტკბილას კიბოს საწინააღმდეგო აქტივობის შესახებ.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული მისი მიღება პიპერტონიის, შეშუპებისა და არითმიის დროს; ხოლო გადაჭარბებული მიღება იწვევს თავბრუსხვევას, გულის რევას, სახსრების პრობლემას.

**წალიკა — *Persicaria hydropiper* (L.) Delarbre  
ოჯ. მატიტელასებრნი — Fam. Polygonaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი, 30-90 სმ სიმაღლის მცენარეა. ღერო სწორმდგომია ან ამომავალი, ჩვეულებრივ დატოტვილი, შიშველი, მოწითალო. ფოთლები ლანცეტაა, 3,0-9,0 სმ სიგრძისა და 0,7-2,0 სმ სიგანის, ქვედა - მოკლე ყუნწებით, ზედა - მჯდომარეა, მახვილი, გლუვი. ყვავილები განწყობილია 1-3 ცალად ყლორტების ბოლოებზე, შეკრებილია ვიწრო, ფაშარ, 3,0-8,0 სმ სიგრძისა და 0,2-0,5 სმ სიგანის თავთავისებრ მტევნებად, ქვედა ნაწილში - წყვეტილია. ყვავილსაფარი ვარდისფერი ან თეთრია, გარედან უხვადაა დაფარული ყვითელი ჯირკვლებით. ნაყოფი ორწახნაგოვანი, მოშავო-მურა კაკალია, 2,2-3,0 მმ სიგრძის. ყვ. VI-IX. ნაყ. VIII-X.


**ისტორია და ქულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ევროპაში (ბელგია, ავსტრია), დასავლეთიდან შორეულ აღმოსავლეთამდე, ჩრდილოეთიდან - სკანდინავიდან სამხრეთამდე (ინდონეზია და ფილიპინები); აღინიშნება აფრიკის ჩრდილოეთში (ალჟირი, მაროკო) და ავსტრალიაში. იზრდება დაჭაობებულ მდელოებზე, მდინარეების, არხების, ჭაობების, ტბების ნაპირებზე, აგრეთვე გზების გასწვრივ, ტენიან ადგილებში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ბალაზი (ფოთლები, ყვავილები, ღეროები) და დაქუცმაცებული თესლები სანელებელად გამოიყენება სალათებში, წვნიანებში, სოუსებში. მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს ეთერჩეთებს, გლიკოზიდ პოლიგობიპერინს, რუტინს, კაროტინს, ასკორბინის მჟავას, ერგოსტერინს, ტოკოფეროლს, ნაფტოზინონს, ფიტოსტერინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (ძმრის, ჭიანჭველას, ვალერიანის, ვაშლის), აცეტილქოლინს, რკინას, შაქრებს, ფლავონურ წარმოებულებს - რამნოზინს, რუტინს, იზორამნეტინს, კვერციტრინს, კვერცეტინს, ჰიპეროზიდს, კემპფეროლს. ფესვებში აღინიშნება - ანტრაგლიკოზიდები და მთრიმლავი ნივთიერებები.

თანამედროვე მედიცინაში ნაყენისა და თხევადი ექსტრაქტის სახით გამოიყენება ბუასილისა და საშვილოსნოდან სისხლდენების, საშვილოსნოს ფიბრომიომის, ქრონიკული ენდომეტრიტისა და უხვი მენსტრუაციის დროს.

ხალხურ მედიცინაში მას იყენებდნენ როგორც შემკვრელ, სისხლდენის შემაჩერებელ, ტკივილგამაყუჩებელ, ჭრილობების შესახორცებელ საშუალებას, ფარისებრი ჯირკვლის, კანის, ღვიძლის, შარდკენჭოვანი დაავადებების, შეშუპების, კუჭის წყლულის, ეგზემისა და ბრონქიალური ასთმის დროს.

**წიწვატი - *Lepidium sativum L.***  
**ოჯ. ჯვაროსანნი (კომბოსტოსებრნი)**  
**Fam. Cruciferae (Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის. ღერო ზედა ნაწილში დატოტვილია. როზეტისეული ფოთლები ყუნწიანია, ერთმაგ-ორმაგფრთისებრგანკვეთილი, ზედა ფოთლები მჯდომარეა, მთლიანი, ყველა მოცისფრო-მწვანე. ყვავილები - ფაშარია, ყვავილები წვრილია, გვირგვინის ფურცლები თეთრია, 3 მმ სიგრძის. ნაყოფი მოკლე ჭოტია (ჭოტაკი), მომრიგვალო-ოვალური, ფრთისებრი, 5-6 მმ სიგრძისა და 4 მმ-მდე სიგანის. თესლი კვერცხისებრია, წვრილი, მუქი წითურა. ყვ. IV; ნაყ. VI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება, უცნობია საწყისი სახეობაც. კულტურაში შეტანილია წინა აზიაში მრავალი საუკუნით ადრე ახალ ერამდე ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში ძვ.წ.აღ.-ის IV ს-ში. ახალი ერის პირველ საუკუნეებში ვრცელდება ევროპაში. სადღეისოდ დიდი რაოდენობით მოჰყავთ დასავლეთ ევროპაში, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდ. ამერიკაში, შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ნედლი ფოთლები გამოიყენება როგორც სასალათე მწვანილი და სასიამოვნო სანელებელი ხორცეულისა და თევზეულის წვნიანებში.

შეიცავს 89,4 მგ% წყალს, 2,6 მგ% ცილებს, 0,7 მგ% ცხიმებს, 4,4

მგ% ნახშირწყლებს, 1,1 მგ% უჯრედისს, 1,68 მგ% ნაცრებს,

ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>4</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, C, E, K), მაკროელემენტებს (K,Ca, Mg, Na, P), მიკროელემენტებს (Fe, Mn,Cu, Se, Zn), 3,8 მგ% კაროტინს. თესლებში აღინიშნება 50-60 მგ% ცხიმები, რომელიც გამოიყენება საპნის წარმოებაში.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, მიაჩნდათ - თავის ტკივილის, შაკიკის, ბალდამის და ქარისმდენ საშუალებად, ხოლო ნორჩი ფოთლები და მისი წვენი ცინგის საწინააღმდეგოდ იხმარებოდა. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორციებელი, ამოსახველებელი, შარდმზნი, ნაღველმდენი, ანტიმიკრობული მოქმედებით.

საუკეთესო საშუალებაა გაზაფხულზე ავიტამინოზთან საბრძოლველად, აძლიერებს მადას, აუმჯობესებს საკვების მონელებას, აქვეითებს არტერიულ წნევას; ამცირებს კატარაქტის, მაკულოდისტროფიას, პროსტატის, ონკოლოგიური დაავადებების წარმოქმნის რისკს. დაქუცმაცებულ ნედლ ფოთლებს საფენების სახით ხმარიბენ წინამდებარე ჯირკვლის გადიდების, ძნელად შესახორცებელი ჭრილობების, მუნის სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია გასტრიტის, კოლიტისა და დუოდენიტის დროს.

**წყლის წიწმატი – *Rorippa nasturtium-aquaticum* (*Nasturtium officinale* (L.) R. Br.)  
ოჯ. ჯვაროსანი – Fam. Cruciferae (Brassicaceae)**



**მორფოლოგია:** წყლის მრავალწლოვანი მცენარეა, მსხვილი, წამოწეული 10-60 სმ სიმაღლის დრუ დეროთი. ფოთლები ფრთისებრგანკვეთილია, ყუნწიანი, ხასიათდება 2-7 წყვილი მოვრძო ან ოვალური, მეტ-ნაკლებად ამოკვეთილი, მრგვალგბილა, ძირში ასიმეტრიული გეგრდითი ნაკეთებით და უფრო დიდი ზომის, მომრგვალო ან კვერცხისებრი, კიდეზე ტალღისებრ დაკბილული კენწრული ნაკვთით. ყვავილები შეკრებილია ფარისებრ კენწრულ ყვავილედებად, გვირგვინის ფურცლები თეთრია. ნაყოფი ხაზური ჭოტია, ხშირად ოდნავ მოღუნული და შებრტყელებული; თესლი ორმწკრივადაა ჭოტში განლაგებული, პატარა ზომისაა, წვრილბადიანი, მოწითალო-მისაკისფერი. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავცელებულია მთელ ევროპაში, დას. აზიაში - ინდოეთამდე, ჩრდ. აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში. გეხვდება მთელ საქართველოში.

**იზრდება ტენიან აღვილებში** (წყალსატევები, წყაროები, არხები და ა.შ.).

**მნიშვნელობა და გამოყენება:** როგორც ბოსტნეული მცენარე კულტივირებული და გამოყენებული იყო ჯერ კიდევ ძველ რომში. სანელებლად გამოიყენება მწვანე ფოთოლაკები. გამოირჩევა მწკლარტე და მომწარო გემოვნებით და პირშეშხას

მსგავსი მწვავე, სასიამოვნო არომატით. გამოიყენება სასალათედ და სანელებლად სხვა ბოსტნეულ სალათებში, უხდება ბოსტნეულ წვნიანებს; აუმჯობესებს თევზეულის, ხორცის კერძების, სოუსების ხარისხს და გემოვნებას. უმატებენ ბუტერბროდებს (თევზის, ვიჩინის, კვერცხის, ყველის), მათ ანიჭებს მდოგვის სპეციფიურ გემოვნებას. ხოლო პიტნასა და როზმარინთან ერთად წარმოქმნის სანელებლების პიკანტურ ნაკრებს.

ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვანი სანელებლიდან, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ნედლი სახით.

წყლის წიწმატი მდიდარია სხვადასხვა ნივთიერებებით: რკინით, ფოსფორით, კალიუმით, აზოტოვანი ზეთებით, ვიტამინებით (A, B, C, E, K); შეიცავს გლიკოზიდ - გლუკონასტურცინს, საპონინებს, ალკალინიდებს, ნახშირწყლებს. თესლებში აღინიშნება 22-24% ცხიმოვანი ზეთები.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება სისხლის გამწმენდ, ნივთიერებათა ცვლის მომაწესრიგებელ, ამოსახველებელ, შარდმდენ, ციებ-ცხელებისა და ცინგის საწინააღმდეგო საშუალებად.

ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში იხმარება ფარისებრი ჯირკვლის, ღვიძლის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების, ანემის, შაქრიანი დიაბეტის, ნიკრისის ქარის სამკურნალოდ. მცენარის წვენს გარეგანად იყენებენ დამწვრობის, მეჭეჭების, ლიპომას საწინააღმდეგოდ.

## ჭყიძა-მხალი – *Anthriscus cerefolium* (L.) Hoffm.

ოჯ. ქოლგოსანნი (ნიაზურისებრნი)

Fam. Umbelliferae (Apiaceae)



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარებს ნაში, კაშკაშა-მწვანე ფოთლების უხვ როზეტს, გარეგანად ოხრახუშის მსგავსია, მაგრამ უფრო წვნიანია, ანისულის ნაზი არომატით. ყვავილი თეთრია, წვრილი, შეკრებილია რთულ ქოლგებად. ნაყოფი ორთესლურაა, მომწიფებული ღებულობს შავ ფერს ისტერი ელფერით, ფორმით ნაძის წიწვებს მოგვაგონებს. მცენარე იზრდება და ვითარდება 40-50 დღეში, იძლევა ყველაზე აღრეულ ფხალეულს. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII.

**ისტორია და კულტურის გარეცელება:** ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, დიზუნქციური არეალით. საქართველოში ფართოდა გავრცელებული.

იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში, ტყის პირებზე, ტყის მდელოებზე, როგორც სარეველა რუდერალურ ადგილებში და საცხოვრებელი სახლების მახლობლად.

**მიმეგნელობა და გამოყენება:** კულინარიასა და მედიცინაში გამოიყენება ბალახი, უმთავრესად ფოთლები, აგრეთვე მისი წვენი. შეიცავს ეთერზეთებს, ფიტონციდებს, მაკრო და მიკროელემენტებს, ვიტამინებს – ასკორბინის მჟავას, კაროტინს. მცენარე კულინარიაში ნედლი სახით გამოიყენება როგორც სანელებელი სალათების, წვნიანებისა და მეორე კერძების შესაკაზმავად. სითბური დამუშავებისას კარგავს არომატს. წვრილად დაჭრილი ბალახი სასიამოვნოა წვნიანებში, ქათმის

ბულიონში, მისით კაზმავენ ნახარშებს, თევზს, ყველს. ბალახი სხვადასხვა კერძს აძლევს არა მარტო სასიამოვნო პიკანტურ გემოს, ახდენს მათ ვიტამინირებასაც.

მედიცინაში გამოიყენება შინაგანი და გარეგანი დანიშნულებით. შინაგანად ციებ-ცელების, ზედა სასუნთქი გზების ანთებითი პროცესების, ტუბერკულოზის, სიყვითლის, წყალმანკის, თავბრუსხევევის დროს გარეგანად - კანის ქავილის, მღიერის, სკროფულოზის, ბუასილის დროს საფენებისა და აპლიკაციების სახით.

ჭყიმა-მხალი იწვევს საერთოგამაძლიერებელ, ანთების საწინააღმდეგო, ფიტონციდურ, ამოსახველებელ და შარდმდენ მოქმედებას.

### **ჭყიმი — *Anthriscus sylvestris* (L.) Hoffm.**

**ოჯ. ქოლგოსანნი (ნიახურისებრნი)**

**Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 100-150 სმ სიმაღლის, ზემოთ დატოტვილი ღეროთი; ფოთლები ორმაგ-სამმაგ ფრთისებრგან კვეთილია, მათი სეგმენტები კვერცხისებრია ან მოგრძო. ყვავილები შეკრებილია 8-15 სხივიან ქოლგებად, რომელთა საბურველის ფოთლები ვიწრო-კვერცხისებრია, კიდეწამწამიანი. ყვავილები თეთრია, ჯამის კბილები არ ემჩნევა, გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია. ნაყოფი

მოკლე ჯაგრითაა მოფენილი, კვერცხისებრია ან მოგრძო, მკაფიოდ გამოსახული ნისკარტით, წიბოები არ ეტყობათ. ზეთის სავალი გზები წიბოებს შორის თითო-თითოდაა განლაგებული. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად ფართოდაა გავრცელებული შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიაში (აღმ. ანატოლია), ჩრდილო ირლანდიაში, კავკასიაში, შუა აზიასა და ციმბირში. იზრდება ტყეებში, სუბალპურ მდელოებზე, ბუჩქნარებში, ხმირად როგორც სარეველა სათიბებსა და საძოვრებზე ზღ.დ. 3200 მ სიმაღლემდე.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** საკვები, ბოსტნეული მცენარეა; მიწისზედა ნაწილი შეიცავს კუმარინებს, ფლავონოიდებს, ტერპენოიდებს, ვიტამინ C-ს, ანთოციანებს, ეთერზეთებს, კაროტინს, ფენოლგარბონულმჟავებს. ფესვები - ორგანულ მჟავებს, არომატულ შენაერთებს, ფენოლებს და მათ წარმოებულებს, კარბონულ მჟავებს, კუმარინებს.

ფესვები ჩინურ და კორეულ ხალხურ მედიცინაში ითვლება სედატურ, ტკივილგამაყუჩებელ და საშვილოსნოს სამკურნალო საშუალებად, იხმარება ამენორეის დროსაც. ფოთლები ხასიათდება ანტიჰელმინტური მოქმედებით; საფრანგეთში გამოიყენება ასციტის, ფილტვების ტუბერკულოზის, სკროფულოზის, ეგზემის შემთხვევაში.

კავკასიაში აპლიკაციის სახით იხმარება სიდამწვრისა და წყლულების დროს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოებისა და ქალური დაავადებებისას, ასევე კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ.

ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, დამაშვილებელი, ჭიისძლენი, ანთებისა და კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით.

ნაყოფების ექსტრაქტი ავლენს სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობას.

## ზავერდა – *Tagetes* L.

ოჯ. რთულყვავილოვანი (ასტრასებრი) — Fam. Compositae  
(Asteraceae)



**მორფოლოგია:** გვარი მოიცავს ერთ და მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეებს, რომელთა სიმაღლე 70-80 სმ-ია, ფოთლები კენტფრთისებრია: ყვავილები ყვითელია, ნარინჯისფერი, მუქი მურა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ამერიკაა. მათი არეალი გადაჭიმულია სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე, არგენტინიდან არიზონამდე, სადაც იზრდება გვარის 35-ძღე სახეობა. ადრეულ პერიოდებში ადგილობრივი მოსახლეობა ხავერდას სხვადასხვა სახეობა იყენებდა როგორც სამკურნალო და სარიტუალო მცენარეს, უფრო მოგვიანებით კი როგორც არომატულ სანელებელს. მათ შორის სადღეისოდ ცნობილი და მეტად პოპულარულია - მექსიკური ტარზუნა (*Tagetes lucida*), ლიმონის ხავერდა (*Tagetes lemmoni*, *T. nelsonii*); პოპულარულია აგრეთვე ჯუჯა ხავერდა (*T. signata*) გვიმრასებრი წვრილად განკვეთილი ფოთლებითა და ლიმონის სურნელით. როგორც ეთერზეთოვან ნედლეულს ამრავლებენ წვრილ ხავერდას (*Tagetes minuta*).

ხავერდას სახეობები ფართოდაა კულტივირებული მრავალ ქვეყანაში, დეკორატიული და ეთერზეთოვანი კულტურის სახით. **მნიშვნელობა და გამოყენება:** ხავერდას ყველა სახეობის მცენარეთა მიწისზედა ნაწილი (ფოთლები, ღეროები და ყვავილები) ხასიათდება ძლიერი არომატით. სანელებლად

მეტწილად ყვავილები გამოიყენება. მას უმატებენ ლობიოსა და ბოსტნეულის კერძებს, რომელთა შემადგენლობაშია ნიგოზი. მეტად პოპულარულია ქართულ კულინარიაში, სადაც იხმარება ნიგვზიან კერძებში - საცივში, თევზეულისა და ხორცეულის გარნირებში, ნიგვზიან ფხალეულში, წვნიან კერძებში და სხვ. სხვადასხვა სახეობის ფოთლები სანელებლად უმთავრესად გამოიყენება აშშ-ში და სამხრეთ ამერიკაში. ნედლ ფოთლებს უმატებენ სალათებს, ბოსტნეულ მარინადებს, მმარს. ჩილესა და არგენტინაში ფოთლებს სანელებლად იყენებენ საქონლის შიგნეულისა და ბრინჯიანი კერძების შესაკაზმავად. ამზადებენ ყვავილების ჩაის, რომელიც გამოირჩევა დამამშვიდებელი მოქმედებით. კომერციული მიზნით ჩრდილოეთ ჩილეში ამრავლებენ წვრილ ხავერდას სახეობებს ლიმონის სურნელის ეთერზეთების მისაღებად, რომელიც გამოიყენება კვებით მრეწველობაში გამაგრილებელი და ალკოჰოლური სასმელების (კოლას ჩათვლით), ნაყენის, ნამცხვრების, პუდინგის, სანელებლების არომატიზაციისათვის. იხმარება თამბაქოს ნაწარმის არომატიზატორად. ხავერდას ეთერზეთების მსოფლიო მწარმოებელია ბრაზილია, ფართოდაა კულტივირებული აფრიკაში, მოჰყავთ საქართველოშიც.

სამკურნალო მიზნით ამერიკის აბორიგენული მოსახლეობა ათასეული წლებია რაც იყენებს. ხმარობლენენ გაციების, ბრონქიტებისა და ხველების საწინააღმდეგოდ.

**ხარისხარდა – *Salvia sclarea* L.**  
**ოჯ. ტუხზსანი – Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სქლადაა მოფენილი ხუჭუჭა, მრავალუჯრედიანი ქეჩისებრი ბეწვითა და ყუნწიანი ჯირკვლებით. ღერო 30-110 სმ-მდე სიმაღლისაა, 1 სმ-მდე სისქის, მეტწილად სწორია, ზედა ნაწილში საგველასებრ დატოტვილი. მცენარე პირველ წელს ინვითარებს ფოთლისეულ როზეტს, მეორე წელს – გენერაციულ ყლორტებს, უპირატესად ღეროსეული ფოთლებია განვითარებული, კვერცხისებრიდან გულისებრ-კვერცხისებრი ფორმისაა, წვერზე მომრგვალიან მოკლედ წაწვეტებული, კიდეებზე არათანაბრად მრგვალკბილებიანი ან ამოღრნილკბილიანი, ბადისებრნაოჭა, ორივე მხარეს თხლად ნაცრიფერ-ქეჩისებრ შებუსული. კენწრული თანაყვავილის ფოთლები მჯდომარეა, კვერცხისებრ-გულისებრი, მახვილწვერიანი, ღვინისფერ-წითელია ან სოსანი ფერის, კიდეებზე და ძარღვების გაყოლებაზე ბეწვით მოფენილი. ყვავილები 2-2,5 სმ სიგრძისაა, 4-6 ყვავილიან ჩხროებადაა შეკრებილი მტევნისებრ ყვავილედებად; გვირგვინი 2-3-ჯერ აღემატება ჯამს, ღია სოსანი ან ვარდისფერია. ნაყოფი კვერცხისებრი, ბლაგვი, სამწახნაგოვანი, გლუვი, წაბლისფერი ან უფრო მუქი კაკლუჭაა, მუქი ყავისფერი თესლებით. ყვ. VI-VII (VIII); ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, ჩრდილო აფრიკაში, მცირე აზიაში, ირანში, სირიაში, ცენტრალურ, სამხრეთ დასავლეთსა და შუა აზიაში.

საქართველოში აღინიშნება - აფხაზეთში, აჭარაში, ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთსა და მესხეთში.

კულტივირებულია საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, რუმინეთში, მოლდოვაში, უკრაინაში (ყირიმში), კავკასიაში და სხვ.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე ფისისებრ-ინას სურნელებისაა. კელტების საკულტო მცენარეს წარმოადგნდა, მისით ხდებოდა სასმელების არომატიზაცია, რომელიც რელიგიური რიტუალების დროს ებმარებოდა ქურუმებს ტრანსში შესასვლელად. საკვებ მრეწველობაში იხმარება ყველისა და ჩაის ნაწარმის არომატიზაციისათვის, გამოიყენება ჯავშისა და ვერმუტის ღვინოების დასამზადებლად და ლიქორების წარმოებაში. თამბაქოს მრეწველობაში იყენებენ მაღალი ხარისხის თამბაქოს სურნელებისათვის.

სამკურნალო ნედლეული ყვავილედებია, შეიცავს 0,12-0,15 % ეთერზეთებს, რომლის ძირითადი კომპონენტებია:

ლინალილაცეტატი, გერანილაცეტატი, ნერილაცეტატი, ბორნილაცეტატი, მნიშვნელოვანი რაოდენობითაა მონოტერპენული სპირტები – ლინალოლი, გერანილი, ნეროლი, ტერპანეოლი და სხვ. ბალახში აღინიშნება აგრეთვე კუმარინები, ფლავონოიდები, საპონინები, ორგანული მჟავები.

ეთერზეთები გამოირჩევა განსაკუთრებული არომატით, რომელიც მოგვაგონებს ჯავშის, ამბრისა და ლავანდის სურნელს. სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი, რომ წარმოადგენს კარგ ფიქსატორს და ხშირად ცვლის ზემოთ დასახელებულ ძვირფას სანელებლებს.

თესლები შეიცავს ბაცი ყვითელი ფერის ცხიმოვან ზეთებს, სასიამოებო სურნელით, რომელიც გამოირჩევა მაღალი ტექნიკური თვისებებით, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს კერამიკისა და ფაიფურის წარმოებაში უმაღლესი ხარისხის ოლიფის ზეთის დასამზადებლად.

ეთერზეთები სასიათდება ანტიბაქტერიული აქტივობით; ჭრილობების შემახორცებელი მაღალი უნარით და ეფექტურობით უტოლდება ვიშნევსკის მალამოს. ზეთით წარმატებით მკურნალობენ დამწვრობებსა და რთულად შესახორცებელ წყლულებს, სტომატიტებსა და გინგივიტებს. უძველესი დროიდან გამოიყენება თვალისა და ქალის სასქესო სფეროს ანთებითი პროცესების დროს. მას იყენებენ კლიმატერიული პერიოდის საწყის ფაზაში ჰორმონალური უგმარისობისა და ემოციური აშლილობის დასაძლევად, აგრეთვე მენსტრუაციის წინა სინდრომის დროს.

მეტად პოპულარულია არომათერაპიაში. არის ცნობები ეთერზეთების ვირუციდული აქტივობის შესახებ, კერძოდ ორტო და პარამიკსოვირუსების, A და B გრიპის შემთხვევაში, ეფექტურია ინჰალაციების სახით. ზეთი იწვევს მოდუნებას, სპაზმოლიტურ მოქმედებას, აუმჯობესებს განწყობილებას სეზონური დეპრესიების, ქრონიკული დაღლილობის, ხერვოზების, სტრესების, შიშისა და მოუსვენრობის შემთხვევაში. აღნიშნულია მისი ანტიოქსიდანტური, ჰიპოტენზიური და ნალველმდენი მოქმედება. შველის შაკიკს, ქალებში თავის ტკივილს, თუ დაკავშირებულია ჰორმონალურ პრობლემებთან.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ონკოლოგიური დაავადებები, მასტოკატია. არ არის რეკომენდებული ფეხშიმობისას და სპირტიან სასმელებთან ერთდროული მიღება, ითვლება, რომ ამით ძლიერდება მისი მოქმედება.

**ხაშხაში — Papaver somniferum L.**  
**ოჯ. ყაყაჩოსებრნი — Fam. Papaveraceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სწორმდგომი, ცვილისებრი ნაფიფქით დაფარული ღეროთი. ფესვი მთავარღერძაა, ნიადაგში ღრმად ჩამავალი. ფესვთანური ფოთლები წაგრძელებულია, სპირალურად განწყობილი; ღეროსეული ფოთლები ფართო ლანცეტაა ან კვერცხისებრი ფორმის, ღერომხვევი. ყვავილი მსხვილია, სხვადასხვა შეფერილობის – თეთრიდან მუქ - იასამნისფერამდე. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, სფერული ან წაგრძელებული, თესლების მომწიფებისას არ იხსნება, რითიც ყაყაჩოს სხვა სახეობებისგან განსხვავდება. ყვ. VI; ნაყ. VII-VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ხაშხაში ველურად არ გვხვდება, ფიქრობქნ, რომ წარმოიქმნა ველური სახეობების ჰიბრიდიზაციის გზით. სამშობლოდ წინა აზიას მიიჩნევენ. მისი კულტურა საწყისს უძველესი დროიდან იღებს. მრავალსაუკუნოვანი კულტურის პროცესში ჩამოყალიბდა სამრეწველო ნიშნით მკვეთრად გამორჩეული ორი ჯგუფი: ოპიუმიანი და ზეთოვანი. ოპიუმიანი ყაყაჩოს ჯიშები ხასიათდება მსხვილი კოლოფებითა და რძის წვენის მაღალი შემცველობით.

ხოლო ზეთოვანი ჯგუფის ყაყაჩოს ჯიშები მოპყავთ თესლების მისაღებად, იყენებენ კვებით მრეწველობაში.

ხაშხაშის ჯიშები ფართოდაა კულტივირებული ევრაზის ქვეყნებსა და ჩრდილო აფრიკაში, ნაწილობრივ ჩრდილო ამერიკაში. მასშტაბურად მოპყავთ ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, პაკისტანში, ინდონეზიაში, ირანში, თურქეთში, ბულგარეთში, უკრაინაში, რუსეთში (ვორონეჟის ოლქში, დას. ციმბირში), ყაზახეთში, ბაშკირეთში, თათრეთის რესპუბლიკაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** კულინარიაში ფართოდ გამოიყენება ხაშხაშის წვრილი შავი თესლები, რაც ხშირად გვინახავს ფუნთუშეულსა თუ ღვეზელებზე, ის არ შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ხასიათება მხოლოდ სუსტი დამამშვიდებელი ეფექტით. მისი ფასი გემოვნებაშია. თესლების გემოს აღწერა ადვილი არ არის, ვინაიდან განსხვავებულია ნედლ და მშრალ მარცვლებში, შავსა და თეთრში, დაფქვილსა და მთლიანში, დახალულსა და ნედლში. მაგრამ საერთო ჯამში, დახალული თესლები ნიგვზის გემოვნებისაა, დანაყილი და დაორთქლილი თესლები - ნაღების, ნედლი თესლები - მსუბუქი ბალახოვანი, ყვავილის სურნელისა და გემოვნებისა.

საკვებად ხაშხაშის გამოყენება უძველეს წარსულში დაიწყეს, მისი თავაკები აღმოჩენილია შუმერებისა და ასირიელების ძველ სამარხებში. თესლიდან ღებულობდნენ ეთერზეთებს, იყენებდნენ როგორც კონსერვანტს; ის დიდხანს არ მძალდება და შესანიშნავად უნარჩუნებს გემოს სხვადასხვა პროდუქტებს (ბოსტნეულს, ხორცს, თევზეულს). ყაყაჩოს თესლებს უმატებენ ნამცხვრების ცომეულს, სხვადასხვა სახის პურეულს, ჰალვასა და თაფლის კვერს. აურქევევნ ფუნთუშებს, ბუბლიკებს, ღვეზელებს გამოცხობის წინ. ყაყაჩოს თესლები შაქართან დანაყილი ტრადიციულია სლავური დღესასწაულის მაკოვეასადმი მიძღვნილი რულეტების და ღვეზელების შიგთავსის სატენად. ინდოეთში თესლების დანაყილ ფხვნილს შესასქელებლად უმატებენ სოუსებს, იოგურტსა და სანელებლების ნაკრებს.

ხაშხაში ასევე გამოირჩევა სამკურნალო მნიშვნელობით.

საძქურნალო ნედლეული კოლოფებია, გროვდება თესლების მომწიფების პერიოდში, როდესაც - მოყვითალო მურა შეფერილობისაა. კოლოფები შეიცავს 8-25 მგ% ოპიუმს, რომელიც წარმოადგენს ორგანული და მინერალური შენაერთების - ალკალოიდების, ცილების, ნახშირწყლების, ლორწოს და სხვ. როტულ ნარევს. ოპიუმში ერთ-ერთი ძირითადი ალკალოიდის - მორფინის შემადგენლობა 0,2-2 მგ% -ია. აფთიაქებში დამზადებული წამლების უმრავლესობა შეიცავს ოპიუმს ან მის ძირითად ალკალოიდებს: მორფინს, კოდეინს, ნარკოტინს, პაპავერინს და სხვა - 25 -ზე მეტი დასახელების ალკალოიდს. ოპიუმი და სხვა ალკალოიდები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში როგორც ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი საშუალებები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორფინი, რომელიც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით გამოირჩევა; სამედიცინო პრაქტიკაში მას ინექციის სახით იყენებენ ონკოლოგიური დაავადებების მეოთხე სტადიის, სტენოკარდიის, პნევმონიის დროს. კოდეინიც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი და ნარკოტიკული საშუალებაა, ხშირად გამოიყენება ხველებისას, როგორც დამამშვიდებელი.

**უკუქმედება:** მორფინის უარყოფითი თვისება, რის გამოც მისი გამოყენება შეზღუდულია, არის მისი ძლიერი მოქმედება თავის ტვინის ქერქზე, იწვევს ეიფორიას, წარმოიქმნება მუდმივი მოთხოვნილება პრეპარატისადმი, რაც ფსიქიკური აშლილობით მთავრდება. ამიტომ აღნიშნული პრეპარატების გამოყენება მკაცრად რეგლამენტირებულია.

**ხახვი — Allium cepa L.**  
**ოჯ. ხახვისებრნი — Fam. Alliaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მცენარეა (კულტურაში ერთწლოვანი); ბოლქვი 15 სმ დამეტრისაა, აპკისებრი; გარე ქერქლები მშრალია, ყვითელი, იშვიათად იასამნისფერი ან თეთრი; შიდა - ხორცოვანი, თეთრი, მომწვანო ან იისფერი; ქერქლები განლაგებულია დამოკლებულ ღროზე, ე.წ. - ძირაკზე. წვინიანი ქერქლების უბეებში ვითარდება კვირტები, რომელებიდანაც შვილეული ბოლქვაკები წარმოიქმნება. ფოთლები მილისებრია, ლეგა-მომწვანო. საყვაეილე ისარი 1,5 მ სიმაღლისაა, მრავალყვავილიანი ქოლგისებრი ყვავილედით; ყვავილები გრძელფუნწიანია, ყვავილსაფარი მომწვანო-თეთრია, 1 სმ-მდე დამეტრის, უქვე ფოთოლაკიანი; ზოგჯერ ყვავილედში ყვავილების გარდა წარმოიქმნება წვრილი შვილეული ბოლქვაკები; ნაყოფი - კოლოფია, 6-მდე თესლით. თესლი შავია, სამწახნაგოვანი, ნაოჭიანი, წვრილი. ყვ. VI; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ხახვი ველურად არ გვხვდება. ითვლება, რომ კულტურაში შეტანილ იქნა სადღაც 4-6 ათასი წლის წინათ აზიაში, უფრო ირანსა და ავღანეთში. არ არის გამორიცხული, რომ როგორც კულტურული მცენარე, წარმოიქმნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აზიის სხვადასხვა ტერიტორიებზე, ვინაიდან მთელ რიგ რეგიონებში იზრდება ნამდვილი ხახვის ველურად მოზარდი მონათესავე სახეობები.

ზუსტადაა ცნობილი, რომ დიდ ფართობზე მოჰყავდათ ძველ ეგვიპტეში, მდ. ნილოსის ხეობაში აზ.წ.აღ.-მდე III-II ათასწლეულში. ძველ საბერძნეთში ახ.წ.აღ.-მდე რამდენიმე ასეული წლით ადრე კულტურული ხახვის მრავალი ჯიში არსებობდა. მის შესახებ აღნიშნულია ჰომეროსის პოემებსა და ძველი შუმერების ლურსმნულ ფირფიტებზე. ჰეროდოტეს მიხედვით ხახვი სპარსელების საყვარელი საკები ყოფილა, ისევე, როგორც რომაელების, კოლხებისა და ებრაელებისთვის. საქართველოში უხსივარი დროიდან მოჰყავდათ ყველა კუთხეში; მის შესახებ ნათქვამია ძველ აღქმასა და ყურანში. რუსეთში ცნობილია X საუკუნიდან. სადღეისოდ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული კულტურაა, რომლის გამრავლება ვეგტატიურად ხდება.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** უძველესი დროიდან ძვირფას საკებ, სანელებელ-შესაკაზმავ, არომატულ მცნარედ მიიჩნევა. გამოიყენება ბოლქვები და ფოთლები. ფაქტიურად არ არსებობს კერძი, წვნიანი თუ ფხალეული, რომ არ გამოიყენებოდეს. მეცნიერები ოპტიმალურად თვლიან ადამიანის მიერ ყოველწლიურად 7-10 კგ ხახვის გამოყენებას.

ბოლქვი შეიცავს 4,5 მგ% შაქრებს, 1,5-2 მგ% ცილებს, დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C), აგრეთვე B, PP - ჯგუფის ვიტამინებსა და კაროტინს (პროვიტამინ A), ორგანულ მჟავებს, უჯრედისს, პექტინოვან ნივთიერებებს, ზოგიერთ შეუცვლელ ამინომჟავებს (ვალინს, ლეიциნს, ლიზინს, მეთიონინს, ტრეონინს, ტრიპტოფანს), მაკრო და მიკროლემნტებს, ეთერზეთებს, ფიტონციდებს; ფოთლებში აღინიშნება 6-7 მგ% მშრალი ნივთიერებები, მათ შორის 1.7 მგ% შაქრები, 1,5-2 მგ% ნედლი ცილები, 27-95 მგ % ასკორბინის მჟავა, 2 მგ % კაროტინი, ვაშლისა და ლიმონის მჟავები. 50-100 გ მწვანე ხახვი უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმის დღე-ღამურ მოთხოვნილებას C ვიტამინისადმი. ბოლქვების მსგავსად, ფოთლებიც შეიცავს ეთერზეთებს (20-60 მგ%), რომელიც მათ სპეციფიურ სუნსა და გემოს ანიჭებს.

ადამიანის მოდგმის მრავალმა თაობამ საკუთარ თავზე გამოსცადა

ხახვის სამკურნალო ძალა. მისი სამკურნალო თვისებები საოცრად მაღალია და ხალხურ მედიცინაში ითვლება ღვთიურ მცენარედ. ასე მაგ.: ძველ ეგვიპტეში ხახვი განასახიერებდა დაუშრეტელ სასიცოცხლო ძალასა და უკვდავებას. მას როგორც თილისმას ატარებდნენ ავი თვალისა და დაავადებებისაგან დასაცავად. ეგვიპტეში მიიჩნევდნენ სამყაროს სიმბოლოდ, თვლიდნენ, რომ მისი რგოლები და ქერქლები წარმოადგენენ დედამიწის კონცენტრულ გარშემოწირულობას, რომელიც მოიცავდა ქმნილებას გეომეტრიულ მისტერიებში.

ძველი დროის ექიმების აზრით, არ არსებობდა დაავადება, რომლის დროსაც ხახვს ავადმყოფისათვის შეების მოტანა არ შეეძლო. დიოსკორიდი წარმატებით იყენებდა როგორც სისხლის გამწმენდ საშუალებას. ავიცენა რეკომენდაციას უწევდა როგორც მადის აღმძვრელ და სუსტი ჯანმრთელობის გამაძლიერებელ საშუალებას.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში განსხვავებული დანიშნულებით იყენებდნენ, კერძოდ: ანგინის, ჭრილობების შემახორცებელ, ციებ-ცხელების, თავის ტკივილის, ქოლერის, დიზენტერიის, წყალმანკის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების, ქრონიკული კოლიტის, ბრონქიალური ასთმის, ფილტვების ანთების, გრიპის, ზედა სასუნთქი გზების კატარის, კანის სოკოვანი და ჩირქოვანი დაავადებების, წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის, ჰიპო და ავიტამინოზის, ყაბზობის, ბუსილის, ნაწლავების ანთების, ნაწლავების ათონიის, ათეროსკლეროზის, მრგვალი ჭიების, ტრიქომონადური დაავადებების დროს, ჭორფლის საწინააღმდეგოდ. ხახვი სასარგებლოა აგრეთვე ონკოლოგიური დაავადებებისას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები ხახვის წვენს იყენებდნენ თმის გასამაგრებლად, რაც დაამტკიცა თანამედროვე მეცნიერულმა მედიცინამ, შემუშავებულია გამელოტების საწინააღმდეგო მეთოდები ხახვის წვენის მეშვეობით.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ხახვის ბოლქვებზე არსებულ სახეცვლილ ფოთლებს მოთუშული სახით ხმარობდნენ

ჩირქეროვების გამოსარწყავად, ჭიისმდენ, კუჭის გამხსნელ, ბუასილის დროს სისხლის გამწმენდ საშუალებად.

სადღეისოდ მედიცინაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხახვისა და ნივრის გოგირდის შემცველ ნივთიერებათა მოქმედებას. დამტკიცებულია, რომ ეს ნაერთები ხასიათდებიან ანტიბაქტერიული მოქმედებით.

ხახვისა და ნივრის ეთერზეთების მოქმედების ფართო შესწავლამ ელემენტარული ჰიპერგლიკემიის დროს აჩვენა, რომ უფრო გამოკვეთილი პიპოქოლესტერული ეფექტით ხასიათდება ნივრის ზეთი; მისი შშრალი, დაქუცმაცებული ფოთლები და დეროები წარმოადგენენ პიპოტენზიური პრეპარატის ერთ-ერთ მოქმედ შემადგენელ ნაწილს. არსებობს საინტერესო მონაცემები ამ მცენარეების სიმსივნის საწინააღმდეგო ოვისებებზე ექსპერიმენტში და კლინიკაში მათი გამოყენების შესახებ კიბოთი დაავადებულთა მკურნალობისას.

ხახვის კანიდან მიღებულია კვერცეტინისა და სპირეოზიდის შემცველი პრეპარატი, რომელიც ექსპერიმენტალურ კვლევაში, ჰიპერქოლესტერინემიის დროს აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ამავე დროს ხასიათდება დასხივების საწინააღმდეგო მოქმედებით. კანიდან გამოყოფილია აგრეთვე ფლავონოიდების კომპლექსი და სუფთა კვერცეტინი, რომლებიც ხასიათდებიან დიურეზული მოქმედებით და ორგანიზმიდან ნატრიუმისა და ქლორიდების გამოყოფის უნარით; გამოყენებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ათეროსკლეროზის სამკურნალოდაც.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, თირკმელებისა და ღვიძლის დაავადებებისას.

**ხეპილპილა — *Vitex agnus-castus* L.**  
**ოჯ. ცოცხნასებრნი — Fam. Verbenaceae**



**მორფოლოგია:** მერქნოვანი ფოთოლმცვენი 2-4 მ - მდე სიმაღლის ბუჩქია. ფესვი მთავარღერძაა, დატოტვილი, მრავალრიცხოვანი გვერდითი ფესვებით. ღერო სწორმდგომია, ოთხწახნაგოვანი, მურა ფერის. ფოთლები მოპირისისირეა, თათისებრდანაკვთული, მწვანე, შედგება 5-7 მახვილი ფოთოლაკისაგან, უთანაფოთლოა. ყვავილები ხშირი საგველაა თავთავისებრი ფორმის, ყვავილები მრავალრიცხოვანია, იასამნისფერი ან ბაცი-იისფერი (ზოგჯერ მკრთალი ვარდისფერი). ნაყოფი ოთხბუდიანი კურკაა სფერული ფორმის, შავი ფერის, 3-4 მმ ზომის. მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება ძლიერი, მწვავე და სასიამოვნო არომატით. ყვ. VI-VIII; ნაყ. X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, აზიას ზომიერ სარტყელში (შუა აზია, სამხრეთ კავკასია) და ჩრდილოეთ აფრიკაში.

გამორჩეული მცენარეა. ლეგენდის თანახმად ამ ხის ქვეშ ისგენებდა იუდეველთა ხალხის მამამთავარი – აბრაამი. ქველ დროშივე მიაჩნდათ, რომ მას ძალუქს ადამიანების გაახალგაზრდავება, რისთვისაც საკმარისია მისი ტოტების ჩრდილქვეშ მოსვენება. სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ხისგან ამზადებდნენ კვერთხს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** არომატული ნაყოფები და სურნელოვანი თესლები კულინარიაში გამოიყენება სურნელოვანი

პიღპილის შემცვლელად. ფოთლებსა და ნაყოფებს სანელებლად ხმარობენ ხორცისა და თევზეულის კერძებში, მათ შორის დაშაშხულ თევზეულსა და ლორებში.

სამკურნალო ნედლეულს მცენარის მიწისზედა ნაწილი (ქერქი, ფოთლები, ტოტები, ყვავილები და ნაყოფები) წარმოადგენს. ფოთლები და ტოტები გროვდება მცენარის მთელ სავეგეტაციო პერიოდში (სიცოცხლის მესამე წლიდან), ყვავილები – ყვავილობის პერიოდში, ნაყოფები - მომწიფების კვალდაკვალ (სექტემბერი-ოქტომბერი), ქერქი – გაზაფხულზე ან შემოდგომით.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ფლავონოიდებს (იზოვიტექსინი, კასტიცინი), ირიდოიდებს (აუკუბინი, აგნოზიდი), მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალიოიდებს, მიკროელემენტებს, ვიტამინებსა და ეთერზეთებს. ფოთლებში აღინიშნება C ვიტამინი (38,9-118,1 მგ %); ნაყოფებში – კუმარინები და ცხიმოვანი ზეთები, რომლის შემადგენლობაშია ჭიანჭველის, მმრის, პროპიონის, ვალერიანისა და კაპრონის მჟავები. ეთერზეთების ყველაზე მაღალი შემცველობა ფიქსირდება ყვავილობის პერიოდში: ნაყოფებში – 0,47 %, მშრალ ფოთლებში – 55%-მდე. ეთერზეთების შემადგენლობაშია ცინეოლი, პინენი, საბინენი, პალმიტინის მჟავა.

ხეპიღპილა ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ექსტროგენული, ანტიფუნგალური და სედატური მოქმედებით. მისი პრეპარატები დაღებითად მოქმედებს ჯირკვლების ფუნქციაზე პორმონალური დარღვევებისას, ააქტიურებს ყვითელი სხეულის (რკინა, რომელიც არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს) ფუნქციას. ნაყოფები აუმჯობესებს საკვების მონელებას, ხასიათდება მატონიზირებელი და გამაძლიერებელი მოქმედებით. თესლიდან გამოყოფილი ზეთი შველის ონკოლოგიურ დაავადებებს. ცნობილია, რომ ხეპიღპილას პრეპარატები ასტრიმულირებს მეტყველების ცენტრს, განსაკუთრებით შველის მეტყველება - განუვითარებელ ბავშვებს. გამოიყენება აგრეთვე შემდეგი დაავადებებისას: დეპრესია, ღვიძლისა და ელენთის ქრონიკული დაავადებები, ციგბ-ცხელვა, უნაყოფობა, მენსტრუალური ციკლის დარღვევები, მასტოპატია, ქალების მიომა, მამაკაცების იმპოტენცია.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ციებ-ცხელების, გონორეისა და გულის ტკივილებისას. ფართოდ გამოიყენება პომეოპატიაში - ნედლ

წვენს იყენებენ დეპრესიის, ნერვული დაავადებებისას. ფოთლებისა და ყვავილების ნაყენები გამოიყენება როგორც ლაქტოგენური საშუალება, ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედებით. ნაყოფების ნაყენი აძაღლებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციას, გამოიყენება ქალური დაავადებების (ფიბროზულკისტოზური მასტოპატია, ფიბრომა, მიომა, კისტა, პოლიპები), მამაკაცებში- პროსტატიტის, უნაყოფობისა და ლეიკოზის სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული ხეპილპილას წვეთების მიღება ალკოჰოლიზმის მკურნალობის შემდეგ; გადაჭარბებულმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს ჰალუცინაციები, ფსიქომოტორული აღგზნება ან კანზე ალერგიული რეაქციები.

### ჟეტუხტი – *Hibiscus syriacus* L. ოჯ. ბალბისებრნი — Fam. Malvaceae



**მორფოლოგია:** ბუჩქი ან მცირე ზომის 5-6 მ-მდე სიმაღლის ხეა, მოყვითალო-მონაცრისფრო დახეთქილი ქერქით, ახალგაზრდა ტოტები ვარსკვლავისებრი ბეწვითაა მოფენილი. ფოთოლი კვერცხისებრ ან კვერცხისებრ-რომბული ფორმისაა, 5-10 სმ სიგრძისა და 4-6 სმ სიგანის. ყვავილები მარტოულია, ხშირად ბუთხუხა, განლაგებულია ფოთლების იღლიებში მოკლე, სქლად ვარსკვლავისებრ შებუსვილ საყვავილე ღეროებზე; გვირგვინის ფურცლები 6-10 სმ დიამეტრისაა, ფართო ზარისებრი, ვარდისფერ-მეწამული ან მოწითალო-ლილისფერი, ზოგჯერ თეთრი, ცენტრში

მუქი ლაქით. გვირგვინის ფურცლები წაგრძელებულია, უპუკვერცხისებრი, მომრგვალო წვეროებით. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფთა. თესლი თირკმლისებრია, დანაოჭებული, გლუვი, მუქი რუხი. ყვ. V-VIII; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში, ინდოეთში, მცირე აზიაში. ფართოდაა კულტივირებული დეკორატიული მიზნებისათვის.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ენერგეტიკულ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. მთელ მსოფლიოში ნედლი ფოთლები გამოიყენება საკვებად, უმატებენ სალათებს; ჩინეთში ისპანახის მსგავსად იყენებენ; ყვავილები მოხარშული სახით ყველთან, დამარილებული და სანელებლის სახით მრავალ ქვეყანაში გამოიყენება. ჩინეთში გვირგვინის ფურცლებს ღვეზელთან ერთად აცხობენ, ინდოეთში მას ხარშავენ შაქართან ერთად და ღებულობენ ტკბილ გამაგრილებელ სასმელს. გვირგვინის ფურცლებს აქვს რბილი, მწკლარტე გემო და მას იყენებენ დანამატის სახით კერძებში, ეს შეიძლება იყოს ხილისა და სანელებლიანი ღვეზელები, ხორცი და ალკოჰოლური სასმელები. ცენტრალურ ამერიკაში ღეროებს ხმარობენ წვნიანების დასამზადებლად. ფართო გამოყენება ჰპოვა ეგვიპტეში, სადაც ყვავილებიდან პირველად დამზადდა სასმელი კარგადე, რომელიც მდიდარია ასკორბინის მჟავით. თესლი გემოვნებით შირბაზტის მსგავსია, მოხალული და დაქუცმაცებული იხმარება წვნიანებსა და საკონდიტრო ნაწარმში. ჯამის ფოთოლაკებისაგან ამზადებენ მეტად სასარგებლო სურნელოვან ჩაის.

ნივთიერებები, რომლებიც ჩაის წითელ შეფერილობას იწვევს ანთოციანებია, ხასიათდება მკეთრად გამოხატული P ვიტამინის აქტივობით, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, არეგულირებს მათ გამტარიანობას და სისხლის წნევას; ცხელი ჩაი ამაღლებს წნევას, ცივი - კი აქვეითებს. ხასიათდება სპაზმური და შარდმდენი მოქმედებითაც, აუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. ხეტუხტში შემავალი ფლავონოიდები - კვერცეტინი, აძლიერებს ანთოციანების მოქმედებას, ასუფთავებს და ორგანიზმიდან დევნის შლაკებს, ასტიმულირებს ნაღვლის გამოყოფას, აძლიერებს ღვიძლის

დაცვის ფუნქციებს მავნე ზემოქმედებისაგან, აუმჯობესებს მეტაბოლიზმს, სპობს ზოგიერთ ტკივილგამომწვევა მიკროორგანიზმებს, გამოიყენება ჭიისმდენ საშუალებადაც.

ჩაის რეგულარული მიღება ჰიპოვიტამინოზის დამცველი საშუალებაა; მასში შემავალი ვიტამინებისა და მიკროელემენტების კომპლექსი კვებავს ორგანიზმს სასიცოცხლო ენერგიით, იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას და ზრდის ინფექციური დაავადებებისადმი წინააღმდეგობას.

**ჯავზი – *Myristica fragrans* Houtt**  
**ოჯ. ჯავზისებრნი – Fam. Myristicaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-15 მ-მდე სიმაღლის ხეა, პირამიდალური ხშირი ვარჯით, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით; ფოთლები ოვალური ფორმისაა, 20-30 სმ სიგრძის, მუქი მწვანე. ყავილები ორსქესიანია, მსხვილი, ნარინჯისფერი ან ლეგა-ყვითელი, ბუთხუზა, კონებად შეკრებილი. ნაყოფი 3-4 სმ დიამეტრისაა, მუქი მურა ფერის, მკვრივი გარსით, შეიცავს თესლებს თანათესლებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებია. კულტივირებულია ამავე ქვეყნებში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, სამხრეთ ჩინეთში, შრი-ლანკაზე, სეიშელისა და კარიბის კუნძულებზე, აფრიკის ტროპიკულ ქვეყნებში, ბრაზილიაში.

ისტორიულად ევროპაში პირველად არაბი ვაჭრების მიერ იქნა შეტანილი VII-VIII საუკუნეებში, სადაც სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მთელ რეგიონში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ძვირფასი კლასიკური სანელებელი მცენარეა, ნედლეულს თესლი წარმოადგენს, ხასიათდება დაზვეწილი, თბილი, მოტკბო არომატით, სუნელის ოდნავ მწვავე და პიკანტური გემოვნებით. ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, ხორცის, თევზის, ბოსტნეული კერძების, ძეხვების, ყველის, პაშტეტის, ხაჭოსა და სხვა პროდუქტების შესაკაშმავადდ, ლიიქიორის წარმოებაში; განსაკუთრებით ფართოდ - საკონდიტრო მრეწველობაში, მას უმატებენ ნამცხვრებს, კექსებს, ვაფლს, ტორტებს, კრემებს, კანფეტებს, ფუნთუშეულს და სხვ.

ძველი ინდოეთისა და ჩინეთის მედიცინა ამ სანელებელს სხვადასხვა სასარგებლო და სამკურნალო თვისებებს მიაწერდა. შესა საუკუნეების ექიმები კი პანაცეად თვლიდნენ. იყენებდნენ ინფექციური დაავადებების ეპიდემიების დროს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას; აწერდნენ რიგ ზებუნებრივ თვისებებსაც, აღინიშნებოდა მათი ჰალუცინაციური მოქმედებაც. თანამედროვე მედიცინა აღნიშნავს სანელებლის სამკურნალო და სასარგებლო თვისებებს. მაგ.: ჯავზი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც კეთილისმყოფლად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეციაზე, აუმჯობესებს მის მუშაობას; ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, სისხლძარღვთა გამაფართოებელი, ანალგეტიკური, მატონიზირებელი მოქმედებით, ხსნის სპაზმებს.

**სამკურნალოდ გამოიყენება:** კეთილთვისებიანი სიმსივნეების, მასტოპატიის, ღვიძლის, ნაღვლის ბუმტის, კუჭ-ნაწლავის ჭვლების, კუჭის დაავადებების, ქრონიკული დაარეის, ქრონიკული ღისპეფისის, მუცლის გაბერვის, კბილის ტკივილის, გულის რევისა და პირღებინების, გაციების, ხველების, რევმატიზმის, სახსრებისა და კუნთების სხვა დაავადებებისას; ახდენს თავის ტვინისა და სისხლის მიმოქცევის სტიმულირებას, ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, ნაღვლის ბუშტში ქვების დაშლას, ვენების ვარიკოზულ გაფართოებას; აფერხებს ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნას; აძლიერებს იმუნიტეტს;

აუმჯობესებს მადას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხსნის დაღლილობას; ასუფთავებს ბრონქებს ლორწოსაგან; აუმჯობესებს პირის სუნს. გამოიყენება ფიზიკური გამოფიტვის დროს და სასქესო აქტივობის ასამაღლებლად; არის რეპროდუქციული სისტემის მატონიზირებელი საშუალება, ასდენს ჰორმონ ესტროგენის იმიტაციას და როგორც წესი მენსტრუაციის ნორმალიზებასა და ტკივილების მოხსნას, მშობიარობის დროს საშვილოსნოს დავიწროების სტიმულირებას; არის აფროდიზიაკი და ანალგეტიკი.

ხშირად სხვადასხვა დოზით შედის კუჭის პრეპარატების შემადგენლობაში.

თესლებიდან გამოყოფილ ეთერზეთებს ფართოდ იყენებენ საპარფუმერიო წარმოებაში, კოსმეტოლოგიასა და არომათერაპიაში. ეთერზეთები ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთებისა და სოკოების საწინააღმდეგო, ანალგეტიკური, მატონიზირებელი, კანის გამათბობელი მოქმედებით; სუსტად აღიზიანებს რა კანს, ხსნის სპაზმებს, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, ახურებს სახსრებსა და კუნთებს, შედის დასაზელი კრემებისა და ზეთების შემადგენლობაში; ზეთი გამოიყენება სპორტულ მედიცინაში, აგრეთვე ართრიტებისა და ოსტეოსტრონოზის, რევმატიზმების დროს. ხელს უწყობს საკვების მონელებას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას.

**უკუქმედება:** უკუქმაჩვენებელია ფეხმბიმე ქალებისათვის, შესაძლებელია გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა. დიდ დოზებში იწვევს ნარკოტიკულ მოქმედებას.

**ჯინჭარი, ჭინჭარი — *Urtica dioica* L.**  
**ოჯ. ჯინჭრისებრნი — Fam. Urticaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1-2 მ სიმაღლის. ფესურა მხოხავია, დატოტვილი. ფოთლები დიდი ზომისაა, 12 სმ-მდე სიგრძის, კვერცხისებრ-ლანცეტა, მსხვილხერხყბილა, მსუსხავი. მცენარე ორსახლიანია. ყვავილები პატარა ზომისაა, შეკრებილია ფოთლის ყუნწებზე გრძელ საგველა ყვავილებად; ყვავილსაფარი ოთხფოთლიანია, სიფრიფინა. მდედრობითი ყვავილების ყვავილსაფრის ორი შიგნითა ფოთოლი უფრო დიდია და შემდეგში ნაყოფზე შემოხვეული, ხოლო მამრობითი ყვავილების ყვავილსაფარი ერთნაირი ფოთოლაკებითაა წარმოდგენილი და დაყვავილების შემდეგ ჭრება. ნაყოფი მობრტყო ან ოსპის მოყვანილობის კაკალია. ყვ. V-VIII. ნაყ. VII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბორეალური, დასავლეთ ევრაზიული სახეობაა, ფართო მეორადი არეალით. სეგეტალური სარეველაა, ტყე-მდელოს, მეზოფილური. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე, ტენიან, ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებზე, დაჩრდილულ ტყეებში, ტყის პირებზე, დანაგვიანებულ, რუდერალურ ადგილებზე, მარალბალახეულობაში მთის ზედა სარტყლამდე. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ჯინჭრის ფოთლები საუკეთესო საკედები ფხალეულია, ამზადებენ წვნიანებსაც. მშრალ ფოთლებს დაფქვილი სახით იყენებენ სანელებლად. მისით აზავებენ კარაქს,

ბუტერბოდებს, პიურეს, ფაფებს. ნედლ ფოთლებს, ცხელი წყლით დადუღრულს, უმატებენ ბოსტნეულ სალათებს მხოლოდ საჭმლის მიღების წინ, ვინაიდან ფოთლები მეტად ნაზია და ხანგრძლივი თერმული დამუშავებისას სწრაფად კარგავს სასარგებლო და გემოვნებით თვისებებს.

სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს. შეიცავს ქლოროფილს, მთრიმდავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მუჟებს – ჭიანჭველმუჟავას, ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, K), პროტეინს, ჰისტამინს, რეინის მარილებს, ცვილს.

უძველესი დროიდანაა ცნობილი ბერძნებისა და კოლხებისათვის. დიოსკორიდე მას იყენებდა კიბოს, წყლულების, ჯირკვლების დაავადებებისას. დაღასტურებული მოხაცემებით ჯინჭარი მოჰყავდათ ახ.წ.აღ. - მდე XIII-XII საუკუნეებში კოლხეთში “მედეას ბაღში” და მას მრავალმხრივი დანიშნულებით იყენებდნენ დედა-შვილი ჰეკატე და მედეა. მოხსენიებულია ყველა დროის სამკურნალო მცენარეთა წიგნებში, როგორც მრავალმხრივი სამკურნალო დანიშნულების მცენარე.

“ჭინჭარი ჭირის ჭირია...” – ნათქვამია ქართულ ფოლკლორში. ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჭრილობების შემახორცებლად, ავიტამინოზის, ციების, რევმატიული ანთებისა და რევმატიზმის (როგორც ადგილობრივი ჰიპერემიის მომგვრელი და გამაღიზიანებელი) დროს. ჯინჭრის ნახარშს შაბთან ერთად იყენებდნენ ნერვული ქავილის, სისხლის ჩაქცევის, ფილტვების ანთების, კუჭ-ნაწლავის აშლილობისას; სუფთა წვენს ურჩევენ სისხლიანი ნახველისა და ჰემორიოიდალური სისხლდენების შემთხვევაში, გაძლიერებული დედათა წესის დროს, თესლების ნახარშს კი სქესობრივი უძლურებისას.

ხასიათდება სისხლდენის შემაჩერებელი, ტონუსის ამწვევი, დიურეზული, ნაღველმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ერთორპოეზის გამაძლიერებელი მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება ანემიის, ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის დაავადებების, წყალმანკის, ბრონქიტის, სახსრების ტკივილის, ბუასილის, ყაბზობის, კუჭის სპაზმების,, ღუნედ მიმდინარე ქრონიკული დაავადებების, ფილტვიდან, თირკმლიდან,

საშვილოსნოდან და ნაწლავებიდან სისხლდენის დროს.

გარეგანად – ქერტლის, თმის ცვენისა და კანის ეგზემის სამკურნალოდ.

**სიფრთხილის ღონისძიებები:** მცენარის პრეპარატები უკუმაჩქენებელია სისხლის მაღალი შედედების, ათეროსკლეროზისა და პიპერტონიით დაავადებულთათვის; აგრეთვე სისხლდენებისას, რომლებიც გამოწვეულია მეავიანობით, საშვილოსნოსა და მისი დანართების პოლიპებითა და სხვა სიმსივნეებით.

**ჯინჭრის-დედა – *Lamium album L.***  
**ოჯ. ტუჩოსანნი — Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალაზოვანი 150 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მხოხავი ფესურით. ღერო სწორმდგომია, ღრუჟ, დაუტოტავი, ფოთლებთან ერთად დაფარულია მეჩერი თეთრი ბეწვით. ფოთლები მოპირისპირეა, ყუნწიანი, გულისებრ-ლანცეტა. ყვავილი თეთრი ან მოყვითალოა, გვირგვინი ორტუჩაა, ზედა ტუჩი მუზარადისებრია, ქვედა – სამნაკვთიანი, რგოლებადაა შეკრებილი ზედა ფოთლების იღლიებში. ნაყოფი შედგება ოთხი მოგრძო-კვერცხისებრი, თითქმის სამწახნაგოვანი, თავგადაკვეთილი კაკლისაგან. ყვ. V-VII. ნაყ. VI-VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ფართოდ გავრცელებული სახეობაა, იზრდება ევრ-აზიაში.

**მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები არომატულია, მშრალი სახით იყენებენ სანელებლად; მცენარის ნორჩი ყლორტები სასალათად, ხოლო მცენარის მწვანე ნაწილები მთელი ზაფხულის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის მწვანე წვნიანებისა და პიურეს დასამშადებლად.

ყვავილები და ბალაზი შეიცავს ალკალოიდ ლამინს, ფლავონიტიდებს (კვერციმეტრინი, რუტინი, პობინინი, ლამიოზიდი, ასტრაგალინი, კვერციტრინი, კემპფეროლი, აზოკვერციტრინი), კუმარინებს, ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (ყავის, გალურს, ქლოროგენულს, ფერულის), კაროტინს, ასკორბინის მჟავას, ლორწოს, საპონინებს.

უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, მოიხსენიება ახ.წ.-აღ.-ის I ს-ში, ძველი რომაელი მწერლის პლინიუს უფროსის “ბუნებრივ ისტორიაში”.

სამკურნალო მიზნით უმთავრესად ყვავილები გამოიყენება, აგროვებენ ახლად გაშლილს. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი, სპაზმოლიტური, მატონიზირებელი, შარდმდენი, სისხლდენის შემაჩერებელი, ჰიპოტენიური მოქმედებით.

ბალაზის ნახარში გამოიყენება გულისა და თავის ტკივილების, ნერვული დაავადებების დროს. ბალაზისა და ყვავილების წვენი - ნერვების დასამშვიდებლად, ისტერიისა და უძილობისას; შინაგანად და გარეგანად - სიყვითლის, ბავშვების დიათეზის, ფურუნკულოზის, ეგზემის, კანის წყლულების, გამონაფრების საწინააღმდეგოდ.

ყვავილების ნახარში და ნაყენი მიიღება როგორც შემკვრელი და სისხლდენის შემაჩერებელი საშუალება ფილტებისა და საშვილოსნოდან სისხლდენების დროს; გულის, მკერდისა და კისრის ტკივილების, ღვიძლისა და ელენის დაავადებებისას; როგორც ამოსახველებელი - ზედა სასუნთქი გზების კატარის, შარდმდენი - ურთრიტის, ნეფრიტის, ცისტიტის დროს.

გარეგანად - ეგზემის, საჭმაწვილოს, ჯინჭრის ციების, გამონაყრებისა და ფურუნკულების საწინააღმდეგოდ. წვენი - საშვილოსნოდან, ფილტვებიდან და ჰემოროიდალური სისხლდენებისას, ბრონქიტის, ასთმის, თირკმელებისა და შარლის ბუმტის დაავადებების, სისხლნაკლებობის სამკურნალოდ.

### **პედიზიუმი — *Hedychium gardnerianum* Sheppard ex Ker. Gawl.**

**ოჯ. ჯანჯაფილისებრნი — Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, მარადმწვანე 2 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა სქელი ტუბერისებრი ფესურით. ფოთოლი გლუვია, მწვანე, ელიფსური, მახვილი წვერით, 45 სმ-მდე სიგრძის. ყვავილი ოქროსფერ-ყვითელია, პეპელას მსგავსი ფორმის, ერთი გრძელი მეწმულ-წითელი მტვრიანით, შეკრებილია ხშირ, მკვრივ თავთავისებრ ყვავილებად; ყვავილობს შუა ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ფესურა და ყვავილები სასიამოებო არომატით გამოირჩევა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ნეპალი, სიკიმი და აღმ. ჰიმალაია. ფართოდ გავრცელებული ოთახისა და საორანჟერეო კულტურაა.

ჯანჯაფილისებრთა ოჯახის ერთ-ერთი ფართოდ  
კულტივირებული სურნელოვანი მცენარეა, ფრიად  
დეკორატიული ყვავილებით. ნეპალში გამორჩეულ მცენარედ  
მიიჩნევენ, იყენებენ მნიშვნელოვანი რელიგიური ცერემონიების  
დროს. ყოველწლიურად მისი სურნელოვანი და ლამაზი  
ყვავილებით ამკობენ ღმერთების ქანდაკებებს.  
მცენარის სინონიმებია: კახილის კოჭა, კახილი, ყვავილი-პეპელა.  
**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელ-  
არომატული მცენარეა, მეტად სასიამოვნო სპეციფიური  
სურნელით. აზიაში მცენარის მიწისზედა ნაწილი ფართოდ  
გამოიყენება კულინარიაში სანელებლად და არომათერაპიაში.  
ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ ფესურა იხმარება: კუჭ-  
ნაწლავის ტრაქტისა და თირკმელების დაავადებების  
(პიელონეფრიტი), თირკმელების ფუნქციების დარღვევის,  
დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, ციჟი-ცხელების,  
გაციების, სხვადასხვა სახის შეშუპების ეთიოლოგიის დროს.  
ხელს უწყობს თირკმლის ქსოვილების აღდგენას. ხასიათდება  
მატონიზირებელი და მასტიმულირებელი მოქმედებით.

## ბოლოთქმა

პოპულარული ცნობარი სანელებელ-არომატულ მცენარეებზე შედგენილია მათი გაცნობისა და არა - თვითმეტრნალობის მიზნით. ინფორმაცია არ უნდა მიიღოთ როგორც რეკომენდაცია! სამკურნალო პრეპარატებისა და ბალაზების მომზადებისა და გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ექიმის კონსულტაციის მიღება! მხოლოდ სპეციალისტს ხელეწიფება გაგიწოოთ დახმარება მცენარის შერჩევაში, თუ როგორ უნდა მოაშადოთ მისგან წამალი და განსაზღვროს პრეპარატის დოზირება. ბურებრივია, დაუშვებელია ბალაზულით მკურნალობა, თუ არ იცით თქვენი დააგადების ზუსტი დიაგნოზი!

სანელებელ-არომატული მცენარეების წარმოების ტექნოლოგია ზოგადად შემდგომ პროცესებს მოიცავს: შეგროვება, დახარისხება, გაშრობა, დაფქვა, მარკირება, შეფუთვა.

ამავდროულად, აუცილებელია სახლის პირობებში მცენარისაგან სანელებელი თუ სამკურნალო ნედლეულის დამზადებისას, ძირითადი წესების ზუსტი დაცვა, კერძოდ:

1. მცენარეების შეგროვება მხოლოდ მშრალ და მოწმენდილ ამინდში წარმოებს. ფოთლები გროვდება მათი ფორმირების შემდეგ მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში; ბალაზების - ბალაზოვანი მცენარეების მიწისზედა ნაწილს - აგროვებენ საყვავილე ღეროებთან ერთად ყვავილობის დასაწყისში; ყვავილები გროვდება ყვავილობის საწყის ფაზაში, მათ სრულ გაშლამდე; ნაყოფები და თესლები - სრული სიმწიფის პერიოდში; ფესვებსა და ფესურას აგროვებენ შემოდგომით, მცენარეთა მიწისზედა ნაწილის ჩაჭკნობის შემდეგ ან აღრე გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყებამდე; კვირტები - აღრე გაზაფხულზე, მათ გაფურჩქნამდე; ქერქები გროვდება გაზაფხულზე, წვენების მოძრაობის დაწყებამდე (ამ დროს ადვილად სცილდება ხის ტანს) ან გვიან შემოდგომით.

2. მხოლოდ გაშრობის შემდგ გადაიქცევა შეგროვილი მასალა მცენარეულ ნედლეულად, რომელსაც შემდეგ ინახავენ მთლიანად

ან სათანადოდ გადამუშავებულს. გაშრობა - ეს უმარტივესი პროცესია დაკონსერვებისა, რა დროსაც ცალკეულ ორგანობს ცილდება ტენი, ამასთან გამორიცხულია ლპობის პროცესები. ფოთლების, ბალახისა და ყვავილების გაშრობა უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება სწრაფად, აშრობენ კარგი ვენტილაციის მქონე დახურულ შენობებში, ჩრდილში, ჩელტებზე შლიან თხელ ფენებად; ნაყოფების გაშრობა შესაძლებელია მზეზე ან ღუმელში ზომიერ ტემპერატურაზე. ფესვებსა და ფესურებს გაშრობის წინ გამდინარე წყალში რეცხავენ და ჭრიან განივ ნაჭრებად, აშრობენ მზეზე ან ღუმელში.

3. ეკონომიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ე.წ. მშრალი ნედლეულის გამოსავალი, რაც გამოიხატება ნედლი მასალის წონის შეფარდებით მშრალი მასალის წონასთან. მშრალი ნედლეულის განსაკუთრებით დიდი გამოსავალი აქვს ქერქს, მაგ. დარიჩინის ხის ქერქი შრება 3:1 თანაფარდობით, რაც ნიშნავს, რომ 3 კგ ნედლი ქერქიდან მიიღება 1 კგ ნედლეული; ფესვებიც შედარებით მაღალ გამოსავალს იძლევა, მაგ. კულმუხოს (*Radix helenii*) ფესვები 4:1, კატაბალახას ფესვები (*Radix valerianae*) 4:1 და ა.შ.

ბალახოვანი სახეობებისა და ფოთლოვან ხე-მცენარეების ნედლეულის მშრალი მასალის გამოსავალი მერყეობს 4:1-დან 6:1 თანაფარდობით. ყვავილები იძლევა მშრალი ნედლეულის გამოსავალს ჩვეულებრივ 6:1 დან 8:1 შეფარდებით. ყველაზე მაღალი გამოსავლიანობით ხორცოვანი ნაყოფები ხასიათდება, მაგ.: მოცვი (*Fructus myrtilli*) იძლევა მშრალი ნედლეულის გამოსავალს 10:1 და ა.შ.

4. შესახად განპირობებულ ნედლეულს, ჩვეულებრივ არ აქციუმაცებენ. გამშრალი მცენარეების შენახვა რეკომენდებულია მშრალ, გრილ შენობაში ქაღალდის პაკეტებში ან ქაღალდით განფენილ ყუთებში. იმ მცენარეებს, რომლებიც მკვეთრი და ძლიერი სუნით გამოირჩევა, ცალკე ინახავენ. შენახვის ვადა ძირითადად მერყეობს 1-დან 3 წლამდე.

5. ნაყენებსა და ნახარშებს ამზადებენ ორი ხერხით: ცხელი და ცივი. ცხელი ხერხით დაშალებისას სამკურნალო ნედლეულის საჭირო რაოდენობას უმატებენ ოთახის ტემპერატურის წყალს

ფაიფურის ან ემალის ჭურჭელში, რომელსაც წყლის აბაზანაში ათავსებენ და აცხელებენ, ნახარშებს 30 წუთის განმავლობაში, ნაყენებს - 15 წუთის; შემდეგ აციებენ, ფილტრავენ 4 - ჯერად მარლაში ან სხვა ქსოვილში და წამალი შზადაა გამოსაყენებლად. ცივი ხერხით დამზადებისას, ნედლეულს უმატებენ გაგრილებულ აღუღებულ წყალს და აჩერებენ 4 - 12 საათს, ფილტრავენ და იყენებენ.

6. სასურველია ნაყენებისა და ნახარშების ყოველდღიური დამზადება.

7. სპირტიანი ნაყენისათვის ჩვეულებრივ გამოიყენება 40-70<sup>0</sup>-იანი სპირტი ან არაყი. დაქუცმაცებულ ნედლეულს ათავსებენ მინის ჭურჭელში, უმატებენ სპირტს 1:5, 1:10, 1:20 შეფარდებით, აფარებენ საცობს და ბნელ აღგილას ინახავენ 7-10 დღე-დამის განმავლობაში, დროდადრო ურევენ. შემდგომ ნაყენს ფილტრავენ და ათავსებენ მუქ ჭურჭელში. ნაყენის შენახვის ვადა 1-3 წელია.

8. ბალაზის ჩაი შეიცავს საკვებ და ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც მეტწილად განსაზღვრავს ადამიანის ორგანიზმის ორგანოების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, მის რეზისტენტულობას და ადაპტაციურ შესაძლებლობებს. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება ვიტამინები, ეთერზეთები, ფიტონციდები, მთრიმლავი ნივთიერებები, გლიკოზიდები და სხვ. ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის უდიდესი როლი ენიჭება ასევე მიკრო და მაკროელემენტებს, რომლებსაც მცენარეები შეიცავს.

ტრადიციულად ჩაის დასაყნებლად იყენებენ მცენარის სხვადასხვა ნაწილებს: ბარამბო (ბალაზი), ბეგქონდარა (ბალაზი), თავშავა (ბალაზი), მოცვი (ფოთლები), კრაზანა (ბალაზი), კუნელის სხვადასხვა სახეობები (ფოთლები, ყვავილები, ნაყოფები), სამკურნალო ძიძო (ყვავილები), ქაფურა (ფოთლები), ჯინჭრის-დედა (ფოთლები, ყვავილები) და სხვა.

ჩაი უნდა მომზადდეს ნედლეულისა და წყლის შესაბამისი დოზებით, გაცხელებული იმ ტემპერატურამდე, რომელიც საჭიროა მოცემული აქტიური ნივთიერებისათვის.

მხოლოდ სწორად დამზადებული ჩაი შეიცავს აქტიურ ნივთიერებათა ოპტიმალურ რაოდენობას.

## **მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი**

1. აბზინდა - 26
2. აუგონი, ინდური კვლიავი - 29
3. ალოიზია, ლიმონის ვერბენა, ლიპია - 31
4. ალპინია, ნამდვილი გალანგა, კალგანი - 33
5. ალუჩა - 34
6. ანგელოზა - 36
7. ანისულია ზე - 40
8. ანონა, არაუნის ვაშლი - 42
9. არომატული პანდანუსი - 43
10. ასფურცელა - 45
11. ბალიანი, ვარსკვლავისებრი ანისი - 47
12. ბაიას ზე ან მიხაკის წიწაკი, მტევნისებრი პიმენტა - 48
13. ბარამბო - 50
14. ბატატი, ტკბილი კარტოფილი - 52
15. ბალის პიტნა - 54
16. ბალის სატაცური - 57
17. ბალის ქონდარი - 60
18. ბაჟარი, სუნელოვანი ან იამაიკის პილპილი - 63
19. ბერგამოტი - 65
20. ბროწეული - 67
21. გველთავა - 69
22. გვერდელა - 71
23. გრძელი პილპილი, პიპალი - 73
24. გუიავა - 75
25. გულევითელა - 77
26. ღანდური - 78
27. ღარიჩინის ზე ჩინური - 80
28. ღარიჩინის ზე ცეილონის - 81
29. ღაფნა - 83
30. ღედოფლის ყვავილი - 85
31. ღიდი კამა - 87
32. ღურიო - 90
33. ევგენოლის რეპანი - 92

34. ეკალდიჭი - 94
35. ელშოლცია, ელგოლცია - 96
36. ვანილი - 98
37. ვარდკაჭაჭა - 101
38. ვასაბი, იაპონური ევტრემა - 103
39. ვაშლის ან ანისულის პიტნა - 105
40. ვიეტნამური ქინძი - 106
41. ზაფრანა - 107
42. ზეთისხილი, ზეთის ხე - 110
43. თაეშავა - 112
44. თამარპინდი - 115
45. თეთრი დიყი - 117
46. თეთრი მდოგვი - 118
47. თუთუბო - 120
48. ინდაუ, რუკოლა, ერუკა - 122
49. ინდური დილენია, სპილოს ვაშლი - 125
50. ინდური ლოტოსი - 126
51. ისპანახი - 128
52. კადილო - 130
53. კაკაოს ან შოკოლადის ხე - 131
54. კამა - 134
55. კამელია - 136
56. კაპარი - 138
57. კატაბალახა - 140
58. კატაპიტნა - 141
59. კაფირ-ლაიმი, კაფირი, ლიმა - 143
60. კემპფერია - 145
61. კერატი, კერობი - 146
62. კვლიავი - 148
63. კივანო, აფრიკული კიტრი, რქიანი ნესვი - 150
64. კივი - 151
65. კიტრი - 154
66. კიტრისუნა - 156
67. კოთხუჯი - 158
68. კოლურია - 161

69. კომიფურა, მირა - 162
70. კოწახური - 163
71. კრაზანა - 166
72. კულმუხო - 168
73. კუმბა, სენეგალის ან მავრიტანული პილპილი - 171
74. კურკუმა, ქურქუმა - 172
75. კუტი ბალახი - 174
76. ლავანდი - 175
77. ლიმონი - 178
78. ლიმონურა ჩინური - 180
79. ლიმონის აბზინდა - 183
80. ლიმონისებრი მირტი - 184
81. ლურჯი ზამბახი - 186
82. ლურჯი ღიღილო - 189
83. მაიორანი - 190
84. მალაგეტის პილპილი - 192
85. მამულა - 194
86. მანგო - 196
87. მექსიკური ტარხუნა - 199
88. მექსიკური ჩაი - 201
89. მხესუმშირა - 202
90. მთის ჰიტნა - 204
91. მთის ლანბილი - 205
92. მირტი - 207
93. მიხაკის ხე - 209
94. მჟაუნა - 211
95. მონარდა - 213
96. მხოხავი ბეგქონდარა - 214
97. ნამდვილი ზირა - 216
98. ნამდვილი კარდამონი - 218
99. ნამდვილი რევანდი - 221
100. ნიახური - 223
101. ნიგვზისძირა - 225
102. ნივრის დედა - 228
103. ნიორი - 229

104. ომბალო - 234
105. ორფერა - 236
106. ორყურა - 237
107. ოქროჩალა - 239
108. ოხრახუში - 240
109. პარაგვაული ჩაი, მატე - 242
110. პეკანი - 244
111. პერილა, იაპონური სურნელოვანი ბალაზი - 245
112. პეუმუსი, ბოლდო - 247
113. პირმუშხა - 248
114. პიტინისფოთოლა რეპანი - 250
115. პომელო - 254
116. პომიდორი - 257
117. პრასა - 259
118. ჟენშენი
119. რბილი შინუსი, პერუს პილპილი - 262
120. რეპანი, შაშკვლამი - 263
121. როზმარინი - 265
122. საგველა აბზინდა - 267
123. საკპინაჭი - 269
124. სალათა - 271
125. სამკურნალო აბზინდა - 273
126. სამკურნალო ბაბუაწვერა - 274
127. სამკურნალო გვირილა - 277
128. სამკურნალო სალბი - 279
129. სამკურნალო ძიძო - 282
130. სარეპტის მდოგვი - 284
131. სვია - 286
132. სოინჯი - 288
133. სტაფილო - 291
134. სტევია, თაფლოვანი ბალაზი - 294
135. სურნელოვანი გერანი, სურნელოვანი პელარგონიუმი- 296
136. სურნელოვანი ზეთის ხე, ოსმანთუში - 299
137. სურნელოვანი ნარი - 300
138. სუსამბარი - 301

139. ტარო, კოლოკაზია - 303  
 140. ტარხუნა - 305  
 141. ტეგანი - 307  
 142. ტენცო, წყლის პიტნა – 308  
 143. ტევმალი - 310  
 144. ტყის ანგელოზა - 311  
 145. ტყის მწარე წიწმატი - 313  
 146. ტყის პიტნა - 314  
 147. ტყის ჩიტისთვალა - 317  
 148. ტყიურა - 318  
 149. უსუბი - 320  
 150. ულუმბო, უცხო სუნელი - 321  
 151. ურაშა - 323  
 152. ურცი - 324  
 153. უჯანგარი - 326  
 154. ფარსმანდუკი - 327  
 155. ფაჩული - 330  
 156. ფორთოხალი - 331  
 157. ფსტა - 333  
 158. ქაფურა - 335  
 159. ქინძი - 337  
 160. ქოქოსის, კოკოსის პალმა - 339  
 161. ქუბაბა, ქუბაბას პილპილი - 342  
 162. ღანძილი - 344  
 163. ყავის ხე - 347  
 164. ყვანჩალა - 349  
 165. ყვითელი კოჭა - 350  
 166. შავი კარდამონი - 352  
 167. შავი მდოგვი - 354  
 168. შავი პილპილი - 356  
 169. შამბალილა, ულბო - 358  
 170. შირბახტი, ქუნჯუტი - 361  
 171. ჩვეულებრივი ანისული - 363  
 172. ჩვეულებრივი ბეგქონდარა - 366  
 173. ჩვეულებრივი კაკლის ხე - 368

174. ჩვეულებრივი ნუში - 371  
 175. ჩვეულებრივი უცვეთელა - 373  
 176. ჩვეულებრივი ღვია - 374  
 177. ჩვეულებრივი ღოლო - 377  
 178. ჩვეულებრივი წიწაკა - 379  
 179. ჩინური ჩაის ბუჩქი - 381  
 180. ჩინური ჰიბისკუსი, ჩინური ვარდი - 384  
 181. ჩუფა, მიწის ნუში - 385  
 182. ცვილიანა - 387  
 183. ცილინდრული ლუფა - 389  
 184. ციმბოპოგონი, ლიმონის ბალახი - 390  
 185. ცისკარა - 393  
 186. ციტრონი, “ბუდას ხელი” - 394  
 187. ძირთეთრა - 396  
 188. ძირტკბილა - 398  
 189. წალიკა - 401  
 190. წიწმატი - 403  
 191. წყლის წიწმატი - 405  
 192. ჭყიმა-მხალი - 407  
 193. ჭყიმი - 408  
 194. ხავერდა - 410  
 195. ხარისხარდა - 412  
 196. ხაშხაში - 415  
 197. ხახვი - 418  
 198. ხეპილპილა - 422  
 199. ხეტუხტი - 424  
 200. ჯავზი - 426  
 201. ჯინჭური - 429  
 202. ჯინჭრის-დედა - 431  
 203. ჰედიხიუში - 433

## მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი

1. Achillea millefolium - 327
2. Acorus calamus - 158
3. Actinidia chinensis - 151
4. Aframomum melegueta - 192
5. Alliaria petiolata - 228
6. Allium cepa - 418
7. Allium porrum - 257
8. Allium sativum - 229
9. Allium ursinum - 344
10. Allium victorialis - 205
11. Aloisia triphylla - 31
12. Alpinia galanga - 33
13. Amomum subulatum - 352
14. Amygdalus communis - 371
15. Anethum graveolens - 134
16. Angelica sylvestris - 311
17. Anisum vulgare - 363
18. Anona muricata - 42
19. Anthriscus cerefolium - 407
20. Anthriscus sylvestris - 408
21. Apium graveolens - 223
22. Archangelica officinalis - 36
23. Armoracia rusticana - 248
24. Artemisia abrotanum - 273
25. Artemisia absinthium - 26
26. Artemisia annua - 326
27. Artemisia balchanorum - 183
28. Artemisia dracunculus - 305
29. Artemisia scoparia - 267
30. Artemisia vulgaris - 194
31. Asparagus officinalis - 57
32. Backousia citriodora - 184
33. Berberis vulgaris - 163
34. Borago officinalis - 156

35. *Brassica juncea* - 284
36. *Calamintha grandiflora* - 204
37. *Calendula officinalis* - 77
38. *Capparis herbacea* - 138
39. *Capsicum annuum* - 379
40. *Cardamine amara* - 313
41. *Caria pecan* - 244
42. *Carum ajowan* - 29
43. *Carum carvi* - 148
44. *Centaurea cyanus* - 189
45. *Ceratonia siliqua* - 146
46. *Chenopodium ambrosioides* - 201
47. *Cichorium intybus* - 101
48. *Cinnamomum cassia* - 80
49. *Cinnamomum zeylanicum* - 81
50. *Citrus bergamia* - 65
51. *Citrus hystrix* - 143
52. *Citrus limon* - 178
53. *Citrus maxima* - 252
54. *Citrus medica* var. *sarcodactilis* - 394
55. *Citrus sinensis* - 331
56. *Cocos nucifera* - 339
57. *Coffea arabica* - 347
58. *Colluria geoides* - 161
59. *Colocasia esculenta* - 303
60. *Commiphora myrrha* - 162
61. *Coriandrum sativum* - 337
62. *Crocus sativus* - 107
63. *Cucumis metuliferus* - 150
64. *Cucumis sativus* - 154
65. *Cuminum cyminum* - 216
66. *Curcuma aromatic* - 172
67. *Curcuma longa* - 350
68. *Cymbopogon citratus* - 390
69. *Cyperus esculentus* - 385
70. *Daucus sativus* - 291
71. *Dillenia indica* - 125

72. *Dracocephalum moldavica* - 69
73. *Durio zibethinus* - 90
74. *Elettaria cardamomum* - 218
75. *Elsholtzia ciliata* - 96
76. *Eruca sativa* - 122
77. *Eryngium foetidum* - 300
78. *Eutrema japonicum* - 103
79. *Ferula assa-foetida* - 269
80. *Filipendula ulmaria* - 335
81. *Foeniculum vulgare* - 87
82. *Galium odoratum* - 317
83. *Geum urbanum* - 225
84. *Glycyrriza glabra* - 398
85. *Hedychium gardnerianum* - 433
86. *Helianthus annuus* - 202
87. *Heracleum mantegazzianum* - 117
88. *Hibiscus rosa – sinensis* - 384
89. *Hibiscus syriacus* - 424
90. *Hierochloe odorata* - 239
91. *Humulus lupulus* - 286
92. *Hypericum perforatum* - 166
93. *Hyssopus officinalis* - 320
94. *Ilex paraquariensis* - 242
95. *Illicium verum* - 47
96. *Inula helenium* - 168
97. *Ipomoea batatas* - 52
98. *Iris germanica* - 186
99. *Juglans regia* - 368
100. *Juniperus communis* - 374
101. *Kaempferia galanga* - 145
102. *Kamellia sinensis* - 136
103. *Lactuca sativa* - 271
104. *Lamium album* - 431
105. *Laser trilobum* - 318
106. *Laurus nobilis* - 83
107. *Lavandula officinalis* - 175
108. *Lepidium sativum* - 403

109. *Levisticum officinale* - 393
110. *Luffa cylindrica* - 389
111. *Lycopersicum esculentum* - 254
112. *Mangifera indica* - 196
113. *Matricaria chamomilla* - 277
114. *Melilotus officinalis* - 282
115. *Melissa officinalis* - 50
116. *Melittis melissophyllum* - 130
117. *Mentha aquatica* - 308
118. *Mentha longifolia* - 314
119. *Mentha piperita* - 54
120. *Mentha pulegium* - 234
121. *Mentha rotundifolia* - 105
122. *Monarda didyma* - 213
123. *Myrica gale* - 387
124. *Myristica fragrans* - 426
125. *Myrtus communis* - 207
126. *Nelumbo nucifera* - 126
127. *Nepeta cataria* - 141
128. *Nigella sativa* - 288
129. *Ocimum basilicum* - 263
130. *Ocimum gratissimum* - 92
131. *Ocimum menthifolium* - 250
132. *Olea europaea* - 110
133. *Origanum majorana* - 190
134. *Origanum vulgare* - 112
135. *Osmanthus fragrans* - 299
136. *Panax ginseng* - 259
137. *Pandanus odoratissimus* - 43
138. *Papaver somniferum* - 415
139. *Pastinaca sativa* - 396
140. *Pelargonium graveolens* - 296
141. *Perilla frutescens* - 245
142. *Persicaria hydropiper* - 401
143. *Persicaria odorata* - 106
144. *Petroselinum crispum* - 240
145. *Peumus boldus* - 247

146. *Philadelphus coronarius* - 373
147. *Pimenta dioica* - 63
148. *Pimenta racemosa* - 48
149. *Pimpinella saxifraga* - 71
150. *Piper cubeba* - 342
151. *Piper longum* - 73
152. *Piper nigrum* - 356
153. *Pistacia vera* - 333
154. *Pogostemon cablin* - 330
155. *Portulaca oleraceae* - 78
156. *Poterium sanguisorba* - 323
157. *Prunus cerasifera* - 34
158. *Prunus divaricata* - 310
159. *Psidium guajava* - 75
160. *Pulmonaria officinalis* - 236
161. *Punica granatum* - 67
162. *Rheum palmatum* - 221
163. *Rhus coriaria* - 120
164. *Rorippa nasturtium-aquaticum* (*Nasturtium officinale*) - 405
165. *Rosmarinus officinalis* - 265
166. *Rumex acetosa* - 211
167. *Rumex crispus* - 377
168. *Ruta graveolens* - 307
169. *Salvia officinalis* - 279
170. *Salvia sclarea* - 412
171. *Sassafras officinale* - 40
172. *Saturea hortensis* - 60
173. *Schinus molle* - 262
174. *Schisandra chinensis* - 180
175. *Sesamum indicum* - 361
176. *Sinapis alba* - 118
177. *Sinapis nigra* - 354
178. *Smilax excelsa* - 94
179. *Spinacia oleracea* - 128
180. *Stacys sylvatica* - 349
181. *Stevia rebaudiana* - 294
182. *Syzygium aromaticum* - 209

183. *Tagetes* L. - 410
184. *Tagetes lucida* - 199
185. *Tamarindus indica* - 115
186. *Tanacetum balsamita* - 301
187. *Tanacetum vulgare* - 45
188. *Taraxacum officinale* - 274
189. *Teucrium polium* - 174
190. *Thea sinensis* - 381
191. *Theobroma cacao* - 131
192. *Thymus serpyllum* - 214
193. *Thymus vulgaris* - 366
194. *Trigonella caerulea* - 321
195. *Trigonella foenum-graecum* - 358
196. *Tropaeolum majus* - 85
197. *Urtica dioica* - 429
198. *Valeriana officinalis* - 140
199. *Vanilla planifolia* - 98
200. *Vitex agnus-castus* - 422
201. *Xylopia aethiopica* - 171
202. *Ziziphora serpyllaceae* - 324
203. *Zygophyllum fabago* - 237

## გამოყენებული ლიტერატურა

- ბიძინაშვილი რ. თბილისის მიდამოების ფლორის სამკურნალო  
გეოფიზიკის თბილისი, 2009.
- ბიძინაშვილი რ., ცხადაძე ნ., ხაიკაშვილი ხ. თბილისის მიდამოების  
სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 2010.
- ბიძინაშვილი რ. სამკურნალო მცენარეები (წარსული, აწმყო და  
მომავალი). თბილისი, 2011
- ბიძინაშვილი რ. საკვები და ხილ-კენკროვანი კულტურების  
სამკურნალო მნიშვნელობა. თბილისი, 2013.
- ბიძინაშვილი რ. ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების  
სამკურნალო მნიშვნელობა. ნაწილი I, II. თბილისი, 2013.
- კეცხოველი ნ. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში.  
თბილისი, 1957.
- კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი, 1959.
- მაყაშვილი ა, თბილისის მიდამოების ფლორა, 1-II ტ. თბილისი, 1952 –  
1953.
- მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1961.
- მაყაშვილი ზურაბ მცენარეთა სახელდება. თბილისი, 1996.
- ნორმან უოკერი მკურნალობა ბოსტნეულის წვერებით. თბილისი, 1991.
- ოდიშარია თ., საბახტარიშვილი შ. საქართველოს სამკურნალო  
მცენარეები და ფიტოერაპიული რეცეპტურა. თბილისი, 1993.
- საქართველოს მცენარეების სარკვევი. ტ. I-II. თბილისი, 1964 - 1969.
- საქართველოს ფლორა. ტ. I-VIII, I გამოცემა. თბილისი, 1941 - 1952.
- საქართველოს ფლორა. ტ. I-XV, II გამოცემა. თბილისი, 1971 – 2007.
- სურმანიძე რ. მცირე კარაბადინი. II ნაწ. ბათუმი, 1991.
- შარაშენიძე პ. ნიორი. თბილისი, 1963.
- შენგელია ზ. სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში.  
თბილისი, 1983.
- წუწუნავა ნ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები, II გამოც.  
თბილისი, 1966.
- ხიდაშელი შ., პაპუნიძე ვ. საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები.  
ბათუმი, 1985.
- Альтимишев А. Лекарственные богатства (Природного происхождения). Фрунзе, 1974.
- Атлас ареалов и ресурсов лекарственных растений СССР. Москва, 1976.
- Бережной И.М., Капцинель М.А., Нестеренко Г.А. Субтропические культуры. М., 1951.

- Буюкли М. Лаванда и ее культура в СССР. Кишинев, 1969.
- Вацлав Ветвички Растения полей и лесов. Прага, 1987.
- Вехов В.Н., Губанов И.А., Лебедева Е.Ф., Культурные растения СССР. М., 1978.
- Гаммерман А.Ф., Г.Н.Кадаев, М.Д. Щупинская, А.А. Яценко-Хмелевский, Лекарственные растения (растения целители). М., 1976.
- Гаммерман А.Ф., Гром И.И. и др. Дикорастущие лекарственные растения СССР. М., 1976.
- Гаммерман А.Ф., Щупинская М. Д., Яценко – Хмелевский А. А. Растения – целители. М., 1963.
- Гаммерман А.Ф., Юркевич И.Д. Лекарственные растения. Минск, 1965.
- Гранникова Т. А. Краткое руководство по гомеотерапии. Л., 1956.
- Гроссгейм А.А. Дикие съедобные растения Кавказа. Баку, 1942.
- Гроссгейм А.А. Растительные ресурсы Кавказа. Баку, 1946.
- Гроссгейм А.А., Флора Кавказа. Т. I - VII. Баку, Ленинград, 1939 – 1967.
- Джарвис Д. С. Мед и другие естественные продукты. Бухарест, 1988.
- Жадан М. Аптека в лесу. Симферополь, 1969.
- Землинский С.Е., Лекарственные растения СССР. М., 1951.
- Иванова Е. В., Пашина Г. В., Кухарева Л. В. Полезные травянистые растения. Минск, 1970.
- Йорданов Д., Николов П., Бойчинов А., Фитотерапия. София, 1970.
- Йирасек В., Стары Ф. Лекарственные растения. Прага, 1982.
- Ковалева И.Г. Лечение растениями. М., 1972.
- Колаковский А.А Флора Абхазии. т.I-IV. Тбилиси, 1980-1986.
- Кортиков В.Н., Кортиков А. В. Энциклопедия. Лекарственные растения. М., 1998.
- Котуков Г.Н. Культивируемые и дикорастущие растения. Справочник. Киев, 1975.
- Кощеев А.К. Дикорастущие съедобные растения в нашем питании. М., 1981
- Кудинов М.А., Пашина Г.В., Иванова Е.В., Кухарева Л.В. Пряноароматические растения в быту. Минск, 1976.
- Мазнев Н. Энциклопедия лекарственных растений. М., 2003.
- Махлюк В. П. Лекарственные растения в народной медицине. Саратов, 1967.
- Машковский М.Д. Лекарственные средства. М., 1960.

- Муравьева Д.А., Гаммерман А.Ф. Тропические и субтропические лекарственные растения. М., 1974.
- Муравьева Д.А. Фармакогнозия, М., 1978
- Муханова Ю.И. Зеленые овощи. М., 1975.
- Полная энциклопедия народной медицины, т. I-III. М., 2001.
- Пряноароматические растения в быту. Минск, 1976.
- Ролловъ А.Х., Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применения. Тифлисъ, 1908.
- Салернский кодекс здоровья. Написанный в четырнадцатом столетии философом и врачом Арнольдом из Вилановы. М., 1970.
- Сало В.М. Зеленые друзья человека. М., 1975.
- Свиридовон Г. Лесной огород. М, 1984.
- Священик Александр Жуков, Божий лекарь. М., 2008.
- Современная фитотерапия. София, 1988.
- Струев Н. А. Схема распределения лекарственных растений в порядке естественно –ботанической системы. М. 1912.
- Турова А.Д. Лекарственные растения СССР и их применение. М., 1982.
- Цкитишвили Г. Субтропические технические культуры. Тбилиси, 1956.
- Чиков П. С. Лекарственные растения. Справочник. М., 1989.
- Чопик В.И., Дудченко Л. Г., Краснова А.Н. Дикорастущие полезные растения Украины. Справочник. Киев, 1983.
- Шестаков А. К., Киреенко М. Г. Женшень и другие лекарственные растения. Минск, 1977.
- Шретер А.И. Муравьева Д.А., Поскалин Д.А., Ефимова Ф.В. Лекарственная флора Кавказа. М., 1979.
- Энциклопедический словарь лекарственных, Эфиромасличных и ядовитых растений. М., 1951.
- Эфиромасличные культуры. Под редакцией к.т.н. А.М.Смолякова и к.с-х. н. А.Т. Ксендза. М., 1976.
- <http://med-otzyv.ru/travnik/>
- <http://hnb.com.ua/articles/>
- <http://yourlifestyle.ru/polza/>
- <http://ast752.ru/poleznii-sovet.php/>
- <http://ru.wikipedia.org/wiki/>
- <http://hnb.com.ua; onwomen.rumissfit.ru/food/soy>
- <http://www.medicinalplants.ru/>
- <http://healt.wild-mistress.ru/>
- <http://www.bestgardener.ru; vk.com/>
- <http://hnb.com.ua/articles/s-zdorovie/>

http:// nelechim.ru /index.php/.  
http://www.rastenia-lecarstvennie.ru/.  
http://www.gippokrat.by/.  
http://woman.delfi.ua/.  
http://svoistva.ru/.  
http://www.likfoods.ru/.  
http://mir-yagod.ru/.  
http://rabotex.ru/.  
http://kaplaninternational.com/.  
http://inflora.ru/.  
http://www.travoved.ru/.  
http://hnb.com.ua/.  
http://med-otzyv.ru/travnik/.  
http://hnb.com.ua/articles/.  
http://yourlifestyle.ru/polza/.  
http://ast752.ru/poleznii-sovet.php/.  
http://ru.wikipedia.org/wiki/.  
http://hnb.com.ua/.  
http://onwomen.rumissfit.ru/food/soy.  
http://www.medicinalplants.ru/.  
http://healt.wild-mistress.ru/.  
http://www.bestgardener.ru; vk.com/.  
http://hnb.com.ua/articles/s-zdorovie.  
http://nelechim.ru /index.php/.  
http://www.rastenia-lecarstvennie.ru/.  
http://www.gippokrat.by/.  
http://woman.delfi.ua; svoistva.ru/.  
http://www.likfoods.ru/.  
http://mir-yagod.ru/.  
http://rabotex.ru/.  
http://kaplaninternational.com/.  
http://www.inflora.ru/.  
http://www.travoved.ru/.  
http://hnb.Com.ua.Reflerat.az/.  
http://wikipedia.org.medn.ru/.  
http://wikipedia.com./.  
http://acad//emia.ru/.  
http://vazony.com.forum.aromati.ru/.  
http://aurdorov.ru.pantopedia.ru/.  
http://globinmed.com/.

<http://greens-avenue.ru/encyclopedia/>.  
<http://www.indianspices.ru/>.  
<http://www.exotic.plts.de/semena/shrubs/>.  
<http://herbalogia.ru/library/>.  
[http://www.tvoya\\_aura.ru/stati/](http://www.tvoya_aura.ru/stati/).  
[http://www.eda\\_server.ru/prjan/](http://www.eda_server.ru/prjan/).  
<http://www.greenrussia.ru/apteka/>.  
<http://spicelist.laduro.net/>.  
<http://trawnic.ru/>.  
<http://lady.mail.ru/product/>.  
<http://schkolazhizni.ru/archive/>.  
[http://demiatr.ru/forum//journal\\_uploids/2/](http://demiatr.ru/forum//journal_uploids/2/).  
<http://lekmed.ru/lekarstva/lekarstvennye-rastenia/>.  
<http://nashaflora.com/lestings/>.  
<http://enpilerka.ru/index.php/>.  
<http://knigazdorovya.com/>.  
[http://cooking.wild\\_mistress.ru/wm/](http://cooking.wild_mistress.ru/wm/).  
<http://delovkysa.ru/enc/trava/>.

## შინაარსი

წინათქმა -----	3
შესავალი -----	4
მოკლე ისტორიული ექსკურსი -----	8
სანელებელ-არომატული მცენარეები და მათი მნიშვნელობა -----	14
ზოგადი ინფორმაცია სანელებელ-არომატულ მცენარეებზე (მცენარეების დახასიათება) -----	25
ბოლოთქმა -----	435
მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი -----	438
მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი -----	444
გამოყენებული ლიტერატურა -----	450

**როზა ბიძინაშვილი**

**სანელებელ - არომატული მცენარეების  
სამკურნალო მნიშვნელობა**

**Roza Bidzinashvili**

**Medicinal Value of Spices  
and Aromatic Plants**